ვ. ანანიანი

სევანის პირას

სათავგადასავლო მოთხრობა ნორჩ ნატურაღისტთა ცხოვრებიდან

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის
სახელმწიფო გამომცემლობა
19 თბილისი 57

ვ. ანანიანის მოთხრობას „სევანის
პირას“ საუკეთესო საბავშვო
მხატვრულ ნაწარმოებთა საკავ-
შირო კონკურსზე 1950 წელს
მიენიჭა მეორე პრემია

ინგლისურიდან თარგმნა ა. დავითიანმა

სევანის სამყარო

(წინასიტყვაობის მაგივრ)

მცირე კავკასიონის მთაგრეხილი, რომელიც საქართველოდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ მიემართება, სომხეთში უზარმაზარ მთებად ქცეული ისეა განლაგებული, გეგონებათ ფერხული ჩაუბამსო.

მთაგრეხილს ცაში აზიდული მწვერვალები აქვს. მისი კალთები ჩრდილოეთით დაფარულია ფოთლოვანი და წიწვოვანი ულრანი ტყეებით, სადაც ბინადრობენ კავკასიური დათვები და ირმები. ცხოველები გარეული ხილით იკვებებიან, რითაც ისე მდიდარია ეს ტყეები.

სულ სხვანაირია ბუნება ამ მთების სამხრეთ კალთებზე; აქ მიწა მცხუნვარე მზისაგან გადატრუსული და გადამწვარია. გიარნიდან მეღრამდე აღმართულია ალისფერი ციცაბო კლდეები, რომელთა მიუვალ ნაპრალებსა და ქვახვრელებში გარეული თხები ბინადრობენ, ხოლო ამ კალთების ძირას ამწვანებული ველ-მინდვრები და საკოლმეურნეო ბაღ-ბოსტნებია გადაშლილი.

გამოუსადეგარი და უნაყოფო იყო ეს მთები ძველად. კლდეები და მათი მიდამოები, რომლებსაც ხალხი „ღვთისაგან დაწყევლილს“ ეძახდა, დღეს, საბჭოთა ადამიანების მიერ შექმნილი მძლავრი ტექნიკის წყალობით, უსაზღვრო ბედნიერების წყაროდ არის ქცეული. მათ კალთებზე დღედაღამ, განუწყვეტლივ მუშაობენ ჩვენი გიგანტები და მეწამულ სალ კლდეებიდან იღებენ კირს, ცემენტს, კარბიდს...

სევანის ტბა ხსენებული მთების მაღალ ქვაბულშია მოქცეული. სომხეთის ოც მთაგრეხილთაგან ერთი სპიტაკის მხრიდან მოდის ამ ტბამდე, შემდეგ ორ შტოდ იყოფა; ერთი სევანის ტბას სამხრეთ ნაპირზე დაუყვება, მეორე—ჩრდილოეთით და კვლავ ერთმანეთს უერთდებიან. აი სწორედ ამ ორ მთის რკალშია მოთავსებული სევანის ტბა.

უღრუბლო დღეებში სევანი ისე კამკამებს, გეგონებათ ცის კაბადონს ერთი ნაჭერი ლაჟვარდი მოჰგლეჯია და ამ მთების კალთაში ჩავარდნილა, რომ პირქუში მთები გაეხალისებინა და გამოეცოცხლებინა.

მწვერვალები ზღაპრულ გოლიათებს გავს, რომლებსაც გეგონებათ ტბის ირგვლივ ფერხული ჩაუბამთ და სწორედ ცეკვის დროს გაქვავებულანო.

ამ ბუმბერაზთაგან ორს თითქოს წრეში შესვლა ვერ მოუსწრია, იქვე გასალკლდევებულა და შუაში გასავლელი გზა დაუტოვებია. ამ გზით მოედინებოდა საუკუნეების მანძილზე მდინარე ზანგუ.

ერთხელ სომხებს თხოვნით მიუმართავთ მეფის მთავრობისათვის, რომ ნება დაერთო, ზანგუსათვის მიმართულება შეეცვალათ და სევანის წყლის მარაგი თავიანთი მინდვრების მოსარწყავად გამოეყენებინათ. ამ განცხადებაზე მთავრობის რომელიღაც მოხელეს უსულგულოდ წაეწერა:

«Река Занга в Российской империи должна течь туда, куда ей положено...»

თითქოს მეფის მოხელის წარწერის საპასუხოდ სტალინის სახელობის არხის კედელზე კოლმეურნე ბავშვებს ცარცით მიუწერიათ:

«Текут воды Зангу реки,
Куда велят большевики...»

მართლაც მხოლოდ ბოლშევიკებმა შეუცვალეს ზანგუს საუკუნეობრივი მიმართულება და სევანის წყალი ხალხის საკეთილდღეოდ გამოიყენეს. ახლა ზანგუ ტბის სხვა მხრიდან გამოდის, ბნელი გვირაბებით მოემართება და გარეთ გამოსული, გვალვისაგან გადატრუსულ არარატის ველის ბაღებსა და პლანტაციებს რწყავს. მაგრამ სანამ საკოლმეურნეო ნათესებამდე და ვენახებამდე მივიდოდეს, ზანგუ მაღალი მთებიდან აუწერელი სისწრაფით ეშვება ძირს, ხევში, დინამო-მანქანებს ამოძრავებს და ელექტრონის მძლავრ ძალად ქცეული სპილენძის მავთულებით მიემართება რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნებისა და მაღაროების ასამუშავებლად.

როცა ერევნიდან ვუახლოვდებით ტბას, ვგრძნობთ, რომ ჩვენს ფეხქვეშ დედამიწა რაღაც უხილავ ძალისაგან ზანზარებს... ეს სევანის წყლებია, ჩანჩქერებად რომ ეცემიან და მოძრაობაში მოჰყავთ მიწისქვეშა ჰიდროსადგურები.

სევანი ერთ-ერთი უდიდესი ტბაა მსოფლიოში. მის ზედაპირს მეტად დიდი ფართობი უჭირავს. დაახლოებით 1.400 კვადრატული კილომეტრი. ოცდაათამდე დიდი და პატარა მდინარე ერთვის სევანს, რომლებიც წელიწადში 720 მილიონ კუბურ მეტრ წყალს აძლევს ტბას. მდინარე ზანგუ ყოველ წელს 50 მილიონ კუბურ მეტრ წყალს იღებს. დანარჩენი წყლის რაოდენობა ორთქლდება, ღრუბლებად იქცევა და ქარს სევანის წყალი მიაქვს შორს, უცხო მხარეში.

კიდევ რა შეიძლება ითქვას სევანის შესახებ?

გეტყვით იმასაც, რომ ოდესღაც სევანის ტბა არ არსებობდა.

მრავალი ათასი წლის წინათ ამ ტბის ალაგას აყვავებული ხეობა ყოფილა, მაშინ მდინარე ზანგუ სათავეს სევანის ტბიდან კი არ იღებდა, არამედ აიწემნასარის მაღლობიდან და ამიტომაც მისი სიგრძე დღევანდელ ზანგუზე ორჯერ მეტი ყოფილა.

მეცნიერებმა აღმოაჩინეს ზანგუს ძველი კალაპოტის ნაკვალევი სევანის ტბის ფსკერზე. მდინარე მოედინებოდა ხეობაში მთის ფერდობს შუა, რომელიც იმ დროს უსიერი ტყით ყოფილა დაფარული. ტყეში დაძრწოდნენ უზარმაზარი დათვები, ხოლო მთის მდელოებზე სძოვდნენ კავკასიური ირმებისა და რქადაგრეხილი გარეული ბუღეების ჯოგები. ამ ცხოველების ნეშთი არა ერთხელ უპოვიათ არქეოლოგებს სევანის პირას გათხრების დროს. მეთევზეები ახლაც ბადეს რომ გადისვრიან, ტბის ფსკერიდან ამოათრევენ ხოლმე დიდი ხნის წინათ გადაშენებულ ირმების უზარმაზარ რქებს.

ერთხელ სევანის სამხრეთ ნაპირზე გათხრების დროს უძველესი დროის მონადირის სამარხი აღმოაჩინეს. მონადირესათვის თან ჩაეტანებინათ თავისი მარტივი იარაღები და მოშინაურებული კვერნა.

მეცნიერებმა შეისწავლეს კვერნის ჩონჩხი და დაასკვნეს, რომ იგი „ყვითელგულა“ კვერნის ჯიშს ეკუთვნის, რომლის მსგავსი დღეს სომხეთში აღარ გვხვდება.

საინტერესოა, როგორ მოხდა რომ ეს აყვავებული ხეობა წყლით დაიფარა და მის ადგილას ტბა გაჩნდა?

ხეობის განაპირას მდებარე ერთ-ერთი მთა ძალზე მოუსვენარი იყო. დროდადრო ზანზარებდა, ბუტბუტებდა, კვამლსა და ნაცარ-ტუტას ანთხევდა, ღამღამობით იმის კრატერიდან ცეცხლი ამოჰქუხ-და, ხანდახან კი ქრებოდა, ისვენებდა.

დაუცხრომელი იყო ეს მთა, ნადირები და იმდროინდელი ნახევ-რადველური ადამიანები შიშით შეჰყურებდნენ მას. პირველყოფილ-მა ადამიანებმა ამ მთას „გიჟი მთა“ შეარქვეს.

ლეგენდა გადმოგვცემს, რომ ამ ხეობის ერთ კუთხეში „შავი კლდეების“ ფერდობზე, პირველყოფილი ადამიანების პატარა ქოხმა-ხებიანი სოფელი ყოფილა.

ერთხელ თურმე „გიჟი მთა“ საშინლად შეირყა, საზარლად წამო-იღრიალა, ზეცას ორთქლის ღრუბლები სტყორცნა და თავისი სიღრ-მიდან წლობით დაგროვილი ცეცხლის ნიაღვარი გადმოანთხია.

ნიაღვარმა მთელი ხეობა აავსო, ზანგუს გზა გადაუკრა, შეაგუბა და გააქვავა.

მთების მწვერვალებიდან მოჩუხჩუხე მდინარეები მოზვავდნენ, გაქვავებულ მთის ლავას მიაწყდნენ, გაბორკოტებით დაიშიშინეს და ორთქლის ღრუბლების ფრქვევით უკანვე დაიხიეს: ხეობა უკვე ჩა-კეტილი დახვდათ.

მდინარეები და ნაკადულები, რომლებითაც ზანგუ იკვებებოდა. წინათ, თანდათან დაგუბდნენ ხეობაში და ახლანდელი სევანის ტბა წარმოშვეს, თავისი ლეგენდარული უდაბნო კუნძულით, არაჩვეუ-ლებრივი თევზებითა და ათასნაირი წყლის ფრინველთა გუნდებით.

ამ საზარელი უბედურების მოწმე ყოფილა თურმე ის პატარა სოფელი, „გიჟი მთის“ მახლობლად რომ მდებარეობდა. აუწერელმა შიშმა ყოვლისმძლე ბუნების წინაშე, მისი ბრმა, დამანგრეველი ძა-ლების წინაშე მტკიცედ დაისადგურა ამ უხსოვარი დროის სოფლის მცხოვრებთა გულში. ეს შიში გადაეცა მათ შთამომავალთ, რადგან მაშინ ადამიანები უძლურნი იყვნენ აეხსნათ ბუნების მოვლენები, უძლურნი იყვნენ ყოვლისმძლე სტიქიის წინაშე და მოკრძალებით ეპყრობოდნენ ახლადწარმოშობილ მშფოთვარე მთის ტბას.

ისინი თაყვანს სცემდნენ ტბას, რადგან გაავზნებული ტბა უღუპავდა მათ სათევზაო ნავებს, ახრჩობდა ადამიანებს და ბნელ ღამეებში დაჭრილი მხეცივით ღმუოდა.

ახლა რას არ იპოვნის კაცი მის პირქუშ სიღრმეში...

ადამიანები თაყვანს სცემდნენ ტბას არა მარტო შიშის, არამედ სიყვარულის გამოც: გაზაფხულის წყნარ დილას იგი საამურად უღიმოდა ხოლმე სოფელს და გემრიელი თევზებით უმასპინძლდებოდა. იგი სიცოცხლის წყაროს წარმოადგენდა.

ისინი უზომო მოკრძალებით ქედს იხრიდნენ „გიჟი მთის“ წინაშეც. არ ავიწყდებოდათ, რომ მას მრავალჯერ გადაუნთხევია ცეცხლი და გენია მათ წინაპართა სოფლებზე. „გიჟი მთა“ ახლაც ხანდახან სიბრაზით ზანზარებს და ყრუდ ღმუის.

ადამიანები თაყვანს სცემდნენ აგრეთვე სევანის უმცროს დას— მთის დაბლობში მდებარე გილის ტბას, რომლის ლელიანში, ნაპირებთან გაისმოდა იდუმალი ხმები: „ბეყ-ბეყ, ბეყ-ბეყ“, თითქოს იქ გველეშაპი იხრჩობაო.

მათ ეშინოდათ აგრეთვე პატარა სოფლის იქით ცამდე აზიდული შავი მთებისა, რომლებსაც სოფლისთვის აუარებელი ზარალი მიუყენებიათ. ამ მთებში ბუდობდნენ არწივები, აქედან ესხმოდნენ ისინი ცხვრის ფარებს. როდესაც ზეცა განურისხდებოდა დედამიწას, ღრუბლები ჩაშავებული კლდეების მიდამოებში გროვდებოდა და სეტყვავდა მათ ყანებს, ანადგურებდა ხალხის ნაოფლარს.

ერთხელ დიდი მიწისძვრის დროს ამ კლდეების ერთი ნაწილი მოზვავდა, სოფლები ქვეშ მოიქცია და ხალხი ცოცხლად დაასამარა.

მეტისმეტად საზარელი და მრავალი უბედურების მომვვრელია ეს კლდეები. მათ სიღრმეში ერთი საიდუმლო გამოქვაბულია ვიწრო შესავლით. იმ გამოქვაბულიდან საშარისებური სიცივე ქრის და იდუმალი გრუხუნი მოისმის.

ძველად ამ სოფლის მოხუცები მიამიტად ფიქრობდნენ, რომ სწორედ ეს იყო „ჯოჯოხეთის კარი“, სადაც მიიბარებდნენ ხოლმე

ადამიანთა ცოდვილ სულს და აქედანვე ისტუმრებდნენ ჯოჯოხეთ-
ში...

საიდუმლოებით არის მოცული ეს კლდეები და ადამიანებიც
წარსულში მუდამ შიშითა და ძრწოლვით შეჰყურებდნენ მათ...

ნაწილი პირველი

ერთ დილას მსოფლიოს უმოკლესი მდინარის პირას

— პაპა, რა იქნება, ერთხელ მეც მასროლინო ბადე!—ემუდარებოდა კამო პაპას და თან ბადეს ხელს არ უშვებდა.

— ბიჭო, გამეცალე აქედან, ხელი გაუშვი ბადეს, თევზები არ დამიფრთხო, ხომ არ გგონია ბადის გადაგდება იოლი იყოს. აბა სად შეგიძლია,—მიუგო მოხუცმა.

მაგრამ შვილიშვილი თავისას არ იშლიდა.

— ერთხელ მასროლინე, პაპა, მხოლოდ ერთხელ!

— შენგან ხომ კაცი თავს ვერ იხსნის. მოიცა, ერთხელაც გადავისვრი და მერე მოგცემ... მოიცა-მეთქი... აგერ თევზების გუნდი გამოჩნდა.

პაპა თევზების გუნდის დანახვაზე წელში მოხრილი მიუახლოვდა მდინარეს და ბადე ისროლა. ბადე წყლის ზედაპირზე გაიშალა, მაგრამ ტყვიის ბურთულებმა უმალვე ჩასძირეს.

— პაპა, ერთად მაინც ამოვწიოთ, რა იქნება,—ევედრებოდა კამო.

— ბიჭო, ვერ შესძლებ, ბადეს შეარხევ და თევზებს დამიფრთხობ, ყველანი გაიპარებიან... ისე ფრთხილად უნდა გამოწიო, რომ ვერც კი იგრძნონ, ბადეში თუ არიან მომწყვდეულნი.

და მოხუცმა ფრთხილად გამოწია ბადე.

დაინტერესებული კამო პაპასთან ერთად ეწეოდა ბადეს და გრძნობდა, თოკი როგორ ცახცახებდა ხელში...

— უჰ, რამდენი თევზი მოჰყვა, პაპა!—წამოიყვირა ბიჭმა,—არმენ, მოდი მოგვეშველე,—დაუძახა თავის ამხანაგს.

არმენმა წიგნი ბალახებზე მიაგდო, კამოსთან მიირბინა, თოკს ხელი წაავლო და იმანაც იგრძნო, რომ ბადეში რაღაც ცოცხალი არსებები ფართხალებდნენ; თევზები ბადის კედლებს ეხეთქებოდნენ და გაძრომას ლამობდნენ.

სამივემ ნაპირზე გამოიტანა ბადე და ახლადამწვანებულ მოლზე მოაპირქვავა. ბალახზე სისხლივით წითელხალებიანი, ვერცხლისფერი თევზები ხტოდნენ, ერთმანეთს ეხეთქებოდნენ და პირს საცოდავად აღებდნენ, უჰაეროდ იგუდებოდნენ...

— უჰ, რამდენია... ჩემს ბედზე გადაისროლე ბადე, არა, პაპა?—აღტაცებული ცქმუტავდა კამო.

მისი ამხანაგი არმენი კი სიბრალულით დაჰყურებდა მომაკვდავ თევზებს.

ერთი პაწაწინა კალმახი უკვე სულს ღაფავდა. არმენმა იგი წყალში გაუშვა. თევზმა წყლის უმნიშვნელო დინებასაც კი ვერ გაუძლო და შეტორტმანდა, ხან გვერდზე გადატრიალდებოდა, ხან გულაღმა და პატარა თეთრ მუცელს გამოაჩენდა ხოლმე... ბოლოს წონასწორობა აღიდგინა, კუდი მოიქნია და მდინარის სიღრმეში მიიმალა.

არმენმა კმაყოფილებით გაიღიმა და მიუბრუნდა ამხანაგს:

— კამო, მოდი პატარები ისევ გავუშვათ—წავიდნენ, გაიზარდონ.

— შენ თუ მოგანდო კაცმა, დიდებსაც გაუშვებ,—ნაწყენი კილოთი მიუგო კამომ.

მოხუცი კი თევზებს გოდორში ჰყრიდა და დინჯად, დამრიგებლური კილოთი ამბობდა:

— გულჩვილი კაცი მონადირედ არ გამოდგება...

— პა, პა, პა, ამ სისხამ დილას რა გემრიელი იქნება, უჰ, რამდენი დაგიჭერიათ!—მოესმათ უკნიდან ხმა. ჰაერში კომბლის ქნევით და საღ ფეხზე ხტომა-ხტომით მიიჭრა მათთან კამოს და არმენის განუყრელი მეგობარი გრიქორი, ლჭავანის კოლმეურნეობის მწყემსის „შტატგარეშე თანაშემწე“, როგორც თვითონ თავის თავს ეძახდა ხოლმე. გრიქორს ბავშვობიდანვე უყვარდა ხბორები და ახლა გაკვეთილების შემდეგ თავისუფალ დროს კოლმეურნეობის ხბორებთან ატარებდა—მწყემსებს ეხმარებოდა. საზაფხულო არდადეგების დროს კი ნამდვილ მწყემსად იქცეოდა ხოლმე.

— პაპა, ერთი ჩემს ბედზე ისროლე ბადე, სიტყვას გაძლევ, რამდენსაც დაიჭერ, სულ ერთბაშად გადავსანსლავ,—შეეხვეწა გრიქო-

რი და ისევ ხუმრობით დაუმატა:—არა, ჩემ ბედზე ნუ ისვრი, მე რომ იღბალი მქონოდა, თქვენსავით სწორი ფეხი მექნებოდა....

გრიქორი ერთხელ პატარაობისას, ყვავის კვერცხებს ეძებდა და ძველი წისქვილის ახლოს ერთ ჭადარზე აძვრა, მაგრამ ტოტი მოუტყდა, ძირს ჩამოვარდა, და ფეხი დაიშავა.

— არა, შვილებო, ბედით განა რამდენი თევზი უნდა დავიჭირო, რომ მინდორში მომუშავე ხალხი გავაძღო? აბა გაიხედეთ, მთელი ლეკვანი მინდვრად გამოსულა. რა მშვენიერი გაზაფხულის დილაა,—თქვა მოხუცმა, შუბლზე ხელი მიიდო და არწივისებურად მოავლო თვალი სევანის აღმოსავლეთისპირა ვრცელ მინდვრებს, სადაც ტრაქტორები, გეგონებათ რკინის ცხენებიაო, გრიალით დაჰქროდნენ და ბელტს ბელტზე აწვენდნენ. მინდვრის თავში კი „გიეი მთის“ კალთებზე რუხი ფერის ლენტებად სერავდნენ მთის ფერდობს.

— ხელის ბადით ამდენ ხალხს ვერ დავაკმაყოფილებთ,—კვლავ წარმოთქვა მოხუცმა,—კარგი დღეა, თევზი ტბიდან მდინარეში გამოდის, გზა უნდა გადავუღობოთ. აბა, კამოჯან, ჩქარა გაიხადე ტანისამოსი.

ბიჭმა სასწრაფოდ გაიძრო ტანთ და ბრძანების მოლოდინში მდინარის პირას გაჩერდა. მას განიერი მკერდი, ვიწრო წელი და ძარღვიანი, მაგარი ფეხები ჰქონდა. გაზაფხულის ცივ ჰაერს ხარბად იყნოსავდა და შესამჩნევად ებერებოდა ცხვირის ნესტოები. სიცივისაგან ტანი ცოტა აბურძგნოდა, მაგრამ ეს სიცივე სასიამოვნო იყო მისთვის.

— აჰა, აი ამ წვერს მოკიდე ხელი და მდინარეში შედი... გაბედულად შედი,—უთხრა მოხუცმა კამოს ბადის წვერი გადასცა.

ბიჭი ერთ წამს შეყოყმანდა, შემდეგ თვალები დახუჭა და წყალში ისკუპა, ცურვით გავიდა მეორე ნაპირზე და ბადის თოკის წვერი იქვე პალოზე გამოაბა, ხოლო მეორე წვერი პაპამ აქეთ ნაპირზე დაამაგრა. ამგვარად, ბადე მდინარის მთელ სიგრძეზე გაიჭიმა და ტბიდან მდინარისაკენ მიმავალ თევზებს გზა გადაუღობა.

— ახლა ნახავთ, რამდენი თევზი გაებმება ბადეში,—თქვა პაპამ და გრძელ წვერზე კმაყოფილებით გადაისვა ხელი.

— პაპა, პატარებს ხომ ისევ წყალში გაუშვებ?—შეეკითხა არმენი.

— კარგი, კარგი, შენ წილს გავუშვებ,—ღიმილით უპასუხა პაპამ, მერე ჯიბიდან ჩიბუხი ამოიღო და დაუმატა,—როცა ახალგაზრ-

და ვიყავი, არმენჯან, მეც შენსავით ჩვილი გული მქონდა, მაგრამ იმ უბედურ ხანაში იმდენი ვაი-ვაგლახი გადავიტანე, რომ გული გამიქვავდა... კამო, გამოდი, ტანისამოსი ჩაიცვი, გაცივდები!

ყველანი იქვე ნაპირას, მწვანე მოლზე დასხდნენ. მდუმარედ გაჰყურებდნენ მდინარეს და ითვლიდნენ, რამდენი თევზი გაებმებოდა ბადეში.

სევანს გარს ერტყმოდა მთების კალთები, რომელნიც ჯერ ისევ დილის ნისლში იყო გახვეული, ხოლო მათი მწვერვალები შაქრის თავების მსგავსად ვერცხლივით ბზინავდა და ცის ლაჟვარდოვან ფონზე ნათლად ისახებოდა.

თავის ვრცელ სარეცელზე გამოძინებული ტბა გაღვიძებული მზეთუნახავივით მშვიდად ამთქნარებდა.

შემდეგ კი, როცა ბურუსი გაიფანტა, გამოღვიძებული სევანი ოდნავ შეიშმუშნა, შეირხა, გაიშხუილა, ტალღები ერთმანეთს მიახეთქა და ნაპირისაკენ გამოაქანა.

მასთან ერთად გაიღვიძა სევანის მთელმა სამყარომ. ლელიანში მობინადრე ფრინველებმაც თავისებური სალამი უძღვნეს გაზაფხულის ამ უმშვენიერეს დილას.

როცა თოვლით დაფარული მთების მწვერვალები ოქროსფრად შოიჭედა, სევანს უკვე ჩვეულებრივი „სამუშაო დღე“ დაეწყო: თევზსაჭერი ნავები აქეთ-იქით დასრიალებდნენ და ტბაში ბადეს ისროდნენ. შორს სამგზავრო პატარა გემები დაქროდნენ და ხალხი ერთი ნაპირიდან მეორეზე გადაჰყავდათ, გარეული იხვების გუნდი კი, ამ აურზაურით დამფრთხალი, ტბის შუაგულისკენ მიეშურებოდა.

გათენებასთან ერთად ტბაც ყოველწამს იცვლიდა ფერს: მუქი, ლურჯი ფერიდან თანდათან ღია-მწვანე ელფერს იღებდა, ხოლო პატარა ხანს შემდეგ აქფებული ტალღები თვალისმომჭრელად ალაპლაპდა. მზე ამობრწყინდა, ტბას მძლავრი სხივები სტყორცნა და ალაგ-ალაგ ისე ააელვარა, გეგონებოდათ ზედაპირზე მარგალიტები მოუბნევიათო.

ბიჭებს ბადე და თევზები დავიწყებოდათ, გატაცებული შესცქეროდნენ სევანის გამოღვიძებას, ტბის გრილი სიო მათ აწეწილ თმებში თავისუფლად დანავარდობდა.

მოხუცი მეთევზე გაფაციცებით უმზერდა ტბაში ჩამავალ მდინარის წყალს და თევზების მოძრაობას. უცებ ზეზე წამოხტა, მდინარის მოშორებით მიგდებულ ორლულიან თოფთან მიირბინა, ხელი

წამოავლო და, როცა უკან მობრუნდა, თოფმომარჯვებული წყალს დააკვირდა.

— რა იყო?—წასჩურჩულა კამომ.

— სსს... წავიდა,—ჩურჩულითვე უპასუხა ტუჩებზე ხელმიფარებულმა მოხუცმა,—ეგ წყეული თევზებს დასდევს...

სწორედ ამ დროს წყალმა გაიშხაპუნა, ზედაპირზე ხორკლიანი ზურგი გამოჩნდა უცებ და უმალვე მიიმალა.

მოხუცმა თოფი ისროლა. წყლის ზედაპირზე წავის თეთრი მუცელი გამოჩნდა და კვლავ წყლის დინებას გაჰყვა, ყველაფერი მიყუჩდა.

— აი ასე უნდა მაგ წავს! თუ ვერ მოჰკალი, ნაღველი ხომ გაუხეთქე!—ოხუნჯობით მიაძახა ხუმარა გრიქორმა.

მოხუცმა ალმაცერად გადახედა მას და ნადირობის ჟინით შეპყრობილმა კამოს მიმართა:

— ზევითკენ გაიქეცი... ალბათ ბადეში გაეხვევა...

გული ისე მაგრად უცემდა, რომ თოფის ლულაც კი კანკალებდა.

— ეს ოხერი საფანტი წვრილია, აბა წყალში რას დააკლებდა,— თავი იმართლა მოხუცმა მონადირემ.

— პაპა, ტანისამოსი გავიძრო?—შეეკითხა კამო, რომელიც ნადირის დანახვაზე თვითონაც პაპასავით აღელვებულიყო.

— მოიცა... გაება... ბადეში გაება!—უცებ სიხარულით წამოიძახა პაპამ და თან წყალს თვალს არ აშორებდა—წადი, ბადის წვერი ახსენი მალე, ეგ წყეული თევზებს მუსრს გაავლებს.

კამომ სწრაფად გაიხადა და წყალში შეცურდა, ამხანაგები ხედავდნენ, უხილავი ძალა როგორ ეწეოდა აქეთ-იქით პალოზე მიბმულ თოკს.

არმენმა თოკს ხელი წაავლო და გამოსძახა:

— პაპა, შიგ არის, შიგ!

— აბა რა გგონია... გაძრომა უნდა მაგ საცოდავს, მაგრამ ის კი არ იცის, რომ მონადირე ასატურს ველარსად გაექცევა... კამო, იჩქარე, თორემ ბადეს დაგვიხევს...

კამომ თოკის წვერი ახსნა. ბადე წყლიდან ამოიღეს, უცებ დაინახეს ყირამალა დაკიდებული წავი, რომელსაც დრუნჩიდან წყალი წურწურით ჩამოსდიოდა.

— ბიჭო, აქეთ მოათრიე, მაგ წყეულს ბადე დაუხევია, არ გაგვექცეს,—გაიძახოდა ოფლში გაწურული მოხუცი.

მოხუცი მონადირე ტყუილ-უბრალოდ ნერვიულობდა, მხეცს ერთი ფეხი ბადეში გასჩროდა და ყირამალა დაკიდებულიყო.

— ბიჭო, რას გაშტერებულხარ? კომბალი ჩასცხე თავში,—დაუყვირა მოხუცმა გრიქორს.

— რომ მოკვდეს?—სერიოზულად მიუგო გრიქორმა.

— მოიცათ, ნუ მოკლავთ, დამაცადეთ, სურათი გადავუღო,—წამოიძახა არმენმა და ფოტოაპარატი „ფედი" მიუშვირა მხეცს.

წავს რაც ძალა და ღონე შესწევდა, ფართხალებდა, თევზებით სავსე ბადეს მდინარისაკენ ეწეოდა. ფეხები ისე მოკლე ჰქონდა, გეგონებოდათ კი არ დადის, მუცლით დახოხავსო. წავი ფართხალებდა და, რაც უფრო მოძრაობდა, მით უფრო იხლართებოდა ბადეში. ბოლოს პირაღმა გადატრიალდა, ვერცხლისფერი მუცელი მზის სხივებზე პრიალებდა. წავის ნაზი და ლამაზი ბეწვის ნახვით ბიჭები სახტად დარჩნენ. ეგონათ ასეთი ბეწვი მთელ დედამიწაზე არც ერთ ცხოველს არ ექნებოდა.

მოხუცმა ასატურმა კი იცოდა, რომ პეწი და სინაზე ცოცხალი წავის ბეწვის თვისებას შეადგენდა და რომ მის სიკვდილთან ერთად ის პეწიც და სინაზეც იკარგებოდა.

არმენმა წავს სურათი გადაუღო და ტბის ნაპირს მიაშურა.

— სული განუტევა, შეგიძლია უკან მობრუნდე—დაცინვით მიაძახა გრიქორმა.

მონადირე ასატურმა ბადე მწვანე მოლზე დაფერთხა. დახეული ადგილებიდან თევზის ნაწილი გაპარულიყო, მაგრამ ბადეში კიდევ საკმაო დარჩენილიყო.

მოხუცმა თევზები თავის ადგილას შეინახა,. წავი გაატყავა, ხოლო შემდეგ ბადის დაკერებას შეუდგა.

მართალია, უკმაყოფილო იყო ასატური, მაგრამ მაინც სწრაფად მუშაობდა. ეჩქარებოდა, რადგან ტობი დაწყებულიყო და თევზები სათავისაკენ მისცურავდნენ.

ბიჭები მდინარის პირას იდგნენ და თევზების მოძრაობას თვალს ადევნებდნენ. წყალში ჩამწვდარ მზის სხივთა კონას მდინარის სიღრმე ისე გაენათებინა, რომ კალმახები ვერცხლისფრად ბზინავდნენ.

საით მიეშურებიან ისინი? რატომ ტოვებენ სევანის სიღრმეებს და თავს საფრთხეში რისთვის იგდებენ, რად მიდიან ისეთ ადგილებში, სადაც წავით დაწყებული და თევზიყლაპიებით გათავებული ათასი მტერი ელოდებათ?

მდინარე, რომლითაც თევზების გუნდი სათავისაკენ მიეშურება, გილის ტბიდან გამოდის. გილის ტბა კი მიწის სიღრმიდან მოჩუხჩუ-

ხე ცივი წყაროებით და მთებიდან მომდინარე ანკარა შენაკადებით იკვებება.

გელაქნურსაც კალმახივით მთის ცივი, ანკარა წყალი უყვარს. გაზაფხულის გარკვეულ დროს ამ მიდამოებში გამოდის სასეირნოდ. შემოდგომით კი ბუნებრივი ინსტინქტით შეპყრობილი მიილტვის ზევით, სულ ზევით—ცივ, ანკარა წყლის ორმოებში ქვირითის დასაყრელად, ლიფსიტების გამოსაჩეკად. სევანი მდებარეობს მაღალ მთებში, ორი ათასი მეტრის სიმაღლეზე, სადაც გიჟი სასტიკი ქარი მძვინვარებს ხშირად. ქარიშხლის დროს ტბის აგორებული ტალღები მთელი სიმძაფრით ეხეთქებიან ნაპირებს, სალ ბაზალტის კლდეებს. ბუნებრივია, დედა თევზები თავიანთ ლიფსიტებს ასეთ საზარელ ტალღებს ვერ მიანდობენ.

აი რატომ არის, რომ წლის გარკვეულ დროს, თევზები სევანიდან გილის ტბისკენ მიიჩქარიან, იქიდან კი მთებიდან მოჩუხჩუხე შენაკადებით სულ ზევით და ზევით—ცივ ანკარა წყაროებისაკენ მიეშურებიან.

თევზების სევანიდან სათავეებისაკენ „ლტოლვა“ ტბაში ჩამავალი ყველა დიდი თუ პატარა მდინარის საშუალებით ხდება. ისინი იმდენად შორდებიან მშობლიურ სევანს და ისე პატარა მდინარეებში ხვდებიან, რომ გიკვირთ, საიდან მოხვდნენ ასეთ უადგილო-ადგილას.

ასეთ დროს თევზს ადვილად იჭერენ არა მარტო სოფლის ბავშვები, არამედ მგლები და ზოგჯერ მელიებიც კი „მეთევზეები“ ხდებიან.

თევზჭერის ყველაზე ხელსაყრელი დრო ტობის თვეებშია. ბადეებით გზა გადაუღობე ზევით მიმავალ თევზებს და ყველა შენი იქნება...

ამით ხომ თევზებს გამრავლების საშუალებას ვუხშობთ: დიახ, ვუხშობთ, მაგრამ აი იმ ადგილის მახლობლად, სადაც ჩვენი ახალგაზრდები დგანან, წითელსახურავიანი ახალი შენობა მოჩანს, ეს თევზის მომშენებელი სადგურია, აქ ყოველწლიურად ქვირითიდან სამოცი მილიონი ლიფსიტა გამოჰყავთ და ტბაში უშვებენ.

— პაპა, მალე დააკერე, თორემ თევზმა გაიარა,—აჩქარებდა კამო.

არმენი კი კმაყოფილებით ფიქრობდა: „დაე წავიდნენ, იცოცხლონ“...

— ამ წყეულს რა ცუდად დაუგლეჯია ბადე... ერთი ადგილი

რომ იყოს, ან ორი, ჯანდაბას კიდევ, აბა შეხედე, რამდენგანაა...— ბუზღუნებდა პაპა.

მერე რაღაც მოაგონდა, ქარქაშიდან ხანჯალი ამოიღო, წავს მუცელი გაუფატრა და ჭაბუკებს უთხრა:

— ერთი დააკვირდით ამ მსუნაგს! რამდენი თევზი შეუსანსლია, ტყვედ ჩავარდნილსაც კი უყლაპია ამ უპატრონოს!

მაგრამ ბიჭები ყურს აღარ უგდებდნენ. ისინი ზევით აჰყვნენ მდინარე გილს, რომელიც სევანისა და გილის ტბის შორის მდებარე ამწვანებულ მდელოს შუაზე ჭრიდა.

ნათელ მზიან დილით შორიდან რომ გახედოთ ამ მდელოს, გეგონებათ ორ ტბას შუა მწვანე ხავერდისკაბიანი მზეთუნახავი გაწოლილა და წელზე ვერცხლის ქამარი შემოურტყამსო.

— არმენ, ეს ალბათ მსოფლიოში ყველაზე მოკლე მდინარეა. მე გადავზომე და მისი სიგრძე სულ რაღაც ას ოცი ნაბიჯია!—უთხრა კამომ ამხანაგს.

იდუმალი გრიალი

სოფელი ლჭავანი სევანიდან შორს არ არის. იგი მთის კალთებზეა გადაშლილი. ზურგი შავი კლდეებისათვის შეუქცევია და პირით სევანს გადასცქერის.

კვირა დღე იყო. ჩვენი ნაცნობი ბიჭები— ამ წიგნის მთავარი გმირები სოფლიდან მდინარის პირას ჩამოსულიყვნენ და ახლადამწვანებულ მდელოზე წამოგორებულიყვნენ. ზოგი გაკვეთილებს ამზადებდა, ზოგი წყლის ფრინველების ჟღურტულს უგდებდა ყურს, ზოგიც აღტაცებული შესცქეროდა, თუ როგორ იცვლიდა ტბა ფერს, და თან გაზაფხულის შესახებ რაღაც სიმღერას ღიღინებდა.

გიშერივით შავბუმბულიანი წყლის ქათმები გილის ტბის ლელიანიდან გამოვიდნენ და მდინარე გილით სევანისაკენ მისრიალებდნენ. ზოგი მათგანი სასეირნოდ იყო გამოსული, ზოგი კი იქვე ნაპირზე დადიოდა და ამწვანებულ ბალახს კენკავდა. ეს ქათმები ადამიანებს არ ერიდებიან და ამიტომ გამოცდილ მონადირეს სირცხვილადაც კი მიაჩნია მათზე ნადირობა.

— გვაგვიანდება, არმენ,—უთხრა კამომ, რომელიც ყველაფერში მოუთმენელი იყო.

— გრიქორმა ხბორებისკენ გასწია...

— კარგი იქნებოდა, პაპა ასატური გამოგვყვებოდეს. დავიბნე-

ვით, გზა დაგვეკარგება. იცი, გილის ტბას რამდენი ერთმანეთის მსგავსი აუზი აქვს?—მიუგო წინდახედულმა არმენმა.

— პაპა არ წამოგვყვება, გაიგე, არც ერთი ჩვენი სოფლელი. მოხუცი ამ ტბაში არ შევა... გაგეგონება, ძველად რა ზღაპრები დადიოდა გილის გრიალის შესახებ. და თუ გამოგვყვება, ნუ ვეტყვით რისთვისაც მივდივართ. არ არის საჭირო გავაგებინოთ, რომ ჩვენს ნორჩ ნატურალისტთა წრის, გადაწყვეტილი აქვს გამოიკვლიოს გი-

ლი, მიაგნოს იმ ადგილს, საიდანაც გრიალი ისმის და მისი მიზეზი გაიგოს...

— მაშ როგორ წავიყვანოთ?

— ვითომ სანადირიოდ მივდივართ. პაპაჩემის ხასიათს კარგად ვიცნობ, ოღონდ ნადირობა უხსენე და ყველაფერი დაავიწყდება.

— გილის „ვეშაპიც“ დაავიწყდება?

— დიახ, „ვეშაპიც“! გილის ტბის რუკა თან გაქვს?

— აქა მაქვს.

— თუ ვინიცობაა პაპა არ გამოგვყვა, ჩვენ მაგ რუკის მიხედვით ყველა აუზში შევალთ და უკან წამოსასვლელ გზასაც არ დავკარგავთ.

— აქეთ, გიჩო, გიჩო, თქვე უპატრონოებო, საიდან იცით, რომ მინდვრის ბალახი ჭაობისაზე უფრო გემრიელი და ნოყიერია,—ყვიროდა გრიქორი და თან ქვის სროლით ხბორებს შემოდგომის ნათესებიდან ერეკებოდა. შემდეგ მობრუნდა და ასატურს გვერდით მიუჯდა. არმენი და კამოც მოვიდნენ და იქვე მოლზე წამოგორდნენ.

— ყვიტ, ყვიტ, ყვიტ! — უძახდა მწვანეკისერა მამალი იხვი თავის მეგობარს.

— დგაფ-დგუფ, დგაფ-დგუფ!—დგაფუნებდნენ ტბის ტალღები და ნაზად ეხლებოდნენ ნაპირს.

— ჭიკ, ჭიკ, ჭიკ!—გაიძახოდა ტბის ფრინველი და ერთი ადგილიდან მეორეზე დაფრინავდა, თითქოს ვიღაცას ეძებდა...

— ჩხრ! ჩხრ! ჩხრ! — გაისმოდა ტბის ახლომდებარე მდელოს ჩუხჩუხი.

— ბაბა-ჭიშტ, ბაბა-ჭ-შტ!—ხმას აძლევდა სხვა ფრინველი. ტყის ათასნაირ, არეულ ხმებში უცებ გაისმა ყრუ. საშინელი ღრიალი, რომელიც ტბის ახლო მდებარე სოფლებს 'მიშის ზარს სცემდა.

ფიქრებში წასული მოხუცი ოდნავ შეკრთა და მოიღუშა. ასატურის ერთგული სანადირო ძაღლი ჩამბარი, რომელიც ის იყო სოფლიდან მოსულიყო და წავის ლეში სულ შეესანსლა, გრიალის გაგონებაზე უცებ წამოვარდა და იმ მხარეს, საიდანაც ღმუილი მოისმოდა, რამდენჯერმე შეჰყეფა.

ბიჭებიც ღრმად ჩაფიქრდნენ. ეს მტანჯველი ხმა მოსვენებას არ აძლევდა მათ და სულ იმაზე ფიქრობდნენ, თუ რისი ხმა იყო ის და საიდან მოდიოდა?

— პაპა, ეს ხმა მართლა იმ დევისაა, ჯოჯოხეთიდან რომ გამოაგდეს?—ჰკითხა კამომ და ამბანაგებს ფარულად თვალი ჩაუკრა.

— ეჰ, აბა რა ვიცი? ათას რამეს ამბობენ... მამიდა თარლანი ამბობს, ვითომდა ვეშაპიაო... ჩემი ცხონებული ნათლია მუქელი კი ამბობდა — თეთრი წყლის კამეჩიაო... აბა რა ვიცი? მამაჩემიც ამბობდა, ვითომდა...

„წვეროსანმა ასატურმა“ (ასე ეძახდნენ მას დაბალი ტანის და არაჩვეულებრივად გრძელი წვერის გამო) რომ შეამჩნია, კამო სიცილით იგუდებოდა და არმენსაც თვალებში დამცინავი ღიმილი უკრთოდა, სიტყვა აღარ გაუგრძელებია, ბიჭებს დაუყვირა:

— აი თქვე ძაღლის ლეკვებო, მასხარადაც მიგდებთ, არა?..

ჰაბუკებმა სიცილს უმატეს.

— იქნება ნათლიაშენი მუქელის სული ყურყუმელაობს წყალში და თავის ნათლულ ასატურს ეძახის მისაშველებლად! — სერიოზული გამომეტყველებით უთხრა კოპლმა გრიქორმა.

— შენ გირჩევნია ყური უგდო ხბორებს, ყანაში არ შეგეპარონ, თორემ ყურებს დაგაკრი,—თითის ქნევით დაემუქრა პაპა; გრიქორი ასკინკილით გაექანა ხბორებისკენ და ქვის სროლით უკან გამორეკა, ხოლო როცა მობრუნდა, პაპამ უკვე ლმობიერი ტონით უსაყვედურა:

— ბიჭო, რას გაგიშვია ე შენი საქმე და ამ ხბორებს დასდევ!?

— აბა მე რა დამნაშავე ვარ, რომ ხბორები მიყვარს? აი როგორც კი სკოლას გავათავებ, ვეტერინარულ ინსტიტუტში შევალ და დამთავრების შემდეგ კოლმეურნეობას დავუბრუნდები, ისეთ ხბორებს გამოვზრდი, რომ თითო კამეჩის ოდენა იყოს:

— კარგს იზამ, შვილო, სწავლას ამ ქვეყნად არაფერი სჯობია. გათლილი ქვა მიწაზე არ დარჩება, ისწავლე! — მიუგო მოხუცმა დინჯად, თან ჩიბუხი გააბოლა და საქმე განაგრძო, — მხოლოდ არ დაგავიწყდეს, ადამიანმა ბუნების წიგნის კითხვაც უნდა იცოდეს.

კამომ და არმენმა წიგნის კითხვას ცოტა ხნით თავი დაანებეს, იცოდნენ, პაპა ასატური ჭკვიანურ რამეს იტყოდა ბუნების შესახებ.

პაპა ასატური ერთ ხანს მდუმარედ ეწეოდა ჩიბუხს, შემდეგ შეწყვეტილი სიტყვა განაგრძო.

— ყველაფერს წიგნში ვერ ამოიკითხავ. ბუნებაში კი რა გინდა, რომ არ იყოს...

მერე კვლავ ფიქრებში წასულმა თვალი შეავლო გამოღვიძებულ მიდამოს და კამოს დინჯად შეეკითხა: — რამდენი წელია, რაც სწავლობ?

— რვა...

— მე კი ორმოცდათვრამეტი წელია რაც ბუნების წიგნს ვკითხულობ. ვკითხულობ, ვკითხულობ და არც დასაწყისი აქვს, არც დასასრული... მაშა, შვილო, — კიდევ უფრო აუწია ხმას მოხუცმა, — ბუნების წიგნის კითხვაც უნდა იცოდე, თორემ მარტო სკოლის წიგნებით რა გამოვა.

პაპა ასატურის კამათი დარვინთან

— პაპა, რაც ბუნების წიგნში წაგიკითხავს, ყველაფერია ჩვენ წიგნებში, — უთხრა არმენმა და ამხანაგებს თვალი ჩაუკრა.

პაპა ასატურს გაუკვირდა და თითქოს ცოტა ეწყინა კიდეც.

— როგორ შეიძლება ყველაფერი წიგნებში იყოს? — ნაწყენი კილოთი ჰკითხა მან. — მაშ თუ წიგნებში ყველაფერი სწერია, აბა ერთი მითხარით, — ამდენი ფრინველი საიდან მოდის გილის ტბაზე?

— სამხრეთიდან... მუღანის ველიდან... ინდოეთის ოკეანის ნაპირებიდან, სადაც ზამთარი გაატარეს,—დინჯად და აუჩქარებლად უპასუხა ბიჭმა.

ამ პასუხმა უფრო გააოცა მოხუცი.

— აბა ერთი თქვენმა წიგნებმა იმაზე გამცეს პასუხი, რატომ არის, რომ ამდენ იხვებში ზოგი ლამაზია, ბუმბული მზის შუქზე ცეცხლივით უელავს, ზოგი კი—უფერულნი, უშნო და ულაზათონი არიან. ბუნებამ რატომ ყველა ლამაზი ან ულამაზო არ გააჩინა?

— ეგ ყველაზე ადვილი კითხვაა, — მშვიდად უპასუხა არმენმა,—ლამაზბუმბულიანები მამლები არიან, უშნო და ულაზათონი — დედლები. ყველა მამალი დედალზე ლამაზია.

გაოცებულმა ასატურმა მუშაობას თავი გაანება და შეიშმუშნა: ის, რაც მას ნახევარი საუკუნის მანძილზე მონადირის გამოცდილებით ჰქონდა შეთვისებული, ამ პატარა ბიჭსაც სცოდნია, და ალბათ, ყველა მოსწავლემ იცის ეს უბრალო, ჩვეულებრივი ჭეშმარიტება.

— ეგ თუ იცი, აბა ისიც მითხარი, რატომ არის, რომ გარეული ფრინველებიდან და ცხოველებიდან მარტო მამლები არიან ლამაზები, ბუნებას ასე რატომ გაუჩენია?

— იმიტომ, რომ ეშხითა და სილამაზით დედლები მიიზიდონ...

— საიდან იცი ამდენი? ამის შესახებ მხოლოდ მონადირეებმა იციან, რომლებსაც მთელი სიცოცხლე ტყე-ღრეში გაუტარებიათ.

— ეგ ყველაფერი დიდი ხანია დარვინს აქვს ნათქვამი, მას შესწავლილი აქვს ცხოველებისა და ფრინველების ცხოვრება,— ამხანაგების მაგიერ გამოეპასუხა კამო.

„დარვინიო!—ეს ვიღაც დარვინი ალბათ მონადირეა“!—გაიფიქრა მოხუცმა. მაგრამ ჯერჯერობით ფარ-ხმალს არ ჰყრიდა დარვინის წინაშე: როგორ შეიძლებოდა სევანის მხრის გამოჩენილ მონადირეზე და ბუნებისმცოდნე ასატურზე მეტი სცოდნოდა მას და ისიც ბუნების გამოცნობაში.

— დარვინმა საიდან გაიგო? ორმოცდაათი წელია ვნადირობ, იმათი ცხოვრება მე არ ვიცი და ვიღაც დარვინმა გაიგო? მონადირე ასატურის დამჯაბნელი ჯერ არ დაბადებულა!—დასჭექა მოხუცმა და ჩვეულებისამებრ ხელი ხანჯალზე იტაცა.

— დარვინი სხვა არის, შენ სხვა ხარ,—ღიმილით უთხრა არმენმა,—ის, რასაც დარვინი გვასწავლის მსოფლიო მნიშვნელობისაა. იგი დიდი ჭკუის პატრონი იყო.

— რაკი თქვენი დარვინი ასე ნიჭიერია, აბა ერთ შეკითხვას მივცემ, თქვენ კი მისმა მოწაფეებმა, მიპასუხეთ: აი იმ ჭაობის ფრინველებს რატომ აქვთ გრძელი ნისკარტები და ფეხები? ერთი შეხედეთ იმ თევზიყლაპიას, ან იმ პატარა ხეკაკუნას, რომელსაც ქათმის ოდენა ტანი და ერთი ციდა ფეხები აქვს, ხოლო ნისკარტი ქათმის ნისკარტზე ორჯერ დიდი. იმ თეთრ ფრინველსა ხედავთ? ერთ ფეხზე რომ დგას, თითქოს ორკაპა ჯოხზე თეთრი ნაჭერი მოუხვევიათო... აბა მითხარი, მაგისთანა უშნო სიმაღლე რა ჯანდაბად უნდა. მაშ, რატომ კაკაბს ან გნოლს არა აქვთ გრძელი ნისკარტი და ფეხები?—მოხუცმა მედიდურად გადახედა ბავშვებს.

— იმიტომ რომ,—დინჯად უპასუხა არმენმა,—ეგ ფრინველები წყალში შოულობენ საზრდოს: მატლებს, თევზებს, ხავსს. მოკლე ფეხები და მოკლე ნისკარტი რომ ჰქონდეთ, შიმშილით სული ამოსძვრებათ.

— მაშ თქვენ ამბობთ, დარვინი დიდი ჭკუის პატრონი იყო? ერთ უბრალო შეკითხვასაც მივცემ, მაგ თქვენ დარვინს, დე მიპასუხოს!

— გარეული ცხვრის ახლადშობილი კრავი შვიდ-რვა გირვანქას იწონის, რამდენს აიწონის დათვის ახალშობილი ბელი?

— ოცდაათს,—დაუფიქრებლად წამოისროლა გრიქორმა.

მოხუცმა გადაიხარხარა.

— რას იცინი, დათვი განა ხუთჯერ მძიმე არ იქნება ცხვარზე?

— აი საქმე სწორედ მაგაშია, რომ დათვი ხუთჯერ მძიმეა, ხოლო მისი ბელი კი ხუთჯერ პატარაა, ციყვის ოდენა ძლივს გამოვა. სწორედ ამაშია ბუნების საიდუმლოება. დაე ახლა შენმა დარვინმა ამიხსნას, თუ რატომ არის ასე პატარა დათვის ბელი. მერე. ისიც გამაგებინეთ, რა არის მიზეზი, რომ გარეული ცხვრის კრავი ერთიორი საათის შემდეგ ისე გარბის, რომ ვერ დაეწევი, დათვის ბელი, იმ უზარმაზარი ცხოველის შვილი კი, მთელი კვირაობით ბუნაგში წევს, სანამ არ გაიზრდება, ვერც გაიქცევა და ვერც მტრებს დაემალება!

ბიჭები დუმდნენ. დარვინი ხომ თავის მოძღვრებაში ყველა ასეთი „საიდუმლოების“ განმარტებას იძლევა, მაშ რატომ არ იცოდნენ?

— რატომ არის, რომ ასეთი დიდი ნადირი ასე სუსტსა და პატარა ბელს ბადებს?—შეეკითხა არმენი.

— ასეა მაშ, ფლავის ჭამა ხომ არა გგონია, აქ გამოცდილებაა საჭირო, გამოცდილება. ბუნებას,—დარიგების კილოთი განაგრძო მოხუცმა,—ყველა თავის ქმნილებაზე უზრუნია ქინქლიდან დაწყებული დათვამდე; გარეული ცხვრის კრავმა გაქცევა ან დამალვა რომ არ იცოდეს, მაშინვე მგელი ან მელა შეჭამდა, დედას რქებიც კი არა აქვს, რომ თავისი კრავი დაიცვას. დათვს კი აბა რისი ეშინია? ვინ გაბედავს მის ბუნაგში შესვლას, ერთი სცადეთ!

— დარვინი, პაპა, მაგნაირ მოვლენებს სწორედ ასე ხსნის,— მიუგო არმენმა.

— ჰოო!—გაუკვირდა პაპას,—მაშასადამე, ეგ თქვენი დარვინი უბრალო მონადირე ყოფილა და მეტი არაფერი, მაგრამ თქვენ უნდა იცოდეთ, რომ უიმისოდაც ყველაფერს მშვენივრად ვხედავთ და გვესმის.

ცოტა ხნის დუმილის შემდეგ მოხუცმა დარიგების ტონით დაუმატა:

— თქვენს დარვინს თუ უნდა, რომ ბუნების ყველა საიდუმლოება ზედმიწევნით გაიგოს, ჩვენისთანა გამოცდილ მონადირეებს უნდა იწვევდეს და ეკითხებოდეს: „აბა, ბიჭებო, მითხარით, რა ნახეთ ჩვენს მინდორ-ველებში?..“ ბუნების ყველა საიდუმლოების გაგება, ერთი კაცის საქმე როდია!

— თქვენი კამათი მუცელს არ გაგვიძღობს,—ჩაერია გრიქორი,—მოდით ცეცხლი ავანთოთ. გაიხედეთ ერთი რა სამწვადეები მოფრინავენ, პა, პა, პა,—თქვა მან და იხვების გუნდს გადახედა.

გრიქორი ცალ ფეხზე ხტუნვა-ხტუნვით მინდვრისკენ გაქანდა, ხმელი კაკაჭები შეაგროვა და ცეცხლი დაანთო.

— შენ რა, ხომ არ გასულელდი, ამ მზიან ამინდში ცეცხლი რა ჯანაბად გინდა,—შეეკითხა პაპა.

— შემწვარი იხვია ჭამის მადაზე მოვედი, პაპულო,—მიუგო ბიჭმა მოწიწებით და ტიტველ ნიკაპზე, თითქოს წვერი ჰქონოდა, ხელი ჩამოისვა.—პაპა, ნათლიაშენი მუქელის სულის მოსახსენებლად ერთი იხვი მოგვიკალი.

— ბიჭო, ახლა კვერცხია დების დროა, ცოდოა.

— მამალიც ხომ ცოდო არ არის? მამალი მოჰკალი.

— ეი, გიჟო. იმოდენა გუნდში აბა მამალ-დედალს ვინ გაარჩევს? მამალს რომ ვესროლო და დედალს მოხვდეს, მერედა, ცოდო არ არის!

— მონადირე ვარო, ეგ არის შენი შნო და მარიფათი?—მოხუცი მონადირის თავმოყვარეობა შებღალა გრიქორმა.

— კარგი დროა, დავარწმუნოთ!—ჩასჩურჩულა კამომ არმენს.

— პაპა, ხომ დაგვპირდი ნადირობას გასწავლითო?—ჩაერია არმენი,—წავიდეთ სანადიროდ, გაგვაგებინე ნადირობის საიდუმლოება, ეგეც ხომ ბუნების წიგნია?..

ამასობაში კოლმეურნეობის მეთევზეები მოვიდნენ ჩვენს ნაცნობ მწვანე კონცხზე, მონადირის პატარა ქოხთან, აუარებელი თევზის გროვა რომ დაინახეს, ერთმა მათგანმა წამოიძახა:

— აი, თევზაობაც ამას ჰქვია... ვაჰ, წავიც მოგიკლავს? ძია ასატურ, რა მშვენიერი ტყავი აქვს, ალბათ შენ ბებერს უნდა მოახვიო კისერზე, არა?

მოხუცმა შეუბღვირა:

— ცოტა ხანსაც დაგეძინათ, ასე ადრე რა მოგარბენინებდათ, რა კარგი მეთევზეები ხართ! ჩემს ჭალარა წვერს ვფიცავ, თქვენს ამარა რომ იყვნენ, საწყალ მეგუთნეებს შიმშილით ამოხოცავთ.

— პაპა, დაგვაგვიანდა,—ვერ ისვენებდა კამო და თან მიწაზე ფეხებს აბაკუნებდა.

— აბა, ბადე აიღეთ, უკვე დავაკერე, საქმეს შეუდექით, მე ამ ბავშვებს უნდა გავყვე, თორემ ვერ გადავურჩები ამათ... ჰო, ის თევზი მზეში გაფუჭდება, შიგნით შეიტანეთ,—განკარგულება გასცა ასატურმა და გილის ტბისაკენ გასწია.

გრიქორმა კი თავის მეხბორე ამხანაგს უთხრა:

— ყურადღება მიაქციე ხბორებს, სანადიროდ მივდივართ...

გილის ნაპირს რომ მიადგნენ, ასატური შეყოყმანდა:

— თავი დამანებეთ, ბავშვებო, მაგ დაწყეველილ ტბაში შემსვლელი არა ვარ,—უთხრა მოხუცმა.

— მოდი, მოდი,—ერთხმად შესძახეს ბიჭებმა და პატარა ტანის დიდწვერა მოხუცი, თავის საყვარელ ჩამბართან ერთად, ძალით ჩასვეს ნავში და გილის ტბის შუაგულისკენ მოუსვეს.

კვერცხის შემგროვებელი გოგონა ლელიანში

ნავმა წყნარად შესცურა ტბაში. მშიშარა თევზიყლაპიები როგორც კი შორიდან თვალს მოჰკრავდნენ ნავს, უმალვე იმალებოდნენ ლელიანში. იხვები კი, რომლებიც ადამიანებს მიჩვეულები იყვნენ, შორიახლოს უშფოთველად სეირნობდნენ. მაგრამ, როგორც კი მიუახლოვდებოდათ ნავი, სწრაფად აფრინდებოდნენ. ჩამბარი რომ შეხედავდა გაფრენილ იხვებს, პირს ააცმაცუნებდა და თვალს გააყოლებდა ხოლმე. ბატები არსად ჩანდნენ, ისინი უფრო ფრთხილად იქცეოდნენ. მათი ხმა შორიდან, ლელიანის მეორე მხრიდან მოისმოდა: ვინ იცის რომელ კუნძულზე ისხდნენ.

ასატური მონადირის სიხარბით გასცქეროდა ჩასუქებული იხვების გუნდს.

— აი ის მამალია, ბიჭებო,—თითით ანიშნა ასატურმა მწვანე ხავერდოვან კისრიან იხვზე,—ხედავთ, რა ლამაზია?... მზეზე როგორ ბრწყინავს... აბა დააკვირდით, ყოველ თავის გაქნევაზე რარიგ ეცვლება კისრის ფერი.

იხვი ხავსში რაღაცას ქექავდა და ისე იყო გართული, რომ აფრენაზე სულაც არ ფიქრობდა.

— ესროლე, პაპა!—ძალას ატანდა ნადირობის ტრფიალით შეპყრობილი კამო.

არმენი კი ამ დროს გაშტერებული შესცქეროდა ტბის ლივლივს, იგი ღრმა ფიქრებში წასულიყო.

— ნამდვილი მონადირე ფრინველს ააფრენს და ისე ესვრის,— დაარიგა მოხუცმა,—საქმე მარტო მოკვლა კი არ არის, არამედ როგორ მოჰკლავ. აი ისე, კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბაგრატმა შაშხანით გერმანელების თვითმფრინავი რომ ჩამოაგდო. აი ამ მანძილიდან ნისკარტში უნდა დაუმიზნო, რომ პირდაპირ გულში მოხვდეს. შვილო, ყველაფერი ანგარიშის საქმეა. ხშირად თქვენ ასაკში, ასეთ ანგარიშებს ყურადღებას არ აქცევთ და ფრინველთა მთელ გუნდს პირდაპირ შუაგულში უმიზნებთ—„ერთ-ერთს მაინც მოხვდებაო“. ეგ სისულელეა, მაგას არავითარი ანგარიში არა აქვს. რა

გინდ დიდი გუნდი იყოს, მაინც ერთს უნდა დაუმიზნო, დარწმუნებული უნდა იყო, რომ სწორედ ის ერთი შენი იქნება. თუ შენ ილბალზე მეორე ფრინველსაც მოხვდა, უფრო უკეთესია.

სანამ მოხუცი დინჯად ესაუბრებოდა ბიჭებს და ნადირობის წესებს უხსნიდა, თითქოს განგებ, ლელიანიდან იხვების მთელი გუნდი აფრინდა და თავზე გადაუარა მათ. პაპა ასატურმა სწრაფად მოიმარჯვა თოფი და ესროლა. გუნდის წინა რიგიდან ორი მამალი იხვი ტყვიასავით დაეშვა ძირს და ტბაში ტყაპანი მოადინა.

წყლის შხაპუნთან ერთად კუნძულის ლელიანის მეორე მხრიდან, ნაპირთან ახლოს ბავშვის ყვირილი გაისმა.

— ნეტავ ვინ უნდა იყოს იქ?—ყური მიუგდეს გაკვირვებულმა ყმაწვილებმა.

პაპა ასატურმა, არმენმა და გრიქორმა ნიჩბების გაბედული მოსმით გასწიეს იქითკენ, საიდანაც ხმა მოისმა.

კამო კუნძულის მეორე ნაპირზე გავიდა და მოულოდნელად ერთ ადგილზე გაშეშდა. ტბაზე წყნარად ქანაობდა დიდი გობი, შიგ წითელკაბიანი გოგონა იჯდა და ხელში ნიჩაბი ეჭირა.

კამოს დანახვაზე გოგომ გობიდან მოკლული იხვი ამოიღო, მაღლა ასწია და თვალების მოჭუტვით უთხრა:

— შეხედე, წყლიდან ამოვიღე...

— მეორე სადღაა?—შეეკითხა კამო.

— მეორე ძაღლს მოაქვს...

ჩამბარი, რომელსაც იხვი პირში ეჭირა, კუნძულზე გამოვიდა და სველი ტანი გაიფერთხა.

— ჰასმიკ, შენა ხარ?—შესძახა კამომ თავის ნაცნობ გოგონას,— აბა შენი „გემი“ ნაპირთან მოაცურე...

გოგონამ თავისი ერთადერთი ნიჩაბი მოუსვა, „გემი“ ნაპირზე მოაგდო და კუნძულზე გადმოხტა.

ჰასმიკი ფეხშიშველი იყო, მას მუქი წაბლისფერი თმები და ცელქი, მბრწყინავი თვალები ჰქონდა. ერთი ხელი შუბლზე მიეფარებინა და ანცი თვალებით კამოს შესცქეროდა, მეორე ხელში მოკლული იხვი ეჭირა.

კამო ერთ წამს გაშტერებული უყურებდა.

— რა გაყვირებდა?—ჰკითხა ბიჭმა.

— ეს ერთი იხვი კინაღამ თავზე დამეცა... ახლა კი აღარ მეშინიან,—თქვა და გადიხარხარა. ალისფერ ბაგეებს შორის ბროლივით თეთრმა კბილებმა გაუელვეს, გრძელწამწამებიანი თვალები საამურად გაუბრწყინდა.

— მარტო ხარ?—შეეკითხა გოგონა,—სად არის შენი თოფი?—მერე მიბრუნდა, ხელები გაშალა და წამოიძახა:—უჰ, რა მშვენიერია ჩვენი გილი, რა სუფთა ჰაერია... მზის ამოსვლიდან აქა ვარ...

კამომ გახედა გოგონას მიერ მითითებულ მხარეს, სადაც მზის სხივებზე წყალს ლაპლაპი გაჰქონდა და ჰაერი ხარბად შეისუნთქა. დიდ სიამოვნებასა და სიხარულს გრძნობდა იგი ახლა.

ამ თვალწარმტაც აუზში წყლის ათასნაირი ფრინველი, ყველა თავისებურ ენაზე უმღერდა გაზაფხულს.

— ჰო... მართლაც რომ ლამაზია ჩვენი გილი...—გაიმეორა კამომ.

ამ დროს წყლის შხაპუნი მოისმა და კუნძულის ბოლოში ნავი გამოჩნდა.

ჩამბარმა იხვი მიურბენინა პატრონს, ნანადირევი ჩააბარა და გოგონას მახლობლად აიტუზა. პირს მოუსვენრად აცმაცუნებდა, თითქოს რაღაცის თქმა სურდა.

— თუ შეიძლება. ეგ შენი იხვიც მიეცი ძაღლს,—უთხრა კამომ.

— იხვი?... არა, არა, ეს მე დავიჭირე, არ მოგცემ, ჩამბარ,—და იხვი ზურგს უკან ამოიფარა,—კარგი, ნუ წყრები, აჰა, აიღე...

ჩამბარმა დაიწკმუტუნა, იხვი ჩამოართვა და წყალში გაცურა, რომ პატრონისათვის მიეტანა.

ძაღლი ლელიანს მოეფარა.

— წავიდეთ, ჰასმიკ, თორემ პაპაჩემს ეგონება „გველეშაპმა“ გადამყლაპა.

როგორც იქნა ნავი ნაპირთან მივიდა და ყველანი გადმოვიდნენ. არმენი მოკრძალებით მიესალმა ჰასმიკს, გრიქორმა კომიკური სალამი მისცა, მოხუცი მონადირე კი გაოცებული შეჰყურებდა და თან თვალებს ახამხამებდა, შემდეგ იკითხა:

— ვისი გოგონაა ეს?... აქ რა უნდა?..

— დეიდა ანაჰიტას ქალიშვილია.

— რომელი ანაჰიტასი? მეთამბაქოეთა რგოლის ხელმძღვანელის?—შეეკითხა მოხუცი.

— დიახ.

— აქ რას აკეთებ, შვილო? დედაშენმა მარტო როგორ გამოგიშვა?..

გოგონას დამნაშავესავით დაეღუნა თავი და ჩუმჩუმად იღიმებოდა, მოხუცი კი თავისას განაგრძობდა:

— გოგო, შენ რა, ვეფხვის გული ხომ არ გიჭამია? ამ ტბაში მარტო შეისვლება?

ბიჭებმა გაიცინეს, გოგონამ უფრო დაღუნა თავი.

— პაპა ასატური განაგრძობდა გამოძიებას:

— აქ რა საქმეზე მოსულხარ, შვილო?

— კვერცხებს ვეძროვებ.

— რის კვერცხებს?

— იხვის, ბატის, ქათმის, მოკლედ ყველა ფრინველისას, რომელიც არ უნდა იყოს.

ბიჭები დაინტერესა ამ უცნაურმა გოგონამ.

უცებ იგი ასლუკუნდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტად წამოიძახა:

— ია ხულიგანი სეთო კი ქვებს მიშენს, კვერცხებს მიმტვრევს...

— ახლა სად არის, რომ ერთი ჯკუა ვასწავლო!—წამოიძახა მოხუცმა და ხელი ხანჯალზე იტაცა.

— აგერ, ლელიანშია დამალული.—გოგონამ მეორე ნაპირისაკენ მიუთითა.

მოხუცი მონადირე თოფით ხელში დაკუზული გაემართა იქითკენ. ამ დროს ლელიანის მეორე მხრიდან ერთი ბიჭი გამოხტა და მოკურცხლა. მოხუცი წელში გაიმართა და თითით დაემუქრა:

— ამ ბავშვს თავი გაანებე, თორემ წვერსა ვფიცავ, ყურებს შიგ ძირში დაგაჭრი...

მოხუცი უკან დაბრუნდა, ერთ ხანს აღელვებული იყო.

— რაც დედაა, შვილიც ისეთი იქნება... მშიშარა სონა რა არის, იმისი შვილი რა უნდა იყოს... ნათქვამია—რაც ხეა, ნაყოფიც ისეთიაო,—ბუტბუტებდა მოხუცი.

— როდემდე უნდა იყოს ასეთი უწესო... უკანასკნელმა გაფრთხილებამაც არ იმოქმედა, ნამდვილად გამოუსწორებელია ეგ ბიჭი!—ნაღვლიანად წამოიძახა კამომ და ჰასმიკს მიუბრუნდა.

— მაგ კვერცხებს რაა უშვრებით?.. ალბათ ერბოკვერცხს სწვავთ, არა? გარეულ ერბოკვერცხს.

— ნანადირევი ერბოკვერცხი,—სიტყვა გაუსწორა გრიეორმა,—მართლაც გემრიელი უნდა იყოს!

— არა, ერბოკვერცხს არ ვაკეთებთ,—მიამიტად მიუგო გოგონამ,—კრუხს ვუწყობთ, ბარტყები იჩეკება, მერმე და იცით რა ლამაზი, ფუნთუშა ბარტყებია?

ცოტა ხნის დუმილის შემდეგ დაუმატა:

— როცა მამაჩემი ომში იყო, ერთ ხანს ცუდად ვცხოვრობდით, მე და დედაჩემი გარეული იხვის კვერცხებს ვაგროვებდით, მიგვქონდა და კრუხს ვულაგებდით. ისეთი ბარტყები იჩეკებოდა, ისეთი რომ... ძალიან გვშველოდა.

— ცხადია, დაგეხმარებოდათ. შემწვარი იხვის ჭუკი, ჰაი, ჰაი, რომ კარგია,—დაუდასტურა გრიქორმა.

ჰასმიკმა ჩაიცინა.

— როცა გაიზრდებიან, არ გაფრინდებიან?—შეეკითხა არმენი.

— ფრთებს რომ შევაჭრით, როგორ გაფრინდებიან?—კითხვითვე უპასუხა გოგონამ და ბიჭებს ისე გადახედა, თითქოს ამბობდა, „როგორ ვერ ხვდებიან ეს ბიჭებიო“.

— ჰო, ფრთები უეჭველად უნდა შეაჭრათ,—დაუდასტურა მოხუცმა ასატურმა,—თორემ რაგინდ კარგად მოუაროთ, შემოდგომამდე ერთგულნი იქნებიან, ხოლო თოვლი მოვა თუ არა, მშვიდობით ბრძანდებოდეთ, თბილ ქვეყნებისაკენ გასწევენ...

— მათი გუნდი წასული რომ იყოს?—ჰკითხა კამომ.

— სულ ერთია, მაინც წავლენ, მარტო გაფრინდებიან.

— მერე გზას როგორ გაიკვლევენ?

— ინსტინქტით. ბუნებასაც თავისი წესები აქვს,—ამაყად უთხრა მოხუცმა.—ყარყატის კვერცხები რომ კრუხს დაუწყო და გამოჩეკილი ბარტყები დაკეტილში შეინახო, შემოდგომაზე მიეცი თავისუფლება და მთელ ირანსა და ინდოეთს შემოივლიან. მაგათ ეგ ყველაფერი თანდაყოლილი აქვთ, აბა, ერთი შენს დარვინს დაუძახე, ვნახოთ, როგორ ახსნა-განმარტებას მოგვცემს,—ხუმრობით უთხრა მოხუცმა.

ბიჭებმა გაიცინეს.

— მაგრამ ადამიანს შეუძლია ეს ყველაფერი შეცვალოს,—მიუგო „სწავლულმა ბიჭმა“ (ასე უწოდებდა მოხუცი არმენს მისი დაკვირვებულობისა და ჭკუამახვილობის გამო).—საკმარისია გარეული იხვები სოფლებში რამდენიმე წელი ამყოფონ, შინაურ ფრინველებს შეურიონ, ახალი ჩვევები გამოუმუშავონ და სამუდამოდ გადაეჩვევიან თბილ ქვეყნებში გაფრენას.

საუცხოო აზრი

კამო ამ დროს სულ სხვა ფიქრებით იყო გართული. იგი განთქმული იყო თავისი ჭკუამახვილობით, გამოგონებებით. მას ყოველთვის გაბედული აზრები ებადებოდა და ახლაც უცებ საინტერესო იდეა წამოაყენა.

— რატომ არ შეიძლება გარეული ფრინველების ფერმა დავაარსოთ?— მიმართა მან ამხანაგებს.

— როგორ?

— როგორ და უბრალოდ: გილის ლელიანში გარეული ფრინველების კვერცხებს შევაგროვებთ და ინკუბატორით ბარტყებს გამოვჩეკავთ.

— შესანიშნავი აზრია!—გაუხარდა არმენს,—მხოლოდ საჭიროა მასწავლებელ არამ აკოფიანს შევუთანხმოთ. წარმოგიდგენია, როგორ გაუხარდება ყველას სკოლაში.

ჰასმიკს მოეწონა კამოს წინადადება.

— ისეთი ლამაზ-ლამაზი წიწილები დაგიზარდოთ, რომ...—წამოიძახა გოგონამ.

— აბა სად არის შენი შეგროვილი კვერცხები?—შეეკითხა გრიქორი.

— აი იქ, ლელიანში.—მიუთითა ჰასმიკმა.

კამომ სწრაფად მოარბენინა სხვადასხვა ფერის კვერცხებით სავსე კალათა.

— პაპა, შეხედე ერთი, რამდენი კვერცხები მოუგროვებია ჰასმიკს! მერედა, როგორი კვერცხები!...

ჰასმიკი კმაყოფილი იღიმებოდა, ჩამბარიც კი ცნობისმოყვარეობით იხედებოდა კალათაში.

— პა, პა, პა, აი კვერცხიც ამას ჰქვია, რომელი ქათმის კვერცხი გაუძლებს, აბა გასინჯეთ რა მაგარია,—წამოიძახა გრიქორმა და ბატის სქელნაჭუჭიანი თეთრი კვერცხი კბილებზე მიიკაკუნა.

პაპა ასატური ყურადღებით არჩევდა კვერცხებს.

— ესენი მეთოვლიას კვერცხებია, ტყუილ-უბრალოდ აგიკრეფია, ჩემო კარგო.—თქვა მან და ყმაწვილებს უჩვენა ჭრელი, მოწითალო-მოყავისფრო კვერცხები, რომლებიც ქათმის კვერცხის ოდენა იქნებოდა.— აქედან თეთრი, ლამაზი ფრინველები გამოიჩეკება, მაგრამ ისინი მხოლოდ თევზით იკვებებიან. ეს კვერცხები თევზტრესტს გადაეცით. საჩუქარს მიიღებთ. ამ კვერცხიდან გამოჩეკილი თითოეული ფრინველი წელიწადში ორ-სამ ფუთ თევზის ლიფსიტას ყლაპავს. ერთი მეთოვლიას მიერ შეპმული თევზის ლიფსიტები რომ გაიზარდონ, ას ფუთამდე აიწონიან, მაშ რა გგონიათ, სევანის თევზს ეგენი ავლებენ მუსრს, მაგათი კვერცხის შეგროვება ცოდვა არ არის.

— ეს რაღა კვერცხებია, პაპა?—ჰკითხა კამომ და მომწვანო-მონაცრისფრო, მომცრო კვერცხებზე მიუთითა.

— ძალიან კარგი გიქნია, რომ ეგენიც შეგიგროვებია, მაგ კვერცხებიდან თევზიყლაპიები იჩეკებიან. ეგენიც გადაარჩიეთ და თევზტრესტს ჩააბარეთ,—უპასუხა მოხუცმა მონადირემ.

— ვაი, აბა ამას შეხედეთ, სისხლში ამოვლებულს არა ჰგავს, რა ხასხასა წითელია... მოიცა, მოიცა, ამ წითელ კვერცხებს მუქი წინწკლებიც აყრია,—გაოცებით წამოიძახა გრიქორმა.

— არც ეგ კვერცხი იშმევა, ეგეც წითელგული ბატ-ქათამას კვერცხია...

— მყვინთავი ქათმისა?—იკითხა არმენმა.

— არ ვიცი, თქვენებურად რა ქვია, ან თქვენ წიგნებში როგორ არის მოხსენებული, ის კი ვიცი, რომ ამ ფრინველს თევზის სუნი აქვს, მისი ხორცი საჭმელად არ ვარგა. ეგ კვერცხებიც გადაარჩიეთ.

როდესაც მონადირის მიერ ნაჩვენები კვერცხები ამოარჩიეს, კალათაში მოლურჯო-თეთრი ფერის კვერცხებიღა დარჩა, რომლებსაც ცალი მხარე წაწვეტებული ჰქონდა.

პაპა არა მარტო იმას არჩევდა, თუ რომელი ფრინველისა იყო კვერცხი, არამედ იმასაც, თუ ფრინველის რა თვისებაზე ლაპარაკობდა კვერცხის გარეგნობა.

— ბავშვებო, ხედავთ, ბუნებას რა არ გამოუგონია! გარეული ფრინველების კვერცხს მეტ ნაწილს ლერწმისფერი დაჰკრავს, ზოგს წინწკლებიც აყრია, ხოლო შინაური ქათმის კვერცხი კი თეთრია! აბა გამოიცანით რატომ არის ასე!—მედიდურად შეეკითხა მოხუცი ასატური.

ჰასმიკმა ქურდულად გადახედა არმენს და უპასუხა:

— იმიტომ, რომ შინაურ ქათმებს კვერცხების დამალვა არ სჭირდებათ. გარეული ფრინველის კვერცხებს მის ირგვლივ მყოფი გარემოსფერი უნდა ჰქონდეთ, რომ მტრებისაგან შეუმჩნეველი დარჩენ.

— აი, ყოჩაღ,—უპასუხა გახარებულმა ასატურმა.

— ესეც ნამდვილად წითელი იხვის კვერცხი იქნება, შეხედეთ, რამოდენაა!—ჰასმიკის გასაგონად წამოიძახა გრიქორმა და უმალვე ინანა დაუკვირვებელი სიტყვის თქმისათვის.

— ქალაქელმა ბავშვებმა რომ ასეთი გულუბრყვილო რამ თქვან, კიდევ ეპატიებათ. შენ ხომ ყოველდღე ხბორებს მწყემსავ, სულ მინდორში ხარ, ნუთუ არ შეგიმჩნევია, რომ წითელი იხვი ჭაობში არ იკეთებს ბუდეს?—უსაყვედურა პაპა ასატურმა.

—მაშ სად იკეთებს? განა ყველა იხვი გილის ლელიანში არ იჩეკება?—დაინტერესდა კამო.

— აი სწორედ საქმეც ის არის, რომ ყველა იხვი გილის მიდამოებში იკეთებს ბუდეს, წითელი იხვი კი—სხვაგან.

— სად?

— აი, იმ გიჟი მთის ციცაბოებზე.

— კლდის ციცაბოებზე?.. იხვი ციცაბოებზე?.. წყლიდან ასე შორს?—გაუკვირდა არმენს.

ყმაწვილები გაკვირვებული იყვნენ.

— რატომ წყალთან არ იკეთებს ბუდეს, იქ ხომ უფრო ხელსაყრელია? როგორც კი ბარტყი გამოიჩეკება, მაშინვე წყალში შეცურდება... ლელიანში საკვებსაც ბევრს იშოვის, — იკითხა კამომ.

— მე საიდან უნდა ვიცოდე?.. ჩვენ, უსწავლელი ხალხი ვართ, წიგნს არა ვკითხულობთ, აბა მაგდენი საიდან გვეცოდინება, — თავი დაიფასა პაპა ასატურმა. — დაე, თქვენმა მეცნიერებმა თქვან ამაზე, მე რა ვიცი.

— პაპა, წიგნების დამწერი მეცნიერები ამ საკითხზე არაფერს წერენ, ვერ გაურკვევიათ,—კამომ ამხანაგებს ჩუმად ჩაუკრა თვალი; ის განგებ ეფერებოდა თავის პაპას.

— ერიჰა, მაშ ამბობ, რომ მეცნიერებს ეგ საკითხი ვერ გაურკვევიათ?.. ვერც გამოარკვევენ, ასეა, მაშ ხუმრობა ხომ არ არის, სამოცი წელია ფეხები გაცვეთილი მაქვს ამ მთა და ბარში სიარულით... ასეთი ამბები მათ ჩვენისთანა მონადირეებისაგან უნდა გაიგონ... თქვენ უეჭველად იცით, რომ ეს იხვი თავით ფეხამდე წითელი ფერისაა, თანაც ძალზე მშიშარა.

— ვიცით, გვინახავს,—უპასუხა კამომ,—წითელი იხვები ნაპირიდან მუდამ შორს დაცურავენ.

— ყოჩაღ! აი ამ ფრინველმა ყველაზე მეტად იცის, რისაც უნდა ეშინოდეს; თავისი წითელი ფერისა. საითაც არ უნდა მიბრუნდეს, ყოველი მხრიდან ჩანს: წავი, მელა, ტყის კატა, უმალვე შეამჩნევს. ახლა მითხარით, ასეთი ფერის ფრინველს, შეუძლია ოთხი კვირა კრუხად იჯდეს?

— მართალს ამბობ, პაპა, მტრები უცებ დაინახავენ და მოსპობენ,—მიუგო ჰასმიკმა.

— ყოჩაღ! მაშასადამე, ციცაბო კლდეებში რომ არ გაეკეთებინა ბუდე, აქამდე მისი გვარი უკვე ამოწყდებოდა. ხედავთ, შვილებო, თავისი ბარტყების გადასარჩენად სად წასულა?... თუ

გსურთ, თქვენ ფერმაში წითელი იხვის ჯიშიც იყოლიოთ. გიჟ მთაზე უნდა ახვიდეთ, იქ იპოვნით მის კვერცხებს.

— მაშ ფერმას ვაარსებთ, არა?—მოუთმენლად იკითხა კამომ.

— მე მთელ ჩემ შეგროვილ კვერცხებს თქვენ გიტოვებთ,— მორცხვად განაცხადა ჰასმიკმა.

— გმადლობთ, მაგრამ ეს არ კმარა. ჩვენ ნამდვილი, დიდი ფერმა უნდა დავაარსოთ, რამდენიმე ასეული ფრინველით.

— ისეთ სისულელეს ამბობთ, რომ მოხარშულ ქათამსაც გაეცინება... ვის გაუგონია გარეული ფრინველების ფერმა, — ჩაერია ლაპარაკში გრიქორი.

— თუ არ გაუგონიათ, ახლა გაიგონებენ და ნახავენ, — სიტყვა მოუჭრა კამომ. — მაშ, ჩვენი ნორჩი ნატურალისტების წრე რისთვის არსებობს, თუ ახალი რამ არ გააკეთა. აბა ახლა კი საქმეს შევუდგეთ. ჩასხედით ნავში და კვერცხების შესაგროვებლად გავსწიოთ, — შემდეგ თავისი უცნაური აზრით გატაცებულმა განაგრძო: — ჩვენი ფრინველების გუნდებით ყველას გავაკვირვებთ. ვაგონობით გარეულ ბატებს გავგზავნით მოსკოვში — გამოფენაზე. იქ ყველას გაუკვირდება და იკითხავენ ჩვენს ვინაობას... — აღელვებისა და აღტაცებისაგან პირდაპირ სული ეხუთებოდა, თვალებიდან ცეცხლის ნაპერწკლები სცვიოდა. — ვაშა, ვაშა, გაუმარჯოს ჩვენს ფერმას მომავალი ათასეული წიწილებით,— შეჰყვირა კამომ და ნავში ჩახტა.

და, დახტოდა, წკმუტუნებდა, კუდს ათამაშებდა.

კამოს აღფრთოვანებამ ბიჭებიც აღაგზნო. ჩამბარიც გამხიარულდა, დახტოდა, წკმუტუნებდა, კუდს ათამაშებდა.

ამ დროს კვლავ გაისმა უცნაური, საზარელი გრიალი: „ბუყ... ბუყ... ბუყ...“

მოხუცმა ჩუმად პირჯვარი გადაიწერა და შეშინებულმა უკან დაიხია.

— არა, არა, ბიჭებო, ეს ჩემი საქმე არ არის, მე ეშმაკის ტბაში შემსვლელი არა ვარ, — ხელები გაასავსავა პაპა ასატურმა.

ბიჭებს თითქოს ცივი წყალი გადაასხესო, დადუმდნენ და სერიოზული გამომეტყველება მიიღეს.

— მართლაცდა, რა გრიალია, ნუთუ ვერ უნდა გამოვიცნოთ?— წაიბუტბუტა კამომ, მერე ხმამაღლა თქვა:

— ბიჭებო, ეს გრიალი ალბათ სულ უბრალო მიზეზით არის გამოწვეული. ჩვენმა ცრუმორწმუნე წინაპრებმა არ იცოდნენ გრიალის მიზეზი, ამიტომ მუდამ შიშით იყვნენ შეპყრობილნი...

— მიზეზი ცნობილია, — დინჯად წარმოთქვა ასატურმა. — ჩემი ცხონებული ნათლია მუქელი ამბობდა, დევიაო... ჰო, ჰო, ნუ გეცინებათ, ჯოჯოხეთიდან განდევნილი დევიაო...

კამო გაბრაზდა.

— ბოლოს და ბოლოს უნდა გავიგოთ თუ არა გრიალის მიზეზი?—იყვირა მან.—წავიდეთ, ვნახოთ რა არის...

— სად წავიდეთ? — იკითხა არმენმა.

— აბა გავცუროთ იქით, საიდანაც გრიალი ისმის.

— თქვენი ჭირიმეთ, ხელი აიღეთ მაგ სახიფათო განზრახვაზე. ეს ტბა დაწყევლილია, — მოხუცი მონადირე ცდილობდა დაერწმუნებინა თავისი შვილიშვილი, რომლის ძარღვებში, მისი ფიქრით, „მონადირე ასატურის გულადობის და მამაცობის სისხლი ჩქეფდა“...

თვითონ ასატური გულადი კაცი იყო, ახალგაზრდობიდან მოყოლებული იარაღი ხელიდან არ გაუგდია, მისი განუყრელი ამხანაგი ყოფილა. რამდენჯერ, გაშიშვლებული ხანჯლით დათვის ბუნაგში შესულა... მაგრამ, მიუხედავად ამისა, თავის წინაპრებისაგან მემკვიდრეობით გადმოცემული ცრურწმენის ტყვეობაში მოქცეულიყო და ვერას გზით ბუნების აუხსნელ მოვლენებში ვერ გარკვეულიყო.

კამო ამხნევებდა თავის პაპას.

— ვინ იცის, რა უბრალო რამ არის ეს გრიალი, — თქვა მან.

— არა, უბრალო არ არის, კამოჯან. შავი კლდეების ქვეშაც ისმის რაღაც შხუილი. სანამ არ ამეხსნით, არც თქვენ მეცნიერებას დავუჯერებ და არც გილის ჯაგნარში შემოვალ.

— კარგი, ჩვენ წავალთ, შენ აქ ინადირე, — უთხრა კამომ.

კამომ და არმენმა ნავისაკენ გასწიეს.

— შენ რას უცდი, არ გინდა წამოსვლა?—დაუყვირა გრიქორს კამომ.

გრიქორი ნაღვლიანად გამოიყურებოდა.

— მე რომ წამოგყვეთ, ხბორებს ვიღა მოუვლის?.. ხომ მთელი ყანები გადაძოვეს, ვანო მაინც გამოჩენილიყო. იმას ჩავაბარებდი.

— აი ვანოც მოდის სოფლიდან, — მიუგო კამომ და მიუთითა კომბლიან ბიჭზე, რომელიც ბილიკზე მოაბიჯებდა.

— სწორედ ბედზე მოგვისწრო, — ცბიერად გაეღიმა გრიქორს.

— მეც წამიყვანეთ, — სთხოვა ჰასმიკმა, — მე არ მეშინია.

ყველანი ნავში ჩასხდნენ. პაპა აღელვებული იყო. გრიქორმა პაპა ასატურს სთხოვა:

— პაპა, შენი ჭირიმე, სამწვადედ ერთი იხვი მაინც გაგვატანე.

— წაიღე, წაიღე, შენ სულ ჭამაზე ფიქრობ.

იხვს ჩამბარიც გადაჰყვა. ნავი ადგილიდან დაიძრა.

ნაპირზე დარჩენილმა პაპა ასატურმა ფარულად პირჯვარი გადასწერა მათ და რაღაც წაიბუტბუტა.

— ახლა კი ვერავითარი გველეშაპი ვეღარ მოგვეკარება, — იხუმრა გრიქორმა.

ბიჭებმა გაიღიმეს, მაგრამ შიში მაინც შეპარვოდათ გულში.

შიშისა არაფერი ესმოდა მხოლოდ ამ ექსპედიციის მეხუთე წევრს — ჩამბარს. მხიარულად ხტოდა, კუდს აქნევდა, წითელი ენა გადმოეგდო და ისე სასიამოვნოდ წკმუტუნებდა, თითქოს სანადიროდ მიდიოდა.

ბიჭებმა ლერწმით შემოზღუდული, მზისაგან ალაპლაპებული ტბა რომ დაინახეს, კარგ ხასიათზე დადგნენ, თანდათან გამხიარულდნენ და არმენის მიერ დაწერილი და სასიმღეროდ დამუშავებული ლეკვანელი ნორჩი ნატურალისტების „ჰიმნიც“ კი წამოიწყეს:

რა იდუმალი და უცნაური
ხარ მშობლიურო გილი!
ხმა გაქვს: ხან მძაფრი ქარიშხალისა,
ხან ნანასავით ტკბილი.

მაგრამ ჩვენ, მამაც კომკავშირელებს
ეგ ხმა გვაშინებს განა?
ნიადაგ მზად ვართ მქუხარე ზვირთთა
ამოვხსნათ გამოცანა!

რატომ ბობოქრობ? ან რა გწადია?
შენ თვითონ გვითხარ, გილი,
ნეტავ რომელი ჯადოქარია,
რომ დაგირღვია ძილი?

ჩვენ წინ მივცურავთ და მივიჩქარით,
მზეზე ნიჩბები ბრწყინავს;
შიში? არ ვიცით და არ გვცოდნია
არც ახლა და არც წინათ!

ბიჭები მხნედ უსვამდნენ ნიჩბებს და სიმღერით აყრუებდნენ არემარეს, წვერიან ასატურს კი თოფი გულზე მიეხუტებინა და შათ გზას გასცქეროდა, თანაც ბუტბუტებდა:

— ბავშვები კი არა, ნამდვილი ლომის ლეკვები არიან, მე და ჩემმა ღმერთმა...

ასატურს მოსწონდა ბიჭების გამბედაობა და ბუნებისადმი შათი სიყვარული. ის ხომ ნამდვილი მონადირე იყო?...

საიდუმლო ჯბის სიღრმეში

შუადღე მოახლოებული იყო. აიწემნასარის გრილმა ნიავმა დაუბერა და ლერწმები ააშრიალა, ტბის ზედაპირი მოიღუშა.

კამო და გრიქორი ნიჩბებს უსვამდნენ, ნავის წვერზე ჩამომჯდარი არმენი კი ანკარა წყალს დასცქეროდა და ფიქრებს მისცეშოდა.

— არმენ, რუკას დახედე, — უთხრა კამომ, — უმაგისოდ გზა აგვებნევა, გილის იმდენი აუზები აქვს, რომ კაცი ვერ დაითვლის, თანაც ყველა ერთმანეთს ჰგავს... ეი, ამხანაგო პოეტო, ბუნების სიკეკლუცემ არ გაგიტაცოს და ადგილების მონიშვნა არ დაგავიწყდეს, თორემ გზა დაგვებნევა და რუკაც ვეღარაფერს გვიშველის... გრიქორ, ნიჩაბს ძალას ნუ ატან...

არმენმა რუკა მუხლებზე გაიშალა, თან შიგ იცქირებოდა და თან ნავის საჭეს მართავდა.

აუზი, რომელზედაც ნავი დაცურავდა, ნახევარი კილომეტრის სიგრძე-სიგანისა ძლივს იქნებოდა. უცხო კაცს ეგონებოდა, გილი ამით თავდებაო. მაგრამ ასე როდი იყო. ეს აუზი ერთ-ერთია გილის მრავალრიცხოვან აუზთა შორის. აი, უკვე ნავი აუზის მეორე ნაპირზე მისცურავს, ლელიანის იქიდან ისმის წყლის ფრინველთა ყივყივი, ფრთების ტყლაშუნი და წყლის შხაპუნი...

ნავი მისრიალებდა ლელიანის მაღალი „კედლის“ გასწვრივ. ამ „კედელში“ რაღაც გასავლელი გამოჩნდა. კამომ ნავი იქით შიაბრუნა და „სრუტეში“ შევიდა. „სრუტეს“ ორივე მხრიდან მა-

ღალი ლერწმები ჩრდილავდნენ და ამიტომაც აქ წყალს ტყვიისფერი იერი დაჰკრავდა.

ბიჭებმა გასცურეს „სრუტე“, მაგრამ ლერწმის მეტი ვერაფერი ნახეს.

მოულოდნელად მათ თვალწინ გადაიშალა ლერწმების გალავნით შემოვლებული ახალი ტბა, შედარებით უფრო მომცრო, მაგრამ მზიანი, მბრწყინავი და მომღიმარი.

იქ მყოფმა აუარებელმა ბატებმა და იხვებმა ნავი რომ დაინახეს, დაფრთხნენ და „ღა-ღა-ღა“-ს ძახილით ჰაერში აფრინდნენ.

ჩამბარი უცებ წამოხტა, მაგრამ ძალზე გაოცდა, როცა თოფის ხმა ვერ გაიგონა.

აუზის შუაგულში ლერწმით დაფარული პაწაწინა „კუნძული“ გამოჩნდა, რომელზეც ერთი კარავი ძლივს მოთავსდებოდა. „კუნძულზე“ და ტბის ირგვლივ ძველ, გამხმარ ლერწმებთან ერთად მწვანე ხასხასა ლერწმები აშოლტილიყვნენ.

არმენი თითქოს სიზმარშიაო, ისე უმზერდა ტბას და სიამოვნებით ტკბებოდა...

ნავმა დინჯად შემოუარა კუნძულს. რომელიღაც ცხოველმა, მზეზე რომ თბებოდა, წყალში ისკუპა და უმალვე ჩაყვინთა. ეს ალბათ, წავი იყო.

— პაპაჩემის თოფი მქონოდა, მე შენ გიჩვენებდი სეირს, — სინანულით წამოიძახა კამომ.

ნავი მიცურავდა ტბის ლელიანის გასწვრივ, არსაით გასავალი არ ჩანდა.

— უკან მოვაბრუნო? — იკითხა გრიქორმა.

— აფსუს, როგორ მინდოდა მოგზაურობა... ახლა უკან უნდა დავბრუნდეთ? — გაბუტული ბავშვივით უკმაყოფილოდ წამოიძახა ჰასმიკმა.

— რატომ?... შენ გგონია გილი გათავდა? — უპასუხა არმენმა და რუკა მოიმარჯვა. მან აუხსნა, რომ ეს მხოლოდ ერთ-ერთი აუზია, ნამდვილი ტბა კი ახლა იწყებაო.—აბა დააკვირდი, რამდენი ასეთი აუზისაგან შედგება გილი.

მერე გრიქორს მიუბრუნდა და უთხრა:

— განაგრძე ნიჩბის ნაპირ-ნაპირ მოსმა, რუკის მიხედვით ამ აუზს აღმოსავლეთით სხვა აუზისაკენ უნდა ჰქონდეს გასასვლელი. საით მიხვალ, აი ამ მიმართულებით გასწი, გასასვლელი აქ უნდა იყოს.

ჭაბუკებმა რუკაზე ნაჩვენები მიმართულებით წაიყვანეს ნავი და უცებ ლელიანში ისეთ ვიწრო სრუტეს მიადგნენ, რომ ნავი პირდაპირ ლერწმებს ედებოდა. აქ უკვე ნიჩბების მოსმა შეუძლებელი იყო.

ბიჭები დაიბნენ.

— უკან დავბრუნდეთ, — ურჩია ჰასმიკმა, როცა ლერწმის იქით ბნელი გვირაბივით რაღაც შეამჩნია.

— რა უბრალო რამეზე გიტყდებათ გული, — გაბრაზდა კამო, წამოდგა, ნავის შუაგულში დადგა და ცალი ხელით დაიწყო ნიჩბის მოსმა.

ლელიანის გასასვლელი ისე შევიწროვდა, რომ ნიჩბის მოსმა უკვე შეუძლებელი გახდა.

შეფიქრიანებული კამო ნავში ჩაჯდა.

— ეს კარგია, ახლა უფრო სწრაფად შეიძლება წინ წავიდეთ, — თქვა არმენმა, — აბა ყველამ ლერწმებს წაავლეთ ხელი და თქვენსკენ მოსწიეთ, აი ასე.

კამო და გრიქორი ნავის ორივე მხრიდან ეჭიდებოდნენ ლერწამს და თავიანთკენ ეწეოდნენ. ნავი წყნარად მისრიალებდა წინ და ლელიანის გვირაბში შეჰყავდა ყმაწვილები.

ჭაბუკებს გული აუჩქროლდათ, ნეტა ამ საიდუმლო გვირაბს საით მიჰყავდა ისინი?

მაგრამ, როცა უცებ მზით გაბრწყინებულ სხვა ტბაში მოხვდნენ, გულზე მოეშვათ, დამშვიდდნენ.

— უჰ, რა საამური ტბაა. რამდენი ფრინველია აქ, — წამოიყვირა ჰასმიკმა.

— მართლაც კარგი შესაჭმელები არიან, — მაშინვე გაეხმაურა გრიქორი.

ამ მშვენიერ ტბაზე იმდენი ფრინველი აღმოჩნდა, რომ ჭაბუკების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ჩამბარიც კი ვეღარ ითმენდა, სულ ხტოდა და ცქმუტავდა, წყალში გადახტომას ლამობდა.

— ერთი შეხედეთ, შეხედეთ, რამდენი ბატებია?—ხელით უჩვენებდა ჰასმიკი.

გარეული ბატების ერთი გუნდი აუზის მეორე ნაპირისკენ გაეშურა. მოკლეკუდიანები და მრგვალტანიანი ზღვის იხვები კი, რომლებიც შორეულ სამხრეთიდან მოფრენილიყვნენ და ამ მშვენიერ ადგილზე ისვენებდნენ, რათა კვლავ ჩრდილოეთისკენ გაეგრძელებინათ გზა, ნავის დანახვაზე აფორიაქდნენ, დაფრთხნენ და სწრაფად მიიმალნენ. სანამ გილის ტბამდე მოფრინდებოდნენ, ვინ იცის, რამდენი უბედურება გამოიარეს, ალბათ ამიტომ იყვნენ ადგილობრივ იხვებზე უფრო მშიშარები და ფრთხილნი.

— რა კარგია, რა მშვენიერია, — იცინოდა ჰასმიკი.

ზღაპრულ ქალაქში

გაიარეს კიდევ ერთი ახალი სრუტე და ნავმა ისინი ახალ სამყაროში გამოიყვანა, იქიდან ახალ აუზში მოხვდნენ. შემდეგ გამოჩნდა ისევ სრუტე, ისევ ახალი აუზი, რომლებიც მწვანე და ყვითელი ლერწმებით იყო შემოფარგლული. ყველგან ხვდებოდათ აუარებელი კუნძულები, სადაც ამ სამყაროს ფრინველები კვერცხს დებენ და ბარტყებს ამრავლებენ.

ტბა ალაგ-ალაგ დიდ ქალაქს წააგავდა. სრუტეები ქუჩებივით გრძელდებოდა, ზოგან ერთი მეორეს სერავდა და აუზ-მოედნებად იქცეოდა. ხანდახან წყლის „ქუჩებიდან“ რომელიმე უცებ შეწყდე-

ბოდა და ნავი ჩიხში ექცეოდა. ამ შემთხვევაში ბიჭები იძულებული იყვნენ უკან გაბრუნებულიყვნენ. ზოგჯერ კი სრუტეები ქალაქის ქუჩებივით გადაჯვარედინდებოდნენ. ბოლოს ეს „ქუჩები“, „შესახვევები“, „ჩიხები“, ერთმანეთს უერთდებოდნენ ტბის განიერ, ნათელ, მზისგან გაბრწყინებულ „ცენტრალურ პროსპექტთან“, საიდანაც მსოფლიოში ყველაზე მოკლე მდინარის, სევანის შენაკადის სათავეა.

— თითქოს ზღაპრული ქალაქიაო, ერთი შეხედე, კამო, ეს ხომ ნამდვილი ძეგლია, მოედნის შუაგულში აღმართული, — მიუთითა ჰასმიკმა მოედნის ცენტრში აქოჩრილ ლერწამზე. — აქეთ კი „ფეხბურთის მოედანია“....

ერთ ალაგას ლერწმებს ძალზე აეყარათ ტანი, ერთმანეთს გადახვეოდნენ და, წყალზე დაზნექილნი, მზის სხივებზე ისე ლაპლაპებდნენ, გეგონებოდათ, მარმარილოთი ნაგები სასახლეაო.

— აბა, დააკვირდით ამ აქოჩრილ ლერწამს, ნამდვილი ქალაქის ციხე-სიმაგრეს არ მოგაგონებთ? აი, ესეც კოშკები... ისიც გალავნები... ზღაპრულ ქალაქში მოვხვდით, არა, კამო? წყლის ლურჯქუჩებიან ყვითელ ქალაქში! — განაგრძობდა ჰასმიკი.

— დიახ, ჩვენ საოცარ ადგილას მოვხვდით, — მიუგო არმენმა, — ეს გილის ერთ-ერთი ყველაზე ყრუ აუზია. აქაურობას ალბათ არასოდეს კაცის ფეხი არ მიჰკარებია. უყურეთ, იმ წყლის ხვეულში რამდენი წყლის ქათამია? ხედავთ, როგორ არ გვერიდებიან... როგორ შემოგვცქერიან... მოითმინეთ, გადავიღოთ... ნიჩბები დაყარეთ...

ნავმა სვლა შეანელა, არმენმა ფოტოაპარატით წყლის ქათმების მთელი გუნდი გადაიღო... ნავი რომ დაინახეს, ქათმებს შეეშინდათ და ერთ კუთხეში მიიყუჟენ.

— მე რომ ძეგლი გიჩვენე, ისიც გადაიღე, არმენ, — შეეხვეწა ჰასმიკი. — აგერ ის ციხეც თავისი კოშკებით.

ექსპედიციის ყველა წევრი მხიარულ გუნებაზე იყო, გარდა ჩამბარისა. მას ვერ გაეგო, რატომ თოფს არ ისროდნენ მისი თანამგზავრები. ერთი მისი პატრონი აქ ყოფილიყო... ალბათ ჩამბარს მონადირე ასატური აგონდებოდა, ცქმუტავდა, ჰყეფდა, ერთ ადგილას მოუსვენრად ტრიალებდა.

— ხომ არ გადავიდეთ ამ კუნძულზე კვერცხების მოსაგროვებლად? — შეეკითხა არმენი კამოს, თან ჰასმიკს გადახედა და

შერცხვა თავისი წინადადებისა, ვინ იცის, იფიქრონ, არავენს წინ წასვლის ეშინიაო.

— რა დროს კვერცხის შეგროვებაა, — გაბრაზდა კამო. — კვერცხის შეგროვებას მოვესწრებით, ახლა უნდა წავიდეთ და გამოვარკვიოთ გრიალის მიზეზი.

— შენ რა სულელი მნახე, კვერცხებს თავი გავანებო და გველეშაპს პირში ჩავუვარდე?—იხუმრა გრიქორმა, მერე სერიოზული გამომეტყველებით დაუმატა: — საით წავიდეთ? აბა, მიმითითე საითკენ, პირდაპირ გველეშაპისკენ?

აი უკვე რამდენიმე საათია გილის ლაბირინთში დაცურავენ და გრიალი კი ერთხელაც არ გაუგონიათ.

— იქნებ გრიალის ადგილი გავიარეთ, — თქვა არმენმა. — ჩემის აზრით, წინ წასვლას არავითარი აზრი არა აქვს. გადავიდეთ ამ კუნძულზე, კვერცხები მოვაგროვოთ და დავუცადოთ საიდან მოვა გრიალის ხმა.

მიუხედავად იმისა, რომ კამოს მოთმინება არ ყოფნიდა, იძულებული გახდა დათანხმებულიყო.

მეოცეული კუნძული

ნავი კუნძულთან შეჩერდა. ბიჭები ნაპირზე ფრთხილად გადავიდნენ, გოგონაც გადაიყვანეს. ჩამბარი გადახტა თუ არა, მაშინვე ყნოსვით ლერწმიანის დაზვერვას შეუდგა.

ნავი ლერწმებში გამოაბეს, თვითონ კი ძაღლის კვალს გაჰყენენ.

სიარულის დროს კუნძული ფეხქვეშ ირყეოდა, თითქოს ტივზე დადიანო. როგორც ჩანდა, კუნძულის ქვეშ ჭაობი უნდა ყოფილიყო.

ბიჭები გაოცდნენ, თანაც, ცოტა არ იყოს, შეშინებულები შეჩერდნენ.

— რა საოცარი კუნძულია?... — თქვა კამომ, — გრიქორ, მომეცი ერთი ნიჩაბი!

კამომ ნიჩაბს დანით ბოლო წაუმახვა და იმ ადგილას ამოჩიჩქნა, სადაც თვითონ იდგა. იქიდან წყალმა ამოხეთქა, მთელი კუნძული ერთმანეთზე გადახლართული ლერწმის ფესვებისგან შედგებოდა, სადაც კი არ ჩაყო ნიჩაბი, ყველგან წყალი იყო...

— აი, საინტერესო ამბავი, უმიწო კუნძული!—წამოიძახა კამომ.

არმენს დაეჩოქა და ამოღრუტნულ ალაგს ათვალიერებდა.

— ეს კუნძული ლერწმის ფესვებისგან დაწნულ ტივსა ჰგავს,—საბოლოოდ დაასკვნა არმენმა.

— კარგი, მაგრამ ლერწამი როგორ საზრდოობს? — შეეკითხა კამო.

— წყალში არსებული ნივთიერებებით. აბა, დააკვირდი, კამო, რამდენი დამპალი ხავსი, ლერწამი და ფოთლებია... უცნაური კუნძულია, არა?..

— მაშ ჩვენ მიწაზე არ ვდგევართ?..

ჰასმიკი გაოცებული და დაბნეული ხან კამოს შესცქეროდა, ხან არმენს.

ჩვენმა ნორჩმა ნატურალისტებმა კუნძულის ყურადღებით დათვალიერების შემდეგ დაასკვნეს, რომ ასეული წლების მანძილზე ლერწმებს ერთი მეორეზე გადახლართვით, აქა-იქ პატარ-პატარა კუნძულები შეუქმნიათ. ასეთ კუნძულებზე ამოსული მცენარეები, რომელთა ფესვები ერთი მეორეზე მჭიდროდ იხლართებიან, უმკლავდებიან ყოველგვარ ქარიშხალს, ტბის ტალღებს, ცოცხლობენ, იზრდებიან და შთამომავლობასაც იძლევიან. ძველები ხმეშიან, მათ ქარი და სეტყვა ანადგურებს, შემდეგ წყალში ლპებიან და თავიანთი მომავალი თაობისათვის ჭაობში ახლად აღმოცენებული მცენარეების საკვებად იქცევიან...

— მაშ თუ ქვეშ წყალია, ეს კუნძული რატომ არ ცურავს?— გულუბრყვილოდ იკითხა გრიქორმა.

— ჩემი აზრით, ერთმანეთზე გადახლართული ფესვები ტბის ფსკერამდეა ჩასული და ღუზასავით ლამშია ჩასობილი, კუნძული ნავივით ღუზაზე დგას, — თქვა არმენმა.

კამომ, რომელიც ყველაზე უფრო გამჭრიახი გონების პატრონი იყო, არმენის მოსაზრებას ასეთი დასკვნა გაუკეთა:

— შესაძლოა, დიდი ღელვის დროს, ღუზა უცბად მოწყდეს ლამს, მაშინ კუნძული მთელი თავისი მობინადრეებით გილის მდინარით გასწევს სევანის ტბისაკენ...

იმ შორეულ კუნძულზე, სადაც საეჭვოა, რომ ჩვენს ჭაბუკებამდე ვინმეს ფეხი დაედგა, აუარებელ წყლის ფრინველს ბაეკეთებინა ბუდე.

— აბა, წამოდით, კვერცხები შევაგროვოთ, — განკარგულება გასცა კამომ. — საშიში არაფერია, რამდენიც უნდა, იმდენი იქანაოს.

ნორჩი ნატურალისტები აქეთ-იქით წავიდ-წამოვიდნენ.

— ბიჭებო, რამხელა კვერცხები ვიპოვე, თითო ბავშვის თავის ტოლაა, — უცებ წამოიძახა გრიქორმა, ბატის კვერცხი ბუდიდან ამოიღო და ამხანაგებს უჩვენა.

— ერთი მიჩვენე, ვნახო, უჰ, რა მაგარია, — შესძახა კამომ, როცა კვერცხი კბილებზე მიიკაკუნა.

ყმაწვილები ცნობისმოყვარეობით შემოეხვივნენ ბატის უზარმაზარ ბუდეს, რომელიც დამტვრეული ლერწმებისაგან, ფოთლებისა და ხმელი ბალახებისაგან იყო გაკეთებული. დედა ბატს მთელი ეს „საშენი“ მასალა დაემსხვრია, ერთ ალაგას მოეგროვებინა, ჩაეღრმავებინა და იმ სიღრმეში თავისი ბუმბულისაგან მომავალი თაობისათვის რბილი ლოგინი გაემზადებინა.

ბატის ბუდის ამოცარიელების შემდეგ ბიჭები წინ წავიდნენ.

— მოითმინეთ, ასე არ შეიძლება, — თქვა კამომ, — ნავში რბილი ადგილი უნდა მოვამზადოთ, თორემ კვერცხები გადატანის დროს დაგვემტვრევა.

— მოდი ბატის ბუდე წავიღოთ, — თქვა არმენმა.

— მართლაც რომ კარგი იქნება, ბუდე კალათზე რბილი და უვნებელია...

ისინი უკანვე გაბრუნდნენ, ბატის ბუდე ძირიანად მოაძრეს, წაიღეს და ნავში ჩადეს. მათ კიდევ რამდენიმე ბუდე იპოვეს და კვერცხებიანად ნავზე გადაიტანეს.

— გრიქორ, ფრთხილად იყავ, კვერცხებს არ დაეცე.

— წავიდეთ, ჩამბარი იყეფება, ალბათ რამე აღმოაჩინა.

ნადირობის სურვილით აღგზნებული ჩამბარი გაფაციცებით ზვერავდა ჯაგნარებს, გაწოლილი მიცოცავდა ვიწრო ბილიკებით, რომლებიც აქაურ ნავებს გაეკრათ ლელიანში.

ძაღლმა ბევრი ბუდე აღმოაჩინა. როცა ნახა, რომ ამით დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა პატრონებს, რომლებიც აქებდნენ და ეალერსებოდნენ უფრო მეტი მონდომებით დაიწყო ბუდეების ძებნა. მისი დახმარებით ყმაწვილებმა აუარებელი კვერცხი შეაგროვეს.

ერთი აურზაური და მხიარულება იყო კუნძულზე. თითოეული, როგორც კი ბუდეს მიაგნებდა, გახარებული წამოიკივლებდა: ბუდე ვიპოვე, ბუდე ვიპოვე, მოდით და ნახეთო.

არმენი უცებ ბუდეში მჯდომ ბატს წააწყდა. საშიშროება რომ იგრძნო ბატმა, კისერი წაიგრძელა; ყოყმანობდა, დარჩენილიყო,

თუ აფრენილიყო. ცოტა მოშორებით კორტოხზე მამალი ბატი იდგა, კისერმოღერებული და თავის მეგობარს დარაჯობდა. არმენის დანახვაზე ნისკარტი წინ გაიშვირა და მუქარით გველივით დაისისინა, ისე რომ კამომ უკანაც კი დაიხია. მერე მეგობრის გასაფრთხილებლად ერთი საზარლად შესჭყივლა და გაფრინდა. უპატრონოდ დარჩენილი დედალი ბატიც უმალვე უკან დაედევნა.

— ხელი არ ახლო კვერცხებს, მოითმინე, შევამოწმო, — მოესმა უკნიდან ჰასმიკის ხმა.

ჰასმიკი ბუდეს მიუახლოვდა და ზედ დაიხარა. გრიქორმაც მიირბინა.

— რაღა უნდა შეამოწმო, წავიღოთ, — იწყინა გრიქორმა.

— არა, ჩვენ ყველა კვერცხს ვერ წავიღებთ, — შენიშნა ჰასმიკმა. — ფრინველი თუ კრუხად ზის, იმისი კვერცხების წაღება არ შეიძლება, სანამ სოფელში ჩავიტანთ, გაცივდება და გაფუჭდება. ჩვენ მხოლოდ ახალი კვერცხები უნდა წავიღოთ.

— მერე როგორ გავარჩიოთ რომელია ახალი და რომელი ძველი, — იკითხა კამომ.

„როგორ ვერ ხვდებიან ეს ბიჭები“, — გაიფიქრა ჰასმიკმა.

— აი, მაგალითად, ესენი ახლებია, — უთხრა მან და ბუდეში ნადები კვერცხები უჩვენა.

— მაგრამ მაგ კვერცხებზე კრუხად იჯდა ბატი! — უთხრა არმენმა.

— ყოვლად შეუძლებელია. ალბათ კვერცხს დებდა. აჰა, ნახე, აბა გასინჯე, კვერცხი ჯერ თბილია, ლოყაზე მიიდე, მიუგო ჰასმიკმა და ახლადდადებული კვერცხი ხელში მიაჩეჩა.

— შენ ეს მითხარი, რით მიხვდი, რომ კვერცხები ახალია? — შეეკითხა განცვიფრებული კამო.

— კვერცხების რაოდენობით, აი დაითვალე, ბუდეში ოთხი კვერცხია, გარეული ბატი კი თოთხმეტამდე კვერცხსა დებს და მერე კრუხდება. ოთხ კვერცხზე ის კრუხად არასოდეს არ დაჯდება. ეს მე და დედაჩემმა პრაქტიკიდან კარგად ვიცით... ბუდეში რომ ექვსი-შვიდი კვერცხი ნახოთ, უყოყმანოდ აიღეთ. უსათუოდ ახლები იქნება.

— რა ჭკვიანი გოგო ყოფილხარ, — დაცინვით უთხრა გრიქორმა. — კარგი და, იხვის კვერცხის სიახლე როგორღა გავიგოთ?

— იხვი შედარებით უფრო მეტ კვერცხს დებს, მგონი თექვსმეტამდე.

ჰასმიკისაგან ასეთი ახსნა-განმარტების მიღების შემდეგ ისინი ჯვლავ საქმეს შეუდგნენ.

— ჭრელი კვერცხებიც ვიპოვე, ნეტა რის კვერცხებია, ბიჭებო? — მოისმა გრიქორის ხმა.

გრიქორი წყლით სავსე ერთ ორმოსთან იდგა, რომლის შუაგულში ლერწმებისაგან მოწნული დიდი ბუდე იყო. რამდენადაც გარედან ულამაზო სჩანდა ეს ბუდე, იმდენად შიგნიდან ლამაზი, ქოხტა და ფაფუკი იყო. კვერცხები მზრუნველობით იყო ჩალაგებული ბუმბულში.

ჰასმიკი მიუახლოვდა, ყურადღებით დააკვირდა და თავისი აზრი გამოთქვა:

— წყლის ქათმისაა.

არმენი ქუდში ჩალაგებული მომწვანო-მოლურჯო წოწოლა კვერცხებით მიუახლოვდა ჰასმიკს.

— ესენი?

— ცხადია, ეგ იხვის კვერცხებია... რა გვიან ხვდებიან ეს ბიჭები. ვერ ხედავ, ნამდვილი შინაური იხვის კვერცხსა ჰგავს. შეხედე, ესეც მისი ბუდეა, ხედავ, რა მშრალ ალაგზეა აშენებული, — მიუთითა ჰასმიკმა ერთ ცარიელ ბუდეზე. — აი, იქით მიიხედე, ის კი წყლის ქათმის ბუდეა, თითქმის წყალშია მოთავსებული. კამო, ერთი ეგ ძველი ბუდე წყლიდან ამოიღე, შევისწავლოთ.

კამომ ამოაძრო წყლის ქათმის ბუდე. ისიც ლერწმისგან იყო გაკეთებული, შიგნიდან ბუმბული რომ მოაძრეს, ბიჭებმა ნახეს, რომ ბუდე ფრინველის სკინტლით იყო გამოლესილი.

— ეს იმიტომ, რომ წყალი არ შევიდეს, ხედავთ? მაშ, იხვი რატომ არ ლესავს თავის ბუდეს? იმიტომ, რომ იხვი მშრალ ალაგზე იკეთებს ბუდეს. საჭიროა ყველაფერი ეს იცოდეთ, — დარიგების ტონით მიუგო ჰასმიკმა.

არმენმა შეხედა და გაიღიმა.

— ეს ყველაფერი საიდან იცი?

— რომ დაინტერესდე, შენც გეცოდინება.

ფრინველები მოუსვენრად ჭყიოდნენ, აქეთ-იქით ეხეთქებოდნენ, შველას თხოულობდნენ, ჭაბუკები კი მხიარული ყიჟინით აგროვებდნენ კვერცხებს და ნავში სცლიდნენ. მარტო ჰასმიკი ხანდახან თავის ქნევით ამბობდა: „საწყალი დედები“.

კამო კი ანუგეშებდა მას:

— მტაცებლებისაგან ვიცავთ...

— გველი, გველი, — უეცრად გაისმა გრიქორის ხმა. შეშინებულმა უკან დაიხია: ლერწმების ქვემოდან წყვილი თვალი პირდაპირ მას შესცქეროდა.

შეშინებული ჰასმიკი მიუახლოვდა, მერე შეხედა და გაიცინა.

— რა ვაჟკაცი ყოფილხარ? ეგ ხომ იხვია, კრუხად ზის... კვერცხების მიტოვება არ სურს, გამოეცალე!

ისინი ფრთხილად გამობრუნდნენ.

— ერთხელ, მეც შენსავით შემეშინდა. ბუდეში ჩაფლული იხვის თავი და კისერი ძალიან წააგავს გველის თავს... როცა კისერს გაანძრევს, გეგონება გველიაო, — ჩურჩულით უთხრა ჰასმიკმა.

— სად არის? მოითმინეთ, გადავიღო, — წამოიძახა არმენმა.

აპარატის ჩხაკუნზე, თუ იმიტომ, რომ ბიჭები აღარ შორდებოდნენ, იხვი იძულებული გახდა გაფრენილიყო.

მაგრამ როგორც კი ბიჭები იმ ადგილს გაშორდნენ, ჰაერში კვლავ გაისმა ფრთების ტყლაშუნი და იხვი უმალვე დაუბრუნდა თავის ბუდეს, რომ კვერცხები არ გასციებოდა...

ჩამბარი დაზვერვას აგრძელებდა და როგორც კი ახალ ბუდეს აღმოაჩენდა, მაშინვე ყეფას ასტეხდა.

ერთხელ კამომ ძაღლთან მიირბინა, დაკვირვებით მიმოიხედა ირგვლივ, მაგრამ გარდა დამტვრეულ-დაქუცმაცებული ლერწმის შტოებისა ვერაფერი შეამჩნია.

როდესაც მან უკან გაბრუნება დააპირა, ჩამბარმა გზა გადაუჭრა და გაბრაზებით დაუწყო ყეფა.

— ხომ არ გაგიჟებულხარ, ჩამბარ, რა გინდა? — შეუტია ბიჭმა და ფეხი გადადგა წასასვლელად, მაგრამ ჩამბარი გზას არ უთმობდა.

მაშინ ბიჭი იძულებული გახდა უკან მობრუნებულიყო. ძაღლის მიერ ნაჩვენებ ადგილს ჩხრეკა დაუწყო, დაქუცმაცებულ ლერწმის ქვეშ ბუმბული შეამჩნია, როცა ბუმბული გაქექა, ბიჭს პირზე ღიმილი მოადგა, ბუდეში ბატის მომწვანო-თეთრი კვერცხები ელაგა, დედაბატს ბუმბული დაეფარებინა, რომ კვერცხები არავის ენახა, თვითონ კი საჭმლის საძიებლად წასულიყო.

როცა კამომ ბუდიდან კვერცხი ამოიღო, ჩამბარმა სიხარულისაგან კუდი აათამაშა.

კუნძულის დაწვრილებით დაზვერვისა და გაჩხრეკის შემდეგ ნორჩ ნატურალისტთა ჯგუფი ნავში მოთავსდა და გასცურა.

აქედან ისინი სხვა კუნძულს მიადგნენ, იქაც გულმოდგინედ შიჰყვეს ხელი კვერცხების შეგროვებას.

— ბიჭებო, რას ფიქრობთ, არაფერი უნდა ვჭამოთ? — შეეკითხა მოთმინებიდან გამოსული გრიქორი.

— მართლა, მეც მშია, რა ვჭამოთ? — გამოეხმაურა კამო.

— რა და... გარეული ერბოკვერცხი.

— ეგ კი შეიძლება, — დაეთანხმა არმენი. — ბაგრამ არც ტაფა გვაქვს, არც ერბო, მოდით უბრალოდ ვედროში მოვხარშოთ.

— მერე ცეცხლი?

— აი ტირიფის ჩირგვი, — მიუთითა ჰასმიკმა.

ბიჭები მიუახლოვდნენ ლერწმებში ჩახვეულ ჩირგვს.

— ალბათ, ამის ფესვებს ეყრდნობა მთელი ეს კუნძული, — თქვა არმენმა, — არა, ლერწმის ფესვები ფსკერამდე რომ არ აღწევს, ფერზე ეტყობა, აქ წყალი ღრმა უნდა იყოს.

— დიახ, ტირიფის ფესვები ფსკერამდეა დასული, — დაუდასტურა კამომ და ბუჩქი მოსწია.

— დააკვირდით, ამის ირგვლივ ლერწმების მთელი ახალშენია შექმნილი, — განაგრძო არმენმა, — იმიტომ, რომ ღელვის დროს იმას მოეჭიდნონ.

— ეს აღმოჩენაც ჩაიწერე ბლოკნოტში, — მიუგო კამომ, — ხომ ნახეთ, დღეს რამდენი საინტერესო რამ გავიგეთ. წამოსვლა კი გეზარებოდათ... ამის შესახებ დაწვრილებით უნდა მოვუყვეთ სკოლაში, ნორჩ ნატურალისტთა წრის შეკრებაზე.

სანამ ისინი ჩირგვს ათვალიერებდნენ, გრიქორმა ვედრო და პაპა ასატურის მიერ მოკლული იხვი მოიტანა.

— ასანთი, პური და მარილი რომ არ გვაქვს? — შეეკითხა კამო.

— „მეხბორე“ ვალდებულია ყოველივე ეგ თან იქონიოს, — უპასუხა გრიქორმა და მხრებზე გადაკიდებული თოფრა მოიხსნა, რომელშიც პურიც იყო, მარილიც და ასანთიც...

ბიჭებმა ხმელი ლერწამი შეაგროვეს, ნიჩბები აქეთ-იქით ჩაარჭეს, ზედ ჯოხი გასდეს და ვედრო ჩამოკიდეს.

— იცით რას გეტყვით, იხვის და ბატის კვერცხები დასანანია, მოდით წყლის ყვავის კვერცხები მოვხარშოთ, — უთხრა ამხანაგებს გრიქორმა.

— ეგ ხომ ბინძურია, — ზიზღით წარმოთქვა არმენმა.

— კვერცხი და ბინძური, რას ამბობ, ბიჭო... როცა ბარტყი იჩეკება და გაიზრდება, მერე ხდება ბინძური, ვინ მოსთვლის რამდენი ყვავის კვერცხი მომიხარშია და მიჭამია... ეს ფეხი მაგან არ იმსხვერპლა?...

გრიქორმა თავისთვის წყლის ყვავის რამდენიმე ახალი კვერცხი ჩადო ვედროში, ზევიდან ბატის და იხვის კვერცხები დაალაგა და ასანთს გაჰკრა.

ხმელი ლერწმები უცბად ავარვარდა, ისე დაიწყეს ტკაცა-ტკუცი, გეგონებოდათ რევოლვერს ისვრიანო.

სანამ წყალი გაცხელდებოდა, გრიქორმა იხვი გაპუტა, ალზე შეტრუსა, გამოშიგნა, გარეცხა, მარილი მოაყარა, ტირიფის ჯოხიდან შამფური გამოთალა, ზედ წამოაგო და ცეცხლს მიუფიცხა.

ირგვლივ შემწვრის სუნი დატრიალდა.

— რა არის ცხოვრება, ვინ მოჰკლა და ვინ უნდა ჭამოს! — წამოიძახა გრიქორმა და იხვს ერთი ბარკალი მოაგლიჯა.

— მოთმინება იქონიე. სუფრა გავაწყოთ... არმენ, ვედროდან წყალი გადაღვარე, ცივი წყალი დაასხი, კვერცხები გაგრილდეს, მე კი სუფრას გავშლი.

კამომ ლერწმების ერთ კუთხეში სუფრა გააწყო, ზედ საჭმელი დაალაგა და ამხანაგები მიიწვია.

წყნარი, მშვიდი დღე იყო, მზე საამურად ანათებდა, ჩვენი ბიჭები უაღრესად კმაყოფილნი, გაზაფხულის სიკეკლუცით და სილამაზით სტკბებოდნენ...

მადიანად ისადილეს, ცხადია, ყველაზე მეტი გრიქორმა მიირთვა, რადგან მას მუდამ კარგი მადა ჰქონდა.

როცა გემოზე დანაყრდნენ, ნორჩი ნატურალისტები კვლავ ნავში ჩასხდნენ და გილის საიდუმლო მიდამოებისაკენ გასწიეს...

პირქუში გვირაბები

— არ იტყვით, საით მივდივართ?—იკითხა გრიქორმა, რომელიც რაც დრო გაიდოდა და რაც უფრო ღრმად შედიოდნენ გილის ლაბირინთში, მით უფრო სერიოზული გახდა, ოხუნჯობის ხალისიც დაეკარგა.

— დანამდვილებით უნდა გავიგოთ, გრიალის ხმა საიდან მოდის, — თქვა არმენმა.

— როდემდის უნდა ვუცადოთ? — მოუთმენლად შეეკითხა კამო.

— სანამ გრიალს არ გავიგებთ.

— მე კი მინდა, რომ გზა განვაგრძოთ... ვნახოთ რა არის სხვა აუზებში, — ადგილზე შეხტა ჰასმიკი.

ყმაწვილები მალე ახალ კუნძულს მიადგნენ და კვერცხების შეგროვება დაიწყეს.

ჰასმიკმა რაღაცას მოჰკრა თვალი და ხელი იქით გაიშვირა.

— აბა ერთი იქით გაიხედეთ.

სიტყვა არ დაემთავრებინა გოგონას, რომ ლელიანის კედლის იქით საშინელი გრიალი მოისმა. გოგონა გაფითრდა და კვერცხები კალათიდან ძირს დაუცვივდა, გრიქორი შიშით ნავისკენ გაიქცა, კამო კი მოღუშული გასცქეროდა იმ მხარეს, საიდანაც გრიალის ხმა მოდიოდა.

— უკან, გავბრუნდეთ, — უთხრა მეგობრებს შეშინებულმა გრიქორმა.

— არა ჩვენ წავალთ იქით, საიდანაც ხმა ისმის და გამოვარკვევთ სასწაულს. როდემდის უნდა იყოს ხალხი უბრალო საქმის გამო ეშვებით შეპყრობილი, — მტკიცედ მიუგო კამომ.

არმენმა სცადა შეკამათებოდა, მაგრამ გოგონას რომ გადახედა, შეკრთა და გაჩუმდა.

კვლავ გაისმა საიდუმლო გრიალი, უფრო მძლავრი და ხანგრძლივი, გეგონებოდათ გაცოფებული წყალქვეშა ბუღა ბღავის და ყველას ბრძოლაში იწვევსო...

ჭაბუკებს მართალია არ სჯეროდათ კოლმეურნეობის დარაჯის ასატურის სიტყვები, მაგრამ შიშს მაინც გრძნობდნენ, თითქმის ყველა ერთსა და იმავეს ფიქრობდა: „თუ მართალი არ არის ჩვენი წინაპრების ნათქვამი, მაშ რა არის?“ მუდამ საშიში და საზარელია ის, რაც საიდუმლოა და აუხსნელი.

— ახლა უკვე გამორკვეულია გრიალის მიმართულება... აბა წინ, — შესძახა კამომ და ნავში ჩაჯდა.

ჯგუფის წევრები ფრთხილად ჩასხდნენ ნავში და ნიჩბებს მოუსვეს ხმის მიმართულებით.

ჭაბუკები თანდათან დამშვიდნენ.

კამომ ღიღინიც კი დაიწყო, იგი ლუკანის მეთევზეების საყვარელ სიმღერას მღეროდა, ჭაბუკები აჰყვნენ:

ეჰ, მენავე, ნავს მოეშვი,
მიატოვე ნავი;
ელვას ხედავ? რატომ გინდა
დაიღუპო თავი?

შესაფერისი სიმღერა იყო; ზეცა მართლაც თანდათან იღრუბლებოდა და როცა მზე ღრუბლებს მოეფარებოდა, მოელვარე წყალი ტყვიის ფერს იღებდა.

პატარა აუზში ნავმა რამდენიმე წრე შემოხაზა და ლელიანის „ჩიხში“ შეცურდა. „ჩიხი“ თანდათან გვირაბად იქცა. ლერწმები ერთი მეორეს გადახვეოდნენ და თაღი გაეკეთებინათ, გეგონებოდათ სპარსული ქალაქის შუკა არისო. ხავსს წყლის პირი დაეფარა და ნავს წინსვლა უძნელდებოდა.

გვირაბი თანდათან შევიწროვდა, მოპირქუშდა, დაბნელდა, ხავსის ზოლი გასქელდა, ნავი ხავსში ჩაეფლო და გაჩერდა. ხავსის სქელი ფენა ნავს უკანიდანაც მოაწვა.

— კამო, აქ სად მოგვიყვანე? — ტირილით ჰკითხა ჰასმიკმა.

— უკან გავბრუნდეთ, — უთხრა შეშინებულმა გრიქორმა.

გაბრუნება სცადეს, მაგრამ ნავის უკანა ნაწილი ბრტყელი იყო და აბა, ხავსის სქელ ფენას რას დააკლებდა. პირიქით ნავი ირგვლივ ისე შეიბოჭა ხავსით, რომ განძრევას ვეღარ ახერხებდა.

— აქ უნდა დავრჩეთ? — შეეკითხა შიშით ზარდაცემული ჰასმიკი.

პასუხი არავინ გასცა.

— ნაპირზე გადავხტეთ, — ურჩია გრიქორმა.

— მაშინვე ჩავიფლობით, ირგვლივ წყალი და ჭაობია, — შეესიტყვა არმენი, — მერედა, ფეხით სად წავალთ? ჭაობებით ვართ გარშემორტყმული...

— მაშ, აქ შიმშილით უნდა დავიხოცოთ? — სერიოზულად იკითხა გრიქორმა.

— რას წუწუნებთ,—გაბრაზდა კამო.

კამომ ფალავანივით ერთი ღრმად ამოისუნთქა, ძალ-ღონე მოიკრიბა და ნიჩბით გზის გაკაფვას შეუდგა. ნავის ცხვირწინ ერთმანეთზე გადახლართულ ხავსს ნიჩბით იღებდა და შორს ისროდა. ამნაირად ჰკაფავდა გზას და ნავიც კუს ნაბიჯით მიიწევდა წინ.

კარგა ხანს ეწვალა, სანამ ნავი გვირაბიდან გასხივოსნებულ ტბაში გამოიყვანა. აქაც აუარება ფრინველს მოეყარა თავი, რომლებიც მშვიდად დაცურავდნენ პატარა ტბის ზედაპირზე.

ბიჭებმა, თითქოს გულიდან დიდი ლოდი მოიხსნესო, შვებით ამოისუნთქეს.

— შიმშილით სიკვდილს გადარჩი, არა? — სიცილით ჰკითხა კამომ გრიქორს, — შე ოჯახაშენებულო, რა არის, რომ გაჭირვების დროსაც შიმშილზე ლაპარაკობ.

— იმიტომ, რომ მხოლოდ შიმშილი მჯობნის ხოლმე, მეტი არაფერი... მაგრამ ამის იქით ვეღარსად წავალთ, შეხედეთ ირგვლივ ლელიანის კედელია.

გრიქორი შეცდა.

ამ კედელშემორტყმულ აუზიდან ერთი ფარული სრუტით სხვა აუზში შეიძლებოდა გასვლა, სადაც ფრინველთა რიცხვი გაცილებით მეტი იყო. აქ ტბის ზედაპირი დუღდა.

ამ აუზის იქით „კედლის“ მეორე მხრიდან კვლავ მოისმა „წყლის ურჩხულის“ ამჯერად ყრუ და მოკლე გრიალი.

ხმის გაგონებაზე არმენი შეკრთა, ბიჭებმა ნიჩბის მოსმას თავი გაანებეს. გოგონამ კრძალვით გადახედა კამოს, გრძნობდა, რომ ამ ჯგუფში კამო ყველაზე გულადი და ღონიერი იყო. კამო ვრთ ხანს ჩაფიქრებული იყო, მერე ხელი ჩაიქნია და წამოიძახა:

— უმნიშვნელო რამ არის, ნიჩბები მოუსვით...

— წყალი რატომ დუღს, მის ქვეშ ნეტავ რა არის? — ჰკითხა შეშინებულმა გოგონამ.

— წყაროებია, აქ ტბა ღრმა არ არის, — აუხსნა არმენმა და ლერწმით გაზომა ტბის სიღრმე.

— როგორ არა, შენი მეცნიერი თავის ჭირიმე, ამდენი წყარო იქნება? ვინ იცის ქვეშ რა არის?—უნდობლად წამოიძახა გრიქორმა.

— რატომაც არ იქნება, — გაიმეორა არმენმა. — საჭიროა მხოლოდ გამოვარკვიოთ, სად არის მათი სათავე, წყალსაცავი. ცხადია, ტბა ბეტწილად ასეთი წყაროებისაგან შედგება.

— მართლაც, წყაროს წყალივით ცივია, — დაუდასტურა ჰასმიკმა, რომელმაც წყალში ხელი ჩაჰყო.

— ამიტომ არის, რომ გვალვის დროს, როცა წყაროები შრება, ჩვენი სოფელი ამ წყალს ხმარობს... მაგრამ, ამდენი წყალი სა-

ოდან გროვდება, ამას უსათუოდ დიდი წყალსაცავი უნდა ჰქონდეს, — თავისთვის მსჯელობდა არმენი.

ეს აუზი უკვე დაკეტილი იყო, რამდენიც არ შეეცადნენ კედელს იქით გასულიყვნენ, ვერ მოახერხეს, გასასვლელი არსად ჩანდა.

სანამ ასე ყოყმანობდნენ, აუზიდან ფრინველების ერთი ჯგუფი აფრინდა და კედელს იქით დაეშვა. დიახ, იქაც წყალი უნდა ყოფილიყო, რადგან ფრინველების დაშვების დროს წყლის შხაპუნი გაისმა. გარდა ამისა, იქიდან წყლის მრავალგვარი ფრინველის ხმაური ისმოდა.

— აბა, არმენ, იანგარიშე, ჩვენი გავლილი ყველა აუზი რამდენი კვადრატული კილომეტრი იქნება? — უთხრა კამომ.

— მე ჩანიშნული მაქვს, მოიცა შევაჯამო... დაახლოებით ოთხი კვადრატული კილომეტრია...

— თუ გახსოვს, ჩვენი რაიონის რუკაზე გილის ტბას რამდენი კვადრატული კილომეტრი უჭირავს?

— მახსოვს, სულ ხუთი კვადრატული კილომეტრი.

— მაშ ასე, ამ ლერწმის კედლის იქით კიდევ ერთი საიდუმლო ტბა უნდა იყოს. მისი სიდიდე ერთ კვადრატულ კილომეტრს უნდა უდრიდეს. ის ტბა ისეთი ლერწმებით და ჭაობებით არის ალბათ გარშემორტყმული, რომ ვერავინ მიუდგება... მისი დანახვა მხოლოდ ციდან თუ შეიძლება, — ფიქრობდა კამო. — ნეტა რა არის იქ, რა სახის ცხოველებით არის დასახლებული? შეიძლება ბეჰემოტი, წყლის ხარი, ან ნიანგიც იყოს... მაგრამ არა, აქ ცივი ქვეყანაა.

— თუ წყლის სულები არიან, როგორც პაპა ასატური ამბობს, — ოხუნჯობით დაუმატა გრიქორმა.

— შეამჩნიეთ, რომ ჩვენ მიერ გავლილი აუზებიდან რაც ფრინველი აფრინდა, ყველამ მარცხნივ მოუხვია და ამ ლელიანის იქით დაეშვა? მაშასადამე, ის საიდუმლო ტბა, ამ ტბის სიგრძისა უნდა იყოს, მისი მარცხენა მხრის გასწვრივ, — დაასკვნა არმენმა. შემდეგ კვლავ რუკას დააკვირდა და დაუმატა: — დიახ, გილის ტბა აქ თავდება. აი, უკანასკნელი აუზიც, სადაც ახლა ჩვენ ვიმყოფებით, — და რუკაზე უჩვენა ერთ-ერთი აუზი. — ამის იქით, რუკის მიხედვით, ჭაობებია, ხოლო უფრო შორს — ტორფის სა-

ბადოები. მაგრამ რუკა სრული არ არის, ჩვენ უნდა დავაზუსტოთ, ლელიანის კედლის იქით ნამდვილად არის თუ არა წყალი... აბა, შეხედეთ, შეხედეთ, წყალზე იხვების კიდევ ერთი გუნდი დაეშვა...

ჰასმიკი გაკვირვებული და შიშით შეპყრობილი ხან არმენს შეხედავდა, ხან კამოს.

— ბუყ-ბუყ-ბუყ, — უცებ გაისმა იქვე ახლოს და თითქოს ლელიანის კუნძული შეირყა, გაქანდ-გამოქანდა. წყლის ზედაპირზე ნავიც ოდნავ შეტორტმანდა.

ხმა ლელიანის „კედლის" იქითა მხრიდან — საიდუმლო ტბიდან ისმოდა.

ჩამბარი მოუსვენრად ყეფდა და საბრძოლველად იწვევდა უხილავ „ურჩხულს". ჭაბუკებს ბავშვობიდანვე მრავალჯერ სმენიათ გილის ტბის გრიალი, მაგრამ ახლა იმდენად მძლავრი და საზარელი იყო, პირდაპირ გაქვავდნენ, ხმა-კრინტი ვეღარ დაძრეს.

ნეტავ რა გრიალებს...

ზაფხულის მშვიდ ღამეებში, როცა ისინი აივანზე ისვენებდნენ ხოლმე, ბევრჯერ გაუგონიათ ეს საზარელი, აუხსნელი და საიდუმლოებით მოცული ხმა. სოფელ ლეკვანში, ბავშვებს რომ დაეძინათ, დედები გილის ტბის ურჩხულით აშინებდნენ.

ნეტავ რა გრიალებს?... ამ ფიქრებით იყო ყველას გონება შეპყრობილი, როცა კამომ გაბედულად განაცხადა:

— თქვენ აქ მომიცადეთ, მე წავალ...

მართალია, მისი გულიც შიშით თრთოდა, მაგრამ საიდუმლოების ამოხსნა იმდენად სწყუროდა, რომ ამ სურვილმა შიში დააავიწყა.

სანამ ამხანაგები რამეს ეტყოდნენ, კამომ არმენს ფოტოაპარატი მოხსნა, მხარზე გადაიკიდა და გაბედულად გადახტა ნაპირზე.

— მე მალე დავბრუნდები, — უთხრა მან ამხანაგებს და ხშირ ლელიანში მიიმალა.

ჩამბარი წამოხტა, უნდოდა თავის პატრონს გაჰყოლოდა, მაგრამ არმენმა არ გაუშვა.

ყველა დუმდა და შიშით შეჰყურებდა კამოს კვალს.

ხანდახან შრიალი და ტკაცატკუცი ისმოდა. ლერწმების რხევით ყმაწვილები ამჩნევდნენ, თუ საით მიდიოდა კამო.

მზე ღრუბლებს ამოეფარა და ლელიანმაც ფერი იცვალა, უფრო მუქი, პირქუში გახდა.

კამო ლერწმებს აქეთ-იქით სწევდა და სწრაფი ნაბიჯით მიიწევდა წინ. მაგრამ სადაც ფეხს დაადგამდა, ყველგან წყალი ამოდიოდა და რომ არ ჩაფლულიყო, მსუბუქად ხტებოდა კოლბოხიდან კოლბოხზე, მაგრამ წყალი სულ უფრო და უფრო მატულობდა. ჭამო ერთი წუთითაც რომ შეჩერებულიყო, ჭაობში ჩაიფლობოდა, ამიტომ ლერწმებს ფეხით ძირს აწვენდა და ზედ გადადიოდა. ასე ნელ-ნელა მიიკვლევდა გზას.

წყლის შხაპუნი და ფრინველთა ხმაური თანდათან ახლოვდებოდა, კამოს უნდოდა რაც შეიძლება მალე მისულიყო იქამდე, ენახა, რა იმალებოდა იქ.

მან თავი მიანება ლერწმების გადაწვენას და სცადა პირდაპირ წყალში უხიდოდ სიარული, მაგრამ მაშინვე მუხლებამდე ჩაეფლო. ფეხის დადგმისას იგრძნო, რომ ფესვებისაგან მოწნულ ბადეს შეეხო. თითქოს წყალში ნახევრად ჩაფლულ კალათში მოხვდა.

მან მტკიცე ნაბიჯით გასწია წინ, მაგრამ უეცრად ეჭვი შეეპარა, ვაითუ ამ ბადეს სადმე ხვრელი აქვს და მაშინ ხომ პირდაპირ უფსკრულისაკენ წავალო. უნდა კუნძულამდე როგორმე მივაღწიო.

უცებ წყლის შხაპუნი და გარეული ბატის კმაყოფილი ყიყინი მოესმა. კამომ ლერწმები გადასწია და მის წინ მთელი თავისი სილამაზით გადაიშალა ახალი ტბა.

— უჰ, რამდენი ბუდეა! — წამოიძახა კამომ, — აქ, როგორც ეტყობა, ფრინველთა სამეფოა...

კამომ ლერწმები მოამტვრია, ფეხქვეშ დაიდო და ზედ შედგა. მერე უკან მობრუნდა და ხმამაღლა გასძახა:

— არმენ, გრიქორ, მოდით, ახალი ტბა აღმოვაჩინე.

კამოს სიხარულით გული უფანცქალებდა, იგი თვალს არ აშორებდა ტბის სარკესავით ზედაპირს, სადაც უშიშრად დასრიალებდნენ წითელი იხვები, წითელბიბილოვანი შავი ქათმები, ნაცრისფერი წყლის მწყერები, მამალი იხვები, რომელთა ხავერდოვანი ბუმბული მზის სხივებზე ბზინავდა. თეთრი და რუხი ყანჩები ბოძებივით მაღალ ფეხებზე გაუნძრეველად იდგნენ. კამომ შენიშნა

თეთრი დიდი ფრინველი, რომელსაც გრძელი წითელი ფეხები და ვარდისფერი ფრთები ჰქონდა.

— ეს ხომ ფლამინგოა! — მხიარულად წამოიძახა კამომ. აქამდე ეს ფრინველები მხოლოდ წიგნში ენახა.

კამოს მოთმინება აღარ ჰყოფნიდა, სურდა ეს ყველაფერი მალე გაეგებინებინა ამხანაგებისათვის, რომ მათაც გაეხარნათ.

„აფსუს, რომ ჰასმიკი აქ არ არის, ხომ ნახავდა, როგორ გაუკვირდებოდა გრიქორსაც, სკოლაშიც ყველა სახტად დარჩებოდა“:— გაიფიქრა მან და ჯიბეები მოიჩხრიკა; ქაღალდი და ფანქარი ეგულებოდა. მას უნდოდა წინ გადაშლილი მთელი სურათის დახატვა. კამოს ხელი უცებ მკერდზე ჩამოკიდებულ ფოტოაპარატს შეეხო. გაუხარდა, აღარც კი ახსოვდა მისი არსებობა. კამო მაშინვე შეუდგა ფლამინგოს გადაღებას.

სწორედ ამ დროს წყლის ზედაპირზე მცურავი ბუდე შეამჩნია, ნამდვილი მცურავი ბუდე, რომელშიც დედა იხვი იჯდა. ბიჭის დანახვაზე იხვი (თუ წყლის ქათამი, კამომ ვერ გაარჩია) გასაფრენად

მოემზადა, მაგრამ გადაიფიქრა. — ეტყობა, კრუხად იჯდა. მან ერთი ფეხი გამოჰყო, წყალში ჩაყო და ნიჩაბივით მოუსვა. ბუდე იხვიანად უკან გაბრუნდა. კამო გაოცებული შესცქეროდა. „ალბათ კვერცხებისა და ბარტყების გადასარჩენად ბუდე წყალში გაუკეთებიაო“, — გაიფიქრა კამომ.

ფრინველი ცურვის დროს ნისკარტს წყალში ყოფდა და საჭმელს: ხავსს, ლერწმის ფესვების ნაგლეჯებს, მატლებს იღებდა.

ტბის იქითა ნაპირზე, ფლამინგოების მოშორებით ვეება თეთრი ფელიქანები იდგნენ. თავიანთი გრძელი ნისკარტებით წყლიდან თევზებს იღებდნენ, მაღლა ისროდნენ, პირით იჭერდნენ და პირდაპირ ყლაპავდნენ.

„ფელიქანი თევზს კუდის მხრიდან ვერ გადაყლაპავს, ხაო და ლაყუჩები ყელში მოედება. ამიტომ იგი თევზს მაღლა ისვრის და თავით იჭერს, ყელში რომ ადვილად ჩაუსრიალდეს“, — გაიფიქრა კამომ.

— უჰ, რამდენი ბუდეა! — ფოტოაპარატი მოიმარჯვა და ფელიქანების ბუდეები გადაიღო, რომლებიც გადაბრუნებულ ვეება ფაფახებს გავდა.

ცოტა მოშორებით ლერწმებში რომელიღაცა ჭაობის ფრინველის ბუდე შეამჩნია, ბუდის პატრონი კრუხად იჯდა. მალე ლამაზი, ქოჩორა მამალი მოფრინდა, კრუხს პირში საჭმელი ჩაუდო და ისევ გაფრინდა. „როგორი მზრუნველობით ეპყრობიან ერთმანეთს“, — გაიფიქრა კამომ. ამ დროს მეორე ბუდიდან დედალი აფრინდა, ალბათ საჭმლის საძებნელად წავიდა და კვერცხები რომ არ გაციებოდა, ბუდეში მამალი ჩაჯდა.

„საინტერესოა. რატომ შინაური მამალი არ შეენაცვლება ხოლმე კრუხს, — უნებურად გაიფიქრა კამომ და მაშინვე მონახა პასუხი. — ეს საჭიროებას აღარ წარმოადგენს, კრუხს მზრუნველი პატრონი ჰყავს, რომელიც კვებავს მას, გარეულ ფრინველს კი ვინ უპატრონებს, მთელი კვირეები მშიერ-მწყურვალი ხომ ვერ გასძლებს“...

კამო ტკბებოდა ფრინველთა უზრუნველი ცხოვრების ხილვით, ის კი არ იცოდა, რომ ამ ყრუ, მივარდნილ კუთხეშიც არსებობისათვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა წარმოებს.

აი ახლაც ერთი ნაცრისფერი იხვი საშინლად ყივის, ფრთებს აფართხუნებს, ჰაერში აფრენას ლამობს, მაგრამ რაღაცა ეწევა ქვემოთ, აი კიდეც მოსწყდა წყლის ზედაპირს ქანცგაწყვეტილი იხვი და იმ ადგილას კამომ დაინახა წავის სლიპი ზურგი. იგი წყალქვეშ ჩუმად მიჰპაროდა იხვს და დაბლა ეწეოდა თავის მსხვერპლს. რამდენიმე წუთის შემდეგ წყლის ზედაპირზე, იქ, სადაც ცოტა ხნის წინ იხვი მშვიდად დაცურავდა, ბუშტები გამოჩნდა.

კვლავ სიწყნარე ჩამოვარდა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს.

მაგრამ, აი, წყალზე რაღაც აჩრდილმა გადაიარა, წყლის ქათმებმა და ყვავებმა შესაზარი ჩხავილი და კრიახი გააბეს, თურმე ცაში ძერა გამოჩენილიყო, რომელიც მცურავ ბუდეზე მჯდომ იხვს უთვალთვალებდა...

ძერა შურდულივით ეცა იხვს, მაგრამ ერთბაშად ვერ მოახერხა მისი ატაცება, იხვს ორივე ფეხები მაგრად მოეჭიდნა ბუდისათვის და გულშემზარავად გაჰკიოდა.

— ქშა, ქშა, ქშა, — შეჰყვირა კამომ და თან ხელი აუქნია, მაგრამ უცებ თავი ვეღარ შეიმაგრა, წონასწორობა დაკარგა და პირდაპირ წყალში ჩავარდა.

მოხდა ის, რისაც ასე ეშინოდა კამოს: ლერწმების ხლართმა მის სიმძიმეს ვერ გაუძლო, გაწყდა და წელამდე ჩავარდა წყალში. იგი ლერწმებს ჩაეჭიდა, სცადა ფეხები გაეთავისუფლებინა და კუნძულზე ამძვრალიყო, მაგრამ ვერ მოახერხა. ამხანაგებისათვის დაძახებას ვერა ბედავდა და, კიდეც რომ დაეძახა, ისინი მაინც ვერ გაიგონებდნენ.

კამო სულ ძირ-ძირს მიდიოდა, იგი ორივე ხელით ჩაეჭიდა ლერწმებს, მაგრამ ლერწმებიც იღუნებოდა და დაბლა ეშვებოდა. კამომ იგრძნო ცივი წყალი როგორ შეეხო მის მხრებს.

ზემოთ აიხედა, მის პირდაპირ კვლავინდებურად მშვიდად მისრიალებდა მცურავი ბუდე და შიგ ამაყად იჯდა დედა იხვი.

„ნუთუ ვიღუპები“, — გაიფიქრა მან.

კამომ ღონე მოიკრიბა და მონადირის ბადეში გახვეულ ირემივით შეხტა, შეეცადა ამოსვლას, მაგრამ ლერწმები იზნიქებოდა

და მის სიმძიმეს ვერ უძლებდნენ. დახმარებისათვის ვერ ბედავდა დაძახებას, რცხვენოდა, რას იტყოდა ჰასმიკი!

კამო ხან ერთი, ხან მეორე ხელით ღუნავდა ლერწმებს და ფეხქვეშ იწყობდა, მაგრამ ისიც ნელ-ნელა იძირებოდა და თავისაკენ მიჰყავდა კამოც.

— გრიქორ, არმენ, მიშველეთ, ვიხრჩობი, მიშველეთ... — დაიღრიალა კამომ და თავისსავე ხმის გაგონებაზე თმები ყალყზე დაუდგა: „ნუთუ მართლა ვიხრჩობი?“...

ჩამბარის გმირობა

კამოს ხმას ამხანაგებამდე არ მიეღწევია, მაგრამ მათ შეამჩნიეს, რომ ჩამბარი ნავში ვეღარ ისვენებდა, სულ წრიალებდა. ბოლოს ნაპირზე გადახტა და კამოს მიერ ლერწმებში გაკვალული გზით მოკურცხლა.

— კამო საფრთხეშია, — წამოიძახა გაფითრებულმა არმენმა.—მე ძაღლის ინსტინქტისა მჯერა.

— იქნებ ტბაში ჩავარდა! — თქვა შემკრთალმა გრიქორმა.

— რას ამბობ, კამო ისეთი ღონიერი და მარჯვეა, რომ არაფერიც არ დაემართებოდა,—მიუგო ჰასმიკმ.

— წავიდეთ, გრიქორ...

ორივემ ლელიანისკენ გასწია. კამოს უკვე წყალი ნიკაპამდე მისწვდომოდა, სული ეხუთებოდა. ხმას ვერ იღებდა, ძლივსღა სუნთქავდა, მკლავები უსუსტდებოდა და აღარ ემორჩილებოდა.

უცებ უკანა მხრიდან ფოთლების შრიალი და წყლის შხაპუნი მოისმა. კამოს უკან მიხედვა აღარ შეეძლო. „რა დროზე მომისწრო გრიქორმა“, — იმედის ნაპერწკალმა გაუელვა თავში და ძალ-ღონე მოიკრიბა. ძარღვები დაჭიმა და ახტა, ამ დროს ვიღაცა მხარში სწვდა და უკან გაათრია, იქითკენ, სადაც ის კონა ეგდო, რომელზეც ცოტა ხნის წინათ თვითონ იდგა.

კონაზე მწოლარემ თანდათან გონება რომ მოიკრიბა, უსაზღვრო მადლიერებით დაიჩურჩულა:

— მადლობელი ვარ, გრიქორ... მადლობელი ვარ, ჩემო ძვირფასო ამხანაგო... სული-სულზე მომისწარი... ცოტაც რომ დაგეგვიანა, ჭაობი გადამყლაპავდა; ცოტა ზევით ამწიე, მკლავი მიდუნდება...

გრიქორი დუმდა.

კამომ თავი წამოსწია და უცებ დაინახა თვითკმაყოფილების გრძნობით გაბრწყინებული ჩამბარის თვალები.

— ჩამბარ?.. შენა ხარ?.. ჩემო ერთგულო მეგობარო... მე კი გრიქორს ვუხდიდი მადლობას, — წაილუღლუღა გაღიმებულმა კამომ.

ჩამბარი მხიარულად წკმუტუნებდა და პირისახეს ულოკავდა კამოს, ალბათ თავისი ჭკუით კოცნიდა.

— კამო, კამო, ეს რა მოგსვლია?...—თითქმის ტირილით შესძახა გრიქორმა.

გრიქორს არმენი მოსდევდა. ორივემ სწრაფად მოავლეს ხელი კამოს, ამოსწიეს და კუნძულის სიღრმეში შეიყვანეს, იქ, მათ ლერწმებისაგან კორტოხი გაამზადეს, კამო ზედ დასვეს და თვითონაც გვერდით მოუსხდნენ.

კამომ ამხანაგებს ნაზად გაუღიმა, ისე, როგორც იღიმება სიკვდილს გადარჩენილი ადამიანი.

— ერიჰაა... კარგა კი გიბანავია, — ეუბნებოდა გრიქორი კამოს და თან სველ ბლუზას აძრობდა და თავისას აცმევდა. — წყალში ჩაიძირე! როგორღა გამოხვედი?

პასუხის ნაცვლად კამომ სიამოვნებით გადახედა ძაღლს და მისკენ თითი გაიშვირა.

— ჩამბარმა? — გაუკვირდა გრიქორს, — მოდი, ჩემო ჩამბარ, მოდი ერთი ეგ სველი დრუნჩი დაგიკოცნო!...

ჩამბარი კი კუდს აქნევდა და ისეთი სიხარული ჩადგომოდა ჭკვიან თვალებში, თითქოს ესმოდა, რასაც ამბობდნენ.

ᲒᲘᲚᲘᲡ „ᲣᲠᲩᲮᲘᲚᲘ“

— ერთი მითხარი, რას ფიქრობდი, მარტოდმარტო რომ... — ის იყო დაიწყო გრიქორმა გაუფრთხილებელი ამხანაგის გაკიცხვა, რომ უცბად ტბის წყალი სვეტივით მაღლა ავარდა და მძლავრი გრიალიც გაისმა.

ფერწასულმა ბიჭებმა ზევით აიხედეს. ჩამბარმა ყეფა ასტეხა. საინტერესო ის იყო, რომ ამ საშინელ გრიალზე არც ერთი ფრინველი ადგილიდან არ დაძრულა, ისინი მშვიდად განაგრძობდნენ ცურვას. როგორც ჩანს, ისინი ამ გრიალს შეჩვეულნი იყვნენ. მარტო ფლამინგოების გუნდი აფრინდა. ისინი ამ მიდამოების დროე-

ბითი სტუმრები იყვნენ და ტბის ამ უცნაურ ხმებს შეჩვეული არ იყვნენ.

ბიჭები სულგანაბულნი აკვირდებოდნენ ტბას, უნდოდათ გაეგოთ, თუ რამ იგრიალა. ტბის შუაგულში წყალი ღელავდა, ეტყობოდა, რამდენიმე წამის წინ რაღაცას ამოეხეთქა და ტალღები რგოლებად იშლებოდა და ნაპირს ეხეთქებოდა.

ეს ყველაფერი ისე მოულოდნელად მოხდა, რომ ბიჭებმა თვალიც კი ვერ მოჰკრეს, ვერ გაიგეს, რა დაემართა წყალს.

— აუზმა გამოქვაბულივით დაალო პირი, — ხმადაბლა წარმოთქვა გრიქორმა, რომელსაც გალურჯებული ტუჩები შიშით უთრთოდა. — არმენ, აპარატი აიღე და მომარჯვებული გეჭიროს.

კამომ აპარატი მოიხსნა, გულმოდგინედ გაამშრალა პერანგით და უნდოდა გადაეცა არმენისათვის, მაგრამ არმენმა ალერსიანად დაუმატა.

— კამო, არა უშავს, შენ თვითონ გადაიღე, ხელი არ აგიკანკალდება.

დიდხანს იცადეს.

— ჰასმიკი მარტოა იქ, შეეშინდება, წავიდეთ, — ჩურჩულით თქვა გრიქორმა.

კამომ შეუბღვირა.

— ის შენზე გულადია... შიშმა აგიტანა და იმიტომ გინდა წასვლა, — მიახალა გრიქორს.

ირგვლივ სიწყნარე იყო. გეგონებოდათ ამ შორეულ ადგილს ქარიც კი არ გაჰკარებიაო.

ტბის ცისფერ ზედაპირზე ფრინველები დაცურავდნენ.

უცებ ტბის შუაგულიდან წყალი უზარმაზარი შადრევანივით მაღლა ავარდა და „ურჩხულის“ საზარელი ხმაც გაისმა.

გრიქორს შეეშინდა და ლელიანში მიიმალა. არმენი გაფითრებული შესცქეროდა კამოს. კამოს ფოტოაპარატით მექანიკურად გადაეღო სანახაობა და გაოცებული უძრავად იდგა, ჩამბარი კი გააფთრებული ყეფდა და უხილავ მტერს ბრძოლის ველზე იწვევდა.

ბიჭები ხმაამოღებლივ დაბრუნდნენ ნავთან, სადაც მათ ელოდათ გაფითრებული და შეშინებული ჰასმიკი.

— სად იყავით აქამდე?.. რა ნახეთ?.. კამოს ტანსაცმელი სველი რატომ აქვს... წყალში ჩავარდი, კამო? — სეტყვასავით მიაყარა კითხვები ჰასმიკმა, მაგრამ, რაკი ყველა უვნებელნი დაბრუნდნენ

ჰასმიკი დამშვიდდა, გაიღიმა კიდევაც, ხოლო, როცა კამოს გასისხლიანებული ხელები დაუნახა, კვლავ მოუსვენრობა დაეტყო და აღელვებულმა გამოკითხვა დაუწყო:

— ხელები რატომ გაქვს დაჭრილი, ლერწმებმა გაგიჭრა? ალბათ იხრჩობოდი, იმიტომაც ხარ ასე დასველებული, არა? სახეზე გეტყობათ, რომ რაღაც უბედურება შეგემთხვათ, — ცრემლმორეული თვალებით სათითაოდ ათვალიერებდა მეგობრებს.

— წავიდეთ... მერე გაიგებ. შენი კითხვების პასუხი აი აქ არის,—და კამომ ფოტოაპარატზე მიუთითა, — ჩვენ კარგად ვართ, ნავიც კვერცხებით სავსე გვაქვს, სხვა რაღა გინდა?

უთვალავ აუზებს შორის, მწვანე კუნძულების გასწვრივ, მისცურავდა მათი ნავი.

პაპა ასატური მათ მოუთმენლად ელოდა.

ისინი გზას იკვლევდნენ იმ ნიშნების მიხედვით, რომლებიც გაეკეთებინათ თვითეული სრუტის თავსა და ბოლოში.

მზე უკვე ჩადიოდა, ტბა ყოველ წამს ფერს იცვლიდა, ხან მეწამული, ხან მომწვანო ხდებოდა. ჯაგნარიც ჩამავალი მზის სხივებისაგან ალისფრად ლაპლაპებდა. აუარებელი ფრინველები: ბატები, იხვები, ქათმები გუნდ-გუნდად ეშვებოდნენ კუნძულებზე, სრუტეებზე და თავიანთ ბუდეებში სხდებოდნენ.

ტბის მარჯვენა მხრიდან საიდუმლო ხმები კვლავ ისმოდა და ახალგაზრდებს აღელვებდა.

გილის დაისის მშვენიერებას ვეღარ ამჩნევდნენ ახალგაზრდები. მათი აზრი და გონება ერთი რამით იყო გატაცებული:

„ნეტავ რა გადაიღო კამომ?“

რა გადაიღო კამოს ფოტოაპარატმა

სოფელში მისვლისთანავე ბიჭებმა კვერცხები ჰასმიკის დედას ჩააბარეს, თვითონ კი არმენის სახლისკენ მოუსვეს. მთელი მათი ყურადღება ფოტოაპარატისაკენ იყო მიპყრობილი, აინტერესებდათ, შიგ რა იყო.

არმენის დედა ფერმკრთალი პირისახის, შავთვალწარბა დედაკაცი იყო. მან საყვედურით მიმართა შვილს:

— არმენ, მშიერ-მწყურვალი მთელი დღე სად იყავი? შენს ლოდინში მე ჩემი დამემართა.

— მშიერი? რას ბრძანებთ, განა ჩვენი მეგობარი იხვები მშიერს დაგვტოვებდნენ? — ამხანაგის მაგიერ უპასუხა გრიქორმა.

— იხვები?.. იხვებმა რა გაჭამეს?

— თავიანთი ჩვილი ხორცი და მსხვილ-მსხვილი კვერცხები... —დედაკაცმა თავი გააქნია, ეტყობოდა ვერ მიუხვდა.

— აბა, დასხედით, დასხედით, რამე ჭამეთ... უი, დამიბრმავდეს თვალები, ბიჭო, ეგ რა დაგმართნია, ტანისამოსიც დაგიგლეჯია, ალბათ, ლელიანში იყავით...

— მაგის დრო არ არის, დედიკო, სურათები სასწრაფოდ უნდა დავბეჭდოთ, — მოუთმენლად წარმოთქვა არმენმა. — შენ მეორე ოთახში გადი, აქ სინათლე უნდა ჩავაქროთ.

— არმენ, ჯერ დანაყრდით, შვილო, და სურათები მერე დაბეჭდეთ. ნეტა, რა სურათია, რომ ასე ჩქარობთ.

— გილის გველეშაპის სურათია, — უპასუხა გრიქორმა და თან. ამხანაგებს თვალი ჩაუკრა.

— ბიჭო, შენ რა მასხრად მიგდებ?

— არა, არა, დეიდა, ჩემმა მზემ, ახლავე დავბეჭდავთ და ნახავთ. გველეშაპი ჩემი შიშით ისე ღრიალებდა, რომ...

ჰასმიკი თვალს არ აშორებდა გრიქორის იუმორით აღსავსე; თვალებს და ჩუმ-ჩუმად ეცინებოდა.

— აბა, სინათლეს ვაქრობ, — განაცხადა არმენმა, როცა თავის „ლაბორატორიაში“ ფოტოგრაფიისათვის საჭირო წამლები მოამზადა.

— საინტერესოა, რა გამოვა, — მოუსვენრად ცქმუტავდა ჰასმიკი.

ბნელ ოთახში, წითელ, მკრთალ შუქზე დაიწყეს ფოტოფირის გამომეღავნება, წამლებში გავლება და სურათების ბეჭდვა. თეთრ-მოყვითალო ფოტოქაღალდზე სათითაოდ ისახებოდა გილის გასაოცარი ტბის სურათები. ბიჭები გაოცებულნი უყურებდნენ.

აი საიდუმლო ტბაც თავისი უცნაური მობინადრეებით, აგერ ერთ-ერთი ნისკარტაშვერილი ფელიკანიც, თევზის ჭერის მომენტში.

— აბა დააკვირდით, წყალში ფლამინგოების ჩრდილიც კი მოჩანს, — წამოიყვირა არმენმა და წყლის ზედაპირზე მიუთითა ამხანაგებს.

— ვაიმე, ეგ არის საიდუმლო ტბა?.. გამიშვით, კარგა დავინახო,—წამოიძახა ჰასმიკმა.—უი, რამდენი ფრინველია. ესენი რაღაა?

ბუდეები, არა?.. ოჰოჰო, რამდენია... წყალში ლერწმის ანარეკ-ლიც მოჩანს. რა კარგი ტბა ყოფილა... წყნარი, მშვიდი...

— წყნარიო? ახლა ნახავ როგორი წყნარიც არის, — მიუგო არმენმა და ერთი სურათი ხსნარში ჩაუშვა.

— არა, ეს არ არის... კამო, ეს რა არის? წყალშია ბუდე?.. დიახ, დიახ, ნამდვილი ბუდეა, შიგაც კვერცხებია...

— მაშ, რა გეგონათ? ტყუილად ვიხრჩობოდი? იცი, რა ძვირ-ფასია ეს სურათი?

— კამო, რაც ნახე, აღწერე და ამ სურათებიანად „პიონერ-სკაია პრავდას“ გაუგზავნე.

— უეჭველად, ხვალვე გავუგზავნი.

— აი, ის „დევიც“, — დიდის ამბით განაცხადა არმენმა, სვე-ლი ფოტოქაღალდი ხსნარიდან ამოიღო და სინათლეზე გახედა.

— ეგ ის არის, მოსვენებას რომ არ გვაძლევს? — შეეკითხა არმენის დედა და ფრთხილად მიუახლოვდა ფოტოსურათს.

— ეს არის, დედიკო... ეს სწორედ მისი პორტრეტია...

— მეც შემახედეთ... რა სურათია! — წამოიძახა გულნაწყენმა ჰასმიკმა. იგი რაღაც არაჩვეულებრივს მოელოდა. დევი, სულ ცო-ტა, სპილოს ან მარტორქის ოდენა მაინც უნდა ყოფილიყო.

— ეს ხომ, უბრალოდ, წყალია ამობურცული და მეტი არა-ფერი...

— რა თქმა უნდა, ბეჭებზე ამოსულ ბებერასავით ამობურცუ-ლა წყალი ტბაზე, — ჰასმიკს კვერი დაუკრა გრიქორმა.

სურათი ხელიდან ხელში გადადიოდა.

— ხოლო გრიალი? ტბის ღელვა? ეს რაღაა?—იკითხა კამომ და ამხანაგებს გადახედა.

—ჰო, მართალია, გრიალი ნამდვილად გველეშაპისას ჰგავდა,— დაუმატა გრიქორმა, — უნდა მართალი გითხრათ, ის ჩემზე ბრა-ზობდა, ალბათ ეგონა, მისი ტყავის გასაძრობად ვიყავი მისული... უნდოდა შევეშინებინე... მაგრამ მეც რა მშიშარა მნახა!..

— მართლა არ შეგეშინდა? — გულუბრყვილოდ შეეკითხა ჰასმიკი.

— რომ გითხრა შემეშინდა-მეთქი, დაიჯერებ? — ნაწყენი ტო-ნით ჰკითხა გრიქორმა.

— არა, გრიქორს რა შეაშინებს, იმ დროს სულ შენზე ფიქრობ-და, ხომ არაფერი დაემართაო, უნდოდა შენთან მოერბინა,—სიცი-ლით უთხრა კამომ.

— ჩემმა მზემ, მართალია; როგორც კი დაიგრიალა, შენსკენ გამოვქანდი, ვიფიქრე შიშით რაიმე არ დაემართოს-მეთქი...:

— აი ესეც თქვენი „გველეშაპი“, — თქვა არმენმა, — განა ღირდა ამდენ წვალებად?

— ხვალ დილით ვნახოთ, რას გვეტყვის არამ მასწავლებელი. დღეს ეს კმარა,—უთხრა ამხანაგებს კამომ.—არმენ, ეს სურათები ხვალ სკოლაში წამოიღე, მხარეთმცოდნეობის კაბინეტში ერთ კუთხეს გამოვყოფთ, ზემოთ „ნორჩ ნატურალისტთა კუთხეს“ წავაწერთ და ყველა სურათს თავის ახსნა-განმარტებას გავუკეთებთ. ახლა კი შინ წავიდეთ.

ნორჩ ნატურალისტების საინტერესო მეგობები

დილით კამომ და არმენმა აიღეს ფოტოსურათები და სოფლის პირველადი პარტორგანიზაციის მდივანთან და საშუალო სკოლის ბუნებისმეტყველების მასწავლებელ არამ აკოფიანთან წავიდნენ. მალე გრიქორმაც მოირბინა.

ჰაბუკებმა მასწავლებელს უამბეს ყველაფერი, რაც ნახეს: საკვირველი აუზის მოძრავი კუნძულების, მცურავი ბუდისა და გრიალის შესახებ.

ისინი მასწავლებლის სახლის აივანზე საუბრობდნენ, ცოტახნის შემდეგ იქ თავი მოიყარეს მოხუცმა გლეხებმა, ქალებმა და ბავშვებმა.

კამომ ჯიბიდან გილის ტბის ახლადდახაზული რუკა ამოიღო და მაგიდაზე გაშალა.

— აი ამ აუზში გრიალებს ჩვენი „გველეშაპი“, — უთხრა არმენმა.

— ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ ვერ გაიგეთ, რა იწვევს გრიალს? — ჰკითხა მასწავლებელმა და თან რუკას გადაავლო თვალი.

— აი, რაც ვნახეთ, — მიუგო კამომ და გადიდებული სურათი წინ დაუდო მაგიდაზე.

— ჩემი თვალით ვნახე, წყალი სვეტად მაღლა რომ ავარდა,— მედიდურად წამოიძახა გრიქორმა, — ასე არ იყო, კამო?

— კი, — თავი დაუქნია კამომ.

მასწავლებელი დაფიქრებული აკვირდებოდა სურათს.

— თქვენ ნამდვილად იცით, რომ გრიალის მიზეზი ეს არის?— იკითხა მან.

— დიახ... ორჯერ განმეორდა... როცა ფოტოაპარატით მომზადებული ველოდებოდი, უეცრად წყალი მაღლა ავარდა, თითქოს ქვევიდან ვიღაც უბერავსო, და უცებ საშინელი გრიალი გაისმა, აღელვებული წყლის ტალღები ნაპირებს მიაწყდა, — მიუგო კამომ.

— თითქოს ქვემოდან შეუბერესო? — თვალების ხამხამით იკითხა ერთმა მოხუცმა, — მაშ ნამდვილი ყოფილა, რომ ამბობენ, გველეშაპი ზის ტბის ფსკერზე და უბერავსო...

თავმოყრილმა ბავშვებმა მოხუცის მიამიტ სიტყვებზე გადიხარხარეს.

— რატომ, თეთრმა კამეჩმა რომ წყალქვეშ დაიბღავლოს, განა წყალი ასე არ ავარდება? — გამოეხმაურა სხვა მოხუცი.

— ეგ როგორ შეიძლება? — შენიშნა პირველმა, — კამეჩს სად აქვს იმდენი ძალა, რომ წყალი ისე მაღლა ააგდოს? უსათუოდ გველეშაპია.

— აბა წყალში ჩადი და იქიდან შეუბერე, დაინახავ წყალი როგორ აჩუხჩუხდება, წყლის კამეჩს შენზე ოცჯერ მეტი ღონე არ ექნება?..

მოხუცების გულუბრყვილო კამათი ყველას ღიმს ჰგვრიდა.

ამ ცხარე კამათის დროს პაპა ასატური მოვიდა. სურათს რომ შეხედა, თქვა:

— ეს არის დევის სურათი?.. ეს არის რომ გრიალებს?.. ამას ხომ არც პირი აქვს და არც რქები?

— რქები რატომ უნდა ჰქონდეს? — გაუკვირდა არმენს.

— ხომ ამბობენ, ეშმაკს რქები აქვსო, — თავი იმართლა მოხუცმა. — მაგრამ ჩემს შვილიშვილს ლომის გული ჰქონია, — თავმომწონედ წარმოთქვა მოხუცმა და მკერდზე მედლები გაისწორა,— მაგას კი ვენაცვალე, ვისი შვილიშვილია რომ... აბა, მაგის გარდა სხვა ვინ გადაუღებდა დევს სურათს, — ჩვეულებისამებრ, პაპა ასატურმა ხანჯალზე წაივლო ხელი და ამაყად გადახედა დამსწრეებს.

პაპა ასატურის ლაპარაკზე ყველას ტკბილად გაეღიმა. მასწავლებელი არამ აკოფიანი კი ღრმა ფიქრებში იყო წასული, ეტყობოდა, არაფერი გაუგონია.

— ეგ ყველაფერი, რასაკვირველია, სისულელეა, — თქვა მან ბოლოს. — არა მგონია, ჩვენ სოფელში კიდევ დარჩენილიყოს ვინმე, ვისაც ეშმაკების არსებობა სწამს, მაგრამ, მართალი გით–

ხრათ, ეს მოვლენა მეტად საინტერესოა და საიდუმლოებით მოცული. ეს საიდუმლოება უნდა ამოვხსნათ, ამ საქმეში კი მეცნიერება დაგვეხმარება. ჩემის აზრით, ეს მოვლენა მიწისქვეშა გაზებით უნდა იყოს გამოწვეული. გრიალის შემდეგ სუნი არ გიგრძვნიათ?

— არა, არავითარი სუნი არ გვიგრძვნია.

—ყოველ შემთხვევაში, გაუგებარი ამბავია. მე მეცნიერებათა აკადემიას მივწერ და სურათებსაც გავუგზავნი. ალბათ სამეცნიერო ექსპედიციას გამოგზავნიან გილის ტბის შესასწავლად... მართლა, გავიგე, რომ ლელიანიდან ბევრი კვერცხი მოგიტანიათ... მაგრამ, რა აზრი ჰქონდა გარეული ფრინველების ბუდეების განადგურებას, — ჰკითხა მასწავლებელმა.

— ჩვენ ბუდეებს არ ვანგრევთ, — მიუგო კამომ, — ფერმა უნდა მოვაწყოთ.

— მერე?

კამო შეკრთა და გაჩუმდა.

— გარეული ფრინველების მოშინაურება გვინდა, მათ ბევრი კარგი თვისებები აქვთ, — ჩაერია ლაპარაკში არმენი.

— არ შეიძლება გავიგოთ, რა არის გარეული ფრინველების „კარგი თვისებები“, — კვლავ შეეკითხა არამ აკოფიანი, — ის ხომ არა, რომ მათ ფრენა იციან? ფრინველები, რომლებიც ზამთრობით თბილ ქვეყნებში მიფრინავენ, ვფიქრობ, ჩვენ არ გამოგვადგება.

ბიჭები შეწუხდნენ.

პაპა ასატური გამოესარჩლა.

— ბიჭებო, რას გაჩუმებულხართ? — წამოიძახა მან და ხუმრობით ხელი ხანჯალზე იტაცა, — განა არ იცით, რომ გარეული ბატი შინაურზე უფრო დიდია? თანაც ერთმანეთში შევურევთ და დიდ ბატის ჯიშს მივიღებთ, ისინი სიცივის კარგი ამტანები იქნებიან და გამოკვებაც გაადვილდება.

— აბა, თქვენ რას იტყვით, ნორჩო ნატურალისტებო? — ჰკითხა მათ მასწავლებელმა.

— იცით რა, პატივცემულო მასწავლებელო, — გაუბედავად დაიწყო არმენმა. — მე ერთ წიგნში წავიკითხე, რომ სულ სამოცდათხუთმეტი სახის გარეული ბატი არსებობს. აქედან მხოლოდ ერთია მოშინაურებული. პაპა ასატური კი ამბობს, რომ გარეულ ბატებს შორის ბევრი კარგი ჯიში არისო. ასე არ არის, პაპა?

პაპა ასატურმა დასტურის ნიშნად თავი დაუქნია. არმენმა განაგრძო:

— აი, მაგალითად, წითელი იხვი ლამაზიც არის და დიდიც. ასევეა მარმარილოსებური იხვი, კიდევ რომელი დაგისახელოთ?

მოხუცი მონადირე ყმაწვილს მიეშველა.

— არამჯან, ბავშვებს კარგი საქმე წამოუწყიათ, აგერ გარეული ქათმის კვერცხები მოუტანიათ. თქვენ განსაჯეთ, სად გარეული ქათმის ხორცი და სად იხვისა. გარეული ქათამი ნამდვილი ხოხობია, ისეთი ჩიჩქვი და გემრიელი ხორცი აქვს... ისინი რომ მოვაშინაუროთ, ხანდახან დავკლათ და შილაფლავი გავაკეთოთ, ცუდი არ იქნება!

გრიქორი მანამდე მუნჯივით რომ იჯდა, ფლავის ხსენებაზე უცებ გამოცოცხლდა და წამოიძახა:

— იმ ყვითელგულა, თავმოტვლეპილი ქათმებისაგან კი ცუდი ფლავი გამოვა? შემოდგომაზე ჯოხით მოვკალი ერთი, თავის ქონში შევწვი, იმდენი ცხიმი გამოუშვა, რომ კარტოფილსაც ეყო და ერთი ჭიქაც გადარჩა. ისიც მოვაშინაუროთ, ვნახოთ, რა შედეგს მოგვცემს.

არავინ მოელოდა, რომ გრიქორი, ყველაფერს რომ ხუმრობაში ატარებდა, ასეთ სერიოზულ აზრს გამოთქვამდა.

— წითელ იხვებსაც მოვაშინაურებთ... ისინიც საკმაოდ მოზრდილი და ლამაზი ფრინველები არიან, — მორცხვად წარმოთქვა ჰასმიკმა.

— თუ ასეა სხვა ჯიშის იხვებიც არის, რომლებიც ბატის ტოლები არიან და ბევრ ხორცსაც მოგვცემენ, — კვლავ ჩაერია ლაპარაკში გრიქორი.

პაპა ასატურმა ჩაიცინა.

— სადაც საჭმელია, შენ სულ იქით მიიწევ, — უთხრა მან. — ყველა იხვის მოშინაურებას არავითარი აზრი არა აქვს, ზოგი, მართალია, დიდია, მაგრამ ხორცი არ უვარგა, განა მარტო მსხვილი და თეთრი კვერცხებისათვის შეიძლება მათი შენახვა?

შემდეგ დაუმატა:

— სად გარეული ფრინველის ხორცი და სად შინაურისა!

პაპა ასატური მონადირე იყო და ასეც უნდა ემსჯელა.

გლეხებმა გარეული ფრინველები იმდენი აქეს და ადიდეს, რომ გამოდიოდა, თითქოს მართლაც ყველაფრით სჯობნიდნენ შინაურ ფრინველებს.

არამ აკოფიანმა, როგორც ბუნებისმეტყველმა, კარგად იცოდა, რომ ადამიანმა საუკუნეების მანძილზე შინაურ ფრინველებს საუკეთესო თვისებები შთაუნერგა. მაგრამ ისიც იცოდა, რომ შინაურ ფრინველებში გარეული ფრინველების მთელი რიგი დადებითი თვისებების გადმონერგვა ცუდი არ იქნებოდა.

— კარგით, — თქვა მან, — გარეული ფრინველების კარგი თვისებები მართლაც შეიძლება განვავითაროთ. იმასაც გეტყვით, რომ გარეული ბატის ბუმბული შინაურისაზე უკეთესია და საკმაოდ ძვირადაც ფასობს...

— ბოლოს მაინც დაგვეთანხმა, — გახარებულმა კამომ ყურში ჩასჩურჩულა არმენს.

— მხოლოდ უნდა იცოდეთ, რომ გარეული ფრინველების მოშინაურება და ჰიბრიდიზაცია ძნელი და სერიოზული საქმეა. მას ჩვეულებრივად სამეცნიერო დაწესებულებები და საცდელი სადგურები აწარმოებენ. რას ფიქრობთ, თქვენს ღონეს ხომ აო აღემატება ეს საქმე? — უთხრა მასწავლებელმა.

მისი პასუხი ცივი წყალივით გადაესხა ჭაბუკების აღფრთოვანებას.

ჰასმიკის დედა ანაჰიტი ის იყო მოსულიყო, კუთხეში მიმდგარიყო და საუბარს უსმენდა.

— დედი, ხმა ამოიღე, — შეეხვეწა ჰასმიკი, — შენი აზრი თქვი ამის შესახებ...

ჰასმიკის დედა მეტად მოკრძალებული და თავაზიანი ქალი იყო, შვილის ხვეწნა შეიწყნარა და დაბალი ხმით წარმოთქვა:

— ეგ სულ უბრალო საქმეა... მეცნიერების შეუწუხებლადაც შეიძლება მოვაგვაროთ.

— ანაჰიტ, აბა ერთი აქეთ მოდი, — გამხნევდა მოხუცი მონადირე, — ერთი გვიამბე, როგორ აშინაურებ გარეულ ფრინველებს?

— აბა, რა უნდა გიამბოთ? — მოკრძალებით განაცხადა ანაჰიტმა, — კრუხს დავსვამთ, ბარტყები გამოიჩეკებიან, მორჩა და გათავდა... მე ეს ჩვენს სოფელში ვისწავლე. მოგეხსენებათ, ლჭავანში რძლად მომიყვანეს ტბის გაღმა სოფელ გომაძორიდან. ზანგუ ხომ მაშინ ტბიდან გამოდიოდა. ჩვენი სოფლის წინ მდინარე დიდდებოდა, ნაპირებიდან გადმოდიოდა და მიდამოებს აჭაობებდა. ჩემი ბავშვობის დროს იქ ჭაობი იყო. ახლა კი სულ სხვაა: ზანგუ

გვირაბით მოედინება, ჭაობი კი ამოაშრეს, ლულიანი გადაწვეს და...

— ანაჰიტ, შენ ფრინველების შესახებ გვიამბე, — სიტყვა შეაწყვეტინა ასატურმა,—ზანგუზე ჩვენც ბევრი ვიცით.

— ჰო, იმისი თქმა მინდოდა, — გაწითლდა ანაჰიტი, — რომ ჩვენი სოფლის მახლობლად მაშინ დიდი ლელიანი იყო. ყოველ გაზაფხულს ათასნაირი ფრინველი მოფრინდებოდა ხოლმე და ამ ლულიანში ბუდეს იკეთებდა. ჩვენ კვერცხების შესაგროვებლად მივდიოდით, კრუხს ვულაგებდით და ბარტყებს ვაჩეკინებდით... ხანდახან იხვის პატარა ჭუჭულებსაც ვიპერდით, სახლში მოგვყავდა და ვაშინაურებდით. ძველად გომაძორში ვერც ერთ ოჯახს ვერ ნახავდით, რომელსაც გარეული იხვის ან ბატის ჭუჭულები არა ჰყოლოდა.

— მაშასადამე, გარეული ფრინველების მოშინაურება შესაძლებელი ყოფილა და ეს ახალი ამბავი არ არის? — შეეკითხა მასწავლებელი.

— რა თქმა უნდა, ახალი ამბავი არ არის, ყველამ იცის, ვისაც გინდათ ჰკითხეთ. მე შარშანაც კი დავულაგე ქათამს გარეული იხვის კვერცხები, მე ამას მხოლოდ ჩვენთვის ვაკეთებდი, ბავშვებს კი კოლმეურნეობის სასარგებლოდ სურთ გააკეთონ ეს საქმე.

— როგორ მოაშინაურეთ? ნუთუ არ მიფრინავდნენ?

— როგორ მოვაშინაურეთ? მოშინაურება ძნელი საქმე არ არის, კვერცხებს კრუხს დავუწყობთ, როცა წიწილა გამოიჩეკება და თვალს გაახელს, დაინახავს ქათამს, ძაღლს, ადამიანს... მართალია, პირველად გარეულებივით იქცევიან, მაგრამ შემდეგში თანდათან ეჩვევიან. ისინი ხედავენ, რომ ქათმის წიწილა ადამიანს არ ერიდება, არ გაურბის, საკვებს მისგან იღებს და თვითონაც შინაური ხდება.

— ეგ ადამიანის გავლენაა. ადამიანი ახალი გარემოს შექმნით აქ ფრინველებში თანდათან ანელებს ველურ ინსტინქტებს და მათთვის სასარგებლოდ სცვლის, — თქვა მასწავლებელმა არამ აკოფიანმა.—აი ხედავთ, უბრალო კოლმეურნე ქალმა თავისი ამ უბრალო მონათხრობით როგორ მოაქცია ჩიხში ვეისმანისტები და მორგანისტები. ანაჰიტი მეტად პრინციპულ საკითხს შეეხო: ცვალებადია თუ არა მემკვიდრეობითი თვისებები?

— ვინა, ვინა? — ჰკითხა პაპამ და თან ხელი ყურზე მიიფარა, — რა სთქვი, ვინაო? ვეის... მორგ...

— ისინი, პაპა, საზღვარგარეთელი მეცნიერები არიან.

— ოჰო, მაშ ანაჰიტმა საზღვარგარეთელი მეცნიერები გააცამტვერა? თავისი ჭკუით კაცი ყველაფერს მიაღწევს ისე, როგორც ეჭ, არა? ჩემი გამოცდილებით დარვინს ხშირად რომ ვაყენებ ხოლმე უხერხულ მდგომარეობაში.

— დარვინს უხერხულ მდგომარეობაში კი არ აყენებ, — გაიცინა მასწავლებელმა, — არამედ მონადირის გამოცდილებით ამტკიცებ იმას, რაც ასი წლის წინათ დარვინმა თქვა. ანაჰიტმა კი მართლაც რომ მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა ამერიკელი „მეცნიერი“ მორგანი.

დამსწრეებმა ყურები ცქვიტეს. ანაჰიტი აწითლებული და თავჩაქინდრული იდგა, მასწავლებელმა კი შესაფერი მომენტით ისარგებლა და კოლმეურნეებს მიჩურინული მეცნიერების შესახებ უამბო.

— დიახ, ანაჰიტის წამოყენებული საკითხი პრინციპული ხასიათისაა, — გაიმეორა მან. — ამერიკელი მეცნიერები მორგანის მეთაურობით ამტკიცებენ, რომ ცხოველის და მცენარის მემკვიდრეობით მიღებული თვისებები უცვლელია. მაგალითად, მათი აზრით, გარეული იხვის კვერცხიდან გამოჩეკილ წიწილას თავისი შშობელი გადასცემს ყველა თვისებას და ჩვეულებას. რომლებიც უცვლელი რჩება, ტყუილად ეცდებით შეუცვალოთ მას ხასიათი, შეუფარდოთ ის ადამიანის საჭიროებას. სულ ერთია არაფერი გამოვა. ამით იმის თქმა უნდათ, რომ ბუნების კანონების წინააღმდეგ რუ იბრძოლებთ: ზედმეტი და უნაყოფოა... მაგრამ მათ არ ეთანხმებიან მიჩურინი, ლისენკო და მათი მოწაფეები; ჩვენი საბჭოთა ბიოლოგია ამტკიცებს, რომ მემკვიდრეობითი თვისებები შეიძლება ცვალებადი იყოს, მოახდინე გავლენა მცენარეზე, ცხოველზე, შეუქმენი ახალი გარემო და მათ თვისებებსაც შესაფერი ადამიანის სასარგებლოდ. თუ ახალ, ჩვენთვის სასარგებლო თვისებებს განავითარებთ მცენარეში ან ცხოველში, მაშინ ეს თვისებებიც მემკვიდრეობით გადაეცემა შემდეგ თაობას. სწორედ ამის შედეგად იყო, რომ კოსტრომის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „ალრავაევოში“ საბჭოთა მეცნიერებმა ადგილობრივ მოწინავე მეცხოველეებთან ერთად, ათ-თორმეტ წელში მიჩურინული მეთოდით მსოფლიოში ყველაზე პროდუქტიული ძროხები გამოზარდეს, ეს ძროხები წელიწადში ოცდაათ-ორმოც ფუთ ერბოს იძლევიან და

მათ დიდი ხანია უკან მოიტოვეს მორგანის სამშობლოს „განთქმული“ ძროხები...

მასწავლებელმა კოლმეურნეებს გადახედა და მათ თვალებში სიაღვნება და კმაყოფილება ამოიკითხა.

— ხალხს ათი წლის მანძილზე ასეთი ჯიშის ძროხები ყამოუზრდია და ნუთუ ჩვენ ვერ შევძლებთ კვერცხებიდან ბარტყების გამოჩეკვას და ფერმის დაარსებას?—გულნაწყენად წარმოიძახა კამომ.

— თუ ხელთ გექნებათ მიჩურინული იარაღი, მაგ საქმესაც მოაგვარებთ. — დაეთანხმა მასწავლებელი. — ანაჰიტის ნაამბობმა დამარწმუნა, რომ ასეთი ამოცანის გადაწყვეტა ჩვენც შეგვიძლია. მხოლოდ საჭირო იქნება დაწვრილებით გაეცნოთ და შეისწავლოთ წიგნები მეფრინველეობის შესახებ, მჭიდრო კავშირი დაამყაროთ რაიონის მეფრინველეობის რწმუნებულთან და მისი მითითებებით იმოქმედოთ. რაც შეეხება დახმარებას, მაგაზე ფიქრიც ზედმეტია, — უთხრა არამ აკოფიანმა, — დახმარების იმედი მუდამ იქონიეთ. თქვენი ფერმის საუკეთესო ფრინველებით შეგიძლიათ მეტიზაცია უყოთ შინაურ ფრინველებს. შედეგად, გეყოლებათ ნამდვილი შინაური წყლის ქათამი, საკმაოდ მოზრდილი იხვის ჯიშები და სხვა. სცადეთ ერთი, რას მიიღებთ...

დამსწრენი თანდათან დაიშალნენ. დარჩნენ მხოლოდ ჩვენი ნორჩი ნატურალისტები და პაპა ასატური.

კამო ძლივს იკავებდა სიხარულს.

— ჩვენ დღეს კრუხების შეგროვებას შევუდგებით, კვერცხი ძალიან ბევრი გვაქვს მოტანილი და ალბათ ინკუბატორიც დაგვჭირდება, პატივცემულო მასწავლებელო, მაგრამ თავმჯდომარე ისეთი მკაცრი კაცია, რომ მასთან ლაპარაკს ვინ გაბედავს? — შესჩივლა კამომ.

— თქვენ მას კარგად არ იცნობთ. წადი და ჩემი სახელით სთხოვე ორი ინკუბატორი... ერთ-ერთი თქვენგანი კი რაიონის ცენტრში ბატარეების შესაძენად წავიდეს. აჰა ფული. — მასწავლებელმა მაგიდის უჯრიდან ქაღალდის ფულები ამოიღო, კამოს გაუწოდა.

კამო ყურებამდე გაწითლდა.

— ჩვენ თვითონ... პატივცემულო მასწავლებელო, — ბორძიკით უთხრა მან.

— არაფერია, აიღე. არ გინდათ ფერმაში შემიამხანაგოთ? — ჰკითხა ღიმილით,—კვერცხები თქვენი იყოს, ბატარეები ჩემი.

— ბატარეა მცირე ენერგიას იძლევა, იმით არ შეიძლება, უკეთესი არ იქნება, რომ უბრალო ლამპით გავათბოთ ინკუბატორები? — გაუბედავად შენიშნა არმენმა.

— ლამპით ძნელია... თანაბარი სითბოა საჭირო. თუ დაგვჭირდება, რამდენიმე აკუმულატორს შევიძენთ, შევაერთებთ და ენერგიაც მეტი გვექნება. თუ ინკუბატორი პატარა იქნება, ერთი აკუმულატორი დაგვჭირდება.

— მართალია, მაგრამ აკუმულატორის ენერგია მხოლოდ რამდენიმე დღეს ეყოფა, — წარმოთქვა არმენმა.

— მაშინ მზად ვიქონიებთ რამდენიმე დატენილ აკუმულატორს, როგორც კი ტემპერატურა დაიწევს ინკუბატორში, ახალს მივაშველებთ, ძველს კი მანქანა-ტრაქტორთა სადგურში წავიღებთ და ხელახლა დავმუხტავთ.

— რატომ მანქანა-ტრაქტორთა სადგურში, ეს ხომ ჩვენ კოლმეურნეობაშიც შეიძლება გავაკეთოთ? ჩვენ ხომ გვაქვს სატვირთო და მსუბუქი მანქანები, — მიუგო კამომ.

— რა თქმა უნდა, შეიძლება, მაგრამ თქვენ ხომ ბევრი აკუმულატორი დაგჭირდებათ,—მიუგო მასწავლებელმა,—მე ძოველაპარაკები მანქანა-ტრაქტორთა სადგურის დირექტორს, დავარწმუნებ, რომ ერთი თვით რამდენიმე აკუმულატორი გვათხოვოს.

ბიჭები მხიარულად დაემშვიდობნენ მასწავლებელს.

კიბეზე რომ ჩადიოდნენ, მასწავლებელმა შეაჩერა:

— მოითმინეთ, რაც მთავარია, დამავიწყდა... წყლის ფრინველთა ფერმის დამაარსებელს, პირველ რიგში წყალზე უნდა ეზრუნა. მითხარით, თქვენმა იხვებმა და წყლის ქათმებმა სად უნდა იცურაონ და იბანაონ?

— მართალია, უწყლოდ არ შეიძლება, — უპასუხა კამომ, — ჩვენი სოფელი კი წყლით მეტად ღარიბია, მიუხედავად იმისა, რომ სევანში წყალი ბევრია...

კამო დაიბნა. მერე უცბად რაღაც მოაგონდა და მხიარულად წამოიძახა:

— ჩვენი სოფლის ახლოს პატარა ღელეს შევაგუებებთ.

— ეგ შეიძლება, პიონერული შაბათობა მოაწყეთ და კარგი აუზი ამოთხარეთ.

— აი, კარგი საქმე, შიგაც თევზებს მოვამრავლებთ, — მხიარულად წამოიძახა გრიქორმა და ჰასმიკს ყურში ჩასჩურჩულა: — თევზები რომ გაიზრდებიან, ო ვიჭერთ და შევახრამუნებთ.

მასწავლებელმა გრიქორის სიტყვებს ყური მოჰკრა და გაიღიმა.

— მოაწყეთ მაგრამ, სანამ დაიზრდებიან და საქმელად გამოდგებიან ღელეში წყალი დაშრება, — უპასუხა მასწავლებელმა, — ხომ იცით, რომ ჩვენი ღელის იმედით არ შეიძლება იყოთ, გვალვის დროს შრება.

— მართალია, ჩვენს აუზში ცოტა ხანს იქნება წყალი, — თქვა კამომ და გამოსვლისას დაუმატა: — მაგრამ მერე ვიზრუნებთ წყლის მუდმივ მარაგზე.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე

საღამოს კამო კოლმეურნეობის კანტორაში წავიდა.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბაგრატი და მასწავლებელი. არამ აკოფიანი მაგიდას უსხდნენ და რაღაც საკითხზე ხმადაბლა საუბრობდნენ.

კამო კარებთან შეჩერდა, არ იცოდა შესულიყო თუ არა. კამოს დანახვაზე ბაგრატი და არამი მაშინვე გაჩუმდნენ, ერთმანეთს მრავალმნიშვნელოვნად გადახედეს და წამოდგნენ.

— მოხვედი, კამო? აბა ერთი თქვენი გეგმები გააცანი თავმჯდომარეს, მე, რაც საჭირო იყო, უკვე ვუთხარი.

მასწავლებელმა თავმჯდომარეს მაგრად ჩამოართვა ხელი და გავიდა.

ბაგრატი კარგი მოყვანილობის, ჩასხმული, ყოველთვის თავშეკავებული და სერიოზული კაცი იყო.

ბაგრატს მკერდს უმშვენებდა ორდენები და მედლები, რომლებიც სამშობლოსათვის. მის თავდადებულ ბრძოლაზე მეტყველებდა. მან მკაცრად გადახედა კამოს.

კამოს სერიოზული ახსნა-განმარტების მოსმენის შემდეგ თავმჯდომარე ჩაფიქრებული დიდხანს ათამაშებდა თითებს მაგიდაზე.

— ჰმ... — თქვა მან ბოლოს, — თქვენი ფრინველები რომ გაფრინდნენ, მერე ხარჯებს შენ გაიღებ?

— არ გაფრინდებიან, ფრთებს დავაჭრით... ეს დიდი წამოწყებაა, ამხანაგო ბაგრატ. მასწავლებელმა გვითხრა, რომ ჩვენ ჰრინ-

ციპული მნიშვნელობის საკითხს ვწყვეტთ, რომ ჩვენ გამანადგურებელ ლახვარს ვცემთ ამერიკელი მორგანის „თეორიას“, რომელიც...—თავმჯდომარეს ულვაშებში ჩაეცინა.

— შენ ახალი რამ თქვი, მორგანს ჩვენ ყოველდღე ვანადგურებთ,—სიტყვა შეაწყვეტინა თავმჯდომარემ,—სევანის პირად ხორბლის ახალი „სომხური ჯიში“ რომ მივიღეთ, როგორა გგონია, ამით მორგანი არ გავანადგურეთ?

კამოს რომ ადამიანების შეცნობა უფრო კარგად სცოდნოდა, უცებ მიხვდებოდა, რომ ნორჩი ნატურალისტების ინიციატივა თავმჯდომარეს ჭკუაში დაუჯდა.

— კარგი, გააკეთეთ თქვენი საქმე, გაანადგურეთ მორგანი,—თავმჯდომარეს გაეღიმა, ბოლოს სერიოზულად შეეკითხა:

— ახლა რას მოითხოვთ ჩემგან, რა გინდათ?

— ხალხი დაგვახმარეთ, ხელი შეგვიწყეთ, რითაც კი შეგიძლიათ, თქვენ ხომ ინკუბატორები გაქვთ. ორი გვათხოვეთ, არამ მასწავლებელმა გვითხრა, რომ ორი ინკუბატორი გამოართვითო.

— კარგი, რაკი ამხანაგი აკოფიანი შუამდგომლობს, მოგცემთ, ხოლო რასაც გააკეთებთ, ჩვენც გაგვაგებინეთ ხოლმე. აქ ხელმძღვანელობა არსებობს, სოფელს პატრონი ჰყავს,—თქვა და საწყობის გამგის სახელზე განკარგულება დაწერა, რომ ორი თავისუფალი ინკუბატორი კამოსათვის მიეცათ.

როცა კამომ მადლობა გადაუხადა და წასასვლელად მიტრიალდა, თავმჯდომარემ შეაჩერა.

— კომკავშირის კრებაზე თუ განიხილე ფერმის დაარსების საკითხი.

— როდის განვიხილავდი, ბიძია ბაგრატ,—თავი იმართლა კამომ.—გილის სურათის გამომჟღავნებასა და დაბეჭდვას დრო არ უნდოდა?

— ხომ ვამბობ, ანარქიაა-მეთქი,—შეაწყვეტინა თავმჯდომარემ,—ნახევარი საათით მაინც შეკრიბე კომკავშირელები, ინფორმაცია გაუკეთე, დადგენილება გამოიტანეთ, ასლები თქვენს რაიკომსა და კოლმეურნეობის გამგეობას გადაუგზავნეთ.

— ძალიან კარგი, დღესვე გავაკეთებთ.

კამო სოფელ ლეკვანის საშუალო სკოლის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი იყო. იმავე საღამოს გამართულ კრებაზე კომკავშირელთა შორის დიდი აღფრთოვანება გამოიწვია გარეული ფრინველების ფერმის დაარსების ამბავმა.

— როგორც დიდი მიჩურინი იღებდა ხეხილის ჰიბრიდს და ნაყოფის ჯიშებს აუმჯობესებდა, ასევე მეტიზაციის გზით ჩვენც შევძლებთ ახალი ჯიშის ფრინველების გამოყვანას,—განაცხადა არმენმა.

კრებაზე დაადგინეს, რომ სთხოვონ რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილებას, ლუკავანში მოავლინოს მეფრინველეობის ინსტრუქტორი, რჩევა-დარიგების მისაცემად და ხელმძღვანელობის გასაწევად.

კამოს კლასის ერთმა ამხანაგმა, არტუშმა, კრებაზე ვერ გაბედა ფერმის დაარსების წინააღმდეგ სიტყვის თქმა, მაგრამ კრების დამთავრების შემდეგ ამხანაგების ერთი ჯგუფი შეკრიბა და რაღაცას აღშფოთებული ეჩურჩულებოდა.

— განა ჩვენ შორის სხვა არავინ არის ჭკვიანი, რომ ხელმძღვანელობა ქალაქიდან ჩამოსული ბიჭისათვის არ მიგვენდო?

კამო მართლაც „ქალაქელი“ იყო, ერევნიდან ჩამოსული. მისი დედა, პაპა ასატურის შვილი, გათხოვილი ყოფილა ერთ ერევნელ მჭედელზე, როცა სამამულო ომი დაიწყო და კამოს მამა სამსონი ჯარში წაიყვანეს, დედა ბავშვით მშობლიურ სოფელში, ლუკავანში მამასთან დაბრუნდა.

აქ კამოს დედას კოლმეურნეობაში შესაფერი სამუშაო შეურჩიეს. კამო კი სკოლაში მიაბარეს.

ომის დამთავრების შემდეგ კამოს მამა ფრონტიდან სოფელში დაბრუნდა და რამდენიმე ხანს კოლმეურნეობაში მუშაობდა.

ბაგრატმა, რომელიც სამამულო ომიდან დაბრუნების შემდეგ კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს, სთხოვა სამსონს, თუნდაც დროებით ემუშავა მასთან, სანამ კამო სკოლას დაამთავრებდა, სამჭედლო წესრიგში მოეყვანა და მანქანებიც შეეკეთებინა. სამსონიც დათანხმდა.

— კარგი, დავრჩები და ვიმუშავებ თქვენთან,—გადაწყვიტა მან.

კამო კარგად სწავლობდა. ამხანაგებს უყვარდათ. იგი კომკავშირის ორგანიზაციის მდივნად აირჩიეს. მაგრამ მისი წარმატებანი და ზისდამი ამხანაგების სიყვარული აღიზიანებდა არტუშს. ის დარწმუნებული იყო, კამოს რომ მათთან არ ესწავლა, მას აირჩევდნენ კომკავშირის ორგანიზაციის მდივნად. არტუშს შური გულს უღრღნიდა.

კამო ცდილობდა არტუშის გამოსწორებას, მასთან მეგობრულ დამოკიდებულების დამყარებას, მაგრამ მიზანს ჯერჯერობით ვერ აღწევდა.

მეორე დღეს თვალებდასიებული არმენი გაცხარებული მუშაობდა, ეტყობოდა, რომ ღამე უძილოდ გაეტარებინა. მას დაესუფთავებინა და წესრიგში მოეყვანა ინკუბატორები, კოლმეურნეობის ავტომძღოლთან ერთად რაიონის ცენტრიდან ბატარეები ჩამოეტანა და ფარდულში ცდებს აწარმოებდა. მრავალი ცდის საშუალებით არმენს უნდა გამოერკვია რამდენი ბატარეის და ლამპის ძალა იყო საჭირო, რომ ინკუბატორში ტემპერატურა 39 გრადუსამდე ასულიყო. სანამ არმენი ამ საქმით იყო გართული, პაპა ასატური შორიახლო იჯდა, კამოს და გრიქორს ხელით ანიშნებდა კრინტი არ დასძრათ, არმენს ხელი არ შეუშალოთო.

ბოლოს არმენი გახარებული გამოვიდა ფარდულიდან.

— მზად არის, შეგიძლიათ კვერცხები ჩააწყოთ,—განაცხადა მან.

ყმაწვილები სიხარულით ფარდულში შეცვივდნენ. პაპა ასატურიც შეჰყვა.

— აქ უნდა ჩააწყოთ კვერცხები?—იკითხა პაპა ასატურმა და უკმაყოფილოდ გადახედა ინკუბატორებს.

— დიახ.. აფსუს, რომ დიდები არ არის, ას-ასი კვერცხი ეტევა მხოლოდ,—თქვა კამომ.

— ბიჭებო, თავი დაანებეთ მაგ რკინის კრუხს, კვერცხები გალაყდება, მთელი სოფელი სასაცილოდ აგიგდებთ.

— ვითომ რატომ უნდა გალაყდნენ?

— ამ ცივ რკინაში რა გამოიჩეკება?..

— პაპა, ისე ლაპარაკობ, თითქოს ჩვენ სოფელში წიწილებს პირველად ჩეკავდნენ ინკუბატორით,—მიუგო არმენმა.

— აბა, მე რა ვიცი, დღენიადაგ მინდორში ვარ, ან ვნადირობ, ან კოლმეურნეობის მინდვრებს ვყარაულობ, რკინის კრუხს სადა ვნახავდი?—თავი იმართლა მოხუცმა.

— დღეიდან ჩვენი ფერმა გახსნილად შეიძლება გამოვაცხადოთ, —განაცხადა კამომ,—ჰასმიკს ფერმის გამგედ ვნიშნავ. არმენ, შენ თვალყური უნდა ადევნო, რომ ინკუბატორებში მუდამ ერთნაირი ტემპერატურა იყოს დაცული. ბატარეებს დამუხტვა დასჭირდება თუ არა, უმალვე ზომები უნდა მიიღო. გრიქორი პიონერთა რაზმეულებთან ერთად ფერმას შემოღობავს, ჯერჯერობით ჩვენი ფერმა მხოლოდ ეს ფარდულია. რაც შეეხება ჩემს მონადირე პაპას, მას

ევალება თავისი თოფით და კაკანათით ფერმა მელიებისაგან დაიცვას.

— რაკი ინკუბატორები არ გვყოფნის, კრუხები ოჯახებიდან უნდა შევაგროვოთ. აბა, ბიჭებო, საქმეს შევუდგეთ,—განკარგულება გასცა კამომ და „რკინის კრუხები“ შინ შეატანინა.

— გრიქორ, წადი ჰასმიკს დაუძახე!

გრიქორმა ჰასმიკაანსთა მიირბინა და კარები დაუკაკუნა.

— ჰასმიკ, წამო, კრუხები ვიშოვოთ.

ჰასმიკი სახლიდან გამოხტა.

ისინი კარი-კარ დადიოდნენ და კრუხებსა თხოულობდნენ. მაგრამ, კრუხს აბა იმათ ვინ მისცემდა?

დაბრუნდნენ და კამოს და .არმენს შესჩივლეს:

— როგორც ეტყობა, ჩვენი ფერმის იდეა ამ ქალებს კარგად ვერ გაუგიათ,—მისთვის ჩვეული იუმორით თქვა გრიქორმა.

— არა, მიზეზი ის არის, რომ აგიტაციას ცუდად ეწევით,—უპასუხა კამომ.

— აგიტაციას კი კარგად ვეწევით, მაგრამ ერთმა ქალმა გვითხრა, ჯერ თქვენი კრუხები გამოიყვანეთ, მერე ჩვენ მოგცემთო.—უპასუხა ჰასმიკმა.

— აი სწორედ მაგაშია თქვენი მარცხის მიზეზი,—დინჯად უთხრა არმენმა.—მოდით, ამხანაგებო, ჩვენი მშობლები დავარწმუნოთ, თითო კრუხი მოგვცენ.

ყველანი შინისაკენ წავიდნენ, ზოგმა უკმაყოფილოდ, ზოგმაც სიამოვნებით გამოუყვანა თითო დაკრუხებული ქათამი და ბიჭებს გადასცა. მშობლებს არ სჯეროდათ მათი საქმის წარმატება, მაგრამ თავიანთ შვილებს „ხათრს“ არ უტეხდნენ. კამოს დედამ, რომელიც კეთილი ქალი იყო, პირდაპირ უთხრა:

— ვიცი, რომ მაგ საქმიდან არაფერი გამოვა, მაგრამ წაიყვანე, ეს ერთი ქათამი შენი ჭირის სანაცვლო იყოს...

გრიქორის დედა ცოტა გაჯიუტდა. შვილმა, ჩვეულებისამებრ, ლაპარაკი ოხუნჯობაში გაუტარა, დედა გააცინა:

— დედი, ნუ გეშინიან. ერთი ქათმის ნაცვლად, მთელ ბატალიონ წიწილებს მოგიყვან.

— შე სულელო, შენა, ნეტა არმენასავით სერიოზული როდის გახდები,—სიცილით უთხრა დედამ და საქათმის კარი გააღო.

— გავხდები, გავხდები, დედი, ჯერ დრო მაქვს, რა გეჩქარება.—ქათამი ხელიდან გამოსტაცა და გაიქცა.

ახლა ისინი უკვე ქათმებით ხელში დადიოდნენ, საჭესაც ეჭველა.

კოლმეურნეობის თავმჯდომარის ცოლმა და ბუნებისმეტყველების მასწავლებლის ცოლმა თითო ქათამი მისცეს.

დიდი აურზაური ატეხა სეთოს დედამ — სონამ. მთელ სოფელს მოედო მისი წივილ-კივილი. მართალია ჩვენს ბიჭებს მისთვის ქათამი არ უთხოვიათ, მაგრამ ის მაინც ყვიროდა და ხელებს იქნევდა:

— თქვენისთანა არამზადებს ქათმებს არ მივცემ.

— დეიდა, ფერმას ვაარსებთ,—გრიქორმა სცადა დაეწყნარებინა,—ფერმას, მერე ნახავ რამდენი ფრინველი გვეყოლება.

— დეიდა აშხენ,—მიმართა გრიქორმა სონას მეზობელს,—ერთი კრუხი გვათხოვეთ ოცდახუთი დღით, რამდენ წიწილასაც გამოჩეკავს, მის ნახევარს თქვენ მოგიყვანთ.

— ეი, სულელო, გარეული ბარტყი ძალიან არ გაგიჩერდება, როგორც კი კვერცხიდან თავს გამოყოფს, მაშინვე გაფრინდება, რომელ ნახევარსლა მისცემ...—დამცინავი სიცილით უპასუხა სეთომ.

კრუხების შეგროვება გრძელდებოდა.

— შენ ეი, ხმა ჩაიწყვიტე, თორემ ენას მოგაჭრი,—უცებ მოისმა უკნიდან პაპა ასატურის ბოხი ხმა.—ქალო ასტღიკ, ეი, სოლომის ქალო, ვისაც კრუხი გყავთ, გამოიყვანეთ, ძიეცით, მე დაგიბრუნებთ უკან... აბა, მალე ნუღარ აყოვნებთ,—ეუბნებოდა მეზობლებს ასატური.

სოფელში მოხუც მონადირეს პატივს სცემდნენ და უყვარდათ კიდევაც, რადგან ყველას ახსოვდა მისი სიკეთე, ყველას ეხმარებოდა. კეთილი გულის ადამიანი იყო, სტუმართმოყვარე. გარდა ამისა, სოფელში აღარავინ იყო დარჩენილი, რომ მისი ნანადირევის გემო არ ენახა.

— რახან ბიძია ასატური ამბობს, მაშ რაღაც კარგი საქმე იქნება,—თქვა ასტღიკმა და ქათმის გამოსაყვანად წავიდა.

მოხუცის სიტყვებმა გასჭრა, ორი ქათამი კიდევ მისცეს. სონა კი თავისთვის ბუტბუტებდა:

— ბავშვებს აყოლია... წვერისა მაინც რცხვენოდეს...

— ეი, სათოს ქალო,—მიუბრუნდა მას მოხუცი,—შენი ბუტბუტისა რა მცოდნია, სახეზე გეტყობა, რაღაც ცუდს ამბობ, გიცნობ რა შვილიცა ხარ. აბა შეხედე ამათ ესენიც იტყვიან, დედა გვყავსო,

და შენი შვილიც. ესენი სკოლაშიც პირველები არიან და ფერმასაც აარსებენ. მაგ ბუტბუტის ნაცვლად უმჯობესია შენი ბიჭი დაარიგო, რომ მთელი დღე ტყუილ-უბრალოდ ღობე-ყორეს არ ედებოდეს...

ბიჭები სახლიდან სახლში დადიოდნენ. კამო ყველას უხსნიდა თავის გეგმას გარეული ფრინველების ფერმის დაარსების შესახებ.

პაპა ასატური სერიოზული ტონით ეუბნებოდა ყველას:

— მიეცით, ბავშვებს, ხათრს ნუ გაუტეხთ...

მაგრამ, რაკი ჩვენი ჭაბუკები გულიანად მოეკიდნენ საქმეს და თანაც პაპა ასატურისთანა დამხმარე ჰყავდათ, რაღა დააბრკოლებდა მათ საქმეს.

ჯგუფი მოხუცი მონადირის კარს მიადგა.

— ეი, დედაკაცო, როგორც ვიცი, ერთი ქათამი დაგიკრუხდა, მოიტა, ბიჭებს აჩუქე,—უთხრა ცოლს პაპა ასატურმა.

მოხუცი ნარგიზი დაიბნა, ვერ გაეგო რისთვის უნდა გამოეყვანა კრუხი...

ჰასმიკმა ბატის კვერცხები უჩვენა და თავმომწონედ უთხრა:

— კრუხს უნდა დავუწყოთ, ყვითელი ქულა ჭუჭულები გამოიჩეკებიან, ბები...

— დამიდგეს თვალები,—წამოიძახა დედაბერმა,—ვის გაუგონია, რომ გარეული ფრინველის კვერცხი ქათამს დაუდონ? ეს რაღა გამოუგონიათ?..—და პირჯვარი გადაიწერა.

ჭაბუკებმა გაიცინეს.

— პირჯვარი ხომ გამოისახე, კმარა, ეშმაკი განდევნილია... ახლა მიდი და ქათამი გამოიყვანე,—უთხრა ასატურმა.

— ასატურ, კრუხი მეც მინდა დავსვა, უწიწილებოდ ხომ არ დავრჩებით?—უთხრა დედაბერმა.

— დედაკაცო, ვერ ხედავ, ქვეყანა გამოიცვალა, ხალხი ჯერ კოლექტივისთვისა ზრუნავს, მერე თავისთვის. ქათმები ცოტა გყავს? მოიყვა და კიდევ დაკრუხდებიან...

დედაბერმა ქათამი გამოუყვანა და ჭაბუკებს გადასცა.

საღამომდე მათ ცამეტამდე კრუხი შეაგროვეს.

მეორე დღეს ჩვენი ნორჩი ნატურალისტები კრუხების დასმის თადარიგს შეუდგნენ.

მათ არ იცოდნენ, როგორ ეთქვათ მასწავლებლისათვის, რომ გაკვეთილზე ბოლომდე ვერ დარჩებოდნენ, საჭირო იყო კრუხების დროულად დასმა.

დასვენებაზე ჰასმიკმა მეორე სართულზე აირბინა. იქ, სადაც კამოს და არმენის კლასები იყო, ორივენი დერეფანში ნახა; მათაც მოუსვენრობა ეტყობოდათ.

— ქათმები უკვერცხოდ გადაკრუხდებიან... ვთხოვოთ ბაბეთილებიდან გაგვანთავისუფლონ... გვაგვიანდება,—მიმართა ჰასმიკმა კამოს.

დამცინავი ღიმილით მიუხალოვდა არტუში.

— კრუხები უნდა დასვათ?.. ჰოო, დიდ საქმეს აკეთებთ! ჩვენი მდივნის აზრით გადაუდებელი ამოცანაა.—კამოს ცერად გადახედა და გაშორდა.

— დერეფანში რა გაყვირებს, გინდა ყველამ გაიგოს და დაგცინოს? გაკვეთილზე წადი, სანამ არ დამთავრდება, ვერსად წახვალ.

სკოლაში სასწრაფოდ გავრცელდა ხმა: გილიდან კვერცხები მოუტანიათ და კრუხებს სვამენო.

მეცადინეობის დამთავრებისთანავე ჩვენი ნორჩი ნატურალისტები კოლმეურნეობის ფარდულისაკენ გაიქცნენ კრუხებისათვის საბუდრების გასაკეთებლად. სკოლის ბავშვებიც ჟივილ-ხივილით უკან დაედევნენ.

„სად სვამენ კრუხს“, „რა კრუხებს სვამენ“... „გარეული კვერცხებია?...“—გაისმოდა ბავშვების წამოძახილები და ამ ხმაურში მკაფიოდ გამოირჩეოდა კამოს მოწინააღმდეგის, არტუშის ხმა:

—კამოს თავისი მდივნობა რაღაც უცნაურობით სურს უკვდავჰყოს.

— მაშ რა გგონიათ, კაცმა ხომ რამით უნდა ისახელოს თავი,— გამოეხმაურა მეორე.

კამომ უკან მოიხედა და დაუყვირა:

— აბა, სად მოხვალთ?..

მაგრამ გამგონი არავინ იყო. ყველა დაინტერესებული იყო გარეული კვერცხების ნახვით.

მისვლისთანავე სკოლის ბავშვებმა ფარდულის წინ ნახევარწრე შეკრეს, პიონერხელმძღვანელი არაქსი წამოდგა წინ:

— კამო, შეგვიშვი, ჩვენ დასახმარებლად მოვედით. ჩვენმა რაზმმა გადაწყვიტა კრუხებზე შეფობა იკისროს.

— შენ რაზმში ამ საქმის მცოდნეები არიან?—შეეკითხა კამო.

— არიან!

— მაშ, ჩვენი კრუხების შეფები ხართ?.. აბა ერთი გვიჩვენეთ როგორი შეფობა შეგიძლიათ,—გაიცინა კამომ,—მობრძანდით!

არაქსი შემოტრიალდა და თავის პიონერებს მიმართა:

— აბა, ამხანაგებო, აქეთ მოდით.

გოგონები ფარდულში შევიდნენ და ჰასმიკის მითითებით კრუხების დასმას შეუდგნენ.

— ახლა კი რბილი საბუდრები უნდა გავამზადოთ, აი ამ კედლის ძირას,—მიუთითა ჰასმიკმა, რომელიც ამ საქმის „სპეციალისტად“ ითვლებოდა.

ბავშვები საბუდრებში 10-15 კვერცხს აწყობდნენ, კრუხს სვამდნენ და ერთი ფეხით იქვე პალოზე აბამდნენ.

აუარებელი ხალხი და მათი ხმამაღალი ლაპარაკი კრუხებს აღიზიანებდა, კვერცხებზე არ სხდებოდნენ.

— რა ამბავია, მაიმუნს ხომ არ ათამაშებენ, ქათამი არ გინახავთ?—უყვიროდა მოხუცი მონადირე და ბავშვებს ფარდულიდან ერეკებოდა.

კვერცხების ნაწილი ზედმეტი აღმოჩნდა.

— ამათ რაღა ვუყოთ, პაპა?—ჰკითხა კამომ.

— ფერმის გამგეს მიმართე,—გაიღიმა მოხუცმა და ჰასმიკზე მიუთითა.

— მე ერთი წინადადება მაქვს,—თქვა სეთომ.—მაგ კვერცხებზე თქვენი ფერმის გამგე დასვით კრუხად...

ზოგმა გადაიხარხარა, ზოგიც გაუჯავრდა სეთოს.

ნაწყენმა ჰასმიკმა ტირილი დააპირა, პაპა ასატურმა ხანჯალზე იტაცა ხელი, სეთოსკენ გაიწია და თვალები დაუბრიალა:

— თუ ხელში ჩამივარდი, მელასავით გაგაძრობ ტყავს,—მიაძახა გაქცეულ სეთოს მონადირემ.

როცა ხალხი გაიფანტა, ჯგუფის ხელმძღვანელები სათათბიროდ დასხდნენ, თუ რა ექნათ ზედმეტი კვერცხებისათვის.

— დაგვრჩა თევზიყლაპიას, წყლის ყვავის და დედამთვრალას კვერცხები,—განაცხადა ჰასმიკმა.

— მოვხარშოთ და შევჭამოთ,—თქვა გრიქორმა.

— ბიჭო, შენ სულ ჭამაზე უნდა ფიქრობდე? თევზიყლაპიას კვერცხი იქმევა? უკეთესი იქნება თევზტრესტს ჩავაბაროთ,—ურჩია პაპა ასატურმა.

— მოდი, ეგენიც კრუხებს დავუწყოთ,—ახალი წინადადება შემოიტანა გრიქორმა.

— რატომ, რისთვის, გავამრავლოთ, რომ მერე თევზი მოსპონ?— გაოცებით შეეკითხა ჰასმიკი.

— უკეთესი იქნება,—თქვა არმენმა,—კვერცხები შევინახოთ და, როცა ჩვენი ბარტყები გამოიჩეკებიან, მაგ კვერცხის გულით ვკვებოთ.

— არმენი ყველაზე ჭკვიანი გამოდგა,—აღიარა კამომ.

— კარგი აზრია, ყუთებში ჩავაწყოთ, დაკლურსმოთ და აქვე სიგრილეში შევინახოთ.

ასეც მოიქცნენ.

შ ე ფ ე ბ ი

მოსწავლეთა შორის დღითი დღე იზრდებოდა ინტერესი ნორჩ ნატურალისტთა მიერ შექმნილი ფერმისადმი. სკოლის კომკავშირული ორგანიზაციის ბიუროს დადგენილების შესაბამისად პიონერთა რაზმების შეკრებებზე მიიღეს გადაწყვეტილება, თუ რით დახმარებოდნენ გარეული ფრინველების ახლადდაარსებულ ფერმას.

ორმა რაზმმა დაადგინა, რუს პირას წყალსატევი ამოეთხარათ.

ერთი რაზმის სხდომაზე კი წამოიჭრა საკითხი, თუ რით უნდა გამოეკვებათ კრუხები და მომავალი ბარტყები.

ერთმა განაცხადა:

— კოლმეურნეობა საკენკს მოგვცემს.

მას შეეპასუხნენ:

— მართალია, კოლმეურნეობა მოგვცემს საკენკს. მაგრამ ფერმა დავაარსეთ ჩვენ, მოსწავლეებმა და ჩვენც უნდა რამე ვიღონოთ, რატომ ყველაფერი კოლმეურნეობას უნდა მოვთხოვოთ, მინდორი სავსეა კალიებით, გილის მიდამოები კი ჭია-ღუით და ხავსით, წავიდეთ, მოვიტანოთ და გამოვკვებოთ.

— იცით რა?—თქვა ერთმა პიონერმა,—გარეულ იხვებს ძალიან უყვართ ლერწმის ფესვები და ყლორტები. გაკვეთილების შემდეგ წავიდეთ და მოვიტანოთ.

— ქათმებს კი ჭიანჭველების კვერცხები უყვართ,—ადგილიდან წამოიძახა მეორემ.

— რაო, ჩვენი ქათმების გასაძღომად გინდა, ჭიანჭველების ლამაზი ქალაქები გავანადგუროთ?—პროტესტი განაცხადა პირველმა პიონერმა.

— ლამაზი ქალაქები!—დაცინვის კილოთი მიუგო ბიჭმა,—ეს „ლამაზი ქალაქები“ კოლმეურნეობის სათიბებს აფუჭებენ. აბა, დაკვირდით, სადაც ჭიანჭველის გორებია, იქ ბალახი არ ამოდის, სა-

თიბი მანქანაც თავისუფლად ვერ მუშაობს. წავიდეთ, დავანგრიოთ ჭიანჭველის ბუდეები, კვერცხები კი ქათმებისათვის წამოვიღოთ. მერე იცით, რა კარგი და ნოყიერი საკვებია ფრინველებისათვის?..»

ერთ-ერთი რაზმის შეკრებაზე ზოგიერთმა პიონერმა ფერმაში მორიგეობის სურვილი გამოთქვა.

არაქსი კი თავისი რაზმის შეკრებაზე პიონერებს ეკითხებოდა:

— ერთი მითხარით, ფერმა თუ შემოღობილი არ იქნა, რაღ ივარგებს? ფარდული ირგვლივ ღიაა, ხვალ-ზეგ ბარტყები გამოიჩეკებიან და საქონელი ფეხით გათელავს...

— კატებიც მოიტაცებენ,—ადგილიდან წამოიძახა ერთმა გოგონამ.

— მარტო კატები კი არა? თუ ფერმა შემოღობილი არ იქნა, მელიები მუსრს გაავლებენ.

— ძალიან კარგი, მაგრამ რით შემოვღობოთ?—იკითხა ერთმა პიონერმა,—ტყე შორს არის, მავთულს კი ვინ მოგვცემს?—ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ დაუმატა:—ლერწმების დიდი მესერი შემოვავლოთ.

— არა, ძროხები დაანგრევენ,—უპასუხა არაქსმა.—უკეთესია ცოცხალი ღობე შემოვავლოთ, გაიზრდება და ხშირი გახდება.

— ცოცხალი? როგორ თუ ცოცხალი?—ახმაურდნენ პიონერები.

— ჩვეულებრივი ბუჩქები ფესვებიანად ამოვიღოთ, ფარდულის ირგვლივ ორმო ამოვთხაროთ და ჩავრგათ.

— მერე, სად ვიშოვით ბუჩქებს?

— გრიქორმა იცის, რომელი ბუჩქისაგან შეიძლება ცოცხალი ღობის გაშენება.

გრიქორი ის იყო შემოვიდა, არაქსის სიტყვების აზრს მიხვდა და აჩუქარებლად უპასუხა:

— ბუჩქი?.. გიჟი მთის მიდამოებში რამდენიც გინდათ, იმდენია! მხოლოდ საქმე მარტო მოტანაა.

— როგორ ფიქრობ, ჩვენი პიონერები მოტანას ვერ შესძლებენ? შენ მხოლოდ ადგილი გვაჩვენე, გვასწავლე, როგორ უნდა ამოვთხაროთ და...

— ჰოო, თუ თქვენ მოიტანთ, გაჩვენებთ, თუ მე უნდა ამკიდოთ. მაშინ მშვიდობით ბრძანდებოდეთ...

— რა თქმა უნდა, მოტანით ჩვენ მოვიტანთ; თოკით შევკრავთ და წამოვათრევთ.

— მზადა ვარ გემსახუროთ, მხოლოდ წერაქვები და თოკები წამოიღეთ. წავიდეთ!

***

ერთხელ, როცა ანაჰიტი საჭმლით ხელში ფარდულში შევიდა, ნახა, რომ ჰასმიკი ერთ კრუხს გაოცებით შესცქეროდა. კრუხი წამომდგარიყო და ნისკარტით და ფრთებით კვერცხებს ერთმანეთში ურევდა.

— დაამტვრევ, რას შვრები, დაჯექ, დაჯექ, დაჯექ.—ემუდარებოდა გოგონა კრუხს.

— არა უშავს, შვილო, წესი ასეა, — ღიმილით აუხსნა დედამ.— ეგ თავის წიწილას ცუდს არაფერს უზამს. ყველა კრუხი დღეში რამდენიმეჯერ აბრუნებს კვერცხებს.

— მერე, რატომ?.. უნდა ავუკრძალოთ. მე კოხტად, ლამაზად დავულაგებ კვერცხებს, მოვალ და სულ არეულ-დარეულ მხვდება,—წყენით წარმოთქვა გოგონამ.

— რომ აუკრძალო, ცოტას გამოჩეკავს,—ღიმილით მიუგო დედამ.—იმიტომ ურევს, რომ კვერცხები ყოველი მხრიდან თანაბრად გათბეს, კვერცხების ქვედა მხარე ხომ კარგად ვერ თბება!

— მართლა? ახლა კი მივხვდი... დედიკო, რა გონივრულად იქ-ცევიან ქათმები... მაშ ინკუბატორის კვერცხებს რაღა ეშველებათ? ვინ უნდა აურიოს, ან იქნება იმათ არევა არ სჭირდებათ? აბა ერთი არმენს ვკითხო, — თქვა გოგონამ და სულმოუთქმელად არმენთან გაიქცა.

— წიგნები გადაათვალიერე? ინკუბატორის კვერცხები ვინ უნდა გადააბრუნოს.

— რათ უნდა გადაბრუნება?.. რა მოხდა, რატომ ღელავ?

— მაშ კრუხები რატომ აბრუნებენ თავიანთ კვერცხებს? ჩქარა მეფრინველეობის წიგნში ჩაიხედე, თორემ კვერცხები შეიძლება გალაყდეს.

არმენმა მეფრინველეობის სახელმძღვანელო აიღო, რამდენიმე გვერდი რომ გადაიკითხა, წიგნი მაგიდაზე მიაგდო და სასწრაფოდ გარეთ გავარდა.

— კრუხები მართლები ყოფილან... ინკუბატორშიც უნდა ავუ-რიოთ კვერცხები,—გზადაგზა უხსნიდა არმენი ჰასმიკს.

***

როცა მოხუცი ფარდულიდან გარეთ გამოვიდა, სოფლის ბოლო-ში მთის ფერდობზე მტვრის კორიანტელი შენიშნა. მოხუცმა შუბლზე ხელი მიიფარა და იქით გაიხედა.

— ამ შუადღეზე ნეტა ცხვარი სახლში რატომ მოჰყავთ?—ჩაი-ლაპარაკა მოხუცმა მონადირემ.

მტვრის ღრუბლი ახლოვდებოდა. სოფლისაკენ კვრინჩხის ბუჩ-ქებით დატვირთული ათობით მოსწავლე მოდიოდა, ყველაზე წინ გაოფლიანებული არაქსი მოათრევდა თავის ტვირთს, მრგვალ დამ-ტვერიანებულ სახეზე შავი თვალები უბრწყინავდა...

ჰაბუკებმა მტვერი ჩამოიბერტყეს. ერთი ნაწილი წერაქვებითა და ლომებით ფარდულის ირგვლივ ორმოების თხრას შეუდგა. და-ნარჩენები ორმოებში კვრინჩხის ბუჩქებს რგავდნენ და მიწას აყ-რიდნენ, მალე ფარდულის ირგვლივ მაგარი და გაუვალი ღობე გა-ავლეს. ამ გაცხარებული მუშაობის დროს ბავშვებთან მოვიდნენ ბუნებისმეტყველების მასწავლებელი არამი და კოლმეურნეობის თავმჯდომარე, მათ კამოც მოჰყვა.

— ანარქიაა...—ის იყო დაიწყო თავმჯდომარემ, მაგრამ სიტყვა აღარ გააგრძელა,—თუმცა როგორც ვხედავ,—მიმართა შემდეგ მას-

წავლებელს,—საქმე წინ მიდის, მაგრამ ფერმაში გავაფორმებ მხოლოდ მაშინ, როცა ბარტყები გამოიჩეკებიან.

— მანამდე?—შეეკითხა კამო.

— მანამდე ავანსის სახით მოგცემთ საკენკს და მეტს არაფერს.

— მომუშავეთა შრომადღეები?—ხუმრობით ჰკითხა მასწავლებელმა.

— სანამ ჭუკებს და წიწილებს ჩემი თვალით არ დავინახავ, შრომადღეებზე ლაპარაკი ზედმეტი იქნება.—სერიოზული ტონით უპასუხა ბაგრატმა.

კოლმეურნეობის ფარეულში

„ნეტავ როდის გამოიჩეკებიან წიწილები? კვერცხები ხომ არ გაციდნენ?"—ამ ფიქრით იყო მოცული ჰასმიკის გონება.

შუადღემდე გრიქორი კრუხებს უვლიდა, იგი მეორე ცვლაში დადიოდა სკოლაში. გაკვეთილების შემდეგ კი მას ჰასმიკი სცვლიდა.

შუადღის შემდეგ ჰასმიკი სკოლიდან პირდაპირ ფერმაში მიდიოდა. აქ იგი საღამომდე რჩებოდა და იქვე ამზადებდა გაკვეთილებს. ჰასმიკი მარტო არ უვლიდა კრუხებს, პიონერთა ორგანიზაცია ყოველდღე უგზავნიდა დამხმარე გოგონას.

ანაჰიტი ერთი წამით ფარდულში მოირბენდა და, როცა ნახავდა თავისი გოგონას ენერგიულ მუშაობას, წამოიძახებდა ხოლმე:

— უი, დამიდგეს თვალები, მშიერი მოგკალი, რატომ არ მოხვალ სახლში სადილად, წავალ და აქ მაინც მოგიტან რამეს.

ერთ დღეს პაპა ასატური შევიდა ფარდულში და ბავშვებს განუცხადა, რომ რამდენიმე დღეს ვერ იმორიგებდა, რადგან სევანზე მიდიოდა მეთევზეებთან ერთად.

საღამოს გრიქორი ლოგინაკიდებული მივიდა ფარდულში.

— მე აქ დავიძინებ, სანამ პაპა ასატური არ დაბრუნდება,— განაცხადა მან, მერე ერთ კუთხეში ნამჯა დაყარა და ლოგინი გაიშალა.

— გაციდები, ავად გახდები, პაპა მალე დაბრუნდება.—არწმუნებდა ჰასმიკი გრიქორს.

— შენ არ იძახი, რომ იმ ყუთში კვერცხები კლებულობსო?. უნდა გამოვარკვიოთ თუ არა, ვინ იპარავს?..

— არაფერია, გრიქორ... არა მგონია, რომ კვერცხებს ადამიანი იპარავდეს,—მიუგო ჰასმიკმა,—ქურდი ერთბაშად ბევრს მოიპარავდა, აქ კი თითო-თითო აკლდება, პირველ ხანებში ვერც კი შევამჩნიე. ყუთი ხომ კუთხეში დგას; ხუფიც ახურია, ვფიქრობდი, უვარგისი კვერცხები ვის რაში სჭირდება-მეთქი...

— ვინ იცის, იფიქრე, ჩვენ სოფელში გრიქორის მეტი ვინ მოიპარავდა კვერცხებს, მის მეტი ვინ შეჭამდაო,—სიტყვა შეაწყვეტინა გრიქორმა.

— არა, შენ არ გეზიზღება, კიდევაც შეჭამ, გახსოვს გილის ტბასთან, რომ მიირთვი, მაგრამ მალულად ხომ არ შეჭამდი, ერთ დღესაც ვიფიქრე, მოდი, შევამოწმო-თქო. ავდექი და გადავთვალე. გრიქორ, გახსოვს რამდენი გამოუსადეგარი კვერცხი დავტოვეთ წიწილების გამოსაკვებად?

— მახსოვს, სამოცდასამი ცალი.

— მეც ასე მახსოვს. გადავთვალე და სულ ოცდაერთი ცალი-ღა აღმოჩნდა: ყველაზე მეტი დედამთვრალას კვერცხები აკლია... შენის აზრით, ვინ უნდა იპარავდეს?..

— გამოვარკვევ... კურდღელივით თვალღია ძილი ვიცი.—დაამედა გრიქორმა.

მეორე დღეს გრიქორი ისეთ სასაცილო ამბებს მოუთხრობდა ამხანაგებს, რომ ძნელი იყო გაგეგოთ, თუ რომელი იყო მართალი და რომელი ტყუილი.

ასე, ერთ დღესაც, როცა გაიღვიძა, დაინახა, რომ ფარდულში შემოსულიყვნენ არმენი, კამო და ჰასმიკი. სკოლაში წასვლამდე ერთი წამით შემოერბინათ ფერმის ახალი ამბების გასაგებად.

— გრიქორ, როგორ გძინავს ღამე?—შეეკითხა კამო.

— საწოლი კი რბილი მაქვს,—მხიარულად მიუგო გრიქორმა.— მაგრამ წუხელ სრულებით არ მძინებია, მაგ რკინის კრუხებიდან ერთი ისე კვნესოდა, ისე ოხრავდა, რომ კინაღამ გული შემიღონდა. საწყალი, ალბათ, ავად არის. არმენ, აბა გაუსინჯე, სიცხემ ხომ არ აუწია?.. მერე დიდხანს ყური ვუგდე და ოი, საკვირველებავ—რა გავიგონე?—მოდით,—ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ ქათმები,— მივესიოთ იმ რკინის კრუხებს და დავამტვრიოთ! იმათ, რომ ას-ასი წიწილი გამოჩეკონ, ჩვენ ვიღა დაგვსვამს კრუხად, დედობას ვიღა გვაღირსებსო. რას იზამ, უბრალო დედობრივი ეკვიანობაა.

ამხანაგებმა გადაიხარხარეს.

— დიახ. მართალს ვამბობ,—განაგრძო უკვე სერიოზულად გრიქორმა,—იქნებ ისიც არ დაიჯეროთ, რომ წუხელ ქურდები დავიჭირე.

— ქურდები? ვინ იყვნენ?

— თაგვები...

— სტყუი, აბა ერთი მითხარი, თაგვი კვერცხს როგორ მოიპარავს?—წამოიყვირა ჰასმიკმა—დავიჯერებდი, რომ გეთქვა, თაგვებმა კვერცხები გამოხვრიტეს და გამოსწოვეს, მაგრამ მთელ კვერცხს როგორ წაიღებდნენ?..

— აი, სწორედ საქმეც მაგაშია, რომ მთელი კვერცხი მიაქვთ, წრუწუნებს რომ ერბოკვერცხით გაუმასპინძლდნენ, მაშ რა გგონიათ, ისინიც ხომ დედები არიან, იმათაც აქვთ დედაშვილური სიყვარული... ახლა მომისმინეთ... ჯერ ერთი ყუთი შეამოწმეთ, უკანა მხრიდან როგორ არის გახვრეტილი. აი სწორედ მაგ ნახვრეტიდან მიაქვთ კვერცხები. წუხელ რაღაც ხრიალი მომესმა. გამომელვიძა, ყური დავუგდე, რკინის კრუხი მძიმედ კვნესოდა. თაგვები კი მთვარის შუქზე ყუთთან მისულიყვნენ და რაღაცას ფუსფუსებდნენ. გავიფიქრე, ალბათ მთვარის სინათლეზე ცეკვა-თამაში გაუმართავთ-მეთქი, უცბად შევამჩნიე რუხ თაგვებს შორის თეთრი კვერცხები. სული გავნაბე. თაგვები კვერცხებს ფეხებით მიაგორებდნენ. მერე ერთი თაგვი დაწვა, ფეხები მაღლა აიშვირა, სხვებმა კვერცხი მუცელზე შეუგორეს, დაწოლილმა თაგვმა ფეხები ღა კუდი მაგრა ჩასჭიდა კვერცხს. დანარჩენები კი შეებნენ ყურებში, თავში და თაგვი სოროსკენ გაათრიეს. მართალია, დაწოლილ თაგვს ზურგი სტკიოდა, მაგრამ სამაგიეროდ თავის წრუწუნებს გეშრიელ და ნოყიერ კვერცხებს მიართმევდა... გავიფიქრე დამეფრთხო. მაგრამ მერე ვთქვი—„ჯანაბას, წაიღონ, თავიანთ შვილებისათვის მიაქვთ, სხვისთვის ხომ არა, ალალი და უსაყვედურო იყოს-მეთქი“ და დავიძინე, რომ ხელი არ შემეშალა...

ბიჭები სიცილით იგუდებოდნენ, ისინი ვერ მიხვდნენ, გრიქორი ჩვეულებისამებრ ხუმრობდა თუ კვერცხის ქურდები მართლა თაგვები იყვნენ.

ყოველ შემთხვევაში კამომ ყუთის ნახვრეტი ამოხერგა, არმენმა კი შეამოწმა ინკუბატორის ტემპერატურა; გამოირკვა, რომ თერმომეტრი სწორედ 39 გრადუსს უჩვენებდა, ესე იგი აკრუხებული ქათმის ტემპერატურას.

— ხვალ ოცდაერთი დღე სრულდება, წყლის ქათმები გამოიჩეკებიან.— თქვა კამომ.

— შეიძლება ხვალ არ გამოიჩეკონ, ეგენი შინაური ქათმისგან განსხვავდებიან.—შეესიტყვა არმენი.

— რით განსხვავდებიან?—ჰკითხა არმენმა;—ჰასმიკ, წინათ თქვენ წყლის წიწილები არ გამოგიჩეკიათ?

ჰასმიკმა უარყოფის ნიშნად თავი გაიქნია.

— რითი განსხვავდებიან?—იკითხა არმენმა,—იმითი, რომ მეცნიერებაში მიღებული ფრინველთა კლასიფიკაციით წყლის ქათმები (რომელთა ნამდვილი სახელი ბატ-ქათამაა) მეათე ჯგუფშია მოქცეული და წეროსებურთა ოჯახში შედიან.

— ნამდვილი მეფრინველე გამხდარხარ,—სიცილით ძიუგო კამომ.

— მაშ რა გგონია, რაკი მეფრინველეობის ფერმა მოვაწყვეთ, საჭირო ლიტერატურაც უნდა ვიკითხოთ... ისე რომ, ძნელი სათქმელია, როდის გამოიჩეკებიან გარეული ქათმების წიწილები, ამის შესახებ ბრემის წიგნში ვერაფერი ვერ ვნახე.

მთელი ღამე ყმაწვილებმა მღელვარებაში გაატარეს, კამოს ძილი არ ეკარებოდა, შუაღამისას ჩაიცვა და ფარდულს ესტუმრა.

გრიქორი ჯერ არ დაწოლილიყო.

— კიდევ არ გამოჩეკილან?—ჩურჩულით შეეკითხა კამო.

— არა, ახლა შევამოწმე...

ხოლო დილაადრიან, როცა ყველამ ერთად შეამოწმა, ერთი კვერცხიც კი არ აღმოჩნდა ნაკრავი.

— წუხელ,—უთხრა მათ გრიქორმა,—ქათმების ლაპარაკი კვლავ მოვისმინე. ისინი თავიანთ წიწილებს ნაზი ხმით უხმობდნენ: „გამოდით, ოცდაერთი დღე შესრულდა, გამოდით, ჩვენო პატარებო“... ერთ-ერთმა წიწილამ კვერცხიდან გამოსძახა: „ვინა ხარ? რომ გვეძახი? ჩვენი დედის ხმას ვიცნობთ, არ გამოვალთ, შენ ჩვენი დედიკო არა ხარ...“ რასაკვირველია, მაგათ უფლება აქვთ არ გამოვიდნენ, რადგან მათი ნამდვილი დედები გილში დარჩნენ. აქ კი დედინაცვლის კლანჭებში მომწყვდეულან...

ბიჭები სიცილით კვდებოდნენ.

— კარგი, გეყოფა ხუმრობა,—უთხრა კამომ,—როგორ გავიგოთ, წყლის ქათმის ბარტყები რამდენი დღის შემდეგ იჩეკებიან?

რაიონის აგრონომს დაურეკეს, მეფრინველეობის ინსტრუქტორსაც, მაგრამ დადებითი პასუხი ვერც ერთისგან ვერ მიიღეს.

ასე გამოურკვეველ და აღელვებულ მდგომარეობაში გაატარეს მათ კიდევ ერთი დღე და ღამე, ბარტყები კი მაინც არ ჩანდნენ.

გრიქორს ხუმრობა უკვე დავიწყებოდა.

— ხომ გეუბნებოდით, კვერცხები გალაყდება-მეთქი, მოდით, მოვხარშოთ და შევჭამოთ, — იმეორებდა ხშირად.

ერთი კვერცხი გამოაძრო კრუხს, ყურზე მიიდო და გაანძრია.

— ფრთხილად, წიწილას მოკლავ. — შეჰყვირა ჰასმიკმა და ხელზე ჩამოეკიდა, — როგორ შეიძლება ასე ღონივრად განძრევა, ჰოიტა აქ, — წაართვა კვერცხი და ლოყაზე მიიდო, მოეალერსა, მერე სინათლეზე გახედა — დაკვირვებით გასინჯა.

— დააკვირდით, შიგ წიწილაა, აბა შეხედეთ, რა მუქი ფერი აქვს, ალბათ, ეს წიწილის ფერია, — მხიარულად წამოიძახა ჰასმიკმა.

ბიჭებმა სათითაოდ გასინჯეს კვერცხები, ყურთან გაანძრიეს; ლაყე არ იყო.

— აბა ყურზე მიიდე, სუნთქავს, გული უცემს? — უთხრა კამოს გრიქორმა.

— წიწილა კვერცხში არ სუნთქავს, — განუმარტა არმენმა, რომელსაც სამი კვირის განმავლობაში, რაც მეფრინველეობის შესახებ წიგნები იყო, თითქმის ყველა გადაეკითხა.

— ჩქარა კრუხს ჩაუდე, თორემ გაცივდება, — გააფრთხილა ჰასმიკმა.

კიდევ ერთმა გრძელმა ღამემ გაიარა. ეგონათ, არ გათენდებოდა.

გათენებისას ნორჩი ნატურალისტები, პაპა ასატურთან ერთად უკვე ფარდულში იყვნენ. კრუხები ფრთხილად ამოიყვანეს საბუდრიდან და კვერცხები შეამოწმეს, მაგრამ არც ერთი კვერცხი ნაკრავი არ აღმოჩნდა...

ბავშვები ძალზე აღელდნენ, იმედი დაეკარგათ, ამ დღეს სკოლაში მეცადინეობამ ისე ჩაიარა, რომ არაფერი გაუგიათ.

უკვე ოცდამესამე დღე იყო. „წყლისქათმის კვერცხები რატომ არ უნდა გამოჩეკილიყვნენ“?... — ფიქრობდნენ ისინი გაკვეთილების დროს.

გაკვეთილების შემდეგ ისევ ფარდულში წავიდნენ. იქ იყო ჰასმიკის დედა, გრიქორიც, რომელიც ხელეჩოთი რაღაცასა თლიდა.

— რას აკეთებ, წიწილები კიდევ არ გამოჩეკილან?—შეეკითხა კამო.

— რას ვაკეთებ? წიწილებს საბანაო გეჯას ვუმზადებ... რა ძალიან გეჩქარებათ? გამოიჩეკებიან როცა იქნება... სანამ გეჯას არ გავამზადებ, აბა როგორ გამოვლენ...

— ნუთუ ყველა კვერცხი გაფუჭდა? — თქვა გულდაწყვეტილმა კამომ. ყველაზე მეტად მოუსვენრობა მას ეტყობოდა.

ჰასმიკის დედამ, რომელიც ინკუბატორის ახლოს სკამზე იჯდა და შალს ქსოვდა, ბიჭები დაამშვიდა:

— რომ ამბობენ, ოცდამეერთე დღეს იჩეკებიანო, მართალი არ არის. შარშან საბჭოთა მეურნეობიდან ჯიშიანი ქათმის კვერცხები მოვიტანე და კრუხს დავუწყე. ოცდამეორე დღეს გამოიჩეკა. მაშინ ინსტრუქტორმა მითხრა, ჯიშიანი ქათმების კვერცხებიდან ოცდაორი დღის შემდეგ გამოდიან წიწილებიო.

— წყლის ქათამიც, მისი მოლოპრილი თავის ჭირიმე, ჯიშიანი არ არის, მაშ რა ჯანაბაა, — ჩაერია გრიქორი, რომელიც გეჯის თლას განაგრძობდა.

— ალბათ, კრუხები კარგად არ სხდებიან და კვერცხები გაციეს, — უიმედოდ განაცხადა ჰასმიკმა.

— ჰო, ეგეც შეიძლება, — დაუდასტურა დედამ. — კრუხი, თუ საკენკის მისაღებად მალ-მალე დგება, კვერცხები გრილდება და წიწილები გვიან იჩეკებიან.

— ჩვენ კი მალ-მალე ვაძლევთ საკენკს, სწორედ მაგის მიზეზია,—თქვა ჰასმიკმა.—ნამდვილად კვერცხები გაცივდა და საწყალი ბარტყები კვერცხებში დაიხოცა.

— რას იცრემლები? — დააწყნარა არმენმა ჰასმიკი. — მეფრინველეობის წიგნში სწერია, რომ ვინიცობაა კვერცხები დიდხანს ცივად დარჩნენ, წიწილა არა კვდება, არამედ გრძელდება მისი განვითარების პროცესი. წიგნის მიხედვით, ყველაზე საშიშია ნორმაზე მეტი ტემპერატურა.

— დიახ, ცილა ორმოცდაორ გრადუსზე უკვე შედედდება, — დაუმატა კამომ, — ბიჭებო, ჩვენი თერმომეტრი ამდენზე ხომ არ ასულა?...

— არასოდეს, ოცდაცხრამეტს არ ასცილებია, მაგის თავდები ვარ, — უპასუხა არმენმა.

— გეყოფათ ფილოსოფოსობა, ცოტაც მოითმინეთ, ყველაფერი რიგზე იქნება. დამერწმუნეთ, რომ წიწილები ჩემს მუშაობას ხუთს უგდებენ და ერთმანეთს ეუბნებიან: „ჯერ საბანაო გეჯა მზად არ არის, რა გვეჩქარება, რომ გამოვიჩეკოთ, სად უნდა ვიბანაოთ?“..

— მართლა, — მოაგონდა კამოს, — ერთი მითხარით, ჩვენმა წიწილებმა პირველ დღეებში სად უნდა იბანაონ? აბა, ყველანი წადით და სახლებიდან თითო ტაშტი ან გობი მოიტანეთ.

— ჰო, კამოჯან, ესენი კვერცხიდან გამოძვრებიან თუ არა, უმალ წყალს მიაშურებენ, — სიტყვა ჩაურთო ანაჰიტმა, — წადით, თითო პატარა გობი მოიტანეთ.

საღამოზე, როცა ტაშტები და გობები მზად იყო, გრიქორმაც მოათავა თავისი „გეჯა“ და საზეიმოდ გამოაცხადა:

— ახლა კი გამოვლენ... ყველაფერი მზადაა.

რა უნდა ეცნობებინა გრიქორს

მეოთხე გაკვეთილი მიდიოდა, როცა გრიქორმა სკოლის ეზოში მიირბინა და უცნაური მოძრაობით რაღაცას ანიშნებდა მერვე კლასის მოსწავლეებს. ფანჯარასთან მჯდომმა კამომ გაიხედა, გრიქორმა რვა თითი ერთად უჩვენა და საღ ფეხზე შემოტრიალდა, აღარ იცოდა როგორ გამოეხატა თავისი უსაზღვრო სიხარული. ხელის გულები ერთმანეთს მიაფარა, მერე ნაზად ლოყაზე მიიდო... კამო მიხვდა, გახარებული წამოხტა, უნდოდა არმენისათვის ეთქვა, მაგრამ მასწავლებელმა ცერად გადახედა და კამო ადგილზე დაჯდა.

კამომ ერთხელ კიდევ მოახერხა ეზოსკენ გახედვა და ნახა, რომ გრიქორი კოჭლობით ფარდულისკენ გარბოდა.

დასვენებაზე კამომ და არმენმა მეექვსე კლასში—ჰასმიკთან მიირბინეს. როგორც კი ბიჭების გაბრწყინებული სახეები დაინახა, მან მაშინვე შესძახა:

— რა ამბავია, იჩეკებიან?..

— მერე როგორ? როგორც გრიქორი იტყვის ხოლმე, მთელი ბატალიონობით...

თუმცა ერთმანეთისათვის არაფერი უთქვამთ მეგობრებს, მაგრამ გრძნობდნენ, რომ მათი სკოლაში დარჩენა შეუძლებელი იყო და

ერამ აკოფიანის ნებართვით სასწრაფოდ „ფერმისკენ“ მოჰკურცხლეს.

ფარდულთან მათ გრიქორი შეეგება და მხიარულად მიაძახა:

— ბარტყები, წიწილები ბატალიონობით გამოდიან, ბატალიონობით...

— სად არიან?.. სად არიან?.. ერთი გვიჩვენე... აბა ერთი კრუხი გასწიე იქით.... უი, რა კარგები არიან, რა ლამაზები... მოიკა, ერთი აკიყვანო...

ჰასმიკმა ფრთხილად აიყვანა ერთი პატარა ნაცრისფერი ბარტყი, რომელსაც ყვითელი ნისკარტი და რუხი ლამაზი პაწაწინა ფეხები ჰქონდა. ბარტყი მან ნაზად მიიდო ლოყაზე და თავისი სუნთქვით გაათბო...

სიხარულისაგან დაბნეულმა ჭაბუკებმა არ იცოდნენ რა ექნათ. ფარდულის კარებთან აუარებელი ბავშვები და ქალები მოგროვდნენ.

— მართლა გამოიჩეკნენ? — ეკითხებოდნენ ერთმანეთს.

ჰასმიკმა ინკუბატორი გახსნა. შიგ აკუმულატორის მიერ გაეთბარ რბილ ბუდეში ათამდე ბარტყი დაფუთფუთებდა.

პაპა ასატურმა, რომელიც ის იყო სევანიდან დაბრუნებულიყო, ხალხი გაარღვია და ფარდულში შევიდა.

— ეს რისი წიწილებია? — იკითხა მოხუცმა.

— წყლის ქათმებისაა, პაპა, — მიუგო ჰასმიკმა ღიმილით, — ნახე, კიდევ რამდენი კვერცხია ნაკრავი, ზედიზედ იჩეკებიან.

— ახლა რა ვქნათ, ამათ ხომ საკენკი უნდათ? — გამხიარულდა მოხუცი.

— თევზიყლაპიების კვერცხები მოვხარშოთ, — თქვა არმენმა.

— რასაკვირველია, მოვხარშავთ, მაგრამ...

— ცოტაა... სულ ერთია, არ ეყოფათ. — უთხრა ჰასმიკმა.

— მაგაზე ნუ წუხხარ, ჩემო კარგო, მე საიდანაც იქნება, ქვის ქვეშ გავძვრები და კვერცხებს ვიშოვი, ახლა სანამ რამეს მოვისაზრებდე, მანამდე თევზიყლაპიას კვერცხები მოხარშეთ...

— მოუპარიათ, ცოტაღა დარჩა.

— ვის მოუპარია, რა უფლებით, — ხმა აღიმაღლა მოხუცმა და ხელი ხანჯალზე წაივლო.

— ხანჯალს თავი გაანებე, თაგვებმა წაიღეს, — უპასუხა გრიქორმა.

— თაგვებმა?.. თაგვებს რა უფლება ჰქონდათ?.. მერე რატომ არ გამაგებინეთ, რომ ტყავი გამეძრო... რაც დარჩა, ეგ მაინც მოხარშეთ, კოლმეურნეობის გამგეობაში წავალ.

სწორედ ამ დროს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბაგრატი და მასწავლებელი არამი ფარდულში შევიდნენ.

— ძია ბაგრატ, ჩვენ ფერმას როდის გააფორმებთ? — შესძახა ჰასმიკმა.

ბაგრატს მკაცრი, სერიოზული პირისახე გაუბრწყინდა, თვალები ალერსით აევსო. მან გოგონას მუქწაბლისფერ თმებზე ხელი გადაუსვა და ჩუმად ამოიოხრა. ყოველთვის, როგორც კი ამ ცოცხალ გოგონას შეხვდებოდა, ბაგრატს გული მოულბებოდა. ჰასმიკის მამა ოჰანესი ერთი ალალ-მართალი ვაჟკაცი იყო, რომელიც როგორც ღვიძლი ძმა, ისე იყო შეთვისებული ბაგრატთან. მდინარე თერგიდან დაწყებული ოდერამდე ერთად იბრძოდნენ ფაშისტი ავაზაკების წინააღმდეგ, მუდამ ერთად იყვნენ ნესტიან სანგრებში, ერთი ქვაბიდან საჭმელს სჭამდნენ, ერთად ეძინათ, ერთად გადაღიოდნენ შეტევაზე. ერთ-ერთი ბრძოლის დროს, როცა ფაშისტმა ხიშტი მიუღერა ბაგრატს და ის იყო უნდა გამოესალმებინა სიცოცხლეს, ოჰანესი ლომივით ეძგერა მტერს და ამხანაგი სიკვდილს გადაარჩინა, მაგრამ ამ ბრძოლაში თვითონ დაიღუპა. მან ბაგრატის მკლავებზე დალია სული...

წარსულის ამ მწარე მოგონებამ ბაგრატს თვალწინ გაურბინა, დაიხარა და გოგონას ხაღერდოვანი წამწამები დაუკოცნა.

ფარდულში რომ შევიდა და წიწილები დაინახა, გაეღიმა.

— მართლა გამოჩეკილან!—თქვა თავმჯდომარემ.—აი ახლა კი მოანგარიშეს შეუძლია გააფორმოს თქვენი ფერმა.

ჯიბიდან ბლოკნოტი ამოიღო, ღიმილით რაღაცა დაწერა და გრიქორს გადასცა...

— ჯერჯერობით ამ ქაღალდით მიიღებთ საკვებს თქვენი ბარტყებისათვის.

გრიქორი სწრაფად გაიქცა საწყობისაკენ.

ბაგრატი და მასწავლებელი მეგობრული მუსაიფით გაშორდნენ ფერმას, ბიჭები გრძნობდნენ, რომ უფროსები ფერმის შესახებ მსჯელობდნენ, რაც, რასაკვირველია, მათ ახალისებდა.

საწყობის გამგემ ბურტყუნით გასცა კვერცხები. იგი არ იყო დარწმუნებული ფერმის წარმატებაში, მისთვის გაწეული ხარჯები დაკარგულად მიაჩნდა.

ასე იყო თუ ისე, წყლის ქათმის წიწილები კენკავდნენ მაგრად მოხარშულ კვერცხის გულს. პაპა ასატური შესცქეროდა მათ და კმაყოფილი ღიმილით წვერზე ხელს ისვამდა, თითქოს ერთი ოცი წლით გაახალგაზრდავებულიყო.

— ბატის ჭუჭულები როდისღა გამოიჩეკებიან? — შეეკითხა ჰასმიკს მოხუცი.

— მალე, მალე!

— იხვის ჭუჭულები როდისღა გამოიჩეკებიან?

— იხვის ჭუჭულები ხვალ ან ზეგ გამოიჩეკებიან, მაგრამ ამ ინკუბატორშიც არის მარმარილოსებური იხვის კვერცხები.

ბოლო დღეებში ერთიმეორის მიყოლებით იჩეკებოდნენ იხვების ყვითელნისკარტიანი ჭუჭულები, რომელთა მხიარული წივწივი მთელ არე-მარეს ავსებდა. ისინი გობებში ჩასხმულ წყალში დაცურავდნენ და შიგ ნისკარტს ისე ყოფდნენ, თითქოს საკენკს ეძებენო.

ჩვენი ნორჩი ნატურალისტების სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა.

ერთხელ, როცა ჰასმიკი ფარდულში შედიოდა გაკვირვებული შეჩერდა, კუთხეში, თივაზე აუარება თევზიყლაპიას კვერცხების გროვა იყო, იქვე გვერდით კი, გრიქორი ჩაცუცქულიყო და ითვლიდა მათ.

— სად იშოვე ამდენი კვერცხები? — გაოცებული შეეკითხა ჰასმიკი.

— თაგვებს რომ სესხად ჰქონდათ წაღებული, უკან დაგვიბრუნეს, — დინჯად მიუგო გრიქორმა და თავაუღებლად განაგრძო კვერცხების თვლა. — ხომ არ გგონიათ, რომ თქვენი ხათრით მოიტანეს? როგორ არა! ეს ჩემ საპატივცემლოდ მოგვართვეს.

— კარგი, გრიქორ, ხუმრობას თავი დაანებე, სად იშოვე?

— არა გჯერათ? თაგვებმა თავიანთი ავაზაკობა ინანეს და საყაჩაღარი უკანვე დააბრუნეს.

ნამდვილი ამბავი ვერასგზით ვერ გაიგეს, მხოლოდ შემდეგ გამოირკვა, რომ გრიქორს თაგვების სოროსთვის მიეგნო და მოპარული კვერცხები უკან წამოეღო.

— ჰასმიკ, აბა ერთი დაითვალე, რამდენიც ჰქონდათ წაღებული, სულ დააბრუნეს თუ არა? მარტო სამი ცალი დავუტოვე მათ წრუწუნებს, შემეცოდნენ, — უთხრა გრიქორმა.

— მაშასადამე, არც ერთი არ შეუჭამიათ,—გაიკვირვა კამომ.

— შენ წარმოიდგინე არც ერთი. მათ ჯერ წრეწუნები არა ჰყავთ, კვერცხებს ინახავდნენ თავიანთი მომავალი შვილებისათვის... ხედავთ, რა გულშემატკივარი მშობლები არიან?.. თქვენ კი თაგვები გეზიზღებათ, ასეთი გულკეთილობისათვის მზად ვარ ის პატარა დრუნჩები დავუკოცნო.

— ფუ, რა საზიზღრობაა... ახლა თაგვებს ჰკითხე როგორ ეჯაჯრები? ღამე მოვლენ და ძილში ცხვირს მოგჭამენ, — კისკისით უთხრა ჰასმიკმა.

— აქ რომ აღარ დავრჩები, რაღას მომჭამენ... მე ჩემი ვალი უკვე მოვიხადე, ორი ბატალიონი წიწილები მოგეცით...

—არა, გრიქორ, ბატის კვერცხებს ერთი დღედაღამე დარჩენია, დღეს ოცდამეშვიდე დღეა, ორი ღამეც დარჩი.—ნეეხვეწა კამო.

— რას იზამ, როცა კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი მიბრძანებს, მეტი რა გზაა, უნდა დავემორჩილო.

მეცხრამეტე დღე

ოცდამერვე დღეს, როცა ინკუბატორში ერთმა ბატის ჭუკმა უკვე მომაგრებული ბრტყელი ნისკარტით კვერცხის ნაჭუჭი გამოტეხა, არმენი ინკუბატორთან რომ იჯდა და თვალს არ აშორებდა თერმომეტრს, უცებ შეშინებული წამოხტა:

— ჰასმიკ, ტემპერატურა ეცემა, — ძლივძლივობით წარმოთქვა მან.

— ორივეში? — აღელვებით შეეკითხა ჰასმიკი.

— არა, მარტო ერთში.

—მიზეზი რა არის?..

— აკუმულატორში ენერგია გამოილია.

— რა უნდა ვქნათ?—ჰკითხა შემკრთალმა გოგონამ.

— სასწრაფოდ დამუხტული აკუმულატორი უნდა ვიშოვოთ, თორემ კვერცხები გაცივდება.

ჰასმიკი კამოს დასაძახებლად გაიქცა. კამომ მაშინვე მოირბინა. ცოტა ხნის შემდეგ იგი არმენთან ერთად გრიქორისა და პაპა ასატურის საძებნელად წავიდა.

ბიჭების იქ არ ყოფნით ისარგებლა სეთომ და თავის უმცროს ძმა არტოსთან ერთად ფარდულთან მივიდა, ორივეს ხელში შვილდისარი ეჭირა.

— არტო, მოდი, ფარდულის ნახვრეტიდან თითომ ორი-სამი

ისარი ვტყორცნოთ, — წასჩურჩულა სეთომ თავის პატარა ძმას.

არტო ყოყმანობდა.

— ცოდონი არიან, კარგი საქმე წამოიწყეს, — სცადა წინააღმდეგობის გაწევა არტომ. სეთომ ზიზღით გადახედა მას.

— ცოდონი? მე ცოდო არა ვარ, რომ ყოველდღე სკოლაში პოსვენებას არ მაძლევენ? რა დავაშავე? იქნება ის, რომ დილიდან საღამომდე მთა და ბარში დავეხეტები?... დაე ყველამ გაიგოს, რომ გაკვეთილები არ მაინტერესებს, ძალაზე არიან?... შენ კი არტო, იმდენი ვაჟკაცობა არ შეგწევს, რომ ძმის ჯავრი ამით ამოიყარო...

სეთომ შვილდისარი მოამზადა, მალულად ფარდულის ნახვრეტთან მიიპარა, არტოც უნებლიეთ გაჰყვა, ორივემ ნახვრეტიდან ისრები სტყორცნეს და გაიქცნენ.

ფარდულიდან დაჭრილი ქათმით ხელში გამოვარდა ჰასმიკი და მოახლოვებულ კამოს ტირილით უთხრა:

— ნუთუ იმდენი ძალა არ შეგწევს, რომ მაგ ხულიგნებს ლაგამი ამოსდო. მოდით, ერთი ნახეთ, თავიანთი ისრებით რა ზარალი მოგვაყენეს.

— სოფლის საბჭოს მივმართოთ,—ურჩია გრიქორმა.

— არა, მე არ გეთანხმებით, ვაჟკაცმა თავის ხელით უნდა გადაჭრას სამართალი, — დაარიგა პაპა ასატურმა. — საჩივლელად წასვლა ვაჟკაცის საქმე არ არის...

— მასზე უნდა ზეგავლენა მოვახდინოთ, — დინჯად თქვა არმენმა. — ძალით არაფერი გამოვა.

კამომ ცერად გადახედა არმენს...

— ზეგავლენა?.. მოფერებით?.. — მწარედ დასცინა მან.

არმენი გაწითლდა.

— დიახ, საქმე ისე უნდა მოვაგვაროთ, რომ თვითონ მოინანიოს, ბოდიში მოიხადოს, — ჩაერია ჰასმიკი.

— ჩემის აზრით, ის, უბრალოდ, შურით არის გაღიზიანებული. დიახ, ჩვენი საქმისადმი შურით... მე მგონი მას ჩვენთან შეგობრობა სურს. ჩვენ შევძლებთ სეთოს გამოსწორებას საქმეში ჩაბმით,— თქვა არმენმა.

— შენც ერთი მოგცლია რა! — კამომ უიმედოდ ჩაიქნია ხელი და ფარდულში შევიდა. სხვებიც თან შეჰყვნენ.

ყველანი ჩამჭრალ ინკუბატორს შემოეხვივნენ. ისე დაღვრემილნი იდგნენ, თითქოს წინ კუბო უდევთო.

— საწყალი... სიცხეს დაუწევია.. გული აღარ უცემს... მართლაც რომ კვდება, — წამოიძახა გრიქორმა და ყური მიადო ინკუბატორს.

ჰასმიკმა კინაღამ წაიფრუტუნა, მაგრამ დაინახა კამოს მკაცრი გამომეტყველება და თავი შეიკავა.

— არმენ, როგორ გქონდა გამოანგარიშებული? გვარწმუნებდი, ენერგია თავისუფლად გვეყოფაო და რა გამოვიდა,—უსაყვედურა ამხანაგს კამომ.

— ანგარიშში მოვტყუვდით...

— ბატარეა ავტომანქანაში რომ ჩადო, ძალა დააკლდება არა? —უცბად მოაგონდა გრიქორს.

— რასაკვირველია.

— მაშ ასეა! რატომ ადრე არ გითხარით! — წამოიძახა გრიქორმა. — ის ბატარეა შენ რომ კოლმეურნეობის საწყობიდან მოიტანე და ძველის ალაგზე დადე, საწყობის გამგეს მანამდე რამდენიმე საათით კოლმეურნეობის შოფრისათვის მიეცია.

— როგორ? — წამოხტა კამო.

— როგორ და უბრალოდ. შოფერი თხოვდა საწყობის გამგეს ბატარეას, ის კი უარზე იყო. შოფერმა დაჟინებით მოითხოვა, „საქმე ჩაიფუშება, თუ მანქანა არ იმუშავებსო“. მაშინ საწყობის გამგემ დაუთმო, მხოლოდ უთხრა, წაიღე, მაგრამ მალე დააბრუნეო...

— ახლა კი ყველაფერი გასაგებია! — წყენით წარმოთქვა კამომ.

— თქვენ კი არმენს ჰკიცხავთ, არასწორად გიანგარიშიაო, — უკმაყოფილოდ შენიშნა ჰასმიკმა.

— მერე რაღა სწავლული იქნებოდა, არაზუსტად რომ ეანგარიშნა, მაშინვე წოდებას ჩამოვართმევდით, რა უფლება აქვს ცუდად იანგარიშოს? — დაადასტურა გრიქორმა.

კამო ნაწყენი იყო საწყობის გამგეზე.

— იმას ვუჩვენებ სეირს, — დაემუქრა კამო, — შენ კი, დოყლაპიავ, თავის დროზე ვერ გვითხარი?

— ერთმანეთის დადანაშაულებას თავი დაანებეთ, მოდით გამოსავალზე ვიფიქროთ, — ჩაერია არმენი, — კოლმეურნეობის ავტომანქანა რომ აქ ყოფილიყო, ბატარეას ამოვიღებდით...

— რა იმედი დაგიკარგავს, რაიონის ცენტრიდან მოვიტანთ,— გაამხნევა კამომ.

— სანამ წავალთ და ვიშოვით, კვერცხები გაცივდება, აი ეს ნაკრავი კი მალე ფეხებს გაფშიკავს.

— მოკვდება? — შეწუხდა ჰასმიკი. აიღო კვერცხი და სუნთქვით შეეცადა გაეთბო, — მე არ დავუშვებ, არა და არა, რომ ჩემი ბარტყები დაიხოცონ, — ამბობდა ჰასმიკი და კვერცხს ეფერებოდა. — რას დაბნეულხართ? ჩქარა რამე მოიფიქრეთ, — შეევედრა ჰასმიკი.

— პაპა, ნუთუ არ არის ამ საცოდავების გადარჩენის რაიმე საშუალება? — შეეკითხა კამო.

— ისევ მამა-პაპათა გამოცდილების კარზე მოხვედით? — დასცინა პაპამ, — რომ გეუბნებოდით ყველაფერი წიგნებში არ წერია-მეთქი, არა გჯეროდათ... მოდით, ჩემ დედაბერთან წავიდეთ, ის გამოცდილია, ბევრი კრუხი დაუსვია.

ყველანი პაპა ასატურის სახლისკენ წავიდნენ.

ნარგიზმა სიამოვნებით მიიღო ისინი, ყმაწვილებს რომ მოუსმინა, ჰკითხა:

— რამდენი დღე დარჩათ გამოჩეკამდე?

— ერთი.

— მხოლოდ ერთი?

ნარგიზმა, სანამ პასუხს გასცემდა, თავისი მონადირე ქმრის ჩვეულების მიხედვით, სუფრა გაშალა და ყმაწვილები მიიწვია.

— ბებია, ახლა ამის დრო არა გვაქვს, სულ ერთია, ყელში არ გადაგვივა. გვასწავლეთ მხოლოდ, იხვის ჭუჭულები როგორ გადავარჩინოთ, — სთხოვა კამომ.

— მიირთვით, ბავშვებო, მიირთვით, ყველაფერს გეტყვით მაგის საშუალებაც არსებობს, ნუ გეშინიათ, — დინჯად მიუგო დედაბერმა.

— არაფერი მინდა ბები, მითხარი როგორ გადავარჩინო ჭუჭულები, — მოუთმენლად შესძახა კამომ.

მოხუცმა გაიღიმა.

— კვერცხები რომ იღლიის ქვეშ შეინახოთ, გამოიჩეკებიან, ხდება ხოლმე, რომ კრუხს ზოგჯერ გული აუცრუვდება, კვერცხებზე აღარ ჯდება, ერთ-ორ წიწილას აიყვანს, მათ გაყვება, დანარჩენ კვერცხებს კი მიატოვებს. ასეთ შემთხვევაში კვერცხებს უბეში ვიწყობთ და იჩეკებიან...

— აბა, სწავლულო, ამაზე რას იტყვი? — შეეკითხა კამო.

— ჩემის აზრით, ეგ მეცნიერებას არ ეწინააღმდეგება. წიწილის გამოსაჩეკად თანაბარი სითბოა საჭირო და მეტი არაფერი.

მხოლოდ ერთია გაუგებარი: წიგნებში წერია, რომ სითბო ოცდაცხრამეტ გრადუსს უნდა აღწევდესო, ადამიანის ტემპერატურა კი ოცდაჩვიდმეტს არ აღემატება, მაშ როგორ მოვიქცეთ, ბები.

— მე თქვენი გრადუსისა არაფერი გამეგება, — დინჯად მიუგო დედაბერმა, — მარტო ის ვიცი, რომ უკანასკნელ დღეებში, როცა წიწილი უკვე გაზრდილია, ადამიანის სითბო ჰყოფნის.

— მართალია, მართალი, — დაუდასტურა არმენმა.

— მაშ ასე მოვიქცევით. ჰასმიკ, აბა შენი პიონერები შეკრიბე, — განკარგულება გასცა კამომ.

კამოს და მის ამხანაგებს რომ შეხედეს, მოსწავლეებმა იგრძნეს, რომ რაღაც არასასიამოვნო ამბავი უნდა მომხდარიყო.

— რა მოხდა? — შეწუხებული ეკითხებოდნენ ერთმანეთს.

კამომ მოკლედ უამბო ფერმაში მომხდარი შემთხვევის შესახებ.

— ჭუჭულების სიცოცხლის შესანარჩუნებლად. თითოეულმა თქვენგანმა ორი ან სამი კვერცხი უნდა ჩაიდოთ უბეში...

მისი წინადადება საოცარი იყო. „სასაცილოდ ხომ არ გვიგდებსო“, — ფიქრობდნენ ბავშვები.

— როგორ? კრუხად დავჯდეთ? — იხუმრა პატარა ვაზგენმა; ამხანაგებს სიცილი აუტყდათ.

— რატომ არა, თუ ჩვენი ფერმის ქათმები ოცდაერთი დღის ნაცვლად ოცდარვა დღე სხედან, ჩვენ ერთ საათს ვერ დავჯდებით? — უპასუხა ვაზგენს გრიქორმა.

ბავშვებმა კვლავ გადიხარხარეს და კამოს ეგონა, რომ გრიქორის ამ უადგილო ხუმრობამ საქმე მთლად გააფუჭა. ახლა ის უკვე ყოყმანობდა, არ იცოდა განეგრძო მათი დარწმუნება, თუ ხელი აეღო ამ უცნაურ წინადადებისგან.

ჰასმიკმა რომ დაინახა, საქმე იფუშებოდა, შეეცადა ბავშვებში სიბრალულის გრძნობის გაღვიძებას.

— ნუ დააგვიანებთ, ამხანაგებო, გეხვეწებით, გემუდარებით, იქ უდანაშაულო, პატარა არსებანი იღუპებიან...

მას ხმა აუკანკალდა, თვალები ცრემლით აევსო...

პიონერებს გული აუჩუყდათ.

— თუ ასეა, ნულარ დავაყოვნებთ, წავიდეთ... პირველად ხუმრობა გვეგონა, — წამოიძახა არაქსმა.

— ფერმა ხომ კამოსი არ არის... ფერმა ჩვენია, ყველასი, — გამოეხმაურა ხუმარა ვაზგენი. — წავიდეთ, ისეთი წიწილები გა-

მოვჩეკო, რომ მთელი ქვეყნის კრუხებს შეშურდეთ, — დაუმატა მან სიცილით.

პიონერები კოლმეურნეობის ფარდულისაკენ გაეშურნენ.

— ფრთხილად იყავით, არ მოგუდოთ, — არიგებდა ჰასმიკი და თითოს ორ-სამ კვერცხს ფრთხილად უბეში ულაგებდა, — ვინიცობაა, ბარტყმა დაიგვიანა, იმედი არ გაგიცრუვდეთ, მოთმინებით ელოდეთ.

— რამდენი კვერცხიც ჩაგაბარეთ, იმდენ ბარტყს მოგთხოვთ, — ეუბნებოდა კამო.

— ლაყე რომ გამოდგეს, ბარტყი საიდან მოვიყვანო, — შეესიტყვა ერთი.

— ეგ გეპატიებათ, მაგრამ ვაი იმას, ვის კვერცხშიაც წიწილა მკვდარი აღმოჩნდება.

— პიონერები კრუხებად დამსხდარან, გაიგეთ, ეი, ხალხო, — დაცინვით ეუბნებოდა სეთო გამვლელ-გამომვლელს. — პა, პა, პა, ეს რა მომხდარა.

მოხუც მონადირეს კი თავი ჩაქინდრა, ხმაგაკმენდილი დადიოდა.

— შევრცხვით... შევრცხვით მთელ სოფელში. — ბუზღუნებდა პაპა ასატური.

ყოველ შემთხვევაში, მანაც რამდენიმე კვერცხი წაიღო სახლში, ცოლს მისცა და უთხრა:

— აიღე, ნარგიზ, აიღე, როცა შევრცხვით, უნდა მოვითმინოთ, მეტი რა გზა გვაქვს, თან იმ ბავშვებს ჩამოუარე, დაარიგე, როგორ უნდა გაფრჩეკონ, თორემ წიწილებს დაახრჩობენ...

— ხომ გითხარი, ფრთხილად-მეთქი, იღლიაში კვერცხები მაქვს.

— ჰო, მართლა, დამავიწყდა, რომ კრუხად ზიხარ...

ზოგიერთმა პიონერმა დაცინვა ვერ აიტანა და კვერცხების გადაყრა დააპირა, ზოგიერთსაც მობეზრდა და იმედი დაეკარგა... მაგრამ, იმის ფიქრი, რომ ზოგი ბარტყებით მივიდოდა კამოსთან, თვითონ კი — ცარიელი ხელით, მოთმინებას ჰგვრიდა.

ჰასმიკი ცდილობდა იმ ღამეს არ დაეძინა. წიგნის კითხვა დაიწყო, რომ ძილი არ მორეოდა, ხშირად თითქო რაღაცამ გაუფაჩუნაო იღლიის ქვეშ, უცბად წამოიძახებდა:

— დედი, კიდევ უკაკუნებს... რატომ არ გამოდის?.. შენგან ჯერ არ უკაკუნებენ?

— ჩემები ჯერ ჩუმად არიან, — უპასუხებდა ხოლმე დედა მთქნარებით. მთელი დღე მინდორში მუშაობით დაღლილ-დაქანცული იყო და ძილი ერეოდა, მაგრამ ჰასმიკი არ ასვენებდა.

— დედა, არ დაიძინო, თორემ ბარტყებს უბეში გაგუდავ...

შუაღამისას ჰასმიკს წიგნი ხელიდან გაუვარდა. შეშინებული წამოხტა. „ეს რა მომსვლია, ჩამძინებია“, უმალვე უბისკენ ხელი წაიღო. ჭუჭულები ხომ არ დამიხრჩვიაო?.. თითქმის პასუხად უბეში რაღაცამ გაიფართხალა.

ხელი შეიყო უბეში, კვერცხში ნახევრად ჩამჯდარი ჭუჭული ამოიყვანა, საბანზე დადო, ფრთხილად შემოაცალა ნაჭუჭები პატარა ჩვილ არსებას... ყვითელმა მომრგვალო, ქინქლიანმა და ბრტყელნისკარტიანმა არსებამ გოგონას გული აუჩუყა, ცრემლები მოერია...

— უი, რა კარგია, რა ლამაზია, რა ფაფუკია და ნაზი, — ეალერსებოდა გოგონა.

ს ი ხ ა რ უ ლ ი

იმ საღამოს სოფელ ლჭავანის ბავშვების უბეში მრავალმა ბარტყმა და იხვის ჭუჭულებმა კუტკუტი და ფუთფუთი იწყო.

მთელი სოფელი სიხარულმა მოიცვა. ბავშვები კოცნიდნენ, ეალერსებოდნენ ახალდაბადებულ ჭუჭულებს, ფერმაში მიარბენინებდნენ.

პაპა ასატური კი ფარდულის შესავალთან იდგა და ინტერესით უყურებდა მეორე ინკუბატორს, რომელშიც აუარებელი პატარა ბეიტები ფართხალებდნენ და თავებს აქნევდნენ.

ფარდულში ერთი აურზაური იყო. იხვების, წყლის ქათმების, ბატების პაწაწინა ჭუჭულები ტაშტებში, გეჯებში ჭყუმპალაობდნენ, ერთი მეორეს ეხლებოდნენ, ყირამალა გადადიოდნენ, ხოლო, რომლებსაც ჩასახტომი ადგილი ვერ ეპოვა, გარშემო უვლიდნენ და კუტკუტებდნენ.

აფორიაქებული კრუხები თავს დასტრიალებდნენ, შიშობდნენ, მათი შვილები არ დამხრჩვალიყვნენ... ყოველივე ამან ისე გაახარა პაპა ასატური, რომ სასწრაფოდ შინისაკენ გასწია, რათა თავისი აზრები დედაბერისათვის გაეზიარებინა.

— ნარგიზ, იცი, რა უნდა გითხრა, იმ რკინის ღუმელიდან ასობით იჩეკებიან წიწილები,—მონადირისათვის ჩვეული გაზვიადებით უამბობდა ასატური...—მართლა, რა ჭკვიანი რამე გამოუგონიათ... ერთი იფიქრე, რამდენი ქათამი თავისუფლდება წიწილის მოვლა-პატრონობისაგან... ყველაზე კარგი ის იქნება, რომ წიწილები იმ რკინის კრუხებმა გამოჩეკოს, ქათმებმა კი მარტო კვერცხები დადონ... გესმის, მეცნიერებამ რას მიაღწია?..

— უი, დამიდგეს თვალები, უდედო და უჯიგრო წიწილა როგორ გაიზრდება ან იცოცხლებს?—გულნაკლულად წარმოთქვა ნარგიზმა.

— დედა რა შუაშია?—გაბრაზდა მოხუცი,—წიწილა გამოღის ანაჰიტა საკენკს უყრის, უვლის, ინახავს, დედა ან ჯიგარი რა საჭიროა?

— როგორ, უდედოდ როგორ იქნება?—წყენით გაიმეორა ნარგიზმა, რომელსაც ისე, როგორც სხვა დედებს, მრავალი უძილო ღამე გაუტარებია შვილების აკვანთან და ახლა ვერ წარმოედგინა, რომ რომელიმე სულიერი არსება უდედოდ იბადებოდეს და იზრდებოდეს...

ასატური ფარდულში დაბრუნდა ისევ.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბაგრატიც მოვიდა. თვალი გადაავლო იქაურობას და ესიამოვნა. მაგრამ თავისი კმაყოფილება არ გამოამჟღავნა, პირიქით დატუქსა შეგროვილი კომკავშირელები:

— აბა, ვაებატონებო, ფერმა რომ დააარსეთ, ზამთრის საკვებზე იზრუნეთ?

— საკვებს სახლებიდან მოვიტანთ,—უპასუხა კამომ.

— „სახლებიდან მოვიტანთ“. ეჰ, თქვენ ჯერ არასერიოზული ხალხი ხართ. დიდი საქმეები ასე არ კეთდება.

— ნახევარი ჰექტარი მიწა მოვახვნევინე თქვენთვის, წადით. საწყობიდან სათესლე ქერი მიიღეთ, წაიღეთ და დათესეთ... რას გაშეშებულხართ, გასწიეთ საწყობის გამგესთან, ორდერი უკვე გამოწერილია.

თავმჯდომარემ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა წინ, მერე უკანვე მობრუნდა და მკაცრი ტონით გააფრთხილა:

— მხოლოდ, იცოდეთ, მიწა თუ აგროწესებით არ დაგიმუშავებიათ, უკანვე წაგართმევთ.

თქვა და წავიდა.

ჭაბუკებმა ერთმანეთს გადახედეს და სიხარულისაგან კინაღამ ჩამოუარეს.

— აბა, არმენ,—უთხრა კამომ,—შენ გევალება „საგაზაფხულო თესვის კამპანიის“ ჩატარება, ისეთი მოსავალი უნდა მოიწიო, რომ თითოეულ წიწილაზე ხუთ-ხუთი კილოგრამი საკენკი მოდიოდეს.

— არმენი ჩემს წიწილებს მშიერს არ დატოვებს.—ეს სიტყვები ისეთი სინაზით და ალერსით წარმოთქვა ჰასმიკმა, რომ არმენი გაწითლდა.

— რასაკვირველია, — დაეთანხმა არმენი,—წიწილები მშივრები არ დარჩებიან.—თქვა და სიამოვნებით გადახედა პაწაწკინა არსებებს, რომლებიც მხიარული ჟივილ-ხივილით დარბოდნენ, ბანაობდნენ, კუტკუტებდნენ..

— მართლაც, წყლის საკითხი მეტად სერიოზულია,—წარმოთქვა კამომ, — წყალი ყველაზე აუცილებელია... რას ემგვანება ჩვენი ფრინველების უწყლოდ ცხოვრება?... პიონერთა რაზმები ხვალიდან იწყებენ წყალსატევის გათხრას... მანამდე კი, ჰასმიკ, ეგენი ყოველდღე რუზე წაასხი. ატარე, სანამ არ დამშრალა, თორემ აქ ვერ ეტევიან, წვალობენ...

საღამოს ჰასმიკმა კრუხები თავიანთი წიწილებით რუს პირად წაიყვანა.

ღობეების უკანიდან სეთო ფარულად უთვალთვალებდა მას. მაგრამ პაპა ასატურის ფხიზელ თვალებს ვერ დაემალა.

— აბა ფერმას მოშორდი, თორემ ტყავს გაგაძრობ!—დაუყვირა მონადირემ.

— სად არის ფერმა? ფერმა აგერ წყალს მიაქვს,—სიხარულით წამოიყვირა სეთომ.

ასატური რუსკენ გაიქცა. წყლის ფრინველები მხიარულად შესრიალებულიყვნენ რუში და ჟივილ-ხივილით დინებას ქვევით მისდევდნენ, კრუხები კი, კრიახით ნაპირზე დარბოდნენ და შვილები რომ არ დახრჩობოდათ, თავიანთებურ ენაზე შველას თხოულობდნენ.

გულიანად იცინოდნენ ამ სურათის დანახვაზე ბიჭები, რომლებიც ის იყო მოსულიყვნენ.

გრიქორმა ხელის ურემზე დადებული ინკუბატორი რახრახით მოაგორა წყლის ნაპირას.

— გზა მიეცით, გზა მიეცით, თუჯის დედა მოიჩქარის, თავისი შვილების გადასარჩენად,—ყვიროდა ის.

ნაწილი მეორე

სევანი ღღეს და ხვაღ

მკითხველო, ივნისში დილიჯნიდან ერევანში მიმავალს სემიონოვკის უღელტეხილის გავლა რომ მოგიხდეს და სევანის წინ აღმოჩნდე, როგორც არ უნდა გეჩქარებოდეს, უეჭველად შეჩერდები, რომ შეხედო მთების სილრმეში მძინარე ლურჯთვალება მზეთუნახავს.

ლამაზია სევანი წლის ამ დროს. მის გარშემო მდებარე მოშიშვლებული, დაღვრემილი მთები ივნისში მწვანე სამოსელს ისხამენ და უთვალავი ყვავილებით ირთვებიან.

ჩვენი ნაცნობი ლჭავანელი ჭაბუკები ივნისის ერთ ბრწყინვალე დილას, სოფლის გარეთ, ყვავილებით შემკული მთის ფერდობზე წამოგორებულიყვნენ, სევანს გასცქეროდნენ და თან დაბალი ხმით ღიღინებდნენ.

იქვე იჯდა კოლმეურნეობის ყარაული პაპა ასატური, თოფი მუხლებზე დაედო და თავისი არწივისებური თვალებით ნათესებსა და თამბაქოს პლანტაციებს გასცქეროდა, აკვირდებოდა სადმე საქონელი ხომ არ შეპარულაო.

ცოტა მოშორებით კი, ხშირი და მაღალი ღობის იქით, ახალი ფერმის წიწილების ყივილ-ხივილი ისმოდა.

ჰაერი გაჟღენთილი იყო ყვავილების სურნელებით. მოუსვენარი და შრომისმოყვარე ფუტკრები ბზუილით აყრუებდნენ არე-

მარეს. ტბიდან ორთქლი ადიოდა და მის ზედაპირს ნისლივით ეფინებოდა. გეგონებოდათ ბუნება თავის მძინარე ქალიშვილს ქათქათა ლეჩაქს აფარებსო.

ირგვლივ მყუდროება სუფევდა, მხოლოდ გილის ტბის მხრიდან ხანდახან ისმოდა ყრუ გრიალი.

— განა ეს დაცინვა არ არის, არმენ? — უთხრა კამომ.

— რა?

— ის, რომ ჩვენი სოფელი უწყლოდ იხრჩობა, ქვევით კი ამ-ხელა ზღვაა.

არმენმა არა უპასუხა რა, ამ ბოლო ხანებში ისინი ძალზე დალონებული იყვნენ, რადგან გვალვიანი დღეები იწყებოდა.

— როგორც გინდა თქვი, გილის წყლები საიდანღაც მოდის, — თქვა არმენმა მცირე დუმილის შემდეგ. — აბა, შენ თვითონ იფიქრე, კამო, გილში ამდენი წყაროები საიდან ჩადის? რა გგონია, სად იღებენ ისინი სათავეს? ვინ იცის, ჩვენი მინდვრების ქვეშაც არის რაიმე მიწისქვეშა წყლები, უნდა გაითხაროს და ზევით ამოვიყვანოთ...

— მიწაში რას დაეძებთ, შვილებო, აი, ხომ ხედავთ, რამხელა ზღვაა, თუ ყოჩაღი ბიჭები ხართ, ეგ წყალი ამოიყვანეთ მაღლა, — ჩაერია ლაპარაკში მოხუცი.

— დიახ, კიდევაც ამოვიყვანთ, — გაცხარდა კამო, — საჭიროა ელექტროსადგურის აგება; მისი ძალით წყალსაქაჩი მანქანების ამუშავება ისე, როგორც აიღრ-ტბიდან და ზანგუდან სოფელ ქანაქერთან ელექტროენერგიით ქაჩავენ წყალს.

— ეგ მომავლის საქმეა, ჩვენ კი წყალი ახლა გვჭირდება, — მიუგო არმენმა.

— ტბა კი ჩვენ მინდვრებთან მოახლოვების ნაცვლად თანდათან გვშორდება, — მწარედ შენიშნა გრიქორმა.

— მართალია, ძალზე დაგვშორდა... ტბის დონემ რამდენი მეტრით დაიწია? — ჰკითხა კამომ.

— სამით.

— მხოლოდ სამით?.. და წყლიდან ამდენი მიწა განთავისუფლდა?

ეს იმიტომ მოხდა, რომ ჩვენს მხარეზე ტბა თხელია, დიდი სევანის[1] სიღრმე ორმოცდაათ მეტრამდე აღწევს, წელიწადში ერთი

[1] სევანის ტბა ორ ნაწილად იყოფა—დიდი და პატარა. დიდ სევანს ათას ოცდათორმეტი კვადრატული კილომეტრი ფართობი უჭირავს.

მეტრი რომ დაიწიოს, ორმოცდაათი წლის შემდეგ სევანის ეს ნაწილი საერთოდ გაქრება.

— სამწუხაროა, — წამოიძახა კამომ, — ასეთი სილამაზე რომ გაქრეს.

— დასანანი არაფერია, მაშინ ეს ადგილები უფრო მშვენიერი იქნება... მთელი ეს მიწები მწვანე მინდვრებით, მიჩურინული ბაღ-ვენახებით დაიფარება... კამო, მე გამოვიანგარიშე, რომ აქ, ახალ მიწებზე ასი სოფელი დაეტევა...

— ასი? რანაირად? — გაუკვირდა გრიქორს.

— ძალიან უბრალოდ, ელექტროსადგურები რომ აამუშაო და არარატის ველი მორწყო, ტბის დონე ორმოცდაათ მეტრამდე დაიწევს.

— ოჰო!..

წყლიდან განთავისუფლდება ასოცი ათასი ჰექტარი მიწა, რომელზეც შეიძლება მოთავსდეს ასი სოფელი ასი ათასი მცხოვრებით.

მოხუც ასატურს კი ყველაზე მეტად მიწა აინტერესებდა. ის ძველი მიწის მუშა იყო და კარგადაც ესმოდა მიწის ფასი.

— ტბიდან მიწა კი არ თავისუფლდება, არამედ ოქრო, ნამდვილი ოქრო, — ჩაილაპარაკა მოხუცმა და სიამოვნებით გადახედა ტბის პირად აბიბინებულ ჯეჯილს, — ბავშვებო, პური უკვე თქვენი სიმაღლისაა.

— კარტოფილის შარშანდელი მოსავლისთანა კი აი იმ ნაპირზე ამბობენ, ჯერ არსად მოსულაო, არა, არმენ? — შეეკითხა კამო არმენს.

— დიახ, კინაღამ მსოფლიო რეკორდი დაამყარეს, ჰექტარზე რვა ათასი ფუთი კარტოფილი მოიყვანეს!..

— მერე როგორი კარტოფილი! თითო გოჭისოდენა იქნებოდა, — შეუსწორა გრიქორმა.

— ასეთი მოსავალი მოვა ყოველ წელიწადს იმ ნაპირზე. — თქვა კამომ.—გიჟი მთის ფერდობებზე რაც მიწა ყოფილა, წვიმებს ჩამოურეცხია, სევანში ჩაუტანია და იქ შლამიანი ნიადაგი წარმოქმნილა. აფსუსია მხოლოდ, რომ ეს მიწებიც უნაყოფო იქნება!

— რატომ?—სიტყვა შეაწყვეტინა არმენმა, — ამ მინდვრებს გილის ტბა მორწყავს.

— ჩვენი მიწები, რომლებიც გილზე მაღლა მდებარეობს? — ჰკითხა კამომ.

ბიჭები გაჩუმდნენ... ეს საკითხი მთელი საუკუნეების განმავლობაში აღელვებდა ლჭავანის მკვიდრთ. მას შემდეგ ასეულმა წლებმა განვლო, მაგრამ წყლის საკითხი მაინც გადაუჭრელი დარჩა. ადამიანები იბადებოდნენ, იზრდებოდნენ და წყლის ოცნებაში ამოსდიოდათ სული.

ჩვენი ნორჩი ნატურალისტები ამ პრობლემის გადაჭრას ხელს არ მოჰკიდებდნენ, იმ ბრწყინვალე დღეს მრავალი ფუტკრის ბზუილი რომ არ მოესმინათ და თავიანთ პაპა ასატურთან ერთად სევანის პირას არა მსხდარიყვნენ.

გარეულ ფუტკარზე საუბარს კავშირი აქვს იმ საკვირველ საიდუმლოებასთან, რომელიც შემდეგში გახსნეს ჩვენმა ნორჩმა ნატურალისტებმა. მოვუსმინოთ მოხუც ასატურს, ვნახოთ რას მოგვითხრობს გარეულ ფუტკარზე. ამის შესახებ კი სიტყვა ჩამოვარდა შემდეგი მიზეზით.

საუბარი გარეულ ფუტკარზე

— აი, რა მშვენიერი თაფლის ბელელი გველუპება! — ამოიოხრა მოხუცმა ასატურმა და გახედა მინდვრებს, სადაც იონჯა და სამყურა ბალახი ეთესა.

კამო მიუხვდა მოხუცს და უმალვე ზეზე წამოხტა:

— ხომ კარგი იქნება, რომ ჩვენმა ნორჩ ნატურალისტთა ჯგუფმა მეფუტკრეობას მიჰყოს ხელი? ამხანაგ ბაგრატს ვთხოვთ ერთი ძირი ფუტკარი მოგვცეს. ჩვენ მოვუვლით და მეფუტკრეობასაც ვისწავლით.

— ყველაფერი ერთმანეთში ხომ არ უნდა ავურიოთ, კამო! — სერიოზული კილოთი მიმართა არმენმა:, — ჩვენი ჯგუფი ყველაფრის მოვლას ვერ შეძლებს. მეფრინველეობა ისეთი რთული და ძნელი საქმეა, რომ თავს ადვილად ვერ გავართმევთ.

— აგერ, ჩვენს ირგვლივ აუარება ფუტკარია, ბაგრატს რად უნდა სთხოვოთ? — გაუკვირდა პაპას.

— სად არის მერე ფუტკარი?

— აგერ იქ, ჭანჭაქარში, „ფუტკრის კლდეზე“.

— მერე ჩვენ რა, პაპაჩემიც იტყოდა ხოლმე, ბაღდადში ბევრი ხურმა არისო, — ჩაერია გრიქორი, მერე ქვას წამოავლო ხელი და ხბორებს გამოეკიდა, ყანაში რომ არ გადასულიყვნენ.

— მართლაც, ჩვენ რა?.. — დაეთანხმა მოხუცი, — ვინ იცის რამდენი ასეული წლების განმავლობაში ჩემისთანა მამაცი მონადირეები კვერნასავით შესციცინებდნენ ქარვასავით ყვითელ თაფლს, მაგრამ რას იზამდნენ, როცა იქ მისვლის საშუალება არ იყო...

— არ შეიძლება ასვლა? — ჰკითხა ჰასმიკმა, რომელსაც ფრინველებისათვის საკენკი დაეყარა, მოსულიყო და მოლზე წამოწოლილიყო.

— არა, გენაცვალოს ჩემი თავი, მიუვალი ადგილია. ბევრმა სცადა, მაგრამ არაფერი გამოვიდა. გასულ წელსაც მონადირე კარო კლდიდან გადმოვარდა, იქვე სული დალია, ღმერთმა აცხონოს, ძალიან მამაცი კაცი იყო. ბავშვებო, იცით რა თაფლია, მონადირე კარო ამბობდა, ჭანჭაქარში იმდენი თაფლია, რომ მთელ სოფელს რამდენიმე წელს ეყოფაო...

— მან საიდან იცოდა, რომ იქ ბევრი თაფლია? — ჰკითხა კამომ.

— საიდან იცოდა?!. ის ნამდვილი მონადირე იყო. ფუტკრების ბზუილით იგებდა სკაში თაფლის რაოდენობას. ხშირად ფუტკრები იმდენ თაფლს ამზადებენ, რომ ოთხ-ხუთ წელიწადს ყოჟნით, — განაგრძო მოხუცმა მონადირემ.

— ხუთ წელიწადს? — გაიოცა გრიქორმა. — მაშ ხუთი დღე რომ ვჭამო, არ გათავდება?

ჰასმიკმა სიცილით მიაძახა:

— აი ღორმუცელა...

პაპა ასატურმა განაგრძო:

— ცხელი წყლების ქვევით ერთი ციცაბო კლდე ვიცი, რომელიც სავსეა თაფლით. მკითხავთ, საიდან იცი? ერთ აზერბაიჯანელ კოლმეურნეს, თოკით ჩაშვებულს, ფუტკრის ბინამდე მიეღწევია. მაგრამ ხვრელი ვიწრო გამომდგარა და დინამიტით აუფეთქებია, გაუგანიერებია, შიგ რომ შეუხედავს, აუარება თაფლი უნახავს. სოფლიდან ნიჩაბი მოუტანია და თაფლი ისე მოუხვეტია. ერთი ძირიდან თოთხმეტი ფუთი თაფლი გამოუტანია.

— ოჰ, მაგდენი თაფლი ერთმა ძირმა როგორ მოაგროვა? — გაუკვირდა გრიქორს.

— იმდენი თაფლი განა ერთ წელიწადში გააკეთეს? ვინ იცის, ათი-ოცი წლის განმავლობაში აგროვებდნენ. ჰო, იმას ვამბობდი, დღესაც რომ წახვიდეთ აზიზბეკოვში, კოლმეურნეები გიჩვენებენ იმ კლდეს, რომელსაც აუარებელი ფუტკარი ასევია... ჩვენი ჭანჭაქარიც იმისთანა ბეღელია. ვინ იცის, რამდენი ასეული წელი იქნება, რაც ფუტკარი ბუდობს და კლდის ნაპრალებს თაფლით ავსებს...

— რამდენიმე ასეული წელი?.. მერე აღარ ბერდებიან?.. არ იხოცებიან?.. — იკითხა არმენმა.

მოხუცმა მიუგო:

— ასი წელია, რაც ეგ გარეული საფუტკრე არსებობს, მაგრამ ფუტკრები თითქმის ყველა ახალგაზრდაა, რამდენიმე თვისანი არიან. დაბერებული ფუტკრები იხოცებიან, დანარჩენები კი ბარტყობენ, სხვაგან მიდიან, ახალ-ახალ ბინას იშენებენ.

— ეგ როგორ ხდება? — გაიკვირვა არმენმა.

მოხუცმა ულვაშებში ჩაიცინა და წვერებზე ხელი გადაისვა.

— გგონიათ, ყველამ იცის მათი ცხოვრების საიდუმლოება? ვისაც გინდათ ჰკითხეთ, ყველა ერთხმად გეტყვის, რომ წამსვლელები ახალგაზრდა ფუტკრებიაო, ისე, როგორც ყოველი ცხოველის შვილები, გაზრდის შემდეგ მშობლებს რომ გამოეყოფიან და თავიანთ ბედ-იღბალზე დამოუკიდებლად ზრუნავენ. ფუტკარი ასეთ სისულელეს არ ჩაიდენს. ფუტკარმა რომ თავისი უსუსური ჭუპრები განდევნოს, ყველანი დაიხოცებიან, მოისპობიან, სულ სხვაა მგლის ლეკვის საქმე, ის წავა, სადმე მძინარე ბაჭიას წააწყდება, მოახრჩობს და შესანსლავს, ფუტკრის ჭუპრს ეს არ შეუძლია — მისი მდგომარეობა უფრო რთულია. ფუტკრის ოჯახმა თავისი არსებობა რომ შეინარჩუნოს, მთელ მშენებლობას უნდა მიჰყოს ხელი, თაფლის შესანახი ბეღლები უნდა ააგოს. ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი რა უნდა გააკეთოს! აბა მიდით, ახადეთ სკას, შიგ მთელ ქალაქს დაინახავთ... როგორ ფიქრობთ, ასეთი მშენებლობისათვის ვინ უფრო სასარგებლოა, ძველი გამოცდილი ოსტატები თუ თქვენისთანა ხამი ბიჭები...

— ოსტატები! — ერთხმად წამოიძახა ყველამ.

— ამიტომაც, ძველი ფუტკრები მთელ თავიანთ მეურნეობას მთელ სიმდიდრეს, ბინებს, სანთელს, თაფლის მარაგს თავიანთი ნება-სურვილით ახლებს უტოვებენ და მიდიან.

— თან არაფერი მიაქვთ? — შეეკითხა ჰასმიკი.

— არაფერი...

— რა კეთილი მშობლები ყოფილან, — წამოიძახა ფუტკრების მოქმედებით აღტაცებულმა გოგონამ.

— ასეა, ჩემო შვილებო, მოხუცები მიდიან, ახალგაზრდები რჩებიან, ოჯახი კი მუდამ ჯეელია, გამოდის, რომ ოჯახი ასი წლისაა, მკვიდრნი კი რამდენიმე თვისანი არიან... ხედავთ, ბუნების საიდუმლოებას!

მოხუცი ჩაფიქრდა, ყალიონი გააბოლა. ჩანდა, რომ ბუნების უცნაური საიდუმლოებით იყო მისი გონება მოცული.

ჭაბუკები ძალზე დაინტერესდნენ.

— გარეული ფუტკრის მოშინაურება თუ შეიძლება? — შეეკითხა კამო.

— როგორ არა... შენ, ოღონდ მიაგენი ფუტკარს და წამოიყვანე, ნახავ, როგორ მოშინაურდებიან. ვინ იცის რამდენჯერ გამოვკიდებივარ კვერნას, აი იმ მთაზე გადავსულვარ, ფუტკრის ბინისათვის მიმიგნია და სახლში მომიყვანია... კვერნა ისეთი ოხერია, რომ სადაც არ უნდა იყოს, ფუტკარს უეჭველად ალმოაჩენს. თაფლით კარგად გამოძღება და მერე იქეე მიიძინებს. მეც მის კვალს გავყვებოდი ხოლმე, ფუტკარს ვიპოვიდი, ვედრო თაფლით ავავსებდი, ფუტკარს ფაფახში ჩავყრიდი, მოკლული კვერნის ტყავს ქამარზე ჩამოვიკიდებდი და სახლში დავბრუნდებოდი, მერე რა ფუტკარი იყო, იცით?

— რომელი უფრო კარგია, გარეული თუ შინაური? — იკითხა გრიქორმა.

— ბიჭო, აქამდე არ იცი, რომელი უკეთესია? შინაური ფუტკარი გარეულს ვერ შეედრება. გარეული იმითი არის კარგი, რომ ბანჯგვლიანია, კარგად იტანს სიცივეს, გვალვას, შიმშილს. გრძელი ფრთები აქვს და შორსაც მიფრინავს. თანაც უფრო მეტ თაფლს იძლევა. იმას მხოლოდ თავის თავის იმედი აქვს, შინაური ფუტკარი კი, როცა ცუდ პირობებში ჩავარდება, თავის პატრონის იმედით ცხოვრობს. იცის, რომ პატრონი მას წყალში გახსნილ შაქარს მიაწვდის.

გრიქორს თვალები გაუბრწყინდა.

— ნუთუ ერთ კვერნად ალარ ვღირვარ? — თქვა მან და წამოდგა, — იმ კლდეზე ისე ავცოცდები, როგორც კატა. ყველა ფუტკარს ისე ჩამოვიყვან და კოლმეურნეობას ჩავაბარებ, რომ გაოცებისგან პირს დააღებთ. აბა, ადექით, წავიდეთ...

პაპა ასატურმა ხელი ჩაიქნია და თქვა:

— ვინ მოსთვლის რამდენი წასულა, უკან კი აღარ დაბრუნებულა — კლდიდან გადმოჩეხილა, ან ფუტკრებს დაუკბენიათ, ან არა და დევების კერძი გამხდარა... ეგ კლდეები „ჯოჯოხეთის კარების“ ახლოს არის.

— მერე რა?..

— ის, რომ ძველად ამბობდნენ, ეგ ფუტკარი ჯოჯოხეთის დევებს ეკუთვნის, იქაურ თაფლს ისინი ჭამენო. მათ თურმე ყარაულებიც კი ჰყოლიათ დაყენებული...

— პაპა, პაპილო, წავიდეთ, ერთი ჩვენც გვაჩვენე, — შეეხვეწა კამო.

— იქ წასვლა არ შეიძლება, შვილო.

— თავი კი მოაქვს, მონადირე ვარო. — მოხუცის გასაღიზიანებლად თქვა გრიქორმა.

ასატურმა ხანჯალზე ხელი იტაცა და გაცხარებით მიაძახა:

— ეი, ცინგლიანო, კვერცხიდან გუშინ გამოჩეკილხარ და ჩემ მონადირეობას დასცინი?.. რამდენიც ხბორები გყავს, იმდენი დათვი და მგელი მომიკლავს, ჭკუა სადა გაქვს, შენ მხოლოდ ადგილი მიჩვენე, თოფს გადავაგდებ, პირდაპირ ხანჯლით ვეკვეთები დათვს, ეგ გულადობის საქმეა, მაგრამ იქ დევია, დევი. გესმის, რა არის დევი? იქ, ღონით ვერაფერს გახდები, დევს ვინ მოერევა?..

ჭაბუკები ცდილობდნენ მოხუცისათვის დაემტკიცებინათ, რომ დევები არ არსებობენ, რომ ყოველივე ეს ჩვენი ცრუმორწმუნე წინაპრების მოგონილი ამბავია და მეტი არაფერი. სწორედ ამ დროს კვლავ გაისმა საიდუმლოებით მოცული გრიალი...

— მაშ თუ დევი არ არის, ეს რას ნიშნავს?.. არა, ძმობილო, სანამ არ ამიხსნით თუ რა გრიალებს, სანამ არ გამაგებინებთ თუ შავი კლდეები რატომ გრგვინავენ, ჩემს რწმენაზე ხელს ვერ ამაღებინებთ, — თქვა ჟინიანმა მოხუცმა.

— კარგი, წავიდეთ, შორიდან მაინც დაგვანახე, — შეეხვეწა კამო.

პაპა ასატური დიდხანს ყოყმანობდა, ბოლოს როგორც იქნა დაეთანხმა.

— მხოლოდ იცოდეთ, შორიდან უნდა შეხედოთ, ახლო არ მიხვიდეთ, თუ ამ პირობაზე თანახმა ხართ, წავიდეთ, თუ არა და მე ჭანჭაქარში წამსვლელი არა ვარ...

— თანახმა ვართ, თანახმა, — შესძახა კამომ და არმენს ჩუმად თვალი ჩაუკრა, — ჰასმიკ, შენც გამოგვყვები?

— ფრინველებს რა ვუყოთ?

— დედაშენს ჩააბარე.

ჰასმიკის დედა, რომელიც წინათ მხოლოდ ეხმარებოდა ფერმას, ახლა უკვე კოლმეურნეობის გამგეობის დადგენილებით „მეფრინველეობის საცდელი ფერმის“ შტატიანი თანამშრომელი იყო.

— ვანო, აი, ვანო, — გასძახა გრიქორმა თავის თანაშემწეს.— ხბორებს ყური უგდე. მე ჭანჭაქარში თაფლის მოსატანად მივდივარ.

— მაშ ასე, ნორჩი ნატურალისტების ჩვენი ჯგუფის ექსპედიცია ჭანჭაქარში მიდის, — ოფიციალური ტონით გამოაცხადა კამომ, — რას იტყვით, თან რა წავიღოთ?

— პირველ ყოვლისა, საჭმელი, — უპასუხა გრიქორმა და სახლისკენ გასწია.

— აი, შე ღორმუცელა, — თავი გააქნია და ჩაიცინა ჰასმიკმა.

— კოლმეურნეობიდან გრძელი თოკები წამოიღე, — მიაძახა კამომ.

— რა ოინი იქნება, რომ თაფლის ნაცვლად წყალი აღმოვაჩინოთ, — წარმოთქვა არმენმა.

მისი აზრი და გონება მუდამ წყლის საკითხით იყო გატაცებული.

— წყალი... წყალი... ჩვენს მამა-პაპას წყლის ნატვრაში ამოხდა სული, წყლის პოვნა ადვილი არ არის... — თავისთვის ჩაილაპარაკა მოხუცმა და მინდორ-ველს თვალი გადაავლო.

— პაპა, ჩვენი სოფლის ზევითა ფერდობი მანქანებით ღრმად რომ ამოთხარონ, მთებიდან ჩამომავალ წყალს გზას ვერ გადაუღობავენ? — ჰკითხა არმენმა.

— ეგ რომ მოსახერხებელი ყოფილიყო, აქამდე ათასჯერ გავაკეთებდით. გგონია, მანქანა რომ არ გვქონოდა, ვერ ამოვთხრიდით? — ეწყინა მოხუცს. — ბევრჯერ ამოგვითხრია, მაგრამ უშედეგოდ, ალალბედზე გათხრას რა აზრი აქვს, უნდა იცოდე სად არის წყალი და მერე დაიწყო გათხრა.

— გეოლოგები იპოვნიან, მოდი ერევანს მივმართოთ.

ჰასმიკი გაშტერებული აკვირდებოდა არმენს, მის ნაზ პირისახეს, განიერ შუბლს, ჭკვიან თვალებს და ფიქრობდა: „არმენი

ნამდვილი მეცნიერი იქნება“.. შემდეგ კამოს შეხედა. დააკვირდა მის არწივისებურ ცხვირს, მტკიცე გამომეტყველებას და გაიფიქრა: „ნამდვილი ტანკისტი გამოვა“.

სანამ გრიქორი დაბრუნდებოდა, ბიჭები ასე მსჯელობდნენ, ერთმანეთს ეკამათებოდნენ, ფანტასტიკურ გეგმებს თხზავდნენ. მოხუცი უსმენდა და დროგამოშვებით თავს უიმედოდ აქნევდა.

როგორც იქნა გრიქორი დაბრუნდა, ზურგზე სავსე ტომარა ეკიდა, ხელში კი წერაქვი ეჭირა.

— თოკი, რაღა უყავი?

— კოლმეურნეობის თოკს ვინ მომცემდა?.. მაგრამ, ბიჭებო, რაც მთავარია, მოვიტანე, ახლა ჭანჭაქარი ვეღარ გაგვიმკლავდება, — თქვა მან, ბიჭებს თვალი ჩაუკრა და სავსე ტომარა ძირს დადო. — ელვის სისწრაფით შემოვირბინე თქვენი ოჯახები და რაც კარგი საჭმელები გქონდათ, მოგიტანეთ.

— წერაქვი რაღად მოიტანე? — შეეკითხა კამო.

— გეოლოგები მთებში მუდამ წერაქვებით დადიან, არ შეგიმჩნევიათ?..

— გვეყოფა, აბა გზას გავუდგეთ, — განკარგულება გასცა კამომ.

ჯგუფი დაიძრა გიჟი მთის ფერდობებისაკენ, უფსკრულზე გადმოკიდებული ჭანჭაქარის კლდეებისაკენ.

„შვიდი ძმის სისხლი“

ფართე თვალწარმტაცი ფერდობები ათასფერი ყვავილებით ცისარტყელასავით აფერადებულიყო.

ბავშვები შეჩერდნენ, ისინი აღფრთოვანებით შესცქეროდნენ წითელ ყაყაჩოებს. ნარგიზებს ნაზი პატარძალივით ფართე წამწამები ძირს დაეხარათ და მოსულთ ზედ არ უყურებდნენ. ყვითელ ყვავილებს, რომლებსაც „საკმელის ყვავილებს“ უწოდებენ, იქაურობისათვის გამაბრუებელი სურნელება მოეფინათ, იქვე მახლობლად, წვრილ, მაღალ ღეროებზე თავს აქანებდნენ მოყვითალო ყვავილები, რომელთა ფოთლები შორიდან ისე ლაპლაპებდნენ, გეგონებოდათ ერბო წაუცხიათო. ჯგუფ-ჯგუფად მოჩანდა გვრილა, ბალახებში მორცხვად იმალებოდნენ პაწაწინა ნაზფოთლიანი ლიმონისფერი ყვავილები, რომელთა სუნი შორიდანვე აბრუებდა ყმაწვილებს.

ყვავილებით დაფარულ ფერდობებზე აუარებელი ფუტკარი და სხვა მწერები ფუსფუსებდნენ... მზის სხივებისაგან გამთბარ-გახურებულ ყვავილებს ირგვლივ ისეთი სურნელება მოეფინათ, რომ ადამიანი პირდაპირ იბნიდებოდა. ამ უწყლო და მზიან ფერდობზე ბალახიც კი სურნელოვანი იყო. აქ შეხვდებოდით ყველა სახის გარეულ მწვანილს: ოხრახუშს, ნიახურს, ქინძს, რეჰანს, ქონდარს, კამას და სხვა.

ამ ყვავილების სურნელებით დამთვრალი ჩვენი ჭაბუკები სულ მაღლა მიიწევდნენ.

— კამო, არმენ, ერთი შეხედეთ რა ფერებია... მთის ყაყაჩოები ვიპოვე, სულაც არ ჰგვანან ჩვენი სოფლის ყაყაჩოებს, — ხევიდან ამოსძახა ჰასმიკმა. — მოითმინეთ, ახლავე დაგეწევით. — და ბორძიკით ნაბიჯს აუჩქარა... მაგრამ როცა ნახა, რომ ვერ ეწეოდა, სასწრაფოდ ფეხსაცმელი და წინდები გაიხადა და ფეხშიშველი დაედევნა.

— პაპა, გილის ნაპირებზეც ხომ ბევრი ყვავილებია, რატომ ასეთი კარგი სუნი არა აქვთ?

— იქ სინესტეა, შვილო. სადაც წყალი ნაკლებია და მზე უხვად აფრქვევს სხივებს, იქ ბალახიც და ყვავილიც უფრო სურნელოვანია, — აუხსნა მოხუცმა. — ასეთი ბალახით გამოკვებილი ძროხის რძე და კარაქი გემრიელი და ნოყიერია. ამიტომ არის, რომ საქონელი მინდვრის ბალახს მიატოვებს და ასეთ ადგილებს მოაშურებს ხოლმე. ამ ბალახს სულ სხვა გემო აქვს. იცით ამ ყვავილებს სიკვდილისგან რამდენი ადამიანი გადაურჩენიათ? აი, ამ ყვითელ ყვავილს ხომ ხედავ, ამას ჩვენ „ღართაფას“ ვეძახით. ერთ ზამთარს, მონადირე კაროს შველი მოეკლა, დაღამებოდა, ნანადირევის მიტოვება დანანებოდა და გათენებამდე იქვე დარჩენილიყო. ღამე გაცივებულიყო, სიცხეებს აძლევდა, კინაღამ მოკვდა, იქნება კიდევაც მომკვდარიყო, ამ ყვავილით რომ არ ეწამლათ: ყვავილი მოხარშეს და მისი წვენი დაალევინეს, ოფლი მოუვიდა და სიკვდილს გადარჩა. აგერ, იმ გრძელფოთლებიან ყვავილს „ხარის ენას“ ვეძახით, რანაირ წყლულსაც არ უნდა დაადო, მაშინვე მოარჩენს. ერთ წელიწადს კლდიდან გადმოვვარდი, ხელი ვიღრძე, მაგ ბალახით განვიკურნე. მუწუკზე რომ დაადო, მოამწიფებს, გამორწყავს, მისი ნახარში წვენი ხველასაც შველის. ჩემი ცხონებული ნათლია მუქელი იმასაც ამბობდა, რომ ჩვენ

მინდორ-ველებში ისეთი ყვავილიც არის, რომელიც კაცს აჯეველებსო.

ამ თვალწრმტაც ფერებში ჭაბუკების ყურადღება მიიპყრო ერთმა სისხლისფერმა ხასხასა ყვავილმა.

— პაპა, ეს ხომ არ არის „შვიდი ძმის სისხლი“? — ჰკითხა კამომ და სირბილით მიიჭრა არაჩვეულებრივ ყვავილთან.

— მე, მე უნდა მოვწყვიტო! — წამოიყვირა ჰასმიკმა და ნუკრივით გამოეკიდა. მათ არმენიც დაედევნა.

კამო დაიხარა, ხელი გაიწოდა ყვავილის მოსაწყვეტად, მერე უკან მოიხედა, ჰასმიკი რომ დაინახა, უცებ შეჩერდა, უკან დაიხია...

— მოიცა, კამო, ხელი არ ახლო... ეგ ფესვიანად უნდა ამოვიღო და სახლში წავიღო.

გოგონამ დაიჩოქა, ძირფესვიანად ამოთხარა. გრძელღეროიანი, სისხლივით წითელი ყვავილი და გულზე მიიხუტა.

— რა კარგია, რა ლამაზია... მართლა, შვიდი ძმის სისხლია ეს, პაპა? — შეეკითხა ჰასმიკი.

— რასაკვირველია. — უპასუხა მოხუცმა. — ეს არის სისხლი შვიდი მამაცისა. ამბობენ, ვითომ სისხლისაგან იყოს ამოსული... სიცოცხლეში ათასი კაციდან ერთი ძლივს ეღირსება მაგის ნახვასაი, უკვე სამოცი წელია ამ მთებში ვტრიალებ, მაგრამ მხოლოდ ორჯერ ვნახე ეს ყვავილი. ერთხელ ახალგაზრდობაში ვიპოვე. წავიღე და ჩემს ნარგიზს მივართვი, მეორეჯერ იაპონიის ომის დროს. ეგ ყვავილი სახლში ვერ გასძლებს, ჩემო პატარავ, მაგას მთის სუფთა ჰაერი უყვარს... უცხო მიწაში არ გაიხარებს...

მართლაც შეუდარებელი იყო ეს ყვავილი.. ვერც ერთი მხატვარი ვერ შესძლებდა მისი სიმშვენიერის ტილოზე გადატანას.

ჰასმიკი ხშირ-ხშირად ყნოსავდა ყვავილს, ლოყაზე მიიდებდა ხოლმე და თან მოხუცს თხოვდა:

— პაპა, შენ გეცოდინება რას ამბობს ხალხი ამ ყვავილის შესახებ, გვიამბე რა!

— რა თქმა უნდა გიამბობთ.

პაპა ქვაზე ჩამოჯდა და ჩიბუხის გატენა დაიწყო. ბავშვები გარს შემოესხდნენ.

— ძველ დროს მთებში ქურთების ორ მოქიშპე ტომს უცხოვრია, — დაიწყო მოხუცმა. — ერთ ტომში ყოფილა შვიდი ძმა, ერთიმეორეზე უკეთესი. განთქმული ჯირითობითა და იარაღის

მარჯვე ხმარებით, მათ ჰყოლიათ ერთი და, სახელად ზარა, ძალიან ლამაზი: თურმე მზეს ემუდარებოდა — შენ ნუ ამოხვალ, ქვეყანას მე გავანათებ და კიდეც გავათბობო. ღაწვები სისხლნარევ თოვლს მიუგავდა, თვალებიდან სიყვარულისა და სიკეთის ნაპერწკლებს აფრქვევდა. მშველივით უდარდელად და მხიარულად ატარებდა ის მშვენიერი არსება თავის კეკლუც ახალგაზრდობას. მისი ძმების შიშით ახლოს ვერავინ ვერ ეკარებოდა.

მეზობელი მოქიშპე ტომის უფროსს ავდალ-ბეგს კაცები გაუგზავნია შვიდი ძმისათვის და შეუთვლია თქვენი და მომათხოვეთო, სამაგიეროდ ჩემი ნახირის და ცხენების ნახევარს მოგცემთ და კიდევაც დაგიმეგობრდებითო.

მთელი ტომი შეკრებილა, დიდხანს უთათბირიათ და ბოლოს ავდალ-ბეგისათვის იმ ქალიშვილის მითხოვება გადაუწყვეტიათ. ავდალ-ბეგის ტომი მათზე ძლიერი და მდიდარი ყოფილა, უარი რომ ეთქვათ, მას დიდი ზიანის მიყენება შეეძლო.

ქალიშვილი თურმე იძახდა, ავდალ-ბეგი არ მიყვარს, მე ჩემიანების მოსისხლე მტერს ვერ შევიყვარებო, მაგრამ გავყვები, რაკი ჩემ ძმებს უნდათ. დაე მსხვერპლად შეეწირო ჩემს ტომსაო.

მაშინ უმცროს ძმას, რომელიც ყველაზე ფიცხი ყოფილა, ხმალი უშიშვლებია და უთქვამს: „მე ჩემ დას არ გავწირავ, ამ ქვეყნად ერთადერთი და მყავდეს და ისიც ჩემ მტერს მივათხოვოო...“

უფროსი ძმა უფრო წინდახედული, გამოცდილი და ფრთხილი კაცი ყოფილა, იგი ცდილა დაერწმუნებინა უმცროსები, მაგრამ ყველა უმცროს ძმას მიმხრობია და დაუდგენიათ საძულველი მტრისათვის არ მიეთხოვებინათ თავიანთი და.

მაშინ ავდალ-ბეგი თავისი ამალით წასულა ქალის მოსატაცებლად. მისვლისთანავე ცხენიდან ჩამომხტარა და მაშინდელი ადათის მიხედვით შვიდივე ძმა სათითაოდ ბრძოლაში გამოუწვევია.

მათი ტომის ჩვეულების მიხედვით პირველად უფროსი ძმა უნდა გამოსულიყო საბრძოლველად, მაგრამ უფროს ძმას თავი შორს დაუჭერია, დიდი ოჯახი ჰქონია და სიკვდილი არ სდომებია. ამიტომაც შემდეგ ალა. მითუმეტეს, რომ თვითონ გაშლილ აღგილზე ყოფილა, ავდალ-ბეგი კი ქვებს ამოფარებია. ამ დროს ქალიშვილი მისულა, უფროსი ძმისათვის მშვილდისარი ჩამოურთმევია, მტრის წინ დამდგარა და სიმღერით უთქვამს...

და უცებ მოხუცმა ასატურმა ქურთულ ენაზე წამოიწყო ის სიმღერა... მოხუცს ხმა უკანკალებდა, მაგრამ დიდი გრძნობით კი მღეროდა.

— ქურთულიდან თარგმნა მიჭირს, — თქვა მან, — მაგრამ ამ სიმღერის დედააზრი მოკლედ ასეთია: თუ უფროსი ძმა არა მყავს, თუ ჩემს ძმას „ქოლოზის“[1] ნაცვლად თავზე ლეჩაქი ახურია, მაშინ იძულებული ვარ ჩემი პატიოსნება თვითონვე დავიცვაო.

[1] ქოლოზი — სარტყელშემოხვეული წოპიანი ნაბდის ქუდი.

ასეთი შემაძრწუნებელი სიტყვების გაგონებაზე უფროს ძმას მშვილდისარი გამოურთმევია დისათვის, „ქოლოზი“ ქვაზე მიუგდია, და საბრძოლველად გასულა, მაგრამ ბრძოლაში დაღუპულა.

მაშინ დას ერთი ბღუჯა თმები მოუგლეჯია, ცხედრის მკერდზე დაუყრია და სიმღერით ხოტბა-დიდება შეუსხამს ძმისათვის.

ქალიშვილს სიმღერით გამოუგლოვია ძმა, მერე ძმის მშვილდისარი აუღია და ბრძოლა გაუგრძელებია.

მაგრამ ამ დროს გამოჩენილა მეორე ძმა. მისულა, დისთვის შუბლზე უკოცნია, ბრძოლის ველიდან გაუყვანია და მტრისათვის დაუყვირნია — „ეი, უნამუსოვ, შენ ჩვენ სისხლს ნახავ, მაგრამ ჩვენ დას კი ვერასოდეს ვერ იხილავ შენს ჭერქვეშ...“ „ქოლოზი“ მოუხდია, ქვაზე მიუგდია და ძმის მიერ მიტოვებული ბრძოლა გაუგრძელებია.

მოწინააღმდეგე ტომის ხელმძღვანელი განთქმული მსროლელი ყოფილა. პირველი გასროლისთანავე მეორე ძმაც დაუმარცხებია. მისთვისაც დას ერთი ბღუჯა თმები დაუყრია და კვლავ უმღერია...

ასე სათითაოდ დახოცილან ძმები. ქალიშვილი თურმე თვითეულ მიცვალებულს თითო სიმღერას ეუბნებოდა და თავისი თითო ბღუჯა თმით ამკობდა.

და როცა უმცროსი ძმაც განგმირული დაცემულა, ქალიშვილს თავისი თმების უკანასკნელი ბღუჯა დაუყრია მის ცხედარზე და ბოლო სიმღერაც უთქვამს. ეს სიმღერა გლოვის სიმღერა როდი ყოფილა. იგი თურმე ბრძოლისაკენ მოუწოდებდა. მერე უმცროსი ძმის მშვილდისრისათვის წამოუვლია ხელი, ატლასშემოვლებული „ქოლოზი“ თავზე დაუხურია და თავიანთი ოჯახის პატიოსნების დასაცავად ძმების მიერ მიტოვებული ბრძოლა გაუგრძელებია.

ავდალ-ბეგი ლოდებს ამოეფარა, მაგრამ ქალიშვილის არწივივით თვალებს ვერსად გაექცა, პირველი გასროლისთანავე მტერს შავი გული ორად გაუპო... აი, ამ მამაცი ძმების სისხლით მორწყულ მიწაზე ამოსულა ეს სისხლივით წითელი ყვავილი.

მოხუცმა ლეგენდის მოყოლა რომ დაამთავრა, ყალიონი გააბოლა.

დიდიხნით სიჩუმე ჩამოვარდა.

ბოლოს ჰასმიკი წამოდგა, ცრემლები მოიწმინდა, მიუახლოვდა კამოს და უთხრა:

— ნება მომეცი ეს ყვავილი გულზე დაგაბნიო. მე მგონი, შენც რაინდულად დაიცავ შენი დის პატიოსნებას, არა?

კამომ თავი დახარა.

— მე და არა მყავს... მაგრამ თუ ვინმე გაწყენინებს, ნაკუწ-ნაკუწად ვაქცევ, — უპასუხა აღელვებულმა კამომ.

— მჯერა, — ღიმილით უპასუხა გოგონამ.

— ეჰ, კაცს ერთი დაც კი არ გეყოლება, რომ თავი შეწირო,— იხუმრა გრიქორმა, მიუხედავად იმისა, რომ მოხუცი ასატურის ნაამბობით მასაც გული ასჩუყებოდა.

გრიქორის ხუმრობამ ჩვენს ჰაბუკებს მწუხარება გაუქარვა. წამოიშალნენ და სიცილ-ხარხარით ჭანჭაქარისაკენ გზა განაგრძეს.

მოხუცი მონადირე უსმენდა მათ ხუმრობას და თავისი ახალგაზრდობა აგონდებოდა. „ესენიც ხომ ყვავილები არიან“ — ფიქრობდა მათი შემყურე, მაგრამ უფრო სწორად ისინი წააგავდნენ პეპლებს; რომლებიც ყვავილიდან ყვავილზე დანავარდობდნენ სევანის ბუნების სილამაზით აღტაცებულნი და ბედნიერნი.

სპირენძის თუნგის საიდუმლოება

ნორჩი ნატურალისტების ჯგუფის წევრები დაღლილნი და გაოფლილნი გიჟ მთას უახლოვდებოდნენ.

პირქუში ციცაბო კლდეები ცაში აზიდულიყვნენ.

— აგერ „ჯოჯოხეთის კარები“ ის არის, — მიუთითა ასატურმა ჩამოშავებული კლდის ხახასავით დაღებულ გამოქვაბულზე.

კლდის ძირში ერთი ძველთა-ძველი მუხა იდგა, გიჟი მთის საშინელი ქარიშხლებისთვის რომ გაეძლო თავისი მაგარი, დახორკლილი ფესვები ფართოდ გაედგა და ერთი დიდი კალოსოდენა ადგილი ეჭირა.

მოხუცი მუხასთან მივიდა და საზეიმოდ განაცხადა:

— აი საზღვარი, რომლის იქითაც ჩვენს წინაპარს ფეხი არ გადაუდგამს!

— მონადირე კაროს გარდა? — გაიცინა არმენმა.

— მართალია, მარტო მონადირე კარომ გადალახა საზღვარი, იმიტომაც მიიღო სასჯელი დევებისაგან.

— საწყალი კარო! — გულისტკივილით წაიჩურჩელა ჰასმიკმა.

— რა თქმა უნდა დევებთან საქმის დაჭერა ხუმრობა არ არის!

— რა შუაშია დევები? — გაბრაზდა კამო.

— როგორ თუ რა შუაშია? — იწყინა მოხუცმა. — კაროც შენსავით ამბობდა, ჯოჯოხეთი არ არსებობსო. ადგა და ამ კლდის ვიწრო ბილიკით ჭანჭაქარისაკენ გასწია. მშვენიერი მზიანი დღე

იყო. უცებ, სასტიკი გრიგალი ამოვარდა, აქაურობა მილეწ-მოლეწა და ჩვენი კაროც კლდიდან ხრამში გადაჩეხა...

— მონადირე კაროსთან ერთად ვინ იყო? — დაინტერესდა არმენი.

— არავინაც არ ყოფილა.

— თუ არავინ იყო, მაშინ საიდან გაიგეთ, დევმა გადმოაგდო თუ თავისმა გაუფრთხილებლობამ? ეგ მოგონილი ამბავია.

— როგორ თუ მოგონილი? — გაბრაზდა უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი მოხუცი, — დამცინით არა?.. აბა ერთი ამ ხის წვერს შეხედეთ, ვისი ნამოქმედარია?

ჭაბუკებმა მაღლა აიხედეს და ხის კენწეროზე დაკიდებული მოზრდილი სპილენძის თუნგი დაინახეს.

— ეშმაკმა თუ არა, მაშ თუნგი ხეზე ვინ ჩამოკიდა? — ხმას აუწია ასატურმა.

— მართლაც, პაპა, ვინ ჩამოკიდა?

პაპა ასატურმა პასუხის გაცემა ვერც კი მოასწრო, რომ კამომ ხელისგულზე დაიფურთხა და ხეზე აცოცდა.

— სად მიხვალ, შვილო, თავი გაანებე, ნუ ახვალ, ეგ ხეც და თუნგიც დაწყევლილია, — მიაძახა შეშფოთებულმა ასატურმა.

მაგრამ კამომ ყური არ ათხოვა. ხის კენწეროს მოაჯდა და ყურადღებით დაუწყო თვალიერება წვიმისაგან და მზისაგან გამწვანებულ სპილენძის თუნგს.

— ახლავე მოვაძრობ და ჩამოვაგდებ, — ზევიდან გადმოსძახა კამომ. მაგრამ თუნგის მოძრობა არც ისე ადვილი აღმოჩნდა. ტოტი, რომელზეც თუნგი ეკიდა, წლების მანძილზე გაზრდილიყო, გამსხვილებულიყო და თუნგის ყური მაგრა ჩასჭდომოდა შიგ.

კამო ხიდან ჩამოვიდა.

— პაპა, თუნგი ხეზე როგორ აღმოჩნდა?

— ხომ გითხარი, ეშმაკის ნახელავია-მეთქი. ნათლიაჩემი მუქელი ყვებოდა... გვიამბობდა... ჭკვიანი კაცი იყო მუქელი, ყველაფერი იცოდა! ძველად, — ამბობდა ის, — აქ დიდი გვალვები დაუტერია, ირგვლივ ყველაფერი გადამხმარა. შიმშილს მოუცელია ხალხი. სევანის მხრიდან მრავალი გახიზნულა გიჟი მთის მეორე მხარეს და ყაზახში დასახლებულა. იქ მრავლად არის ტყეები, მდინარეები, წყაროები და გვალვაც არ იცის. შიმშილისგან დასუსტებულ, ღონემიხდილ ხალხს გიჟი მთის ფერდობზე მოუყრია თავი

და დიდი გაჭირვებითა და ვაი-ვაგლახით გადაულახია მისი სალი კლდეები.

წყალს დანატრებული ბავშვები ეეედრებოდნენ მშობლებს „ერთი წვეთი წყალი მაინც მიეცათ". ბევრს გული უღონდებოდა...

ლტოლვილთა შორის ერთი ულამაზესი, გამბედავი გოგონა ყოფილა, სახელად კარინე.

კარინემ აიღო დედისაგან სახსოვრად დარჩენილი სპილენძის დიდი თუნგი, გილის ტბაზე ჩაირბინა და ბავშვებს წყალი ამოურბენინა. ხალხს ღონე მიეცა და გზა განაგრძეს...

მაგრამ ეს მოხდა მაშინ, როცა ისინი სოფელს კარგად გაშორებულიყვნენ და აი, სწორედ ამ ხის ქვეშ, სადაც ახლა ჩვენ ვსხედვართ, მათ დაისვენეს, მაგრამ ვაი იმ დასვენებას, ბავშვები წუხდნენ, ღონე ელეოდათ, სულ „წყალი და წყალს" გაიძახოდნენ. გოგონას თუნგი კი უკვე ცარიელი იყო. გული უკვნესოდა, რტანჯებოდა, მაგრამ მეორედ ვეღარ ბედავდა გილიზე წასვლას, ისიც სხვებივით მშიერი იყო, მუხლში ძალა გამოლეოდა, ყაზახამდე ჯერ კიდევ დიდი გზა იყო... კარინეს გადაუწყვეტია შავი მთის გამოქვაბულში შესულიყო.

ჩვენი წინაპრები ამბობდნენ, რომ ამ კლდეში ჯოჯოხეთი არისო. სადაც ცეცხლზე დიდი სპილენძის ქვაბი დგას და შიგ ცოდვილთა სულები იხარშებაო. ის შიშინ-შხეილი ამ კედლებიდან რომ ისმის, ჯოჯოხეთის დიდ ქვაბში წყლის თუხთუხი არისო. „ბევრ რამეს კი ამბობენ, მაგრამ ყველა ხომ მართალი არ არისო, — გაიფიქრა კარინემ, — მთაში ალბათ წყალი ჩუხჩუხებს და მეტი არაფერი". კარინეს თუნგი მხარზე შეუდგამს და პირდაპირ გამოქვაბულისკენ წასულა.

ერთ ბებერ დედაკაცს დაუძახია „ნუ მიდიხარ, იქ ჯოჯოხეთია". გოგონას ყური არ უთხოვებია, ჯერ ერთი რომ მეტისმეტად გულადი იყო, მეორეც, ბავშვების კვნესა-მუდარა გულს უკლავდა საწყალ კარინეს.

ჯოჯოხეთის კარებში გოგონას თურმე დევი დახვედრია. კარინე რომ დაუნახია, კბილები დაუხრჭიალებია: „ადამიანო, თავი ხომ არ მოგძულებია, რომ ჩემს სამყოფელში მოსულხარო..."

„მოვედი, რომ მწყურვალე ბავშვებს წყალი წავუღო. რა იქნება, ერთი ჯამი წყალი მომცეო?"—შეეედრებია კარინე.

დევმა დიდრონი კბილები დააკრაჭუნა და თავისებურად გადიხარხარა. ხომ იცით, როცა ადამიანს უბედურება შეემთხვევა, დევს ყოველთვის გაუხარდება ხოლმე, — დარწმუნებით დაემატა მოხუცმა.

„აი ახლა გიჩვენებ, კარგ წყალს! შენ ჩემი საიდუმლოება გინდა გაიგო არა? დამაცადე, ახლავე არწივების კერძად გაგხდი“ — დაუღრიალა დევმა, სწვდა კარინეს თმაში, ხელში აიტაცა და თავისი თუნგით აი, ამ ხის კენწეროზე ჩამოკიდა. აბა დევს რა გაუჭირდებოდა, რომ მოისურვოს ხელს ცამდე მიაწვდენს.

ხის ქვეშ მჯდომი ქალები, რომელთაც ეს საშინელი სურათი იხილეს, საჩქაროდ წამოცვივდნენ და თავიანთი ბავშვებით გზას გაუდგნენ. გაშორდნენ ამ დაწყეველილ არემარეს.

მაშინათვე მოფრინდნენ არწივები და საწყალი გოგონა სულ ერთიანად შესანსლეს, თუნგი კი ასე დარჩა ხეზე. ჩამოკიდებული, რომ ყველა გამვლელ-გამომვლელს ხსომებოდა ეს ამბავი და ჯოჯოხეთის კარზე აღარ გაებედა მისვლა.

პაპა ასატურის გულუბრყვილო ნაამბობმა ბიჭებს ღიმილი მოჰგვარა, ჰასმიკი კი თავისთვის ბუტბუტებდა: „რა გულადი, რა კეთილი ყოფილა კარინე!..“

— არა, პაპა, ჯოჯოხეთზე ლაპარაკი ზედმეტია, არავითარი ჯოჯოხეთი არ არსებობს, — თავის ქნევით უთხრა არმენმა. — ჩემის აზრით, ეგ თუნგი სულ სხვა მიზეზით არის მანდ მოხვედრილი. ეს ხე რამდენი წლისაა, ორასორმოცდაათის ხომ იქნება?

— იქნება, — დაუდასტურა ასატურმა, — მეტისაც იქნება.

— ერთი საუკუნის წინათ, — განაგრძო არმენმა, — ჩვენს ქვეყანაში ქურთ დამპყრობლებს უთარეშიათ. ჩვენი სოფლები დაუწვავთ და გაუძარცვავთ, შეშინებული ხალხი მთაში გახიზნულა. იმ დროს ეს ხე ჩვენი გრიქორის კი არა და ალე ჰასმიკის ტოლა იქნებოდა... მთაში მიმავალი ლტოლვილნი მძიმე ბარგს ვერ ზიდავდნენ და გზაში ყრიდნენ. აი ეს თუნგი, ერთი მოხუცი დედაკაცის დატოვებული იქნება; ახალგაზრდა ხის შტოზე ჩამოჰკიდებდა. ალბათ გაიფიქრა, „იქნებ ბედმა გაგვიღიმოს, უკანვე მოვბრუნდეთ და ჩემ თუნგს სახლში წავიღებო“, — მაგრამ ხალხი ამ მიდამოებს დიდხანს აღარ დაბრუნებია, ხე კი იზრდებოდა და თავისი „ნადავლიც“ ზევით აჰქონდა.

შემთხვევით გამვლელი ადამიანები ამჩნევდნენ ხეზე ჩამოკიდებულ თუნგს, მაგრამ ის უკვე დაძველებული და უვარგისი იყო, ხოლო მუხა ისეთი მაღალი, როგორიც ახლაა და ჩამოლებად არცა ღირდა.

— სწორედ ასე იქნებოდა, — წამოიძახა ჰასმიკმა და ტაში შემოჰკრა. — დევი აქ. არაფერ შუაშია.

— როგორ თუ არაფერ შუაშია, — შესძახა გრიქორმა და შავ ღრუბლებში გაელვებულ ნაპერწკალზე მიუთითა. ცა, როგორც მთაში იცის ხოლმე ხშირად, უცებ ჩამობნელდა, — აბა ეს რა არის?

დაიქუხა. ექო გამოქვაბულში რამდენჯერმე განმეორდა... შემკრთალი ჰასმიკი კამოს მიეკრა.

— აბა რისა გეშინია? უბრალოდ ელავს! დაგავიწყდა ყველაფერი, რაც სკოლაში ისწავლე?

ჭანჭაქარის კედლებში

ჭაბუკები ქარიშხლის შიშით გამოქვაბულში, რომ დამალულიყვნენ, გარეთ გამოვიდნენ. გარშემო კვლავ სიწყნარე იყო, ცა მოწმენდილიყო და მზე უხვად აფრქვევდა სხივებს.

უფსკრულის მხარეს შავი კლდეების პირდაპირ მრავალი ლავგარდანი, ხვრელი და გამოქვაბული მოჩანდა.

კამომ პაპა ასატურს ერთ-ერთ ლავგარდანზე მიუთითა და ჰკითხა:

— პაპა, საით მიდის ის ქვის ბილიკი?

— ეგ ბილიკი კლდეებს შორის წყდება. მაგის ზევით მეორე ბილიკს ხედავ? იმ ბილიკიდან დევის სამყოფლის დანახვა შეიძლება.

— მაშ მომყეთ, — გასცა განკარგულება კამომ და ჯეირანივით ისკუპა პაპას მიერ ნაჩვენებ ბილიკზე. მას არმენი მიჰყვა, შემდეგ გრიქორი და ბოლოს ჰასმიკი.

— ნუ წახვალთ, ბიჭებო, ეშმაკების კერძი გახდებით. თქვენს მშობლებს რა პასუხი გავცე! — მიაძახა შეშინებულმა პაპამ და უკან დაედევნა, რომ ბავშვები შეეჩერებინა.

—პაპა, საზღვარი გადალახე, საზღვარი, — თითქოს შეეშინდაო, ისე შესძახა გრიქორმა.

ყველამ გაიცინა.

გადაფითრებული მოხუცი უკან გაბრუნდა.

— უფსკრულისკენ არ გადაიხედოთ, თავბრუ დაგეხვევათ, არ გადაიხედოთ!

ბიჭები გაუფრთხილებლადაც ვერ გაბედავდნენ დაბლა გადახედვას...

გზად, ქვის ბილიკის მარცხენა კუთხეში დიდი თუ პატარა გამოქვაბულები ხვდებოდათ, რომლებიც ჯეირანების თავშესაფარები უნდა ყოფილიყო.

კამო გაბედული ნაბიჯით მიუძღოდა წინ ბიჭებს. გრიქორი ხუმრობის გუნებაზე იყო, მაგრამ შიშით ვერ ბედავდა...

ერთ ადგილას გრიქორს ფეხი დაუცდა, უფსკრულში გადაიჩეხებოდა, რომ კლდის წვეტისათვის ხელი არ წაეტანებინა.

— კინაღამ გული არ გამისკდა! — უთხრა შეშინებულმა ჰასმიკმა.

— ეს ოხერი ფეხი მიშლის, — თავი იმართლა გრიქორმა.

— ფრთხილად იარე, — უთხრა გოგონამ, — თორემ ხელს არ გაგიშვებ...

რაც უფრო შორს მიდიოდნენ, ბილიკი უფრო ვიწროვდებოდა, მოსახვევში ბილიკი მოულოდნელად შეწყდა; გზა უზარმაზარმა კლდემ გადაღობა, ბიჭები შეჩერდნენ. ყური მიუგდეს.

შავი კლდის შიგნიდან უცნაური ხმები ისმოდა, გეგონებოდათ

ვიღაცა კვნესისო. ყმაწვილების ფეხქვეშ ქვებს ზანზარი გაჰქონდა. თითქოს მთების ქვეშ მძლავრი დინამომანქანა მუშაობსო.

გამოქვაბული, რომელსაც ხალხი „ჯოჯოხეთის კარებს“ უწოდებდა, მეორე მხარეს იყო და აქედან კარგად არა ჩანდა.

ბიჭები დაკვირვებით ათვალიერებდნენ ჭანჭაქარის მეწამული კლდის კალთებს. შავი კლდეებისა და ჭანჭაქარის გამთიშავი უფსკრული ამ მიდამოებში იმდენად ვიწრო იყო, რომ პირდაპირ მდებარე გამოქვაბულში ყველაფერი ნათლად მოჩანდა.

უეცრად კამომ თითი გაიშვირა მოპირდაპირე გამოქვაბულისაკენ და შესძახა:

— აბა, ერთი იქით გაიხედეთ!..

ბიჭებმა კამოს თითის მიმართულებით გაიხედეს.

— ქვევრებს არა ჰგავს?!..

— ფუტკარი, ფუტკარი, კამო, — შესძახა არმენმა, — დააკვირდით, ბიჭებო, როგორც ეტყობა ქვევრები მაგათი სკები უნდა იყოს... უყურეთ, უყურეთ, ფუტკრები ქვევრებში როგორ ჩადიან და ამოდიან...

აუარებელ გარეულ ფუტკარს მოეყარა აქ თავი, ბიჭების დანახვით აფორიაქებულნი ჭანჭაქარის მიდამოებს არ შორდებოდნენ, — ერთ ალაგას ირეოდნენ...

— უჰ, რა კარგია, ქვევრები ალბათ თაფლითაა სავსე, — გამხიარულდა გრიქორი, — ნეტა ერთი გრძელი ჯოხი მომცა, წვერზე ტილოს მოვახვევდი, ქვევრში ჩავყოფდი და თაფლს გამოვიღებდი. რამდენი თაფლი გამოჰყვებოდა? შეხედეთ, მონადირე კარის ნიჩაბი, აგერ ხვრელშია შერჭობილი. ალბათ თაფლშია ჩაფლული. ნეტავი იმას... კამო, ლამის არის ვიცეკვო, მაგრამ მეშინია ხრამში არ გადავიჩეხო.

ბიჭები, კლდეებს რომ ათვალიერებდნენ, კიდევ ერთი გამოქვაბული შენიშნეს, რომელშიაც რაღაც ნივთები მოჩანდა.

ჭაბუკები უფრო მეტად დაინტერესდნენ.

— აქ ალბათ ხალხი ცხოვრობდა! — წამოიძახა კამომ, — მაგრამ, საინტერესოა, რა სასწაულმა მოიყვანა ისინი აქ?

— ნამდვილად ეშმაკების ბუდეა, კაცს აქ რა უნდოდა? — სიცილით მიუგო გრიქორმა. — პაპა მართალს ამბობდა.

— ახლა მეხანძრეთა დასაკეცი გრძელი კიბე რომ გვქონდეს, პირდაპირ გამოქვაბულს მიეწვდებოდით, — ჩაილაპარაკა არმენმა.

— ხიდივით გაიდებოდა მართლაც, ნამდვილი ხიდივით,— თქვა გახარებულმა კამომ.

ჰასმიკი, მათ საუბარს რომ უსმენდა, დაიღუნა და ქვემოთ ჩაიხედა.

— უი, დედა, ეს რა საზარელი უფსკრულია! უკან დავბრუნდეთ, — წამოიძახა შეშინებულმა.

— რას ამბობ, თაფლის სუნით ვიბნიდები... სანამ არ გავსინჯავ, უკან რა ჯანაბა წამიყვანს! — მიუგო გრიქორმა.

უჩვეულო შთაბეჭდილებით სავსე ჭაბუკები, ფრთხილად, უსიტყვოდ დაბრუნდნენ იმავე გზით, რომლითაც მივიდნენ.

ბილიკზე, ერთი გამოქვაბულის ნაპრალზე, კამომ ცარიელი მასრა იპოვა და ჯიბეში ჩაიდო.

პაპა ასატურმა, ბიჭები რომ დაინახა, ძალიან გაუხარდა:

— მადლობა ღმერთს, ცოცხლები ხართ... ხომ არაფერი შეგემთხვათ?.. სასწაულია, ჩემმა მზემ, სასწაული. მაშ ეშმაკის ბინაში იყავით და ცოცხლები დაბრუნდით?

ბიჭებმა იგრძნეს, რომ თავიანთი დღევანდელი საქციელით მოხუცი მონადირის ცრურწმენა შეარყიეს.

— პაპა, სიცხის გამო ეშმაკებს თავიანთი ბინები დაუკეტიათ და გიჟი მთის მწვერვალებზე სააგარაკოდ წასულან, მაგრამ არც მიწა შენძრეულა და არც ქარიშხალი ამოვარდნილა! — სერიოზულად უთხრა გრიქორმა.

— აბა მიამბეთ რა ნახეთ?

— რა არ ვნახეთ, პაპა, — ხტუნვა-ხტუნვით ეუბნებოდა ჰასმიკი, — ისეთი საკვირველებანი ვნახეთ, რომ ადამიანს ჯერ თვალით არ უნახავს...

— ბევრი რამ ვნახე, პაპა, ეშმაკის საფუტკრეც, ქვაბიც. აი ეს შენი ჯეელობის დროს გასროლილი მასრაც, — უთხრა კამომ და ძველი დაჟანგული მასრა მიაწოდა.

მოხუცმა ძველი ყალიბის თოფის დაჟანგული მასრა გასინჯა და თვალები ცრემლებით აევსო.

— ეს მონადირე კაროს ნასროლია... აცხონა ღმერთმა, გმირი იყო... ჩვენ მხარეში იმისთანა თოფი არავის ჰქონდა. მაშინ დათვზე სანადიროდ ჩახმახიანი თოფით მიდიოდნენ. ბევრჯერ მომხდარა, ჩახმახიან თოფს კაჟი გამოვარდნია, ან არ გაუსროლია და დათვი პირდაპირ სცემია ხოლმე მონადირეს. აი სწორედ მაშინ იჩენდა

თავს კაცის მხნეობა და სიძლიერე... მაშინ ამ მიდამოებში დათვი ძალიან ბევრი იყო.

— აქ ხომ გარეული არჩვები და ჯეირანებიც ძლივს დადიან, დათვს რა აიყვანდა ამ ვიწრო ბილიკებით, — ჰკითხა კამომ.

— როგორ თუ რა! თაფლის სუნით დაბნედილი დათვი პირდაპირ იქით მიიწევს.

— როგორც მე, არა? — გაიცინა გრიქორმა.

— ეჰ, კარო, კარო, გაცხონა ღმერთმა! რა გულადი იყავი, მერე როგორი ამხანაგი! — ხმადაბლა ლაპარაკობდა მოხუცი, ძველ დაჟანგულ მასრას ხელში ატრიალებდა და თვალები ცრემლებით ევსებოდა.

ჩვენი ნორჩი ნატურალისტები გზადაგზა ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთ შთაბეჭდილებებს და სოფელში ისე მივიდნენ, რომ ვერც კი შეამჩნიეს.

* * *

ყმაწვილები მასწავლებელ არამ აკოფიანთან მივიდნენ და ყველაფერი უამბეს, რაც ნახეს.

მასწავლებელმა გულდასმით მოუსმინა ნორჩ ნატურალისტებს და აღფრთოვანებული დარჩა მათი ნაამბობით. შემდეგ წამოდგა და ოთახში ბოლთის ცემა დაიწყო.

— ახლა რას ფიქრობთ, — უთხრა მან. — როგორ უნდა ახვიდეთ გამოქვაბულში?

არმენმა კამოს გადახედა და ყოყმანით უთხრა:

— უფსკრულზე სახანძრო რაზმის კიბე უნდა გავდოთ, კიბით შეიძლება გასვლა, თუმცა ხიდად არ გამოდგება...

— კლდის წვერიდან გამოქვაბულამდე რამდენი მეტრი იქნება?

— დაახლოებით ოთხმოცი, — უპასუხა კამომ.

— მაშასადამე, მაგ სიგრძის თოკის კიბე უნდა იშოვოთ და ზევიდან ჩაუშვათ... შენ უნდა წახვიდე, კამო, ერევანში, იქაური ხარ და ადვილად შესძლებ იმის შოვნას, რაც საჭიროა.

აკოფიანმა მდუმარედ გაიარ-გამოიარა ოთახში, შემდეგ შეჩერდა და კამოს უთხრა:

— მე სულ დამავიწყდა მეთქვა, რომ სიძველეთა დაცვის კომიტეტის გარეშე ჭანჭაქარში ასვლის უფლება არა გვაქვს.

— რატომ? — გაიკვირვა კამომ.

კამო ისე მოიღუშა, გეგონებოდათ რაღაც დიდი უბედურება შეემთხვაო...

— ჩვენ ფუტკრების საძებნელად მივდივართ და მეტი არაფერი, სიძველეებთან რა გვესაქმება? — გამოსავალი იპოვა არმენმა.

— ჰო, ჩვენ მარტო თაფლზე მივალთ, — გამოცოცხლდა გრიქორი.

— კარგით, — გაიღიმა მასწავლებელმა, — თქვენს ექსპედიციას „წინასწარ დასაზვერი ექსპედიცია“ ვუწოდოთ. არქეოლოგები კი მერე მოვიწვიოთ.

კამოს ისე გაუხარდა, რომ არ შერცხვენოდა, მოეხვევოდა მასწავლებელს.

მეორე დღეს იგი ერევანს გაემგზავრა.

ქვეყანა სახეს იცვლის

ომის შემდეგ კამოს პირველად მოუხდა ერევნის გზით მგზავრობა. ამ მოკლე დროში რამდენი რამ გამოცვლილიყო!

სევანიდან ერევნამდე გზა მდინარე ზანგუს პარალელურად მიემართებოდა, ხან მიუახლოვდებოდა მას, ხან კი მიიკლაკნებოდა მთის კალთებით, რომლებიც ზანგუს ხეობაში ეშვებოდნენ.

ხეობიდან მანქანების ძლიერი გუგუნი ისმოდა, ხოლო მთა, რომლის ფერდობებითაც გზატკეცილი მიემართებოდა, ზანზარებდა.

— გვირაბები გაჰყავთ ზანგუს გასატარებლად, — აუხსნა ერთმა მგზავრმა და თან დაუმატა, — ამიერიდან მდინარე ზანგუ ერევნამდე ძველი კალაპოტით აღარ ივლის, სულ დიდი არხებითა და გვირაბებით წავა.

მანქანა, რომლითაც კამო მიდიოდა შეჩერდა. ჰიდროსადგურების მშენებლობისათვის სპეციალურად აგებული რკინიგზით ექსკავატორებით და სხვა მანქანებით დატვირთულმა მატარებელმა ჩაიარა.

როცა მანქანა გეღამის მთის ერთ-ერთ ქედზე გავიდა, კამოს წინ მთელი თავისი სილამაზით გადაიშალა არარატის ველი.

ველზე მიიკლაკნებოდა ვერცხლისფერი მდინარე არაქსი, რომელიც საბჭოთა კავშირს ირანისა და თურქეთისაგან ყოფს. ამ მშვენიერი ველის მეორე ნაპირზე შორს, ცაში აზიდულა ჭაღარა

არარატი, რომელსაც თითქოს ღრუბლების თეთრი ჩალმა აქვს თავზე შემოხვეულიო. მთის მწვერვალებზე ვერცხლისფრად კიაფობდა მარად თოვლით დაფარული ადგილები.

მანქანა ერთ წამს შეჩერდა. კამო გატაცებით უყურებდა არარატის ველზე იისფერ ნისლში გახვეულ დაბა-სოფლებს, მის დამაკავშირებელ გზებს, მწვანე ნარგავებში ჩაფლულ შენობებს, ბამბის პლანტაციებს.

— უჰ, რა სიცხეა აქ, სევანის მიდამოებში კი ჯერ ისევ ტყავის ქურქებით დადიან, — თქვა ერთმა მგზავრმა და ქურქის ღილები გაიხსნა.

— ცხელა, მაშ, — დაუდასტურა ამხანაგმა. — სწორედ ამიტომ არის, რომ ჩვენი ყურძენი და ხილი სანაქებოა.

კამოს ყურადღება მიიპყრო ერთმა, მისთვის ახალმა და უცნაურმა სანახაობამ: გზის ქვემოთ მთის კლდოვანი ფერდობებიდან გამოშხუოდა საკმაოდ დიდი მდინარე, რომელიც დაცემენტებული არხით ახლობელ ბაღ-ვენახებისაკენ მიემართებოდა.

— ეს რა მდინარეა? წინათ აქ მდინარე არ იყო, — იკითხა გაკვირვებულმა კამომ.

— ეს ზანგუა, რომელსაც თქვენი სევანის წყალი გვირაბებით მოაქვს...

მანქანა მოასფალტებული გზით სულ დაბლა და დაბლა, არარატის ველისკენ ეშვებოდა. თუმცა ერევანი ჯერ არ ჩანდა, მაგრამ მისი მაჯისცემა უკვე იგრძნობოდა.

ქანაქერთან, ერთ პატარა გორაკის თავზე, შავი მანქანებით თეთრად აქაფებულ წყალს ქაჩავდნენ.

— ეს რაღა არის?.. წინათ არც ეს იყო, — იკითხა კამომ.

— ეს წყალსაქაჩი სადგურია... ზანგუს ხეობიდან ელექტრონის ძალით წყალი მაღლობზე ამოჰყავთ და მერე ახლად გაშენებული ვენახების მოსარწყავად უშვებენ, — ისე თავმომწონედ აუხსნა შოფერმა, თითქოს თვითონაც მიეღოს მონაწილეობა ამ სადგურის მშენებლობაში.

აი ერთი მოსახვევიც და დაბლობში, არარატის ველის ერთ-ერთ კუთხეში გამოჩნდა სამი მხრიდან გორაკებით შემორკალული და ბაღ-ვენახებში ჩაფლული ერევანი. კამოს სიხარულით გული აუძგერდა. აი, ის ადგილი, სადაც დაიბადა და ბავშვობა გაატარა. რა მალე გაიზარდა კამო და მასთან ერთად რა სწრაფად იცვალა სახე, გაიზარდა და გამშვენიერდა საყვარელი ერევანი!

აგერ უწინდელი ალიზის შენობებიანი უბანი. მის ადგილას ახლა ქალაქის ზედა მხრიდან ზანგუმდე ნახევარმთვარესავით გადაჭიმულა სტალინის სახელობის ახალი პროსპექტი, რომელსაც ორივე მხრიდან შავი, წითელი, ვარდისფერი და ყვითელი ტუფის მრავალსართულიანი შენობები ამშვენებს. მთელი ქალაქი ფერადი ტუფით არის გაშენებული. ქალაქიც ტუფის საბადოებზეა აგებული. რამდენიმე ათასეული წლის წინათ ვულკანების აფეთქვის შედეგად წარმოიშვა აქ მრავალფეროვანი ტუფის ქვა. ერევნელებს სახლის ასაგებად ქვის მოტანა შორიდან არ სჭირდებათ.

კამო მანქანიდან გადმოვიდა და ქალაქს ზევიდან დაუწყო მზერა.

ძველი ერევნის იქით, არარატის ველზე აღმართულიყო ახალი ქალაქი, მთელი ახალი სამრეწველო რაიონი უზარმაზარი ღუმელებით, ქვითნაგები შენობებით, რომლებიც მდინარე ზანგუმდე აღწევდნენ.

როგორ იცვალა სახე ერევანმა, ამ გუშინდელმა ჩამორჩენილმა აღმოსავლურმა ქალაქმა თავისი ვიწრო ოღრო-ჩოღრო და ტალახიანი ქუჩებით!

— ბიჭიკო, საიდან მოდიხარ? — ალერსიანად შეეკითხა კამოს ხის ქვეშ მდგომი ხანდაზმული დედაკაცი.

— სევანის ნაპირებიდან.

— მაშ მოიცა, ჰერამს გაჭმევ, შვილო, თქვენში ჰერამი არ იცის.

და მიუხედავად კამოს უარისა, დედაბერმა ქარვასავით ყვითელი „შალახის“ ჯიშის ჰერმით აუვსო ქუდი.

* * *

ერევანში კამომ ჯერ გაზეთ „პიონერ კანჩის“ რედაქციაში შეიარა. იგი დიდი ხანია რესპუბლიკური პიონერული გაზეთის კორესპონდენტი იყო.

გოგონას, რომელსაც კამომ ჰკითხა, შეიძლება თუ არა რედაქტორის ნახვაო, აჩვენა კარები, რომელიც მეზობელ ოთახში გადიოდა.

დიდ მაგიდას უჯდა ახალგაზრდა კაცი, რომელიც გაზეთზე იყო დახრილი...

ეს იყო რედაქტორი.

გაისმა ტელეფონის წკარუნი, რედაქტორმა ყურმილი აიღო და კამო რომ დაინახა, ანიშნა, დამჯდარიყო.

სანამ რედაქტორი ტელეფონით ლაპარაკობდა, კამო ათვალიერებდა მას. მისი მაღალი შუბლი, შავი თმები, მუქი თაფლისფერი თვალები და დამაჯერებელი ხმა კამოს ძალიან მოეწონა.

— თქვენ საიდანა ხართ? — ჰკითხა რედაქტორმა და მილი დადო.

— მე თქვენი კორესპონდენტი კამო ვარ, სევანის სოფელ ლჭავანიდან.

რედაქტორმა კმაყოფილებით შეხედა მხარბეჭიან, შაეგვრემან ჭაბუკს.

— მებრძოლი ბიჭი ჩანხარ... შენი კორესპონდენციებიც მუდამ მებრძოლია. სხვა, როგორ არის თქვენი მეფრინველეობის ფერმა, საკენკს გაძლევენ თუ არა?..

— თქვენ საიდან იცით? — გაუკვირდა კამოს.

— ჩვენ?.. ჩვენ ვალდებული ვართ ვიცოდეთ ყველა იმ შეჭთხვევის შესახებ, როცა პიონერებს არ ეხმარებიან, როგორ არის საქმე, გაძლევენ საკვებს თქვენი ფრინველებისათვის?

— დაგვპირდნენ მოგცემთო.

რედაქტორმა გაიღიმა.

— კიდევ რა დაბრკოლება გეღობებათ ფერმაში? ახალი ხომ არაფერი მოგიფიქრებიათ?

ისე მტკიცედ, რიხიანად ლაპარაკობდა რედაქტორი, თითქოს მისი საქმე ყოფილიყო ყოველგვარი დაბრკოლების თავიდან აცილება.

კამომ დაწვრილებით უამბო ჭანჭაქარში ყოფნისა და გამოქვაბულში ნახულის შესახებ.

რედაქტორმა კამოს რომ მოუსმინა, უთხრა:

— ოჰ, რა საინტერესოა! სამწუხაროა, რომ დრო არა მაქვს, მეც წამოვიდოდი, ვნახავდი ერთი, რას წარმოადგენს ის ჭანჭაქარი. რომელიც ბედავს თქვენისთანა ბიჭებს წინააღმდეგობა გაუწიოს. ნორჩი ნატურალისტის ცხოვრება ბუნების საწინააღმდეგო ბრძოლებით უნდა მიმდინარეობდეს.

როცა გაიგო, რისთვის ჩამოსულიყო კამო, რედაქტორმა სადღაც დარეკა და უთხრა, რომ მას აუცილებლად ჭირდება ალპინისტური მოწყობილობა.

ემჩნეოდა თანამოსაუბრე უარს ეუბნებოდა. რედაქტორს შავი თვალები სიბრაზისაგან აენთო:

— პიონერებს ფული ვინ მისცა? თქვენ მაგას სერიოზულად მეუბნებით?.. მოწყობილობას მე მომცემთ და მევე დაგიბრუნებთ უკან. მაშ ასე... ეს სხვა საქმეა. დიახ, დიახ... — კმაყოფილებით დააქნია თავი.

ბოლოს ყურმილი რომ დადო, რედაქტორმა კამოს კმაყოფილებით უთხრა:

— წახვალ და ყველაფერს მიიღებ.

შემდეგ მდივანს გამოუძახა და დაავალა:

— ამ პიონერს მოუსმინეთ და ჩაიწერეთ მისი ნაამბობი და გაზეთისთვის გვერდი მოამზადეთ გარეული ფრინველების ფერმის შესახებ, რომელიც პიონერებმა დააარსეს სოფელ ლეკავანში... შენ კი, კამო, დაწერე სტატია, რომ „პიონერსკაია პრავდის“ რედაქციას გავუგზავნოთ. დე, ჩვენი სოფელ ლეკავანის პიონერთა გამოცდილება მთელ საბჭოთა კავშირში გაიგონ.

რედაქციის თანამშრომლებმა დაწვრილებით გამოკითხეს კამოს, ჩაიწერეს მისი ნაამბობი, სურათიც გადაუღეს, შემდეგ კი ფიზკულტურის კომიტეტში გაგზავნეს, კამომ იქ საჭირო იარაღები მიიღო.

იმავე საღამოს კამო პიონერთა სასახლეში წაიყვანეს, იქ მან შეკრებილთ გარეულ ფრინველთა ფერმის შესახებ უამბო.

ორი დღის შემდეგ კამო თავიანთი კოლმეურნეობის მანქანით ლეკავანისაკენ მიჰქროდა. თან მიჰქონდა თოკი, გრძელი კიბე, წერაყინები, ლურსმნიანი ფეხსაცმელები და სხვა იარაღი, რითაც ალპინისტები მიუვალ კლდეებზე ადიან.

კამოს თან მიჰქონდა აგრეთვე „პიონერ კანჩის“ ახალი ნომერი, რომლის პირველ გვერდზე დიდრონი ასოებით აწყობილი სათაურით: „ლეკავანის ნორჩ ნატურალისტთა სამაგალითო საქმეები“ დაბეჭდილი იყო ვრცელი სტატია, სტატიის შუა ადგილას კი მოთავსებული იყო კამოს სურათი.

როგორ მოხვდა ხალხი ჭანჭაქარის გამოქვაბულებში

არმენს მთელი ღამე არ ეძინა, ლოგინში შამფურივით ტრიალებდა, დღისით მიღებული შთაბეჭდილებები მოსვენებას არ აძ-

ბურიდან წყალი ჯეჯილს? როგორღა უნდა ვაბანავო ახლა იხვები! ცოდონი არ არიან?

— რომ არ მომერწყო, ქერი ხომ. გახმებოდა, — თავი იმართლა არმენმა. — მერე ეს ქერიც ხომ მაგათთვისაა. მე რას მოვიფიქრებდი. რომ მდინარე ასე უცებ გაშრებოდა... ცრემლებით საქმეს ვერ უშველი.

— ერთი წადი ტბაზე და ნახე ჩვენი იხვებისა და ბატების ნათესაობას რა მხიარული ყივილ-ხივილი გააქვთ, როგორ დაცურავენ და ჭყუმპალაობენ წყალში. მარტო იმათ ბუმბულს, ფრთებს შეხედე როგორ უბზინავთ. ჩვენები კი უფერულნი არიან... — ეუბნებოდა ჰასმიკი.

ჰასმიკის დედა ანაჰიტიც მოვიდა.

— არმენ, ჩემო ძვირფასო, ცოტა თავშისაცემი საქმე მქონდა, რომ ეს უბედურებაც არ დაგეტეხათ ჩემ თავზე? — უსაყვედურა ჭაბუკს... — გაზაფხულიდან მოყოლებული ჰასმიკმა არც დღე, არც ღამე მოსვენება არ იცის... ერთთავად იმას გაიძახის: „ვაიმე, ჩემი წიწილ-ჭუჭულები უწყლოდ დარჩნენ, აგერ ძერა ჰაერში ტრიალებს. უეჭველად ბარტყს მომტაცებს...“ ზოგჯერ ტელეგრაფის ბოძზე რომ ყვავი შემოჯდება, გოგონას თავისი ემართება: „ეგ ოხერ-ტიალი, სად შემოჯდა, ალბათ წიწილის მოტაცებას ფიქრობსო“... ნეტა რად გინდათ ეს ფერმა, რომ დააარსეთ... ახლა გუბურაც ამოშრა... რა უნდა ვქნათ?

— არაფერია, დეიდა ანაჰიტ. ნუ სწუხხართ, თუ ძალიან გაგვიჭირდა, ყველას დავკლავთ და შევჭამთ. რაც შეეხება ამას, შენ არხეინად იყავი, — გაეხუმრა გრიქორი, — შენ ის გვითხარი ჰასმიკს ნებას დართავ, რომ ჭანჭაქარში წამოგვყვეს?

— რას ამბობ, ბიჭო, ჭანჭაქარში რა დაგრჩენიათ?... სამი დღის წინათაც სადღაც წაიყვანეთ, ფეხსაცმელი სულ გასცვეთია.

— რა დაგვრჩენია?... განა შეიძლება დამშვიდებული ვისხდეთ აქ, როცა ჭანჭაქარიდან თაფლი წვეთავს?.. ჰასმიკ, წავიდეთ.

— საქმე მარტო თაფლში არ არის, უნდა გავიგოთ, რა გზით ადიოდნენ გამოქვაბულში ადამიანები, შევეცადოთ იქნებ იქ დარჩენილი ძველი ნივთებიც ჩამოვიტანოთ, — აუხსნა არმენმა.

— მაგ საქმეებისა არაფერი მესმის, ჩემო არმენ, რაკი მოგდევთ, წაიყვანეთ. შენ გენდობი, ამ ცუღლუტს კი არა, — სიცილით დაუმატა ანაჰიტმა და გრიქორს გადახედა.

ნიჩბები და წერაქვები მხრებზე გაიდეს და გზას გაუდგნენ.

სულ რამდენიმე ნაბიჯი არ ექნებოდათ გადადგმული, რომ ჯრიქორმა ბურტყუნი დაიწყო:

— შენც გამოიგონე რა, არმენ? რა სიძველეები, რის სიძველეები? თუ თაფლის ამოსაღებად მივდივართ, გამოგყვებით, ხოლო თუ ძველმანებისათვის — უკეთესი იქნება ჩემს ხბორებს მოვუარო.

— როცა გამოვარკვევთ, ხალხი როგორ ავიდა გამოქვაბულებში, მაშინ თაფლსაც ჩამოვიტანთ და სხვა რამესაც.

— თუ ასეა, მაშინ მოვდივარ. თაფლი მე, დანარჩენი ხარახურა თქვენ, — ჩაიცინა გრიქორმა.

ჭაბუკებმა ჭანჭაქარის მთას რომ მიაღწიეს, ხევ-ხევ გასწიეს იმ ადგილისაკენ, სადაც ჭანჭაქარის და შავი კლდეების ციცაბოები ერთმანეთს უახლოვდებიან. აშოლტილ კლდეებს შუაში ვიწრო გასასვლელი დაეტოვებინათ, რომელიც დიდი ქალაქის ქუჩას ჰგავდა მარჯვნივ და მარცხნივ აზიდული უზარმაზარი შენობებით. ბიჭები იდგნენ და შესცქეროდნენ ამ უშველებელი კლდეების კედლებს, საიდანაც გამოქვაბულები მოსჩანდა.

ცხელი დღე იყო. მზეს ქვები ისე გაეხურებინა, რომ დაჯდომა შეუძლებელი იყო.

ჭაბუკებმა ოფლი მოიწმინდეს და ცოტა დაისვენეს.

— ამ ოხერი კლდის წვერზე კატაც კი ვერ აცოცდება, ნეტავი ადამიანები როგორ ავიდნენ? — იკითხა არმენმა.

— იქნებ შავი კლდიდან ჭანჭაქარამდე ხიდი გადეს და ისე გადავიდნენ? — უთხრა ჰასმიკმა.

ჭაბუკები ერთ ხანს დუმდნენ. „რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ, რით დავიწყოთ?“ — ფიქრობდნენ ისინი.

ერთმა ხის პატარა ნაბარტყმა მიიიპყრო არმენის ყურადღება.

— ეს ხომ მუხისაა, — თქვა მან და ერთი ფოთოლი მოწყვიტა, — აქ საიდან მოხვდა?

მან რამდენიმე ქვა ამოაგდო, წერაქვით ორ-სამ ალაგას ამოთხარა, მიწა ამოყარა და ოი, საკვირველებავ, აღმოაჩინა ნახევრად დამპალი მსხვილი ხის ფესვები, რომლებიც გიგანტური მცენარისა უნდა ყოფილიყო. მათზე რამდენიმე მწვანე ყლორტიც იყო ამოსული.

არმენი ჩაფიქრებული დიდხანს შესცქეროდა ამ ყლორტებს, მერე უცბად სახე გაუბრწყინდა და წამოიძახა:

— ყველაფერი ნათელია! აქ ოდესღაც უზარმაზარი მუხის ხე ყოფილა, აი მისი ფესვების ნაშთიც. ხის წვერი გამოქვაბულამდე სწვდებოდა, ადამიანები ამ ხით ადიოდნენ და საჭირო ნივთებიც აჰქონდათ.

— რატომ დაბინავდნენ ადამიანები გამოქვაბულებში? — შეეკითხა ჰასმიკი.

— რასაკვირველია, მტრისგან თავის დასაცავად, გაგებული მაქვს, ჩვენი მთების მობინადრენი მიუვალ გამოქვაბულებში ცხოვრობდნენ, — არმენის მაგიერ პასუხი გასცა გრიქორმა.

— მერე მუხას რა დაემართა? — არ ცხრებოდა ჰასმიკი.

— მუხა ალბათ მეხმა დაწვა. ახლა ხომ გასაგებია შენთვის? შენ ხომ კარგად იცი ჩვენი გიჟი მთის ამბავი? ერთ წამს რომ მზე აქაურობას სწვავს, უცებ ცა პირს შეიკრავს, ატყდება ჭექა-ქუხილი, აბა გაიხედე, შავი ღრუბლები ახლაც გროვდება...

მართლაც, ღრუბლები, რომლებიც გიჟი მთის მწვერვალზე იყო, თანდათან გამრავლდა, ჩაშავდა... სულ მალე მთელი ცის კაბადონი დაიჭირა და სევანს შავი ზეწარივით გადაეფარა. ამ შავი ზეწრის ფონზე ათასნაირად, შოლტივით იკლაკნებოდა ელვა და სევანის ტბის ზედაპირს ალაპლაპებდა.

დაიჭექა.

არმენი და ჰასმიკი სასწრაფოდ კლდის გამოქვაბულს შეეფარნენ და სიამოვნებით შესცქეროდნენ შხაპუნა წვიმას.

— ნეტა ახლა ჩემი წიწილ-ჭუჭულები რას ჩადიან? — მხიარულად წამოიძახა ჰასმიკმა, — უჰ, როგორ მოუხდებათ ეს წვიმა. გუბურა წყლით აივსება. როგორ იბანავებენ და იცურავებენ ჩემი პატარა იხვები და ბატები!

ისინი ქვაზე ჩამოსხდნენ, წვიმა გადაღებას არ აპირებდა.

— არმენ, იცოდე ჩემი გუბურადან ქერის ნათესის მოსარწყავად წყალს აღარ დაგანებებ, — უთხრა ჰასმიკმა.

— არ დამანებებ? მერე გეგმა? ნახევარი ჰექტარიდან ოცი ცენტნერი ქერი უნდა მოვიწიოთ... თუმცა, ამის შემდეგ წყალი აღარ დამჭირდება, მალე მომკის დროც დადგება... გრიქორ, მანდ რას აკეთებ?...

გრიქორი კოკისპირულ წვიმაში გარეთ იდგა.

— გამიშვით, გავგრილდე, წვიმას კაცი გაექცევა!?.. ჩვენი ამომხმარი. გვალვისაგან დახეთქილი მიწებისათვის პირდაპირ მისწრება იქნება ეს წვიმა. წვიმის შემდეგ ბალახი აბიბინდება. ჩემი

ხბორებიც გემოზე შეექცევიან და გასუქდებიან. შემოდგომაზე ასწონიან მათ და გამომიძახებენ: „გრიქორ ოვსეფოვიჩ, მობრძანდით, ჯილდო მიიღეთ“. შენც, საწყალო გრიქორ, კოჭლი ფეხით წადი კოლმეურნეობის საწყობში და ჯილდოები ათრიე იქიდან, თან გომურში ცალკე ადგილი მოამზადე ჯილდოდ მოცემული ხბოსათვის.

— გრიქორ, წვიმამ ძვალ-რბილამდე ჩაგატანა, მოდი აქ, გაცივდები, — შეეხვეწა ჰასმიკი.

— აქაც კარგად ვარ!

არმენმა და ჰასმიკმა გრიქორი ძალით შეათრიეს გამოქვაბულში. დიდხანს ისხდნენ იქ ერთი მეორის გვერდით. ჭექა-ქუხილი არ ნელდებოდა, წვიმა ისევ კოკისპირულად ასხამდა, სიცხისაგან გადამწვარ მიწას აგრილებდა.

კვლავ ჭანჭაქარისაკენ

სოფელში პიონერული გაზეთი ხელიდან ხელში გადადიოდა, ბოლოს მოხუც მონადირემდეც მიაღწია.

— მოდი, გენაცვალე, მოდი ერთი გაკოცო, ჩემო ლომგულო ბიჭო, — წამოიძახა მოხუცმა და ჭაბუკი გადაკოცნა.

კოლმეურნეობის თავმჯდომარეც კმაყოფილი იყო. ნორჩი ნატურალისტები ყოველთვის გრძნობდნენ მის მზრუნველობას, თუმცა ბაგრატს პიონერებთან თავი კვლავინდებურად მკაცრად ეჭირა. მას უნდოდა ბავშვებისათვის ეს სასიხარულო დღე რაძით აღენიშნა.

— ახლა კი შეგვიძლია კანონიერად ჩავთვალოთ თქვენი ფერმა, მე მითითებას მივცემ, რომ ფერმის მუშაკებს შრომადღეები დაუწერონ, — თქვა მან.

— ეგ ცოტაა, ძია ბაგრატ. კოლმეურნეობაში ახალი ოჯახი უნდა მიიღოთ, — წინ წამოდგა გრიქორი.

თავმჯდომარემ გაკვირვებით გადახედა.

— რას ამბობ, ბიჭო, ჩვენ სოფელში მთლიანი კოლექტივიზაცია მაშინ დამთავრდა, როცა შენ დაბადებულიც არ იყავი, ახლა რომელი ოჯახი უნდა მივიღო?

— გარეული ფუტკრის ოჯახი. ფუტკრები თავიანთი ჭუპრებით და თაფლით, აგერ საცაა მოვლენ კოლმეურნეობაში შემოსასვლელად, — მიუგო გრიქორმა.

— ჰო, ჭანჭაქარიდან? — მიხვდა თავმჯდომარე, — სიამოვნე-

ბით, მოვიდნენ, მივიღებთ, თუმცა არა მჯერა, რომ იქიდან თაფლს ჩამოიტანთ. იქ ვინ მისწვდება?.. შენ რას შეუბნებოდი? — ძიძართა ბრიგადირ ჰოვსეფს. — ამბობ, ცელები და ბალახის სათიბი მანქანები მზად არისო? წავიდეთ, შევამოწმოთ.

თავმჯდომარე და ბრიგადირი წავიდნენ.

— მაშ, ჩემო სწავლულო ძმებო, ალიონზე გავდივართ? — კვლავ შეეკითხა გრიქორი.

— დიახ, არ დაგეძინოთ, — უთხრა კამომ.

— პა, პა, პა ერთი ამათ უყურეთ, სამეცნიერო ექსპედიციას აწყობენ! — დაცინვით თქვა არტუშმა. — ეგ რა გამოდის. აქაური მკვიდრნი სულელები ვყოფილვართ, რომ ჩვენი მიდამოების სიძველეების შესახებ არაფერი გვცოდნია, ეს კი ქალაქიდან მოგვევლინა და ყველაფერი „აღმოაჩინა“...

— მერე შენ რა გაწუხებს? — მიუგო კამომ და თან თვალებში მიაშტერდა.

— დიახ, რაო, რაო! — გაცხარდა არტუში, — მე ის მაწუხებს, რომ შენი სულელური აზრებით ყველას თავი გამოუტენე.

— შენ შენ თავს მოუარე. რასა ბრაზდები? რამდენჯერ დაგიძახეთ, მაგრამ არც შენ წამოხვედი და სხვაც გააგულიანე... წავიდეთ! გრიქორ, წადი, მასწავლებელს მოელაპარაკე წამოვიდეს.

— აკოფიანი თქვენი ტოლი როდია, — უთხრა არტუშმა, — ის ჭკვიანი კაცია.

— დიახ, მართალია, ის ჭკვიანი, სერიოზული კაცია და ჩვეთან ერთად სერიოზული საქმეებით არის გართული. შეიძლება ჩვენ ერთად ისეთი მადანი და სიძველეები აღმოვაჩინოთ, როგორიც ალტაის პიონერებმა აღმოაჩინეს, — უთხრა კამომ.

— შენც შეადარე რა! ეს ალტაი კი არა, გიჟი მთაა. — გაიცინა არტუშმა.

— განა არ იცი, რომ ჩვენი მცირე კავკასიონის მთაგრეხილი ათასნაირი მადნეულით არის მდიდარი? — ჰკითხა კამომ.

— როგორ არა, მთებში იმდენი ოქრო-ვერცხლია გაბნეული, რომ შენ გიცდიან ახვიდე და აკრიფო, — კვლავ უკბინა არტუშმა.

— იქნებ იმ მთებში ოქროზე უფრო კარგი რამ ვიპოვოთ, წავიდეთ!

ამხანაგები კამოს გაჰყვნენ.

— ვერ გავიგე რა მუცლის ტკივილი გაწუხებს? — ხმადაბლა

ჰკითხა არტუშს უკან დაბრუნებულმა გრიქორმა: — როცა ბუცლის ტკივილი დაგიამდება, შემოგვიერთდი, ერთად ვიმუშაოთ.

* * *

— მეფუტკრეობის ფერმა მზად არის, მე მისი გამგე ვარ, მონადირე ასატური დღისით მთავარი მეფუტკრე იქნება, ხოლო ღამით — დათვისა და ზარმაც სეთოსგან თაფლის მცველი, — გახაცხადა გრიქორმა, როცა ნორჩი ნატურალისტები დაღლილ-დაქანცულნი ჭანჭაქარის კლდეების ძირას, ძველ მუხასთან მივიდხენ.

— მამა-პაპეულ საზღვართან მოვედი, — თქვა პაპა ასატურმა და მუხის ქვეშ შეჩერდა. მერე თავიდან მოიხადა ფაფახი და იმითი შუბლზე ოფლი მოიწმინდა.

— ახლა ამ საზღვარს გადალახავ, — ღიმილით უპასუხა მასწავლებელმა არამ აკოფიანმა.

— მე?.. მე დავარღვიო მამა-პაპის საზღვარი?..

— დიახ, შენ... შენ უკვე დაარღვიე იგი.

— როდის, რით?

— რით და კოლმეურნეობაში რომ შეხვედი და იქ პირველ კაცად ითვლები. აგერ ოც წელზე მეტია ეკლესიაშიც აღარ დადიხარ... და ამ კომკავშირელებთან მეგობრობ. უკვე შენ მამა-პაპას საკმაოდ გაუსწარი და ახლა ამ საზღვარსაც გადალახავ...

ამ სიტყვების თქმა იყო და მასწავლებელმა ასატურს მკლავში ხელი გაუყარა და მასთან ერთად ზევით გასწია.

— ვაშაა!... პაპამ საზღვარი გადალახა, — წამოიყვირეს ჭაბუკებმა და მასთან ერთად ვიწრო ბილიკით ჭანჭაქარის ძწვერვალებისაკენ გასწიეს. ისინი მთის უკანა მხრიდან ადიოდნენ.

აი მწვერვალიც. სევანიდან მონაბერმა ნაზმა სიომ გაოფლიანებული მგზავრები გააგრილა.

მწვერვალიდან მთელი სევანი ხელისგულივით მოსჩანდა. ჩვენი მთასვლელები დუმილით გასცქეროდნენ მის მუქ ლურჯ წყალს. მაგრამ როგორც კი მზე ამოვიდა, სევანის ერთმა ნაწილმა ანაზდეულად ღია ლურჯი ფერი მიიღო, ტალღების ზვირთები კი შეიეცხლნენ, გეგონებოდათ უცნობმა ხელმა გადამდნარი ვერცხლი გადაასხა ლურჯ ტაფობსო, წყალმა ლაპლაპი იწყო...

ტბაზე დიდი თეთრი ფრინველის მსგავსად ნავი დაცურავდა და აქაფებულ წყლის ზოლს ტოვებდა.

ყველანი ხმაამოღებლივ გაჰყურებდნენ სევანს.

გრიქორი ქვაზე ჩამომჯდარიყო და ნავს თვალს არ აშორებდა, ვერ გაიგებდით სევანის სილამაზეს გაეტაცნა, თუ ნავს, რომლითაც გემრიელ „იშხანს“ ეზიდებოდნენ.

სანამ ჭაბუკების მთელი ყურადღება საუცხოო სანახაობისკენ იყო მიპყრობილი, ჩამბარი გამალებით პატარა-პატარა ჩირგვებს ზვერავდა და დამალულ გნოლებს და კაკბებს აფრთხობდა.

— პაპა, პაპა... ხედავ? — შესძახა გრიქორმა და ფრინველებზე ანიშნა, — რატომ არ ნადირობ?

— არა, შვილო, დაე იცოცხლონ, ახლა მაგათ პატარა ბარტყები ჰყავთ, — ღიმილით უპასუხა მოხუცმა მონადირემ.

ირგვლივ იმდენი გნოლი და კაკაბი იყო და ისეთი კონცერტი გაემართათ, რომ ლაშქრობის მონაწილეებს სულ დაავიწყდათ რისთვისაც მოსულიყვნენ ჭანჭაქარში.

— აბა, საქმეს შევუდგეთ, — გამოერკვა მასწავლებელი. მან კლდის სიმაღლე თავიდან ბოლომდე თვალით გაზომა, ერთ-ერთი გამოქვაბულის მიმართულება გამოიკვლია, თოკის კიბის ერთი წვერი დიდ ქვაზე მაგრა მიაბა და გამოქვაბულის გასწვრივ ჩაუშვა.

გამოქვაბულის წინ, დაახლოებით ოთხი მეტრის სიგანის ქვის შვერილი იყო. კიბე სწორედ იმ შვერილზე შეჩერდა.

— მაშასადამე, სიმაღლე ოთხმოცი მეტრზე ნაკლებია, — განაცხადა მასწავლებელმა: — შეხედეთ, კიბის ერთი ნაწილი ქვევითა გდია.

ჩასვლის ჟამი მოახლოვდა, ჭაბუკები ერთგვარი შიშის გრძნობით იყვნენ შეპყრობილი, თვითონაც ვერ ერკვეოდნენ რატომ, რა მიზეზით.

თოკს პირველად მასწავლებელი მიუახლოვდა, მაგრამ კაბამ შეაჩერა.

— ნება მომეცით, პირველი მე ჩავიდე, — შეეხვეწა იგი.

— მართალია, შენთვის უფრო ადვილია, — მიუგო მასწავლებელმა, — მაგრამ მე პასუხისმგებელი ვარ ყველაზე, ამიტომ ვალდებული ვარ პირველად მე ჩავიდე.

— არამჯან, არ იქნება, რომ არც ერთი არ ჩახვიდეთ მაგ დაწყევლილ გამოქვაბულში? — ემუდარებოდა მოხუცი.

— არხეინად იყავი, პაპა, აი ჩავალთ და თვითონ ნახავ, რომ

ეშმაკი არ არსებობს, — დაამშვიდა მასწავლებელმა და თან ბიჭებზე ხელი დაარტყა.

— არ ვიცი, ამბობენ, ეგ წალოები ეშმაკების არისო...

ყმაწვილებს გაეცინათ.

— მაგისთანა წალო მე მაშინ ვნახე, როცა სტუდენტი ვიყავი, ერთ არქეოლოგიურ ექსპედიციაში ვიღებდი მონაწილეობას. პროფესორი სევიანი იყო ჩვენი ხელმძღვანელი. ძორაგეტის ხეობაში. სოფელ აგარაკის მახლობლად მწყემსებმა გვიჩვენეს, თითქმის სრულიად მიუვალი გამოქვაბული. დიდი გაჭირვებით აკედით იქამდე. რასაკვირველია, არავითარი დევი იქ არ ყოფილა. წალო დატოვებული იყო ხალხის მიერ, რომლებიც ოდესღაც ცხოვრობდნენ გამოქვაბულში. იქ მე ერთი ცუდი საქმე შემემთხვა. ჩემდა უნებურად ხელი წავკარი წალოს და სულერთიანად დავამსხვრიე. ისე გამიწყრა პროფესორი, რომ ჯერაც არ დამვიწყებია.

მასწავლებელმა ფეხი ჩადგა თოკის კიბეზე...

ჰასმიკმა პირი იბრუნა, ბიჭები კი დიდი ცნობისმოყვარეობით ადევნებდნენ თვალს მასწავლებლის მოძრაობას. მასწავლებელი პირიქით კლდისკენ შებრუნებული ფრთხილად ჩადიოდა კიბით.

ცოტა ხნის შემდეგ თვალს მოეფარა, მხოლოდ თოკის მოძრაობით იგრძნობოდა, რომ მასწავლებელი ჩასვლას განაგრძობდა. ბოლოს თოკის კიბის მოძრაობაც შეწყდა.

— პაპა, პაპა, უკვე მიაღწია, — წამოიძახეს ბიჭებმა.

მოხუცმა მონადირემ ქვას ხელი მოსჭიდა, დაიღუნა და დაბლა ჩაიხედა. მასწავლებელი გამოქვაბულის წინ იდგა, პირბადეს იკეთებდა, რომ ფუტკრებისაგან თავი დაეცვა. პაპა ასატურმა რომ დაინახა მასწავლებელი ცოცხალიაო, პირი მიიბრუნა და მალულად პირჯვარი გადაიწერა.

— ახლა კი ჩვენი მასწავლებლის სულს ეშმაკები ვეღარაფერს დააკლებენ, — ბიჭებს თვალი ჩაუკრა გრიქორმა.

მასწავლებლის მოქმედებით გამხნევებული ბიჭები ერთმანეთს ეცილებოდნენ ჩასვლაში. პაპა ასატურმა, ხანჯალზე ხელი დაიდო და უთხრა:

— როგორ? მაშ მონადირე ასატურის შვილიშვილს თავზე ქუდი არ ახურია, რომ სხვებმა გაასწრონ?

კამო სიცილით მოეხვია თავის პაპას.

— რაინდის სისხლი ჩქეფს პაპას ძარღვებში!.. — იხუმრა კა-

მომ. მან თოკს ხელი მოჰკიდა და თავისუფლად ჩაეშვა გამოქვაბულში.

როცა ლავგარდანამდე მიაღწია, მაღლა მდგომმა ამხანაგებმა ტაში შემოკრეს და „ვაშა!“ შესძახეს... ბიჭების ასეთი არაჩვეულებრივი მოგზაურობით აღტაცებული (თუ გაკვირვებული) ჩამბარი მოუსვენრად დახტოდა, ყეფდა, ქვევით იხედებოდა, თვითონაც დაბლა ჩასვლას ლამობდა.

ჰასმიკმა ბიჭებს შეხედა, თითქოს ეკითხებოდა: „ახლა ვისი რიგიაო?“...

გრიქორმა, შიშით და მოკრძალებით რომ უყურებდა უფსკრულს, ვერ გაუძლო გოგონას მზერას და კიბისკენ გასწია, მაგრამ ჰასმიკმა შეაჩერა.

— ჩახვალ, გრიქორ?.. ვინ იცის, იქნებ დაიბნე, — უთხრა გოგონამ და დაშავებულ ფეხზე დახედა.

— რა?.. ფეხი?.. შენ ისე ტკბილად მელაპარაკები, რომ ფეხებიც რომ არ მქონდეს, მაინც ჩავალ.

— არა, არა, გეხვეწები... არაფერი არ დაგემართოს...

სწორედ მინდა, რომ დამემართოს... მინდა ეს ერთი ფეხიც მომტყდეს, რომ გული დაგიდალო! მაშინ ჩემ წინ დაიჩოქებ ბოლომე, ნატკენ ფეხს შემიხვევ და მომივლი, — განაგრძობდა ხუმრობას გრიქორი.

ჰასმიკმა მკაცრად შეხედა გრიქორს.

— რადგანაც ასე ალმაცერად მიყურებ, მეც ავდგები და პირდაპირ გადავიჩეხები, — უთხრა გრიქორმა და თოკის კიბეზე ისე ჩქარ-ჩქარა ჩაეშვა, რომ გოგონას ეგონა მართლა გადავარდაო...

— ვაიმე, პაპა, — წამოიყვირა შეშინებულმა ჰასმიკმა.

არმენიც შეძრწუნდა.

მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ქვევიდან გრიქორის მხიარული წამოძახილი მოისმა.

— თქვენი ბზუილის ჭირიმე, თქვენი ტკბილი თაფლით სავსე ფიქის ჭირიმე, მაცალეთ, მალე მოვალ და ყველას კოლმეურნეობაში წაგიყვანთ...

სიჩუმე ჩამოვარდა, შემდეგ კვლავ გრიქორის აღფრთოვანებული შეძახილები მოისმა:

— ბიჭებო, რაც ქვეყნად ყველაზე ტკბილია, სულ ამ კლდეებში ყოფილა... აი თაფლი, თაფლი კი არა, ბაჯღლო ოქროა! — გრიქორი გაჩუმდა, მაღლა მყოფნი მოუთმენლად ელოდნენ მის ხმას.

გრიქორმა ერთხელ კიდევ გამოჰყო თავი გამოქვაბულიდან და ასძახა:

— აქ ათასი წლის წინათ ადამიანებს უცხოვრიათ, რას არ ნახავ კედლებთან დაყრილს, აი ჭურჭელი, ხანჯლები, თავის ქალები, ძვლები.

კამოც გამოვიდა გამოქვაბულიდან, ზევით აიხედა, პაპასა და არმენს შესძახა:

— ხევში დაბრუნდით, ნაპოვნ ნივთებს ჩამოვუშვებო.

სანამ პაპა ასატური, არმენი, ჰასმიკი და ჩამბარი დაბლა ჩავიდოდნენ, ჩვენ გამოქვაბულში შევიდეთ და ვნახოთ რა იპოვეს აქ ჩვენმა გმირებმა.

საიდუმლო გამოქვაბულებში

მასწავლებელი არამ აკოფიანი და მისი მოწაფეები ლავგარდანზე იდგნენ და გულდასმით, უკვე ახლოდან ათვალიერებდნენ ჭანჭაქარის კედლებს. აქ იწყებოდა ერთი დიდი გამოქვაბული. ძის მარცხენა მხარეს, სადაც მონადირე ასატურის თქმით „ეშმაკის საფუტკრე“ უნდა ყოფილიყო, განიერპირიანი ქვევრები ჩანჩანდა. გამოქვაბულის შესასვლელთან დაუპატიჟებელი სტუმრების დანახვით შეშფოთებული უამრავი ფუტკარი ირეოდა. ფუტკრების ერთი ჯგუფი გააფთრებული ბზუილით დასტრიალებდა ბათ. გარეულ საფუტკრეში შეჭრილ მზის სხივებს კარგად გაენათებინათ იქაურობა, კედლებზე მოჩანდა ძველი ფიქის მოზრდილი ნაჭრები.

მარჯვენა მხარეს სხვა გამოქვაბული იყო, რომლის ნაპირზე გათლილი ბოძის თავი მოსჩანდა, შიგნით კი, კედლის გასწვრივ ფერად-ფერადი რაღაც ნივთები ეწყო.

არამ აკოფიანი დიდ გამოქვაბულთან იდგა და რაღაცას ფიქრობდა.

— თაფლი შორს დაგვრჩა, შეცდომით ჩამოვსულვართ, — წყრომით განაცხადა გრიქორმა.

— მართალი ხარ, მეც სწორედ მაგაზე ვფიქრობ, — უპასუხა მასწავლებელმა. — ჩვენ ხომ სიძველეებს ხელს ვერ ვახლებთ? ჩვენი მიზანი ხომ „საფუტკრის“ შესწავლაა. ხომ არ დავბრუნდეთ უკან და არ ჩავიდეთ იქით, „საფუტკრის“ მიმართულებით! — შეეკითხა კამოს.

კამო უკვე მღვიმეში შესულიყო, გრიქორიც მას დაჰყვებოდა.

— წავდიეთ, ბიჭებო, — დაუძახა მასწავლებელმა და კიბისკენ გაემართა. ამ დროს შემოესმა კამოს ხმა:

— აქ მგონი არაფერი არ არის.

— არაფერი არ არისო?.. მაშ ესენი რა არის? — წამოიძახა გრიქორმა, — აბა შეხედე, კამო, ჩვენი პაპები ალბათ ამით ჭამდნენ მაწონს, ხედავ, რამოდენაა, — და გამოქვაბულის ერთი კუთხიდან საკმაოდ მოზრდილი თიხის ჭურჭელი გამოიტანა. — ეს წვეტიანი რაღა არი, ამითი ხომ კაცის მოკვლა შეიძლება, — წამოიყვირა ისევ გრიქორმა და გრძელტარიანი შუბი მიაჩეჩა ხელში.

მასწავლებელი ფიცხლად მობრუნდა, გრიქორთან მივიდა და შუბი ჩამოართვა. მოსწავლეები მიხვდნენ, რომ აღმოჩენილმა ნივთებმა ძალიან დააინტერესა მასწავლებელი და რომ ის აქედან ფეხს აღარ მოიცვლიდა, სანამ გამოქვაბულში ყველაფერს დაწერილებით არ დაათვალიერებდა...

გამოქვაბულს შესასვლელი განიერი ჰქონდა, მაგრამ იგი თანდათან ვიწროვდებოდა და წყვდიადში იკარგებოდა.

— აი ჩვენი პაპების ტყვიამფრქვევიც, — წამოიძახა გრიქორმა და მშვილდი აიღო, — მაგრამ ისრები სად არის?..

— ისრები ალბათ მტრებთან ბრძოლებში დახარჯეს, — უპასუხა მასწავლებელმა.

გრიქორი გამოქვაბულის ბნელ კუთხეებში უშიშრად დაძვრებოდა. უცებ რაღაც ლითონის საგანს წააწყდა. აიღო და მასწავლებელთან მივიდა.

— ნახეთ, პატივცემულო არამ, რა ვიპოვე...

მასწავლებელმა ჯიბის ფარანი მიანათა, ნაპოვნი საგანი პატარა ხანჯალი იყო, რომლის ტარი ბრჭყვიალა სადაფით იყო შეჭკული.

— ალბათ რომელიმე თავადისა იქნებოდა, არა? — იკითხა გრიქორმა.

— შეიძლება სელჯუკებისა იყო, — უთხრა მასწავლებელმა. — სელჯუკები მეცამეტე საუკუნეში შემოიჭრნენ სომხეთში...

— მაშ ეს სამხედრო ნადავლია? — იკითხა კამომ.

— უსათუოდ, მტრისათვის წაურთმევია. ალბათ მოწამლული იქნებოდა. — განაგრძო გრიქორმა. — იმ დროს სელჯუკები ისრებსა და მახვილებს წამლავდნენ.

— ეს რაღა ლითონია? არ დაუანგებულა, მაგრამ არც პრიალებს, — ჰკითხა კამომ.

— ეგ ბრინჯაოა. შემოსეული მტრები ბრინჯაოს ხანის ადამიანები ყოფილან, ჩვენ მაშინ უკვე კარგად განვითარებული კულტურა გვქონდა. ბარბაროსებმა ჩვენი ძველი კულტურა ძოსპეს... — ჩაფიქრებული ლაპარაკობდა მასწავლებელი და თან ხანჯალს ხელში ატრიალებდა.

გრიქორმა ბოლომდე არ მოუსმინა მასწავლებელს, ახალი ნივთების ძებნას განაგრძობდა.

— აქ ქალებიც ყოფილან, საყურეები ვიპოვე, — წამოიძახა გრიქორმა.

— ვერცხლისაა, — უთხრა მასწავლებელმა და თან ყურადღებით სინჯავდა საყურეებს. — მაგრამ რატომ გგონია, რომ საყურეები ქალისაა? შეიძლება მამაკაცისაც იყოს. ძველად სომეხი თავადებიც ატარებდნენ საყურეებს. ერთი დააკვირდით რა მშვენიერი ნამუშევარია, ატყობთ? წინათ ჩვენში, კერძოდ, ქალაქ ვანში ფართოდ იყო განვითარებული ოქრომჭედლობა.

— პა, პა, პა, რა მწვადები უპამიათ ჩვენს წინაპრებს, — წამოიძახა გრიქორმა, — ერთი ამ შამფურებს შეხედეთ...

ბუხარში ნახშირი და ნაცარი დარჩენილიყო, ახლო-მახლო კი ძვლები ეყარა, — ამ ძვლების მიხედვით ახლავე გეტყვით, თუ ჩვენ წინაპრებს, რომელი ცხოველის ხორცი აუგიათ შამფურზე. დახედეთ, ეს ხომ ჯეირანის კოჭია... ალბათ მაშინ ვინმე სხვა მონადირე ასატურმა მოკლა.

— აი ნახეთ, ყმაწვილებო, ეს აბჯარია, — და მან რაღაც ძაისურის მსგავსი უჩვენა, რომელიც რგოლებისაგან იყო გაკეთებული.

— ეს რაღაა, პატივცემულო მასწავლებელო? — ჰკითხა კამომ

და თურქული დოლის მსგავსი გარშემო ტყავშემოკრული რკალი აიღო. — ნუთუ ეს ფარია?

— დიახ ფარია. ხედავთ, შიგნით სახელურის მსგავსი რაღაც ჩანს.

— ისარი ტყავში არ ატანდა? — გაუკვირდა კამოს, — სუსტი იარაღები ჰქონდათ მაშინ! — ახლა ჯავშნიანი ტანკიც კი ვერ უძლებს ორმოცმილიმეტრიან ჭურვს.

— გადაჭიმული და მშრალი ტყავი ძალიან მაგარია. — აუხსნა მასწავლებელმა, — მას შეუძლია გამოსროლილ ისარს გაუძლოს... მეათე საუკუნის ბოლოს, როცა არაბებმა სევანზე კუნძულს ალყა შემოარტყეს, ისინი ასეთი ფარებით იყვნენ შეიარაღებულნი. კუნძულზე დაბანაკებული იყო სომხეთის მეფის აშოტ „ერკათის“[1] ჯარი.

— მერე ალყაში დაიღუპა, არა? — ჰკითხა გრიქორმა.

— არა, რკალი გაარღვია და არაბები დაამარცხა. რკალის გარღვევაში მონაწილეობდა სულ ასი მებრძოლი. ძველ დროს ბრძოლაში დიდ როლს თამაშობდა ამინდი. იმ მომენტში, როცა აშოტ „ერკათი“ თავისი მებრძოლებით ნაპირისაკენ მიცურავდა, ძნე ამოვიდა. სხივები თვალს ჭრიდა არაბებს და სროლის დროს ისრებს აცდენდა მეფის კანჯოებს, მტრის ისრები პირდაპირ წყალში ცვივოდა.. როგორ კარგად შენახულა ყველაფერი! გამოქვაბული ძნის პირსაა და მშრალია. ახლა ჩვენ ზოგ რამეს ჩავიტანთ ქვევით... კამო, თოკი მომეცი. შენ კი, გრიქორ, ეს ნივთები ტომარაში ჩაალაგე. დანარჩენებს კი აქ დავტოვებთ მეცნიერების ჩამოსვლამდე.

სანამ ყმაწვილები ტომარაში ჩააწყობდნენ ნაპოვნ ნივთებს, მასწავლებელი გამოქვაბულის სიღრმეში შევიდა. მალე იქიდან გაისმა მისი ხმა:

— გასასვლელი ვიპოვე, აქეთ წამოდით!

კამო და გრიქორი მასწავლებლისკენ გაეშურნენ. გამოქვაბულის სიღრმეში ბნელოდა, ვიწრო გასასვლელი იყო. კამომ ჯიბის ფარნით გაანათა გასასვლელი და გაოცებულმა წამოიძახა:

— პატივცემულო მასწავლებელო, შეხედეთ, გასასვლელის კედლებს ლომის ნაკვალევი ატყვია, ეს ხომ ადამიანების ძიერაა გათხრილი, საინტერესოა სად გადის?

— დაიღუნეთ, თავი არ მიარტყათ ჭერს, — გააფრთხილა მას-

---

[1] „ერკათ“ სომხურად რკინას ნიშნავს.

წავლებელმა და მოღუნული წინ წავიდა. რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ შედგა: აქ ერთი ახალი გზა მარცხნივ უხვევდა.

— საით წავიდეთ? — ჩაფიქრდა მასწავლებელი.

— მარჯვნივ წავიდეთ! — შესთავაზა კაბომ.

მასწავლებელი უსიტყვოდ მიბრუნდა მარჯვნივ.

გასასვლელი ვიწრო იყო და იძულებულნი იყვნენ ხოხვით წასულიყვნენ წინ.

გასასვლელში თანდათან მატულობდა სინათლე. რამდენიმე ნაბიჯიც გაიარეს და ახალ, საკმაოდ მოზრდილ გამოქვაბულში აღმოჩნდნენ. ბიჭები გაოცებულნი დარჩნენ, როცა გამოქვაბულის წინ, უფსკრულის პირად დაინახეს ორი უზარმაზარი არწივი.

ისინი მთის არწივები, ანუ ბერკუტები იყვნენ, რომლებიც ყველაზე დიდ და ძლიერ არწივთა ოჯახს ეკუთვნიან, ფრთებზე მექი ნაცრისფერი არშია დაუყვებოდათ. ფრთები გაშალეს და ნელ-ნელა უფსკრულისკენ გაფრინდნენ.

გამოქვაბულის ერთ კუთხეში, კედლის ერთ „თაროზე“ წვრილი ფიჩხი ეყარა, საიდანაც მოკაუჭებულნისკარტიანი ფრინველები შეშფოთებული იყურებოდნენ.

— არწივის ბუდეა... — ჩაიჩურჩულა გრიქორმა.

— რატომ არ მიფრინავენ?

— ბარტყებია... ალბათ ჯერ ფრენა არ იციან.

არწივების ყურებამ ბიჭები ისე გაიტაცა, რომ პირველ წუთებში ყველაფერი დაავიწყდათ, არაფერს ყურადღებას აღარ აქცევდნენ. როცა არწივები გაფრინდნენ და ბიჭებმაც თვალი ძოაშორეს ბუდეს, კამომ უცებ წამოიძახა:

— პატივცემულო მასწავლებელო, ლოგინები, აგერ ლოგინით სავსეა წალო.

— ხელი არ ახლოთ...

მასწავლებელს ხელები უცახცახებდა, თვალები კი ცეცხლივით უბრწყინავდა: როგორც ჩანს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ აღმოჩენას.

— ხელი არ ახლოთ, — კვლავ გაიმეორა მასწავლებელმა.

გამოქვაბულის ჭერამდე ერთი მეორეზე ელაგა ფერადფერადი საბნები, ლეიბები, ჯეჯიმები, ფარდაგები, ნოხები, ძირს დიდი ქეჩა იყო დაგებული, ზედაც ნოხი, ნოხზე კი თეთრი ბალიშები და ფერადი შალის მუთაქები ეწყო. ჩანდა ძველად ამ ხალიჩაზე აღმოსავლური წესის მიხედვით ფეხმორთხმული მჯდარა ერთი გამოჩენილი პიროვნება, რომელსაც იდაყვი ზედ მუთაქაზე ჰქონია დაყრდნობილი, იდაყვის კვალიც კი ემჩნეოდა.

— კამო, ხედავ, მდიდარს ალყაშემორტყმულსაც კი მდიდრულად უცხოვრია, — შენიშნა გრიქორმა.

გამოქვაბულის შუაგულში ბუხრის ნაკვალევი იყო. სადაც ნახშირი და ნაცარი ეყარა. იქვე ეგდო ერთი ბოლომომწვარი გრძელი მორი, რომლის მეორე მხარე გარედან მოსჩანდა.

— აქაც მწვადები შეუწვამთ, მწვადებს ღვინოსაც დააყოლებდნენ, მერე და, ხედავთ, რა ფიალებით უსვამთ... არა, ძმაო, ამის შემდეგ ღორმუცელა აღარ დამიძახოთ! — წამოიძახა გრიქორმა. ფიალა ისე დიდი იყო, რომ ალბათ გოლიათები ხმარობდნენ. ფიალა სავსე იყო ჭრელი და პრიალა მძივებით.

— ოჰო, ეს ნამდვილად ჰასმიკისათვის დაუტოვებიათ!

— როგორ იპოვე ასეთი საინტერესო რამე, — უთხრა კამომ.

— მოდით აქ, ყმაწვილებო, — დაუძახა მასწავლებელმა, — შეხედეთ ამ ხანჯლებს, რა უშველებელი და ტლანქებია. მათ ადგილობრივი მეჭედლები აკეთებდნენ. აი ჩაქუჩის კვალიც კი არის ზედ. ამ მახვილებს სწრაფად აკეთებდნენ, როგორც მოხვდებოდათ მაშინ, როცა ბრძოლა წარმოებდა...

— შეხედეთ, — გრიქორმა რომელიღაცა საგანზე მიუთითა...

— მომეცი აქ, — უთხრა მასწავლებელმა,

— ეგ დამბაჩა, პირველი სომხური საცეცხლე იარაღია! სომხებმა მისი ხმარება არაბებისაგან ისწავლეს.

სანამ მასწავლებელი ძველ იარაღებსა და საგნებს ათვალიერებდა, ბიჭები არწივის ბუდესთან მივიდნენ.

ბუდე საკმაოდ მაღლა იყო. კამო კედელთან დადგა და გრიქორს უთხრა:

— მხრებზე შემადექი და ბარტყები ამოიყვანე.

— მიკბენენ... სულ ერთია მაგათი ხორცი არ იქმევა, რა ჯანდაბად გვინდა?

— შე ოჯახაშენებულო, რა ჭამით ზომავ ყველაფერს! გალიაში ჩავსხამთ და ნორჩ ნატურალისტთა კუთხეში შევინახავთ.

გრიქორი უგულოდ შეაცოცდა კამოს მხრებზე და ხელი გაიწოდა ერთ-ერთი ბუდისაკენ.

ბარტყმა თავისი მოკაუჭებული ნისკარტი ისე მაგრა ჩაჰკრა გრიქორს ხელზე, რომ საწყალი ბიჭი კინაღამ გადმოვარდა.

გრიქორმა დაიჭყივლა და ძირს გადმოხტა.

— ვაიმე, მიკბინა!.. — იყვირა გრიქორმა და გასისხლიანებული თითი გაიქნია.

— შენც რა ვაჟკაცი ხარ! — გული მოუვიდა კამოს.—ეაჩერდი, მე დაგადგები მხრებზე, გამიძლებ?

— ძალიან გამიძნელდება, მძიმე ხარ, მაგრამ მირჩევნია შენი სიმძიმე ავიტანო, ვიდრე მაგ ავაზაკებისკენ ხელი გავიშვირო.

კამო მხრებზე შეაჯდა გრიქორს. ერთ-ერთ ბარტყს ქუდი ჩამოაცვა, ბუდიდან ამოიყვანა და ძირს გადმოხტა. მერე ფრთებში და ნისკარტში ხელი მაგრა ჩაავლო და ისე დაუწყო სინჯვა. ბარტყი ქათმის ოდენა იყო, ბუმბული უფრო ღია ფერისა ჰქონდა, ვიდრე მის დედას. ფეხებზე თეთრი „შარვალი“ ეცვა, ფრთებზე კი თეთრი წინწკლები ჰქონდა დაყრილი.

კარგად ვერც კი მოასწრო კამომ ბარტყის დათვალიერება, რომ სტვენა გაისმა. გამოქვაბულში გრიგალივით შემოიჭრა უზარმაზარი არწივი, თავისი ძლიერი ფრთებით, ისე მაგრა გაჰკრა გრიქორს, რომ ბიჭი უმალვე ძირს დაენარცხა.

კამომ ბარტყი გამოქვაბულისკენ გააქანა. მასწავლებელი კი ერთი ჟანგიანი ხმლით არწივს გამოეკიდა.

— ვაიმე, შემჭამა, შემჭამა! — ყვიროდა პირქვე დამხობილი გრიქორი, თუმცა არწივი უკვე გამოქვაბულიდან გამოფრენილიყო

და იქვე შორიახლოს ტრიალებდა. გააფთრებული კლდეებს ეხეთქებოდა. ბუდეში დარჩენილ ბარტყებსაც თავი ამოეყოთ და საზაოლად წიოდნენ, დედას დახმარებას თხოვდნენ...

კამომ ბარტყი ისე შეახვია თავის ხალათში, რომ ხმას ველარ აწვდენდა დედას. არწივიც, რაკი არ იცოდა, რომ თავისი ბარტყი ტყვეობაში იყო, ადამიანებს აღარ ერჩოდა.

— აბა მიჩვენე. სად გიკბინა? — სიცილით ჰკითხა კამომ.

— ოი, ამ საძაგელმა კინაღამ მხრები ამაგლიჯა...

— აბა მაჩვენე! უბრალოდ გაუფხაჭნია. აი ნახავ მთელ სოფელში როგორ გაუკვირდებათ არწივის ბარტყს. რომ ვაჩვენებთ. ამის დაჭერა ხუმრობა ხომ არ არის... ამის გულისათვის ეგ გაფხაჭნილიც არაფერია.

კამომ ბარტყს კანაფით ფეხები შეუკრა და ერთ ბნელ კუნჭულში მიაგდო. მაგრამ ბარტყმა მოასწრო და ხელზე ისე ჩაუნისკარტა რომ სისხლი დაადინა. ხალათიც დაუხია.

— ჰასმიკ, არმენ, არწივის ბარტყი დავიჭირეთ, არწივის ბარტყი! — ჩასძახა კამომ გამოქვაბულის ნაპირიდან.

— დაგვანახვე კამო! — ქვევიდან ამოსძახა ჰასმიკმა.

— ახლავე მოვიყვან, ახლავე, — დაპირდა კამო, მაგრამ არწივის შიშით, რომელიც გაშმაგებული დაფრინავდა გამოქვაბულის მახლობლად. ვერ გაბედა ბარტყის გამოჩენა.

ბიჭები მივიდნენ მასწავლებელთან, რომელიც რაღაცას აკვირდებოდა გამოქვაბულის სიღრმეში.

გრიქორმა იქვე დაინახა ადამიანის ჩონჩხი, რომელიც იატაკზე იწვა. ხელი კედელზე მიებჯინა და თითქოს იცინოდა.

ამ საზარელი სურათის ხილვაზე შეშინებულ გრიქორს მთელ ტანში ჟრუანტელმა დაუარა... ხელების სავსავით უკან დაიხია და უცბად ზედ ლოგინზე გაიშხლართა. იქ ერთი უცნაური ამბავი მოხდა — ლეიბებმა და საბნებმა ვერ გაუძლო მის სიმძიმეს და ფერფლად იქცა. კამოს ენა დაება, მასწავლებელმა კი მოიხედა და გრიქორს დაუბღვირა.

— ხომ გითხარით. ფრთხილად მოიქეცით-მეთქი? — უთხრა გაბრაზებულმა მასწავლებელმა. მაგრამ იმ მხარეს რომ გაიხედა, საითაც გრიქორი იყურებოდა, შეაკრთოლა. რაღაც საზარელი იყო დანახვა იმ ჩონჩხისა, რომელსაც გვერდით დიდი მახვილი ედო.

ფეხზე წამომდგარი გრიქორი გაოგნებული იდგა.

— რატომ დაიფერფლა? — ძლივს წამოილუღლუღა მან.

— ეს ნამდვილად ლოგინი იყო? — იკითხა გაკვირვებულმა კამომ.

— რასაკვირველია, ნამდვილი ლოგინი იყო. — მიუგო გაბრაზებულმა მასწავლებელმა.—აი ამ საბანს აბრეშუმის პირი ჰქონია გადაკრული, ამას შალისა, ლეიბს კი—ტილოსი. ხედავთ, ფერი რა კარგად შენახულა. ამ საღებავებს ჩვენი წინაპრები მცენარეებისაგან ამზადებდნენ. სამწუხაროა, რომ მათი დამზადების საიდუმლოება საფლავში ჩაჰყვათ...

— მაინც ლოგინი რად დაიფერფლა? — კვლავ შეეკითხა კამო.

— ჟამთა სვლას გამოუფიტია, საკმარისი იყო ოდნაური შეხება, რომ დაფერფლილიყო. ოჰ, გრიქორ, ვერ მიპატიებია ეს შენთვის!— ამოიოხრა მასწავლებელმა.

„არა, ძმაო, აქ ჩემი ადგილი არ არის. სჯობს თაფლისკენ გავწიო“, — გაიფიქრა გრიქორმა.

— მე აქედან მივდივარ, — თქვა მან და ნებართვასაც აღარ დაუცადა, ნაცნობი გვირაბისაკენ გაეშურა...

* * *

გრიქორი ფოფხვით მივიდა იმ ადგილამდე, სადაც მიწისქვეშა გზა ორად იყოფოდა და მარცხნივ, უცნობ გასასვლელში შეძვრა. გასასვლელი ძალზე ბნელი და ნესტიანი იყო. გრილი ნიავი უბერავდა. სველ კედლებს ლოკოკინები აჰკვროდნენ. გრიქორს ეჩვენებოდა, რომ სიბნელეში საიდუმლო ცხოველები და დევები თვალებს უბრიალებდნენ, და აი საცაა შეეკითხებოდნენ—ეს ხალხი აქ რისთვის მობრძანებულაო...

გრიქორს ეშინოდა, მაგრამ გასასვლელი ისე ვიწრო იყო, რომ ბევრიც რომ ეცადნა უკან ვეღარ დაბრუნდებოდა.

გრიქორმა დაიჩოქა, ნელ-ნელა გახოხდა სიბნელეში. ბოლოს შორიდან სინათლის შუქი გამოჩნდა და გრიქორმა დაინახა ფართო ხვრელი, რომლის გარშემოც აუარება ფუტკარი ირეოდა.

— ვაშა! თაფლს მივაგენი! — ხმამაღლა დაიყვირა გრიქორმა, იქნებ იმისათვისაც, რომ შიში გაეფანტა.

ვეება გამოქვაბული ფუტკრით იყო სავსე.

ფუტკრებს ალბათ თავიანთ სიცოცხლეში ადამიანი ჯერ არ ენახათ, ამიტომ თავდაპირველად ყურადღებაც არ მიუქცევიათ გრიქორისათვის და არც გაკარებიან.

გრიქორი გამოქვაბულში შევიდა და იქაურობა დაათვალიერა.

აქ იყო ყურიანი და უყურო თიხის ქოთნები, ხელადები, კოკები, ცეცხლზე გამურული დიდმუცლიანი თიხის ქვაბი, რომელშიაც ალბათ საჭმელს ხარშავდნენ.

ყველა ჭურჭელი ფუტკრითა და ფიჭით იყო სავსე. გრიქორი ისე აღფრთოვანდა, რომ არ იცოდა რა ექნა. ვისთვის გაეზიარებინა თავისი სიხარული. ჩქარი ნაბიჯით მიირბინა გამოქვაბულის ხვრელთან და ჩაიხედა, სადაც არმენი და ჰასმიკი იდგნენ და ზევით იყურებოდნენ. მათ ახლოს კი პაპა ასატურის ყალიონიდან ლურჯი ბოლქვები ამოდიოდა.

უფსკრულის პირას გადაყუდებულმა გრიქორმა ხმამაღლა ჩასძახა:

— ფუტკრებს ყველა კუნჭული თაფლით აუვსიათ. — მერე წამოხტა და ცალი ფეხით ცეკვა დაიწყო.

ჰასმიკმა სახეზე ხელები მიიფარა და შეჰყვირა:

— ბიჭო, შიგნით შედი, გადმოვარდები!

გრიქორი გამოქვაბულში შებრუნდა და გაოცებული დარჩა: ჭრელი, ლამაზი ფრინველები ჰაერშივე იჭერდნენ ფუტკრებს და ყლაპავდნენ.

— ეს რა ამბავია! — წაიბუზღუნა გრიქორმა, — საწყალ ფუტკრებს აქაც მტრები ჰყოლიათ...

გრიქორი ისევ ნაპირთან მივიდა და ჩასძახა:

— არმენ, შენ სად დაინახე ნათლია მუქელის ნიჩაბი? აბა შეამოხედე მანდედან და მითხარი.

ჰასმიკს გაეცინა.

— ნათლია მუქელისა კი არა, მონადირე კაროსი, — წკრიალა წვრილი ხმით ამოსძახა გოგონამ. — შენს მარჯვნივ, ძალიან ახლოა.

გრიქორმა ერთი ნაბიჯი გადადგა და მარჯვნივ გაიხედა, იქ მართლაც მოსჩანდა ნიჩბის ტარი, რომელიც გაჩხერილი იყო მეზობელ გამოქვაბულში, თუ კლდის ნაპრალში.

საფეხურიდან, რომელზედაც გრიქორი იდგა, ნიჩბამდე ძალზე ვიწრო ბილიკი მიჰყვებოდა. გრიქორი გავიდა ამ ბილიკზე.

ხელით ეჭიდებოდა კლდის შვერილებს და ფრთხილად აბიჯებდა, თან ცდილობდა არ გადაეხედა.

როგორც იქნა მიუახლოვდა ერთ ვიწრო ხვრელს და ოი, საკვირველებავ, მონადირე კაროს ნიჩაბი მთლიანად თაფლში აღმოჩნდა ჩაფლული. ფუტკრებს გარშემო იმდენი თაფლი და ფიჭა მოეგროვებინათ, ისე ჩაეჭედათ, რომ საწყალმა ბიჭმა ძლივს ამოაძრო, კი-

დევ კარგი, პირბადე ჰქონდა აფარებული, თორემ გამხეცებული ფუტკრები ცოცხალს არ დატოვებდნენ...

— პაპა, პაპა, დაიჭი — ჩასძახა და თაფლში და სანთელში მოსვრილი ნიჩაბი ძირს გადაუშვა.

პაპა ასატური განცვიფრებული იდგა.

— რას ჩადის ის ტუტუცი, — შეშფოთდა პაპა ასატური, — ახლა ხომ ძირს გადმოისვრიან ეშმაკები მაგ უბედურს.

გრიქორი კი აუარება თაფლის ნახვით გაოცებული ფიქრობდა, რომ ამ ქვეყნად ამაზე უზარმაზარი ველური სკა ალბათ არსად არ იქნებოდა, აქ ჰეშმარიტად თაფლის დიდი ბეღელი იყო...

— პაპა, მალე ვედროები მოგვაშველეთ, ვედროები...

თაფლის ბეღლები რომ დაათვალიერა, ქვის იმავე ვიწრო ბილიკით ისევ პირველ გამოქვაბულში დაბრუნდა.

მასწავლებელი და კამო ნაპოვნ ნივთებს გრძელი, მსხვილი თოკით უშვებდნენ ძირს.

პაპა ასატური ზემოდან ჩაშვებულ ნივთებს ათვალიერებდა და თვალებს ახამხამებდა. არმენმა მრავალმნიშვნელოვნად ჰასმიკს გადახედა

— გახსოვს? — უთხრა მან, — გახსოვს რას გეუბნებოდი?.. ახლა ყველაფერი ნათელია. ახლა შეგვიძლია განვაგრძოთ ჩვენი თხრობა იმის შესახებ, თუ როგორ მოხვდა ხალხი გამოქვაბულში, ამრიგად მტრებისაგან, შესაძლოა თურქებისაგან დევნა — თურქებს ხომ მრავალჯერ აუოხრებიათ ჩვენი სომხეთი — გამოქვაბულებში გახიზვნა მტრის გამოჩენამდე უნდა მომხდარიყო, რადგან აი, ხომ ხედავ, მათ თან წაუღიათ მთელი თავიანთი ქონება: დოქებიც კი არ დაუტოვებიათ შინ.

— დავუშვათ ასე იყო, მაგრამ განა მტერს არ შეეძლო იმავე მუხის ხით გამოქვაბულში ასულიყო და ყველა დაეხოცა? — ჰკითხა ჰასმიკმა.

— რასაკვირველია, შეეძლო. ლტოლვილნი ამას მოელოდნენ, მაგრამ იმათ, ვინც უფრო შორს იხედებოდა, ხე მოკრეს და ამრიგად გამოქვაბულში ასასვლელი მოისპო. მტერმა მიაკვლია ლტოლვილებს, მაგრამ ისინი ზემოდან ქვებს უშენდნენ. თურქები შეიძლება ავიდნენ კლდის მწვერვალებზე, მაგრამ გამოქვაბულამდე მაინც ვერ მიაღწიეს.

ჰასმიკი გატაცებული უსმენდა.

— მერე. მერე, — ბავშვური მოუთმენლობით თხოვდა არმენს ეხრობის გაგრძელებას.

— როცა მტერი უკან წავიდა, ხალხი დაბლა ველარ ჩამოვიდა— ხე აღარ იყო. ყველა შიმშილითა და წყურვილით იტანჯებოდა. ბავშვები იხოცებოდნენ, მათ მწარედ დასტიროდნენ დედები. შემდეგ სიკვდილი დიდებსაც დაერია. და გამოქვაბულები, რომლებშაც ლტოლვილნი მტრების ურდოებისგან იხსნეს, ახლა მათ სამარეებად გადაიქცნენ.

— ბიჭებო. — ჩამოსძახა ზემოდან გრიქორმა, — აქ რამდენიმე ქვევრია თაფლით სავსე, რა ვუყოთ?

— კამოს დაუძახე, ქვევრებს თავზე მაგრა მოაბას თოკი და ფრთხილად ჩამოუშვით. ჩვენ აქ დავიჭერთ.

გრიქორი ხელის ქნევით ფუტკრებს იგერიებდა და ყვიროდა:

— ეს საძაგლები თაფლის ჭამას არ მანებებენ! რა ვქნა?

— მერე შეჭამე, მერე, — ხმა მიაწვდინა არმენმა, — ჯერ ქვევრები ჩამოუშვით.

— საწყობში, რომ ჩავაბარებთ, მერე ვილა მომაშავებს, — წაიბუტბუტა გრიქორმა, — არა, ჩემო ძმაო, დღევანდელ საქმეს ხვალისთვის ვერ გადავდებ, — გადაწყვიტა მან და, მიუხედავად ფუტკრების კბენისა, თაფლით სავსე, ერთი საკმაოდ მოზრდილი ფიჭა ჩამოგლიჯა კედლიდან და ხარბად დაუწყო თაფლს ჭამა.

ამ დროს მასწავლებელი და კამო გამოჩნდნენ.

— ძლივს არ მოვიდნენ! —გაუხარდა გრიქორს. — აბა, კამო, მომეშველე. ქვევრები ძირს ჩავუშვათ... იცი, მონადირე კაროს თაფლის ბელელი, ვიპოვე, მართალს გეუბნები! მისი ნიჩაბიც.

— მიამბე, სად ან როგორ იპოვე?

— დაიცადეთ, ჯერ ქვევრები ჩავუშვათ ქვევით. — უთხრა მასწავლებელმა.

ქვევრები ძალიან დიდები იყო; ძველად ამ ქვევრებში ალბათ ღვინოს, ხორბალს, ყველს, ერბოს და სხვა პროდუქტებს ინახავდნენ. შემდეგში კი ეს ქვევრები ფუტკრებისთვის საუკეთესო მზამზარეულ სკებად ქცეულა. ქვევრებს ფუტკარი თავზე ისე შემოხვეოდა, თითქოს შავი ქუდი დაუხურიათო.

კამომ და გრიქორმა ერთ დიდ ქვევრს პირი მოუკრეს, საკმაოდ მაგარი თოკი მოაბეს და დიდი წვალებით კლდის კიდემდე მიაგორეს. თოკის ერთი წვერი გამოქვაბულში კლდის წვეტს გამოაბეს და ქვევრი ნელნელა ჩაუშვეს.

არმენმა ხელი მოხვია ქვევრს და ფრთხილად დაუშვა ძირს.

მოხუცი მონადირე გაოცებული შესცქეროდა.

— ეი, ხალხო, ისმინეთ, ჩამოიტანეს... იმ ლომკაცმა მონადირეებმა ვერ შესძლეს, ამ ბავშვებმა კი მოახერხეს... პირდაპირ სასწაულია ჩემმა მზემ!..

— არმენ, — ჩასძახა კამომ, — ერთი გაიქეცი სოფელში, ს-ბიდრები მოიყვანე, გოდრები მოიტანე ფუტკრების წასაღებად, არ დაგავიწყდეს გალიაც წამოიღე არწივის ბარტყისათვის.

— გალია ვის გამოვართვა?..

— ჩვენი ბაჭიების რომელიმე გალია წამოიღე, — უპასუხა კამომ,—მალე, ნუღარ იგვიანებ...

ასატური შეძრწუნებული იყო: „ნუთუ ამ გამოქვაბულში ეშმაკების საფუტკრე მართლა არ ყოფილა, ნუთუ ნათლია მუქელი სცდებოდაო“.

როცა არმენი ბრუნდებოდა და მოერეკებოდა რამდენიმე სახედარს, რომლებსაც ზურგზე ეკიდათ ვედროები, გოდრები და გალია, მასწავლებელს, კამოს და გრიქორს უკვე ცხრამდე ქვევრი ჩამოეშვათ ძირს.

ყველა მოტანილი ჭურჭელი მაღლა აიტანეს.

მასწავლებელი ფიჭას კლდეებიდან და ხვრელებიდან აძრობდა, გოდრებში ალაგებდა და ზედ შაქარწყალს აპკურებდა. გაფანტული ფუტკარი მაშინვე გროვდებოდა და ფიჭიან ჭურჭელში ჩადიოდა.

— დედა ფუტკარი იპოვეთ, დედა ფუტკარი, უდედოდ ფუტკრის ოჯახი არ იარსებებს, — ხშირად იმეორებდა მასწავლებელი და როგორც კი დედას იპოვნიდნენ, განკარგულებას იძლეოდა:—აბა, ახლა გოდორს პირი მოუკარით და ძირს ჩაუშვით.

როდესაც ჭანჭაქარის თაფლის საწყობი ამ გზით დასცალეს და მინდვრიდან დაბრუნებული ფუტკარიც შაქარწყლით მიტყუებული გოდრებში მოათავსეს და ძირს ჩაუშვეს, ჩვენმა ნორჩმა ნატურალისტებმა თავისუფლად ამოისუნთქეს და ქვის ვიწრო ბილიკით მინადირე კაროს „თაფლის ბეღლისაკენ“ გასწიეს. აქაც რაც თაფლი, სანთელი და ფიჭა იყო, ყველა ვედროებში მოათავსეს და ძირს ჩაუშვეს. როცა ეს საქმეც მოათავეს, კვლავ წინანდელ ალაგას დაბრუნდნენ.

სულ ბოლოს გალიაში მოთავსებული არწივის ბარტყი ჩაუშვეს.

— მიიღეთ ფრინველთა მეფის წული, — ზვიადად გადასძახა კამომ. ჰასმიკი სიხარულისაგან თავს ვეღარ იკავებდა.

— რა ნელა უშვებთ, ეგეც ხომ ქვევრი არ არის, რომ გატ-ყდეს, — მიაძახა ჰასმიკმა ქვევიდან.

როცა გალია ძირს დაეშვა, ჰასმიკი მიიჭრა და ბარტყს რამდენიმე ალერსიანი სიტყვა უთხრა, მაგრამ დატყვევებულმა ფრინველმა ისე მკაცრად შეხედა, რომ საწყალ გოგონას ენა ჩაუვარდა.

არმენმა გალია სახედარს უნაგირზე დააკრა და მაღლა შესძახა:

— სხვა აღარაფერია?

— გავათავეთ... ახლა ჩვენც მალე ჩამოვალო, — ჩამოსძახა კამომ. მასწავლებელი, გრიქორი და კამო გამოქვაბულის პირას ჩამოსხდნენ დასასვენებლად.

მათ პირდაპირ, ვიწრო უფსკრულის მეორე მხარეს, შავ ხახასავით მოჩანდა ეგრეთწოდებული „ჯოჯოხეთის კარის“ შესასვლელი. ქარი საზარლად ღმუოდა. ხოლო, როცა ქარი ერთი წამით მიწყდებოდა ხოლმე, შავი კლდეების სიღრმიდან რაღაც ყრუ გრიალი მოისმოდა.

„რატომ ხვნეშის ნეტავ ეს მთა?“ — გაიფიქრა მასწავლებელმა. იგი დაძაბული უგდებდა ყურს, ცდილობდა გაეგო რა ხმები მოდიოდა საიდუმლო გამოქვაბულიდან, მაგრამ მიზეზს ვერ მიმხვდარიყო. დიდხანს ათვალიერებდა იმ საიდუმლო მიდამოებს. მან გამოქვაბული მიამგვანა დაღებულ პირს, რომლის ზედა „ტუჩი“ უსწორმასწორო იყო, ხოლო ქვედა — სწორი და პრიალა. ქვევით რომ ჩაიხედა, შენიშნა, რომ ქვედა „ტუჩის“ მიმართულებით კლდეს ძირამდე დაუყვებოდა პრიალა ვიწრო ზოლი, გეგონებოდათ ზღაპრულ ფარჰადს[1] თავისი ძლიერი ხელით გაევლო იგი.

„რას ან ვის გაუპრიალებია კლდის ეს ნაწილი?... ანდა რისთვის?“ — ფიქრობდა მასწავლებელი.

* * *

მეორე დილით ასატური თავის თანატოლ მოხუცებს ეუბნებოდა:

— ჭანშაქარში არავითარი დევები არ არიან! დღევანდელი დღის მადლმა, მართალს ვამბობ.

---

[1] ფარჰადი—უზბეკური ეპოსის გმირია, რომელიც უზარმაზარ კლდეებს ჭრიდა და არხები გაჰყავდა სომხეთში.

ჭაბუკების გმირობის ამბავი მთელ სოფელს მოედო. ყველანი იმათ შესახებ ლაპარაკობდნენ. მხოლოდ შურიანი არტუში იყო უკმაყოფილო და კამოს მისამართით ბუზღუნებდა: „ძალიან კი მოაქვს თავი, ცხვირს მაღლა სწევს“.

ჭანჭაქარიდან მოტანილი ქვევრები ფერმის ღობის შიგნით ერთ კუთხეში მოათავსეს, სიძველეები კი სკოლაში წაიღეს. სკოლის დირექტორს ჭანჭაქარიდან მოტანილი ნივთებისათვის ცალკე ოთახი გამოეყო.

იმავე დღეს მასწავლებელმა არამ აკოფიანმა ერევანში მეცნიერებათა აკადემიას შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა:

„პროფესორ სევიანს!

ჭანჭაქარის გამოქვაბულებიდან აუარებელი სიძველეები, შუა საუკუნის იარაღები და საოჯახო ნივთები ჩამოვიტანეთ, გთხოვთ, მოავლინოთ არქეოლოგები“.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბაგრატმა კი პაპა ასატურს უთხრა:

— გარეული ცხოველების ენა ყველაზე კარგად შენ გესმის, ჭანჭაქარიდან ჩამოტანილი ფუტკრების მოვლა-პატრონობას შენ გაბარებ. თუ არას გვარგებს, არას გვაკლებს.

პაპა ასატურმა, რომელიც ერთ დროს მეფუტკრეობას მისდევდა, გულდასმით შეამოწმა არაჩვეულებრივი სკები და წესრიგში მოიყვანა ისინი.

ქვევრებს და გოდრებს თავები მოხსნეს, ფუტკრები გამოიშალენ და ჰაერში აირიენ...

— ახლა, დააკვირდით ყველა ფუტკარი სუნით თავის ბინას მიაგნებს, — თქვა მასწავლებელმა.

სანამ ფუტკრები თავთავიანთ ბინებს მიაგნებდნენ, ქვევრების თავებთან ფიცხელი ბრძოლა გაიმართა. იმ ფუტკრებს, რომლებსაც ბინა არა ჰქონდათ, კოლმეურნეობამ შესაფერისი სკები გაუმზადა.

— მაინც, როგორ მოხდა, რომ ფუტკრები ქვევრებში ცხოვრობდნენ? ნუთუ ჩვენი წინაპრები ფუტკარს ქვევრებში ინახავდნენ? — შეეკითხა არმენი მასწავლებელს.

— შენი მოსაზრება, რომ ხალხი ხის საშუალებით ასულა გამოქვაბულში და იქ ჩაკეტილი დარჩენილა, ჭკუასთან ახლოა, — უპასუხა მასწავლებელმა, — მაგრამ რაც შეეხება მოსაზრებას, რომ ვითომ მათ თან ფუტკარი აეყვანოთ და ქვევრებში შეენახოთ, სწორი არ არის. როდესაც გამოქვაბულებში ხალხი აღარ იყო, იმ კლდე-

.ებში მყოფი გარეული ფუტკრის ახლადნაყარი ოჯახებისათვის ყველაზე მოხერხებული ბინა აღმოჩნდა იქ დარჩენილი ცარიელი ჭერ. .ჭლები.

რამდენიმე დღეში ფუტკარი უკვე შეეჩვია ახალ გარემოს და ნორმალური მუშაობა დაიწყო.

გრიქორი პაპა ასატურისაგან მეფუტკრეობას სწავლობდა. ხანდახან სალ ფეხზე ხტუნვა-ხტუნვით მივიდოდა ფერმის ლობკსთან, თავს გადაჰყოფდა და ჰასმიკს აბრაზებდა:

— ერთი შეხედეთ, შეხედეთ ამის ტურტლიან ჭუჭულებს.. ფუტკარი შეინახე, ფუტკარი, რომ გემრიელი თაფლი მოგცეს...

საჩდაღ აჩჯაკის ბეჭდის თვალი

პაპა ასატური დანელებული ფუტკრის ოჯახიდან შავი სანთლის ფიჭას იღებდა და დანით სჭრიდა. უცებ დანა რაღაც მაგარ საგანს მოხვდა, სანთელში მერცხლის კვერცხის ოდენა მომწვანო ქვა აღმოჩნდა.

— რა ლამაზია, ჩემ ჰასმიკს მივცემ, ყელზე ჩამოიკიდებს,— გაიფიქრა მოხუცმა და ქვა ახალუხის ჯიბეში ჩაიდო.

ასატურმა გარეული ფრინველების ფერმისაკენ გასწია. როცა თვალი მოჰკრა ასობით ფრინველს, ძალზე ესიამოვნა.

უკანასკნელ დღეებში მოსულ წვიმებს სოფლის მდინარე ვამოეცოცხლებინა, წყალსაცავიც ავსებულიყო მთის ანკარა წყლით. მის ზედაპირზე ყივილ-ხივილით დაცურავდა აუარებელი გარეული ფრინველი.

ჰასმიკი წყალსაცავს მიუახლოვდა. იხვების და ბატების ჭუჭულები უმალ ყიყინით ბისკენ გაეშურნენ, გარს შემოერტყნენ, საკენკს თხოვდნენ. ჰასმიკმა მუჭით დაუყარა მარცვალი.

— პაპა, ერთი შეხედე რას აკეთებენ, — მხიარულად მიაძახა ჰასმიკმა ასატურს, — შინაური ფრინველებივით როგორ მეხვევიან გარშემო!

— თანდათანობით ღალატობენ თავიანთ ძველ ჩვეულებას. რაკი ასეთი კარგი ფერმა მოაწყე, ჩემო გოგონა, აი, მიიღე ჩემი საჩუქარი.

გოგონამ ქვა ჩამოართვა და ბავშვივით მოეხვია კეთილ პაპას, შემდეგ ქვას დააშტერდა და აღტაცებით წამოიძახა:

— უი, რა კარგია, რა მშვენიერი... პაპა, ცოტა ხანს ყური უგდე ჩემ ფრინველებს, ახლავე მოვალ, — და ჰასმიკი სწრაფად გაიქცა არშენის სახლისაკენ.

ქვა შორიდანვე დაანახვა არმენს და მხიარულად შესძახა:

— პაპა ასატურმა მაჩუქა, შეხედე რა ლამაზია?..

არმენმა კარგა გასინჯა ქვა.

— ეს უბრალო ქვა არ არის... ჩემის აზრით, ზურმუხტი უნდა იყოს... ასეთი ქვა რამდენიმე ათასი ღირს...

გოგონა შეკრთა.

— რამდენიმე ათასი?

— აბა, ჰასმიკ, დააკვირდი, ნაუშიც აქვს... მოიცა: მოიცა, თითქოს ასოებიც ჩანს ზედ...

— ასოები? მოიტა ვნახო.. ნამდვილი ასოებია...

— ნეტავი რა იქნება?

— დამიტოვე, შევისწავლი, — სთხოვა არმენმა. — მერე წავიღებთ ამხანაგ აკოფიანს ვუჩვენებთ.

გოგონა უხალისოდ დაეთანხმა.

არმენმა ქვა სახლში გამადიდებელი შუშით გასინჯა, იგი სიხარულით ზეზე წამოდგა: აი, ახალი აღმოჩენა, ქვაზე არწივი ეხატა და ზედ წვრილი ასოებით ამოჭრილი იყო სიტყვა „არტაკი“: აქეთიქიდან ნახვრეტები ჰქონდა, ეტყობა ქვა რაღაცაზე ყოფილა ჩამოცმული.

ქვას მაგრა მოუჭირა ხელი და ჩქარი ნაბიჯით მასწავლებელ აკოფიანთან გაექანა.

მასწავლებელმა ქვა შეამოწმა და უთხრა:

— ეს არის ბეჭედი — გემა, რომელსაც სარდალი არტაკი თავის ბრძანებებს არტყამდა. ეს მეტად საინტერესო აღმოჩენაა! სად იპოვეთ?...

— პაპა ასატურს უჩუქებია ჰასმიკისთვის.

— პაპა ასატური მონადირეა, ალბათ მთებში იპოვა.

— მოითმინეთ, წავალ, გავიგებ.

არმენი ფერმისკენ გაიქცა...

— პაპა, ის ქვა სად იპოვე?

— ძველ ფიჭაში.

— სხვა არაფერი იყო?

— სხვა რომ ყოფილიყო, იმასაც მოგცემდით, მე რად მინდა, საფლავში ხომ არ ჩავიტან, — იწყინა მოხუცმა.

ნორჩმა ნატურალისტებმა ბევრი იმსჯელეს, ათასნაირი მოსაზრება გამოთქვეს და ბოლოს იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ჭანჭაქა-

რის გამოქვაბულებში ალბათ ჩაკეტილი ყოფილა გეღამის მხარის სარდალი არტაკი. აბა სხვანაირად მის ბეჭედს იქ რა უნდოდა?

— ეჭვი არ არის, ბეჭედი სიკვდილამდე პატრონს ექნებოდა, ცოცხალი თავით არავის დაუთმობდა,—დაასკვნა არმენმა.

— მაგრამ ჩვენ მიერ აღმოჩენილი საჭურველი უბრალო მებრძოლებისა უნდა იყოს. სარდლის შესაფერისი ჩვენ არაფერი აღმოგვიჩენია — შეესიტყვა კამო.

— თუ ბეჭედი ჭანჭაქარში აღმოჩნდა, მაშასადამე, სარდალი არტაკიც იქ ყოფილა... აქ საკამათო არაფერია, — გადაჭრით უთხრა არმენმა.

— კარგი, გეთანხმები, — მიუგო კამომ, — ამ შემთხვევაში მოდით, წავიდეთ, ერთხელ კიდევ დავზვეროთ გამოქვაბულები, იქნებ მოვახერხოთ სარდლის იარაღის ან მისი გვამის პოვნა.

მათ გადაწყვიტეს თავიანთი განზრახვა მასწავლებლისთვის არ გაემხილათ და თვითონ მარტო ასულიყვნენ ჭანჭაქარში. მათ გულში, ისე როგორც ყველა ჭაბუკებში, შეუდრეკელი მისწრაფება იყო, სხვის დაუხმარებლად ისეთი რამ აღმოეჩინათ, რომ ყველა გაეკვირვებინათ....

საჩდაღ აჩჯაკის ნემჯის ძებნა

მეორე დღეს, დილაადრიან კამო, არმენი და გრიქორი ჭანჭაქარის მწვერვალზე იყვნენ. ფუტკრები, რომელთა ბინები გაძარცული იყო, გამოქვაბულების წინ ირეოდნენ.

ჭაბუკები თოკის კიბით ფრთხილად ჩავიდნენ ყველაზე დიდ და ბნელ გამოქვაბულში და ხელიხელჩაკიდებული წინ წავიდნენ.

როცა „წალოს მღვიმისაკენ“ მიდიოდნენ, გრიქორმა უცებ წამოიყვირა:

— აქეთ მოანათეთ სინათლე, მაჩვის ბუნაგი ვიპოვე...

ჯიბის ფარნის მკრთალ შუქზე ბიჭებმა მთავარი „გვირაბიდან“ მიმავალი სხვა ხვრელი დაინახეს, რომელიც წინათ სიბნელეში ჩვეულებრივ ხვრელად მიეჩნიათ.

— ესეც ადამიანების მიერ არის გაყვანილი, — თქვა არმენმა და კედლებზე ლომით მოკოდილი ადგილი უჩვენა. — როგორც ჩანს, მტრისგან გარშემორტყმული ჭანჭაქარის გამოქვაბულებში მცხოვრებნი ერთმანეთს ხვრელების საშუალებით უკავშირდებოდნენ.

კამო ამ გამოქვაბულში შეძვრა.

— მომყევით, ყმაწვილებო, — განკარგულება გასცა კამომ. როგორც კი დაიღუნეს ხვრელში შესასვლელად, უცბად გრიქორის გულსაკლავი ხმა და კვნესა მოესმათ.

— ვაიმე დედა! ბრუციანია ეს ოხერი ქვა? ვერა ხედავს, რომ კაცი მოდის?

— რა მოგვიდა, შუბლი მიარტყი?

— მივარტყი და ისიც როგორ! რა მაგარი ქვა ყოფილა ეს ოხერი!

კამომ და არმენმა გაიცინეს, — უცნაური ბიჭია ეს გრიქორი. ტკივილსაც კი ხუმრობაში ატარებს! მაგრამ ბიჭებმა ვერ შეამჩნიეს, რომ საწყალ გრიქორს თვალები ცრემლებით ავსებოდა, შუბლზე კი კაკლისოდენა კოპი აჯდა. მაგრამ მაინც ხუმრობდა... საწყალს სახუმარო რა ჰქონდა, მაგრამ ხუმრობა მისი თანდაყოლილი თვისება იყო და უიმისოდ ლაპარაკი არ შეეძლო.

წყვდიადში დიდხანს ფოფხვის შემდეგ ბიჭები მივიდნენ ერთ პატარა მღვიმეში, რომლის ერთ კუთხეში ვიწრო ხვრელი ჩანდა. ქვის კიბით ისინი ძირს ჩავიდნენ და ეკლესიის გუმბათისმაგვარი ჭერის მქონე გამოქვაბულში აღმოჩნდნენ. კედლებიდან და ჭერიდან მინერალური ნივთიერებებით მდიდარ წყალს უდენია. საუკუნეების მანძილზე ეს მინერალური ნივთიერებები კედლებზე და ჭერზე გაქვავებულა და ფერად პრიალა ფიგურებად გადაქცეულა, რითაც შეულამაზებია და ფანტასტიკური იერი მიუცია გამოქვაბულისათვის, ეს ფერადი ნივთიერებანი ყინულის ლოლუებივით ჭერზე იყო ჩამოკიდებული.

კლდის ბუნებრივი ნაპრალიდან მზის სხივები შემოჭრილიყო, რომლის შუქზე გაყინულ-გაქვავებული ფანტასტიკური ნივთიერებანი საოცრად ბრჭყვიალებდნენ... ბიჭები ერთხანს პირდაღებულნი შესცქეროდნენ ბუნების მიერ შექმნილ ამ ხელთუქმნელ საოცრებას, ისინი თითქოს მიწისქვეშა ზღაპრულ ქვეყანაში იყვნენ.

უცებ გრიქორმა დაიყვირა და ენა ჩაუვარდა, მარტო თითით ღა ანიშნებდა რაღაცას:

— აგერ... აგერ... აგერ...—ძლივს წამოიღუღღუღა მან.

ბიჭებმა გაშვერილი თითის მიმართულებით მიიხედეს და შიშისგან ადგილზე გაქვავდნენ: ნაპრალიდან შემოჭრილ მზის შუქზე მათ ერთ კუთხეში დაინახეს ერთმანეთის გვერდით მჯდომი ორი ჩონჩხი. ერთ მათგანს თავის ქალაზე ძვირფასი ბრჭყვიალა ქვებით მოჭედილი მუზარადი ეხურა. მის ქვეშ, თვალების ადგილას ცივი,

საზარელი ფოსოები ჩანდა. უფრო ქვევით — საშინლად დაღრეჯილი ყბები...

ჭაბუკები ერთხანს გაშეშებული იდგნენ.

პირველი კამო მოვიდა გონს.

— საშიში არაფერია, ეს ადამიანის ჩონჩხებია. — თქვა მან. — აი ესეც თქვენი ბეჭდის პატრონი, სარდალი არტაკი, გელამის მხარის მბრძანებელი. კამომ ჩონჩხის ქალას ღრმად ჩამოცმული, უკვე გაფუჭებული მუზარადი მოხადა, — ესეც მისი მეუღლე, ვთქვათ სახელად ანაჰიტი (მის სახელს მერე გავიგებთ).

და კამომ მეორე, უფრო ნაზი აგებულების ჩონჩხს ყელიდან მოხსნა უძვირფასესი ქვებით ასხმული ძეწკვი.

— სარდალს სასოწარკვეთილებისაგან თავი მოუკლავს, — უთხრა ბიჭებს კამომ და ჩონჩხის გულმკერდში ჩარჭობილ პატარა ხანჯალზე მიუთითა.

— დიახ, არტაკს გულმკერდში ხანჯალი ჩაუცია და ისე გამოსალმებია ამ ქვეყანას, — დაუდასტურა არმენმა, — მაგრამ სასოწარკვეთილების გამო კი არა, მტერს რომ არ ჩავარდნოდა ხელში. აი, ამას ქვია გმირული სიკვდილი. აბა ერთი მისი მკლავების სიგრძეს დააკვირდით, რა ვაჟკაცი ყოფილა. მე წაკითხული მაქვს მის შესახებ. არტაკი თურმე ხელმძღვანელობდა უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ აჯანყებულ ხალხს. სამწუხაროა, რომ ასეთ სარდალს ასეთი ცუდი დასასრული უგემია...

ერთ წამს ბიჭებმა წარმოიდგინეს ის ტრაგედია, რასაც რამდენიმე საუკუნის წინ ჰქონია ადგილი ამ გამოქვაბულში.

ჭაბუკები ხმაამოუღებლივ უმზერდნენ ჩონჩხებს, ძვირფასი ქვებით მოჭედილ პატარა ხანჯალს და გამოქვაბულის წყვდიადში მოელვარე ძეწკვს.

— ეს მღვიმე ნამდვილ ტაძარს არ წააგავს?—წამოიძახა ბოლოს კამომ. — აბა შეხედეთ, ჭერზე თითქოს ჭაღები ეკიდოს, კედლებზე შანდლები, სანთლები, ჩუქურთმები... — შეხედეთ ყველაფერი როგორ ბრწყინავს, რა ლამაზად ბზინავს... მაგრამ რა დროს სიამოვნებით დატკბობის დროა, გამოქვაბული უნდა დავზვეროთ, გრიქორ, როგორ არის საქმე, შიშმა ხომ არ აგიტანა? არა, ჩემო გრიქორ, აქ საშიში არაფერია...

— როდის შემეშინდა? — თავი იმართლა გრიქორმა.

მათ გულდასმით გაჩხრიკეს გამოქვაბული და სხვა ჩონჩხებიც

აღმოაჩინეს. ამ ჩონჩხებს სპილენძის მუზარადები ეხურათ და ბრინჯაოს საჭურველი ჰქონდათ ასხმული.

— ესეც არტაკის მებრძოლი ჯარი, — თქვა არმენმა.

— შეხედეთ, ხმალი, არტაკის ხმალი რა ლამაზია, სულ ძვირფასი ქვებით არის მოჭედილი.

ხმალი იმოდენა იყო, რომ არმენმა ორივე ხელით ძლივს ასწია.

— ესეც რა უზარმაზარი კაცი ყოფილა, — თქვა მან და არტაკის ჩონჩხს შეხედა.

— ჩვენი წინაპრების მებრძოლნი ხშირად ასეთი მაგარი აგებულების ვაჟკაცები უნდა ყოფილყვნენ, რათა შემოსეული სელჯუკებისათვის, თათრებისათვის, თურქებისათვის, სპარსელებისათვის საკადრისი პასუხი გაეცათ. ისინი ხომ მკლავის ძალით იგერიებდნენ მტერს და არა ყუმბარებით, — თავის თავს ელაპარაკებოდა კამო.

— კარგი იქნება, თუ არაფერს ხელს არ ვახლებთ, — თქვა არმენმა. — ჩვენ სიძველეებთან მოპყრობის წესები არ ვიცით, შეიძლება ისე დაგვემართოს როგორც ლოგინთან. წავიდეთ, ყველაფერი ვუამბოთ მასწავლებელს, დაე თვითონ მოვიდეს, ან და შეიძლება ერევნიდანაც მოვიდნენ. მაგრამ მუზარადი და სამკაულები უეჭველად უნდა წავიღოთ, ბრინჯაოს ფარიც, გრიქორ, მე ხმალს წამოვიღებ. მახვილი კი კამომ წამოიღოს, ის ყველაზე ღონიერია.

ბიჭებმა თითო ნივთი აიღეს. გამოქვაბულიდან გამოვიდნენ და იქიდან თოკის კიბით კლდის წვერზე ავიდნენ:

„ბუყ, ბუყ, ბუყ...“ — ტყის მხრიდან გაისმა ყრუ ხმა. ჭაბუკები შეიკმუხნენ.

— ისევ გრიალებს, — გაბრაზებით წაიბუტბუტა კამომ, — მოიცა შენი ჯერიც მოვა...

პროფესორ სევიანის ჩამოსვლა

სოფელ ლეკვანის საშუალო სკოლას არაჩვეულებრივი გამოცოცხლება ემჩნეოდა. მოსწავლეებს ფიზიკის კაბინეტიდან ხელსაწყოები ქიმიის კაბინეტში გადაეტანათ, განთავისუფლებული ოთახი ნორჩი ნატურალისტების მუზეუმად გადაექციათ. მასწავლებელი არამ აკოფიანი ღელავდა. საზეიმო ტონით ლაპარაკობდა. ჭანჭაქარიდან ჩამოტანილ თვითეულ საგანს თავის მიერ შედგენილ აბსნა-განმარტებას უკეთებდა.

კამო, არმენი, გრიქორი, ჰასმიკი მასწავლებელს ეხმარებოდნენ, არამ აკოფიანის მიერ მითითებულ ადგილზე აწყობდნენ ძვირფას ნივთებს.

არწივის ბარტყი თავისი გალიით ფანჯარასთან მოათავსეს და უმი ხორცი დაუდგეს წინ, მაგრამ მან თავის პატივისმცემლებს ამაყად გადახედა.

როდესაც რიგი მიდგა რამდენიმე თავის ქალაზე, გრიქორმა კომიკური ჟესტით უკან-უკან დაიხია:

— არა, ძმობილო, ეგ ჩემი საქმე არ არის, თუ გინდათ ქვევრებს ავიკიდებ, მაგრამ მაგათ კი ხელს ვერ ვახლებ, თვალი დაშინებული მაქვს...

ჭანჭაქარიდან ჩამოტანილი საგნებიდან ჰასმიკს ყველაზე მეტად მოსწონდა ბრჭყვიალა ქვებით მოჭედილი ძეწკვი, ხოლო კამოს— სარდალ არტაკის მახვილი და მოზრდილი ფარი. კამომ ისარგებლა მასწავლებლის იქ არ ყოფნით, თავზე არტაკის მუზარადი ჩამოიცვა, მარცხენა მკლავზე ფარი წამოიცვა, მარჯვენა ხელში ხმალი აიღო, რაინდული პოზა მიიღო და საზეიმოდ წარმოთქვა მეათე საუკუნის სომეხი მთავარსარდლის გევორქ მარზპეტუნის სიტყვები:

„ჩემი ძვირფასი სამშობლოს მზესა ვფიცავ, რომ ოჯახს, ჩემს მშობლიურ კერას არ დავუბრუნდები, სანამ საკუთარი ქვეყნიდან მტერს არ გავდევნი“.

ღია კარებთან მდგომმა მოსწავლეებმა ტაში დაუკრეს.

— აი, ეგ მწამს, ეჭვი არ მეპარება, რომ მტრებს განდევნი,— ღიმილით მიუგო ჰასმიკმა.

დერეფანში მასწავლებელი გამოჩნდა. კამომ სასწრაფოდ მოიხადა მუზარადი, საჭურველი თავის ადგილზე დააწყო და კასრების გადაგორებას შეუდგა, ისე, თითქოს აქ არაფერი მომხდარიყო. მასწავლებელმა გაიღიმა და თავი გააქნია.

— ახლა უკვე შეგვიძლია ჩვენი სკოლის მუზეუმი გახსნილად გამოვაცხადოთ.

— მობრძანდით,—მიიწვია მან ტალანში შეგროვილი მოსწავლეები.

ამ დღიდან მოსწავლეები რიგრიგობით მოდიოდნენ მუზეუმის ექსპონატების დასათვალიერებლად, მასწავლებელი არამ აკოფიანი დიდი ენთუზიაზმით უამბობდა მოსწავლეებს მუზეუმში თავმოყრილი ექსპონატების შესახებ.

მეზობელი სოფლებიდანაც მოვიდნენ მოსწავლეები, მასწავლებ-

ლები, კოლმეურნეები, მოვიდნენ რაიონის ხელმძღვანელი მუშაკებიც, რომლებმაც დაათვალიერეს და ძალზე მოიწონეს მუზეუმი.

მაგრამ ჩვენი ნორჩი ნატურალისტების მუზეუმის არსებობა ხანმოკლე გამოდგა.

მალე სოფელ ლეკვანში ერევნიდან მეცნიერთა ერთი ჯგუფი ჩამოვიდა.

სამეცნიერო ექსპედიციის ხელმძღვანელმა პროფესორმა სევიანმა ჭანჭაქარიდან ჩამოტანილი ნივთები დაათვალიერა და განაცხადა, რომ ეს სიძველეები ფასდაუდებელია, ამავე დროს გამოთქვა საყვედური:

— ამას რას ვხედავ, ამხანაგო აკოფიან... აკადემიის განკარგულების გარეშე, როგორ შეიძლებოდა ამ სიძველეების ადგილიდან დაძვრა?... ნივთების აღმოჩენისთანავე დეპეშით უნდა გეცნობებინათ ჩვენთვის.

— ვერ მოვითმინე, პროფესორო, მაპატიეთ. გადაწყვეტილი მქონდა ხელი არაფრისთვის მეხლო, მაგრამ არ მოხერხდა,—თავი იმართლა მასწავლებელმა.

— მონადირე ნადირს რომ დაინახავს, ყველაფერი ავიწყდება--- ესეც ხომ ნანადირევია, — შემარიგებელი ტონით უთხრა პაპა ასატურმა.

პროფესორმა სათვალეების ზევიდან გადახედა ძველი მონადირის გრძელ წვერს, მის უფრო მეტად გრძელ ხანჯალს და გაიღიმა. შემდეგ სათითაოდ შეამოწმა ჩამოტანილი საგნები და როცა ყველაფერი რიგზე აღმოჩნდა, დამშვიდდა...

— ჩვენ იქიდან ძალიან ცოტა რამ ჩამოვიტანეთ, პროფესორო,—განაგრძობდა არამ აკოფიანი,—ეს ჩვენი წინასწარი დაზვერვის შედეგია. ძირითადი სამუშაოების შესრულება თქვენს ექსპედიციას მოუხდება. ჭანჭაქარი აუარება გამოქვაბულების ლაბირინთია. ყველა გამოქვაბული ერთი მეორესთან დაკავშირებულია ვიწრო გასასვლელებით, რომლებიც ადამიანებს გაუთხრიათ. ჭანჭაქარი ნამდვილი ბუნებრივი ციხე-სიმაგრეა... ჩვენ შევძელით ამ „ციხის“ მხოლოდ ერთი პატარა ნაწილის შესწავლა.

მოიწვიეს კოლმეურნეთა საერთო კრება. პროფესორმა სევიანმა აუხსნა დამსწრეთ ჭანჭაქარში აღმოჩენილი ექსპონატების დიდი მნიშვნელობა.

— ეს დიდი და საპატიო საქმე შეასრულეს თქვენი კოლმეურნეობის გმირმა ჭაბუკებმა და მათმა ხელმძღვანელმა არამ აკოფიანმა,

რომლებსაც სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის სახელით უღრმეს მადლობას ვწირავ.

მოხუცი მეცნიერის სიტყვა დამსწრეებმა სხვადასხვანაირად გაიგეს: კუთხეში მიმჯდარ არტუშას მწვანე თვალები შურის ნაპერწკლებს აფრქვევდა, გრიქორი კი დედის გვერდით იჯდა, კამოს შეჰყურებდა და მხიარულად იცინოდა.

* * *

იმ ღამეს პროფესორი სევიანი თავის რბილ ლოგინში ვერ ისვენებდა, განუწყვეტლივ ტრიალებდა, თვალებს ძილი არ ეკარებოდა.

რიეერაუზე მან თავისი ექსპედიციის წევრებს უბრძანა ადრე ამდგარიყვნენ გიე მთაზე ასასვლელად.

— გუშინდელ მოხუც მონადირეს გამოუძახეთ. ის უნდა გაგვიძღვეს წინ,—თქვა მან. ამ დროს კარებში კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბაგრატიც გამოჩნდა:

— პროფესორო, ჯორები მზადაა... რამდენი დღის საგზალი გაგატანოთ!

— საგზალი გვაქვს, საჭიროა მხოლოდ ყოველდღე გილის ცივი წყაროების წყალი მოგვაწოდოთ... ვფიქრობ, რამდენიმე კვირა მოგვიხდება სარდალ არტაკის გამოქვაბულში ყოფნა. გთხოვთ მოუხმოთ არამ აკოფიანს, ჭანჭაქარში ჩემი მოადგილე იქნება.

— ნორჩ ნატურალისტებს კი არ წაიყვანთ?—ღიმილით შეეკითხა თავმჯდომარე.

— ვშიშობ, მათმა ახალგაზრდულმა სულმა საქმეს ზიანი არ მიაყენოს, არამ აკოფიანიც მათ შეაცდინეს, თორემ აბა ვის გაუგია ჭანჭაქარიდან ჩამოტანილი ექსპონატებით სკოლაში მუზეუმის გახსნა... უკვე თენდება... იჩქარეთ, ხალხი მალე მოიყვანეთ...

პროფესორმა ახალგაზრდულ სისწრაფით მალე ტანთ ჩაიცვა და თავმჯდომარის სახლის აივანზე გავიდა.

დაბლობში ჯერ ისევ თვლემდა სევანი, მისი სუნთქვა სოფელ ლეკვანს სწვდებოდა.

საეჭვო კასრები

როგორც ხედავ მკითხველო, სოფელ ლეკვანის ნორჩი ნატურალისტების საქმეები კარგად მიდიოდა.

მაგრამ არ არის ისეთი საქმე, რომ ნაკლი და დაბრკოლებები არა ჰქონდეს. და რაკი ჩვენი ჭაბუკები თავიდანვე შეჩვეულნი იყვნენ წარმატებებს, ამიტომ პირველი დაბრკოლებისთანავე დაიბნენ.

ფერმას ყოველდღე აკლდებოდა იხვები და ქათმები.

მოხუცი მონადირის შიშით ძერაც ვერ გაიჭაჭანებდა მთელ სოფელში. ჩამბარის შიშით ვერც ერთი მელა ვერ გაბედავდა ფერმასთან მისვლას. ჰასმიკის დედაც ძალიან ფრთხილად უვლიდა ფრინველებს. მაგრამ მიუხედავად ამისა, ფერმას ყოველდღე რამდენიმე ფრთა ფრინველი აკლდებოდა.

ჰასმიკი კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან წავიდა და სთხოვა, ქურდების დაჭერაში დახმარებოდნენ.

— რას აკეთებენ შენი „ნატურალისტები", ერთ წიწილს ვერ უპატრონეს?.. მაშ, მე ამოდენა კოლმეურნეობას როგორ ვუძღვები?—უთხრა თავმჯდომარემ.

ბიჭები დღედაღამ დარაჯობდნენ ფერმას, ღობეებსა და ყველა კუნჭულს გულდასმით ჩხრეკდნენ, ეჭვის თვალით უყურებდნენ ტელეგრაფის ბოძზე მჯდომ ბებერ ყვავებსაც კი, მაგრამ წიწილები მაინც იკარგებოდა და იკარგებოდა.

ერთხელ, როცა ასატური ფერმის ღობესთან ისვენებდა, შეამჩნია, რომ ერთ იხვის ჭუჭულს ფრთები გაეშალა, ნისკარტი წაეგრძელებინა და ღობისკენ ისე მიდიოდა, თითქოს მტვერში მიცურავსო.

ასატური გაოცდა. აი საკვირველი ამბავი, ეს რა უხილავი ძალა მიათრევს?

წამოდგომა დააპირა, მაგრამ დაინახა, რომ ერთი ნაცრისფერი პატარა ბატიც კისერწაგრძელებული, ღობისაკენ მიჩოჩავდა და უეცრად სადღაც გაჰქრა.

— ეს რა ამბავია?—წაიბუზღუნა ასატურმა და კარებისკენ გასწია.

საწყობში უადგილობის გამო კოოპერატივის ნოქარს ცარიელი კასრები მოეტანა, ფერმის ღობესთან მიეყარნა და ასატურისთვის ეთხოვა თვალყურის დევნება.

მოხუცი ერთ-ერთ კასრზე ჩამოჯდა.

ფერმის ეზოში სიწყნარე სუფევდა. ფრინველები მშვიდად დასეირნობდნენ ეზოში.

ფარდულში ჰასმიკი ფუსფუსებდა. პაპა ასატურმა ჯიბიდან ყალიონი ამოიღო და კასრზე დაბერტყა.

ამ დროს ერთი გასაოცარი ამბავი მოხდა: კასრმა დაიჭრიალა, და შეირყა. იქიდან ვიღაცამ დაბალი ხმით იკითხა:

— დროა?.. გამოვიდე?..

ასატური დაიღუნა და კასრს სახურავი ახადა. ახდისთანავე საწყალ მოხუცს ვიღაცამ თვალებში ერთი მუჭა ნაცარი შეაყარა. კასრებიდან ვიღაცეები გამოცვივდნენ და გაიქცნენ.

— ქურდები, ქურდები! დამაბრმავეს მაგ ძაღლის ლეკვებმა!..

ხალხი შეგროვდა. ასატურს გამოჰკითხეს რაში იყო საქმე, კასრები გაჩხრიკეს, მაგრამ ამაოდ, კასრებში დამალულნი ვერსად აღმოაჩინეს.

მოხუცი ასატური გონს მოვიდა, თვალები წყლით ამოიბანა, კასრები ნოქარს კოოპერატივში მიუგორა.

— სადაც გინდა იქ შეინახე, ეს შენი კასრები, ფერმის მესერთან აღარ დააწყო,—უთხრა გამგეს.—ხალხს ძილი და მოსვენება არა გვაქვს ამ ფერმის ფიქრით, შენ კი ეს კასრები ქურდების ბუდედ ეადააქციე.

ამიერიდან ვიდრე შემოდგომამდე ფერმაში არავითარ მარცხს ადგილი აღარა ჰქონია. მაგრამ, როგორც კი პირველი თოვლი მოვიდა და მინდორში საჭმელი გამოილია, საფუტკრეს და ფრინველების ფერმას მელიებმა, კვერნებმა და სხვა მტაცებლებმა მიაშურეს.

აი სწორედ აქ გამოდგა პაპა ასატურის სანადირო გამოცდილება.

ეშმაკი ნადირის კვალდაკვალ

დაიწყო სასწავლო წელი.

კამო და არმენი მეცხრე კლასში იყვნენ გადასული, ჰასმიკი მეშვიდეში, გრიქორი კი მერვე კლასში სწავლობდა.

ჰასმიკი კვლავინდებურად სკოლიდან პირდაპირ ფერმაში გარბოდა და დედას ეხმარებოდა ფრინველების მოვლაში.

წინანდელი ფარდულის ნაცვლად ახლა ფერმისთვის საუკეთესო შენობა აეგოთ, დირექტორის და დარაჯისათვის ცალკე ოთახი გამოეყოთ.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბაგრატი ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ სანიმუშოდ მოეწყო იგი.

— რაკი ფერმაა, დაე, ყველაფრით ნამდვილ ფერმას ჰგავდეს,— ბშირად ამბობდა იგი.

შენობას რამდენიმე განყოფილება ჰქონდა. აქედან ერთ ფართე დარბაზში ინკუბატორები იდგა, მეორეში კვერცხის სადები და საბუდარები, მესამე დარბაზი დათმობილი ჰქონდა ფრინველებს სასეირნოდ. ერთ დიდ დარბაზშიც ქანდარები იყო გაკეთებული ღამე ქათმების დასაბუდებლად. ფერმას არა ჰქონდა საკრუხე. წიწილები ინკუბატორში იჩეკებოდა.

ფერმას ქერის დიდი მარაგი ჰქონდა. ყოველთვის, როცა ჰასმიკი ფრინველს საკენკს უყრიდა, განსაკუთრებული სინაზით ეპყრობოდა. მუჭით აღებულ ქერის მარცვლებს და ტაბილად ჩურჩულებდა: „ეს ხომ არმენის ქერია“.

არმენი ხშირად მიდიოდა ფერმაში ფრთებშეკვეცილი ფრინველების დასათვალიერებლად და თან ჰასმიკს ეხმარებოდა მათემატიკისა და ლიტერატურის გაკვეთილების მომზადებაში.

თითქოს ყველაფერი წესიერად მიმდინარეობდა. მაგრამ ერთ ღამეს ფრინველებს რაღაც ალიაქოთი შეუდგათ, ძაღლებმა ყეფა ასტეხეს და ბუდრუგანებიდან გამოცვივდნენ. გაისმა მოხუც ასატურის თოფის ჭახანი.

როცა სინათლე აანთეს, ეზოში გაფანტული ბუმბული ნახეს. უეჭველად მელა იქნებოდა.

— მაშ მონადირე ასატური არ ვყოფილვარ, თუ ცხვირიდან არ ამოგადინო!—დაიფიცა მოხუცმა და რიჟრაჟზე თოფგადაგდებული მელიის კვალს გაჰყვა გიჟი მთისკენ.

— პაპა ასატური სანადიროდ წავიდა,—დილით აცნობა კამომ ბებია ნარგიზს.

კვირადღე იყო.

კამომ გაკვეთილები მოამზადა და მერე არმენთან და ჰასმიკთან გაიქცა.

— გრიქორთან წავიდეთ.

— რა მოხდა?—ჰკითხა ჰასმიკმა.

— ჩქარა, წავიდეთ, მერე გაიგებთ.

გრიქორი კოლმეურნეობის მეხბორეებს შველოდა, ხბორებს რძეს ასმევდა.

— რა ამბავია?—შესძახა გრიქორმა,—რაზე გარჯილხართ?

— შენ საქმეს როდის მოამთავრებ?

— თქვენის დახმარებით—ხუთ წუთში, დაუხმარებლად—ოცი წუთში.

— აბა მოგვეცი ჭურჭელი, ჰასმიკ, არმენ, აიღე... თითოს რამ-დენ-რამდენი ლიტრი რძე მივცეთ?

— არა, არა, ჩვენ უკვე მოვრჩით, რაშია საქმე?

— გრიქორ, გიე მთაზე წამოდი, — უთხრა კამომ.

— მერე იქ რას მაჭმევთ?

— როცა მონადირე ასატური თოფით და თავისი ჩამბარით წავა უნდა იფიქრო, რომ საჭმელი უსათუოდ იქნება.

— რაკი ასეა, აქ რაღა მინდა?—წამოიძახა გრიქორმა და სარძევე სწრაფად გადასცა მწველავ ქალს. — აბა, მალე წავიდეთ, თორემ პაპა ასატური მწვადებს უკვე მოათავებდა,—თქვა და შეშინებულივით ბოსლიდან გამოვარდა.

—მოიცა ბიჭო, რა მწვადები, რის მწვადები, პაპა მელიის მოსაკლავად არის წასული.

გრიქორი შეჩერდა. მაყვალივით შავი თვალები მხიარულად უცინოდა.

— მერე და მელიის ხორცის მწვადი რით არის ნაკლები? მელია რით იკვებება? ქათმით. ერთი მითხარით, მელიის ხორცი რით იქნება ცუდი?—იკითხა გაკვირვებულმა გრიქორმა.

— მელია ხომ თაგვებსაც ჭამს,—ზიზღით წარმოთქვა ჰასმიკმა:

— თაგვი რიღათია ცუდი? ის მხოლოდ ხორბალს და შაქარს ჭამს, მეტს ხომ არაფერს...

— კამო, უთხარი ასეთ სისულელეებს თავი გაანებოს,—მიმართა კამოს ჰასმიკმა.

— არ მიყვარს, როცა ეს ინტელიგენტები სახეს იღმეტენ, მერე და რაზე? მელიის ჯიგრის ყაურმის ან მწვადის ხსენებაზე! ნულარ შაგონებთ, პირწყალი მომდის, ჩქარა წავიდეთ...

ოხუნჯობით და სიცილით ყმაწვილები ავიდნენ მთის ფერდობზე, თოვლზე ფეხის ნაკვალევი შეამჩნიეს.

— ეს პაპაჩემის ნაკვალევია, ესეც ჩამბარის,—მხიარულად წამოიძახა კამომ.

ჯგუფი ნაკვალევის მიმართულებით წავიდა, მთელი მინდორ-ველი თოვლით იყო დაფარული, ისე ბრწყინავდა მზეზე, რომ კაცს თვალს სჭრიდა. გეგონებოდათ ბრილიანტები მიმოუფანტიათო მთის ფერდობზე. ეს იყო პირველი თოვლი მთაში!

შემოდგომის მოღუშული, ბურუსიანი დღეების შემდეგ პირველ თოვლს ცა მთლიანად მოეწმინდა.

— რა საუცხოო დღეა! ზამთარსაც თავისი სიმშვენიერე აქვს,— ხმადაბლა წარმოსთქვა არმენმა.

— წავიდეთ!—უბრძანა კამომ.

ხევში ჩავიდნენ და იქიდან მთისაკენ ასული გაუდგნენ გზას.

მოხუცი მონადირის კვალი ხან ხევში ჩადიოდა, ხან სხვადასხვა მიმართულებით მიიკლაკნებოდა.

ერთ ადგილას თოვლზე ბატის ბუმბული და ძვლები ეყარა.

— ვაი, საწყალი ბატი, უი, საწყალი ბატი... ნეტა რომელმა

ქარმა მოიტაცა შენი ბუმბული...—დედაბერივით მოსთქვამდა გრიქორი.

ჰასმიკი ნაღვლიანად დასცქეროდა მიმოფანტულ ბუმბულს

— ნუ ნაღვლობ, პაპაჩემი არ შეარჩენს მელიას,—უთხრა კამომ.

ჭაბუკები მკვირცხლად ადიოდნენ მთაზე.

ბოლოს მთის წვერზე შეამჩნიეს მხარზე თოფგადაკიდებული მონადირე ასატური თავისი გრძელი ხანჯლით. ჩამბარმა მხიარული ყეფით ჩამოირბინა კამოსთან და ფეხებზე მოეხვია.

ჰასმიკმა ძაღლს თავზე ხელი გადაუსვა და პირში კამფეტი ჩაუდო.

— სპეციალურად შენ მოგიტანე, ჩემო ჩამბარ,—მიუალერსა გოგონამ.

— მეც მომეცი კამფეტი, ნუთუ ერთ ძაღლად აღარ ვღირვარ,— ხელი გაუწოდა გრიქორმა.

— უფრო მეტად ღირხარ, რასაკვირველია, უფრო მეტად... მაგრამ ჩამბარმა რომ კამო სიკვდილს გადაარჩინა...

გოგონამ ისეთი თბილი გრძნობით წარმოთქვა ეს სიტყვები, რომ კამო ყურის ძირამდე გაწითლდა.

— პაპა, მწვადი მზად არის?—შორიდან შესძახა გრიქორმა.

— აქ სად მოდიხართ, ეი, ლომის ლეკვებო!—მხიარულად მიეგება მონადირე ასატური...—რაკი მოსულხართ, კარგი გიქნიათ, მელიის ბუნებას მაინც გაიცნობთ,—დაუმატა მოხუცმა, თოვლზე დაჯდა და ყალიონი გატენა.

— ამ ოხერმა ძაღლივით დამტანჯა,—დინჯად უთხრა მოხუცმა, ჭაბუკები რომ შემოეხვივნენ,—ერთი მის ოინებს უყურეთ: ქვევით ლოდს ამოფარებოდა, იქიდან გამოვაგდე. როგორც კი თოფი სასროლად მოვიმარჯვე, უთოვლო მიწაზე გადახტა, თვალები ამიჭრელდა. ვეღარაფერი დავინახე... აბა რომელი მეტყვით, რატომ მოიქცა ასე მელა? შავ მიწაზე რატომ გადასკუპდა?—შეეკითხა უმაწვილებს მოხუცი.

— დარვინი, ამტკიცებს, რომ ცხოველები თავიანთი ფერით ეგუებიან გარემოს. თეთრ თოვლზე მელა ნიშანში ადვილი ამოსაღები იქნებოდა, მიწაზე კი ხმელა ბალახებში მას ვერ გაარჩევდით,—უპასუხა არმენმა.

ასეთმა პასუხმა მოხუცი გააოცა. ნეტა ყოველივე ეს დარვინმა საიდან იცოდა?

— ეგ თქვენი დარვინი უსათუოდ მონადირე იქნებოდა, ჰო, იმას ვამბობდი,—განაგრძო მან,—დამიგდეთ ყური მერე რა იქნა! გორაკი გადაირბინა, მეც უკან გავყევი. უცებ ვიგრძენი, ჩემს უკან ქვა ჩამოგორდა, მივიხედე, მელა ახლა უკნიდან მომექცა, როგორ მოასწრო ჩემს უკან მოქცევა და რატომ?

— ეგეც შენ მოსატყუებლად, მელამ შემოუარა გორაკს და ზურგს უკან მოგექცა. ქვა რომ არ გადმოგორებულიყო, იმის გზაკვალს დაკარგავდი.—აუხსნა გრიქორმა.

— ყოჩაღ, იცოცხლე, როგორ გეტყობა, რომ მინდვრის შვილი ხარ. აბა ერთსაც გეტყვით, ვნახოთ რა პასუხს გამცემთ. ერთ ადგილას უცებ კვალი დამეკარგა, არ იქნა და ვეღარ მივაგენი. დავრჩი გაოცებული. კაცო, ვფიქრობ, ფრთები არა აქვს, რომ გაფრენილიყო, სორო არსად ჩანდა, რომ შემძვრალიყო, მაშ სად გადაიკარგამეთქი, სადაც არ უნდა წასულიყო, თოვლზე ნაკვალევი მაინც დარჩებოდა, აბა გამოიცანით, სად წავიდოდა მელა?

ჭაბუკები სდუმდნენ, მართლაც რომ ძნელი გამოსაცნობი იყო.

— ფლავის ჭამა ნუკი გგონიათ, აქ გამოცდილებაა საჭირო, გამოცდილება, თანაც მონადირის ფხიზელი თვალი, რომ ყურადღება მიაქციო მის ოინებს. კარგად დავაკვირდი ნაკვალევს და რას ვხედავ, მისი ფეხის ტერფი ჩემსკენ არის მომართული... მაშასადამე, თავისი ნაფეხურებით უკან-უკან წასულა, რომ კვალი დაეკარგა... მაშ...

ჭაბუკები გაკვირვებული დარჩნენ მელიის ასეთი გაიძვერობით.

— ღამღამობით რომ დაძვრება,—განაგრძო მოხუცმა, იცის, რომ მეორე დილით ასატური დაედევნება და ტყავს გააძრობს. ამიტომაც ხმარობს ასეთ ფანდებს, მაგრამ მონადირე ასატურს ასე იოლად მოატყუებს? სადაც არ უნდა დამემალოს, ხელიდან ვერ წამივა,—ამაყად წარმოთქვა ასატურმა, ფაფახი მოიხადა და ტიტველ თავზე ოფლი მოიწმინდა.

გრიქორი მოხუცებულის მრგვალ, მელოტ თავს უყურებდა და სიცილს ძლივს იკავებდა. მერე კამოს ყურში ჩასჩურჩულა:

— პაპაშენს თავი მზეზე მწიფე საზამთროსავით არ ულაპლაპებს? ბნელ ღამეში ფარანი არც კი დაგჭირდება, პაპაშენი წინ რომ გაიძღოლო, მთვარესავით გაგანათებს.

არმენმა მორცხვად გაიღიმა. ჰასმიკმა თავი ვერ შეიკავა და გადიხარხარა. კამო აიმრიზა:

— ენა ჩაიგდე, თორემ...

— რა იყო, რა მოხდა?—შეეკითხა მოხუცი მონადირე.

— მე ვთქვი, პაპა ზამთარ-ზაფხულს ამოდენა ფაფახს რატომ ატარებს-მეთქი და ეწყინა,—თავი იმართლა გრიქორმა.

— როგორ გგონია, თქვენი მამა-პაპა სულელები იყვნენ, რომ მუდამ ფაფახს ატარებდნენ? თქვენსავით, მაგ თხელ „შლაპკას“ ხომ არ დავიდებ, რომ ზაფხულში მზემ გამიხუროს თავის ქალა. ზამთარში კი სიცივემ გამიყინოს?

— პაპა, კი არ გეწყინოს და ერთი გვითხარი, თავი რატომ გაქვს მელოტი?—სიცილით ჰკითხა გრიქორმა.

— ის მთა, რომელიც მცენარეულობით ღარიბია, მადნეულით არის მდიდარი.—უპასუხა ასატურმა.

— მიიღე? — სიტყვა მიახალა ჰასმიკმა.

მოხუცი წამოდგა და მელიის კვალს გაჰყვა. დანარჩენებიც უკან ღაედევნენ.

ერთ ალაგას მთის ნაპრალთან კვალი გაქრა. ბევრი ეძიეს, მაგრამ ნაფეხური ვეღარ აღმოაჩინეს. სად ჯანაბაში გადავარდა, ხომ არ გაფრინდა?.. დაბნეული ჭაბუკები დუმდნენ. პაპას კი ულვაშებში ეღიმებოდა.

— ახლა მას სხვა ხერხი უხმარია... აბა დაბლა ჩაიხედეთ, ხედავთ? მელია სად გადამხტარა, თოვლში ქვასავით გაგორებულა, აქა-იქ ამოუთხრია და ხევში ჩასულა...

ჭაბუკებმა ხევში გადაიხედეს. ათი მეტრის სიმაღლიდან ძირს გადამხტარი მელიის კვალი შენიშნეს. ისინი დაეშვნენ, კვალს გაჰყვნენ და ერთ სოროს მიადგნენ...

ჩამბარი მაშინვე შეძვრა ვიწრო სოროში, მაგრამ შიგ გაიჩხირა, რის ვაი-ვაგლახით ძაღლი გამოათრიეს, მაგრამ იგი არა ცხრებოდა ყეფდა, წკმუტუნებდა და სოროსკენ მიიწევდა.

— ახლა მოდი გამოიყვანე, არც ბარი გვაქვს, არც ლომი, აქედან რომ შეუბოლოთ, სათადარიგო გასასვლელიდან გავარდება და გაიქცევა, — თქვა მონადირემ.

— უკანა გასასვლელი რომელია?

— სათადარიგო გასასვლელიც ის არის, შეხედეთ, — უპასუხა პაპამ და დაახლოებით ოცი ნაბიჯის იქით ერთ ხვრელზე მიუთითა, —მელია თქვენსავით გამოუცდელი, ხამი კი არ არის. ქალალდი ხომ არა გაქვთ?..

— ერთი ძველი გაზეთი გვაქვს.

პაპა ასატურმა ორლულიანი თოფი მოიმარჯვა, სათადარიგო გა-

სასვლელთან ჩასაფრდა, ბიჭებს კი დაავალა გაზეთი ჩაედოთ სოროში და ცეცხლი წაეკიდებინათ.

როგორც კი მათ გაზეთს ცეცხლი წაუკიდეს, მელია სათადარიგო გასასვლელიდან გამოვარდა.

მელიის გამოხტომა და თოფის გრიალი ერთი იყო, დაჭრილი მელა თოვლზე გაიშხლართა.

— ესეც შენ, ახლა მიბრძანდი და ფერმის ფრინველი მიირთვი, — მხიარულად შესძახა მოხუცმა მონადირემ.

ჩამბარი სიხარულისგან ცქმუტავდა, ბიჭები მხიარული წამოძახილებით მიცვივდნენ და მელია ხელში აიტაცეს: მშვენიერი ბეწვი ჰქონდა. არმენს უნდოდა პაპასთვის ეთხოვა, რომ ტყავი ჰასმიკისთვის მიეცა საჩუქრად, მაგრამ შერცხვა და ვერ გაუბედა.

— ჩემ ფრინველებს ხიფათი აღარ მოელით, — თქვა გახარებულმა ჰასმიკმა.

— დიახ, შეიძლება ითქვას, რომ მეფრინველეობის ფერმის მტერი უკვე განადგურებულია, — საზეიმო ტონით განაცხადა კამომ.

ამ დროს ჩამბარმა კურდღელი დაინახა და დაედევნა.

— ახლა კი უეჭველად მწვადს შევჭამთ, — გაიხარა გრიქორმა.

— დაჭერა გაუძნელდება, თოვლის ზედაპირი გაყინულია...

— ერთი შეხედეთ, ეგ ოხერი სამწვადე, როგორ გარბის, — ვერ ისვენებდა გრიქორი, — დაეწიე ჩამბარ, დაეწიე, — ამხნევებდა იგი ძაღლს.

მაგრამ კურდღელმა უკვე მთა გადაიარა.

— ჩამბარი რამდენად დიდია კურდღელზე, რატომ ვერ ეწევა? — უკმაყოფილოდ იკითხა ჰასმიკმა.

— იმიტომ, რომ ერთი გარბის თავისი მუცლისათვის, მეორე კი სიცოცხლის გადასარჩენად... — უპასუხა მოხუცმა და ხევისკენ გადაიხარა.

— წავიდეთ, ტყუილია, ის კურდღელს ვერ დაიჭერს, აგერ იმ ხრამში ჩავიდეთ, იქ მშვენიერი წყაროა, ცოტა დავნაყრდეთ.—უთხრა მოხუცმა.

ისინი მთის კალთებით ხრამში ჩავიდნენ, წყაროსთან მივიდნენ, დალიეს და იქვე ახლოს ქვებზე ჩამოსხდნენ. მელია კი თოვლზე მიაგდეს. კარგა მადიანად მიირთვეს, ზედაც ცივი ანკარა წყაროს წყალი დააყოლეს და წამოიშალნენ.

მოხუცი მიბრუნდა მელიის წასაღებად, მაგრამ, დახეთ უბედურებას, მელია ადგილზე აღარ დაუხვდათ.

— ბიჭებო, ჩქარა, თოფი მომაწოდეთ, ის საზიზღარი გაქცეულა!

მელიას კი უკვე მთის კორტოხები გადაევლო. და ალბათ სოროში შემძვრალი, მოხუცი ასატურის გულუბრყვილობაზე ხითხითებდა...

ჭაბუკები განცვიფრებული იდგნენ.

— ნახეთ, იმ ოხერმა რა ოინი გვიყო? — წარმოთქვა გაბოროტებულმა მოხუცმა.

მონადირისათვის ყველაზე მძიმეა ნანადირევის დაკარგვა, ამიტომაც პაპა ასატურის სიბრაზეს საზღვარი არ უჩანდა. აფსუს, რომ უკვე გვიან იყო! მზე ჩავიდა, ტბის მხრიდან ცივმა ნიავმა დაუბერა, გაოფლიანებული ბიჭები სიცივისაგან კანკალებდნენ. თორემ ასატური ცხრა მთას იქით გადაივლიდა და მელიას კი ჩააძაღლებდა...

— წავიდეთ, შვილებო, წავიდეთ... ვფიცავ ამ წვერ-ულვაშს, თუ მას ტყავი არ გავაძრო...

გზაში გრიქორი შეეკითხა:

— პაპა, თუ მოკალი, მაშ როგორ გაიქცა?

— საქმეც ის არის, რომ ვერ მოვკალი! დავჭერი, — მოღუშული სახით უპასუხა მოხუცმა.—თოფის ხმამ დააბნია, როგორც კი ავიყვანე, მოსულიერდა... ზურგზე რომ მეკიდა, ცოცხალი ყოფილა, მაგრამ მკვდრად მოგვაჩვენა თავი, გასაქცევად შესაფერ მომენტს ეძებდა. მოიცა, შე არამზადა, შენა, კოლმეურნეობის ბატი თუ ცხვირიდან არ ამოგადინო, მე ასატური არ ვყოფილვარ!

თაფლის მოყვარული პაპარა ნადირის შესახებ

ზამთარში მოხდა კიდევ ერთი შემთხვევა, რომლის შესახებაც მსურს გიამბოთ.

პაპა ასატური ერთ დღეს საფუტკრეში წავიდა. დიდი სიცივეები დაიჭირა და უნდოდა გაეგო ტემპერატურას ხომ არ დაეკლო იქ. ტბის მიდამოებიდან ცივი ქარი ჰქროდა, უტყეო მთებში და სევანის სანაპირო მინდვრებში ქარბუქი მძვინვარებდა.

პაპამ ხმელი ბალახის პატარ-პატარა კონებით ამოავსო საფუტკრის ყველა ხვრელი, შენობას გარშემო შემოუარა, გულდასმით დათვალიერა, ხვრელი ხომ არსად დარჩენილაო, უცებ თოვლზე კატის ნაფეხურების მსგავსი კვალი შეამჩნია, როგორც გამოირკვა, ერთი პატარა დაუპატიჟებელი ნადირი ხვრელიდან შემძვრალიყო საფუტ-

კრეში. ასატურმა ის იყო სკების შემოწმება დაიწყო, რომ გრიქორი შევიდა.

— აქ რა გინდა?—შეეკითხა გაბრაზებული მოხუცი.

— ვა, ეს სად მოვსულვარ?—თვალები ააწიპწიპა გრიქორმა,— შე ბოსელში მივდიოდი და აქ კი მოვხვედრილვარ... ხედავ რა ძალა აქვს ამ თაფლს? კაცს ცხვირში წაავლებს ხელს და თავისკენ გაათრევს.

— ხმა გაიწყვიტე, რასა როშავ, გირჩევნია მაგ ლაპარაკს თავი დაანებო, ვერა ხედავ, ამ ოხერს სკები რომ აუფორიაქებია, რა ვიღონო ახლა?—იფურთხებოდა ასატური და დაზიანებულ სკას ათვალიერებდა.

კვერნა ფარდულის ხვრელიდან შეპარულიყო, სკის თავი მოეხადა და თაფლი ამოეკამა. გაცეებულ ფუტკრებს წინააღმდეგობა ვერ გაეწიათ.

— ერთი გაიქეცი, ბიჭებს შეატყობინე, წავიდეთ, ის ავაზაკი შევიპყროთ და ტყავი გავაძროთ. აბა ჩქარა,—უბრძანა მონადირემ.

— ნეტავი იმას,—მშვიდად თქვა გრიქორმა,—რა ბლომად უჭამია, მაგრად გამძღარა, არც აუწონია და არც გაუზომია ჩემსავით, ჭანჭაქარში მუცელი რომ ამოვიყორე...

— მე იმას ვაჩვენებ, როგორ უნდა თაფლის ჭამა!—გაბრაზებით წაიბუტბუტა მოხუცმა, ისე, თითქოს „ავაზაკი“ ფეხებშეკრული ეგდო გზაზე და საჭირო იყო მხოლოდ მისვლა, დაჭერა და „გატყავება“.

რამდენიმე წუთის შემდეგ მოხუცთან გაჩნდნენ კამო და არმენი. მათ დაზიანებული სკა დაათვალიერეს. ხვრელთან, საიდანაც შეპარულიყო კვერნა, სანთლის ნაკრები და მკვდარი ფუტკარი ეყარა.

— ეს როგორ მოხდა, ძაღლებისა მაინც არ შეეშინდა?

— წუხელ დიდი ქარბუქი იყო და ძაღლები აივნის ქვეშ იქნებოდნენ შეყუჟულები... კვერნასაც სწორედ ასეთი ღამე უნდა,— უპასუხა გამწარებულმა მოხუცმა.—როგორ ვერ მოვისაზრე, შენობის წინ მახე დამეგო?.. თუმცა ამდენი ძაღლი და კატა ირევა, მახეს როგორ დააგებ?... წავიდეთ, მალე წავიდეთ, ტყავი გავაძროთ იმ ავაზაკს. კამო, წადი სახლიდან თოფი მომიტანე, ბაგრატის შაშხანაც წამოიღე, ჩვენთან არის... არ დაგავიწყდეს, ჩამბარსაც ხმა მიაწვდინე, ისიც საჭირო იქნება. ჰო, ბარი და ლომიც წამოიღე...

სწრაფად მოემზადა პაპა ასატური და გიჟი მთისკენ გასწია, მას

უკან მისდევდნენ კამო, არმენი და გრიქორი. ყველაზე წინ კუდაბზეკილი ჩამბარი მირბოდა. მას ნადირის სუნი აეღო და მის კვალს მისდევდა.

როგორც ეტყობოდა საფუტკრეში კვერნის მისვლის შემდეგ ახალი თოვლი მოსულიყო და ნაკვალევი ნათლად ეტყობოდა თოვლის ფიფქზე.

როდესაც ჭანჭაქარის ქვედა ხევს მიაღწიეს, გრიქორი ქვაზე ჩამოჯდა.

— უჰ, დავიღალე, კარგა დიდი მანძილი გაუვლია მაგ მუდრეგს,—უკმაყოფილოდ წარმოთქვა გრიქორმა.

— ბევრს დადის, მაშ... ის რომ ერთ ღამეში გაივლის, კაცი სამ დღეში ვერ შესძლებს გავლას. თქვენი აზრით, ამდენს რატომ დადის? შენ ხომ გახსოვს თაფლის სუნმა ჭანჭაქარის გამოქვაბულში რომ აგიყვანა. ცოტა გაწყდა არ გადმოვარდი. კვერნაც ასეა, შენსავით თაფლი უყვარს, მთელი ღამე დაეთრევა, იქნებ სადმე წააწყდეს და გათენებისას ისევ თავის სოროში შეძვრეს, რათა ძაღლებისა და მონადირეებისაგან თავი გადაირჩინოს. ახლა ხომ მიხვდი, რომ თაფლის სიყვარულით დაეხეტება... მაგრამ ახლა შორს ვერ წავიდოდა, უეჭველად, ამ კლდეებში იქნება,—გული გაუმაგრა დაღლილ ჭაბუკებს მონადირე ასატურმა.

— საიდან იცი?—ჰკითხა კამომ.

— ერთი მითხარი, კარგად რომ გაძღები, შემდეგ რაზე ფიქრობ ხოლმე?—შეეკითხა მონადირე ასატური.

— მოსვენებაზე.

— ხედავ შენ ამდენი საქმეები გაქვს და მაინც მოსვენებაზე ფიქრობ. მაგ ნადირსაც იმდენი თაფლის ჭამის შემდეგ დასვენება ესაჭიროება თუ არა? ამიტომ იგი აქ რომელიმე ხვრელში იქნება შემძვრალი...

მართლაც, შავ კლდეებს მიუახლოვდნენ თუ არა, დაბლობში ერთ-ერთი ხვრელის წინ, კვალი შეწყდა, ახალი თოვლი თათებით ძირს იყო გადმოყრილი...

ჭაბუკები გახარებული იყვნენ, მაგრამ ხმის ამოღებას ვერა ბედავდნენ, ან რატომ არ უნდა გახარებოდათ, თავიანთ სიცოცხლეში პირველად უნდა დაეჭირათ კვერნა.

— ახლა, ჩემო საყვარელო, შენ ჩვენ ხელში ხარ... ვეღარ წაუხვალ ასატურის რკინის ხელებს,—თავისთვის ბურტყუნებდა ბერიკაცი და ჩანთიდან ქაღალდებს ალაგებდა.

— ახლა რა უნდა ვქნათ? — შეეკითხა გრიქორი.

— შენი საქმე არ არის, რაც საჭიროა, მე გავაკეთებ, კვამლს შევუბოლებ და სოროში მოვგუდავ, მერე ლომით ამოვანგრევ და ისე ამოვიყვან, ასეა ამის წესი..

მონადირე ასატურმა კლდის ხვრელში ქაღალდები შეჩხირა. ასანთი გაჰკრა, მოუკიდა და კვამლს შიგნით დაუწყო ბერვა.

მაგრამ კლდის ნაპრალებიდან კვამლი ამოვარდა.

— აბა ჩქარა, კვამლი გამოდის... ნაპრალები დაჩურთეთ, კვამლი რომ არ ამოვიდეს. — შესძახა ყმაწვილებს მოხუცმა.

ბიჭებმა თავიანთი ხელთათმანები, ქუდები, გაზეთების ნაფლეთები დაუცეს ხვრელებს. დაჩოქილი პაპა ასატური კვამლს შიგნით უბერავდა, ბოლი არსაიდან აღარ ამოდიოდა.

შიგნიდან კვერნის ხველების ხმა მოისმა.

— ჰა, კვამლს ვერ უძლებ?.. მე მონადირე ასატურს მეძახიან, ნახავ, როგორ გაგაბრობ ტყავს.

პაპას სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული, რომ კვერნა სოროდან შურდულივით გამოვარდა, მხრჩოლავი ქაღალდების ნაფლეთები მონადირეს გრძელ წვერზე მიეყარა და მოკერცხლა.

— დაიჭი, ჩამბარ, დაიჭი, ნიეწიე! — ხელებს იქნევდა დაბნეული მოხუცი და თანაც რაც ძალი და ღონე ჰქონდა გაჰყვიროდა.

ჩამბარი კვერნას ყეფით დაედევნა.

დამფრთხალი კვერნა მახლობელ ხეზე ავარდა, კენწეროზე მოექცა და მიყუჩდა.

— ერთი უყურეთ, ამ უპატრონომ წვერი ამიტრესა, — უკმაყოფილოდ ბურტყუნებდა ბერიკაცი და წვერს იბერტყავდა.

— ბიჭებო, კუდში ვერ წაავლეთ ხელი?.. ჰაი, გიდი, ჯეელი ვყოფილიყავი, მე ვიცოდი...

მოხუცი მონადირე ისე იღმიჭებოდა, რომ გრიქორი სიცილს ძლივს იმაგრებდა.

ამ დროს გილის მხრიდან მოისმა „ურჩხულის“ ბუყბუყი „ბუყ-ბუყ“... თითქოს პაპა ასატურს ისიც მასხარად იგდებსო.

როცა დამშვიდდნენ, ქვაზე ჩამოსხდნენ და დაიწყეს მსჯელობა, თუ როგორ ჩამოეყვანათ კვერნა ხის კენწეროდან.

— სანადირო თოფის საფანტი იქ არ მისწვდება, ხე ძალზე მაღალია, იძულებული ვარ შაშხანით გამოვასალმო სიცოცხლეს... მაგრამ აფსუსია, კვერნის ტყავი ტყვიით გააფუჭო. — თქვა მოხუცმა და თოფის სინჯვას შეუდგა... — თუმცა თავში რომ მოვარტყათ,

არა უშავს რა, — დაუმატა მან, შერე ერთი მაგრად ამოიოხრა და ნაღვლიანად წარმოთქვა:

— აფსუს, დავბერდი, როგორ დავუმიზნო, რომ თავში მოვახვედრო, მაშინ ტყავიც უვნებელი დარჩება... აჰა, შვილო, დაიჭი თოფი, შენ თვალი კარგად გიჭრის, დაუმიზნე და შიგ თავში მოარტყი, მონადირე ასატური მწყობრიდან უკვე გამოვიდა, — თქვა და თოფი გრიქორს გაუწოდა.

ბიჭმა გულუბრყვილოდ გაუშვირა ხელი თოფის გამოსართმევად, მაგრამ ბერიკაცმა თოფი უკან გასწია.

— თუ გგონია, რომ განდობ?.. — და ბოხი ხმით მაგრად გადაიხარხარა.

— ეი, შე წვინტლიანო, მაშ ისე დავძაბუნდი, რომ ჩემი ნადირი შენ მოგაკვლევინო?..

გრიქორს გაწოდებული ხელი ჰაერში დარჩა.

ბიჭები პაპას ხუმრობას ახლა მიუხვდნენ და გადიკისკისეს.

— აქლემი ისე არ დაეცემა, რომ ვირის საპალნე მაინც არ ასწიოს!—დაუმატა პაპამ, თოფი მოიმარჯვა და კვერნას დაუმიზნა.

თოფმა დაიჭექა და კვერნა რბილად დაეცა თოვლზე.

კამომ მიირბინა, კვერნას დაეძგერა და სახტად დარჩა, ტყვია შიგ პირში ჰქონდა მოხვედრილი, ორი კბილიც ჩამტვრეოდა. რაც შეეხება რბილბეწვიან ტყავს, სრულიად უვნებლად გადარჩენილიყო.

— მაშ, როგორა გგონიათ, სროლა ამასა ჰქვიან, — დაიკვეხა მოხუცმა და გრძელ წვერზე ხელი გადაისვა. მერე მკერდზე მიბნეულ „ვოროშილოვისებური მსროლელის“ ნიშანზე მიუთითა და უთხრა:

— ეი, წვინტლიანებო, სამამულო ომის დროს რაიონმა რომ მე სოფელ ლეკვანის სახალხო ლაშქრის მეთაურად დამნიშნა, რა გგონიათ, ისე ალალბედად მოხდა ეს ამბავი?.. რაიონშიც კარგად იციან, რა მსროლელიცა ვარ...

— მაშასადამე, მეფუტკრეობის ფერმის მტერიც განადგურებულია, — ოფიციალურად გამოაცხადა კამომ და კვერნას ყოველმხრივ სინჯვა დაუწყო.

კვერნას ზურგი წაბლისფერი ჰქონდა, მუცელი კი ღია ფერისა, გვერდები ჭრელი, კუდი გრძელი, რბილი და ლამაზი. მხოლოდ როცა ნადირი გაცივდა, ტყავის ბეწვს ფერი დაეკარგა.

— მოიცათ, დრუნჩი თაფლიანი ექნება, მომეცით გაელოკო... აბა შეხედეთ, თავიც თაფლში არა ჰქონია მოსვრილი! რათა გშურთ, მოიტათ გემოზე მოვასუფთაო, — ხუმრობით წამოიძახა გრიქორმა.

ბიჭებმა კვერნა ძლივს-ძლივობით გამოსტაცეს ხელიდან გრიქორს.

— კარგი, კმარა, რა მოგვიდა, ვინც შენ არ გიცნობს, ეგონება, რომ მართლა ღორმუცელა ხარ, — უსაყვედურა კამომ.

— კარგი და, თუ ჩემთვის გშურთ, მაშინ გატყავების შემდეგ ჩამბარს მაინც მიეცით, მუცელი ჯერ მოუნელებელი თაფლით ექნება სავსე...

ძაღლმა თავისი საბელის გაგონებაზე, ახლო მიირბინა, თვალი ნადირს მიაპყრო და ტუჩები ააცმაცუნა. ეტყობოდა, ჭკვიან ძაღლს გრიქორის წინადადება ძალზე მოეწონა...

— ეგ შეიძლება, — დაეთანხმა მოხუცი და კვერნის გატყავებას შეუდგა.

მთელი ტყავი ისე ოსტატურად გააძრო, რომ ადამიანს გაუკვირდებოდა.

— ასე უნდა ტყავის გაძრობა, — დაიკვეხა მოხუცმა და ლეში ძაღლს გადაუგდო, მაგრამ გრიქორმა ის ჰაერში დაიჭირა.

— ერთი შეხედეთ, როგორ არის გაბერილი, ნამდვილი, თაფლის ტიკია.

მან დანით გაფატრა „ტიკი“ და ჩამბარს მიუგდო. უნდა ითქვას, ჩამბარს თავის სიცოცხლეში ასეთი ტკბილი და გემრიელი ლუკმა არასოდეს არ ეგემა.

როცა შინისკენ გზას გაუდგნენ, კამომ ჰკითხა მოხუც მონადირეს:

— პაპა, მაგ ტყავს რას უშვრები?

— თქვენ რომ ჰასმიკს ბეჭდის თვალი წაართვით და ერევნის მუზეუმს გაუგზავნეთ, რა გეგონათ, მე გოგონას უსაჩუქროდ დავტოვებდი? — უპასუხა მოხუცმა.

ამ პასუხმა ბიჭები ძალზე გაახარა, ყველანი სწორედ ამას ფიქრობდნენ.

როცა სოფელში მივიდნენ, ჰასმიკაანთ კარებთან შეჩერდნენ. პაპამ გოგონას დაუძახა და ბეწვი ყელზე მოახვია.

— აჰა, ჩემო კარგო გოგონა, როცა გათხოვდები, ყელზე მოიგდებ და მონადირე ასატურს მოიგონებ.

ჰასმიკი გაწითლდა, მაგრამ სიხარულისაგან ხტუნავდა. აბრეშუმივით რბილბეწვიან ტყავს ხშირ-ხშირად ლოყაზე იდებდა და იმეორებდა:

— რა რბილია. ნამდვილ ხავერდსა ჰგავს...

კამო მზად იყო სიცოცხლის ნახევარი დაეთმო, ოღონდ ეს საჩუქარი თვითონ მიერთმია ჰასმიკისათვის.

ნაწილი მესამე

გაზაფხული დადგა

სამხრეთიდან არაქსის და მტკვრის ხეობებით გიჟი მთის ფერდობებს გაზაფხული ეწვია. იგი მოვიდა თავისი ნაირნაირი თრინველების გუნდებით, ენძელებითა და ცისფერი იებით. ბუნებამ კვლავ გაიღვიძა, თეთრი თოვლის საფარი გადაიძრო და ათასფრად მოქარგული მწვანე ხასხასა ტანსაცმლით შეიმოსა. გილის ლერწმიანში ფრინველებმა კვერცხის დება იწყეს.

როგორც კი გაზაფხულმა სევანის მიდამოებს მოალწია, ჩვენმა ჭაბუკებმა წესრიგში მოიყვანეს მეფრინველეობის ფერმა, გაწმინდეს და ზეთი წასცხეს ინკუბატორებს, მოიმარაგეს ბატარეები. ჰასმიკმა შუადღისას კარი გაუღო ფრინველებს, რომლებიც ჟივილ-ხივილით გამოცვივდნენ და პირდაპირ გუბურისკენ გასწიეს. ყველა კარგად ჩასუქებული იყო, ბუმბული უბზინავდა...

— ერთი უყურეთ როგორ დაზრდილან,—აღტაცებული ამბობდა ჰასმიკი თავის ფრინველებზე.

— დიახ, ყველა ერთმა რკინის დედამ შობა.—დაუმატა ხუმრობით გრიქორმა.—მაგრამ შენც გაზრდილხარ, ჰასმიკ, ნამდვილი ჯეირანი ხარ, ნამდვილი ჯეირანი...

გოგონამ შუბლზე გადმოშვებულ ქოჩორში სტაცა ხელი.

— ბიჭო, როდის დაჭკვიანდები ნეტავ?..

— არა, არა, არ გაზრდილხარ... გეყოფა, გამიშვი ხელი...

გრიქორი მართალი იყო, ჰასმიკი ერთი წლის განმავლობაში ისე გაზრდილ-გაფურჩქვნილიყო, როგორც კარგად მოვლილი, ნოყიერ მიწაში ჩარგული ვარდი.

ბიჭებიც გამოცვლილიყვნენ: კამო თითქმის დავაჟკაცებულიყო, ზედა ტუჩი საგრძნობლად გასქელებოდა და მაღლა აწეოდა, ულვაშები აბიბინებოდა, ხმაც გაბოხებოდა... არმენი უფრო ნაზი, ლამაზი და მორცხვი გამხდარიყო. გრიქორი თითქმის არ შეცვლილიყო, კვლავინდებურად გულუბრყვილო, ბავშვური გამომეტყველება ახლაც შერჩენოდა, მუდამ ცქვიტი და მოძრავი იყო.

...გარეულმა ფრინველებმა ფერმაში კვერცხის დადება დაიწყეს, ეს პირველი „ვარიების“ კვერცხი იყო. მათ იმდენი კვერცხი დაედოთ, რომ ჭაბუკებს გილის მიდამოებში კვერცხების შეგროვება აღარ დასჭირდებოდათ.

ჰასმიკმა წყლის ქათმების განყოფილებიდან ერთი ჭრელი კვერცხი გამოარბენინა ყვირილით:

— პირველი კვერცხი, ჩვენი წყლის ქათმების პირველი კვერცხი! შეხედეთ რა ლამაზია?

— ვაშა!.. მიჩვენე, ერთი კბილზე მივირტყა, ვნახოთ მაგარია თუ არა?.. იცით რა მაგარია?..—წამოიყვირა გრიქორმა და ხელი გაუწოდა.

— არა, არ მოგცემ, გატეხავ... უი, რა ლამაზია,—მიუგო ჰასმიკმა და კვერცხი ლოყაზე მიიდო.

— მოდით ავწონოთ,—თქვა არმენმა.

ფერმის ერთ კუნჭულში სააფთიაქო პატარა სასწორი ეკიდა. კვერცხი ამ სასწორზე აწონეს, ოცდათორმეტი გრამი გამოვიდა.

— ეს ჯერ პატარებისაა, როცა გაიზრდებიან უფრო დიდ კვერცხს დადებენ... ეს ფრინველი შინაური ქათმებისაგან არაფრით არ გამოირჩევა,—უთხრა არმენმა.

მაგრამ იგი პირველი შედეგებით კმაყოფილი არ იყო.

— ჩვენ „შერეული“ ჯიში უნდა მივიღოთ, გესმის, გარეული და შინაური ფრინველის შეჯვარებით,—არწმუნებდა იგი კამოს.

— მაგრამ, შინაური ფრინველი რომ არა გვყავს, საიდან მიეიღებთ „შერეულ“ ჯიშს?

— შენ არ დაგითვლია კამო, რამდენი მამლები გვყავს? ჩვენ ფერმაში ყველა ჯურის ფრინველიდან ხუთ-ხუთი მამალი საკმარისი იქნება, დანარჩენი შინაურ ბატებზე და იხვებზე გადავცვალოთ.

როდესაც ამ საკითხზე კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბაგრატს მიმართეს, მან ჩვეულებისამებრ უკმეხად უთხრა:

— რაო, ბაზარი ხომ არ არის?..

ბიჭები იმედგაცრუებულნი ფერმაში დაბრუნდნენ, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, კოლმეურნეობის მეფრინველეობის ფერმის გამგე მივიდა და უთხრა: თავმჯდომარის განკარგულებით ცდებისთვის ხუთი ბატი და ხუთი იხვი გადმოგეცათო.

— სამაგიეროს ჩვენი ფრინველებიდან არ წაიყვანთ?— შეეკითხა კამო.

— მამლებიდან?.. არა, თავმჯდომარეს ამის შესახებ არაფერი უთქვია. ჰო, თავმჯდომარემ თქვა საწყობიდან სათესლე ქერი მიიღონ დასათესად, მიწის ნაკვეთი უკვე მოხნულ-მომზადებულიაო.

ჰაბუკებმა თავიანთი ფერმის საუკეთესო მამლები და დედლები კოლმეურნეობიდან მოყვანილ ფრინველებში შეურიეს. შეაჯვარეს და სანიმუშოდ მოვლა დაუწყეს. სულ მალე დედლებმა კვერცხის დება იწყეს. ეს კვერცხები ცალკე ჩააწყეს ინკუბატორში. სამი კვირის შემდეგ, არმენის მიერ ნანატრი „შერეული“ ფრინველები გამოიჩეკა.

სანამ წიწილები გამოიჩეკებოდნენ, ბიჭებმა ქერის დათესვა მოასწრეს...

ქერიც აბიბინდა. მაგრამ, როგორც ნათესს, ისე ამ ლამაზ ფრინველებს უბედურება მოელოდათ, რისაც ასე ეშინოდათ ჰაბუკებს: გვალვა დაიწყო.

„ზეცა გაშრა“

ცათაბჯენილი შავი კლდეების ძირში, ქარებისაგან დაცულ ერთ ხეობაში მოკრუნჩხულიყო სოფელი ლჯავანი. ქვეყანას მოწყვეტილი სოფელი გადასცქეროდა დაბლა მიმავალ წყლებს, მის უკან აღმართულიყო უზარმაზარი მთა, რომლის ნაპრალებიდან განუწყვეტლივ გაისმოდა საიდუმლოებით მოცული ხმები.

მრავალი უბედური მოვლენის მომსწრე იყო ეს სოფელი: ხოცვა-ჟლეტა, დარბევა-განადგურება, მამასახლისის მათრახი, სეტყვა... მაგრამ ყველა ამ უბედურებათა შორის ყველაზე უსაშინელესი გვალვა იყო. როდესაც სოფელს მტერი დაეცემოდა, ხალხი გარბოდა, და თავს შავი კლდის გამოქვაბულებში, ჯანჭაქარში, გიჟი მთის მიუვალ ნაპრალებში აფარებდა. ზოგი მთაგრეხილს გადალასავდა და ყაზახის დაბურულ ტყეს შეეხიზნებოდა ხოლმე, მაგრამ გვალ-

კისაგან ხსნა არ იყო. სოფლის მიწების დიდი ნაწილი გადაჭიმული იყო მთების კალთებზე, ქვა-ხრეშით სავსე ურწყავ ადგილებში.

ლეკვანის პურის მოსავალს წინათ წვიმების მიხედვით ითვლიდნენ. ახლა კოლმეურნეობა ღრმად ხნავს და შემოდგომის ხნულში სინოტივეს ინარჩუნებს. თანაც პატარა არხი გაიყვანეს, რითაც დაბლობის მიწებს რწყავენ. ზაფხულობით ყანებს სათუთად მარგლავენ, სარეველა ბალახს აცლიან, რომ ნათესები ზედმეტად არ შეაწუხოს. ყოველივე ამის შედეგად სევანის მიდამოებში მოსავალი საგრძნობლად გაიზარდა.

მაგრამ მაინც გვალვა ამ მიდამოების ყველაზე საშიში მტერია, რადგან ისინი მოკლებული არიან ტყეებს.

— აი შეხედეთ, რა არის ჩვენი უბედურების მთავარი მიზეზი,— მიუთითა ჭაბუკებს მთის კალთებზე მასწავლებელმა არამ აკოფიანმა.—ოთხივე მხრიდან მთები გვარტყია. დასავლეთიდან—შავი ზღვიდან მომავალი ღრუბლები თავიანთ ტვირთს—ნალექებს ლორის და ყაზახის მიდამოებში ტოვებენ, ხოლო აღმოსავლეთიდან, კასპიის ზღვიდან წამოსული ღრუბელი ზანგეზურში ილექება.

— ჩვენი ზღვის ნალექები სადღა მიდის?...—შეეკითხა ჰასმიკი, რომელსაც სევანი დიდ ზღვად მიაჩნდა.

— ჩვენი ზღვა პატარაა, ცოტა ღრუბლებს წარმოქმნის და ისიც სევანის ქარს შორს—ირანისა და ავღანეთისაკენ მიაქროლებს,— უპასუხა მასწავლებელმა.

გაზაფხულზე ყანები აბიბინდა, მაგრამ ერთ ციდას რომ მიაღწია ჭკნობა დაიწყო.

გვალვამ ისე მოუჭირა, რომ სოფლის ერთადერთი პატარა ღელეც დაშრა, წყაროები მოწყდა, სოფლის მოსახლეობას სასმელი წყალი გილის წყაროებიდან მოჰქონდა.

აუტანელ მდგომარეობაში ჩავარდნენ ფუტკრები. მინდორ-ველი მთლად ამოხმა, აღარც ბალახი იყო, აღარც ყვავილი. წყალს შეჩვეული ფრინველები გახდნენ, გაიქუცნენ, მათ ბუმბულსაც კი ფერი დაეკარგა...

ჰასმიკმა ისინი რამდენჯერმე წაიყვანა სასეირნოდ გილის ტბაზე, მაგრამ ინანა, რადგან ზოგიერთი ფრინველი იქაურ ფრინველებში გაერია და მათ გაჰყვა.

გოგონამ ისინი საფრინველეში ჩაჰკეტა. საწყალი ფრინველები ამ საპყრობილეში მხოლოდ და მხოლოდ წყალზე ოცნებობდნენ.

ჰასმიკი ნაღვლიანად უმზერდა ჭუჭყიან, გაქუცულ ფრინველებს და გული ბოღმით ევსებოდა.

— უყურე ერთი როგორ ამომშრალა და დახეთქილა საგუბარი,—მიუთითებდა იგი გრიქორს.

— საცოდავი საგუბარი, მასაც სწყურია! — ვერ გაიგებდით, გრიქორი ამას ოხუნჯობით ამბობდა, თუ სერიოზულად.

— თქვენ სწავლული ხალხი ხართ, რა ეშველება ჩვენ მინდვრებს, როგორ მოვუშუშოთ წყლული?—ეკითხებოდა ჰაბეკებს მონადირე ასატური.

დაღვრემილი არმენი დუმდა.

ერთხელ იგი კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბაგრატთან მივიდა და ტბიდან წყლის მოსატანად ურემი სთხოვა. გვალვებისაგან შეწუხებული თავმჯდომარე აღარ გახუმრებია არმენს, თხოვნა უსიტყვოდ შეუსრულა.

ჰაბუკებმა კოოპერატივს რამდენიმე კასრი გამოართვეს, ურემზე დააწყეს და წყლის მოსატანად ტბისკენ გასწიეს.

ისინი სავსე კასრებით ჯერ საფუტკრისაკენ გაეშურნენ.

— წყალი მოიტანეთ? ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოთ,—შესძახა მოხუცმა ასატურმა და ჰაბეკებს მიუახლოვდა.—ამდენი წყალი რა საჭიროა?..

— რატომ, ფერმის მოსახლეობა რამდენი იქნება?

არმენმა სწრაფად გამოიანგარიშა.

— კოლმეურნეობის მთელი საფუტკრე დაახლოებით ათ მილიონ მაცხოვრებელს ითვლის.

— ათი მილიონი ფუტკარი იმდენ წყალს ვერ დალევს, რამდენსაც ერთი ხბო. კასრებით ტყუილად მოგიტანიათ. როგორ მოვიქცეთ?.. ფუტკრები ჩვეული არიან ნაკადულებიდან და ფოთლებიღან წყლის სმას. შეგიძლიათ ასეთი ნაკადული მოუწყოთ?—ჰკითხა მოხუცმა.

— მოვაწყობთ, მაგრამ მღვრიე იქნება. აი, ეს იონჯა მოვრწყათ, აქ არ აიმღვრევა წყალი.

ბიჭებმა ერთ-ერთი კასრი გადმოიღეს და წყალი იონჯის გადატრუსულ ნათესებს მიუშვეს. ფუტკრებმა შეამჩნიეს და მაშინვე მიესივნენ.

— ერთი უყურეთ, როგორა სვამენ?.. თქვენ გენაცვალეთ... საწყლებს როგორ მოწყურებიათ..

— აი ასე კარგია, იონჯის ფოთლებზე დასხდებიან და არ დაიხრ-ჩობიან.

— კიდევ მოუმატე წყალს, მოუმატე,—ყვიროდა მუდამ მოუთ-მენარი კამო.

მღვრიე ნაკადმა ზევიდან ჩაირბინა და მცენარეებში დაიკარგა— ბამხმარმა მიწამ იგი სწრაფად შეისრუტა...

— არა, ასე არ ვარგა, მოითმინეთ, მაგათ ისეთ ნაკადულს გავუ-კეთებ სიკვდილის დრო რომ მოუვათ, ჩემს მეტი არავინ გაიხსე-ნონ,—თქვა გრიქორმა და უმალ შინისკენ გაიქცა.

მათი ფარდულის ერთ კუთხეში სპილენძის ონკანმოღრეცილი განიერმუცლიანი სამოვარი ეგდო. გრიქორმა ხელი დაავლო მას და გარეთ გავარდა.

— ეი, შე არგასაზრდელო, სად მიგაქვს?—მიაძახა დედამ.

— ნუ ყვირი, დედი, ფუტკრებს ქორწილი აქვთ, დიდი სამოვა-რი სჭირდებათ,—უპასუხა ბიჭმა. დედამ კიდევ რაღაცა მიაძახა, მაგრამ გრიქორი უკვე შორს იყო.

როგორც კი საფუტკრეში მიირბინა, არმენს უთხრა:

— არმენ, ჩქარა ჩაასხი შიგ წყალი!.. ასე... ახლა ონკანი მოუშ-ვი... ეგ ბევრია, დაიხრჩობიან, წვრილად მოუშვი... აი, ასე... ყო-ველდღე ასე მოვიქცეთ, წყალი ჩავასხათ და ონკანი მოვუშვათ ხოლმე, ესეც თქვენი „ფუტკრის ნაკადული“...

დანარჩენი კასრები მეფრინველეობის ფერმაში წაიღეს და ყვე-ლა ტაშტი და გობი წყლით აავსეს. წყალს მონატრებული ფრინვე-ლები ხარბად დაეწაფნენ წყალს, გობებში ჩაცვივდნენ და ჭყუმპა-ლაობა დაიწყეს, თან ერთმანეთს ეძიძგილავებოდნენ. ლონიერები სუსტებს განზე აგდებდნენ.

— გრიქორ, მიირბინე ბრიგადირთან, ორი-სამი ურემი სთხოვე, წავიდეთ გილიდან წყალი მოვიტანოთ. ჩვენი ქერის ყანაც მოვრ-წყათ,—უთხრა კამომ.

პაპა ასატური ბიჭებს წინააღმდეგობას არ უწევდა: „დაე, ჩემმა ლომგულებმა წყალი მოზიდონ და პატარა მიწის ნაკვეთს მაინც მოუკლან წყურვილი,—ფიქრობდა იგი,—მაგრამ ეს რას უშველის საქმეს, მინდორ-ველი იტრუსება და ხმება“.

ნეტა ეს ოხერი წყალი ამდენი მაინც არ გვქონდეს... ქვემოთ წყლის დაუშრეტელი მარაგია, ზემოთ კი გვალვისაგან ცეცხლი უჩნ-დება ნათესებსა და იხრუკება.

გილის ლელიანში წინანდებურად, უცნობი „ურჩხული“ განაგრძობდა თავის საშინელ და საიდუმლო გრიალს:—ბუუ, ბუუ, ბუუ...

— ღმერთი დავიფიწყეთ, ურწმუნოები გავხდით, ხალხო, ხედავთ, რა ცხარე დღე გვადგია, ზეცა გვსჯის, რომ ჭკუა-გონება მოგვიკრიბოთ.—გაჰკიოდა სონა და თან გრძელ, გაძვალტყავებულ ხელებს ჰაერში იქნევდა.

— სისულელეებს ნუ როშავ,—ესაყვედურა მოხუცმა მონადირემ. ძველად რომ წელიწადში სამჯერ სალოცავად მივდიოდით, სამღვთოს ვიხდიდით, ვმარხულობდით, გვალვები არ იყო ხოლმე? აბა მოიგონე, იაპონიის ომის დროს, რანაირი გვალვები დაიჭირა, ხალხი ისე გაძვალტყავდა, რომ ძაღლის მისაგდები ლუკმაც კი გაუწყდა...

— აი, მეხი კი დაგაყარე! შენისთანა მოხუცები რომ იმ ჯეელების ჭკუას აჰყოლიან, იმიტომ გაგვიწყდა ყველაფერი და აბ დღეში ჩავცვივდით... ხალხო, ნურავის ყურს ნუ უგდებთ, წავიდეთ, წყალი „მოვხნათ“[1], იქნება ღმერთმა გადმოგვხედოს და წვიმა გვიწყალობოს...

— სონა მართალს ამბობს, წადით, ნაცადი ხერხია,—ხმადაბლა ერჩია ყოფილმა დიაკვანმა მესროფმა.

— წავიდეთ, ხალხო, წავიდეთ...

სონამ რამდენიმე დედაბერი შეაგროვა, ერთი მოკაუჭებული ჯოხი იშოვა და მათთან ერთად გილისკენ გაეშურა.

— უყურეთ, უყურეთ, დედაბრები წყლის მოსახნავად მიდიან!

— სონა, ვერ ხედავ, დაგვცინიან, სირცხვილია, უკან დავბრუნდეთ.—წაიბუტბუტა ერთ-ერთმა დედაბერმა და უკან გაბრუნდა. დანარჩენები სონას გაჰყვნენ.

დედაბრები ტბის ნაპირს მიადგნენ. სევანის „პატარა“ მდინარეში შეტოპეს, „უღელში“ შეებნენ და ყვირილ-ღრიანცელით, ხელების ჰაერში ქნევით „წყლის მოხვნას“ შეუდგნენ.

თავისი ჭაბუკებით გარსშემოხვეული ასატური ფარდულის ბანზე იჯდა, ეყურებდა დედაბრების სულელურ მოქმედებას, ყალიონს აბოლებდა და უკმაყოფილოდ თავს აქნევდა, არ მოსწონდა ქალების საქციელი...

---

1 ძველად სომხეთის სოფლებში ცრუმორწმუნე ხალხს სჯეროდა, რომ „წყალს თუ მოხნავდნენ“, წვიმა მოვიდოდა.

— ეჰ, ნამდვილი პირეტყვები ვიყავით, სად იყო სწავლა... ერთ წელს ისეთი უმოწყალო გვალვა დაგვიდგა,—დაიწყო პაპა ასატურმა,—მზემ მთელი ქვეყანა დასწვა-გადაატრუსა. არ იტყვით, რა ქნეს მაშინ ჩვენმა ყეყეჩებმა? წავიდნენ სევანის კუნძულზე და იქაური მონასტრიდან ბერები გამოიყვანეს. იმათაც დაიხურეს შავი პოპოზიანი ქუდები, ხელში ჯვარ-სახარება აიღეს და მთელ ხალხს დიდი ამბით ტბის ნაპირისაკენ წაუძღვნენ. მათი საეკლესიო გალობა და საკმლის სუნი ცასა წვდებოდა...

— მერე? ღმერთმა სამაგიეროდ წვიმა მოიყვანა? — შეეკითხა გრიქორი.

— წვიმა? რომელი წვიმა! წვიმა არა და ხოლერა კი გააჩინა.

— ხოლერა?..

— მაშ, ხოლერა, ხომ გაგიგონიათ ესა და ეს საქმე „ხოლეროობის დროს იყოო“... ეს მოხდა 1911 წელს. ერევანში ხოლერა გაჩნდა. ღღეში ასი კაცი კვდებოდა. ხალხი ცდილობდა თავი დაეღწია ამ სენისაგან, მაგრამ პირიქით კი მოხდა (მაშინ ექიმობა სად იყო). ხოლერით დაავადებულნი სალოცავად სევანის მონასტერში მიდიოდნენ. იქ ჯვარს, სახარებას ემთხვეოდნენ და იმ წმინდა საგნებზე სენს სტოვებდნენ, მონასტრიდან დაბრუნებულნი იხოცებოდნენ... ბერებმა ის დასენიანებული ჯვრები და სახარებები ჩვენს სოფელში მოიტანეს, საწყალი ხალხი თითო-თითოდ მიდიოდა, ჯვარს და სახარებას ემთხვეოდა—ასეთი წესი იყო მაშინ. ვინც მივიდა და ემთხვია ან ხოლერით დაავადდა, ან ყვავილით... ხოლერა ისე გავრცელდა სოფელში, რომ ღღეში რამდენიმე ათეული კაცი კვდებოდა. თავზარდაცემულმა ხალხმა მთებს მიაშურა, ყველა გარბოდა, თვითონაც არ იცოდა საით. მეც სხვებთან ერთად გავიქეცი. ერთ მაღალ მთის მწვერვალზე ტაფობი იყო, იქ ერთმანეთის მოშორებით კარვებში ვცხოვრობდით, ერთმანეთს არ ვეკარებოდით... ასე გადავირჩინეთ თავი. ბევრი ბავშვი დაიხოცა ყვავილისაგან, ბევრიც დაბრმავდა ან სახე დაეკენკა... ჩვენს სოფელში ახლა რაც სახედაკენკილი ადამიანია, ყველა იმ არამზადა ბერების მსხვერპლია. ასე, ჩემო შვილებო, აი ასეთი „წვიმა“ მოგვიყვანეს სევანის მონასტრის ბერებმა... იმ საზარელ წელს ჩვენმა მღვდელმა საკმაოდ ისარგებლა. აბა შეხედეთ, თუნუქის სახურავიან ორსართულიან სახლს, სადაც ახლა საბავშვო ბაღია. ის სახლი მღვდელს ეკუთვნოდა, ის შენობა მან ხოლერის წელს აიშენა...

— როგორ? რითი გამდიდრდა?

— რითი და... მკვდრებს ხომ მუქთად არ მარხავდა...

იმ საღამოს კოლმეურნეთა კრებაზე თავმჯდომარე ბაგრატმა გაჰკიცხა ცრუმორწმუნე ქალების საქციელი:

— წყლის მოხვნით არაფერი გამოვიდა გარდა იმისა, რომ სირცხვილი ჭამეთ. თუ ნათესების გადარჩენა გინდათ, მოდით ახლავე, ამ მთვარიან ღამეს, გილის ტბაზე წავიდეთ და ვისაც რამდენი შეუძლია, წყალი მოვზიდოთ ყანების მოსარწყავად.

— ეს რას გავს? კოლმეურნეობაში იმიტომ ჩავეწერეთ, რომ წყალი გვაზიდინოთ?—წამოიყვირა სონამ.

— კოლმეურნეობა თაფლის ქვევრი კი არ არის, რომ კვერნასავით შიგ ჩაძვრე, მუცელი ამოიყორო და შერე მიიძინო,—მიუგო პაპა ასატურმა,—აბა წავიდეთ, ხალხო! ბაგრატი კარგ რჩევას გვაძლევს.

არამ აკოფიანმა ფეხზე დააყენა პარტიული ორგანიზაცია, კამომ—სკოლის კომკავშირლები, არმენმა—პიონერული რგოლები, მოხუცმა ასატურმა—თავისი მეზობლები, ჰასმიკმა—თავისი ამხანაგები.

კვლავ გაისმა საზაფხულო არდადეგებზე მიყუჩებული სკოლის ზარის წკრიალი, იგი მოსწავლეებს სკოლის ეზოში იწვევდა. მოსწავლეები რამდენიმე წუთში შეიკრიბნენ. მოვიდნენ მასწავლებლებიც. არამ აკოფიანმა პატარა სიტყვა წარმოთქვა და მოსწავლეებს მოუწოდა წავიდეთ, ჩვენი კოლმეურნეობის მწყურვალე ყანები გადავარჩინოთო.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბაგრატს თავისი თავი ისევ ჯარში ეგონა, მკაცრ და მოკლე განკარგულებებს იძლეოდა:

— კოლმეურნეობის ყველა ურემი და ფურგუნი შეაბით,—უთხარით ავტომანქანებში ბენზინი ჩაასხან. სოფელში რაც სახედრები, ცხენები და ჯორებია, ყველა გამოიყვანეთ. შეაგროვეთ ყველა კასრი და ქვევრი, მოიტანეთ სარძეო ფერმის ბიდონები!..

ვისაც რა შეეძლო მოიტანა: ზოგმა ტიკპორა, ზოგმა—კოკა, ვედრო, კასრები, ჩაიდნები, ყველაფერი, რითაც კი წყლის მოზიდვა შეიძლებოდა.

საზოგადოებრივი ყანების გვალვისაგან გადარჩენის სურვილს ყველა აღეფრთოვანებინა.

როცა ყველა და ყველაფერი მზად იყო, ბაგრატმა განკარგულება გასცა:

— ყველანი გილისაკენ!

მთელი სოფელი დაიძრა; წინა რიგებში მწყობრად მიაბიჯებდნენ პიონერები. ხალხს უკან რახრახით მისდევდა მუხლუხა ტრაქტორები.

სავსე მთვარე ანათებდა გადატრუსულ ყანებს, მისი შუქი ტბის ზედაპირზე ციმციმებდა. დღის დიდი სიცხის შემდეგ, საღამო გრილი და სასიამოვნო იყო...

„უსტა აკოფაც“ მოვიდა თავისი ზურნით. ზურნის ხმამ უფრო გაამხნევა ხალხი, გაისმა სიმღერა, სიცილ-კისკისი.

ტბასთან მოვიდნენ კოლმეურნეობის კასრებით დატვირთული ავტომანქანები, უზარმაზარი ლაფეტებგამობმული მუხლუხა ტრაქტორები, რომლებზეც, აგრეთვე კასრები ეწყო. მოვიდნენ ქალების და ბავშვების დაგვიანებული ჯგუფებიც.

მოსულებმა წყალი აავსეს და კოლმეურნეობის ნათესებისაკენ გასწიეს.

მისვლისთანავე სახედრებიდან გადმოიღეს ტიკები, პირი მოხსნეს და ყანებს მიუშვეს წყალი. დაცლილი ტიკებიდან, ვედროებიდან, დოქებიდან მოჩუხჩუხე გრილი წყალი ყანებს სიცოცხლეს ანიჭებდა...

ამომწვარი მიწა სწრაფად ყლაპავდა ტბის გამაგრილებელ წყალს და თითქოს მოხუცი ასატურივით გაიძახოდა: „იფ-იფ, რა კარგია, რა ცივია, კიდევ, კიდევ დამალევინეთო...“ მთელი ღამე, დიდმა და პატარამ, მოხუცმა და ახალგაზრდამ, ყველამ ზიდა და ზიდა წყალი. მთელი ღამე „უსტა აკოფაც“ თავის ზურნას ბერავდა და ბერავდა... გათენებისას, როცა ჩვენი ჭაბუკები კვლავ წყლის მოსატანად გაემართნენ, ჰასმიკმა არმენს უთხრა:

— შენ უკვე დაღლილი ხარ, გეყოფა, შინ წადი.

და თითქოს კამოს წინაშე თავის მართლების მიზნით დაუმატა:

— იგი ხომ ნაზია...

ჰასმიკმა ეს სიტყვები ისე მგრძნობიარედ წარმოთქვა, რომ არმენი გაწითლდა.

— რაკი ასე ამბობ, დაღლილობამ გამიარა,—ღიმილით უპასუხა არმენმა, ვედროებს ხელი დააკარ და გილისაკენ გაეშურა.

გრიქორი მას გზაში ეუბნებოდა:

— მე რომ ასე ტკბილად დამელაპარაკოს ვინმე, ჩემი კოჭლი ფეხით ათ დღე და ღამეს შეუსვენებლივ ვზიდავდი წყალს, ჩემმა მზემ.

სოფელ ლეკვანის კოლმეურნეობის ყანები გამოცოცხლდნენ, ამწვანდნენ და აბიბინდნენ...

ფრინველები კი ღობის შიგნით ძლივს დალასლასებდნენ და წყლის მოლოდინში ამოსდიოდათ სული.

ჭანჭაქარიდან ჩამოტანილი ფუტკრის ოჯახებიდან ორი ჩაქრა. მინდორ-ველად ყვავილის ნასახი არ მოიპოვებოდა, რითი დააჭზადებდნენ საარსებო თაფლს?..

ჰასმიკი თავის ფრინველებს სასეირნოდ მინდორში მიერეკებოდა, იქიდან კი გილის ტბაზე დაყავდა საბანაოდ.

არმენი ქერის ყანის პირად იჯდა. კარგ გუნებაზე იყო. წყლით გამძღარი მისი ყანა სწრაფად იზრდებოდა. გარდა ამისა, ყოველდღიურად ჰასმიკთან ყოფნა მას ისეთ სიამოვნებას ჰგვრიდა, რომ იგი ხანდახან ფანქრით ლექსებსაც წერდა.

— ერთი აქეთ მოიხედე, ჩემო სწავლულო ბიჭო,—გაისმა მოხუცი მონადირის ხმა.

ბიჭმა თავი ასწია.

— ფუტკრის ოჯახი ჩამქრალა, მოდი, დამეხმარე, ფიჭა და სანთელი ამოვიღოთ.

მათ ერთი ქვევრი დაცალეს. შიგ თაფლი თითქმის აღარ იყო. ფიჭა ისე გაშავებულიყო, რომ ზედ არ შეიხედებოდა, ეტყობოდა, ძალზე ძველი ოჯახი იყო.

— არმენ, არმენ, მიირბინე კოლმეურნეობის საწყობის გამგესთან, სთხოვე მოვიდეს, ფიჭა და სანთელი მიიღოს,—შეეხვეწა ასატური.

სანამ არმენი საწყობის გამგესთან მივიდოდა, ასატური მეორე ქვევრის დაცლასაც შეუდგა. იგი თავისი გრძელი ხანჯლით ქვევრის ნაპირებზე მიწებებულ ფიჭას და სანთელსა ფხეკდა, მოზრდილ ფიჭის პურებს იღებდა და იქვე ვარცლზე აწყობდა.

უცებ ხანჯალი რაღაც მაგარს მოხვდა. მოხუცმა ერთი ფიჭის პურიც ამოაძრო და სახტად დარჩა, სწრაფად მიიხედ-მოიხედა, ხომ არავინ მიყურებსო. ფიჭის პურის ქვეშ რაღაც ბრჭყვიალა ნივთს მოჰკრა თვალი. მან ფიჭა ადგილზევე დადო.

საწყობის გამგე მოვიდა, ფიჭა და სანთელი მიიღო, მერე განაბევრებულ ქვევრს გადახედა და ჰკითხა:

— მაგას რაღას უპირებ?..

— ესეც მინდა გავანაწილო ს..ს...სუსტ სკებზე,—ძლივს წამოილუღლუღა ასატურმა. იგი მეტად აღელვებული იყო.

საწყობის გამგემ გაიფიქრა, ალბათ მოხუც მონადირეს სურს თავის „დედაბერსაც“ გაუნაწილოს თაფლიო, ამიტომ აღარაფერი უთხრა. „რას იზამ, მაგის ნაპოვნია, ცოტაც თვითონ წაიღოს“—გადაწყვიტა მან და გამოემშვიდობა, არმენიც ჰასმიკის დასახმარებლად წავიდა, რადგან ის ფრინველებს მარტო ვერ გამორეკავდა გილის ტბიდან.

მონადირე ასატური, მარტო დარჩა თუ არა, ქვევრს ახადა, ფიჭა ამოიღო და გაოცდა: ქვევრი ნახევრად სავსე იყო უძვირფასესი განძეულობით. აქ იყო თვალ-მარგალიტით მოჭედილი მუზარადი, საყურეები, სამაჯურები, აუარებელი ოქროს ფული. მოხუცს თვალთ დაუბნელდა, დაბორიალდა, მიწაზე დაჯდა. მერე როგორც იქნა გონს მოვიდა, წამოდგა, ერთი ძველი ტომარა მოიტანა, შიშითა და ცახცახით შეუდგა განძეულობის ტომარაში ჩალაგებას.

მაგრამ ეს სამუშაო მოხუცისათვის არც ისე ადვილი გამოდგა, ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა: ოქროს ფულები და ძვირფასი ქვები ქვევრის კედელზე მაგრად იყო მიკრული და მათ აფხეკას დიდი დრო და ძალა დასჭირდა. მოხუცი გაფაციცებით მუშაობდა, ცდილობდა მალე დაემთავრებინა, რომ არავინ წამოსწრებოდა... როგორც იქნა ქვევრი მთლიანად ამოაცარიელა, განძეულობა ტომარაში მოათავსა, ზურგზე მოიკიდა და ჩქარი ნაბიჯით სახლისკენ გაეშურა. გზაში გამალებული აქეთ-იქით იხედებოდა, ეჩვენებოდა თითქოს მთელი სოფელი უკან მისდევდა.

ასატური თავის ძველ ბოსელში შევიდა. ტომარა მიწაზე დაუგდო, მერე გარეთ გაიხედა, თვალს ხომ არავინ მადევნებსო და ტომარა ერთ ბნელ კუნჭულში მიაგდო.

როცა დაღამდა, მოხუცმა ბოსლის ერთ ბნელ კუთხეში თონისოდენა ორმო ამოთხარა, ტომარა შიგ ჩადო და მიწა წააყარა.

რაც დრო გადიოდა, მოხუცი ასატური თანდათან იცვლებოდა, მოღუშული დადიოდა, ნერვიულობდა, ხალხსაც ერიდებოდა... საფუტკრეში აღარ მიდიოდა, მთელი დღე მუხლებზე თავდაყრდნობილი კოლმეურნეობის კალოზე იჯდა და ყალიონს აბოლებდა.

გრიქორი უთვალთვალებდა მას, თავს აქნევდა და ამხანაგებს ეუბნებოდა:

— აქ რაღაც ამბავია, მალე გაიგებთ.

ერთ დღესაც იგი გულგახეთქილი მიიჭრა ჰასმიკთან და არმენთან და შეჰყვირა:

— პაპა ასატური გაგიქეცულა...

მათ კამოც მოიხმეს, მალულად მიიპარნენ კოლმეურნეობის კალოსთან, ძველი ძნის უკან დაიმალნენ და თვალთვალი დაუწყეს. მოხუცი ნამდვილად შეშლილის ნიშნებს ამჟღავნებდა, თავისთვის ბუტბუტებდა, ხელებით ჰაერში სასწორს აკეთებდა და თავისი ჭკუით თითქოს რაღაცას სწონიდა, საკმარისი იყო უმნიშვნელო ფაჩუნი, რომ შემკრთალიყო და ირგვლივ სულელივით მიეხედ-მოეხედა...

— უკვე, სამოცდაათი წლისაა და იმის ბრალია,—დასკვნა გრიქორმა.

— არა, წლოვანებას აქ არავითარი კავშირი არა აქვს, ჩემის აზრით, ჭანჭაქარის ამბებმა დიდი გავლენა მოახდინეს, ეშმაკების არსებობა ტყუილი გამოდგა, რწმენა გაუცრუვდა,—თქვა კამომ.

— ახლა ალბათ ფიქრობს „ჯოჯოხეთის კარიც“ ტყუილია თუ არაო... მაგისაგან იტანჯება,—თავისი აზრი გამოთქვა ჰასმიკმა.

— გამოველაპარაკოთ.

— არა, მთლად გაგიჟდება...

ჭაბუკები სოფელში დაღვრემილნი დაბრუნდნენ. მათ ვერ წარმოედგინათ, როგორ უნდა შელეოდნენ თავიანთ მუდამ მხიარულ, მკვეხარა, მაგრამ კარგ და კეთილ პაპას. ჰასმიკს „ცრემლებიც „ი გადმოსცვივდა, როცა გაიხსენა, თუ როგორი სიყვარულით აჩუქა პაპა ასატურმა ზურმუხტის ძვირფასი ქვა.

— ნუთუ პაპაჩემი მართლა ჭკუაზე უნდა შეიშალოს?—გულის ტკივილით ამბობდა კამო, რომელსაც ჰასმიკმა პირველად შეამჩნია თვალებზე ცრემლის მარგალიტები...

იმ დღეს მონადირე ასატურმა თავის ცოლს უთხრა:

— ნარგიზ, რამდენი ხანია ჩვენი ქალი არ გინახავს, წადი, მოინახულე, გაიგე, როგორ არის?

— მართალს ამბობ,—დაეთანხმა ცოლი.

ნარგიზმა ახალი ტანისამოსი ჩაიცვა და წავიდა.

მარტოდ დარჩენილმა პაპა ასატურმა ერთი ქვაბი წყალი გააცხელა და ბოსელში წაიღო. ჭრაქს მოუკიდა, თაბახი ბოსლის შუა ადგილას, ქვაბის გვერდით დადო. მერე ჭრაქი ჩააქრო, გარეთ გავიდა, მიიხედ-მოიხედა, ყური დაუგდო: ჩამი-ჩუმი არ ისმოდა. ზაფხულის წყნარი ღამე იყო, მხოლოდ ჭრიჭინების „კონცერტი“ არღვევდა მყუდროებას.

ბოსელში დაბრუნდა, კარები შიგნიდან ჩაიკეტა, ჭრაქს მოუკიდა, ბოსლის ჭუჭრუტანები ბალახით ამოავსო, რომ სინათლე არ გასულიყო, შემდეგ ორმოდან ტომარა ამოიღო, პირი მოხსნა, განძეული თაბახზე დაყარა და თითო-თითოდ თბილი წყლით რეცხვა დაუწყო.

როცა სანთელი და თაფლი მოაშორა სამაჯურებს, თასფერ თვლიან ბეჭდებს და საყურეებს, სხვადასხვა სახელმწიფოების დიდ და პატარა ოქროს ფულებს, ზურმუხტის, ალმასის და ბრილიანტის ქვებს, ჭრაქის სინათლეზე ისე დაიწყეს პრიალი და ციმციმი, რომ მოხუცმა თავი სიზმარში წარმოიდგინა... მან თვალები დაახამხამა, წვერები მოისინჯა, ტანისამოსს და ხანჯალს ხელი მოუსვა, კარების საკეტს შეეხო, გაიშმუშნა, განგებ ჩაახველა,—და დარწმუნდა, რომ სიზმარში არ იყო...

გარედან ფეხის ხმა მოესმა.

მან სწრაფად ჩააქრო ჭრაქი და გაინაბა. არა, არავინ არის, ალბათ ჩამბარი იყო. მიუხედავად ამისა, მას სული ეხუთებოდა და იმდენად ბედნიერი არ იყო. რამდენადაც გულდამძიმებული. „რა ძნელი ყოფილა როცა განძეული გაქვს",—ფიქრობდა მოხუცი.

იმის შიშით, რომ ცოლი მალე დაბრუნდებოდა, მან განძეულობა კვლავ ტომარაში ჩააწყო და დამარხა. მერე ბოსელი მოასუფთავა, სახლში დაბრუნდა და დაღვრემილმა ყალიონი გააბოლა. მაგრამ ყურები დაცქვეტილი ჰქონდა, სულ ფეხის ხმა ელანდებოდა, რაღაც იდუმალი ხმები ესმოდა... ეგონა, რომ აგერ საცაა შოვლენ, მის ქურდობას გამოამეღავნებენ და დააპატიმრებენ.

„რათა, რისთვის? ვისი საქონელი მოვიპარე, რომ ასე მეშინიან..."—ამშვიდებდა თავის თავს... მაგრამ როცა ეზოში ფეხის ბმა გაისმა, შიშისაგან გული კვლავ აუფრიალდა...

კარი გაიღო და ნარგიზი გამოჩნდა.

— კაცო, რა დაგემართა, ფერი რად წაგსვლია?... რატომ კანკალებ? ავად ხომ არა ხარ?—შეეკითხა ნარგიზი და სევდიანად გადახედა ქმარს.

— ლოგინი გამიშალე, დავწვე... ცუდადა ვარ...

რამდენიმე დღის შემდეგ პაპა ასატურმა არმენი გაიხმო და საიდუმლოდ ყურში უთხრა:

— ოქრო რომ იპოვო, რას იზამ?

— პატრონს ჩავაბარებ,—გაბედულად მიუგო არმენმა.

— მერე ვინ არის მისი პატრონი?

— სახელმწიფო... ხალხი...

— ვაჰ,—გაიკვირვა მოხუცმა,—ქვეყანა ოქროს გულისთვის ერთმანეთს ჭამს და შენ კი...

— ჩვენში ოქროსთვის ერთმანეთს არავინ არა „ჭამს“. შენ რომ ამბობ, ეგ ძველ დროში იყო,—მოკლედ მოუჭრა სიტყვა არმენმა.—ამერიკაში დღესაც დოლარის გულისთვის ერთმანეთს ყელს ღადრავენ, ჩვენში კი დიდი ხანია მსგავს რამეს ადგილი არა აქვს. .

— შენ იპოვე, შენ იშრომე, ალალია შენზე, მთავრობას რატომ უნდა ჩააბარო?—აპილპილდა მოხუცი.

— მე ვიპოვე. მაგრამ ეგ ქვეყნის საკუთრებაა, ყველამ რომ მხოლოდ საკუთარ თავზე ვიზრუნოთ და ვიფიქროთ, რა პატიოსნება იქნება?.. შენ არ გვარიგებდი მუდამ ჩვენი მამა-პაპის პატიოსნება დაგვეცვა, ახლა რა დაგემართა, პაპა?..

მოხუცი დაიბნა, ოფლმა დაასხა და თავისი აღშფოთების მისაფუჩეჩებლად დაიღრიალა:

— სისულელეებს ნუ როშავ... ერთი ამას უყურეთ. ამ უსუსურმა ბავშვმა მონადირე ასატურს პატიოსნება უნდა ასწავლოს?!

გაბოროტებულმა მოხუცმა სახლისაკენ გასწია. იგი ბოსელში შევიდა, კარი ჩაიკეტა და ტომარას პირი მოხსნა.

„არა, ადამიანობის დაკარგვა არ ვარგა.. იმ ბალღმა მართალი თქვა, მე სხვისი ქონება არასოდეს არ მიმითვისებია და არც ახლა მინდა...“—ხმამაღლა წამოიძახა მოხუცმა, ტომარა ზურგზე მოიგდო და გარეთ გასვლა დააპირა, მაგრამ ფეხები არ დაემორჩილნენ...

ტვირთი ძირს დადო, ტომარა გახსნა, ხელით აურდაურია ოქროები და სიამოვნებით გაიღიმა. მთელ თავის სიცოცხლეში მონადირე ასატური მთებში ნადირობისას სულ იმას ნატრობდა „ერთი ქილა ოქრო მაპოვნინა, რომ ჩვენც ადამიანურად ვიცხოვროთო...“ სრული ნახევარი საუკუნის მანძილზე ამ ოცნებით გატაცებული დაეხეტებოდა მთა და ღრეში, გამოქვაბულები და ნაპრალები აღარ დატოვა, მაგრამ ბედმა მაინც არ გაუღიმა, მუდამ ხელცარიელი ბრუნდებოდა შინ.

ძველ დროში, მოხუცების ნაამბობის გავლენით მას ხანდახან სიზმარში მიუთითებდნენ ხოლმე, ამა და ამ ნანგრევების მიდამოებში, ან ამა და ამ ლოდის ქვეშ ოქროა ჩაფლული, წადი და ამოიღეო.

მაგრამ მაშინდელი ცრუმორწმუნე ხალხი დარწმუნებული იყო, რომ ვინც სიზმარში ნანახ ქვას გადააბრუნებდა, ცოლი მოუკვდებოდა. ასატურს თავისი ნარგიზი ძალიან უყვარდა, მაგრამ, ოქროს პოვნის სურვილით შეპყრობილს, ეს წესიც დაურღვევია და მრავალ

მთვარიან ღამეს წასულა და სიზმარში მითითებული ქვები გადუბრუნებია... სიზმრებიც ატყუებდნენ მას... „ღარიბს ბედი ვინ მისცა?..“—გაიფიქრებდა ხოლმე მოხუცი.

ასატურმა თავისი ახალგაზრდობა გაიხსენა, თუ როგორ ოქროს კოშკებს აგებდა, როცა „ართინას ქალზე“ ჯვარი დაიწერა. ყოველ შემოდგომაზე, როგორც კი პირველი თოვლი მოვიდოდა, მონადირე ასატური მხიარულად ეტყოდა ხოლმე თავის მეუღლეს:

„ჩემო კარგო ცოლო, ახლა კი ავშენდებით“!

— რითი, შე ტუტუცო მონადირევ, ნადირობით ვინ გამდიდრებულა, რომ შენ გამდიდრდე...—უპასუხებდა ცოლი.

ასატური ბობოქრობდა.

„ძმობილო, ანგარიშის საქმე არ არის?—ყვიროდა იგი;—კვერნის ტყავი სამი მანეთი ღირს თუ არა?.. რა გინდ მკვდარი ვიყო, კვირაში ხომ ორ კვერნას დავიჭერ. სამი თვე, თვეში ოთხი კვირა—ეგ ხომ თორმეტი კვირა იქნება. ყოველ კვირაში ორი კვერნა ეგ შენი სამოცდათორმეტი მანეთი, სხვა რაღა გინდა? ძროხაც მოგივა, პურიც, ტანისამოსიც, დაჯექ და იქეიფე...“

ცოლი მასხარად იგდებდა ქმარს და იცინოდა.

მთელი ზამთარი მონადირე ასატური ყინვაში, ქარბუქში მთაღრეში დაეხეტებოდა, მაგრამ ოთხი-ხუთი კვერნის მეტს ვერ იჭერდა. რაც შეეხება მგლის და მელიის ტყავს, იმათში გროშებს იძლეოდნენ. მოკლული ჯიხვის ხორცს კი ჩვეულებისამებრ, მეზობლებს უნაწილებდა.

ასე ღარიბ-ღატაკად დარჩა მონადირე ასატური, სანამ კოლმეურნეობა ჩამოყალიბდებოდა. ახლა კარგად ცხოვრობს. მაგრამ შიში, რომელსაც მის გულში დაესადგურა შიმშილობაში გატარებული მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში, მას თავს არ ანებებდა. მისი სულის ერთ კუთხეში მიმალულმა ამ შიშმა აიძულა მოხუცი ტომარა ზურგიდან ჩამოეღო და კვლავ ბოსლის ერთ კუთხეში ჩაემარხა.

— სიკვდილის ჟამს შვილიშვილებს ვუანდერძებ,—გადაწყვიტა მოხუცმა ასატურმა.

როგორც ვნახეთ, მონადირე ასატურმა ჭანჭაქარიდან ჩამოტანილ ერთ-ერთ ქვევრში ძვირფასი განძეული იპოვა. არანაკლებ მდიდარი ჯანძი აღმოაჩინა არმენმა მეორე ცარიელ ქვევრში.

ეს ასე მოხდა. არმენი ყოველდღე ათვალიერებდა ბაღში მიგდებულ ცარიელ ქვევრებს და ფიქრობდა მათი პატრონების ვინაობაზე.

ერთ დღეს ქვევრის შიგნით ძმოჭრილი ასოები შეამჩნია. ცუდად გამომწვარი ქვევრის კედლებზე წვეტიანი ფოლადით სომხური ასოები იყო მიბღაჯნილი. ღრიჯე ასოები სანთლით და ფიჭით იყო ამოვსებული.

არმენი სახლში გაიქცა, ერთი ვედრო ცხელი წყალი მოიტანა და ქვევრზე ამოკვეთილ ასოებს სანთელი მოაცილა, გადარეცხა, გაასუფთავა, მერე ქაღალდი და ფანქარი აიღო და ასოები თითო-თითოდ გადახატა... ამაზე თითქმის მთელი დღე დაჰკარგა. მაგრამ რამდენიც არ შეეცადა, ამოკითხვა მაინც ვერ მოახერხა, ასოები და სიტყვები სომხური იყო, მაგრამ ვერ გაარჩია, რადგან გრაბარით[1] იყო დაწერილი. მან მხოლოდ სიტყვა არტაკი ამოიკითხა, შემდეგ მასწავლებელ არამ აკოფიანთან გაიქცა.

— არტაკ იშხანისაგან[2] წერილი მოგიტანეთ,—ხუმრობით უთხრა არმენმა მასწავლებელს.

— საფოსტო ყუთში ჩაუგდია?—გაიცინა მასწავლებელმა.

— არა, ქვევრში...

— აბა, მომეცი წავიკითხო.

„წერილი“ ისე ცუდად იყო დაწერილი, რომ მასწავლებელმა ვერას გზით ვერ მოახერხა მისი ამოკითხვა.

— რა აჩხა-ბაჩხა არის დაწერილი, ვერაფერი გაგიგია. სულ ორიოდე სიტყვა გავარჩიე—„მინდორ-ველი“, „სისხლის მდინარეები“...

— აი ერთი სიტყვა, არამ მასწავლებელო, მიწის... მიწისძვრა, ასეა თუ არა?—მხიარულად წამოიძახა არმენმა და მიუთითა მასწავლებელს ხსენებულ სიტყვაზე.

— დიახ, მიწისძვრა,—დაუდასტურა მასწავლებელმა,—აგერ კიდევ რამდენიმე სიტყვა, მოიცათ, გადმოგითარგმნით,—„მთამ დაი-

---

[1] გრაბარი—ძველი სომხური საეკლესიო ენაა.

[2] იშხანი—თავადი, მბრძანებელი, ბატონ-პატრონი.

გრიალა“... ეს რა სიტყვაა, ალბათ სიტყვა ჩვენ მთას ეხება, თორემ, აბა ჩვენი გიჟი მთის მეტი, რომელი მთა დაიგრიალებს. „და მოვიდა უცხო... დამპყრობელი...“ აზრი გამოდის, არმენ, გესმის, რა მომხდარა,—აღელდა მასწავლებელი.

მასწავლებელმა სიტყვა-სიტყვით აღადგინა, გადათარგმნა, ცალკე გადაწერა და ბოლოს კმაყოფილებით ამოისუნთქა. წარწერის მთელი ტექსტი უკვე მზად იყო და მან საზეიმოდ, დინჯად წაიკითხა:

„მე არტაკი, გეღამის ქვეყნის ბატონ-პატრონი ცუდ ვარსკვლავზე ვიყავი დაბადებული. მთამ დაიგრიალა, მიწისძვრა მოხდა, ზღვა ნაპირებიდან გადმოვიდა და მთის ნაპრალმა შთანთქა დიდი ნაკადი, რომელიც წყალს აძლევდა სოფელ ლჭავანს და მის გარშემო მდებარე სოფლებს. ამის შემდეგ მთელი მინდორ-ველი უდაბნოდ იქცა. და მოვიდა უცხო დამპყრობელი, რომელმაც განდევნა, გაანადგურა, დახოცა ჩემი ტკბილი ხალხი და სისხლით მორწყო მთელი მიდამო. ამჟამად, ღვთის მოწყალების მოლოდინში, თავი ჭანჭაქარს შევაფარეთ“.

ერთ წამს მათ ხმა არ ამოუღიათ.

— მაშასადამე, ამ კალთებზე წყალი ყოფილა?—გაეხარდა არმენს,—რა კარგი ვქენით, რომ ჭანჭაქარში წავედით... რა საინტერესო რამეები აღმოვაჩინეთ...

— დიახ, ყოფილა და საუბედუროდ დაკარგულა.

— „დიდი ნაკადი“?.. მერე სად ყოფილა ის „დიდი ნაკადი“?

— აი სწორედ ეგ „სად ყოფილა“ უნდა გამოვარკვიოთ. წავიდეთ პაპა ასატურთან.

გზაში კამო შეხვდათ.

— კამო, ისეთი ახალი ამბავია, რომ გაოცდები,—ქაღალდი უჩვენა არმენმა,—მერე, მერე გაიგებ, ახლა კი შენ ბრძენ პაპასკენ გაგვიძეხ.

მონადირე ასატურმა შიშით და კრძალვით გაუღო კარი. გაფითრებულიყო, ტუჩები უცახცახებდა.

— რა ამბავია?—ძლივს შეეკითხა იგი.

— არაფერი, ქვევრის საიდუმლოება უნდა აგვიხსნა,—უთხრა მასწავლებელმა.

— ქვევრის?..—და მოხუცი დამბლადაცემულივით ტახტზე დაეშვა,—მე, მე, ქვე... ქვევრი...—ენა დაება მოხუცს...

— რა დაგემართა, პაპა, იმ ჩამქრალი ქვევრის კედელზე წერია,

რომ ძველად წყალი ყოფილა, ამის შესახებ გვინდა შეგეკითხოთ,— მიუგო მასწავლებელმა.

— ჰო?.. იმ ქვევრზე?.. ჰო, შეიძლება...—თავისუფლად ამოისუნთქა მოხუცმა და სახის ფერი მოუვიდა. მერე სული მოითქვა და განაგრძო —ჰო, მართალია, ცხონებული ნათლია მუქელიც ამბობდა, რომ ძველად ჩვენ მინდორ-ველს დიდი წყალი ჰქონია... მერე, მიწისძვრის შემდეგ, სადღაც ღრმად ჩამძვრალა—დაკარგულა.

მოხუცი დამშვიდდა, „გული საგულეს ჩაუჯდა". საწყალ კაცს ისეც ძილი და მოსვენება არა ჰქონდა, მუდამ იმის ფიქრში იყო, რომ ვაი თუ საიდუმლოება გამომეღავნდესო...

— შენ მონადირე კაცი ხარ, ჩვენი მინდორ-ველის ქვასაც კი იცნობ, იქნება, არხის რაიმე ნიშანი იცოდე, ან გაგეგოს, წამოდი, გვაჩვენე,—სთხოვა მასწავლებელმა.

— არა, შვილო, ასეთი არაფერია, ნიშანი რომ გვენახა, ჩვენც მოვახერხებდით, მოვძებნიდით, პირუტყვნი ხომ არა ვართ. რაც თავი მახსოვს, ვინ იცის გვალვას რამდენჯერ გადაუტრუსია ჩვენი დოვლათი და ბარაქა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო, ჩვენც რამეს ვიღონებდით...

— პაპა,—ცოტა ხმის სიჩუმის შემდეგ განაგრძო მასწავლებელმა,—ძველად არხების სათავეზე ჩუქურთმიან ქვას დებდნენ, ან „წყლის ღმერთის" ძეგლსა დგამდნენ, თუ ასეთი რამ ნახული ან გაგებული გაქვს, წამოდი გვიჩვენე.

— ძეგლი-მეგლი არ ვიცი, მხოლოდ შავი კლდეების დაბლა ერთი კუდმოტეხილი ვეპაშია.

— რას წარმოადგენს იგი?

— რა გითხრათ? ერთი რაღაცა უწმინდურია 'რაღა, როგორც ბავშვების წიგნებში დახატული ნიანგი, მხოლოდ უკუდოა... ამის მეტი მე არაფერი ვიცი, ჩვენი მამა-პაპა მაგას ვეშაპს ეძახდა.

— სწორედ ეგ არის, წავიდეთ,—აღფრთოვანებით წამოიძახა მასწავლებელმა.—აბა, მალე, ადექით, წავიდეთ...

იდუმალი ბილიკით

— კარგი იქნება თუ ნორჩი ნატურალისტები მთელი შემადგენლობით მიიღებენ მონაწილეობას ჩვენს ლაშქრობაში. გიჟი მთის კალთებზე ბევრი რამ მაქვს თქვენთვის საჩვენებელი.—მიმართა არამ აკოფიანმა კამოს.

კამო ჰასმიკის დასაძახებლად გაიქცა.

ფერმასთან მან სეთო დაინახა, რომელიც ღობეზე გადაყუდებულ გოგონას აბრაზებდა.

— როცა დედა რკინისაა, რომელსაც გული არა აქვს, რასაკვირველია, მისი შვილებიც ქეციანები იქნებიან. ჩვენი პაპა ასატურის გრძელ წვერებს გეფიცები, მართლაც რომ კარგი ფერმა მოაწყვეთ. აი, მე რომ ვყოფი...

სეთომ სიტყვა ვერ დაამთავრა, კამოს დანახვაზე პირი იბრუნა და მოკურცხლა.

— ყურადღებას ნუ აქცევ, ჰასმიკ, რამდენიც უნდა იყბედოს,— უთხრა კამომ გოგონას.—უკეთესი იქნება გრიქორთან მიირბინო, უთხარი ახლავე მოვიდეს, გიე მთაზე უნდა წავიდეთ.

— გიე მთაზე?..—გაუხარდა გოგონას.

თვალის დახამხამებაზე მოემზადა და გრიქორთან გაიქცა.

გრიქორის დედამ მოულოდნელად წინააღმდეგობა გაუწია

— ყველა უბრალო რამეზე ამ ბიჭს აწუხებთ, საშუალებას არ აძლევთ, რომ შინ ცოტა წაიმუშაოს,—გაბრაზდა გრიქორის დედა.

— დედიჯან, სხვამ რომ თქვას კიდევ დასაშვებია, შენ ხომ დარწმუნებული ხარ, რომ უჩემოდ ვერც ერთი სამეცნიერო ექსპედიცია ვერ შედგება,—სერიოზული ტონით უთხრა გრიქორმა.

— გასწი, გასწი, შე სულელო შენა, შენგან ხეირს ვერა ვნახავთ,—სიცილით უთხრა დედამ და ხელი ჩაიქნია.

— ნახვით კი ნახავ, მაგრამ როდის, მაგას სულ ცოტა ერთი ორმოცდაათი წელი მაინც უნდა,—ღიმილით შეესიტყვა გრიქორი.

— სახლში ჩხუბობთ ხოლმე?—შეეკითხა გზაში ჰასმიკი გრიქორს.

— როგორ არა, ვჩხუბობთ... ზოგჯერ ხშირადაც კი, აი ისე, როგორც ახლა, მხოლოდ ჩვენი შელაპარაკება და ჩხუბი მუდამ სიცილ-ხარხარით მთავრდება...

— სეთოანთას ყოველთვის ჩხუბი და აყალ-მაყალია. რას არ ეუბნება დედა თავის შვილს... ისე ლანძღავს, რომ...

გრიქორი და ჰასმიკი მალე დაეწიენ წინ წასულ არამ აკოფიანს, კამოს, არმენს და პაპა ასატურს. კამოს წერაქვი მიჰქონდა, მონადირე ასატურს თავისი განუყრელი მეგობარი—თოფი, არმენს—ფოტოაპარატი.

მათ, ყველას, წინ მიუძღოდა მოხუცი მონადირე, რომელიც გზაში გამოცოცხლებულიყო და გამხიარულებულიყო. მას გვერდით

მისდევდა ჩამბარი; შემდეგ მიდიოდნენ დანარჩენები, სულ ბოლოს კი როგორც ფარას ჩამორჩენილი კოვლი ცხვარი, ისე მისდევდა გრიქორი. რაც უფრო მაღლა-მაღლა ადიოდნენ, მით უფრო ფართოდ ისახებოდა მათ თვალწინ მტრედისფერი სევანის ტბა.

მწუხარედ გამოიყურებოდა გიჟი მთის ფერდობები, სადაც გვალვას მთელი მცენარეულობა ამოეხმო. ქვებს შუა ამოსული პატარა ბუჩქები გაყვითლებულიყო, ოდნავ ამოსული ბალახი უდროოდ გამხმარიყო. გეგონებოდათ შემოდგომა დამდგარაო, გარეული ცხოველიც აღარსად ჩანდა, ნაწილი შიმშილით დახოცილიყო, ნაწილი კი სხვა მხარეში გახიზნულიყო.

სიცხე თანდათან მატულობდა, გზა ძნელად სავალი ხდებოდა.

მალე ჩვენი ნატურალისტები ავიდნენ განიერ დაქანებულ ბილიკზე, რომელიც შავი კლდეებიდან გიჟი მთის კალთებით სოფელ ლეკავანის კოლმეურნეობის მინდვრებამდე ჩამოდიოდა.

შოულოდნელად მასწავლებელი აკოფიანი შეჩერდა, მას აღელვება ეტყობოდა.

— ეს რას ნიშნავს?.. ნუთუ აქ არის?—წაიჩურჩულა მან.

— რა მოხდა?—იკითხა კამომ.

პასუხის ნაცვლად მასწავლებელმა ხელი მაღლა აღაპყრო, როგორც კლასში აკეთებდა ხოლმე და თქვა:

— მითხარით, თქვენგან ამ მთის მეორე მხარეს ყოფილა თუ არა ვინმე? გიჟი მთის ფერდობები იქითაც ასევე მწირი და ხრიოკია?

— არა, არა მასწავლებელო... რომ იცოდეთ იქით რამდენი გარეული ქლიავი მიჭამია. ახლა ვაშლი და მსხალი იკითხეთ. იქ ტყეები უღრანი და გაუვალია, მთის საძოვრებზე კი საუკეთესო მწვანე ბალახია... მე და ვანო ხშირად საძოვრად მივერეკებოდით ხოლმე ხბორებს, რომ იცოდეთ როგორ ნავარდობენ, როგორ შეექცევიან ბალახს, აი ისე როგორც ჩვენ ქორწილში ვძღებით ხოლმე, —უპასუხა გრიქორმა მასწავლებელს.

ჰასმიკს გაეცინა, იგი გრიქორს სხვაგვარად ვერ უსმენდა მაშინაც კი, როცა იგი სერიოზულად ლაპარაკობდა...

— რას იტყვი, პაპა, ტყუილს ვამბობ?

— მართალია. იქითა მხარეს მთები ტყიანია, მარტო აქ არის ასე მოტვლეპილი და მწირი,—დაუდასტურა მოხუცმა.

— სომხეთში ყველა მთა ასეთია,—თქვა მასწავლებელმა,—ჩვენში სამხრეთის მხარეს კლდეები მწირია და უმცენარო, ჩრდილოე-

თისა კი—ბალახიანი და ტყიანი, მაშინ, როცა ჩვენი ქვეყნის ჩრდილოეთ რაიონებში, მაგალითად, ციმბირში მთების კალთები, როგორც ჩრდილოეთით, ისე სამხრეთით, მოსავლიანი და რბილნიადაგიანია. ჩვენთან, როგორც ვთქვი, მთების კალთები მიწით იფარება მხოლოდ ჩრდილოეთ მხარეს... რატომ ხდება ასე? იმიტომ, რომ,—თავის კითხვაზე თვითონვე გასცა პასუხი მასწავლებელმა,—ჩვენთან სამხრეთით მხურვალე მზე ნიადაგში ორგანიულ ნივთიერებას სწვავს, ანადგურებს. აბა, მთის მწვერვალს მიაქციეთ ყურადღება? მხოლოდ ქვები და ჟღალი-წითური თიხაღა დარჩენილა, რომელსაც მზისა არ ეშინია.

— მაგრამ აქ თიხას რა უნდა?—სიტყვა შეაწყვეტინა მასწავლებელს კამომ.

— ეგ ჟღალი ქვები სწორედ თიხაა. ისინი ზღვის ფსკერზე თიხისაგან წარმოიშვნენ. ახლა კვლავ ირღვევა, ცვდება, თიხად იქცევა და წვიმის წყლებს ტბაში ჩააქვთ, მის ფსკერზე ილექება და წყლის დაწოლით კვლავ ჟღალ ქვებად იქცევა... და რადგანაც სამხრეთის მხარე მცენარეულობით ღარიბია, ამიტომ წვიმისაგან ჩამორეცხილ მიწას არაფერი არ აკავებს და პირდაპირ ტბისაკენ მიაქანებს. ჩრდილოეთ მხარეს, სადაც მცენარეულობა ბევრი და მრავალფეროვანია, პირიქით, წვიმის წყლები ნიადაგს აპოხიერებს.

პაპა ასატური განცვიფრდა ასეთი პასუხით! ბავშვობიდანვე ეს ყველაფერი ნანახი ჰქონდა, მაგრამ განა წარმოიდგენდა, რომ მთის ერთი მხარე ამწვანებული და აყვავებული იყო, მეორე კი პირიქით, მწირი იყო და დაშლა-ღრღვევის პროცესს განიცდიდა...

— ამიტომ არის, რომ ჩვენი მხრის მთების ზურგი კუზიანი კაცის ზურგივით სქელია?—შეეკითხა იგი.

— სწორედ შენიშნე, პაპა, „ზურგი“ სქელია, „მკერდი“ კი გამხდარი, ჩავარდნილი...

— მოიცათ,—უცებ თითქოს რალაც გაახსენდა არმენს,—მაშინ ის ფერდობები, რომლებიც ამ ბილიკის გასწვრივ ძირს ეშვება, რატომ არ განიცდის ღრღვევის პროცესს?

— შენც შეამჩნიე?—ალერსიანად შენიშნა მასწავლებელმა.—აი სწორედ ეგ საკითხი მაფიქრებს. აბა დააკვირდით, ეს ბილიკი როგორ ჰყოფს ორ ნაწილად გიჟ მთას.

კამო იქაურობას დააკვირდა და დარწმუნდა, რომ მართლა იმ ორ ნაწილს შორის დიდი განსხვავება იყო.

სხვებმაც დიდი დაკვირვებით შეამოწმეს ბილიკის ზედა და ქვედა მხარეები. მაშინ, როცა ბილიკის ზედა მხარე მწირი და ხრიოკი იყო, ქვედა მხარე პირიქით ბალახით იყო დაფარული, თუმცა იგი ამჟამად გვალვისაგან გადატრუსული იყო.

— ეს რაღაცას ნიშნავს,—თქვა მასწავლებელმა.—აბა, კამო, ამ ბილიკის დაბლა ამოთხარე მიწა.

კამომ ამოთხარა. იქ მიწის სისქე ოთხი-ხუთი თითის დადება იყო.

— როგორც ეტყობა, აქ წლების განმავლობაში ნიადაგი კი არ გათხელებულა, პირიქით გასქელებულა. მაშ, რას უნდა ნიშნავდეს ეს?—გადახედა ბიჭებს მასწავლებელმა.

— ეს ხომ არ ნიშნავს, რომ ამ ბილიკის ქვედა მხარე დაფარული ყოფილა ხშირი მცენარეულობით?—ჰკითხა არმენმა და აწითლდა.

— ალბათ მართალია შენი ნათქვამი, არმენ: ჩვენა ქვევით ოდესღაც დიდებული მცენარეულობა ყოფილა, რასაც ნიადაგი წალეკვისაგან დაუცავს. აქ დამპალი მცენარეები შერეულა თიხნართან, ამიტომაც ნიადაგს უფრო მუქი ფერი აქვს, ვიდრე ზევით... ხომ ატყობთ განსხვავებას?—ეკითხებოდა მასწავლებელი და ორი მიწის ნიმუშებს ერთმანეთს ადარებდა. მაღლისა ყღალი მოწითალო იყო, დაბლისა კი ყღალი რუხი, შავი ფერი გადაკრავდა.—საინტერესოა, ამ დაქანებულ კლდის ფერდობზე როგორ წარმოიშვა მიწის ასეთი ნიადაგი?

— მაშასადამე, აქ იგი არ მცირდება?—იკითხა კამომ.

— არა, ბილიკის ამ ქვედა ნაწილში, მთის კალთებზე ნიადაგში აუარება მცენარეების ფესვებია, რომლებიც იცავენ ნიადაგს გათხელებისაგან. მაგრამ საინტერესოა, რა დროიდან წარმოიშვა ფესვების ხლართი ამ ადგილებში?

— მოირწყვებოდა?... მერედა, შენი ვეშაპი სადღაა, პაპა?.. და რატომ არის აქ ასეთი სწორი გზა?

— ეს წარმოიშობოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს მიდამოები მოირწყვებოდა,—უპასუხა არმენმა.

— გზა, გზასა ჰგავს... ალბათ საქონელმა გატკეპნა, აქ ხომ საქონელს მოერეკებოდნენ ხოლმე საძოვრად.

— არა მგონია, რომ საქონელს ასეთი განიერი გზა დაეტკეპნოს და მერე რატომ მაინც და მაინც შავი კლდეების მიდამოებისაკენ შიდის? განა იქ საძოვრებია?

— იქ, ქვა-ღრეს მეტი არაფერია...

— არა, ეს უბრალო გზა არ უნდა იყოს... ეს სულ სხვა რამეა, აბა ერთი დააკვირდით, ქვედა მხარე თითქოს ცოტათი ამოწეულია,—თქვა მასწავლებელმა.—აბა გამომყევით, ჩვენ მაგას გამოვარკვევთ აი იმ ქვებთან, სადაც გზა ორად იყოფა.

ასი ნაბიჯი არა ჰქონდათ გავლილი, როცა არმენი შეჩერდა და მასწავლებელს უთხრა:

— მასწავლებელო, ამჩნევთ, რომ ბილიკის დაზნექილობა ყველგან ერთნაირია? მე უკვე მივხვდი, თქვენ რასაც ფიქრობთ, ყველანიშანი ერთსა და იმავეს ამტკიცებს...

მასწავლებელს და მოსწავლეს შორის გაბმულმა საუბარმა ყველას ყურადღება მიიპყრო.

არმენის ასეთმა მსჯელობამ ჰასმიკი პირდაპირ გააოცა, მისთვალში იგი ისე აამაღლა, რომ ცოტა ხნის შემდეგ რაღაც საქმეზე არმენს „შენა“-ს ნაცვლად „თქვენობით“ მიმართა და თან შეძრწუნდა.

— ჩემო სწავლულო, შენი აზრი ჩვენც აგვიხსენი, გაგვიზიარე, რომ გავიგოთ რაშია საქმე,—მიმართა მოხუცმა არმენს.

— არა, ჯერ დრო არ არის,—უთხრა მასწავლებელმა,—ჯერჯერობით არაფრის თქმა არ შეიძლება. ყველაფერი ნათელი გახდება, აი იმ გზაზე გადაღობილ აქოჩრილ კლდესთან რომ მივალთ.

ხმაამოუღებლად წინ მიიწევდნენ.

„ნეტა რა საიდუმლოება უნდა იყოს, რომელსაც მხოლოდ იქ ამოვიცნობთ?“ — ფიქრობდა ჰასმიკი და ნაბიჯს უჩქარებდა, რომ მასწავლებლის მიერ ნაჩვენებ ალაგზე მალე მისულიყო.

როცა დანიშნულ ალაგს მიაღწიეს, მასწავლებელი შეჩერდა. პაპა ასატური მოიხმო და უთხრა:

— თუ ამ ქვებზე ის ნიშნები აღმოჩნდება, რასაც მე და არმენი ვფიქრობთ, მაშინ შენ ვეშაპსაც მალე მივაგნებთ.

— საიდან გაიგეთ?—განცვიფრებით შეეკითხა მოხუცი.—სწორედ ასეც არის...

— ჩვენ ვიცით,—უპასუხა მასწავლებელმა ღიმილით,—ასეა თუ არა, არმენ?

კამოს არ ეპიტნავებოდა მასწავლებელსა და არმენს შორის გამართული საიდუმლო საუბარი. იგი მალულად გადახედავდ ხოლმე ჰასმიკს, რომ გაეგო, თუ რა შთაბეჭდილებას ახდენდა გოგონაზე არმენის ჭკუამახვილობა.

„ნუთუ შური მკლავს?“—გაიფიქრა კამომ და უმალვე დარცხვენილი შეჩერდა: მას ხომ არმენი ძალიან უყვარდა.

მასწავლებელმა და მოსწავლემ მისვლისთანავე დაწვრილებით დაათვალიერეს იქაურობა და ერთმანეთს ღიმილით გადახედეს. კლდის ნაპირი გადაფხეკილი და გაპრიალებული იყო.

— მაშ ასე, აბა დააკვირდით, ეს ხომ ყველაფერი წყლის გამოა. აქედან, აი სწორედ, ამ ბილიკით მიედინებოდა წყალი სოფელ ლჭავანისკენ და მის მინდვრებს რწყავდა,—თქვა მასწავლებელმა და გადალესილ ქვებზე მიუთითა,—აქ ყოფილა პატარა წყალვარდნილი... კამო, აბა ძირს ჩაირბინე და აი იქ ამოთხარე, შენ იქ ჩრგვალ სიპ ქვებს იპოვნი, ისეთებს, როგორიც მდინარეებში გვხვდება ხოლმე.

კამომ წერაქვით ჩაირბინა იმ მიმართულებით, სადაც მასწავლებლის ვარაუდით ოდესღაც ჩანჩქერის აქაფებული წყალი ვარდებოდა. კამოს ჩამბარიც თან გაჰყვა. ძაღლი გაოცებული იყო თავისი პატრონების საქციელით, რომლებსაც აქამდე ერთხელაც არ გაესროლათ თოფი და ნადირი არ მოეკლათ.

კამო მალე დაბრუნდა ქვებითა და კენჭებით სავსე ქუდით ხელში. მასწავლებელმა და არმენმა ისინი დიდი ინტერესით დაათვალიერეს.

— ხედავთ,—თქვა მასწავლებელმა.—არც ერთ ქვას ან კენჭს წვეტი არა აქვს, ყველა სიპი და გადალესილია, ეს კი უსათუოდ წყლის ბრალია.

— მართალს ამბობთ. ესენი უეჭველად წყლის ქვებია,—დაუდასტურა მოხუცმა, როცა სათითაოდ მოსინჯა ქვები.

— მაშასადამე, არმენ, ჩვენი ნავარაუდევი სწორია,—უთხრა მასწავლებელმა,—ეს გზა არც პირუტყვს დაუქელია და დაუტკეპნია და არც სხვა რამეს, ეს გზა ძველი არხის კალაპოტია.

— არხისა?—გაკვირვებით წამოიძახა ჰასმიკმა.

— მაგრამ ეს არხი საიდან იწყებოდა?—უნდობლად შეეკითხა კამო.

— რა წყალი, რის არხი, მთელი მთა რომ გადათხაროთ, ერთ წვეთ წყალს ვერსად იპოვით,—თქვა მოხუცმა და უიმედოდ ჩაიქნია ხელი.—ამ გზით მხოლოდ საქონელი დადიოდა. აქ წყალს რა უნდოდა?

— მაგას გამოვიკვლევთ, შენ ის გვითხარი, პაპა, შენი ვეშაპი სად არის, ერთი წაგვიყვანე, გვიჩვენე.

ყველანი წამოიშალნენ, მონადირე ასატურის წინამძღოლობით გზა განაგრძეს და შავი კლდეების ხეობაში შევიდნენ.

„წყლის ღმერთთან“

— აი ესეც ვეშაპი,—მიუთითა ასატურმა ბოძივით გრძელ და მრგვალ ქვაზე, რომელიც ბილიკის დასაწყისში კლდეებს ქვეშ ეგდო.

— სწორედ ეს არის... არხის სათავეს მივაგენით,—წამოიძახა გახარებულმა მასწავლებელმა და არმენს მიმართა:

— ჩვენ სწორად ვივარაუდეთ, ეს ბილიკი ყოფილი ძველი არხია.

— ეს ის არხია, რომლის შესახებაც არტაკის მეომრებს დაუწერიათ ქვევრის კედლებზე?—იკითხა არმენმა.

— ნამდვილად... ამ მიდამოებში სხვა არხის ნიშანწყალი არ ჩანს... მაშასადამე, წყალი აქ ყოფილა. დაკარგული წყალი უნდა ვიპოვოთ... ეს რომ წყლის კალაპოტია, ამის დამამტკიცებელი ეს „ვეშაპია“, რომელსაც ძველ სომხურ ნაწერებში „თევზს“ უწოდებდნენ. ეს იმ „წყლის ღმერთის“ ძეგლია, რომელსაც სამი ათასი წლის წინათ ჩვენი ქვეყნის მაშინდელი მცხოვრებნი—ურარტუელები არხების და ხელოვნური წყალსაცავების თავზე აგებდნენ.

„ვეშაპის“ დაწერილებით გამოკვლევის შემდეგ, მასწავლებელმა დაუმატა:

— შენ მართალი არ ხარ, ბიძია ასატურ, ეს ქვა ნიანგს კი არა, უფრო სწორად თევზსა ჰგავს. აი ლაყუჩები, აბა დააკვირდით, კამეჩის თავიც არის გამოხატული, რაც აგრეთვე წყლის ნიშანია, კამეჩს ძალიან უყვარს წყალში ჩაწოლა... აი სხვა ნიშნებიც—„ვეშაპის“ ზურგზე ყარყატები და წეროები არის ამოკვეთილი. ესეც წყლისა და დოვლათის ნიშანია.

ბიჭები დიდი ინტერესით აკვირდებოდნენ მასწავლებლის მიერ მითითებულ ნაწერებს და ნახატებს, რაზეც ჩვენ წინაპრებს დაახლოებით სამი ათასი წლის წინათ ემუშავათ.

— მოდით ამ ქვის „თევზის“ სიგრძე გავზომოთ.

მასწავლებლის ანგარიშით „ვეშაპის“ სიგრძე სამნახევარი მეტრი იყო, სისქე კი სამი კაცისა ჰქონდა.

— ეჰვს გარეშეა. აქ ოდესღაც წყალი ყოფილა. ამოვთხაროთ, ვნახოთ კიდევ რა ნიშნებს წავაწყდებით,—თქვა მასწავლებელმა, პიჯაკი გაიხადა და წერაქვს წამოავლო ხელი.

საღამომდე აწარმოებდნენ გათხრებს „ვეშაპის" ირგვლივ, მაგრამ უშედეგოდ...

დაღლილ-დაქანცულნი, მაგრამ დიდი აღმოჩენით გახარებულნი, საღამო ჟამს სოფელში დაბრუნდნენ.

მასწავლებელს არც კი დაუსვენია, უმალვე კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბაგრატთან წავიდა და აღმოჩენის შესახებ უამბო.

—უჩემოდ გათხრები როგორ დაიწყეთ?—უსაყვედურა ბაგრატმა.—გეცნობებინათ. მეც ამოვიდოდი და ხალხსაც მოვიყვანდი, ეს ხომ პატარა საქმე არ არის. ხომ იცი რა მნიშვნელობა აქვს ჩვენი კოლმეურნეობისათვის წყალს?

— მთხრელებს მივიღებ, შენ კი—არა! შენ შენი საქმეებიც გეყოფა. ისე გაქვს თავი დამძიმებული, რომ ჩვენთვის ვერ მოიცლი, უმჯობესია, მთას მიხედო, გვალვა იქაც აწუხებს პირუტყვს. წყლის საგუბარი მოამზადო, რომ საქონელი წყურვილით არ დაიხოცოს.

მეორე დღეს დილაადრიან მასწავლებელი არამ აკოფიანი, ჩვენი ნორჩი ნატურალისტები და კოლმეურნეთა ერთი ჯგუფი უკვე „წყლის ღმერთთან" იყვნენ.

არამ აკოფიანის განკარგულებით კოლმეურნეები გაიშალნენ მთის კალთებზე, სადაც „ვეშაპი" იყო, და აქა-იქ წერაქვებით თხრა დაიწყეს...

ბიჭებიც გულმოდგინედ მუშაობდნენ, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ოფლი გადასდიოდათ. განსაკუთრებული ენერგიით მუშაობდა გრიქორი, რომელსაც ახალ აღმოჩენაში ბედმა გაუღიმა. მისი წერაქვი მუშაობის დროს რაღაც მაგარს მოხვდა. როცა მან ქვა და ხრეში მიყარმოყარა, დაინახა სიპი ქვა. რომელზეც რაღაც ნიშნები იყო.

— სწავლულო ძმაო, ერთი აქეთ მოდი, რაღაც ვიპოვე,—დაუძახა მან არმენს.

— ფრთხილად, მუშაობა შეაჩერეთ!—აღელვებით წამოიძახა მასწავლებელმა.

მასწავლებლის ხმის გაგონებაზე, გრიქორს აწვდენილი წერაქვი ჰაერში გაუშეშდა.

მასწავლებელმა დაიჩოქა, გრიქორის აღმოჩენილი საგანი ფრთხილად გადაჩიჩქნა, მიწიდან და ხრეშიდან გაწმინდა, ისე მოწი-

წებით ეპყრობოდა, გეგონებოდათ რაღაც უძვირფასეს სათუთ საუნჯეს ელოლიავებაო.

დიდი ხნის დამქანცველი მუშაობის შემდეგ მათ საერთო ძალებით. მიწიდან ამოიღეს დიდი სიპი ქვა.

მიწიდან ამოღებული ქვა გვერდზე ააყუდეს და ირგვლივ შემოასუფთავეს. ქვაზე რაღაც გრძელი ლურსმული ნიშნები იყო ამოკვეთილი. მასწავლებელი დიდი გულმოდგინებით შეუდგა ნიშნების ამოკითხვას, მაგრამ ორი სიტყვის გარდა ვერცერთი ვერ ამოიკითხაეს იყო: „სარდურ“ და „პილი“.

— ნუთუ ურარტუს მეფე სარდურზეა ლაპარაკი?—იკითხა არმენმა.

— დიახ, იმ მეფეზე, რომელიც ბატონობდა ჩვენს ქვეყანაში (მას მაშინ ურარტუ ეწოდებოდა) სომხეთის სახელმწიფოს წარმოშობამდე რამდენიმე საუკუნით ადრე, ამ მეფე-აღმაშენებელმა ძველი ურარტუ—ახლანდელი არარატის მხარე—არხებით დაფარა. ვინ მოსთვლის რამდენი ხალხი დაიღუპა ამ არხების გაყვანისას...

ჩვენმა მეცნიერებმა აღმაღანის მთის კალთების სხვადასხვა ხეობებში უამრავი ასეთი „ვეშაპები“ აღმოაჩინეს, რომლებიც იმის მაჩვენებელი იყო, რომ ოდესღაც ამ მიდამოებში, წყალსაცავების სათავეებში, ასეთი „წყლის ღმერთის“ ძეგლები ყოფილა აღმართული.

ყოველ გაზაფხულზე ამ წყალსაცავებში ნიაღვრების წყალს აგროვებდნენ და გვალვის დროს მინდორ-ველს ამ წყლით აგრილებდნენ...—დინჯად, დამაჯერებელი კილოთი მოუთხრობდა მასწავლებელი არამ აკოფიანი.

— ყველა-ყველაა, მაგრამ „პილი“ რაღას ნიშნავს?—იკითხა კამომ.

— „პილი“ ურარტულად არხს ნიშნავს.

— მაშასადამე, აქ არხი ყოფილა?

— ორმოცჯერ უნდა გითხრან, რომ ბოლოს მიხვდე?—უთხრა გრიქორმა.

ჰასმიკმა წაიფრუტუნა, კამო კი ყურის ბიბილოებამდე გაწითლდა.

— ნამდვილად ყოფილა, ხოლო სად იყო მისი სათავე, ამის შესახებ არაფერი ვიცით!—უპასუხა მასწავლებელმა.

მონადირე ასატური გაოცებული უსმენდა. „რა ყოფილა მეცნიერება—ფიქრობდა ის,—ერთი ნაჭერი ქვით, რაღაც ნახაზებით, ამონაკვეთებით და ნიშნებით რამდენიმე ათასი წლის წინათ მომხდარ ამბებს იგებენ“...

— ქვის ეს პატარა ნატეხი ჩვენ მაინცა და მაინც დიდს ვერაფერს მოგვცემს. აქ მარტო რამდენიმე ნიშანია შერჩენილი... აფსუს, რომ ამ წარწერის უმეტესი ნაწილი დაკარგულია... იქნებ განვაგრძოთ ძებნა, ჰა, რას იტყვით?—გადახედა მასწავლებელმა ჯგუფის წევრებს.

— თუ საჭიროა ძებნა, განვაგრძოთ,—გაბედულად წამოიძახა კამომ და წერაქვს წამოავლო ხელი.

დანარჩენებმაც თავიანთ ხელსაწყოებს მოჰკიდეს ხელი. მაგრამ უკვე ისეთი აღფრთოვანებით აღარ მუშაობდნენ.

ქვევით, დაბლობში ცხენოსანი გამოჩნდა, ხოლო მის უკან მიწის სათხრელი მანქანის გრძელი ხორთუმი. შემდეგ დაინახეს ტრაქტორები და სხვადასხვა ხელსაწყოებით შეიარაღებული ხალხი.

მოხუცმა მონადირემ შუბლზე ხელი მიიფარა და ქვევით გადაიხედა.

— ცხენოსანი კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბაგრატია... ნეტა სად მიაქვთ ის მანქანები?—იკითხა მან.

— მაშ ვიწყებთ!—მხიარულად წამოიძახა არამ აკოფიანმა, როშელიც თითქოს ელოდებოდა ამ მანქანების გამოჩენას...—როგორც

ეტყობა, მანქანები დასახმარებლად მოგვაწოდეს... აბა, გავწიოთ, სარდურ მეფის არხი ჩვენთვის წყლის მომცემი არ არის, წავიდეთ, ჩვენი საკუთარი არხი გავთხაროთ...

— არხი უწყლოდ?—გაუკვირდა მოხუცს.

— როგორ თუ უწყლოდ?.. სევანში ცოტა წყალია?

— სევანში? მერე მაღლა როგორ ამოვა?—დასცინა მოხუცმა.

— როცა ვაიძულებთ, ამოვა...

— რით უნდა აიძულო, ტრაქტორით?—განაგრძობდა ოხუნჯობას მოხუცი.

— რით და ელექტრონის ძალით. თვითონ სევანის ძალით... წავიდეთ.

მხიარული სიცილ-ხარხარით ძირს ჩაირბინეს, ტაფობზე გავიდნენ, სადაც მანქანას თავის ფოლადის ხორთუმი უკვე მიწაში ჩაესო და სევანის მიმართულებით წინ მიიწევდა. ცოტა მოშორებით, მის პირდაპირ ტრაქტორები გუგუნებდნენ, რომლებსაც ხალხის ერიჰმული ბანს აძლევდა.

თავმჯდომარე ბაგრატს კოლმეურნეებისათვის სამუშაო გაენაწილებინა და მასწავლებელ არამ აკოფიანთან შესახვედრად წამოსულიყო. მას ფრთხილად მისდევდა სეთო.

— ჰა, ახალს რას იტყვი, ვეშაპი წყლის მოცემას არ აპირებს? —შეეკითხა ბაგრატი მასწავლებელ არამ აკოფიანს.

— აი ჩვენი ოცდახუთი კაცის დღევანდელი შრომის ნაყოფი,— უპასუხა მასწავლებელმა და მიუთითა ქვაზე, რომელიც კამოს მხარზე ჰქონდა გადებული.

სეთოს შავი თვალები გაუბრწყინდა. შიში და სიფრთხილე დავიწყებოდა, მან წინ წამოიწია, კისერი წაიგრძელა და ქვის ნატეხზე გაუგებარ ნიშნებს დაუწყო ცქერა.

— მაშ ამ მთის ფერდობზე ყოფილა ჩვენი სოფლის ძველი არხი? თქვენი აღმოჩენა მეტად საინტერესო და საჭიროა, მაგრამ დღეს დღეობით ჩვენთვის ყველაზე საჭირო აი ეს არის,—და ბაგრატმა თითი გაიშვირა დაბლობში მოგუგუნე მანქანებისაკენ.

— მართალია, მაგრამ ფერდობის მიწები ბოლოს მაინც სარდურის დროინდელი არხით უნდა მოირწყას. იქ სევანი ვერ მისწვდება,—უპასუხა არამ აკოფიანმა, რათა თავის სამუშაოთა ღირებულება არ დაჩრდილულიყო.

— თანახმა ვარ, მაგრამ ეგ ჯერ გამოურკვეველია... ეგ მერე.

— კარგი,—დაეთანხმა პარტორგანიზაციის მდივანი,—მიჩვენე ჩემი წევრების სამუშაო უბანი.—შემდეგ მიუბრუნდა უკან მდგომ ხალხს და შეეკითხა:—დავიწყოთ, თუ სოფელში დავბრუნდეთ?

— დავიწყოთ,—ერთხმად უპასუხეს მათ.

დაიწყეს და მერე როგორ დაიწყეს!.. ეს აუარება ხალხი, მანქანები გულმკერდს უფატრავენ მიწას. ამ მანქანების გაღმომგზავნი ალბათ წყალსაქაჩავ მანქანასაც გამოგზავნის, დიახ, ბაგრატმა თქვა, რომ წყალთა მეურნეობის სამინისტრო დაპირდა ამ დღეებში დაიწყოს წყალსაქაჩი სადგურის მშენებლობა და მალე სევანის წყალი ზევით, წყალმოწყურებული მინდვრებისაკენ გაეშურება.

მომავლის ამ სურათმა კოლმეურნეები ძალზე გაამხნევა და აღაფრთოვანა.

მარტო სეთოს დავიწყებოდა ყველაფერი, იგი ხარბად უთვალთვალებდა იმ ქვის ნატეხს და ლამობდა როგორმე ხელით მოესინჯა და შესაფერ მომენტში ეს ქვაც სახლში წაეღო, მიემატებინა იმ ქვებისათვის, რომლებსაც მალულად ინახავდა თავისთან—ბოსელში, საქათმეში, ერთი სიტყვით ყველგან, სადაც მოსახერხებელი იყო ქვების გადამალვა.

რას ღაეძებს სეთო?

მეორე დღეს მანქანები ქვების დიდ გროვას წააწყდნენ. ეს ქვები ნიაღვარს მოეტანა შავი კლდის ხეობიდან და სევანის მიდამოებში მიმოეფანტა. ამ ქვებში ზოგი ისეთი უზარმაზარი იყო, რომ მხოლოდ აფეთქების საშუალებით შეიძლებოდა მისი დამსხვრევა და იქაურობიდან მოშორება.

მართლაც, მეორე დღიდანვე მანქანების ხმაურთან ერთად უკვე დინამიტების აფეთქების ხმაც მოისმოდა. ამრიგად, თანდათანობით მომავალი არხის კალაპოტი გაყავდათ.

სანამ ჩვენი ჭაბუკები ამ საქმით იყვნენ გართული, სეთო მალულად თხრილებში დაძვრებოდა და ქვებს აკვირდებოდა.

— საუნჯეს დაეძებს,—სიცილით ამბობდნენ კოლმეურნეები. ხოლო როცა მუშაობა მთავრდებოდა და ყველანი სოფელში მიდიოდნენ, სეთო გაექანებოდა ქვებისაკენ და დიდი ინტერესით ატრიალებდა თითოეულ ქვას.

— ბიჭო, ან იმუშავე ანდა მოშორდი აქედან,—ერთხელ მაგრა დაუყვირა ბაგრატმა.

— აჰა, მოკიდე ხელი ამ ბარს და ამხანაგებს დაეხმარე, სირცხვილია.—ტკბილად უსაყვედურა პაპა ასატურმა.

ბიჭმა უგუნებოდ დაიწყო მუშაობა.

შუადღისას პაპა ასატური მიწაზე დაჯდა, პატარა ტილოს ნაჭერი გახსნა, ამოიღო ლავაში, ყველი, ყაურმა და ჭამას შეუდგა.

— ბიჭო, სეთო, მოდი ერთად დავნაყრდეთ, კამო თავისი ამქრით შორს არის..

ასატური ცდილობდა როგორმე გამოესწორებინა გზას აცდენილი ბიჭი.

— არ მინდა, შენ თვითონ ჭამე,—ნაწყენი ტონით უპასუხა სეთომ.

— რომელი მონადირე ჭამს მარტო, რომ მე ვჭამო? მარტოს ლუკმა ყელში გამეჩხირება..

ხვეწნა-პატიჟმა არ გასჭრა, სეთო არ დაეწვია... პაპა ასატურმა რამდენიმე ლუკმა შეჭამა, დანარჩენი ისევ ტილოს ნაჭერში გახვია და ადგა. სეთომ ამ დროს ქვების გროვაში სწორედ ისეთი ქვის ნატეხი დაინახა, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინათ კამოს ედო მხარზე. „ეს უეჭველად იმ ქვის ნატეხია". ფარულად ქვას ფეხით მიწა მიაყარა და სასწრაფოდ სოფლისკენ მოჰკურცხლა. მივიდა სკოლაში, ფიზიკის კაბინეტში შეიპარა, „წყლის ღმერთთან" ნაპოვნ ქვას დაავლო ხელი, ქაღალდში შეახვია, როგორც იქნა მიათრია შინ და ტახტის ქვეშ დამალა. საღამო ჟამს, როცა სამუშაოდან ყველანი სახლში დაბრუნდნენ, სეთომ ქვის ნატეხი ქურდულად მიიტანა სამუშაო ადგილზე.

ირგვლივ მყუდროება სუფევდა, სდუმდა სევანიც.

სეთო გაფაციცებით ეძებდა იმ ადგილს, სადაც ასატურმა ისაუზმა, იცოდა, რომ ის ქვა იქ ახლო-მახლო უნდა ყოფილიყო.

როგორც იქნა მიაგნო, აიღო, გადაწმინდა და მოტანილი ქვის ნატეხი მიადო. ყველაფერი რიგზე გამოდგა,—ნახაზებიც, ამოკვეთილებიც. ლურსმული ასოებიც, მოკლედ—ათასი წლის მანძილზე ერთი მეორეს ჩამოშორებული ნატეხები კვლავ შეერთდა, სეთოს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა... სეთომ მუშტი მოიღერა თითქოს ვიღაცას ემუქრებაო, მერე ნაპოვნ ქვას ისევ მიწა მიაყარა, სკოლიდან მოტანილი ქვის ნატეხი მხარზე გაიდო და გზას გაუდგა, ხვნეშა-ხვნეშით მიიტანა სკოლაში და ფიზიკის კაბინეტში თავის ალაგას დადო.

მთვარიანი ღამე იყო. სეთოს გულმა არ მოუთმინა, კვლავ სამუშაო ადგილისაკენ გაექანა, ქვის ნატეხი დიდი წვალებით მიათრია სახლამდე და ლოგინქვეშ ამოდო...

სეთო ლოგინში იწვა, მაგრამ ძილი არ ეკარებოდა, დიდხანს ფიქრობდა, რა გზას დადგომოდა, ქვის მეორე ნატეხი, რომელიც მან აღმოაჩინა, ეჩვენებინა და ჩაებარებინა ბიჭებისა და მასწავლებლისათვის თუ არა?

მთელი ღამე შამფურივით იტრიალა ლოგინში და ბოლოს გადაწყვიტა, გათენდებოდა თუ არა მისულიყო მასწავლებელ არამ აკოფიანთან და მისთვის გადაეცა ქვის ნატეხი. სეთო ფიქრობდა, ჯერ ერთი ამ ქვაში არავითარი მადნეულის ნიშანი არ არის, თანაც ვინ იცის, იმ წარწერების მიხედვით იქნება მართლა არხის შესახებ ამოიკითხონ რაიმე და ჩვენი კოლმეურნეობისთვის სასარგებლო გამოდგესო. ამ ფიქრებით აღელვებულს ძილი არ მიეკარა, იგი სწრაფად წამოხტა, ჩაიცვა და გარეთ გავარდა.

თენდებოდა.

— სად მიხვალ, ამ დილა ადრიან,—მოესმა დედის ხმა.

სეთო მიუახლოვდა არამ აკოფიანის სახლს და მოწიწებით დაუკაკუნა.

სახლის კარი გაიღო, სეთოს მასწავლებელი მიეგება. სკოლაში არდადეგები უკვე დაწყებულიყო, მასწავლებელს გადაწყვეტილი ჰქონდა ამ დღეს მოსწავლეები სამუშაოდ წაეყვანა.

სეთოს მისვლამ მასწავლებელი გააკვირვა.

— ამ დროს რამ მოგიყვანა, სეთო?..

შეხედა რა ბიჭის შავ, მოელვარე თვალებს, ხელი მოკიდა და ჰკითხა:

— ხომ არა გიპოვია რა?..

— მე?.. მე რა ვარ, რომ ვიპოვო, კამო იპოვის,—გაკილვით შეუგო ბიჭმა.

— სად არის?—მოუთმენლად შეეკითხა მასწავლებელი.

— არ გეტყვით... კამომ მიითვისოს და მთელ სოფელში დაიკვეხოს?!

— წამო გვაჩვენე, აღმოჩენა შენი იქნება. ზედ რაიმე ნიშნები არის?

— ბევრი,—უთხრა ბიჭმა,—ათასჯერ მეტი, ვიდრე თქვენ ნაპოვნ ქვის ნატეხებზე...

— მაშ წავიდეთ,—აჩქარებდა მასწავლებელი.

„წასვლით კი წავიდეთ, მაგრამ სულ ერთია, კამოს არ შევურიგდები...“—თავისთვის გადაწყვიტა სეთომ და წინ გაუძღვა.

ამ დროა სეთოს სახლში შემდეგი ამბავი მოხდა.

დედამ რომ ჩაიცვა და ლოგინებს ასწორებდა, სეთოს ლეიბის ქვეშ ბალიშის გასწვრივ კარგა მოზრდილი მიწიანი ქვა შეამჩნია.

დედა გაწიწმატდა, სიბრაზით აღარ იცოდა რა ექნა, „ეს რა უქნია, იმ არგასაზრდელს, რა ჯანაბად უნდა ეს გათხუპნული ქვა,— თქვა და ვაივაგლახით ძლივს გამოათრია გარეთ და გადააგდო:—უი, მეხი კი დაგაყარე. შენი დაბადების დღე დაიქცეს, შე არამზადავ, შე უსინდისო... სხვებს თავიანთი მშობლებისათვის პური მოაქვთ, ეს კი მიწიანი და ტალახიანი ქვებით ავსებს აქაურობას“...

ამ წყევლა-კრულვის დროს, კოლმეურნეობის საბარგო ავტომანქანამ გამოიარა.

— ეღიშ, ბიჭო ეღიშ,—ხელების ქნევით დაუძახა სონამ.

მანქანა შეჩერდა, შოფერმა ეღიშმა კაბინიდან თავისი ვაბურძგნული თავი გამოჰყო.

— რა გინდა?—უკმაყოფილოდ შეეკითხა,—მეჩქარება...

— შენი ჭირიმე, ეღიშ, ეს ქვა წაიღე, შორს გადააგდე...—და ბიჭის მისამართით წყევლა-კრულვა განაგრძო.

ეღიშს გაეცინა.

— კარგი, წავიღებ, მაგრამ ისევ უკან რომ მოიტანოს? რამდენჯერ წამიღია, შორს გადამიგდია, მაგრამ ისევ უკან მოუტანია. შენი შვილი ქვებზეა შეყვარებული.

სონა შოფრის ლაპარაკს ყურადღებას არ აქცევდა. მან რის ვაი-ვაგლახით მანქანასთან მიათრია მძიმე ქვა. უნდოდა შიგ ჩაეგდო, მაგრამ ვერ ახერხებდა.

— რომ მოხვიდე და მომეშველო, წელი მოგწყდება?—შეჰყვირა სონამ შოფერს.

ეღიშს გაეცინა, მან კარგად იცოდა სონას ხასიათი, რომ დაუწყევლად არავის გაუშვებდა.

ორივემ ასწიეს და ქვა მანქანაში ჩააგდეს.

— სევანის ნაპირას თუ გაივლი, პირდაპირ წყალში ჩააგდე, ისეთ ღრმა ადგილას, რომ იმ ბემურაზმა ვეღარ ამოიღოს.

მანქანა დაიძრა. არამ აკოფიანი და სეთო მუსაიფით მიდიოდნენ, მანქანას გზა დაუთმეს...

— ყოჩაღ შვილო, დედისთვის ქადის ნაცვლად კარგი მოზრდილი ქვა მოგიტანია,—დოინჯშემოყრილი სონა მიეგება შვილს.

ბიჭს ფერიფური წაუვიდა.

— იპოვე?.. სად არის, რა ჰქენი?..

— რა ვქენი და თვალი გამოგთხარე... აგერ ელიშს გავატანე, აბა თუ ბიჭი ხარ დაეწიე,—დაცინვით მიუგო დედამ.

მასწავლებელი და სეთო უმალვე გამოუდგნენ მანქანას.

— ელიშ, შეჩერდი, ელიშ...

გზად მიმავალმა კამომ დაინახა, რომ მასწავლებელი და სეთო გარბოდნენ, შეჩერდა და გაოცებული დაუწყო მზერა, მერე სწრაფად მიირბინა აკოფიანთან და უპატაკა:

— კომკავშირელების ჯგუფი მზად არის, ამხანაგო აკოფიან!

— გამოეკიდეთ მანქანას და დაეწიეთ, თორემ ქვას ტბაში გადაგდებს...—უბრძანა მასწავლებელმა.

სეთო და კამო სირბილით სოფელს გაშორდნენ. მინდორში ცხენების ჯოგი სძოვდა, სეთო ერთ-ერთ ცხენს მოახტა და გაჰქროლა, კამოს კი დაცინვით მიაძახა:

— მე გავფრინდი; შენ კი წადი და კრებაზე სიტყვა სთქვი.

კამო ბრაზისაგან აენთო. „მაშ ასე, ჰო?.. შენის აზრით მე მარტო სიტყვის თქმა ვიცი და მეტი არაფერი?“ ისიც ცხენს მოახტა და სეთოს დაედევნა. ცოტა ხანს შემდეგ გრიქორიც გამოჩნდა, ისიც სახედარზე შემჯდარიყო და დათხებული მიაჭენებდა. სახედარს პატარა ჩოჩორიც მისდევდა... მანქანა ტბის ნაპირთან მივიდა, ერთი ორი კილომეტრი გაიარა, მერე მაღალ ნაპირზე ავიდა და შეჩერდა:

— აქ ღრმა იქნება,—თავისთვის ჩაილაპარაკა ელიშმა და ქვა მორევში გადააგორა... მანქანის წასვლა იყო და ცხენოსნებიც მორევის თავზე შეჩერდნენ...

— აბა მითხარით, რა ადგილზეა ქვა?—დაცინვით შეეკითხა—სეთო.

კამო დუმდა.

— შენ მეთევზის შვილი ხარ, წყალს ჩემზე უკეთ უნდა იცნობდე.—უთხრა ბოლოს კამომ.

— მაშასადამე, ზოგი რამ შენზე უკეთ მცოდნია... რაკი ასეა, აბა უყურეთ: ქვა აგერ, იმ რგოლებს შუა არის... დაიჭით ცხენები...

სეთომ სწრაფად გაიძრო პერანგი, გადახტა წყალში და უმალ ჩაიყურყმელავა...

„თევზია, ნამდვილი თევზი“,—სიამოვნებით გაიფიქრა კამომ.

ცოტა ხნის შემდეგ სეთომ თავი ამოჰყო.

„არ არის“,—ხელის ქნევით ანიშნა და სხვა მიმართულებით ჩაყვინთა...

კამომ ცხენები ფაფრებით ერთმანეთს გადაბა, ტანისამოსი გაიხადა და თითონაც წყალში გადახტა. მაგრამ უშედეგოდ, რადგან იგი წყალში თვალდახუჭული აფათურებდა ხელებს, სეთო კი, როგორც მეთევზის შვილი, თვალხილული დაეძებდა. როგორც კი მზემ გაანათა, სეთომ ხავსმოკიდებული ტბის ფსკერზე ქვა დაინახა, მისცურა, ორივე ხელი წაავლო, გულზე მიიხუტა და ზევით ამოატივტივა.

კამო მიეშველა და ორივემ ლურსმულწარწერებიანი ქვა ნაპირზე მიიტანეს.

ცხენებს აეშვათ და გაქცეულიყვნენ. ბიჭებმა ქვა ქვიშაში ჩამარხეს და სხვადასხვა გზით სოფელში დაბრუნდნენ...

...ძველი ურარტული წარწერების წასაკითხად მოსულიყო ყველა, გარდა სეთოსი. თავმოყვარე და ჯიუტ სეთოს არ სურდა, რომ ეს შემთხვევა ძმურ ხიდად გადაქცეულიყო მასა და მის მოწინააღმდეგეთა შორის.

მასწავლებელ არამ აკოფიანს ორივე ქვის ნატეხი შეეერთებინა და ცდილობდა წარწერის ამოკითხვას, მაგრამ რამდენიც არ ეცადა, შედეგს ვერ მიაღწია, წყალს, ნიაღვარს, ქვა-ხრეშზე ხახუნს გადაეცვითა, გადაეგლისა და ნიშნებიც ბუნდოვანი გაეხადა.

არამ აკოფიანი ერთ დროს ერევნის უნივერსიტეტის ისტორიულ ფაკულტეტზე სწავლობდა. ამან უშველა. დიდი წვალებისა და დაკვირვების შემდეგ, გარდა უკვე ცნობილი ორი სიტყვისა— „სარდურ“ და „პილი“—მან შეძლო დამატებით ამოეკითხა კიდევ შემდეგი სიტყვები: „წყალი“, „სიკვდილი“, „წყევლა“, „ნაირი“.

მართალია რამდენიმე სიტყვა დაგროვდა, მაგრამ აზრი მაინც არ გამოდიოდა.

ჩვენი ქვეყნის ძველი აცხები

არამ აკოფიანი იმავე დღეს ტელეფონით დაუკავშირდა ერევანში მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორს პროფესორ სევიანს და აცნობა თავიანთი აღმოჩენის შესახებ.

არ გაიარა რამდენიმე საათმა და თვითმფრინავმა სოფელ ლჭაკანში ჩამოიყვანა პროფესორი სევიანი სიძველეთა დაცვის კომიტეტის წევრებთან ერთად.

— ჩემო გულადო მოწაფეე, ალბათ კიდევ ახალი აღმოჩენები გაქვს,—მიმართა პროფესორმა მასწავლებელ არამ აკოფიანს.—იმედია, თქვენი აღმოჩენა ღირსშესანიშნავი იქნება, თორემ ასე არ აგვაფორიაქებდი.

— დიახ, ურარტული წარწერები ვიპოვეთ უძველესი არხის სათავესთან. წაკითხვა გაგვიძნელდა, ამიტომ შეგაწუხეთ, პროფესორო, გვაპატიეთ.

— არა, არა, რა საჭიროა ბოდიში! თვითეული ასეთი აღმოჩენა მხოლოდ მხნეობას მმატებს. ახლა ჩემში იმდენი ენერგიაა, რამდენიც ამ ჰაბუკ ჰერკულესში,—პროფესორმა ალერსიანად მხარზე ხელი დაჰკრა კამოს.—აბა, დროს ნუღარ დავკარგავთ. მიჩვენეთ ქვის ფილა. თქვენ ამოიკითხეთ სიტყვა „პილი"? დიახ, ეს მართლა „არხს" ნიშნავს. ვნახოთ, იქნებ ურარტუს მეფე სარდურის არხის მეშვეობით კოლმეურნეობის მინდვრებს წყალი მივაწოდოთ! თქვენ რას იტყვით?—გაუღიმა პროფესორმა კოლმეურნეობის თავჯდომარეს.

— ჩვენ წყალი მოგვიძებნეთ და მეფისა იქნება ის თუ ეშმაკისა, სულ ერთია.

— წავიდეთ. წარწერები ვნახოთ,—თქვა პროფესორმა.

შეკრებილთა ჯგუფი სკოლისკენ გაემართა, სადაც ინახებოდა ქვის ფილები ლურსმული წარწერებით.

როცა ადგილზე მივიდნენ, პროფესორმა დაიჩოქა და ისეთი მოწიწებით. მოკრძალებით დაუწყო წარწერებს დათვალიერება, რომ ყველანი უნებლიეთ დადუმდნენ.

იდუმალი სიჩუმე ჩამოვარდა, პროფესორი ნელა ამოძრავებდა ტუჩებს, ჩანდა, რომ ცდილობდა რაღაც ძნელი ამოცანის გადაწყვეტას.

კარგა ხნის შემდეგ პროფესორმა თავი ასწია, ყველამ დაინახა კამყოფილებით გაბრწყინებული მისი სახე.

— ამოვიკითხე,—თავისუფლად ამოისუნთქა მან,—ახლა მე თქვენ წაგიკითხავთ.

მან დინჯად სიტყვა-სიტყვით ურარტულიდან თანამედროვე სომხურ ენაზე გადათარგმნა წარწერა:

— „მე ნაირის[1] ქვეყნის მეფე, სარდურმა, ავაგე ეს არხი. წყევლა-კრულვა და სიკვდილი მას, ვინც ამ არხს დაანგრევს! წყევლა-

[1] ნაირი—სომხეთის ძველი სახელწოდება.

კრულვა და სასჯელი იმ გლეხებს, რომლებიც წყალს მოიპარავენ ჩემი არხიდან“.

ყველა დუმდა.

— რა სასტიკი მეფე ყოფილა,—ჩურჩულით თქვა ჰასმიკმა.

— დიახ, მეფეები სასტიკნი იყვნენ გლეხების მიმართ და, როგორც ხედავთ, წყევლა-კრულვით იხსენიებდნენ და ემუქრებოდნენ იმ გლეხებს, რომლებიც გაბედავდნენ მათ მიერ აგებული არხების წყლით თავიანთი მინდვრების მორწყვას,—უპასუხა პროფესორმა.— ნება მიბოძეთ ვისარგებლო შემთხვევით და ორიოდე სიტყვა გითხრათ ჩვენი ქვეყნის ძველი არხების შესახებ.

შეკრებილნი ქვებზე ჩამოსხდნენ და მოსასმენად მოემზადნენ. პროფესორმა განაგრძო:

— თქვენ იცნობთ ჩვენი არარატის ველს. ახლა იგი მთლიანად დაფარულია აყვავებული ბაღ-ვენახებითა და ბარაქიანი მინდვრებით. ძველ დროს კი მისი დიდი ნაწილი უდაბნოს წარმოადგენდა. იქ, სადაც წყალი არ იყო, სიცოცხლეც არ იყო. იქ, სადაც წყალი იყო, ცხოვრება ჩქეფდა—ყვაოდა ბაღ-ვენახები, ყველაფერი მდიდარ მცენარეულობას დაეფარა, უწყლო ადგილებში სამხრეთის მცხუნვარე მზე დაუნდობლად ახმობს ყველაფერს. ხოლო თუ წყალი უხვად არის, მზე სიცოცხლეს მატებს და სიტკბოს აძლევს ნაყოფს.

სიცოცხლის წყარო, ბედნიერების წყარო ყველგან წყალია... ძველად ძლიერნი და დიდებულნი ჩვენ ხალხს ართმევდნენ წყალს. ათასი წლის წინათ სიუნიქის მხარის თავადის ცოლმა სოფლომ მდინარე ბაზარჩაიდან დარალაგიოზამდე არხი გაიყვანა და აუკრძალა გლეხებს იმ არხის წყლით სარგებლობა. როცა გნდევაზის ხეობაში მონასტერი ააშენა თავადის ცოლმა, ამ არხით სარგებლობის უფლება მას მიანიჭა. ღვთის მსახურთ არხის სათავესთან დაუდგამთ ქვა, რომელზეც გაკეთებული წარწერა აფრთხილებდა გლეხებს, რომ მათ სიკვდილი მოელოდათ წყლით სარგებლობის შემთხვევაში.

ათას წელზე მეტ ხანს იარსება ამ წესმა, რამაც გაამდიდრა როგორც ეკლესია, ისე ბერ-მონაზონები...

მეფის მთავრობისა და დაშნაკელთა ბატონობის დროს ძველისძველ არხებს არაფერი მიმატებია. პირიქით, არხის შეკეთების უფლების მიღება დაკავშირებული იყო დიდ სიძნელეებთან.

აი ერთი მაგალითიც; 1867 წელს სომხებმა მეფის მთავრობას მიმართეს თხოვნით დაეთმო ეჩმიაძინის არხის შეკეთების ნება.

მაგრამ მათ ნებართვა მიიღეს... 44 წლის შემდეგ... ორმოცი წლის განმავლობაში სოფელ კარბის და მისი მეზობელი სოფლების მოსახლეობა თხოვდა მეფის მთავრობას წყაროს წყლის გაყვანის ნებართვას, მაგრამ მათ ნებართვის მიღება მაინც არ ეღირსათ. საბჭოთა ხელისუფლების დროს კი ეს საკითხი ორმოც დღეში გადაიჭრა.

...თქვენ გაინტერესებთ, იყო თუ არა აქ არხი? დიახ, ექვი არ არის, მრავალი საუკუნის წინათ აქ იყო არხი. მაგრამ საიდან მარაგდებოდა წყლით ეს არხი, როგორ განადგურდა ან სად გაქრა წყალი—გაურკვეველია. თუ ჰანჭაქარიდან ჩამოტანილი ქვევრის წარწერას დავუჯერებთ, წყალი მიწისძვრის შემდეგ დაკარგულა. მაგრამ ვინ იცის, მართალია? ეს ამოცანა უნდა გადაწყვიტონ გეოლოგებმა, რომლებსაც დაუყოვნებლივ გამოგიგზავნით. ჩვენ არ დავუშვებთ, რომ წყალი ტყუილ-უბრალოდ იკარგებოდეს.

„ვეშაპი“ და წარწერებიანი ფილები სატვირთო ავტომანქანაში ჩააწყვეს და მეცნიერებმა ერევნისაკენ გასწიეს.

პროფესორის გამგზავრების შემდეგ ჩვენმა ნორჩმა ნატურალისტებმა განაგრძეს მუშაობა, ისინი დაკარგულ წყალს გულმოდგინედ ეძებდნენ...

...მეხუთე დღეს სოფელ ლჭავანს ეწვია გეოლოგების ჯგუფი. მანქანა მასწავლებელ არამ აკოფიანის სახლთან გაჩერდა, მანქანიდან გადმოვიდა ორი ახალგაზრდა.

ჩამოსულთაგან ერთმა გაცნობისთანავე მასწავლებელს ბიმართა თხოვნით:

— პირველყოვლისა გთხოვთ წაგვიყვანოთ თქვენი სოფლის იმ მცხოვრებლებთან, რომლებიც კარგად იცნობენ გიუ მთას, გაგვაცანით მონადირეები და მწყემსები.

— კეთილი, წავიდეთ,—დაეთანხმა არამ აკოფიანი.

მან ახალგაზრდა მეცნიერები მონადირე ასატურთან წაიყვანა. გზაში კამო შეხვდათ.

— შეკრიბე შენი რაზმი და პაპაშენთან მოიყვანე,—დაავალა მას მასწავლებელმა.

როცა კამო წავიდა, მასწავლებელმა უთხრა ახალგაზრდა გეოლოგს:

— იცით რა უნდა გითხრათ, აშოტ სტეპანოვიჩ, მე მეშინიან, რომ თქვენი აქტიური მოქმედებით ინიციატივას ჩაუხშობთ ჩემს მოწაფეებს.

— როგორ?—გაიკვირვა გეოლოგმა.—განა შეიძლება გეოლოგიური ძიების განხორციელება გამოუცდელი ბიჭების ინიციატივით?

— გეოლოგიურ ძიებას თქვენ ჩაატარებთ, ცხადია. მაგრამ, თუ შეიძლება, ჩვენს ნორჩ ნატურალისტებს მიაღებინეთ მონაწილეობა თქვენს მუშობაში—ასე ბევრ რამეს შეისწავლიან. გარდა ამისა, როგორც პედაგოგმა, უნდა გითხრათ. ერთი მნიშვნელოვანი გარემოების შესახებ. მოსწავლეებმა ხელი მოჰკიდეს მეტად სერიოზული და საიდუმლოებით მოცული ამოცანის გადაწყვეტას, და ისე არიან გატაცებული ამით, რომ თუ მათ წავართმევთ ინიციატივას, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩავაქრობთ იმ ცეცხლს, რომელიც მათ ასე სწვავს. წარმართეთ მათი მუშაობა, მაგრამ შეუმჩნეველად. მე და კოლმეურნეობის თავმჯდომარე დიდიხანია ასე ვმოქმედებთ და შედეგებიც საუცხოოა.

— მესმის, ვეცდებით, ჩვენც ასე ვიმოქმედოთ,—დაეთანხმა გეოლოგი.

საუბრით გართულნი პაპა ასატურის სახლს მიადგნენ. თითქმის მათთან ერთდროულად მივიდნენ ნორჩი ნატურალისტებიც.

მოხუც ასატურს უცხო პირების დანახვაზე გული აუტოკდა. (ამის მიზეზი მარტო წიგნის ავტორისა და მკითხველებისათვის არის გასაგები. რაც შეეხება სოფელ ლჭავანის მცხოვრებთ, მათ ჯერ არაფერი იციან განძის აღმოჩენის შესახებ).

— ნარგიზ, ერთი გაიხედე, ვინ არიან? რა უნდათ?...—მიმართა მან ცოლს,—ის ორი მგონი რაიონიდან უნდა იყოს ჩამოსული.

ნარგიზი უკვე ეზოში იყო და შვილიშვილს, კამოს ეხვეოდა.

— შენი თვალების ჭირიმე, ბებია რად დაივიწყე? რამდენი ხანია აქეთ აღარ გამოგივლია!

როცა მოხუცმა ასატურმა გაიგო არამ აკოფიანისა და სტუმრების მოსვლის მიზანი, დამშვიდდა და უთხრა:

— ჰო, მართალია, სულმნათი ჩემი ნათლია მუქელიც ამბობდა, რომ აქ ოდესღაც დიდი წყალი ყოფილა და მერე გიჟი მთის მიდამოებში დაკარგულა... მაგრამ, როდის, რა დროს—ეს არავინ იცის. ჩვენ მამაპაპათაგან მხოლოდ ერთი ლეგენდა შემოგვრჩენია. ეს ლეგენდა გადმოგვცემს, რომ ერთ დროს ხალხს ჰქონია წყალი, მაგრამ იგი „ვეშაპს“ წაურთმევია...

— ლეგენდა წყლის შესახებ არა? ეგ ლეგენდა თქვენ იცით?—დაინტერესდა ახალგაზრდა გეოლოგი.

— ვიცი, როგორ არ ვიცი, ბავშვობისას ბებიამ მიამბო,—პაპა ასატურმა კმაყოფილებით წვერზე ხელი გადაისვა.

— გვიამბე, პაპა, გვიამბე იქნებ გამოგვადგეს.

პაპა ასატური სკამზე ჩამოჯდა და როგორც ყოველთვის, სანამ ამბის მოყოლას დაიწყებდა, თავისი საყვარელი ჩიბუხის თამბაქოთი დატენვას შეუდგა. ყველანი გარს შემოეხვივნენ მოხუცს მონადირეს.

ლეგენდა წყლის შესახებ

— ამბობენ, რომ,—დაიწყო პაპა ასატურმა.—ძველ დროში ყოფილა ქვეყანა, სადაც თურმე მგელი და კრავი ერთად სძოვდნენ. მთებიდან საკმაოდ დიდი მდინარე მოჩუხჩუხებდა და მინდორ-ველებს რწყავდა. ირგვლივ ყველაფერი მწვანით იყო დაფარული. ამ დროს არც მდიდარი ყოფილა, არც ღარიბი, ყველა ერთნაირად სარგებლობდა წყლითა და ღვთისაგან ბოძებული დოვლათ-ბარაქით...

ადამიანმა არ იცოდა რა იყო გაჭირვება. ყველა თავისი შრომით ცხოვრობდა, წამრთმევ-წამგლეჯი არავინ იყო, მთის წყლით მორწყულ ქვაზეც კი ბალახი ამოდიოდა.

მაგრამ ერთ ზაფხულს, სიცხე-პაპანაქებაში ხალხმა შეამჩნია, რომ წყალი თანდათან კლებულობდა. როცა ისე იკლო წყალმა, რომ ყველას ყანებს აღარ გასწვდა, მაშინ ვინც ღონიერი იყო, წყალიც იმან მიითვისა... ამგვარად, ვის მფლობელობაშიც წყალი გადავიდა, მისი მოსავალიც გაიზარდა და თვითონაც გამდიდრდა. პირიქით, ვისაც წყალი არ ერგო—ის გაღატაკდა. ამის შემდეგ მდიდრები დაეუფლნენ წყალს და ბუნების ეს სიკეთე საწყალ ხალხს აღარ დაუთმეს.

საწყალი ხალხის ყანები გახმა-გადაიტრუსა. ხალხმა დუხჭირი ცხოვრება ვეღარ აიტანა და წინ აღუდგა მდიდრებს. მაშინ შეძლებულებმა იარაღი აასხეს მსახურებს. წყაროებთან დააყენეს მცველებად და უბრძანეს, ღარიბ-ღატაკნი წყალთან არ გაეკარებინათ. „თქვენი წილი წყალი,—უთხრეს მათ ხალხს,—სადღაც გზაში იკარგება, წადით და გაიგეთ ვინ იტაცებს მას...“

ხალხმა აიღო ბარები, ლომები, წერაქვები და მთისკენ გაეშურა. აქ მათ თავიანთი თვალით იხილეს, რომ წყალი წინანდებურად შხუილით ეხეთქებოდა კლდეებს, შედიოდა შიგ და იქიდან კი ძალზე დაკლებული, ვიწრო ნაკადად გამოდიოდა. დაიწყეს კლდეების მონკრევა, ხომ უნდა გაეგოთ სად იკარგებოდა წყალი? მთელი კვირე-

ები, თვეები გავიდა და ბოლოს ერთ უზარმაზარ გამოქვაბულს მიაგნეს. ადიდებული წყალი სწორედ იმ გამოქვაბულში შედიოდა შხუილით, იქიდან კი, როგორც მოგახსენეთ, ძალზე დაკლებული გამოდიოდა. ხალხის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა საბოლოოდ მიაგნო წყლის დაკლების მიზეზს. ამ გამოქვაბულში ბნელოდა, ხალხმა გრძელ ლატნებზე ნავთიანი ჩვრები წამოაცვა და შიგ შეანათა, მაგრამ ვაი იმ სურათს, რაც მათ თვალწინ დაუდგათ: გამოქვაბულის ბოლოში უზარმაზარი, ხახადაღებული ვეშაპი იჯდა... ვეშაპი ყლაპავდა მდინარეს, პირიდან კი ძალზე ცოტა წყალს უშვებდა...

ხალხი ხედავდა, რომ რაც მეტ წყალსა ყლაპავდა ვეშაპი, მით უფრო იზრდებოდა.

ვეშაპმა, როგორც კი ხალხი დაინახა, თვალებიდან ცეცხლი გადმოაფრქვია და დაიღრიალა: „მომშორდით, თორემ ყველას გადაგყლაპავთო...“

საწყალი ხალხი გზააბნეულივით გაშორდა იქაურობას. უკანიდან საზარელი გრიალი მოესმათ, მიბრუნდნენ და დაინახეს: ვეშაპი უზარმაზარი ლოდებით კეტავდა გამოქვაბულის შესავალს...

ამის შემდეგ ხალხმა ვეშაპის ძეგლი აღმართა მთებში, მას სამღვთოს უკლავდნენ ყოველ წელიწადს, ეხვეწებოდნენ, რომ პირიდან ცოტა მეტი წყალი გამოეშვა...

და მას შემდეგ, ხალხი იმედს არ კარგავს, ის დარწმუნებულია, რომ მოვა დრო, როცა საწყალი გლეხობა ისე მოღონიერდება, რომ სამღვთოს აღარ დაუკლავს, არამედ მთას ააფეთქებს, ვეშაპს თავს გაუჭეჭყავს და წყალს გაანთავისუფლებს ხალხის საბედნიეროდ...

მოხუცმა მონადირემ ისე ცოცხლად უამბო ლეგენდა, რომ ჭაბუკებმა გაიფიქრეს—ვაი თუ მართლა ვეშაპი ცხოვრობს მთის კლდის ნაპრალებში და სოფელ ლჭავანის წყალიც მას უნდება დასალევადო.

— წავიდეთ, ვიპოვოთ ვეშაპი და თავი გავუჭეჭყოთ,—წამოიძახა კამომ, რომელიც ამხედრებული იყო ვეშაპის წინაღმდეგ.

გეოლოგმა აშოტ სტეპანოვიჩმა გაიღიმა და უთხრა:

— ამ ლეგენდის დედააზრი უფრო ღრმაა. ოქტომბრის რევოლუციამ ვეშაპს უკვე გაუჭეჭყა თავი და ხალხის ცხოვრების, ხალხის ბედნიერების წყაროც ააზვირთა. ხოლო ეს ლეგენდა სხვა რამესაც გადმოგვცემს, სახელდობრ იმას, რომ ოდესღაც ამ მიდამოებში წყალი ყოფილა და გამქრალა. ჩვენი მიზანია ვეძიოთ მანამდე, სანამ მივაგნებდეთ მას...

— მაშასადამე,—დაუმატა მასწავლებელმა,—ეჭვს გარეშეა, რომ წყალი გიჟი მთის შუაგულში ყოფილა დამალული. ამ წყლის ნიშნები შემონახულია როგორც ქვებზე, ისე ადამიანთა გულებში... პაპა ასატურის მიერ მოთხრობილი ლეგენდის აზრი მარტივი და გასაგებია, ეს შუქს ჰფენს თქვენს მიერ ნაპოვნ სარდალ არტაკის და ურარტუელი სარდურ მეფის წარწერებს ძველი არხის შესახებ... მოდით, ყველა გაერთიანებული ძალით შევუდგეთ დაკარგული წყლის ძებნას...

მწვანე ხალი

გეოლოგები ჩვენს ნორჩ ნატურალისტებთან და კოლმეურნეებთან ერთად გიჟ მთაზე ავიდნენ. აქ მათ გულმოდგინედ დაათვალიერეს მთის ყველა ციცაბო, მისი ნაპრალები და ხეობები, მაგრამ წყლის კვალს ვერ მიაგნეს.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბაგრატმა, მასწავლებელმა არამ აკოფიანმა და კოლმეურნეობის სამშენებლო ბრიგადის წევრებმაც მთის ყველა ფერდობი შემოიარეს და გაფაციცებით ზვერავდნენ იქაურობას, მაგრამ ამაოდ, წყლის ნიშანი არსად ჩანდა...

სადაც კი რამდენიმე გამხმარი ლერწამი ან მწვანე ბუჩქი შეხვდათ, ირგვლივ მოთხარეს, მაგრამ წყალი მაინც არ აღმოჩნდა და არა...

ერთხელაც, როცა დაღლილ-დაქანცულმა ბიჭებმა გეოლოგებთან ერთად შინ დაბრუნება განიზრახეს, არმენმა გიჟი მთის ერთ ფერდობზე, შავ კლდეებზე საკმაოდ მაღლა, რაღაც მწვანე ხალი შეამჩნია.

— ბიჭებო, იქ უეჭველად წყალი უნდა იყოს,—თქვა აშოტ სტეპანოვიჩმა.—უწყლოდ ამ ციცაბო კლდეებზე ბალახი ვერ იხარებდა.

— წყალი რომ ყოფილიყო, გამოჩნდებოდა, იქ სულ პატარა ადგილია, ერთი ცხვირსახოცისოდენა, თუ იქნება,—შეესიტყვა კამო.

— მე იმას კი არ ვამბობ, რომ იქ წყაროა, არა, მაგრამ მაგ ცხვირსახოცისოდენა „მინდორსაც“ ხომ საიდანღაც წყალი უნდა ასაზრდოებდეს.

— თქვენ რომ გიყურეთ, საღამომდე ივლით და მშიერს მომკლავთ,—უკმაყოფილოდ წარმოთქვა გრიქორმა.—პაპაშენის თოფი მაინც წამოგეღო, კამო, იმ ქორს მაინც მოვკლავდით...

— მოითმინე, გრიქორჯან! წყალს თუ ვიპოვით ფერმიდან ერთ კარგ მსუქან ბატს გაჩუქებთ.

— მერე, ნებას მომცემთ, რომ მარტო მე შევსანსლო.

— მარტო შენ.

— მაშ, დაჰკა ხელი!

კამომ გრიქორს ხელი გაუწოდა.

— აბა, ბატი მოამზადე: იქ ნამდვილად წყალია, ვერ ხედავ იმ ზურმუხტოვან მწვანეს?..—და კოკლობით ფერდობისაკენ გაემართა.

ბიჭები ავიდნენ „მწვანე ხალთან". ის წარმოადგენდა ნოხისოდენა მწვანე ფართობს, რომელიც დაფარული იყო ხშირი ზურმუხტოვანი ბალახით.

გრიქორი დაწვა და ყური მიწაზე დაადო.

— რას შვრები? ადექი, ამოვთხაროთ,—უთხრა კამომ.

— სსს!—გრიქორმა თითი ტუჩებზე მიიდო, გაჩუმდითო.

ცოტა ხნის შემდეგ გრიქორმა თქვა:

— სსს... მცენარეების ფესვები წყლით გრილდებიან და თანაც ბეტბუტებენ:—„რა კარგია, რა მშვენიერია..." ახლა მოთხარეთ...

ბარით და წერაქვით ბიჭებმა მოთხარეს „ნოხის" შუაგული, ქვეშ ტალახი აღმოჩნდა.

— წყალი!.. შენი სიტყვის პატრონი ხარ, თუ არა?—წამოიძახა გრიქორმა და ბარით ტალახი ამოაგდო,—მივიღებ ბატს?

— ვნახოთ რა წყალი იქნება. ეს თუ ის დაკარგული წყალია, რომელიც ველ-მინდვრებს რწყავდა, რაღა მეთქმის, ბატს მიიღებ და სხვა ჯილდოებსაც. ყველანი მივიღებთ როგორც კოლმეურნეობიდან, ისე მთავრობისაგანაც. მაგრამ თუ ჩვეულებრივი წყაროა, მაშინ ამ სიშორიდან ჩვენ რას გვარგებს?

ბიჭებმა თონისოდენა ორმო ამოთხარეს და წყლის სათავეს მიაგნეს. მაგრამ ის პატარა წყარო იყო, რომელიც მთის ნაპრალებში ჟონავდა და იკარგებოდა...

— ამ წყაროს,—თქვა ამოტ სტეპანოვიჩმა,—ეჭვი არ არის, აქვს თავისი წყალსაცავი, საიდანაც იკვებება. ის აქ სადღაც, მიწის ქვეშ არის, მაგრამ მას სარდურ მეფის დროინდელ დაკარგულ წყალთან არაფერი საერთო არა აქვს. იგი იმდენად პატარაა, რომ აქედან წყალი სოფლამდე ვერ მიაღწევს...

ბიჭები, დაღლილნი და გულგატეხილნი, იდგნენ ამოთხრილ ორმოსთან და უყურებდნენ თუ როგორ ნელ-ნელა ივსებოდა იგი წყლით.

— თქვენ აქედანვე შეგიძლიათ სოფელში დაბრუნდეთ,—მიუბრუნდა ბიჭებს აშოტ სტეპანოვიჩი.

ეს იმას ნიშნავდა, რომ ამ დღეს მათთან მუშაობა მან უკვე დაამთავრა და ისინი თავისუფლები იყვნენ.

ბიჭები წყაროს გაშორდნენ და კლდის ჩრდილში წამოწვნენ. ისე იყვნენ დაღლილები და იმედგაცრუებულნი, რომ ხმა-კრინტი აღარ ამოუღიათ, ძილი მოერიათ.

ერთმა-ორმა საათმა გაიარა.

ბოლოს კამო წამოდგა.

— წავიდეთ ბიჭებო, ჩვენი ახალი წყაროს წყალი შევსვათ, ხელპირი დავიბანოთ და სოფლისკენ გავწიოთ.

— წავიდეთ,—დაეთანხმნენ ამხანაგები.

ისინი წყაროსთან დაბრუნდნენ. ორმო წმინდა, ანკარა წყლით გავსებულიყო და ზედაპირზე გადადიოდა.

პირდაპირ, ქვაზე კაკაბი გამოჩნდა. კისერი წაეგრძელებინა და მზისგან ალაპლაპებულ წყალს დაჰყურებდა.

— ბიჭებო, ჩვენ ალალბედად დიდი საქმე გაგვიკეთებია,—წამოიძახა არმენმა.—კაკბებს წყალი ვუშოვეთ.

— მარტო კაკბებს კი არა, ქორ-მიმინოებსაც, ყვავებსაც,—დაცინვით დაუმატა გრიქორმა.

კამო დუმდა.

საღამოს, როცა სოფელში დაბრუნებული ბიჭები პაპა ასატურთან მივიდნენ და აღმოჩენილი წყაროს შესახებ უამბეს, მოხუცს ისე ესიამოვნა, რომ ყველანი სათითაოდ გადაკოცნა.

— თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, თუ რა დიდი საქმე გააკეთეთ,—წამოიძახა მოხუცმა,—თქვენ განადგურებას გადაარჩინეთ გიჟი მთის გარეული თხები...

— როგორ თუ „გადავარჩინეთ“?—გაუკვირდა კამოს,—ისინი ხომ წყურვილით არ იხოცებიან? შენ ხომ გვეუბნებოდი, მათ შეუძლიათ დღეში ასი კილომეტრი გაიარონო!

— საქმეც ის არის, რომ „შეუძლიათ“.. როცა მოწყურდებათ, წავლენ და შეიძლება აღარც დაბრუნდნენ. მაშინ გროშად აღარ ღირს მონადირე ასატური თუ გიჟ მთას აღარ ეყოლება ასეთი ლამაზი ცხოველები.

არმენი, რომელსაც უყვარდა ყოველივე ლამაზი, მაშინვე მიუხვდა, თუ რის თქმა უნდოდა მოხუცს. გრიქორმა კი თავისებურად გაიგო მისი სიტყვები.

— რასაკვირველია,—თქვა მან,—პაპა ასატური უმწვადოდ დარჩება.

— განა მწვადშია საქმე, შე ჩერჩეტო!.. გინახია როდესმე გარეული თხები, რომლებიც ერთი მეორის მიყოლებით მიდიან ქედზე? თქვენი თვალით უნდა ნახოთ ეს, მაშინ მიმიხვდებით. აშუღები თავიანთ სიმღერებში ლამაზ ქალიშვილებს ტყუილად კი არ ადარებენ გარეულ თხებს,—ამბობდა მოხუცი.—დიახ, კამოჯან, თქვენ დიდი და სასარგებლო საქმე გააკეთეთ, ყოჩაღ თქვენ! ახლა ისღა დაგრჩენიათ მთაზე ქვის მარილი აიტანოთ და წყაროსთან დადოთ.

— მარილი?.. რისთვის?

— იმისთვის, რომ თხებმა მარილი ლოკონ, წყალი სვან და ზეცას თქვენთვის დიდი ხნის სიცოცხლე სთხოვონ.

არმენმა კინაღამ გადაკოცნა მოხუცი: რა კეთილია ეს ჩვენი პაპა!.. დღემდე კი ბიჭებს ეგონათ, რომ პაპა სანადიროდ მარტო იმისთვის დადიოდა, რომ ნადირი მოეკლა და ხორცი ეშოვა.

— კარგი, პაპა, გავაკეთებ,—დაპირდა კამო.—დილაზე ქვამარილი წყაროსთან იქნება. მაგრამ არ ვიცი, მარილი გვაქვს, თუ არა?

— ჩვენა გვაქვს, მე მოვიტან,—შეპირდა გრიქორი.

— აი იცოცხლეთ, მაგით თქვენ ნადირს სამუდამოდ გიყი მთის მიდამოებში დატოვებთ...

მეორე დღეს, დილაადრიან, როცა კამომ ქვამარილი აიტანა წყაროსთან, ნახა რომ რამდენიმე კაკაბი წყალსა სვამდა და მაღლა იხედებოდა. კამოს გაეღიმა. „ზეცას ჩვენთვის დიდი ხნის სიცოცხლეს თხოვენ“,—გაიხსენა მან პაპას სიტყვები.

სიცოცხლე ოაზისის იერგვლივ

წყაროსთან ქვა-მარილის ატანიდან რამდენიმე დღის შემდეგ მონადირე ასატურმა ბიჭები დაიბარა.

— აბა გამომყეთ, თქვენს მიერ აღმოჩენილ წყაროსთან რამე უნდა გიჩვენოთ.

— რა, პაპა, გვითხარი?

— წამოდით, თქვენ თვითონვე ნახავთ.

— ჰასმიკი წამოვიყვანოთ?—ჰკითხა კამომ.

— დღეს ის ცუდ გუნებაზეა, წუხელ კატას ერთი წიწილა მოუტაცნია,—აცნობა არმენმა.

— როგორ თუ კატას?.. იმ კატას თავი ხომ არ მოსძულებია?.. რატომ მე არ მაცნობეთ, რომ ტყავი გამეძრო!—აღშფოთდა მოხუცი და ხელი ხანჯალზე იტაცა.

— წავიყვანოთ, ცოტა გუნება გაეხსნება,—თქვა კამომ.

არმენი მეფრინველეობის ფერმაში წავიდა. გზად გუბურასთან შეჩერდა, შიგ ჩაიხედა, ტალახი ისე გამხმარიყო და დახეთქილიყო, რომ მთელი ქათამი ჩაძვრებოდა.

— ნეტა როდის აივსება?.. ნეტა ჩვენ ფრინველებს გუბურაში ცურვა თუ ეღირსებათ?—ნაღვლიანად გაიფიქრა არმენმა.

ჰამსიკი რაღაც მრგვალ საგანში სათითაოდ აძვრენდა ფრინველებს, საიდანაც გაწკეპლულნი გამოდიოდნენ, ფრთებს იბერტყავდნენ და მერე ეზოში გარბოდნენ.

— აბანავებ?—შეეკითხა არმენი.

— არა, ტილების საწინააღმდეგო წამალს ვუკეთებ... უწყლობის გამო საწყლებს ტილები დახვევია, მოსვენებას არ აძლევენ,—ნაღვლიანად უპასუხა ჰასმიკმა.

— წამოდი მთაზე, ჩვენს ნაპოვნ წყაროზე.

— წყაროზე?.. წყალი აქამდე მოაღწევს?

— არა, ის მხოლოდ გარეული ცხოველებისათვის არის... წავიდეთ!

ნორჩი ნატურალისტები და პაპა ასატური შუადღისას უკვე შავი კლდის მწვერვალებზე იყვნენ. ისინი მალულად მივიდნენ წყაროსთან, ერთ კლდეს ამოეფარნენ და იქიდან დაუწყეს მზერა.

— აგერ, კაკაბი მოდის თავისი ბახალებით...—ბავშვური აღტყინებით წამოიყვირა ჰასმიკმა და, კამოს რომ არ შეეჩერებინა, ტაშის შემოკვრას აპირებდა...

კაკაბი ქვიდან ქვაზე ხტომით წყაროსკენ ეშვებოდა. მას უკან მისდევდნენ ნაცრისფერი პატარა ფრინველები...

— თორმეტი ბახალა ჰყავს... სწორედ ერთ ჯერზე შესასაბსლი,—წამოიძახა გრიქორმა.—პაპა, ესროლე!

მოხუცმა შეუბღვირა.

როცა კაკაბმა და მისმა პაწაწკინა ბარტყებმა წითელი ნისკარ-

ტებით გამაგრილებელი წყლის სმა დაიწყეს, არმენმა აღფრთოვანებით წამოიძახა:

— განა ასეთ არსებას მოკლავენ?..

მოხუცმა მონადირემ მაშინ გასცა პასუხი, როცა კაკაბი და მისი ბახალები წყლით გაძღნენ და ქვებსა და ბალახებში მიიმალნენ.

— მონადირე ასატური უკვე სამოც წელზე მეტია, რაც ნადირობს. მაგრამ ამ ხნის განმავლობაში მას არც დედა მოუკლავს, არც მისი შვილი...

— გაგებული მაქვს. რომ როცა მონადირე ნადირს დაინახავს, ყველაფერი ავიწყდება. პაპა, ნუთუ არასოდეს არ მოგიკლავს დედა ან მისი პატარა შვილი?—შეეკითხა კამო.

— მართალი გითხრათ, ერთხელ ახალგაზრდობაში, ერთი დედა მოვკალი. მოვკალი, მაგრამ შემდეგ ძალზე ვინანე. ერთხელ გარეული თხა შემომეფეთა თავისი ჩვილი ციკნით. ვიფიქრე, დედას მოვკვლავ, ციკანს კი სახლში წავიყვან და მოეაშინაურებ-მეთქი. ციკანი ერთი დღისაც კი არ იქნებოდა. ჩავუსაფრდი. დედას ვესროლე—ნეტა ხელი გამხმობოდა! წაიქცა და საცოდავად ამოიკვნესა. ციკანმა დედა დაწოლილი რომ დაინახა, იფიქრა ძუძუ უნდა მომაწოვოსო, მივარდა, ძუძუს თავები პირში ჩაიდო და ვერ წარმოიდგენთ როგორი გამალებით დაუწყო წოვა... ამ სურათის დანახვაზე გული ამიჩუყდა. ავქვითინდი, თითქოს თავზე ცეცხლი გადამაყარესო. ველარ მოვითმინე და სახლისაკენ გავწიე, რომ ობლად დარჩენილი ციკანი და მომაკვდავი დედა აღარ დამენახა...

მოხუცს თვალებზე ცრემლი მოადგა, ხმა აუთრთოლდა...

— საწყალი ციკანი...—წაიჩურჩულა ჰასმიკმა.

— იმ დღიდან მოყოლებული აღარც დედა მომიკლავს და არც მისი პატარა შვილი... ჩუმად, სიცხემ უკვე დააჭირა და ახლა საცაა გარეული თხები წყლის დასალევად მოვლენ. მოდით ერთი ახლო მივიდეთ და ვნახოთ, წყალს და მარილს მიაგნეს თუ არა?—წყაროს, რომ მიუახლოვდნენ, მოხუცს სახე გაუნათდა...

— მიუგნიათ,—ამაყოფილებით წარმოთქვა მან,—უყურეთ მარილი როგორ ულოკიათ. პირდაპირ გაუპრიალებიათ.

წყაროს ირგვლივ თხის ფეხების ნაკვალევიც ჩანდა.

— რამდენი ყოფილა!..—გაიკვირვა ჰასმიკმა.

— იქნება კოლმეურნეობის ცხვრის ფარამ გაიარა,—დაეჭვდა კამო.—ნუთუ ამდენი გარეული თხა იქნებოდა?

მოხუცმა ულვაშებში ჩაიცინა.

— ამ მთებში ერთხელ ორასი თხა ერთად ვნახე... მთის ფერდობს შინაური ცხვრის ფარასავით მოჰფენოდნენ... ამ მიდამოებში არც ადამიანი არის და არც შინაური ცხოველი. აქ რაც შეგხვდებათ, სულ გარეულია. წავიდეთ, გარეული თხები დილა-საღამოს დადიან წყლის დასალევად, მაგრამ შუადღისასაც მოდიან ხოლმე პაპანაქება სიცხეში, მეტადრე მარილის სუნს როცა შეიგრძნობენ...

— მარილსაც სუნი აქვს?—გაიკვირვა გრიქორმა.

— ისიც როგორი... ბალახის მძოველი გარეული ცხოველი მარილისთვის გიჟდება, პირდაპირ ავად ხდება. მარილუკმელი ნადირის ხორცს არავითარი გემო არა აქვს...მაშ რა გგონიათ... გარეული თხა შორიდან მარილის სუნს უფრო მალე იგრძნობს, ვიდრე აყოლებული ლეშისას.

— მგელი კი ლეშის სუნს უფრო მალე იგრძნობს, ვიდრე მარილისას,—შენიშნა გრიქორმა.

— ყოჩაღ! მართალი ხარ...

ყველანი უმალ უზარმაზარ ლოდს ამოეფარნენ.

— ეს კარგია, რომ ქარი აქეთ უბერავს, ჩვენს აქ ყოფნას ვერ შიხვდებიან... რა მშვენიერი წყარო ამოგითხრიათ, გაიზარდეთ, იცოცხლეთ წყაროსავით დიდხანს, დიდხანს იცოცხლეთ,—დალოცა მოხუცმა და სიამოვნებით გადახედა „მწვანე ნოხზე“ მოელვარე წყლის სარკეს...

მართლაც, ირგვლივ ჩამკვდარი ბუნების ფონზე, წყარო პირდაპირ სიცოცხლის მომნიჭებელი იყო.

გიქი მთის ყველაზე ღამაზი მობინადრენი

ისინი ჩასაფრებულები იყვნენ და გარეული თხების მოსვლას ელოდებოდნენ. მართალია ძალიან ცხელოდა, მზე სწვავდა არემარეს, მაგრამ მაინც ითმენდნენ. ირგვლივ კალიები დახტოდნენ, ხანგამოშვებით კი შორიდან გაისმოდა გილის „ურჩხულის“ საზარელი ხმა:

„ბუყ, ბუყ, ბუყ...“

უცებ ქვებზე მსუბუქი ბაკუნი გაისმა. მოხუცმა ტუჩებზე თითი შიიდო და ყური მიუგდო. მერე თავის შეუმჩნეველი გაქნევით წყა-

როსკენ მიახედა ჯაბუკები, კლდის მოსახვევისაკენ მიუთითა და გაუ-ლიმა.

ჰასმიკს გაკვირვებისაგან თვალები გაუფართოვდა და ის იყო, დაიყვირებდა კიდეც, რომ კამოს დროზე არ მოესწრო და პირზე ხელი არ მიეფარებინა.

ხევის იქითა მხარეს, მოპირდაპირე კლდის თავზე, ლურჯ ჰორიზონტზე ქარქაშში ჩაგებული ხმლის მსგავსი წყვილი მოღუნული და წვეტიანი დიდრონი რქები გამოჩნდა... ეს დიდი, მამალი თხა იყო. წინა ფეხებით ქვაზე შემდგარიყო, თავი მედიდურად მოეღერებინა, გეგონებოდათ ხელთუქმნელი ძეგლი ყოფილიყო.

დიდხანს გაუნძრევლად ათვალიერებდა წყაროს მიდამოებს, მერე დრუნჩი მაღლა ასწია, ჰაერი უხვად შეიყნოსა, დინჯად ჩამოვიდა თავისი კვარცხლბეკიდან და ქვებს მიეფარა.

— ნახეთ?—აღელვებით ჩასჩურჩულა მოხუცმა,—ეგ მზვერავი იყო. წავიდა ამხანაგებს შეატყობინოს, რომ „საშიში არაფერია და მოდითო“.

— რატომ არ ესროლე,—უკმაყოფილოდ შეეკითხა გრიქორი,—რა სამწვადე გავუშვით ხელიდან?..

მოხუცმა მკაცრად გადახედა.

— რა ვერაგი ხელი უნდა იყოს, რომ ასეთ ცხოველზე იარაღი აღმართოს,—უსაყვედურა მოხუცმა.

— რატომ, რა იქნებოდა?

— როგორ თუ რატომ?.. ამხანაგების გულისთვის მან თავი განსაცდელში ჩაიგდო... აქ რომ ჩასაფრებული ყოფილიყო მონადირე, ბგელი ან ჯიქი, ხომ მათი პირველი მსხვერპლი უნდა გამხდარიყო... ბაშ!.. ეს ყველაფერი მან კარგად იცოდა, მაგრამ მაინც პირველი ამოვიდა და ამხანაგებს გზა გაუკაფა... რას ფიქრობ, რა ვერაგი ხელი უნდა იყოს, რომ ასეთ ცხოველზე იარაღი აღმართოს,—გაიმეორა პაპამ აღშფოთებით.

იმ მხრიდან, საიდანაც მზვერავი გამოჩნდა, უცებ აუარება თხებმა ამოყვეს თავიანთი წვეტიანი რქები, ჯერ მოკრძალებით, მერე კი ხტუნვა-კუნტრუშით გამოექანენ წყლისა და მარილისაკენ. ყველანი ხარბად დაეწაფნენ ცივ, გამაგრილებელ წყაროს წყალს და თან მარილს დაუწყეს ლოკვა. ზოგ თხას კისრიდან კუდამდე გრძელი, მუქი ზოლი დაუყვებოდა, ზოგს კი ეს ზოლი ქამარივით ჰქონდა მუცელზე

ან ყელზე შემორტყმული, ისინი შინაურ თხებთან შედარებით უფრო მოზრდილი, ლამაზი და მაგარი აგებულებისანი იყვნენ.

არმენი, მათი მზერით დამტკბარი, ფიქრობდა: „შინაურ თხებთან შეჯვარებით რა მშვენიერი ჰიბრიდის მიღება შეიძლება ამათგანო“..

დალიეს, ალოკეს მარილი, თავი მაღლა ასწიეს და მიიხედ-მოიხედეს, იქაურობა დაზვერეს, ხომ არავინ დაგვინახო ან ხომ არავინ არის ჩასაფრებულიო და იმავე გზით გაინავარდეს...

გარეული ცხოველი წყალთან დიდხანს არ ჩერდება. მიუხედავად იმისა, რომ წყაროსთან მწვანე ბალახი ხიბლავდა მათ (მაისის შემდეგ ასეთი მწვანე ბალახი არ ენახათ), მაინც არც ერთი არ დაღუნულა და ერთი ღერიც კი არ მოუგლეჯია. მათ ინსტინქტით იციან, რომ წყალთან დიდხანს დარჩენა სახიფათოა...

გარეული თხები ისე გარბოდნენ, თითქოს ფეხებით ციწას არ ეხებიანო, თითქოს ჰაერში მიცურავენო...

თხის ფარის წასვლის შემდეგაც ჭაბუკებისათვის უკვე ცნობილი მზვერავი იმ კვარცხლბეკზე იმდენხანს იდგა, ვიდრე მისი ამხანაგები საამშვიდობოზე არ გავიდნენ. შემდეგ თვითონაც მიიმალა.

ბიჭებმა თავისუფლად ამოისუნთქეს.

— შენ კი ჩამჩიჩინებდი ესროლეო, — კვლავ უსაყვედურა გრიქორს მოხუცმა.

— კარგი, ხომ შეგეძლო სხვა მოგეკლა, განა წყალთან ცოტა იყო თავმოყრილი? — უთხრა კამომ.

— წყლის დალევის დროს ცხოველს არ ესვრიან, ცოდოა, — დაარიგა პაპამ. — ამბობენ, გველი რომ გველია, ისიც კი წყლის სმის დროს არავის უკბენსო... ასეა ჩემო კარგებო. მონადირე სისხლს ღვრის, მაგრამ მასაც აქვს სინდისი.

— საინტერესოა, პაპა, რატომ იყო, რომ ყველა მამალი თხა მოვიდა. არც ერთი დედალი ან ციკანი არ ერია მათში?—ჰკითხა არმენმა.

— მართლაც, თითქოს განგებ მარტო მამლები იყო,—დაინტერესდა ჰასმიკიც.

მოხუცმა ცბიერად გაიღიმა და წვერებზე ხელი გადაისვა.

— შარშან გილის პირას რა გითხარით, აღარ გახსოვთ?.. მაშინ რომ გეუბნებოდით, ეკვი შეგეპარათ, ახლა ხომ დარწმუნდით ჩემს ნათქვამში?..

— მამალი თხები როდემდე დადიან დედალ თხებისგან განცალკევებით?—შეეკითხა არმენი.

— ივნისიდან დეკემბრის პირველ რიცხვებამდე. მერე ერთმანეთში აირევიან და მაის-ივნისამდე ერთად არიან, სანამ ციკნები დაიბადებიან. როგორც კი ციკნები დაიბადებიან, ცოტა მომჯობინებას შემდეგ, დედები თავიანთი ციკნებით გამოეყოფიან მამლებს და გაშორდებიან.

„ვინ ჰყოფს მათ ერთმანეთისაგან ან ვის უსაზღვრავს დროს!“—ფიქრობდა არმენი.

— სსს...—ჩურჩულით ანიშნა მოხუცმა და ხელი ტუჩებზე მიიდო. იმ ქედზე, რომელსაც თხები მოეფარნენ, კვლავ გამოჩნდა უზარმაზარრქებიანი დიდი თეთრი თხა, რომელიც მოზრდილ მოზვერს არ ჩამოუვარდებოდა. მალე თხა უკან გაბრუნდა. მოხუცი ისე იყო აღელვებული და გაფითრებული, რომ ტყავში ვეღარ ეტეოდა...

— ნახეთ, ნახეთ,—იმეორებდა ის.—ეგ თხა თორმეტი წლისა მაინც იქნება. რქები ორი არშინი გამოვიდოდა თითონ კი ხუთ-ექვს ფუთამდე აიწონიდა...—ჩურჩულებდა აღელვებული მოხუცი.

— რით მიხვდი, თუ რამდენი წლისაა ეგ თხა,—ჰკითხა კამომ.

— რქებზე რომ რგოლები მისდევს—ყოველ წელიწადს თითო ემატება.

— თეთრი რატომ იყო?

— ჩემსავით მოხუცია და იმიტომ,—მიუგო პაპამ და თავის თეთრ წვერზე მიუთითა.—ჩუმად, ბავშვებო, ახლა მეორე ფარა მოდის წყლის დასალევად...

— მაგათგან მაინც მოკალი ერთი,—შეეხვეწა გრიქორი პაპა ასატურს.

— აკრძალულია,—მოკლედ მოუჭრა სიტყვა მოხუცმა.

უცებ ჯოგის ფეხის ხმა გაისმა და მზვერავი თხის წინამძღოლობით წყაროს შემოესია ახალი ფარა. ესენი ქერა-მეწამული ფერისა იყვნენ, მათი ფერი კლდეებისაგან არაფრით არ განსხვავდებოდა...

როგორც კი თხებმა წყალი დალიეს და წავიდნენ, ხეობიდან ხმაური მოისმა. ბუჩქებიდან გამოხტნენ წვრილკისერა პატარა. სუსტფეხებიანი ლამაზი აგებულების ცხოველები, რომელთაც პატარა წვეტიანი რქები ჰქონდათ.

— უი, შვილები,—ჩუმად წარმოთქვა ჰასმიკმა და გული აუთრთოლდა...

— სსს, ეგენი დედა თხებია,—გაუსწორა პაპა ასატურმა.

წინამძღოლმა თხამ ჩურჩული გაიგონა, დაეჭვდა, შეჩერდა... განგაშით გზა გადაუჭრა თავის ციკნებს და ახლობელ ბუჩქნარში მიიმალა. ციკნები ისე გაეკვრნენ მიწას, რომ მახვილი თვალიც კი ძლივს შეამჩნევდა.

დედალი თხების წინამძღოლმა ჰაერი შეიყნოსა იმის გასაგებად, თუ საიდან მოელოდათ ხიფათი. როცა შემოტრიალდა, მაღლა კვარცხლბეკზე დაინახა მამალი თხების წინამძღოლი თეთრი დიდი ბოტი თავისი გრძელი რქებით. იგი თვალის დახამხამებაზე ბუჩქებში შევარდა, დანარჩენი თხები და ციკნებიც გაჰყვნენ...

— ნახეთ? რომ გეუბნებოდით, არ გჯეროდათ.

— მართლა, თითქოს მტერს გაურბიანო,—გაკვირვებით წარმოთქვა არმენმა.

— ასეა მაშ... გარეული თხები ჩვენი შინაური თხების წინაპრები არიან და სწორედ იმნაირადვე კიკინებენ. მგლის ან მონადირის დანახვაზე ისევე დაიკიკინებენ, როგორც ახლა თქვენ გაიგონეთ. წლის ამ დროს ისინი მამალ თხებს გაურბიან... აბა, თქვენი დარვინი მოვიდეს და მითხრას მიზეზი, მე ხომ უბრალო, უსწავლელი გლეხი ვარ, ერთი ამიხსნას...

მოხუცმა გამარჯვებულის იერით გადახედა დამსწრეთ.

— ერთხელ ესეც გვითხარი, რატომ ცხოვრობენ დედა თხები დაბლობებში, ხეობებში, მამლები კი რატომ ნავარდობენ ზევით, კარგ საძოვრებზე?—შეეკითხა კამო.

— მთის საძოვრები გაშლილია, დასამალი ადგილები არა აქვს. იქ მამალ თხებს გაქცევა ადვილად შეუძლიათ, მგელი ვერც დაეწევა, შეიძლება უკანაც მიუბრუნდნენ და თავიანთ დიდ რქებზე ააგონ ისინი. ასეთ ღია ადგილას კი ციკანი სად გაიქცევა, სად შეაფარებს თავს ან დედა ხომ არ მიატოვებს შვილს და თვითონ არ გაიქცევა! ამიტომაც დაბლობებში იგი ციკანს მიმალავს ბუჩქებში, გამოქვაბულებში და გადაარჩენს მგლისგან, მელიისგან და არწივისგან.

— კლდეებში რომ ცხელა და თანაც ბალახი არ არის?—თქვა ჰასმიკმა.

— რას იზამ, დედალი თხა მრავალ გაჭირვებას იტანს თავისი ციკნის გულისთვის, ყველა დედები ასე იქცევიან, ეს ხომ ბუნების კანონია,—თქვა მოხუცმა და ფეხზე წამოდგა.

— არა, არა, პაპა, ნუ წავალთ, ცოტა ხანს კიდევ დავრჩეთ, ვნახოთ ციკნები წყალს როგორ დალევენ,—შეეხვეწა ჰასმიკი.

— ისინი დაშინებული არიან, გვიან მოვლენ... ამ ღია ადგილას მზე დაგსიცხავთ, თავი აგტკივათ, წავიდეთ... თქვენ აქ ნამდვილი საამოთხე გაგიკეთებიათ,—თქვა მოხუცმა და სიამოვნებით გადახედა „იაზისს“.—ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ამდენ ნადირს ერთი წყარო რას ეყოფა, საჭირო იყო კიდევ რამდენიმე ორმო ამოგეთხარათ...

— შეიძლება, ახლავე ამოვთხრით,—უპასუხა კამომ და წამოდგა.

— რითი? ბარი რომ არა გვაქვს!

— წვეტიანი ჯოხებით რომ ამოვთხაროთ?

კამომ პაპას ხანჯლით ბუჩქნარში რამდენიმე მსხვილი ტოტი მოჭრა, წვერი წაუთალა, წყაროს დაბლა გადაზომა და ბიჭებს, უთხრა:

— ყველამ თითო ორმო ამოვთხაროთ... დაიწყეთ...

წყაროდან გადმოსულ წყალს ნიადაგი მოელბო და ადვილად ითხრებოდა. ახალი ორმოები ვიწრო არხებით ერთმანეთს შეუერთეს და წყალი გადაუშვეს...

— კამოჯან, ეს ქვამარილიც დაამტვრიე და თითო ნატეხი ყველა ორმოსთან დადე,—უთხრა პაპამ, რომელიც ქვაზე ჩამომჯდარი ჩიბუხს აბოლებდა...

პაპა ასატურის სიტყვის შესრულების შემდეგ, კამომ უთხრა:

— ეს ერთი ნაჭერი დაგვრჩა, რა ვუყოთ?..

— ეგეც შიგ წყალში ჩაყარე.

— როგორ გასუქდებიან ჩვენი ბეკეკები,—გაიხუმრა გრიქორმა.

მოხუცმა პასუხის ნაცვლად თითით ანიშნა კლდეებისაკენ, სადაც ერთი პატარა თხის თავი მოჩანდა. ყველამ იქითკენ მიიხედა.

— საწყლები, ელოდებიან როდის მოვშორდებით აქაურობას, რომ წყლის დასალევად მოვიდნენ... წავიდეთ, ცოდონი არიან,—თქვა მოხუცმა და გზას გაუდგა.

— რამდენი რამ შევისწავლეთ დღეს,—გზაში ამბობდა ჰასმიკი, —ნამდვილი საბუნებისმეტყველო ექსპედიცია იყო...

— მართლა ბევრი რამ შევისწავლეთ,—დაუდასტურა არმენმა და პაპა ასატურს გადახედა. მოხუცი შეჩერდა, ფაფახი მოიხადა და მელოტ თავზე ოფლი მოიწმინდა.

— პაპაშენი ნამდვილი განძია, განძი!—მიმართა არმენმა კამოს.

პაპა ასატური სიტყვა „განძის“ გაგონებაზე გაფითრდა, ტუჩები აუცახცახდა.

— რა განძი?—ძლივს წამოილუღლუღა მან.

— არაფერია, შენ გეხება.

— მე?.. მე განძი ვინ მომცა?

— პაპა, ყველაზე დიდი განძი შენა გაქვს,—ალერსიანად მიუგო კამომ.

მოხუცი შეკრთა: „ნუთუ მიმხვდარი არიან... ვაი მე, დავიღუპე, დავიღუპე...“—და შიშის ზარმა მოიცვა... უეკველად გასცემდა თავს, რომ კამოს არ დაემატებინა:

— შენი განძი, შენი ხასიათია... გარდა ამისა, შენ ზეციწევნით იცნობ ბუნებას...

— ჰოოო?.. ეგ განძი?—თავისუფლად ამოისუნთქა პაპამ,—ჰო მართლა, ეგ ხომ პატარა განძი არ არის,—კვეხნით უპასუხა მან. მერე ცოტა ხნის დუმილის შემდეგ, უცბად ასეთი შეკითხვა მისცა მათ:

— განძი რომ თქვით, იმაზე მომაგონდა, აბა მითხარით, ბიჭებო, ერთი ქვევრი განძი რომ იპოვოთ, რას უზამთ?..

— მე ელექტროსადგურს ავაგებდი, მისი ძალით სევანის წყალს მაღლა ამოვიყვანდი და აქედან არხებით ჩვენი კოლმეურნეობის მინდვრებისკენ გავუშვებდი. როგორ გამოცოცხლდებოდა ჩვენი ნათესები! ეს ჩემთვის ყველაზე დიდი ბედნიერება იქნებოდა,—უპასუხა არმენმა.

— მე ათას სულ ჯიშიან ხბოს ვიყიდიდი, კოლმეურნეობის ფერმას გავამრავლებდი,—დაუმატა გრიქორმა.

— მე კი მთავრობას გადავცემდი და ვთხოვდი, რომ ოცდაათი ტანკი აეშენებინა და ამ სატანკო ბრიგადის მეთაურად მე დავენიშნე,—აღფრთოვანებით თქვა კამომ.

ჭაბუკებმა შეამჩნიეს, რომ ამ პასუხებმა პაპა კი არ გაახარეს, არამედ უფრო დააღონეს.

ისინი კარგ ხასიათზე დაბრუნდნენ სოფელში, თუმცა უნდა ითქვას, რომ სულის სიღრმეში რაღაც მძიმე განცდები აწუხებდათ; ვერ იპოვეს წყალი, ულმობელი გვალვა კი გრძელდებოდა.

ილისის დასაწყისში მომხდარმა შემთხვევამ უეცრად მოაშორა მათ ეს სიმძიმე. მაგრამ ამის შესახებ შემდეგ. ახლა ვნახოთ, საით მიდის სეთო—დაღუპვისაკენ თუ კოლექტივისაკენ?..

მაშინაც კი, როცა სეთო ფერმის წინააღმდეგ ათასგვარ მზაკვრობას ჩადიოდა, მას მაინც სინდისი ქეჯნიდა.

ჰასმიკი ითმენდა სეთოს საქციელს, მაგრამ ერთხელ, როცა სეთო კვლავ დაესხა ფერმას, გოგონა იძულებული გახდა ეჩივლა კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან.

— ძია ბაგრატ, რაიმე ზომები მიიღეთ სეთოს წინააღმდეგ. ჩვენი ფერმის ირგვლივ დაეხეტება, დამცინის, აბუჩად მიგდებს.

ბაგრატმა სეთო თავისთან დაიბარა.

— იცი რა?—წარბების ქვეშიდან პირქუშად გახედა ბაგრატმა,—მე მასწავლებელი არა ვარ, რომ რაღაც „მეთოდებით" გამოგასწორო. მე სამხედრო კაცი ვარ, აი ჩემი მეთოდი!—ბაგრატმა მაგიდას დაარტყა მუშტი.—რას ფიქრობ: სოფელში გვყავს თუ არა ხელისუფლება? აბა ერთი მიწერილობა მოამზადე პროკურორის სახელზე,—მიმართა მან მდივანს,—დაწერე, რომ სეთო მარტიროსიანი კოლმეურნეობის წინააღმდეგ იბრძვის.. დიახ, სწორედ ასე დაწერე... ისე მოვთოკო ეს ყმაწვილი, რომ უცებ გამოსწორდეს...

მაგრამ ჰასმიკი იმავე საღამოს შეეხვეწა თავმჯდომარეს მკაცრი ზომებისათვის არ მიემართა.

— ძია ბაგრატ, ჩვენ ერთი საშუალება გამოვძებნეთ,—უთხრა მან,—ვცდით, თუ არ უშველა, მაშინ...

— კარგი, ვცადოთ,—დაეთანხმა ბაგრატი და გოგონას თმებზე ხელი გადაუსვა.

მეორე დღესვე სეთომ გადაწყვიტა ჯიბრზე კვლავ თავს დასხმოდა ფერმას, თავისი შვილდისარი აიღო და პირდაპირ ფერმისკენ გასწია. სეთოს მისი ძმა არტოც გაჰყვა...

— სულ ერთია, არტო, რაკი საქმემ პროკურორამდე მიაღწია, უკანასკნელად მაინც მოვიფხან გულს.

— არა, არა, თავი გაანებე! ჰაპა ასტურს ვერ გადავურჩებით,—შეეხვეწა არტო.

— კარგი მშიშარა კი ყოფილხარ!

ამ დროს ქუჩაში კამო და არმენი გამოჩნდნენ, ხოლო ფარდულიდან ჰასმიკი გამოვიდა. სეთომ გაპარვა დააპირა, მაგრამ კამოს მტკიცე და გაბედულმა ხმამ შეაჩერა.

— მოიცა, სეთო, რამე უნდა გითხრა.

სეთო მერყეობდა, არ იცოდა რა ექნა: გაქცეულიყო თუ დარჩენილიყო. არა, არა, კამო მეგობრულად უყურებდა მას.

— რა გინდა?

— ახლოს მოდი, ნუ გეშინიან, შენთან სერიოზული სალაპარაკო მაქვს.

— არა, მანდედან მითხარი,—უთხრა სეთომ.

— ნუ გეშინიან, ხელს არ გახლებ, ერთ-ორ სიტყვას გეტყვი, მეტს არაფერს,—უთხრა კამომ, მერე ჰასმიკს მიუბრუნდა და ჩასჩურჩულა:—აბა ერთი არმენის პედაგოგიური მეთოდი ვიხმაროთ...

კამო მიუახლოვდა სეთოს, მეგობრულად მხარზე ხელი დაადო და გულწრფელად ურჩია:

— მოდი, ჩვენ შორის გაჩაღებული ომი შევწყვიტოთ...

სეთო, რომელსაც უკანასკნელ ხანებში საყვედურების მეტი არაფერი გაუგონია, მოულოდნელობისგან დაიბნა.

— ცოდო ხარ, ბიჭო, ცუდ საქმეს რატომ ჩადიხარ, თავს რატომ იღუპავ?—განაგრძო კამომ.

— უკვე გვიან არის, პასუხისგებაში ვარ მიცემული,—გულნაწყენად მიუგო სეთომ.

— შენ ძია ბაგრატის სიმკაცრეს ნუ აქცევ ყურადღებას,—ჩაერია ჰასმიკი,—მას კეთილი გული აქვს. თუ წესიერად მოიქცევი, გაპატიებს...

— მაგრამ მე ხომ ხულიგანი ვარ?—დაცინვით უპასუხა სეთომ,—როგორ შემიძლიან ცუდი საქმეები არ ჩავიდინო?

— ხუმრობა იქით იყოს, ერთი გვითხარი, რატომ იქცევი ასე?

— რატომ? თქვენი ჯიბრით, თქვენ არ იყავით, რომ სკოლაში შემარცხვინეთ?

— მერე ვისი ბრალია?.. დამნაშავე იყავი და პირდაპირ გითხარით, სხვანაირად არც შეგვეძლო.

აქ, ჩემო მკითხველო, იძულებული ვარ გიამბოთ იმ შემთხვევაზე, რამაც ჩამოაგდო უთანხმოება სეთოსა და მის ამხანაგებს შორის.

ეს მოხდა ჯერ კიდევ მეშვიდე კლასში. მაშინ სეთო და არმენი ერთ მერხზე ისხდნენ, ფრიადებზე სწავლობდნენ. სკოლის ბიბლიოთეკაშიც ყველაზე ხშირად ისინი დადიოდნენ.

ერთხელ სეთომ ბიბლიოთეკიდან ლამაზყდიანი წიგნი—აკადემიკოს ფერსმანის „სახალისო მინერალოგია“ გამოიტანა. ამ წიგნმა ბიჭი ძალიან დააინტერესა, დიდხანს კითხულობდა. ბიბლიოთეკარმა

გევორქმა რამდენიმეჯერ სთხოვა წიგნი დაებრუნებინა, მაგრამ სეთო არ აბრუნებდა.

ბოლოს, როგორც იქნა, სეთომ წიგნი დააბრუნა, მაგრამ ეაი იმ დაბრუნებას; გული არ სთმობდა.

როცა სეთო ბიბლიოთეკაში მივიდა, გევორქი წიგნს უცვლიდა პირველკლასელებს და სეთოს მიერ მოტანილი წიგნი მაგიდაზე დაავიწყდა. სეთომ შესაფერი მომენტი იხელთა, წიგნი ჩუმად იღლიაში ამოიდო და სახლისკენ მოუსვა.

წიგნი მიიტანა თუ არა სახლში, თაროზე თავის სახელმძღვანელოებს შორის გადამალა. მას შემდეგ ფერსმანის ნაშრომს სეთო მალულად კითხულობდა.

მეორე დღიდანვე სკოლაში ძებნა დაუწყეს წიგნს. ყველას ჰკითხეს, სეთოს გარდა, რადგან იმ დღეებში სეთომ გაკვეთილები გააცდინა.

ბოლოს გევორქმა ბარათი მისწერა სეთოს და ჰასმიკის ხელით გაუგზავნა სახლში.

სეთოს დედამ, ჩვეულებისამებრ, ჭაჭყანი დაიწყო:

— მე ვხედავ სეთოს, რომ მისი ადგილსამყოფელი გითხრა? მაგ წიგნებმა მთლად გადარიეს, დღე და ღამ სულ მაგათ ჩასჩიჩინებს და მინდორ-ველში დაეხეტება... სახლისათვის სრულებით გამოუსადეგარი გახდა... წაიღე, მომაშორე, არც ერთი არ დატოვო, სულ წაიღე!—სონამ იქვე დაწყობილ წიგნებზე მიუთითა. ჰასმიკმა წიგნები გადაათვალიერა და ფერსმანის წიგნი აღმოაჩინა...

— ჩვენ ამ წიგნს ვეძებთ, დეიდა სონა.

— წაიღე, წაიღე, სწორედ მაგ წიგნმა გადამირია ბიჭი...

ამის გამო იყო, რომ სკოლაში სახელი გაუტყდა სეთოს.

სეთოს „საქმე“ პიონერების შეკრებაზე განიხილეს. კამო მწარე სიტყვებით გაუმასპინძლდა. უკეთესი იქნებოდა, რომ მიწა გასკდომოდა და სეთო თან ჩაეტანა. მისი საქციელი კრების მონაწილეებმა ქურდობად ჩათვალეს, გააწითლეს ჰასმიკის, არაქსის და სიეა ამხანაგების წინაშე. სეთო ფიქრობდა, კრებაზე გამოსულიყო, თავი

დაეცვა, ყველანი დაერწმუნებინა, რომ ამ წიგნით გატაცებულია და მას ვერ შეელევა: გაემხილა, რომ საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ფიქრობს გეოლოგიურ ფაკულტეტზე შესვლას. ვინ იცის-იქნებ მაშინ ასე არ მოჰქცეოდნენ. მაგრამ თავი შეიკავა და დუმილი ამჯობინა.

კრებიდან სეთო ძალზე ნაწყენი და შეურაცხყოფილი დაბრუნდა. ის თავის დანაშაულს გრძნობდა, მაგრამ იმასაც ვერ შერიგებოდა, რომ ამ დანაშაულისათვის საჯაროდ შეარცხვინეს.

მას შემდეგ სეთო მთლად გამოიცვალა: სულ უკანა მერხზე გადაჯდა, გაკვეთილებს აღარ უსმენდა, ჩაფიქრებული იჯდა, მხოლოდ გაკვეთილების ბოლოს გამოცოცხლდებოდა ხოლმე... როგორც კი სკოლიდან სახლში მივიდოდა, სეთო ჩანთას კუთხეში მიაგდებდა და მაშინვე გაქრებოდა...

სად მიდიოდა სეთო, არავინ იცოდა. მხოლოდ მწყემსებსა და მონადირეებს ბევრჯერ უნახავთ იგი მთებში მოხეტიალე... რად და რისთვის დადიოდა იგი ამ მიდამოებში, არავინ იცოდა...

რაც დრო გადიოდა, სეთოს და ბიჭებს შორის ურთიერთობა თანდათან მწვავდებოდა. მხოლოდ მონადირე ასატურს არ აღელვებდა სეთოს ასეთი საქციელი.

— რა გეგონათ? ნუთუ მას თავმოყვარეობის გრძნობა არ ექნებოდა,—უთხრა ერთხელ პაპამ ბიჭებს,—ძველ დროში ერთი სიტყვის გამო ხანჯალს იძრობდნენ, სისხლსა ღვრიდნენ. მახსოვს, ასე მგონია გუშინ იყო, ნათლიაჩემ მუქელის ვაჟის ქორწილში ერთმა ხუმრობით კაროს „ცრუ მონადირე" უწოდა. კაროს ეს სიტყვა თოფის ტყვიასავით მოხვდა გულში, ბევრი არ აცალა, უმალვე ხანჯალი ამოიძრო და ვეფხვივით ეძგერა, თანაც გაიძახოდა: „როგორ, მაგაზე ვინ მისცა ნება, რომ სოფლის პატარძლებისა და ხალხის წინაშე შეურაცხყოფა მომაყენოს?!". ყველანი მივცვივდით.. და ხვეწნა-მუდარით ხანჯალი ძლივს წავართვით... მაშ, რა გგონიათ, ყველა კაცს თავმოყვარეობა აქვს, თავისი ყადრი იცის. ცალკე დაუძახე, დაარიგე, თუ გინდა სილაც აკრიე, არაფერს გეტყვის, ხალხში კი თავს ნუ მოსჭრი...

— პაპა, ეგ ხომ ველურობაა, როგორ ექომაგები, ყველა უბრალო საქმეზე ხანჯალი როგორ უნდა ამოიღო,—წყენით უთხრა კამომ.

— მართალია, ველურობაა, მაგრამ ვაჟკაცობაც არის,—უმტკიცებდა მოხუცი.

პაპას მხარი არავინ დაუჭირა, ყველა სეთოს წინააღმდეგი იყო.

შ ე რ ი გ ე ბ ა

ახლა ჩაფიქრებული და თავჩაღუნული იდგა სეთო კამოს წინაშე: თავისი „მოწინააღმდეგეების“ მეგობრულ გეგმას იგი კანეიარაღებინა...

— მოდი, სეთო, მოდი ჩვენთან, იმდენი საქმე გვაქვს გასაკეთებელი, რომ... გავაკეთოთ. ყველას გავაკვირვებთ და ყველანი ქებადიდებას შეგასხამენ, წარმოიდგინე ჰასმიკიც კი, რომელიც მრავალჯერ აგიტირებია,—შემარიგებელი ტონით უთხრა არმენმა.

ჰასმიკმა გულკეთილად გაიღიმა.

— ცოდო ხარ, სეთო, კარგი გულადი ბიჭი ხარ.—განაგრძო არმენმა.

— მართალია,—დაუმოწმა ჰასმიკმა,—სეთოს გმირობა ძალიან მომწონს... ისე ყოჩაღად ცოცავს კლდეებზე რომ!..—გოგონას სიტყვები სეთოს ძალზე ეამა.

— მაგრამ კლდეებზე ცოცვა რად გინდათ?—ჰკითხა სეთომ.

— როგორ თუ რადა? ყველამ იცის, რომ ჩვენ ძველი არხი ვეიპოვეთ, რომ ახლა წყალს ვეძებთ. ჩვენ ხომ ნორჩი ნატურალისტები ვართ. ჩვენ უნდა ავიდეთ შავ კლდეებზე. ისე როგორც ჭანჭაქარში გარეული ფუტკრის სადგომში ავედით, ჩვენ უნდა ამოვხსნათ გილის ტბის საიდუმლოება, „ჯოჯოხეთის კარის“ საიდუმლოება, გავიგოთ ვინ კვნესის შიგ,—აუხსნა არმენმა.

— ასეთ საქმეებში შენ შეუდარებელი ხარ, სეთო, მოდი, ომი გავათავოთ, შევრიგდეთ,—კვლავ გაუმეორა კამომ და ხელი გაუწოდა.

სეთოს თვალები ცრემლებით აეკსო, სადღაც მისი სულის სიღრმეში ჩამარხულმა პატიოსნებამ გაიღვიძა და სახე გაუბრწყინდა.

სეთო მთლიანად შეიცვალა, კამოს ხელი ჩამოართვა, დაიხარა და თავისი შვილდისარი კამოს ფეხებთან დაუდო.

— აი ჩემი იარაღი, აიღეთ, მე მეტს აღარ გეომებით,—უთხრა მან.

არტომაც, მოშორებით რომ იდგა, ღიმილით მიირბინა კამოსთან და ისევე, როგორც სეთომ თავისი მშვილდისარი ჩააბარა.

ბიჭებმა და ჰასმიკმა რიგრიგობით ჩამოართვეს ხელი სეთოს და არტოს.

— აი ასე, ახლა ჩვენი წრე უფრო ძლიერი გახდა... ახლა გვიყურეთ, რას გააკეთებს ნორჩ ნატურალისტთა წრე!—აღფრთოვანებით წამოიძახა კამომ და სეთოს მოეხვია.

* * *

სეთოსთან მოულოდნელმა შერიგებამ ისე აღაფრთოვანა ყმაწვილები, რომ მათ გადაწყვიტეს თავიანთი სიხარული წრის ყველაზე მოხუცი წევრისათვის—პაპა ასატურისათვის გაეზიარებინათ.

— არა, მე პაპა ასატურს ვერ დავენახვები, — თავი ჩაღუნა სეთომ.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ცუდად მოვიქეცი.

სეთოს გაახსენდა, თუ როგორ შეაყარა მოხუცს თვალებში ნაცარი.

— წავიდეთ, სეთო, ნუ ყოყმანობ, პაპაჩემი შურისმაძიებელი კაცი არ არის,—მკლავში ხელი გაუყარა კამომ და წაიყვანა.

ბიჭები კოლმეურნეობის საფუტკრეში წავიდნენ.

ერთ სკასთან იდგნენ პაპა ასატური და კოლმეურნეობის მეფუტკრე არშაკი.

— ხედავ,—მოესმათ ბიჭებს პაპას ხმა,—გარეული ფუტკარი გვალვას უფრო კარგად იტანს, მე რას გეუბნებოდი? ოჰო, ჩემი ლომგული ბიჭები მოვიდნენ!—გაუხარდა მოხუცს,—ახალი რა იცით?

— კარგი ამბებია, პაპა, გაიცანი ჩვენი წრის ახალი წევრი,—უპასუხა კამომ და სეთო წინ წააგდო.

— ეს კარგი ამბავი მომხდარა,—გაუხარდა კეთილ მოხუცს, მიუბრუნდა სეთოს და დარიგების კილოთი უთხრა:

— ქვეყანაზე მხოლოდ კარგი საქმე დარჩება, შენც კარგად მოიქეცი, ჩემო ბიჭიკო, ცუდთან რა ხელი გაქვს.

— კარგად მოიქცევა,—უთხრა კამომ,—სეთო დაგვიმტკიცებს, რომ ჩვენ ვცდებოდით.

— არა, თქვენ არა სცდებოდით,—მორცხვად უპასუხა სეთომ,—თქვენს წინაშე, განსაკუთრებით ჰასმიკის წინაშე, დიდი დანაშაული მიმიძღვის, არ ვიცი როგორ ვუთხრა მას ამის შესახებ,—დაუმატა მან, როცა ფერმიდან წიწილების მოტაცების ამბავი გაიხსენა.

ჰასმიკმა მას ალერსიანად გაუღიმა, გრიქორს კი რაღაც მოაგონდა და უცბად წამოიყვირა:

— ბიჭო, შენ ხომ არ შეჭამე წიწილები?..

სეთომ დარცხვენით თავი ჩაღუნა.

— ნეტავი შენ... გემრიელი იყო?..

— არ გვიჭამია. ვიჭერდით, მიგვყავდა და გილის ტბაში ვუშვებდით... თქვენ ჯიბრზე...

— მაშ, კასრში შენ იჯექი, ბიჭო?—წამოიძახა მოხუცმა და განგებ ხელი ხანჯალზე წაივლო.

— მორჩა, გათავდა, ეგ უკვე წასული საქმეა,—ჩაერია კამო, რათა უხერხული მდგომარეობიდან გამოეყვანა სეთო, — ის სეთო აღარ არის, მორჩა...

— კამო, კამო, რაკი წასული საქმეა, სეთომ გვიამბოს, როგორ მიყავდა წიწილები. თქვენ არ გინახავთ და ვერ წარმოიდგენთ, მე კი ყველაფერი ჩემი თვალით ვიხილე, მართლა საინტერესო სანახაობა იყო. უცებ ვხედავ, წიწილა ან ბატის ჭუჭული ფრთებგაშლილი, ნისკარტწინწაშვერილი კასრებისკენ მიდის, უფრო სწორად, რაღაც უხილავ ძალას მიჰყავს... სეთო, ეგ როგორა ხდებოდა, რა სასწაული იყო.. ამდენი ხნის მონადირე ვარ, ყოველნაირი ნადირი და ფრინველი მომიტყუებია, დამიჭერია, მაგრამ ასეთი ხერხი არ მიხმარია.

სეთოს უხერხულობისაგან თავი დაეღუნა, გაწითლებულიყო, მორცხვად იღიმებოდა.

— მართლა, საინტერესოა, სეთო, სთქვი,—გაამხნევა კამომ.— არა მგონია შენი მეთოდი გამოგვადგეს, მაგრამ მაინც გვიამბე, ნუ გრცხვენიან.

— აქ არავითარი სასაწაული არ იყო,—დარცხვენით დაიწყო სეთომ,—კოჭის ძაფით ვეწეოდი ფრინველს, კოჭის ძაფი ხომ არ გამოჩნდებოდა, მნახველს კი ეგონა უხილავი ძალა ეწევაო...

— როგორ თუ ძაფით?

— აბა როგორ გითხრათ?—უხერხულობისაგან ოფლში გაიწურა სეთო,—ძაფის ბოლოში ქერის მარცვალს გამოვაბამდი და ღობიდან ფრინველებში გადავისროდი. ქერს რომ გადაყლაპავდნენ, ძაფსაც თან მიატანდნენ ხოლმე. ძაფის მეორე წვერი კი მე მეჭირა კასრში... როგორც კი გამოვწევდი ძაფს, ფრინველიც ფრთებგაშლილი თან მოჰყვებოდა.

— ვაჰ, რა ოინია! ჩვენ არმენს შევარქვით მეცნიერის სახელი, მეცნიერი კი თურმე სეთო ყოფილა,—წამოიყვირა გრიქორმა.

ყველამ მხიარულად გადიხარხარა, არტომაც სიცილი ვეღარ შეიკავა.

— თქვენ ჩემი ჩიბუხის კვამლი გაწუხებთ, მაგრამ კარგად უნდა გახსოვდეთ, რომ ამ ჩიბუხმა გადაარჩინა თქვენი ფერმა...

— როგორ,—დაინტერესდა ჰასმიკი.

— როგორ და უბრალოდ, მე რომ ჩიბუხი კასრზე არ დამეკაკუნებინა, იქიდან ხმას არავინ ამოიღებდა.

— მართალია, ბიჭებო,—თქვა სეთომ.—მე და არტომ მოვილაპარაკეთ, ვინც პირველი ნახავდა, რომ გარშემო არავინ არის, კასრზე უნდა დაეკაკუნებინა.

ბიჭები სიცილისაგან იგუდებოდნენ. იცინოდა სეთოც.

— მართლა, ბიჭებო, იცით რა გამახსენდა კასრებთან დაკავშირებით? სწორედ ასეთი ამბავი მომხდარა სევანის კუნძულზე, შვიდასი, თუ რვაასი წლის წინათ. ამის შესახებ მე პაპაჩემისაგან გამიგონია, მას კი თავისი პაპისაგან. მაშინ სომხეთს, არ ვიცი, სელჯუკები თუ მონღოლები შემოსევიან, მთელი ქვეყანა დაუპყრიათ, მარტო სევანის კუნძული ვერ აუღიათ. ანდა როგორ აიღებდნენ, ირგვლივ წყალი ეკრა, კუნძული კი გარშემორტყმული იყო მაღალი კლდეებით. შემოსეულნი მიადგებოდნენ თუ არა კუნძულს ტივებით, ზევიდან ქვებით უმასპინძლდებოდნენ კუნძულის დამცველები. მტრებმა დიდხანს იფიქრეს თუ რა ხერხი მოეძებნათ კუნძულის დასაპყრობად. ბოლოს გამონახეს კიდევაც. ყველა ერის ათობით ათას კაცში ერთი საზიზღარი, ბოროტი და მოღალატე ადამიანი მაინც გამოჩნდება ხოლმე და აი მათ გამონახეს ერთი ხარბი სომეხი ვაჭარი. ბევრი ოქრო-ვერცხლი დაპირდნენ, თუ ის კასრებში და ყუთებში საქონლის ნაცვლად დამპყრობთა შეიარაღებულ ჯარისკაცებს მოათავსებდა და კუნძულზე გადასხავდა. ასეც მოიქცნენ. შეიარაღებუ-

ლი ჯარისკაცები კასრებში ჩასხეს, ბარეებზე დატვირთეს და ეაჭართან ერთად კუნძულისკენ გასცურეს. კუნძულის მცხოვრებნი სიხარულით შეეგებნენ ეაჭარს, რადგან მთელი ერთი წელი ალყა ჰქონდათ შემორტყმული და დიდ გაჭირვებას განიცდიდნენ როგორც სურსათის, ისე ტანსაცმლის მხრივ. ყუთები, კასრები კუნძულზე გადაიტანეს და მონასტრის ეზოში და სარდაფებში მოათავსეს. ვის მოუვიდოდა აზრად, რომ ყუთებსა და კასრებში საქონლის ნაცვლად შეიარაღებული ჯარისკაცები ისხდნენ?.. ამ დროს ჩვენი სეთოსთანა ბიჭს მოთმინებიდან გამოუყვანია ბერი: გაკვეთილებს არ ამზადებდა, ცელქობდა. ამდგარა ბერი და სარდაფში დაუმწყვდევია, თანაც უთქვამს, სანამ გაკვეთილებს ზეპირად არ დაისწავლი, სარდაფიდან არ გამოგიშვებო. სარდაფში ბიჭი გაკვეთილის სწავლას შეუდგა, როცა დაიღალა, წამოდგა და იქვე კასრზე როგორც დოლზე, ოითებით რაღაც დაუკრა. უცბად ყუთიდან ჩუმი ხმა მოესმა: „ჰასან, ვახტი დი?..“ („ჰასან უკვე დროა?“). ბიჭი გულგახეთქილი ბერთან გავარდა და ყველაფერი უამბო. ხალხი მივიდა, აიღეს ეს ყუთები, კასრები და გაუხსნელად ყველა ტბაში გადაყარეს... ოქროთი დაბრმავებული მოღალატე ეაჭარი კი საჯაროდ ჩამოახრჩვეს.. ასე, ჩემო შვილებო, უსაქმობით იმ ბიჭმა თითები აათამაშა კასრზე და კუნძული იხსნა. მე კი ჩიბუხი დავკარი კასრს და ფერმა ვიხსენი,—დაამთავრა სიტყვა მოხუცმა და სეთოს გაუღიმა.

ბიჭები ერთ წამს ჩაფიქრებული იდგნენ.

— რა საინტერესოა!—თქვა ჰასმიკმა.

— მერე, ეგ ზღაპარი არ არის?—იკითხა არმენმა.

— არა, ნამდვილი ამბავია,—დარწმუნებით უპასუხა მოხუცმა.

* * *

მეორე დღეს სეთომ ალიონზე გამოიღვიძა. საუცხოო ვუნებაზე იყო, იმ სიმძიმეს, რომელიც მას გულზე აწვა და სულს ულრღნიდა, დღეს აღარ გრძნობდა.

„რაშია საქმე, რა დამემართა? რატომ ვარ მხიარულ გუნებაზე?..“—გაიფიქრა მან. მერე რაღაც მოაგონდა, წამოხტა და სასწრაფოდ ჩაიცვა.

— დავიგვიანე, დედი, დავიგვიანე. მალე,—აჩქარებდა დედას.

— შენც სათიბში მიდიხარ?—გაიკვირვა დედამ.

— რატომაც არა? გრიქორზე რითი ვარ ნაკლები?.. მალე, საუზმე მომეცი.

კარაქწასმული პური ქაღალდში შეახვია, ჯიბეში ჩაიდო, ცელს წამოავლო ხელი და გარეთ გავარდა.

სოფლიდან ცელებითა და ნამგლებით კოლმეურნეები ჯგუფ-ჯგუფად მხიარული ყრიამულით მიდიოდნენ გილის ტბის ლერწმიანის მიდამოებში იონჯისა და სამყურა ბალახის მოსათიბად.

მთიბავებს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბაგრატი დაეწია. იგი თეთრ ცხენზე იჯდა.

სეთომ თავმჯდომარე რომ დაინახა, თავი დაღუნა, შერცხვა.

ბაგრატმა ცხენი შეაჩერა და ალერსიანად ჰკითხა:

— სათიბად მიხვალ, სეთო?

— დიახ, ამხანაგო თავმჯდომარეე, — თავაუღებლივ უპასუხა სეთომ.

— აი ყოჩაღ, გაიხარე... რაც იყო, იყო. ვინც ძველი გაიხსენოს... მე ჰასმიკმა ყველაფერი მიამბო,—მშობლიურად დაუყვავა ბაგრატმა.

თავმჯდომარემ იგრძნო, რომ ბიჭი უხერხულად გრძნობდა თავს, ცხენს შეუტია და გაშორდა. ‘ბრიგადირს დაეწია და უთხრა:

— ოვსეფ, როგორც ჩანს სეთოს თავისი ძველი ცოდვების მონანიება სურს. დინჯად, წყნარად მოეპყარი, წარსული აღარ მოაგონო. ასევე უთხარი შენი ბრიგადის წევრებსაც... მიხვდი?

— მტკივნეულ ადგილზე რომ ფეხს დავაჭერთ, კარგად იმუშავებს, ყოჩაღი ბიჭია,—გაიღიმა ოვსეფმა.

...სამი დღის შემდეგ, როცა კოლმეურნეობის გამგეობის სხდომაზე კარგი მთიბავების დაჯილდოების საკითხი ირჩეოდა, ბაგრატმა წინადადება შეიტანა სეთოს დაჯილდოების შესახებაც.

— მას ხომ ოცდათექვსმეტი შრომადღის მეტი არ გამოუმუშავებია, რაში უნდა მისცეთ პრემია?—იკითხა გამგეობის ერთ-ერთმა წევრმა.

ბრიგადირი ოვსეფი, რომელიც სხდომას ესწრებოდა, სეთოს გამოექომაგა:

— ამ დღეებში არავის იმდენი არ მოუთიბია, რამდენიც სეთომ გათიბა. სამუშაოზე ყველაზე ადრე გამოდიოდა და ყველაზე გვიან ბრუნდებოდა. მუდამ სერიოზულია, არავის არ ეხუმრება, სახეზეც კი არავის შეხედავს... დედასაც ამხნევებდა. რამდენიმეჯერ მსმენია, უსაყვედურებდა: „დედი, სირცხვილია, ხალხი რას იტყვისო?..“

— სწორედ ასეთი მუშაობისათვის მას ფეხსაცმელი უნდა მივცეო,—გადაჭრით თქვა ბაგრატმა.—დაე, გაიხაროს და საბოლოოდ გამოსწორდეს.

მეორე დღეს, როცა შესვენების დროს ოვსეფის ბრიგადის საუკეთესო მთიბავებს საჩუქრებს ურიგებდნენ, სეთოს გვარიც ამოიკითხეს.

ბიჭს გაუკვირდა, აღელდა კიდეც.

— რაღაც გაუგებრობაა, ამხანაგო ბრიგადირო... მე საჩუქრის ღირსი არა ვარ.—წამოილუღლუღა სეთომ.

— აქ არავითარი გაუგებრობა არ არის! მიიღე საჩუქარი და განაგრძე მუშაობა ისევე, როგორც პირველ დღეებში მუშაობდი.

სეთო ადგილიდან არ იძროდა.

— წადი, შე სულელო, აიღე,—ჩასჩურჩულა დედაჭ.—ვისაც ჯილდო ერგო განა შენზე უკეთესად მუშაობდნენ.

სეთომ მკაცრად გადახედა დედას და ბრიგადირთან მივიდა. როცა ფეხსაცმელი მიიღო, თქვა:

— ვიღებ იმ სამუშაოთა ანგარიშში, რასაც ამის შემდეგ შევასრულებ.

იმავე საღამოს კამო თავისი ამხანაგებით მივიდნენ სეთოსთან და ჯილდო მიულოცეს. აღელვებისაგან სეთომ პასუხი ვერ გასცა. იგი აღფრთოვანებული იყო, რომ ყველანი კარგად ეპყრობოდნენ და რომ ისიც. როგორც ყველა, საერთო შრომის მონაწილეა.

ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲐ

კომკავშირის რაიკომის მდივანმა ერთხელ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ჰკითხა:

— ამხანაგო ბაგრატ, რატომ არ აჯილდოებთ ჩვენს ნორჩ ნატურალისტებს? როგორ არის, რომ მწველავ ქალს პრემიას აძლევთ, ხოლო ვინც ფერმა მოაწყო ან სიძველეები იპოვა, ის არაფერს იღებს.

— მართალი გითხრა, მე არც კი ვიცი თუ შეიძლება ამისთვის პრემიის მიცემა?—მიუგო თავმჯდომარემ.—ჩვენ ვაჯილდოებთ იმათ, ვინც დაწესებულ ნორმებს გადაჭარბებით ასრულებს. გარეული ფრინველის ფერმის შექმნა ეფარდება თუ არა რომელიმე ნორმას?

რაიკომის მდივანს გაეცინა:

— მართალია, არც ერთ ნორმას არ ეფარდება, მაგრამ ჩვენი კომკავშირელების მიერ გაწეული მუშაობა ღირსშესანიშნავია.

— გეთანხმები, ღირსშესანიშნავია.

— რამდენადაც მათი მუშაობა ჩვეულებრივ ნორმებს სცილდება და არაჩვეულებრივია, საჭიროა არაჩვეულებრივადვე დააჯილდოვოთ.

— კარგი, პარტორგანიზაციის მდივანს მოვეთათბირები, რაიმეს მოვიფიქრებთ,—დაეთანხმა ბაგრატი.

კოლმეურნეობის გამგეობის მორიგ სხდომაზე ეს საკითხი განხილვის საგანი გახდა. გადაწყვიტეს, რომ საჭიროა კომკავშირელთა ძვირფასი საჩუქრებით დაჯილდოება.

— ნორჩი ნატურალისტები რადიომიმღებებით დავასაჩუქროთ,—წინადადება შეიტანა არამ აკოფიანმა. ჭკვიანი, კულტურული ახალგაზრდები არიან. ხშირად მოისმენენ გადმოცემებს მოსკოვიდან, თბილისიდან, ერევნიდან, ბაქოდან და ეს სასარგებლო იქნება არა მარტო მათთვის. ყველაფერს, რასაც კი რადიოთი შეიტყობენ, უამბობენ კოლმეურნეებსაც. ამრიგად რადიომიმღებები კოლმეურნეობისათვისაც იქნება სასარგებლო.

— ძვირია,—შენიშნა ბაგრატმა.

— ძვირია, მაგრამ მათ დაიმსახურეს ასეთი საჩუქარი.

— პაპა ასატურს რაღა ვუყიდოთ?

— მისთვის ამ ქვეყნად ყველაზე ძვირფასი თოფია. მოდით, მას ორლულიანი თოფი შევუძინოთ. მისი ახლანდელი თოფი, როგორც თვითონ ამბობს, კავკასიის ომების დროინდელია, აღარ ვარგა,—თქვა ბრიგადირმა ოვსეფმა.

გამგეობამაც ასე გადაწყვიტა.

როცა გამგეობის წევრები დაიშალნენ, ბაგრატმა არამ აკოფიანს ჰკითხა:

— საჩუქრების შესაძენად ვინ გავგზავნოთ?

— სეთო ხომ არ გავგზავნოთ?

— შენ ბიჭის გამოცდას ხომ არ აპირებ?

— გამოცდასაც და გამოსწორებასაც...

ბაგრატი მერყეობდა.

— დიდი თანხაა... მეშინია...

— ნუ შიშობ, ვცადოთ, მგონი არ შევცდებით. გახსოვს, მაკარენკო მაგაზე გამოუსწორებელ ბიჭებს უფრო დიდ თანხებს ანდობდა.

— მართალია... მისი „პედაგოგიური პოემა“ წაკითხული მაქვს. ნაცადი ხერხია,—დაეთანხმა ბაგრატი,—ჩემმა დისციპლინამ არ გასჭრა, ვცადოთ შენი პედაგოგიური მიდგომა,—ღიმილით დაუმატა მან.

როცა სეთომ გამგეობის გადაწყვეტილება შეიტყო, გაუკვირდა, რომ გუშინდელი მოწინააღმდეგეები დღეს ასეთ ნდობას უცხადებენ მას, თანაც მის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, რომ თვითონ უნდა შეეძინა საჩუქრები იმათთვის, ვინც გუშინ, გუშინწინ მისი მოწინააღმდეგეები იყვნენ.

სეთოს კოლმეურნეობის კანტორაში გამოუძახეს.

— მოემზადე, სეთო, ხვალ ერევანს უნდა გაემგზავრო,—უთხრა ბაგრატმა.

— რისთვის?

— შენი ამხანაგებისათვის საჩუქრების შეძენა გევალება,—ბაგრატმა სეთოს გადახედა.

სეთომ კმაყოფილებით გაიღიმა.

— მაშ კოლმეურნეობის თანხებს მანდობთ?..—შეეკითხა თავმჯდომარეს.

— მთლიანად,—მტკიცედ უპასუხა ბაგრატმა.

ბიჭი ერთ წამს აწითლდა. ხმის ამოღება ვეღარ მოახერხა.

გამგეობის ერთ-ერთმა წევრმა—მეცხოველეობის ფერმის გამგემ არტემმა, ხანში შესულმა სერიოზულმა კაცმა, თავმჯდომარეს უკმაყოფილოდ გადახედა. ბიჭმა შეამჩნია და გული ეტკინა: „ალბათ თავმჯდომარის წინადადება არ მოეწონა, არ მენდობა: რა ვუყოთ, მე კი მას დავუმტკიცებ, რომ ის არა ვარ, როგორადაც მთვლის“...

— კარგი, ძია ბაგრატ,—უთხრა სეთომ,—მე თანახმა ვარ. ოღონდ ნება დამრთეთ საჩუქრები ერევანში კი არა, თბილისში შევიძინო.

— რატომ უეჭველად თბილისში?—გაუკვირდა ბაგრატს,—განა ერევანში რადიომიმღებები არ იშოვება?

— რასაკვირველია, იშოვება ძია ბაგრატ, მაგრამ აქედან თბილისამდე იმდენივე სავალია, რამდენიც ერევნამდე, თბილისში კი ბიძა მყავს. საქმის მცოდნე კაცია, დამეხმარება.

— ჰო, არუთი მცოდნე, კულტურული კაცია, დაგეხმარება,— დაეთანხმა ბაგრატი,—ხვალ შემოიარე, ფულს და მოწმობას მოგცემთ და წადი. ეცადე ხვალვე გაემგზავრო.

სეთომ ოთახიდან გასვლა ვერ მოასწრო, რომ არტემის ბოხი ხმა მოესმა:

— კრავს მგელს აბარებთ შესანახად?..

ეს სიტყვები ბიჭს მეხივით მოხვდა, სისხლი ყელში მიებჯინა, მაგრამ თავი შეიკავა, მოპარული ფრინველება და თავისი სხვა არაწესიერი საქციელი გაახსენდა და შეურაცხყოფა ნერწყვთან ერთად გადაყლაპა.

ერთიღა დარჩენოდა, დაემტკიცებინა, რომ ის მგელი არ იყო, როგორც არტემი ფიქრობდა.

ფერმის გამგის სიტყვებით დაკოდილი გულით მიდიოდა სეთო სახლისკენ. მაგრამ ის რომ უკან დაბრუნებულიყო და კარებს ამოფარებოდა, ბაგრატის შემდეგ სიტყვებს გაიგონებდა:

— მიკვირს, რომ მაგ ბიჭს მგელს ადარებ... როგორ შეიძლება მგელი იყოს, ბიჭი, რომელიც კოლმეურნეობაში დაიბადა და აღიზარდა, ჩვენს სკოლაში სწავლობს, მერე ვისი შვილია? მეთევზე ხეჩოსი, რომელიც კოლმეურნეობისათვის თევზაობის დროს დაიღუპა!.. ვთქვათ დედა ცუდი ხასიათის ქალია, ბავშვი გააფუჭა, ჩვენ, მე და შენ, რით დავეხმარეთ? მის აღზრდაზე ჩვენ გვიზრუნია?

სეთომ სახლში მიირბინა თუ არა, დედას კისერზე მოეხვია და უთხრა:

— გამგეობა ბევრ ფულს მაძლევს და თბილისში მგზავნის.

— თბილისში? რისთვის?

— რომ საჩუქრები ვუყიდო კამოს, არმენს, ჰასმიკს, გრიქორს და პაპა ასატურს.

სონა ჯერ გაბრაზდა.

— ჯანდაბას მივცემდი მათ! მე ვმკა, მაგათ კი საჩუქრები მიიღონ?

შემდეგ დამშვიდდა და გადაწყვიტა, რომ მართლაც ცუდი არ იქნებოდა, თუ მისი შვილი თბილისში წავიდოდა.

— ეგ კარგია, ბიძაშენსაც ინახულებ, ცარიელი ხელით არ გამოგისტუმრებს.

რევოლუციამდე სევანის ნაპირებს ათასობით ადამიანი ტოვებდა და სამუშაოს საძებნელად დიდ ქალაქებში მიდიოდა. მიდიო-

დნენ თბილისში, ბაქოში, ბათუმში, ჩრდილოეთ კავკასიაში. გაჭირვება აიძულებდა თავიანთი მიწა-წყალი მიეტოვებინათ. იმ წლებში თბილისს მიაშურა „ბედის საძიებლად“ სონას ძმამაც, არუთმა. იქ დასახლდა, ხისდამმუშავებელ ფაბრიკაში მოეწყო, სწორედ მის შესახებ ლაპარაკობდა სონა.

— სულ არარაობას, ერთ საკაბეს მაინც უყიდის თავის დას. ჩემ ძმას ის არდასარჩენი ცოლი რომ არა ჰყოლოდა, მე ასე უპატრონოდ არ ვიქნებოდი... ღმერთსა ვთხოვ, მისი ცოლიც ისე დიტანჯოს, როგორც მე ვიტანჯები ძმის უნახავად...

როგორ გასცა თავისი თავი სეთომ

მატარებელში სეთო ერთი აზრით იყო შეპყრობილი. როგორ მოხდა, რომ ძია ბაგრატმა, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინათ ცუდად ექცეოდა, ახლა მას ასეთი დავალება მისცა?

იგი ხშირად მოსინჯავდა ხოლმე პორტფელს და თავის თეალში თანდათან მაღლდებოდა, გაბედული, მტკიცე ნაბიჯით უბრუნდებოდა მას დაკარგული პატივმოყვარეობა და ღირსება.

„მაგრამ, პორტფელი რომ მომპარონ?“—უცებ გაუელვა მას თავში და შიშით აქეთ-იქით მიიხედა. ვინ იცის, იქნებ მგზავრთა შორის ჯიბგირიც არის. სეთომ ეკვის თვალით დაუწყო ყურება წამოწოლილ ფაფახიან კაცს, გვერდზე მჯდომ მოხუც ქალს და განსაკუთრებით ფანჯარასთან მოკალათებულ ორ მგზავრს, რომლებიც, როგორც სეთოს ეგონა, უთვალთვალებდნენ მას.

ფიქრი, რომ მას კვლავ შეეძლო დაეკარგა ამხანაგების ნდობა, შიშის ზარს სცემდა. ის ხშირ-ხშირად სინჯავდა პორტფელს და მაგრა იხუტებდა გულში. თუმცა უკვე კარგად იყო დაღამებული, სეთო მაინც ფხიზლობდა.

ამნაირად, შინაგანმა სულიერმა მღელვარებამ სეთო გასცა. ფანჯარასთან მჯდომი საეჭვო პირები დარწმუნდნენ, რომ ახალგაზრდას პორტფელში ფული ჰქონდა და მათ „ტაქტიკურ მანევრს“ მიმართეს: ისე მოაჩვენეს თავი, ვითომდა სეთოს ყურადღებას არ აქცევდნენ, აღარც გაუხედიათ მისკენ, მიწვნენ და ვითომ ჩაიძინეს კიდეც. სეთომ გული დაიიმედა, პორტფელი თავქვეშ ამოიდო და თვითონაც მიწვა.

მატარებელი ლორის ხეობაში შესულიყო, მდინარე დებედას პირას მიჰქროდა. ვაგონების ბორბლების ხმაური აყრუებდა იქაურობას, ლოკომოტივის ელექტროფარნები კი წყვდიადში უხვად აფრქვევდნენ შუქს...

სეთო ხშირად იღვიძებდა, ხელს წაატანდა პორტფელს და ისევ დადინჯებულად მიდებდა თავს: „არა, სახიფათო არაფერია, პორტფელი ისევ თავქვეშ მიძევს... ან ვინ რა იცის, თუ პორტფელში რა მაქვს...“

მაგრამ სეთომ უცბად იგრძნო, რომ პორტფელი გამოაცალეს, გველნაკბენივით წამოხტა და დაიყვირა:

— წაიღეს, წაიღეს!..

სანამ ნამძინარევი მგზავრები წამოხტებოდნენ და გამოკითხავდნენ „ვინ წაიღო“, „რა წაიღო“, ქურდმა გასასვლელამდე მიაღწია და ვაგონის კიბეს ჩამოეკიდა, მაგრამ ვერ ბედავდა გადახტომას. ვიღაცა გამოვარდა მეზობელი ვაგონიდან და დაიძახა:

— აგერ ქურდი, აქ არის, დავიჭირე...

ქურდს მეტი გზა აღარ ჰქონდა, ღამის წყვდიადში გაქანებულ მატარებლიდან გადახტა...

ᲓᲐᲭᲘᲠᲒᲣᲚᲘ ᲜᲓᲝᲑᲐ

გასიებული და ჩაწითლებული თვალებით მივიდა სეთო თბილისში, თავის ბიძა არუთის სახლში.

დურგალმა არუთმა გულთბილად მიიღო დისწული, მაგრამ როცა პორტფელის დაკარგვის ამბავი გაიგო, ძალზე ეწყინა.

— რაც მოხდა, მოხდა. ფულს გიშოვნი, ყველაფერს, რაც საჭიროა. გიყიდი და წაიღებ. ვალს კი კოლმეურნეობა შემდეგ გამომიგზავნის,—ამშვიდებდა არუთი დისწულს.

— მე სოფელში აღარ დავბრუნდები,—ტირილით მოთქვამდა სეთო.

— როგორ თუ აღარ დაბრუნდები? მაშ აქ ხომ არ დარჩები?

— არ წავალ! ვინ დამიჯერებს, რომ გამქურდეს?

— რატომ არ უნდა დაგიჯერონ, განა მატარებელში აქტი არ შეადგინეს?

— შეადგინეს... აქა მაქვს... მაგრამ შენ ხომ არ იცი ყველაფერი, ბიძაჩემო. მე კოლმეურნეობაში ცუდი თვალით მიყურებდნენ, ახლა

კი მათ ამოდენა ფული მანდეს, იქნებ მცდიდნენ კიდეც, რა ვიცი... ის ხალხი მართალი გამოდგა, ვინც არ მენდობოდა, ვინც მე გამოუსწორებლად და ავაზაკად მთელიდა,—ბიჭმა ქვითინი დაიწყო.

ძია ალუთი მაინც ვერ მიხვდა, თუ რატომ არ შეეძლო სეთოს სოფელში დაბრუნება.

იმ ღამეს სეთოს მოუსვენრად ეძინა, ლოგინში შამფურივით ტრიალებდა, ოხრავდა, ჩუმად ქვითინებდა. წუხდა, რომ უკვე მოხვეჭილი ნდობა ასე უბრალოდ გამოეცალა ხელიდან...

მართალია დედამისს შეეძლო გაეყიდა ძროხა, ცხვრები და კოლმეურნეობისათვის ფული დაებრუნებინა. ან არადა, საკმარისი იყო არდადეგების დროს გულმოდგინედ ემუშავა კოლმეურნეობაში, რომ ვალი გადაეხადა. მაგრამ, საქმე ამაში როდი იყო. ვინ დაიჯერებდა, რომ ფულები ქურდებმა წაიღეს? ეი რატომ გადაწყვიტა მან სოფელში აღარ დაბრუნებულიყო.

* * *

გავიდა რამდენიმე დღე და სოფელ ლეკვანში ხმები გავრცელდა, სეთოს კოლმეურნეობის ფულები გაუფლანგიაო.

— ბაგრატ, შენ სამი ათასს კუდი გამოება?—ჰკითხა თავმჯდომარეს არტემმა.—არ გეუბნებოდი, რომ მგლისთვის კრავის ბიბარეზა არ შეიძლება მეთქი?

ბაგრატი დუმდა. მასაც ეპვი ეპარებოდა: მივლინების ვადა დიდი ხანია გავიდა, სეთოსი კი არაფერი ისმოდა.

— იცით რა?—უკმაყოფილო ტონით განაცხადა ბაგრატმა.—რაგინდ ზნედაცემული იყოს, იმან, რაც ჩვენ სეთოსთვის გავაკეთეთ, არ შეიძლება მასზე დადებითი გავლენა არ მოახდინოს. ის კოლმეურნეობის თანხას არ მიითვისებს, ამაში დარწმუნებული ვარ.

იმ დროს, როცა კოლმეურნეობის კანტორაში ეს ლაპარაკი იყო, ჩვენი ნორჩი ნატურალისტები კალოს პირად ისხდნენ და დაღვრემილები მწარე ფიქრებს მისცემოდნენ. მათ მარტო ის კი არ აწუხებდათ, რომ ფული დაიკარგა, არამედ ისიც, რომ ამხანაგი დაკარგეს.

— ნუთუ შევცდით?—იკითხა კამომ.

— არა, არ მჯერა, რომ სეთოს კოლმეურნეობის ფული გაეფლანგოს,—მტკიცედ თქვა არმენმა.

— მეც ასე ვფიქრობ, უთუოდ რაღაც შეემთხვა სეთოს,—თავისი აზრი გამოთქვა ჰასმიკმა.—არ გახსოვთ? შერიგების დროს თვა-

ლები როგორ აევსო ცრემლებით... გული მეუბნება, რომ სეთოს ცუდი საქმე არ ექნება ჩადენილი...

*
* *

თუმანიანსა და სანაინის სადგურებს შორის ხეობაში რამედნიმე პატარა ხიდია, რომელთა ქვეშაც დიდი წვიმების დროს ნიაღვარი გადის.

ლიანდაგის შემომვლელი მოვსესი, თავისი უბნის შემოვლის დროს, ერთ-ერთ ასეთ ხიდთან შეჩერდა. რაღაც მყრალი სუნი ეცა.

„ალბათ პირუტყვი გასრისა მატარებელმა“ — გაიფიქრა მოვსესმა.

ლიანდაგის მარცხენა მხარეს, ორმოში ტანისამოსი გამოჩნდა. მოვსესი ახლო მივიდა და მაყელისა და ასკილის ჩირგვებში სახედასახიჩრებულ, აყროლებულ გვამს წააწყდა... ცოტა მოშორებით ბალახებში პორტფელი ეგდო.

მოვსესმა პორტფელი აიღო, გახსნა და გაოცდა,—პორტფელი ფულით იყო სავსე.

მოვსესმა ოთხივ-კუთხივ მიიხედა, პორტფელი იღლიაში ამოიდო და თავის სახლისკენ გასწია.

სახლში მოვსესმა ფული დათვალა. ისე ღელავდა, როგორც მონადირე ასატური, როცა მან ქვევრში ოქროები აღმოაჩინა.

— არა,—გადაწყვიტა მოვსესმა,—ეს ფული კოლმეურნეობისაა, არ შეიძლება მისი ხელის ხლება.

აიღო პორტფელი და სადგურ სანაინში წავიდა. იქ ყველაფერი მილიციის სერჟანტ მანუკ სერობიანს უამბო.

— პორტფელიდან ხომ არაფერი ამოგიღია,—ეკვით შეეკითხა სერჟანტი.

— არა, დღევანდელი დილის მადლმა, ხელი არ მიხლია,—დაიფიცა ლორელმა მოხუცმა.—მე არამ ლუკმას არასოდეს არ შევჭამ, ჩვეული არა ვარ,—წყენით დაუმატა მან.

მატარებლიდან გადმოვარდნილი დასახიჩრებული კაცის გვამი რაიონის ცენტრში—ალავერდში წაიღეს, შეამოწმეს, პორტფელში ნაპოვნი ქაღალდები გადაიკითხეს, ფული გადაითვალეს, ყველაფერი რიგზე იყო. შემდეგ ასეთი დასკვნა გამოიტანეს: სოფელ ლეკვანის კოლმეურნეობის წევრი სეთო მარტიროსიანი, რომელიც გამგეობის დავალებით თბილისში მიემგზავრებოდა კოლმეურნეობისათვის ნივთების შესაძენად, გაურკვეველი მიზეზების გამო მატარებლიდან

გადმოვარდნილა და იქვე გარდაცვლილა. ეს შემთხვევა დაახლოებით ერთი კვირის წინ მომხდარა, ამიტომ გვამი გახრწნილა.

მილიციის ორგანოები დაბნეული იყვნენ, როგორ შეიძლებოდა ამ მდგომარეობაში მიცვალებულის გვამი სოფელ ლქავანში გადაეგზავნათ. გვამი დამარხეს და მილიციის უფროსის განკარგულებით სოფელში კაცი გაგზავნეს.

მეორე დღეს მილიციის სერჟანტი მანუკ სერობიანი სოფელ ლქავანში ჩავიდა, კოლმეურნეობის თავმჯდომარეს პორტფელი ფულითა და ქაღალდებით ჩააბარა და ყველაფერი უამბო.

მოულოდნელმა ცნობამ ბაგრატი შეაძრწუნა, მას სინდისი ჰქეჯნიდა: ეს ბიჭი ხომ კოლმეურნეობის დავალების შესრულების დროს დაიღუპა!

დიდად დამწუხრებულნი იყვნენ სეთოს ამხანაგებიც.

— გესმით? სეთო ხომ იმისთვის მიდიოდა, რომ ჩვენი საჩუქრები ჩამოეტანა,—ქვითინებდა ჰასმიკი.

კამო და არმენი თავჩაქინდრულნი, მდუმარედ ისხდნენ მწვანეზე, გრიქორი კი, ცრემლები რომ არ შეემჩნიათ, ზურგშექცეული განგებ უჯავრდებოდა ხბორებს.

საწყალი სონა კი? ის ხომ დედა იყო. საცოდავად, როგორ ღრიალებდა, ღმუოდა, თვითონ ცრემლად იღვრებოდა, და მეზობლებსაც აქვითინებდა...

სეთოს დაბრუნება

თენდებოდა. სონას სახლის მახლობლად საბარგო ავტომანქანა გაჩერდა. მანქანიდან სეთო გადმოვიდა. მანქანამ გზა განაგრძო.

სეთო თავიანთ სახლის კარებთან ატუზული ყოყმანობდა: როგორ მოქცეულიყო, როგორ გამოემჟღავნებინა დედისთვის ფულის დაკარგვის ამბავი?

სეთო ერთი კვირა დარჩა ბიძასთან თბილისში, მაგრამ როცა გაიგო ბიცოლას უკმაყოფილება, გადაწყვიტა მუშაობა დაეწყო იმ ქარხანაში, სადაც ბიძა მუშაობდა.

ბიცოლას უკმაყოფილება მაშინ გაიგო, როცა ერთ ღამეს ის თავის ქმარს ეჩურჩულებოდა:

— არც კი რცხვენიათ, სოფლიდან ხელცარიელი მოდიან... არა, რა დაეკლდებოდა შენ დას, რომ რამდენიმე კვერი ახალი ყველი გამოეგზავნა?

— ქალო, ხომ იცი უკაცო ოჯახია, ათასი რამ აკლია,—ცდილობდა არუთი ცოლის დამშვიდებას.

— ნუ იცავ, სოფლელები ყველა ასეთი ძუნწები არიან... შენ კი გინდა რომ მე საკაბე გავუგზავნო...

ამ ლაპარაკმა ისე იმოქმედა სეთოზე, რომ მან მაშინვე გადაწყვიტა სოფელში დაბრუნებულიყო. და აი ახლა სეთო ატუზული იდგა თავისი სახლის კარებთან. არც დაპირებული საკაბე მოუტანა დედას და არც საჩუქრები—ამხანაგებს, გაძარცულ-გაქურდული ჩამოვიდა. კარების დაკაკუნებას ვერ ბედავდა. რა იცოდა საწყალმა ბიჭმა, რომ მისი ძუნწი დედა, რომელიც ფეტვის ერთი მარცვლისათვის ჩხუბს აუტეხდა ხოლმე მეზობლებს, დღეს მზად იყო ყველაფერი—სახლი, ძროხა, ცხვარი, ქათმები მიეცა, ოღონდ შვილი ცოცხალი ჰყოლოდა...

„მალე ყველა გაიგებს ჩემს ჩამოსვლას,—ფიქრობდა სეთო,—ამხანაგები დაცინვით მოისმენენ მატარებელში ქურდების დაცემისა და პორტფელის გატაცების ამბავს“. „ვიცით, ვიცით,—იტყვიან ისინი,—ფულები როგორ დაიკარგა!“.. ფერმის გამგე არტემი კი საყვედურით ეტყვის ბაგრატს: „აკი გეუბნებოდი, რომ მგელს კრავს არ ანდობენ-მეთქი?..“

არა, სეთო პორტფელის დაკარგვის შესახებ არავის არაფერს გაუმჟღავნებს... ფული არ დაკარგულა. ის ასე ეტყვის: „ფული ბიძაჩემ არუთს დავუტოვე... ბიძამ საჩქაროდ უკან დამაბრუნა, კოლმეურნეობის სამუშაოს რომ არ მოვცდე. ის დამპირდა, ყველაფერს თვითონ იყიდის და გამოგზავნის“... მაგრამ მართლაც როგორ მოიქცეს, როგორ იშოვოს ფული? სეთო ჩაფიქრდა... არაუშავს, ფულს მოაგროვებს და ბიძას მალულად გაუგზავნის, თან სთხოვს, იყიდოს ყველაზე კარგი თოფი და რადიომიმღებები და ვისმეს ხელით გამოგზავნოს. ამის შესახებ სეთო არავის არაფერს ეტყვის. მხოლოდ დედას გაუმხელს. ფეხებში ჩაუვარდება და შეეხვეწება, კრინტი არავისთან დაძრას. მაგრამ ვაი თუ არ დაეთანხმოს, არ მოინდომოს ამ საშინელი საიდუმლოების დაფარვა?

„მაშინ ტბაში გადავარდნით დავემუქრები“,—გადაწყვიტა სეთომ. როცა წარმოიდგინა, თუ რა გავლენას მოახდენდა ასეთი მუქარა დედაზე, თავისუფლად ამოისუნთქა.

სეთომ ხელი ასწია კარის დასაკაკუნებლად, მაგრამ ჰაერში გაუშეშდა. მან კარგად იცოდა დედის ხასიათი; როცა ის გაბოროტებული იყო, ერთ წამს დუმდა, მერე კი მეხივით გასკდებოდა.

„არა ახლა მის წყეულა-კრულვას ვერ გადავურჩები. უმჯობესია პაპა ასატურთან წავიდე, დილით კი დედას შევურიგდები“,—გადაწყვიტა მან.

სეთო პაპა ასატურის სახლს მიადგა და ფანჯარაზე დაუკაკუნა.

— ვინ არის?—გაისმა ნამძინარევი მოხუცის ხმა.

— სეთო ვარ, პაპა, კარი გამიღე.

მოხუცმა მონადირემ საცვლების ამარამ გაიხედა გარეთ, მაგრამ სეთო რომ დაინახა შიშით უკან-უკან დაიხია. ბოლოს როგორც იქნა გარეთ გასვლა გაბედა, სეთოს დააკვირდა, დარწმუნდა, რომ ცოცხალი იყო და ისე მაგრად მოეხვია და ჩაიკრა გულში, რომ ბიჭი სახტად დარჩა... „არა, როგორც ვატყობ, ჰგონია რომ თოფი მოვუტანე“,—გაიფიქრა სეთომ.

— ცოცხალი ხარ?.. მადლობა ღმერთს,—შეეკითხა მოხუცი და გამხდარი ხელები მაღლა აღაპყრო.

— ცოცხალი ვარ, რასაკვირველია. რა მოხდა, პაპა?..

— აი ამბავიც ასეთი უნდა, აბა მალე გაიქეცი ბაგრატთან... ნუ დგეხარ, ნულარ აყოვნებ...

სეთო ვერ მიუხვდა მოხუცს, რა საჭირო იყო ასე ადრიანად თავმჯდომარესთან მისვლა? ვინ იცის, იქნებ ჯერ ისევ სძინავს.

„რა მეჩქარება? ძია ბაგრატი ახლა ჩემ შესახებ, ალბათ როგორც ვიღაც ყაჩაღზე, ისე ფიქრობს, მაგრამ სულ ერთია,—ფიქრობდა სეთო,—როდისმე ხომ უნდა ვუთხრა. ბარემ ახლავე წავალ“.

სეთო ბაგრატის სახლისკენ გაეშურა.

მივიდა თუ არა, ფანჯარაზე დააკაკუნა. ოთახში ლამფას ამოუწიეს, კარები გაიღო და ზღურბლზე თვითონ ბაგრატი გამოჩნდა.

— ეს შენა ხარ, სეთო?—გაიკვირვა ბაგრატმა.

— ძია არუთი საჩუქრებს მალე გამოგზავნის, ამხანაგო თავმჯდომარევ, ფული მას დავუტოვე, არ მინდოდა რაც მომხვდებოდა ის მეყიდნა, კარგ რადიომიმღებებს იშოვის და გამოგზავნის,—უთხრა სეთომ.

— ბიჭო, შენ ხარ, თუ სიზმარში ვარ?—კვლავ ჰკითხა ბაგრატმა.

— მე ვარ, ამხანაგო თავმჯდომარევ... მე ჩვენსაც შევიარე, პაპა ასატურის სახლშიც ვიყავი...

— დედაშენმა რა გითხრა? სიხარულით გული არ გაუსკდა?

— მე კარი არც კი დამიკაკუნებია. ცხადია, ის ძალიან არის გაბრაზებული ჩემზე.

— შემოდი სახლში, შემოდი... როგორ გაცოცხლდი, კაცო?— უკვე იცინოდა ბაგრატი.

— ამხანაგო ბაგრატ, ერთი მითხარით, როდის მოვკვდი, რომ გავცოცხლებულიყავი?—წამოიძახა მოთმინებიდან გამოსულმა სეთომ.

— ბიჭო, მაშ ალავერდში ვინ დაასაფლავეს?.. ან ბიძაშენი როგორ იყიდის რადიომიმღებებს, როცა ფული და შენი პორტფელი მე მაქვს.

ბიჭი სიხარულით ცას ეწია.

— ფული იპოვეთ?.. ქურდი დაჭერილია?..

ბაგრატი ყველაფერს მიხვდა და გულიანად გადაიხარხარა.

— ბიჭო, შენ მაგივრად ქურდი დამარხეს? ერთი დაწვრილებით მიამბე შენი თავგადასავალი.

სეთოს ნაამბობმა ისე გაამხიარულა ბაგრატი, რომ ბიჭს მოეხვია, გულში ჩაიკრა და კოცნა დაუწყო...

— აბა ახლავე ჩაიცვი,—უბრძანა მან თავის გოგონას,—გაიქეცი და სონა დეიდას დაუძახე,—სეთო არ ახსენო, უთხარი მაამაჩემი საქმეზე გეძახისთქო...

— თავის დასთან არის,—მოისმა ბაგრატის ცოლის ხმა მეზობელი ოთახიდან.

— მაშ კარგი, იქ წავიდეს... გამოდის რომ,—განაგრძო მან,—ქურდზე ვიგლოვეთ, ცრემლი ვღვარეთ... მაგრამ, სეთოჯან, რომ იცოდე რამდენმა გიგლოვა, რამდენი ცრემლი დაიღვარა.

ოთახში ბაგრატის გოგონა მარო შემოვიდა, მოკრძალებით შეხედა სეთოს და ჰკითხა:

— მაშ არ მომკვდარხარ?.. რა კარგია, რომ არ მომკვდარხარ, როგორ გაუხარდებათ კამოს, ჰასმიკს... არმენს... დედაშენს კი... ახლა იხილავ მის სიხარულს,—და გოგონა გარეთ გავარდა.

ბაგრატმა სეთო მეორე ოთახში გაიყვანა.

— აქ მოიცადე, დედაშენს მოვამზადებ. უეცრად ერთმანეთის შეხვედრა არ ვარგა.

მალე ბაგრატის ქალიშვილი დაბრუნდა. მას უკან მოჰყვა სონა. დაღონებული შეჩერდა კარების ზღურბლზე, ნეტავი ასე უდროო დროს რატომ გამოუძახეს?

— დაო სონა,—უთხრა ბაგრატმა,—გაუგებრობა მომხდარა, სასიამოვნო გაუგებრობა, ნუ ღელავ.

მან ქალი ოთახში შეიყვანა და დინჯად, აუჩქარებლად უამბო სეთოს თავგადასავალი.

ქალს სული ეგუებოდა, ლამის დახრჩობილიყო, ბოლოს როცა მიხვდა, თუ რა მოხდა, თავი ვეღარ შეიკავა და შეჰყვირა:

— მაშ ჩემი შვილი ცოცხალია?.. მოდი ფეხები დაგიკოცნო ბაგრატჯან,—მუხლებზე დაეცა და ფეხებზე ხელი მოხვია.

ბაგრატმა წყალი მიაწოდა, წამოაყენა, სავარძელზე დასვა და დაამშვიდა.

— მითხარით ჩქარა, ახლა სად არის ჩემი ბიჭი,—ძლივს ამოილუღლუღა სონამ.

საწოლი ოთახიდან ბაგრატის მეუღლე გამოვიდა, სონას ეამბორა, მიულოცა, გაესაუბრა, დაამშვიდა დედაკაცი.

სეთოს დაუძახეს. ის თვალცრემლიანი გამოვარდა მეორე ოთახიდან და გულში ჩაეკონა დედას.

ბაგრატის ცოლი შორი-ახლოს იდგა და ქვითინებდა.

დილით სეთოს თავგადასავალი მთელმა სოფელმა გაიგო. ყველამ გაიხარა, განსაკუთრებით კი, ცხადია, ჩვენმა ნორჩმა მეგობრებმა.

იმავე დღეს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბაგრატმა ალავერდის მილიციის უფროსს აცნობა კოლმეურნეობის წევრი სეთო მარტიროსიანი საღ-სალამათი დაბრუნდა სოფელშიო.

მესამე დღეს თავმჯდომარე ბაგრატმა საზეიმოდ გადასცა ნორჩ ნატურალისტებს და პაპა ასატურს საჩუქრები, რომლების სასყიდლადაც კვლავ სეთო იყო გაგზავნილი, მაგრამ ამჯერად ერევანში.

სიამოვნებით უმზერდა ბაგრატი თავის ნორჩ მეგობრებს, რომლებიც დამსახურებულ პრემიებს იღებდნენ, და მისი შავი თვალები სიხარულის ნაპერწკლებს აფრქვევდნენ.

ამით დამთავრდა სეთოს ამბავი.

სეთოს თავგადასავალი იმიტომ გიამბეთ ასე დაწვრილებით, რომ მან დიდი აღმზრდელობითი როლი ითამაშა სეთოს ცხოვრებაში. ფულის დაკარგვით მან განიცადა ის მდგომარეობა, რომელშიც უნე-

ბლიეთ ჩავარდება ხოლმე ადამიანი, რომელიც კარგავს ამხანაგების, კოლექტივის, მთელი სოფლის ნდობას.

და სეთომ გადაწყვიტა მუდამ ისე ეცხოვრა, რომ არასოდეს არ დაეკარგა ეს ნდობა.

სეთოს საიდუმლოება

ერთხელ, როცა არმენი სეთოსთან წიგნის სათხოვნელად მივიდა, სრულებით მოულოდნელად გახსნა მისი საიდუმლოება. ახლა მიხვდა არმენი, თუ რატომ „ზარმაცობდა“ სეთო, რა უშლიდა მას მეცადინეობაში.

სეთოს ოთახში ადგილი აღარ დარჩენილიყო, რაფაზე, მაგიდაზე, კარადის თავზე, სკამზე, იატაკზე—ყველგან ათასგვარი სხვადასხვა ზომისა და ფერის ქვები იყო ჩამწკრივებული.

არმენი სწორედ იმ დროს მივიდა სეთოსთან, როცა დედა წყევლა-კრულვით უმასპინძლდებოდა შვილს.

— ნეტა მიწა გასკდეს და თან ჩაგიტანოს, რა ჯანაბად გინდოდა ეს ოხერი ქვები, პურის მაგივრობას გაგიწევენ თუ რა?..—და ოთახში შემოსულ არმენს შესჩივლა:—ხალხი მინდვრად დადის, მუშაობს, შრომადღეებს იწერს, ეს კი მარტო ქვებზე ფიქრობს... ფეხსაცმელი არა აქვს და ტანზე ხეირიანად არ აცვია... მთებზე და კლდეებზე ხოხვით მთლად შემოიფლითა ტანსაცმელი და იმდენი ქვითა და ლოდით აავსო აქაურობა, რომ გასასვლელიც კი არ დატოვა...—სონა ისე გაბრაზდა, რომ ვეღარ მოითმინა, დაავლო ქვებს ხელი და ფანჯრიდან ისროლა.

სეთო დედას მოეხვია, ტახტზე დასვა და წყნარად უთხრა:

— სხვა რა გინდა, დედი? სამუშაოდ ხომ გავდივარ, მეტი რა ვქნა, რატომ ბრაზობ?..

— მუშაობით მუშაობს, — მოლბა სონა,—თვალი კი წინანდებურად მთებისა და კლდეებისაკენ გაურბის... ნეტა ერთი ფეხი იღრძოს, რომ მთა-ღრეში სიარულს მორჩეს... რა უბედური ვარ, თითონ ხომ დაეხეტება, ჯანაბას მაგისი თავი და ტანი, პატარა ბიჭიც გამიგიჟა... ერთხელ მაინც იფიქროს, რამდენი რამ გვაკლია ოჯახში...

დიდხანს ჩიოდა სონა თავის „მწარე ბედზე“, „უსაქმურ შვილზე“, ბოლოს წამოდგა, წინსაფარით მოიწმინდა ცრემლები და გავიდა.

როცა არმენმა ის აუარებელი ექსპონატები ნახა, გული სიამოვნებით აევსო. თუ წინათ მას ეგონა, რომ სეთო ზარმაცი და უქნარა იყო, ახლა დარწმუნდა, რომ ის სულ სხვა რამით ყოფილა გატაცებული.

არმენმა ერთი მძიმე ქვა აიღო ხელში და შეატრიალ-შემოატრიალა. ქვა ათასფრად ბრჟყვიალებდა.

— ოქრო ხომ არ არის?—ჰკითხა სეთოს.

— არა,—ჩაიცინა სეთომ,—ეს სპილენძის მადანია... შავი კლდეების მიდამოებში ვიპოვე.

— ეს შავი პრიალა ქვა?

— შავი ასპიდია. ამისგან მომავალში ნარზანის ბოთლებს დაამზადებენ... ნარზანის წყაროები კი სწორედ იმ ადგილას არის, სადაც ეს ქვა ვიპოვე...

— ეს ჟანგიანი, ფხვიერი ქვა? ალბათ ასორსოლებული მიწის გოროხია, არა?

— არა,—ღიმილით უთხრა სეთომ,—ეს მიწა კი არა, რკინაა.

— სულ არ ჰგავს რკინას.

— არც უნდა ჰგავდეს. აშოტ სტეპანოვიჩიც ამბობს, რომ რკინის მადანი ბუნებაში სრულებით არ ჰგავს მისგან დამზადებულ საგნებს, რომლებსაც მაღაზიებში ვხედავთ... აბა ამ თიხის გუნდას დააკვირდი, პრიალა ხაზებს ამჩნევ? თითქოს ლოკოკინას გაევლოს და კვალი დაეტოვებინოს. ამ თიხისაგან ალიუმინს იღებენ... ეს დაბურული და ჩაშავებული ქვა კი თეთრი მარმარილოა! მზისგან, ქარისგან, სიცხისგან და ყინვისგან არის ასე ჩაშავებული.

სეთო თანდათან როლში შევიდა, აღფრთოვანებული სათითაოდ უჩვენებდა სხვადასხვა ძვირფასი მადნის ექსპონატებს.

— შენ ამბობ, რომ ეს რკინას არა ჰგავს? ნამდვილად უბრალო ჟანგიანი მიწაა? აქაც ჰაერია დამნაშავე. წიგნში განმარტებულია: „მეავბადი“, რომელიც ჰაერში იმყოფება, რკინას უერთდება და იწვევს დაჟანგვას...“ ეს რომ ცეცხლში ჩავაგდოთ, მეავბადი გამოეყოფა და სუფთა რკინა დარჩება... წამოდი, გიჩვენო ბოსელში რა მოვაწყე...

სეთომ არმენს მკლავში ხელი გაუყარა და წაიყვანა ბოსელში, სადაც მოწყობილი ჰქონდა პატარა ქურა საბერველით, ძარს ქვანახშირი ეყარა.

არმენი ამ სანახაობით გაოცდა.

სეთო ისე იყო გატაცებული, რომ უბრალოდაც კი არ შეეკითხა თავის ამხანაგს, აინტერესებდა მას ყოველივე ეს თუ არა? მან მყისვე ქურა გააჩაღა, შიგ ის დაჟანგული მადნის ნატეხი ჩადო, კარგა ხანს მერე ამოიღო გავარვარებული მადანი, რომელიც ცეცხლის ნაპერწკლებს აფრქვევდა ირგვლივ, და აღტაცებით უთხრა:

—აი ესეც ის რკინა, რომელიც წეღან გიჩვენე... მერე, იცი ასეთი რკინა რამდენია ჩვენს მთებში?.. მარტო რკინა კი არა, რა გინდა, რომ არ იყოს... აბა ამას დააკვირდი...—სეთომ ბოსლის კუნჭულში რომელიღაც ქვა მოძებნა და არმენს მიუტანა:

— იცი ეს რა ქვაა? ეს ჩვეულებრივი ბაზალტია, შენ ამ ქვას ალბათ აიღებდი, გადაატრიალ-გადმოატრიალებდი და გადაისვრიდი, აქედან კი შეიძლება იზოლატორების გამოდნობა.

— საიდან იცი?

— საიდან?.. წიგნებიდან... ბუნებისმეტყველების მასწავლებელსაც ბევრჯერ უამბნია. ძალიან მიყვარს მისი ნაამბობის მოსმენა!.. და განა მარტო ეს მადნებია ჩვენს მთებში?..

სეთომ არმენს გადახედა და აღფრთოვანებით განაგრძო:

— ჭანჭაქარის თავზე ერთი პატარა ხეობაა, გინახავს? იქ ერთ ალაგას მიწაა ამოთხრილი, მხოლოდ წინ კი აი ეს წიდა ყრია...

— მინახავს.

— პაპა ასატური ამბობს, იქ ჩვენი წინაპრები მადანს ადნობდნენო. თურმე ისეთ საუცხოო რკინის ფარებს ამზადებდნენ, რომ ყოველნაირი ხმალი ზედ იმსხვრეოდაო...

სეთო ერთ წამს დადუმდა, მაგრამ კვლავ განაგრძო:

— სწორე რომ გითხრა, ახლა უკვე მადნეული ნაკლებად მაინტერესებს. ჭანჭაქარში ისეთი კლდეები ვიპოვე, რომ მზერით ვერ გაძღები: ბაზალტი, მარმარილო, მერე და რა მარმარილო, თოვლივით თეთრი, ვარდისფერი ხაზებით, შავი-ყვითელი ნაყშით, მწვანე ფოთლებდაყრილი და სხვა... ასეთი ქვებით შეიძლება სასახლეები აიგოს..

— ყოჩაღ, სეთო, რამდენი რამ გცოდნია...

სეთომ დარცხვენით გაიღიმა.

— იცი კიდევ რამდენი ქვა და მადანია, რომელთა გამოცნობა არ ძალმიძს? აი თუ გინდ ესენი, მე დღევანდლამდე არ ვიცი რა არის, აშოტ სტეპანოვიჩს უნდა ვკითხო:—მოიცა, მოიცა, კიდევ რა გაჩვენო...

სეთომ ბოლოს ერთ კუნჭულში ქისის მსგავსი პარკი იპოვა და არმენს გაუწოდა:

— რას ფიქრობ, ამაში რა იქნება?

არმენმა პარკი ჩამოართვა. შიგ რაღაც მოყვითალო ქვიშა იყო.

—ეს წეკოს წააგავს, მაგრამ მძიმეა, როგორც ლითონი... რა იქნება?

სეთოს თვალები გაუბრწყინდა.

— წარმოგიდგენია, ეს ოქროა,—აღტყინებით წამოიძახა სეთომ...—ნამდვილი, სუფთა ოქრო. ჩვენმა მდინარემ გაზაფხულზე ქვიშას მოაყოლა. მაგრამ არ პრიალებს—ალბათ ისევ ჰაერია დამნაშავე ან შეიძლება სხვა რამე ურევია, ვინ იცის?

—, ეს ოქროს ფხვნილი სახელმწიფოს უნდა ჩააბარო,—მიუგო არმენმა.—აღმოჩენის შესახებ საჭიროა აცნობო...

— ჩავაბარებ, რასაკვირველია. ამის შესახებ აშოტ სტეპანოვიჩს და მის ამხანაგსაც უკვე ვუამბე. ჩემის აზრით, ამ მთების სიღრმეში აუარებელი სიმდიდრეა დამალული!.. მეც გაფაცებით დავეძებ... მალე სევანისკენ რკინიგზის ლიანდაგს დააგებენ. იცი რა ბრწყინვალე მომავალი ელოდება ჩვენი სევანის მხარეს, რა ძვირფასი განძეულობა არის ჩვენში?

სეთოს გიშერივით შავი თვალები აუციმციმდა...

არმენმა მრავალი რამ ნახა და გაიგო, მთავარი კი ის იყო, რომ მან გახსნა სეთოს საიდუმლოება, რამაც გააცა და განცვიფრებაში მოიყვანა. სეთო, როგორც მოწაფე მასწავლებლის წინაშე, ისე იდგა და მის აზრს მოელოდა.

კარგა ხნის ფიქრის შემდეგ, არმენმა უთხრა:

— იცი რა, სეთო, ეს ყველაფერი კარგია. შენი ყოფაქცევა სკოლაში და ამხანაგებთან დამოკიდებულება ჩემთვის აქამდე გაუგებარი იყო, ახლა კი გავიგე რით ყოფილხარ გატაცებული და რატომ დაეხეტებოდი მთა და ღრეში, რატომ აგროვებდი ამდენ ქვასა და ლოდს. ჩემის აზრით, მომავალში შენ საუკეთესო გეოლოგი გამოხვალ. მხოლოდ ნამდვილ გეოლოგს სწავლა-განათლება უნდა ჰქონდეს, ამიტომ საჭიროა სწავლა, სწავლა... ჩვენ ამის შესახებ მოვეთათბირებით მასწავლებელ არამ აკოფიანს და სტუმრად ჩამოსულ გეოლოგებს. წახვალ ერევანში და ჩაირიცხები უნივერსიტეტის გეო-

ლოგიურ ფაკულტეტზე. აშოტ სტეპანოვიჩი დაგეხმარება... რა კარგი და მცოდნე ჯაბუკი ხარ, სეთო,—ამის თქმა იყო და ისე მაგრა მოეხვია სეთოს, რომ მას გული აუჩუყდა...

— რასაკვირველია, ისე მოვიქცევი, როგორც მირჩევ,—უპასუხა სეთომ,—უეჭველად გავაკეთებ...

ღამით ზბის პირას

განუყრელი მეგობრები კამო და არმენი გილის პირას მწვანე მოლზე წამოწოლილიყვნენ და წიგნს კითხულობდნენ. ერთი გაეტაცნა ბორის პოლევოის მოთხრობას „ამბავი ნამდვილი ადამიანისა“, მეორე კი—სქელტანიან კრებულს ჩელუსკინელთა შესახებ.

— რის მაქნისები ვართ?—ერთბაშად წამოხტა კამო.—შენ გეკითხები, არმენ, რისთვისა ვართ? წყალი რა არის, რომ იაიც დღემდე ვერ გვიპოვია... ამათ კი რამდენი საქმეები გაუკეთებიათ!..

მას ახალგაზრდული სისხლი უჩქეფდა ძარღვებში, რომელიც უმაგალითო გმირობისაკენ მიილტვოდა. კამოს ძალა ემატებოდა, აზრები უფართოვდებოდა, ხასიათი უფრო მოუსვენარი და გამბედავი უხდებოდა, უმტკიცდებოდა იმის რწმენა, რომ არავითარი დაბრკოლება საშიში აღარ არის მისთვის.

არმენი, პირიქით, უკანასკნელი წლის მანძილზე უფრო ჩუმი, მორცხვი გამხდარიყო.

კამო ჩასხმული, მხარბეჭიანი, მაგარი ნებისყოფის ახალგაზრდა იყო. არმენს კი სუსტი მკერდის ქვეშ მგრძნობიარე, პოეტის გული უცემდა, გონიერი და მომხიბლავი თვალები ჰქონდა.

— აქ მარტო მოწადინება საქმეს არ უშველის, ცოდნაა საჭირო... გეოლოგი უნდა იყო, რომ მთის ფენები, მისი ყველა საიდუმლოება გაიგო, მარტო ძალღონით ვერაფერს გააკეთებ,—სერიოზული ტონით უთხრა ამხანაგს არმენმა.

— შენ კვლავ მოთმინებას მირჩევ?.. შენი ასეთი მსჯელობა მაღიზიანებს... ასე მშვიდად როგორ ლაპარაკობ, როცა ჩვენი კოლმეურნეობის ნათესები უწყლობით იღუპება?.. გაიგე, წელს წყალსაქაჩი მანქანის დადგმა რომ ვერ ხერხდება?

— ვიცი, მაგრამ რატომ ცხარობ... საჭიროა რაღაც მოვიფიქროთ... მოდი ხვალვე გიჟი მთის მწვერვალზე ავიდეთ, როგორც ამ-

ბობენ იქ საკმაოდ მოზრდილი ტბა ყოფილა, იქნებ შესაძლებელი გახდეს ჩვენი კოლმეურნეობის მინდვრებზე არხის გამოყვანა... ახლა კი სახლში წავიდეთ, უკვე გვიან არის...

— მე აქედან არსად არ წავალ. დღევანდელი სიცხე-პაპანაქების შემდეგ ისე მსიამოვნებს ტბის აქაური სიგრილე, რომ თავი საშოთხეში მგონია, არა, არსად წამსვლელი არა ვარ, უკვე დავუბარე დედას, რომ დღეს არ დავბრუნდები.

— ღამის გათევას ხომ არ აპირებ აქ?

— სულელი ხომ არა ვარ, რომ ასეთი მშვენიერი ჰაერი დავტოვო და დახუთულ ოთახში დავიძინო,—წამოდგა კამო და მოთიბული ლერწმებისაგან „რბილი სასთუმლის“ მომზადებას შეუდგა.

— მაშ კარგი, მეც დავრჩები. ღამით ვარსკვლავების მზერას და ლერწმების შრიალის მოსმენას რა სჯობია.

ისინი კვლავ წამოწვნენ და კითხვა განაგრძეს.

მალე მზე ჩავიდა, ტბა თანდათან დაიბერა, მოიღუშა. ლერწმიანის სილრმიდან კვლავ გაისმა „წყლის ურჩხულის“ მუქარა. ღამის წყვდიადში ეს ხმა უფრო საზარელი და საიდუმლოებით იყო მოცული...

— მეუბნები, „ნუ ბრაზობო“... როგორ არ გავბრაზდე, როცა დღემდე ამ გრიალ-გრუხუნის მიზეზი ვერ გამოვარკვიეთ,—ჩაილაპარაკა კამომ და წიგნი გვერდზე გადადო.

არმენმა არ უპასუხა.

მთვარე ამოვიდა, თავისი ნათელი სხივებით ტბის ტალღები აამეტყველა. ტბიდან დაბერილმა გრილმა ნიავმა სისინით გაირბინა მინდორ-ველებისაკენ... ბუნებამ ტკბილად ჩაიძინა...

მხოლოდ ბაყაყები აყრუებდნენ არე-მარეს...

ბიჭები შუაღამემდე მუსაიფობდნენ, მათი ახალგაზრდა სული იმედებით და ნეტარი ოცნებებით იყო აღგზნებული...

ბოლოს თვალის ქუთუთოები დაუმძიმდათ და ტკბილ ძილს მიეცნენ.

ალიონზე არმენს გამოეღვიძა. ტბა ჯერ ისევ თვლემდა. მთების მწვერვალებს მზის პირველი სხივები მოხვედროდა. იდუმალი ვეება მთები უძრავად იდგნენ ტბის—ამ მზეთუნახავის—გარშემო და თითქოს მის გამოღვიძებას ელოდებოდნენ.

გამოეღვიძა კამოსაც, ცქვიტად წამოხტა, ტანვარჯიშის რამდენიმე ილეთი შეასრულა და დილის გრილი ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა.

— წავიდეთ,—მიუბრუნდა არმენს.

ყანებში დატოვებული გზით გაემართნენ სოფლისაკენ. წინათ ნაჯაობარი ეს ადგილები კოლმეურნეობამ ამოაშრო და ხორბალი დათესა. ამ მიწების ნიადაგი შედარებით ნალექიანი იყო, გვალვამ ვერაფერი დააკლო და მოსავალსაც კარგი პირი უჩანდა.

სოფლის მახლობლად, თივის ზვინებს იქიდან ვიღაცამ დაიყვირა:

— ვინა ხარ? შეჩერდი!

ბიჭებმა ბინდბუნდში პაპა ასატურის თოფის ლულა შეამჩნიეს და გაიცინეს.

— ჩვენა ვართ, პაპა, ჩვენ...

— ამ დილაადრიან საიდან მოდიხართ?

— ტბის პირას გვეძინა.

პაპა მიუახლოვდა, თოფზე დაეყრდნო და უთხრა:

— მართლაც ტბის პირას ღამის გათევას რა სჯობია! ჯეელობაში მეც ბევრჯერ გამითევია იქ ღამე.—მან ჩიბუხი გატენა და განაგრძო:—დავწოლილვარ და სმენად გადაქცეულს მიფიქრია, რომ მარტო ჩვენ კი არ ვცხოვრობთ და ვსუნთქავთ ამ ქვეყნად, არამედ ტბაც, რომელიც მხიარულ მომენტში ახალგაზრდა ქალიშვილივით კისკისებს, ხოლო, როცა ქარიშხალი დაუბერავს, წვიმა წამოვა, ისიც ბრაზობს, იქოჩრება... ჩემის აზრით ქარიც სუნთქავს, კლდეებიც, ლერწამიც... თქვენ რა გგონიათ, ჩვენი გიჟი მთა არა სუნთქავს? როგორ არა, ეს წელიწადში ერთხელ თავს მოიგიჟიანებს, თავის ქერქში ვეღარ დაეტევა, დაიწყებს გრგვინვა-გრუხუნს და ნაცარტუტას გადმოანთხევს... ამ ყვავილებს, ხეებს, ბალახებს, ფოთლებს, ყველას, ყველას სული უდგია, აბა წყალს ნუ შეასმევ, მყისვე გახმებიან.

ბიჭები გულდასმით უსმენდნენ ბუნებისმოყვარულ პაპა ასატურს. მათ კარგად იცოდნენ, რომ მონადირე ასატური თავისი ხუთი თითივით ზედმიწევნით იცნობდა სევანის მიდამოების ბუნებას. საკმარისი იყო საღამოს ცისათვის შეეხედა, რომ შეუცდომლად ეთქვა მეორე დღეს წვიმა იქნებოდა თუ არა. ვარსკვლავებზე დაკვირვებით დროს გებულობდა, ქარის მიხედვით კი ატყობდა, თუ როგორი მოსავალი იქნებოდა... და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი რამ იცოდა მოხუცმა ასატურმა!..

— პაპა, შენ ის გვითხარი, ჩვენი მინდვრებისათვის წყალი სად ვიშოვოთ?—უცებ შეეკითხა კამო.

— სად? რომ გითხრა, მოიყვან?

— მოვიყვან.

— შეგიძლია, მაგალითად, გიჟ მთაში ათ კილომეტრიანი გვირაბის გათხრა?..

— გვირაბი? რისთვის?

— იმისათვის, რომ წყალი მთის კენწეროდან სოფლამდე ჩამოვიყვანოთ.

— განა გიჟი მთის მწვერვალზე წყალი არის?..

— არის მაშ, როგორ არა. მეტად ლამაზი ტბა არის. მაგრამ იქ ასვლა ადვილი როდია, ძალიან მაღლაა. იელისში იქ ჯერ კიდევ თოვლი დევს. საშინლად ცივა. გარეული ცხვარი და ირმები ზაფხულობით თუ ადიან იქ.

— როგორ, ირმებიცა და ცხვრებიც?—შეეკითხა კამო.

— მაშ, რამდენიც გინდა.

კამო ფიქრებმა მოიცვა.

— პაპა,—ჰკითხა არმენმა,—დღემდე რატომ არაფერი გითქვამს მაგ ტბის შესახებ?

— რა უნდა მეთქვა? რომ მეთქვა, რა სარგებლობას მოგვიტანდა? იცი, რა მაღლაა?.. მისგან ჩვენ ვერავითარ სარგებლობას ვერა ვნახავთ.

— წავიდეთ, გეოლოგებს უამბე მაგ ტბის შესახებ. იქნებ იქიდან წყლის ჩამოყვანა მოხერხდეს.

კამომ მკლავი მკლავში გაუყარა მოხუც ასატურს და სამივენი ახლადგაღვიძებულ სოფელში შევიდნენ.

ახალგაზრდა გეოლოგებს ჯერ ისევ ეძინათ. სტუმრების მოულოდნელმა მისვლამ ისინი გააკვირვა.

— რა ამბავია?—ლოგინიდან წამოხტა აშოტ გასპარიანი.

— წყალი აღმოვაჩინეთ,—მოკლედ მოუკრა კამომ.

— წყალი?..

— დიახ, მხოლოდ ძალიან შორს არის, მთის მწვერვალზე.

— აბა რაც იცი ამ წყლის შესახებ, პაპა, ყველაფერი გვიამბე.

— რა გითხრა, შვილო,—ტკბილად მიუგო გეოლოგებს მოხუცმა,—დიდი ტბაა ჩვენი გიჟი მთის მწვერვალზე, ირგვლივ ათასფერი ყვავილებით მორთულ-მოკაზმული... ჩემ სულმნათ ნათლია მუქელს ერთ დროს როცა ცხვარს წყემსავდა, ფარა გიჟი მთის მწვერვალისაკენ გაურეკია: „დაე იქაური ნოყიერი ბალახი მოძოვონ და ის ცივი

უკვდავების წყალი შესვან—დიდხანს იცოცხლებენო“. ამ ტბის წყალს ჩვენი მამა-პაპა „უკვდავების წყალს“ უწოდებდა. ამბობდნენ, თუ ამ წყალს დალევ, სიცოცხლე მოგემატებაო. ჰოდა, მიურეკია ცხვრები, ისინი კი აქეთ-იქით გაფანტულან, ძალიან გაუწვალებიათ. გაბრაზებულა ჩემი ნათლია და ცხვრებისათვის შინდის კომბალი უსროლია, მაგრამ ის ტბაში ჩავარდნილა და რადგან ბოლოში რკინა ჰქონია წამოცმული, ჩაძირულა კიდეც... ძალიან დანანებია ნათლია-ჩემს, მაგრამ რას გააწყობდა?.. რამდენიმე დღის შემდეგ კი ის კომბალი მის მეზობელ აკოფას მიუტანია მუქელისთვის. „სად იპოვე ეს კომბალიო?“—ეკითხება აკოფას მუქელი. „გილის ტბაშიო“,—უპასუხნია. როგორც გამოირკვა, კომბალი წყალს წაეღო და რომელიღაც ხვრელით გილის ტბაში ჩამოეტანა.

გეოლოგი ღრმა ფიქრებს მიეცა.

— ეგ ზღაპარია... არა მგონია კომბალი ასე შორს წაეღო წყალს, სადღაც მაინც რამეს მოედებოდა, მაგრამ რაკი ამბობენ, საჭიროა გამოვარკვიოთ. იცი რა, პაპა, უკვე თენდება, მოდი წავიყვანოთ ბიჭები და გიჟ მთაზე ავიდეთ, იქნებ შენი ქვის ვეშაპის საიდუმლოება გავხსნათ,—უთხრა მან და ჩაცმა დაიწყო.

— ეჰ, შვილო,—ამოიოხრა მოხუცმა,—რამდენჯერ დაგვტეხია გვალვით მოყენებული უბედურება, შიმშილისაგან ბევრი დახოცილა, ზოგიც ამ მიდამოებიდან გახიზნულა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო, ჩვენც კი მოვახერხებდით წყლის გამოყვანას, ვეძებეთ კიდევაც, მაგრამ ვერ ვიპოვეთ...

— იქნებ ჩვენ ვიპოვოთ.

— კარგით,—დათანხმდა მოხუცი,—წავიდეთ, თუმცა არაფერი გამოგვივა. სამაგიეროდ გარეულ ცხვარს გაჩვენებთ.

სანამ მეფრინველეობის ფერმაში მივიდოდნენ, მზე ამოვიდა. სეთო გულმოდგინედ მუშაობდა, ჰასმიკის ყველა განკარგულებას უსიტყვოდ ასრულებდა.

— სეთო, შენ ხომ მეთევზის შვილი ხარ?—ჰკითხა კამომ.

— განა არ იცი?

— რომ ვიცი, იმიტომ გეკითხები. კარგი ცურვა იცი, არა?.. შეგიძლია წყალში ჩაყვინთო?

— თევზი ვერ მაჯობებს,—დაიკვეხა სეთომ.

— მაშ, ახლავე გაიქეცი შინ, პატარა საგზალი აიღე, ქალამნები ჩაიცვი და სასწრაფოდ მოირბინე, მთაზე უნდა ავიდეთ,

სეთო სიხარულით სახლისკენ გაქანდა.

მოვიდა ბრეზენტის ტანსაცმელში გამოწყობილი გეოლოგი აშოტ გასპარიანიც. ქუდიც ბრეზენტისა ეხურა, მხარზე გეოლოგიური იარაღებით სავსე ბრეზენტის ჩანთა ჰქონდა გადაკიდებული.

მან გაიხმო არმენი და დიდხანს ხმადაბლა საუბრობდა მასთან.

კამო შორი-ახლო იდგა და ცდილობდა ყური მოეკრა საუბრისათვის. მან მხოლოდ არმენის რამდენიმე სიტყვა გაიგო.

— დიახ, მეც სწორედ მაგ აზრისა ვარ... ნავთი შეიძლება დაგვეხმაროს... კარგით...

არმენი მიუბრუნდა მოლაშქრეთა ჯგუფს.

— ნახევარი საათი დამიცადეთ, ერთი სერიოზული საქმე მაქვს,—უთხრა ბიჭებს და გაიქცა.

მან მოძებნა თავმჯდომარე და დიდხანს რაღაცაზე ელაპარაკა. თუ რაზე—კაცმა არ იცის. ამ საუბრის შედეგად კი მოანგარიშე მესროფმა მიიღო განკარგულება, რამაც მისი უკმაყოფილება გამოიწვია:

— მერე როგორ გავაფორმოთ? მოანგარიშემ არ უნდა იცოდეს, თუ რას მოხმარდება ის, რაც საწყობიდან გადის?

— მიზანს შემდეგ გაიგებ... ჩვენს სწავლულს არ უნდა, რომ თავისი საიდუმლოება გაგვიმჟღავნოს,—ღიმილით უთხრა თავმჯდომარემ,—არა უშავსრა, მესროფ, გამოწერე, მე მგონია, ნორჩ ნატურალისტებს იმდენი ნდობა აქვთ, რომ შეგვიძლია მივცეთ თხუთმეტი ლიტრი ნავთი ისე, რომ ჯერჯერობით არ ვკითხოთ, თუ რისთვის სჭირდებათ.

არმენმა საწყობიდან მიიღო ხუთი სამლიტრიანი შუშის ბოთლი და თხუთმეტი ლიტრი ნავთი. ბოთლები ნავთით აავსო და ამხანაგებთან დაბრუნდა.

— ყველამ თითო ძველი ნახმარი ტომარა წამოიღეთ სახლიდან და კოლმეურნეობის საწყობში გამოცხადდით,—დაავალა ბიჭებს არმენმა,—მანამდე მე მასწავლებელთან გავიქცევი.

ბიჭებმა განცვიფრებით გადახედეს ერთმანეთს.

— რა გაგიკვირდათ? განა გასაგები არ არის თქვენთვის? ბაგრატი გზად სურსათ-სანოვაგეს გვატანს!—გაუხარდა გრიქორს და ტომრის მოსატანად სახლისკენ მოჰკურცხლა.

მაგრამ ვერ წარმოიდგენთ როგორ განცვიფრდა, როცა საწყობ-

ში სურსათის ნაცვლად ტომარაში ნავთით სავსე დიდი ბოთლი ჩაუდგეს.

— ეს რაღა მასხრობაა?—წყენით წამოიძახა გრიქორმა.

— დიდი ამბავია, ერთხელ ჩვენც გაგეხუმროთ?—გაიცინა არმენმა.—ყველამ თქვენი წილი წამოიღეთ, რაღას გაჩერებულხართ? რისთვისაც მიგვაქვს, ჯერ არ გეტყვით, შემდეგ გაიგებთ.

— სწავლული ბიჭია, უჭკუოს არაფერს გააკეთებს,—თქვა მოხუცმა და თავისი წილი ნავთის ბოთლი ტომარაში ჩაიდო.

„ძალზე საინტერესოა... ნეტა რა მოისაზრა არმენმა?"..—ფიქრობდა ჰასმიკი.

ჩვენი ნორჩი ნატურალისტები თავიანთი ტვირთით გზას გაუდგნენ. მათ გაჰყვნენ ჩამოსული გეოლოგებიც.

ვულკანის კრატერში

საშინლად ცხელოდა. ჩვენი ჭაბუკები მოხუც მონადირესთან და ახალგაზრდა გეოლოგებთან ერთად გიჟი მთის ვიწრო ბილიკებით ზევით მიემართებოდნენ.

ჰასმიკი მანამდე ჯიხვივით რომ ქვიდან ქვაზე ხტოდა, ახლა დაღლილ-დაქანცული, აწითლებული და ოფლში გაწურული ხვნეშით ძლივს მიაბიჯებდა. არმენსაც უჭირდა სიარული, მაგრამ ჰასმიკის სცხვენოდა და ცდილობდა არ ჩამორჩენოდა კამოს, რომელიც მხნედ მიაბიჯებდა. სხვებზე უფრო იოლად ავიდოდა მთაზე გრიქორი, მეორე ფეხიც რომ ჯანმრთელი ჰქონოდა. მიუხედავად ამისა, უკან არა რჩებოდა, თანაც ოხუნჯობას თავს არ ანებებდა, ამხანაგებს ამხიარულებდა.

მონადირის მტკიცე ნაბიჯით წინ მიიწევდა მოხუცი ასატური. ის ხანდახან ჭაბუკებს გასძახებდა ხოლმე.

— აბა ბიჭებო, თქვენი ჭირიმეთ, არავინ ჩამორჩეს...

მოლაშქრეთა შორის ყველაზე მხნე და მარდი კამო იყო. ის ხან პირდაპირ აირბენდა აღმართს, ერთ ქვაზე შეჩერდებოდა, ხან ისევ მოუცდიდა ამხანაგებს და მათთან ერთად ნელი ნაბიჯით წინ გასწევდა.

სულ ბოლოს მუსაიფით, აუჩქარებლად მიდიოდნენ ახალგაზრდა გეოლოგები. არც სეთოსათვის იყო ძნელი მთასვლელობა, გზაში ის დიდი დაკვირვებით ათვალიერებდა თითოეულ ქვასა და კენჭს.

ზოგიერთ ქვას, რომელიც მოეწონებოდა, აიღებდა და ჩანთაში ან ჯიბეებში იწყობდა. ამხანაგებს ყურადღებას არ აქცევდა, სულ გეოლოგებთან ტრიალებდა, მათ საუბარს გულდასმით უსმენდა. მას იმდენი სხვადასხვა ფერის დიდი და პატარა ქვა მოეგროვებინა, რომ თანდათან უმძიმდა მათი ტარება. ამიტომ გზას გადაუხვია, ერთი ბუჩქის ძირას დაყარა ქვები. „მწვერვალიდან დაბრუნებისას თან წავიღებო“ გაიფიქრა და მკვირცხლად გამოედევნა ამხანაგებს.

აჰა მწვერვალიც.

— თქვენი ჭირიმეთ, ეს რა ადგილებია!—აღტაცებით წამოიძახა კამომ.

ტრიალ მინდორზე ყვავილებით და ბალახით გარშემორტყმული პატარა ლამაზი ტბა მზის სხივებზე კიაფობდა. ტბის წყალი ცივი და ისეთი ანკარა იყო, რომ ფსკერზე კენჭები თითო-თითოდ დაითვლებოდა.

მთის ნაპრალებსა და მწვერვალებზე თოვლი ათასფრად ბრწყინავდა. ის დნებოდა, პატარ-პატარა ნაკადულებით ჩუხჩუხით ტბისკენ მიედინებოდა.

— უი, რა მშვენიერია,—ტბა რომ დაინახა, წამოიძახა ჰასმიკმა. — შეხედე, კამო, თხები გარბიან...

მართლაც გრძელფეხებიანი თეთრი ცხოველების ერთი ჯგუფი დაფრთხა და მთის მეორე ნაპირისაკენ გაეშურა. ისინი ერთხანს შეჩერდნენ, ყურები ცქვიტეს და სწრაფად მოეფარნენ ქვებს... ერთი დიდი დაგრეხილრქებიანი ყოჩი შეჩერდა და თვალიერება დაუწყო უცნობ ორფეხა არსებათა მოძრაობას.

— ეგენი თხები კი არ არიან, ჰასმიკჯან, არამედ გარეული ცხვრები. საწყლებს წყლის სმა ჩავუშხამეთ,—უთხრა მოხუცმა.

— პაპა, შენი ჭირიმე, დავედევნოთ, ესროლე,—შეეხვეწა გრიქორი.

— ყარაულს ხედავ? მიუახლოვდები თუ არა, ყველას შეატყობინებს და ისე მოჰკურცხლავენ, რომ ტყვიაც ვერ დაეწევა. მაგათი მოკვლა ადვილი როდია, თანაც ყველას არ შეუძლია,—მოხუცმა ჩიბუხი გატენა და აღგზნებული ხმით განაგრძო:

— ჰაი გიდი, ახალგაზრდობავ!.. რამდენჯერ ამ ქვის საფრიდან თოფი მომიღერებია წყალზე მოსულ შვლებისა და ცხვრებისათვის, მაგრამ არ გეგონოთ, თუ წყლის სმის დროს მომეკლას, არა, მონადირე ასატური ასეთ სისაძაგლეს არ ჩაიდენდა!

— მაშ, როგორ მოგიკლავს,—შეეკითხა გრიქორი.

— ვაუკაცურად. შევატყობინებდი აქა ვარ-მეთქი, როცა გაიქცეოდა, მერე ვესროდი.

— პაპა, ეგ რანაირი ცხვრებია, რომ დუმა არა აქვთ?

— დუმა?.. დუმა რომ ჰქონდეთ, როგორღა გაიქცეოდნენ, ეგენი ხომ გაქცევით იცავენ თავს მგლისაგან... ჩემის აზრით შინაურ ცხვარსაც არა ჰქონია დუმა, ადამიანს მერე მიუწებებია ეგ ქონის გუნდა...

— კარგადაც მოქცეულა, დუმაზე გემრიელი რა არის?—წამოიძახა გრიქორმა.

— მაგრამ რა ლამაზები იყვნენ, სრულებით არ ჰგვანან ცხვრებს, უფრო სწორად შვლებს ჰგვანდნენ,—თქვა არმენმა.

— .ბა ყმაწვილებო, მითხარით, გარეულ ცხვარს უკანა ნაწილი მოთეთრო რატომ აქვს? ყველა ცხოველი ხომ ადგილმდებარეობის შესაფერ იერსა და ფერს იძენს, მაშ ცხვარი გამონაკლისს რატომ შეადგენს?—თავმომწონედ შეეკითხა პაპა ასატური.

ბიჭებმა პასუხის გაცემას დუმილი არჩიეს.

— ახლავე გეტყვით: უკანა ნაწილი მათ თეთრი იმიტომ აქვთ, რომ ბნელ ღამეში კრავმა დაინახოს, თუ საით გარბის მისი დედა და აედევნოს,—აუხსნა მოხუცმა.

— ერთხელ დიდი ყოჩი რომ მოკალი, მას ხომ კრავები არა ჰყავდა, მაშ უკანა ნაწილი თეთრი რატომ ჰქონდა?—შეეკითხა კამო, დარწმუნებული რომ ამით პაპას დააბნევდა:

— შენ რას ფიქრობ?—შეკითხვაზე შეკითხვითვე უპასუხა მოხუცმა და სახეზე ღიმილი აუთამაშდა.

კამო დუმდა.

— მე რომ მოვკალი, ის ფარის მეთაური იყო, მეთაურმა კი მუდამ კარგად იცის ყველა ვიწრო ბილიკი, რომლითაც უნდა გაიქცნენ მგლისაგან თავის დასაცავად, ის ნაცნობი ბილიკებით გარბის ხოლმე, უკან კი მთელი ფარა მისდევს,—ტრაბახით უპასუხა მოხუცმა და ხანმოკლე დუმილის შემდეგ დაუმატა:—გარეულ ცხვრებს ჩვეულებად აქვთ რიგრიგობით მისდიონ ერთიმეორეს...

გეოლოგები ცოტა მოშორებით იდგნენ, ამ ჯადოსნურ ადგილმდებარობას ხარბად ათვალიერებდნენ, პატარა იარაღით ზომავდნენ და რვეულში რაღაცას ინიშნავდნენ.

ბოლოს აშოტ გასპარიანი მიუახლოვდა ჭაბუკებს და აუხსნა:

— სავსებით ნათელია, რომ ამ პატარა ტბის ადგილას რამდენიმე ათასი წლის წინათ ვულკანის კრატერი ყოფილა. საერთოდ უნდა მოგახსენოთ, რომ სომხეთი ჩამქრალი ვულკანების ქვეყანაა, აბა დააკვირდით ამ მთის ფორმას, ნამდვილ ძაბრს მოგვაგონებთ. როდესაც ვულკანი ჩამქრალა, ნიაღვარს ამოუვსია მისი კრატერი, შემდეგ ეს „ძაბრი" თანდათანობით ამოვსებულა გამდნარი თოვლის წყლით და ეს პატარა ლამაზი ტბა გაჩენილა. ბევრი ტბები მინახავს, მაგრამ ასეთი სილამაზე არც ერთს არა ჰქონია, რომელი მხატვარი შეძლებს მის დახატვას, ან რომელ ნიჭიერ პოეტს ძალუძს შეაქოს მისი სიკეკლუცე!.. ჩვენი მოსაზრება სწორი გამოდგა, არმენ... ხომ გახსოვს სოფელში, რომ ელაპარაკობდით, ნავთის მიღებამდე...

არმენი ასეთი შექებით ყურებამდე გაწითლდა...

გეოლოგმა განაგრძო:

— იმოქმედე, როგორც დაგეგმილი გაქვს... მე და ჩემმა ამხანაგმა მოვითათბირეთ და როგორც გეოლოგები, ვამტკიცებთ შენს გეგმას. იმოქმედე.

„ნეტა რა საიდუმლოებაა?"—ინტერესისაგან იწვოდა ჰასმიკი. ბიჭები უსმენდნენ გეოლოგისა და თავიანთი „სწავლული" ამხანაგის საუბარს, და არმენი მათ თვალში თითქოს იზრდებოდა, თანდათან მაღლდებოდა.

— აბა, ამხანაგებო, ტბის პირას ჩავიდეთ,—უთხრა კამომ.

— უკეთესი იქნება ტვირთი ჩამოვიღოთ და აი, იმ მთის მწვერვალზე ავიდეთ, გადავხედოთ მთების იქით რა ხდება,—ურჩია არმენმა.

— კარგი, წავიდეთ,—დაეთანხმნენ ამხანაგები.

„მე გაღავსქერი კავკასიონს..."

თუმცა ივლისის დასაწყისი იყო, მაგრამ ის პატარა მწვერვალი, რომელზეც ჩვენი ჭაბუკები ადიოდნენ, ამწვანებული ხავერდოვანი ბალახით იყო დაფარული. ხეობიდან გაზაფხულს მხოლოდ ახლა მოეღწია აქამდე.

— ენძელა, ენძელა,—წამოიყვირა ჰასმიკმა. თეთრი თოვლით გადაპენტილი მთის მწვერვალი მზის სხივებზე ბრწყინავდა, ყოველ კუთხიდან მწვანე ბალახებს შორის ტბისაკენ მიჩუხჩუხებდნენ პატარ-პატარა ნაკადულები.

ჰასმიკმა ხტუნვა-ხტუნვით პირველმა აირბინა მწვერვალზე.

— ეს რა ახალი სამყაროა! ერთი შეხედეთ, თქვენი ჭირიმეთ, რა საუცხოო სანახაობაა!

ყველანი მთის მწვერვალზე ავიდნენ, ირგვლივ მიმოიხედეს და აღტაცებულნი დარჩნენ. ჭაბუკები ასეთ სურათს პირველად ხედავდნენ.

თუ მთის სამხრეთი მხარე მწირი იყო მცენარეულობით, ჩრდილოეთი ნაწილი პირიქით, მთლიანად მწვანე ფოთლოვანი და წიწვოვანი ტყეებით იყო დაბურული. შორს მცირე კავკასიონის მთაგრეხილის ხეობაში მოდუდუნებდა მტკვარი, აქა-იქ მოჩანდა ბანჩქერები, წყალვარდნილები და პატარ-პატარა დაბა-სოფლები.

ლორის ტყეებში გრძელი ხაზი მიიკლაკნებოდა, რომელზეც მატარებელი მიდიოდა.

ზოგიერთი მაღალი მთის მწვერვალს თავზე თეთრი მანდილი ეხურა, ეს მთები გადაჭიმული იყო აღმოსავლეთით, დასავლეთით, სამხრეთით და ჩრდილოეთით. მთებსა და მთაგრეხილებს შორის გაუვალი ხევები, უფსკრულები და ხრამები იყო... დაბლობში, ტყიან ხევებში გამოჩნდა თეთრი ნაფლეთები, რომლებიც თანდათან იზრდებოდა, ფართოვდებოდა, ნელ-ნელა მაღლა-მაღლა მიიწევდა. თეთრი საბანი გადაეფარა მთელ ხეობას, ჭაბუკები ნისლის ზევით მოექცნენ...

ამ სიმშვენიერით მიღებული შთაბეჭდილება იმდენად ძლიერი იყო, რომ ჭაბუკები სიტყვებს ვერ პოულობდნენ. სწორედ ამ სიკეკლუცემ, ამ წარმტაცმა ბუნებამ მოხიბლა და ტკბილად, მგრძნობიარედ აამღერა ბუმბერაზი რუსი ხალხის დიდი მგოსნები: პუშკინი, ლერმონტოვი და მაქსიმ გორკი...

უცებ მწვერვალებიდან ქარმა დაჰბერა, უეცრად გაფანტა ნისლი და სათითაოდ გამოამზეურა ამწვანებული გორაკები, მთების ფერდობები. ნაფლეთ-ნაფლეთად ქცეული ბურუსი გასრიალდა მტკვრის ხეობისაკენ და მწვანე ტანსაცმელში მორთული ყაზახის ხეობა გამოჩნდა თავისი აქაფებული მდინარე აღსტაფით.

ყველანი დუმდნენ და ცქერით ვერ ძღებოდნენ...

აგერ სამხრეთით კარადაღის მთებია, სამხრეთ-დასავლეთით— ოსმალეთისა, დასავლეთით ლურჯი ცისათვის მიუბჯენიათ საქართველოს უზარმაზარ გოლიათებს, მათ კალთებზე მცხოვრებლებივით მუდამ ახალგაზრდებსა და მუდამ მხიარულებს. პირდაპირ ლორის მთები ლოქი, ლალვარი, ლეჯანი და ფამბაკია აღმართული.

სევანის ტბის ირგვლივ შემორტყმული მთები ხაენებულ მწვერვალებთან შედარებით არარაობას წარმოადგენენ.

შორს, ძალზე შორს, მთებს უკან, თითქოს ღრუბლებს ზევით თეთრად მოჩანდა ერთი წვეტიანი მწვერვალი.

— ეგ იალბუზი უნდა იყოს,—აღელვებით წამოიძახა არმენმა,— მოითმინეთ, მგონი ამიერკავკასიის პატარა რუკა უნდა მქონდეს.

მან რუკა გაშალა და მიმართულება დაადგინა.

— დიახ, იალბუზია.

— შეიძლება ყაზბეგი იყოს, ისინი ერთმანეთისაგან დიდი მანძილით არ არიან დაშორებული;—შეუსწორა კამომ.

— ადვილად შესაძლებელია, ყაზბეგი იყოს... მაგრამ რა ნათლად მოჩანს, გზატკეცილით აქედან დაახლოებით ათასი კილომეტრი იქნება... მთა დვალი რომელიღაა, პაპა?—მიმართა არმენმა მოხუცს.

— აგერ ის არის,—მოხუცმა ჩრდილო-დასავლეთით მდებარე მთაზე მიუთითა, — ფერდობზე ხვეულები მოჩანს, ეგ სტეფანავანში მიმავალი გზაა.

— სწორედ ამ გზაზე, ცხენით გაუვლია პუშკინს ასოცი წლის წინათ...—თქვა არმენმა.

— ნუ თუ ეგ ის გზაა,—ჩაერია ჰასმიკი,—მაგის შესახებ ხომ მეც წამიკითხავს... მანდ იყო არა, პუშკინი რომ შეხვდა კამეჩებშებმულ ურემს, რომლითაც გრიბოედოვის ცხედარს მიასვენებდნენ.

— ის არის, იქ, იმ მთის თავზე წყაროც არის, სადაც მეჩერებულა და წყალი შეუსვამს. საბჭოთა ხელისუფლების წლებში წყაროსთან ძეგლი აღმართეს. ახალგაზრდა მოქანდაკემ ქვაზე აღბეჭდა ცხენით არზრუმს მიმავალი პუშკინი,—თქვა აშოტ გასპარიანმა.

არმენი გაოცებული უყურებდა შორეულ მთას, გზას, რომლითაც გაუვლია პუშკინს. და მან მოულოდნელად, გრძნობით წარმოთქვა:

„მე გადავცქერი კავკასიონს, და ვდგევარ საშიშ
ნაპრალის პირად—მყინვარების და თოვლის ზევით
გადაღმა კლდეზე წამოფრინდა არწივი რხევით,
მე გამისწორდა და უძრავად ელვარებს ცაში.
ეხედავ, ასტეხა ნიღვარმა თავის ზვირთები
და პირველ ზვავთა მოძრაობას მე ვაკვირდები...“

ბიჭები სულგანაბული უსმენდნენ, უსმენდა სეთოც, რომელსაც გული ნაღველით ევსებოდა...

დიდხანს, დიდხანს იდგნენ ბიჭები და ტკბებოდნენ მათთვის ამ ახალი სამყაროთი, მისი სიმშვენიერითა და საკეკლუცით.

კამო პირველი გამოერკვა.

— უკვე გვიან არის, წავიდეთ,—დააჩქარა ამხანაგები.

ისინი დაბრუნდნენ, აიღეს თავიანთი ტომრები და ქვიდან ქვაზე ხტომით ტბას დაუბრუნდნენ.

გეოლოგები მთის მწვერვალზე დარჩნენ და განაგრძეს თავიანთი დაკვირვებები.

მრავალფეროვანი ყვავილებით იყო მორთულ-მოკაზმული ის შიდამოები... გეგონებოდათ ხორასანის საუკეთესო ნოხი ყოფილიყო გადაფარებული იმ ტრიალ მინდორზე.

ჭაბუკები ინტერესით ადევნებდნენ თვალს ტბის შუაგულში მონავარდე გარეულ იხვებს, არმენი კი ერთ მხარეს მიმჯდარიყო და თავისი გულის ნადები ქაღალდზე გადაჰქონდა...

— სსს... მუზა მოსვლია,—ტუჩებზე ხელის მიდებით წარმოთქვა ჰასმიკმა და არმენს გადახედა,—საინტერესოა რას წერს...

— ახლავე გავიგებ...

— კამო მიუახლოვდა ამხანაგს და უთხრა:

— წაიკითხე. არმენ, დარწმუნებული ვარ კარგი რამ გამოვიდოდა, აქ ხომ ყველაფერია პოეტისათვის. აბა გადახედე—მშვენიერი ტბა, ყვავილები, მთის ნიავი და ბოლოს...—ჰასმიკისკენ გაიხედა და გაიცინა.

არმენი გაწითლდა და სცადა თავისი ნაწარმოების დამალვა,

— რას ინაზები? მოგვეცი, წავიკითხოთ—შესძახა გრიქორმა და ხელიდან გამოსტაცა ქაღალდი.

გრიქორმა ჰასმიკთან მიირბინა, მის წინ დაიჩოქა, მარცხენა ხელი გულზე მიიდო, მარჯვენა ხელით ქაღალდი ყირამალა დაიჭირა და პრანჭვა-გრეხით, სასაცილო მიმიკით თავისებური „კითხვა“ დაიწყო. იმას, რასაც „კითხულობდა“ გრიქორი იქვე თვითონ თხზავდა:

ჯეირანი ხარ, ფერია! გულში ზიხარ და მღერი,
შენს სილამაზეს ადიდებს ბუნება მშვენიერი!
ცეცხლი რომ მომკიდებია, ჩვენს გარდა, არვინ იცის,
ეს გული, შენგან დაგული, ჩირაღდანივით იწვის.
სევანს შევსვამდი, ფერფლად რომ არ იქცეს ჩემი გული
ცეცხლი რომ ჩაქრეს ძვირფასო, შენს მიერ დანთებული.
გადავარდები სევანში—იქ მექნეს გრილი ბინა—
ავშიშინდები, ვითარცა გახურებული რკინა.

როცა გრიქორმა „კითხვა“ დაამთავარა ქაღალდი ჰასმიკს მისცა და ერთ ფეხზე ხტუნვით ტბასთან ჩაირბინა და შიგ ტანისამოსით გადაეშვა, რომ „გაგრილებულიყო“.

ბიჭები სიცილით იჭაჭებოდნენ.

გრიქორი წყლიდან ამოვიდა და ტანისამოსის გაწურვას შეუდგა.

— ახლა მივხვდი, რატომ ასხამს დედაჩემი კრუხებს ცივ წყალს, აღგზნება მთლად გამიქრა.

ყველანი მხიარული ჟივილ-ხივილით შემოეხვივნენ ჰასმიკს. კამომ კი ხეილდან გამოსტაცა ქაღალდი, რომელზეც ლექსი იყო დაწერილი. ერთ ქვაზე შეხტა, ხუჭუჭი თმები უკან გადაიყარა და აღფრთოვანებით წაიკითხა:

ტბის ზედაპირი მტრედისფრად ღელავს,
ქაფიან ტალღებს ნაპირებს ესვრის
და ამ ხმაურში, ამ ზვირთცემაში
ახალგაზრდული სიმღერა მესმის!

— ყოჩაღ, ვაშა, არმენ!—ერთხმად შესძახეს და გაიქცნენ არმენის მოსაძებნად, რომელიც სირცხვილით დიდ ქვას ამოფარებოდა.

არ დამალულიყო არ შეიძლებოდა, რადგან ქაღალდის მეორე გვერდზე რამდენიმე სტრიქონი იყო, რომლებიც კამომ, არ შეიბრალა ამხანაგი და აგრეთვე ხმამაღლა წაიკითხა:

რა ლამაზი ხარ, უმანკო ნაზი!
მთის ყვავილისებრ პირმოხატული;
ვინ ხარ? ოცნება გაზაფხულისა,
თუ მოჩვენება სიზმრად ნახული?..

— ვის უძღვნი ამ სტრიქონებს? — ღიმილით ჰკითხა კამომ და თითი დაუქნია.

ყველამ, თითქოს პირი მიუციათო, ჰასმიკს გადახედა. გოგონა ყურებამდე გაწითლდა, კამოს ქაღალდი გამოსტაცა და გაიქცა.

რა ნახეს ფბის ფსკერზე?

— ბიჭებო!—დაიწყო ოფიციალური ტონით კამომ,—ჩვენ, სოფელ ლუკავანის ნორჩმა ნატურალისტებმა, მოხუცი ნატურალისტის პაპა ასატურის მონაწილეობით და სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერ თანამშრომელთა ხელმძღვანელობით მოვაწყეთ ლა-

შეკრობა, რათა შევისწავლოთ ეს ტბა და გამოვარკვიოთ ხომ არ არის რაიმე კავშირი ამ ტბასა და გილის შორის. რამდენადაც გილის ფსკერიდან აუარებელი წყაროები მოჩუხჩუხებდნენ, რამდენადაც ამ მთის კალთებზე დიდი წყარო ყოფილა, როგორც ეს ქვევრში არსებული წარწერებიდან გავიგეთ, შემდეგ რამდენადაც პაპა ასატურის ნათლია მიქელის კომბალი ამ ტბაში ჩავარდნილა და წყალს გილის ტბაში გამოუტანია, არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ წყალი ამ ტბის ფსკერიდან ყონავს და მთის შუაგულით ქვევით, ჩვენი მინდვრების ქვეშ გილისაკენ მიედინება. ჩვენმა მეცნიერებმა, მე, როგორც თქვენს ხელმძღვანელს, მაცნობეს ამ ტბის გეოლოგიური გამოკვლევის შედეგები. მათი აზრით, ტბის წყალი მისი ფსკერიდან ყონავს. ასე არის არა, აშოტ სტეპანოვიჩ?

— ეჭვი არ არის. ეს მთა მთლიანად ვულკანურია და მას შიგადაშიგ დაყოლებული აქვს ხვრელები, საიდანაც ამ ტბის წყალი მიჩუხჩუხებს.

— ჩვენ დაუყოვნებლივ უნდა შევუდგეთ საქმეს,—კამო შეჩერდა, მან ალარ იცოდა, რით დაეწყო სამუშაო.

— ტბის ფსკერი უნდა შევისწავლოთ,—ჩურჩელით უკარნახა გეოლოგმა.

— დიახ..—გაუხარდა კამოს,—დიახ! ამრიგად გაიხადეთ ტანსაცმელი, ვიწყებთ ტბის ფსკერის შესწავლას.

— რა დროს ეგ არის, ამ ცივ ტბაში ვინ ჩავა?—უთხრა გრიქორმა.—სად გილი და სად ეს ტბა?.. შენც გამოიგონე რა!

— არაფერი არ გამოუგონია,—ჩაერია არმენი.—აბა დააკვირდით რამდენი წყალი ჩადის ამ ტბაში,—ერთი, ორი სამი, ოთხი მდინარე, გარდა წვიმისა.. ამ ქედებზეც ხომ მთელი თოვლი დნება და ისიც ტბაში ჩადის.

— მართლაც,—თქვა კამომ,—ამდენი წყალი ჩადის და არ ეტყობა, რომ ტბის დონე აწეულიყოს, ის ვერც დაიტევდა ამდენ წყალს...

— იქნებ აორთქლება ხდება,—თავისი აზრი გამოთქვა ჰასმიკმა.

— არა, აქ ცივა, დიდი აორთქლება არ შეიძლება იყოს,—თავი გაიქნია არმენმა—აქ ნამდვილად წყალი საიდანღაც ყონავს, ასე რომ არ ყოფილყო, აქამდე კრატერი წყლით ავსებოდა და ნაპირებიდან გადაიღვრებოდა...

მოხუცი მონადირე დუმდა, გაშტერებული გასცქეროდა მთის ქედს, სადაც რამდენიმე ხნის წინ გარეული ცხვრები იდგნენ. ძველმა მონადირემ იცოდა, რომ ისინი გამოგზავნიან მზვერავს მოსულთა თვალყურის დევნების მიზნით.

— მაშ თქვენ მოიფიქრეთ, როგორ გავიგოთ, თუ რა ხდება ტბის ფსკერზე,—მიმართა ბიჭებს გეოლოგმა,—ჩვენ კი განვაგრძობთ გამოკვლევებს.

გეოლოგები მოპირდაპირე მწვერვალზე დაგროვილი ქვებისაკენ გაემართნენ.

— ჩვენ აქ მხოლოდ, კონსულტანტების როლში გამოვდივართ. —უთხრა აშოტ გასპარიანმა ამხანაგს. — გახსოვს, რაზე ვსაუბრობდით ჩვენი ჩამოსვლის პირველ დღეს არამ მიხაილოვიჩთან? ატყობ, მე სულ ვცდილობ განზე ვიდგე. გაუშვი ინიციატივა ბიჭების ხელში იყოს. ჩვენ ჩაერიოთ ხოლმე მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, მაშინ, თუ ისინი რაიმე შეცდომას დაუშვებენ.

— მართალი ხარ, ბიჭები სწორ გზას ადგანან და ახლა ყველაფერს თვითონ გააკეთებენ... აი ქვებიც, რომლებიც ვულკანს ამოუხეთქია. ერთი ჩაქუჩი დაარტყი, ვნახოთ...

ტბის პირად კი კამო ბიჭებს აჩქარებდა:

— აბა, სეთო, დაგვიმტკიცე, რომ მეთევზის შვილი ხარ!

სეთო პირველი გადახტა ტბაში. ის მართლაც თევზივით ცურავდა და ყურყუმელაობდა. მის მაგალითს ბიჭებმაც მიბაძეს.

კალმახები დაფრთხნენ და მიიმალნენ.

წყალი იმდენად ცივი იყო, რომ ბიჭები მთლად გალურჯებულები და აცახცახებულები მყისვე უკან ამოცვივდნენ.. სეთომ ტბის შუაგულამდე გასცურა, მაგრამ მალე უკანვე გამობრუნდა და აღელვებით განაცხადა:

— ბიჭებო, ტბის შუაგულში წყალი ტრიალებს!

ჭაბუკები გულდასმით დააკვირდნენ. ნამდვილად ტბის შუაგულში წყალი ტრიალებდა, თეთრად ქაფდებოდა.

— გეოლოგებს დავუძახოთ... აშოტ სტეპანოვიჩ,—გასძახა კამომ,—დააკვირდით ტბის შუაგულს.

გეოლოგები მოვიდნენ და ტბას დააკვირდნენ. შემდეგ მოითათბირეს და თავიანთი აზრი გამოთქვეს:

— ტბის ფსკერზე ხვრელია. იქიდან წყალი მთაში ჩადის, ყოჩაღ, ბიჭებო, ეს მეტად საინტერესო აღმოჩენაა.

— წყალი რატომ ტრიალებს?—იკითხა გრიქორმა.

— დოყლაპია! აბა გახვრეტილ ჭურჭელში წყალი ჩაასხი და შეხედე, როცა დენას დაიწყებს, იტრიალებს თუ არა? — უპასუხა სეთომ და თავში ჩაარტყა...

კამო დაფიქრდა.

— როგორ გავიგოთ, მართლაც ხვრელიდან გადის წყალი? სეთოჯან, ჩვენი იმედი ისევ შენა ხარ,—უთხრა კამომ.

სეთო ამ სიტყვებმა აღაფრთოვანა. რაკი მთელი იმედები მასზეა დამყარებული, მზად არის ჯოჯოხეთშიაც კი შევიდეს, მით უმეტეს ჰასმიკი მეორე ნაპირიდან უყურებს მას...

— მეც წამოვალ,—განაცხადა აშოტ გასპარიანმა და ტანისამოსის გახდა დაიწყო.—განა შეიძლება ასეთი მნიშვნელოვანი აღმოჩენა ადგილზე არ ნახო! მართალს არ ვამბობ, სეთო? მხოლოდ ფრთხილად უნდა ვიყოთ! წყლის დინებაში თუ მოვექეცით, შეიძლება თან წაგვიღოს. აბა, გავცუროთ!

ორივემ ტბაში ისკუპა.

როცა მიაღწიეს იმ ადგილს, სადაც წყალი ტრიალებდა, სეთომ ჩაყვინთა. ის ცდილობდა არ გაჰკარებოდა წყლის ნაკადს, რომელიც ძირს ეშვებოდა. მაგრამ მორევი იმდენად მძაფრი იყო, რომ ჩაითრია და გააქანა ძირს, ტბის ფსკერის ხვრელისაკენ.

ჭაბუკებმა შეამჩნიეს, რომ წყლის ტრიალმა იმატა.

— სეთო იხრჩობა,—აღელდა კამო, მაშინვე წყალში გადახტა და ამხანაგის საშველად გასცურა.

მაგრამ სანამ კამო მიეშველებოდა, აშოტ გასპარიანმა ჩაყვინთა და სეთოსთან გაჩნდა. ბიჭი წყლის ნაკადის შუაგულში იყო, სვეტივით რომ ძირს ეშვებოდა. სეთოს ხელი მოავლო და მძლავრად თავისკენ გასწია; ამ დროს კამოც მიეშველა და ორივემ სეთო ტბის ზედაპირზე ამოიყვანეს. ტბის პირას მოლზე დააწვინეს და პაპა ასატურის ახალუხში თბილად გაახვიეს. სეთო რამდენიმე წუთს დუმდა, როცა შეთბა და გონს მოვიდა, ბიჭებს უთხრა:

— ტბის ძირში მდინარეა, საკმაოდაც დიდი მდინარე, ხვრელი რომ დიდი ყოფილიყო წყალი უეჭველად ჩამითრევდა...

— ცუდი არ იქნებოდა, რომ ჩაეთრიე... საინტერესოა, სად გასცურავდი—სევანში თუ სხვაგან?—სერიოზული კილოთი უთხრა გრიქორმა.—მეცნიერებას შეეწირებოდი, ჩვენ კი გავიგებდით საით მიედინება მდინარე.

— მაგის გამოსარკვევად სხვა საშუალება არსებობს,—გაიცინა აშოტ გასპარიანმა და არმენს თვალი ჩაუკრა.

არმენი გაწითლდა.

— მაინც სად მიდის წყალი?—განცვიფრებით იკითხა კამომ.

— მოდი და გაიგე!.. ან ყაზახის მხარეს ან კიდევ დარალაგიოზისაკენ...—უპასუხა გრიქორმა.

— ძნელია მაგის გაგება.

— რისთვის მოვიტანეთ ნავთი? ერთხელ მაინც გიფიქრიათ ამაზე?—ღიმილით შეეკითხა არმენი.

— მივხვდი, მივხვდი,—ადგილიდან წამოხტა ჰასმიკი და ტაში შემოჰკრა,—ძალიან საინტერესოა, მაშასადამე, ნავთს იმ წყალქვეშა მდინარეში ჩაასხამთ.

ყველანი მოწიწებით შესცქეროდნენ აშოტ გასპარიანს და არმენს, რომელთაც ჭკვიანური ხერხი გამოენახათ.

— ნავთს კი აქ ჩავასხამთ, ხოლო სად გამოვა ეგ კი არ ვიცით. მეტად საინტერესო ამბავია,—თქვა არმენმა.—გილის ტბაზე წყალს თვალყურს ადევნებს არაქსის პიონერული რგოლი—აჩიკ ჰარუთინიანი, ზორიკ ჰოვსეფიანი, სონია ვართაზარიანი, ალბათ სხვებიც მივლენ. ისინი დააკვირდებიან ტბას და თუ ნავთის ლაქები გამოჩნდება, გვაცნობებენ. მათთან იქნება არამ მასწავლებელიც. ის უჩვენებს, თუ ვინ სად იდგეს და როგორ ადევნოს თვალი ტბას. ყოველივე ეს მისი გეგმით კეთდება,—ღიმილით დაუმატა არმენმა.—გეოლოგებიც არამ მასწავლებლის გეგმით მოქმედებენ,—ყურში უთხრა მან კამოს.

— მე კი მგონია, რომ ჩვენ საქმეებში არ ერევიან.

— ეგ მხოლოდ გეჩვენება:

— სეთო, როგორ დავამტვრიოთ ნავთით სავსე ბოთლები შენ მიერ ნახულ იმ წყალქვეშა ხვრელში?—ჰკითხა კამომ.

— ხუთი ბოთლი?.. მაშ ხუთჯერ უნდა ჩავყვინთო და ხუთჯერვე ზევით ამოვიდე? თანაც ბოთლები დავამტვრიო?.. არა, ეგ შეუძლებელია. ვერა ნახე, ერთხელ ძლივს გადავურჩი სიკვდილს...

გეოლოგები დუმდნენ. ისინ უცდიდნენ, თუ ნორჩი ნატურალისტები რა საშუალებას გამონახავდნენ.

— მართალი ხარ,—უპასუხა სეთოს არმენმა.—თითო-თითო ბოთლი რო გატეხო, ისიც ხანგამოშვებით, ნავთი ტყუილ-უბრალოდ გაიფანტება და შედეგს ვერ მივაღწევთ, კარგი იქნებოდა, რომ ერთი

თხუთმეტლიტრიანი ჭურჭელი გვეშოვნა, თუ გინდ უბრალო თიხის კოკა ყოფილიყო.

— კოკა?.. კოკის შოვნა ადვილია,—გამოეხმაურა მოხუცი ასატური.—ამ მთის გადაღმა აზერბაიჯანელი კოლმეურნეები არიან ბალაღებზე, შეგვიძლია მათ გამოვართვათ... შორს არ არის...

კოკის მოსატანად წასვლა კამომ დააპირა, მაგრამ სეთომ ჩაცმა არ აცალა.

— ხომ გითხარით, ჰასმიკის წინაშე ცოდვები უნდა მოვინანიოშეთქი,—ამის თქმა იყო და სეთო აზერბაიჯანელი მწყემსების კარვებისაკენ გაფრინდა.

— მე ვფიქრობ, ჩვენს დიდ მიღწევად სეთოს გამოსწორება უნდა ჩაითვალოს,—თქვა კამომ სეთოს წასვლის შემდეგ.—სეთოსთან ერთად მისი ძმა არტოც გამოსწორდა.

— ეგ შენი დამსახურებაა, კამო,—მიუგო არმენმა,—შენ სწორი პოლიტიკა იხმარე.

— შენი მეთოდით,—ღიმილით უპასუხა კამომ.

— მე კი გამიკვირდა, თუ როგორ ერთბაშად ფარხმალი დააყრევინე იმ გახელებულ ბიჭს. ნუთუ ასეთი ძლიერი ხარ, კამო?—შეეკითხა ჰასმიკი.

— არ ვიცი,—წაილუღლუღა მუულოდნელი კომპლიმენტით დარცხვენილმა კამომ.

— რაკი ასეთი შნო და უნარი გაქვს, ერთ კარგ საჩუქარს მოგართმევ!..—გოგონა წამოხტა და ნაირ-ნაირი ყვავილების კრეფას შეუდგა...

ამ დროს გეოლოგები ტბის პირდაპირ მდებარე მაღლობებიდან ჩამოდიოდნენ.

— ჩემი აზრით, ამ მთის აღნაგობით შეგვიძლია დავადგინოთ თუ საით მიედინება წყალი, მთის იქითა მხარეს—აზახისკენ, თუ აქეთ—სევანისკენ?—თქვა აშოტ გასპარიანმა.

—რასაკვირველია, შეგვიძლია... და უნდა გითხრა, სანამ არ დავადგენთ, ბიჭებს ტყუილუბრალოდ ნუ გავაწვალებთ.

— თუ წყალი მართლა აზახისკენ მიდის, მაშინ ნავთის ჩასხმაც ზედმეტი იქნება, რაც მით უმეტეს, დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული...

მათ უკან გაისმა ჰასმიკის მხიარული ხმა.

— უყურე, არმენ, ნამდვილი პოეტური ყვავილებია, არა?— ეუბნებოდა და ბავშვურად კუნტრუშობდა ჰასმიკი,—აბა შეხედე, რა კარგებია, რა სასიამოვნო სუნი აქვს...

ამ ყვავილებისაგან გვირგვინი დაწნა და თავზე დაადო კამოს.

— სეთოს გამოსწორებისათვის, ჩემი ფერმის გადარჩენისათვის;—ჩამოთვალა ჰასმიკმა კამოს დამსახურებანი.—ნამდვილი გმირი ხარ.. ყვავილების გვირგვინით შემკული გმირი... ძალიან გიხდება... მოიცა, შენც მოგიტან, ჩემო ტკბილო მეგობარო...—და ჰასმიკმა ერთი კარგი გვირგვინიც არმენს მიართვა.

— უჰ, რა გალამაზდი, არმენ, თუმცა შენ მუდამ ლამაზი იყავი,—ხუმრობით უთხრა გოგონამ.

— გრიქორი! ჩემი საწყალი მეხბორე ძამიკო.. მოიცა, შენც ნარგიზს მოგიტან, ჩემო კარგო ბიჭო... მაგრამ იცოდე, თუ ფეხს არ იწამლებ, როგორც დამპირდი, აღარ მეყვარები. შენ კი, ჩემო კეთილო პაპული, რატომ მოგიწყენია? აი ეს თაიგული კი შენ, ხედავ, რა შვილიშვილები გყავს!

მოხუცმა შუბლზე აკოცა გოგონას და მწარედ ამოიოხრა. მას თავისი სიჭაბუკე მოაგონდა, თვალები მზის სხივებზე მოლაპლაპე ტბას მიაპყრო და ტკბილი ხმით რომელიღაც აღმოსავლური ბაიათი შემოსძახა.

— ჰეი გიდი, გიჟო მთაო... რამდენი ჩვენისთანა მოსულა შენთან. ამ ყვავილების სუნით დამთვრალა და უმურაზოდ წასულა... კაცმა არ იცის საიდან მოვდივართ, სად მივდივართ... ადამიანი ვერ მიუხვდება ბუნების საიდუმლოებას.

მოხუცი ძალზე აღელვებული წამოდგა.

— წავალ, ბიჭებო, უკანასკნელად ვინადირებ, გიჟ მთას მე ვეღარ ვიხილავ, ეს უკანასკნელია.. ერთხელაც წავალ, ვნახავ თვალის სინათლე კიდევ მიჭრის თუ არა?..

გარეული ყოჩი

პაპა ასატურის მიერ მოკლული ყოჩი მეტად დიდი და მძიმე გამოდგა. კამომ და გრიქორმა ძლივს მიათრიეს ტბამდე.

— უი, რა ლამაზია, ცოდო არ იყო მაგის მოკვლა? — წამოიძახა ჰასმიკმა.

— ცოდო კი იყო, მაგრამ ზოგჯერ მეცნიერებისათვის სისხლის დაღვრა აუცილებელია. ამ დღეებში მონადირეთა კავშირის თავმჯდომარემ მითხრა: „პაპა ასატურ, ზოოლოგიურ ინსტიტუტს გარეული ცხვარი ესაჭიროება, უნდა გამოარკვიონ როგორი კუჭ-ნაწლავი, ფილტვები და ღვიძლი აქვს, თანაც რანაირი ბალახით იკვებებაო“. არ ვიცი რისთვის დასჭირდათ, იქნებ რაიმე ავადმყოფობა გავრცელდა? მათ შიგნეული გავუგზავნოთ, ხორცს კი ჩვენ შევექცეთ. კიდევ კარგი, რომ ყოჩი მოვკალი!

— პაპა, რად უნდა ცხვარს ასეთი დიდი დახლართული რქები?—შეკითხა გრიქორი,—მერე ეს რა რგოლებია რქებზე?

— ცხვარს რქები თავის დასაცავადაც სჭირდება და შეტევაზე გადასასვლელადაც. ბრძოლაში ის იმარჯვებს, ვისაც დიდი რქები და მაგარი შუბლი აქვს, თანაც ახალგაზრდა და ღონიერია... რქებზე რგოლები კი წლოვანებას უჩვენებენ—ამის შესახებ თქვენთვის უკვე ნათქვამი მაქვს.

— მაშ, ეს ცხვარი ოცი წლის ყოფილა?—დაითვალა გრიქორმა.

— არა, ეგენი მაგდენ ხანს არ ცოცხლობენ. რვა-ათი წლის ცხვარი უკვე ბებერია, ცხვარმა თორმეტი-ცამეტი წელიწადი თუ იცოცხლა, მეტს ვეღარ გაძლებს. მაგ წვრილ რგოლებს ნუ ითვლი, აი ეს მსხვილი რგოლები უჩვენებენ წლებს.

მაშინ, როცა მონადირე ასატური ცხვარს ატყავებდა, ქლოშინით მოირბინა სეთომ, რომელსაც დიდი კოკა ჰქონდა მხარზე შედგმული. როგორც კი გაეგოთ აზერბაიჯანელ კოლმეურნეებს, რომ იგი სოფელ ლჩავანიდან იყო, მყისვე შეესრულებინათ თხოვნა.

აზერბაიჯანელი კოლმეურნეები ყოველ ზაფხულობით მტკვრის ცხელი ხეობიდან სომხეთის მთებში ამოდიან, სადაც გულღიად, გულთბილად ხვდება ადგილობრივი მოსახლეობა. აზერბაიჯანელები განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდნენ მონადირე ასატურს

— ჩემი სახელი არ უხსენე?—ჰკითხა მოხუცმა.

— როგორ არა, ვუხსენე.

— მერე რა თქვეს?

— თქვეს, რომ ქირვა[1] ასატურს სულს არ დავუჭერთო,—მიუგო სეთომ და ამხანაგებს თვალი ჩაუკრა, თან დაუმატა,—მათ შენთან

[1] ქირვა—მეგობარი.

ბატკნის გამოტანებაც უნდოდათ, მაგრამ აბა კოკასა და ბატკანს ერთად როგორ მოვერეოდი...

მოხუცმა თავი ამაყად ასწია.

— ხომ გეუბნებოდი, ისინი მე ხათრს არ გამიტეხენ. შველს ან ირემს რომ მოვკლავდი ხოლმე, მათ ბინამდე მივათრევდი, იქ გავატყავებდი. ცეცხლს გავაჩაღებდით, ხის შამფურებს გავთლიდით და მცვრიან მწვადებს შევექცეოდით. მწვადის სუნი მთელ არემარეს ედებოდა... ახ, სადა ხარ ჩემო ახალგაზრდობავ?..

— უჰ რა მხეცია!—გაიკვირვა სეთომ, როცა ცხვარი დაინახა.— პაპა ასატურმა მოჰკლა?

არანაკლებ განცვიფრებული იყვნენ ახალგაზრდა გეოლოგები, რომლებიც ის იყო თავიანთი „სამეცნიერო ექსპედიციიდან“ დაბრუნებულიყვნენ.

— გარეული ცხვრის ამ ჯიშს მეცნიერებაში „სომხურ მუფლონს“ უწოდებენ,—განაცხადა აშოტ გასპარიანმა.—ამ ჯიშის ცხვრის სამშობლო სომხეთია, ზოგჯერ მოსაზღვრე თურქეთსა და ჩრდილოეთ ირანშიც გვხვდება.

— რა შედეგი გამოიღო თქვენმა გამოკვლევამ?—შეეკითხა გეოლოგებს არმენი,—რისკის გაწევად ღირს? წყალი ყაზახისაკენ ხომ არ მიდის?

— მთის ალნაგობის მიხედვით, წყალი სევანისკენ უნდა მიდიოდეს. ღირს რისკის გაწევა,—უპასუხა აშოტ გასპარიანმა.—მხოლოდ, თავიდან რომ ავიცდინოთ უბედური შემთხვევა, საჭიროა წინასწარ მოვიფიქროთ როგორ ჩავასხათ ტბაში ნაეთი.

— ეგ არაფერია, ჩავასხამთ,—მოუთმენლად წამოიძახა კამომ. მას დიდი ფიქრი არ უყვარდა.

— წყალთან ხუმრობა არ შეიძლება, ჩემო კარგო,—გააფრთხილა მოხუცმა ასატურმა,—ცოტა მომითმინეთ, ისეთ თანაშემწეს გიშოვით, რომ ყველაფერი რიგზე იქნება,—თქვა მან და ტყისკენ გაემართა.

— ჩემი აზრით, მწვადებით რომ კარგად გავძღეთ, წყალი ვერაფერს დაგვაკლებს, — სერიოზული ტონით თქვა გრიქორმა და ფეხზე წამოხტა.—მე ახლა ტყეში გავიქცევი, ფიჩხს შევაგროვებ.

— უკან დაბრუნდით,—მიაყვირა კამომ პაპას და გრიქორს,— წასვლის ნება ვინ მოგცათ?..

— ნუ ჩქარობ, კამო,—დამშვიდებით შეაჩერა აშოტ გასპარიანმა,—პაპა წავიდეს, ვნახოთ რას მოგვიტანს. წყალს ფრთხილად უნდა მოვეპყრათ. დაგავიწყდა, რომ სეთო კინაღამ დაგვეხრჩო?..

მაგრამ გრიქორი უკვე აღარ ჩანდა. სულ ოცი წუთი არ იყო გასული, რომ გრიქორი მხარზე გადებული ფიჩხის კონით გამოჩნდა. ასეთ სისწრაფეს მისგან არავინ მოელოდა.

გრიქორი მაღლობიდან პირდაპირ ჩამოგორდა და კოჭლობით ამხანაგებთან მიირბინა.

— აბა ჩქარა, კოცონი ააგიზგიზეთ, სანამ შიმშილისაგან გრძნობა არ დამიკარგავს,—სიცილით ყვიროდა გრიქორი.

ბიჭებმა სწრაფად გააჩაღეს კოცონი, დაჭრილი ხორცის ყველაზე საუკეთესო ნაჭრები გრიქორის მიერ მოტანილი ტოტებიდან გათლილ შამფურებზე ააგეს და ცეცხლს მიუფაცხეს... ამ დროს მთის მეორე მხრიდან გამოჩნდა მოხუცი ასატური, რომელიც ცაცხვის უზარმაზარ მორს მოათრევდა. მან შორიდანვე იგრძნო მწვადის საამო სუნი და ფეხს აუჩქარა.

— ნანადირევი სწორედ ასე უნდა იჭამოს,—თქვა მოხუცმა და ცეცხლის პირას ჩამოჯდა,—თორემ ქვაბში მოხარშულ ხორცს რა გემო აქვს. თევზიც მაშინ არის გემრიელი, როცა დაიჭერ თუ არა, იქვე, იმავე წყალში მოხარშავ. ასეთია ბუნების კანონები... აი, რაც შეგპირდით, ბიჭებო, მოგიტანეთ, ეს ხმელი ცაცხვის ხეა, არასოდეს არ ჩაიძირება, ჩააგდეთ წყალში და ხელი მოსჭიდეთ... მწვადის სუნმა გამაბრუა, ეს უეჭველად გრიქორის წამოწყება იქნება! თქვენ სად მოგაგონდებოდათ ასეთი რამ.

— ძალიან კარგია... ყველაფერი უბრალოდ მოგვარდა... მე გრიქორისთვის უნდა დამევალებინა, მოეძებნა ასეთი მსუბუქი მორი,—თქვა აშოტ გასპარიანმა.—ახლა სეთო უზრუნველყოფილია.

მწვადები მადიანად ჭამეს. კამო პირველი წამოდგა.

— აბა ცოცხლად, ტანთ გაიხადეთ,—შესძახა მან.

— არა, მოითმინეთ, ტანისამოსის გახდამდე უფრო სერიოზული საქმე გვაქვს,—შეაჩერა ამხანაგები არმენმა.—სეთო, მომეხმარე ეს ნავთი ბოთლებიდან კოკაში გადავასხათ.

როცა ეს ოპერაცია მოათავეს, არმენმა განაცხადა:

— ახლა კი საშველი რკალი უნდა მოვამზადოთ.

— საშველი რკალი?.. რით?

— აი ამ ბოთლებით, საკმაოდ დიდებია, თითო სამ-სამი ლიტრიანია... პაპა, ნება მომეცი შენს ნანადირევს ცოტა ტყავი მოვაჭრა.

ნებართვის მიღების შემდეგ, არმენმა რამდენიმე ნაჭერი ჩამოჭრა ტყავს და ბოთლებს მაგრა მოუკრა თავი. შემდეგ ბოთლები ორივე ბოლოზე და შუა ადგილას მორს მიაბა და თავისი „საშველი რკალი“ ტბაში გადააგდო.

— ახლა მათაც კი, ვინც ცურაობა არ იცის, შეუძლიან გამოგვყვეს,—განაცხადა მან,—თუ გნებავთ ტბის შუაგულამდეც! ჩემი ბოთლები გაუძლებენ სიმძიმეს.

— სწორია!—მოუწონა არმენს გეოლოგმა და მოეხვია.

— მზად არის? ტანთ გაიხადეთ, რაღას უყურებთ,—მოუთმენლად წამოიძახა კამომ.

— არა, ჯერ ყველაფერი მზად არ არის,—შენიშნა არმენმა.— თუ იფიქრე ნავთით სავსე ეს კოკა როგორ უნდა ჩავუშვათ ტბის ფსკერზე?

კამო დიდი მოუთმენარი იყო, ასეთ „წვრილმანებზე“ მას სრულებითაც არ უფიქრია.

— ნავთი ხომ წყალზე მსუბუქია, მაშასადამე, ვერც ერთი ჩვენგანი კოკას ფსკერამდე ვერ ჩაიტანს,—განაგრძო არმენმა.

— კოკას ქვა გამოვაბათ,—ურჩია სეთომ.

— ქვა?.. საჭირო არ არის. მართალია ნავთი წყალზე მსუბუქია, მაგრამ კოკა მძიმეა. ნავთით სავსე კოკა წყალზე ერთი კილოგრამით მძიმე იქნება,—აუხსნა გეოლოგმა, რომელმაც რვეულში სწრაფად გამოიანგარიშა განსხვავება ნავთისა და კოკის ხვედრით წონაში.

— არც ახლა ხართ მზად?—აღელვებით იკითხა კამომ.

— ჰო, ახლა კი შეიძლება ითქვას, რომ მზად ვართ,—უპასუხა არმენმა.

— ჩვენც გავიხადოთ,—უთხრა აშოტ გასპარიანმა თავის გეოლოგ ამხანაგს.—ჩვენ თუ ასეთ ლაშქრობაში მონაწილეობას არ მივიღებთ, ბევრს წავაგებთ...

მორევში

ბიჭები წყალში ჩახტნენ თუ არა, ბოთლებჩამოკიდებულ მორს წაავლეს ხელი და ტბის შუაგულისკენ გაცურეს. აქ მორევი ტრიალებდა. სიღრმიდან ბუშტები ამოდიოდა, წყლის ზედაპირზე სკდებოდა და რგოლებად ნაპირისაკენ მიილტვოდა.

— აი სწორედ აქ იწყება წყალქვეშა მდინარე,—თქვა სეთომ,— კამო, კოკა მოხსენი და მომეცი. მე...

— მოითმინე, ჯერ თოკი მოგაბათ... აი ასე...—და არმენმა სეთოს ხელზე მაგრა შემოახვია თოკი,—აქ სიღრმე რამდენი მეტრი იქნება?—ჰკითხა მან.

— ოთხი მეტრი იქნება.

არმენმა თვალით გაზომა თოკი, ხუთ მეტრზე მეტი იქნებოდა. შერე მორს მოხსნა კოკა და სეთოს გადასცა:

— ახლა შეგიძლია ჩაეშვა.

— ნუ გეშინია, მე კუდით მიჭერიხარ,—სიცილით უთხრა გრიქორმა და თოკის ბოლოს მაგრა ჩაავლო ხელი.

— ჰო, ჰო, ხელიდან არ გაუშვა ჩემი კუდი, თორემ წამათრევს,—მიუგო სეთომ, მარცხენა ხელი კოკას მოხვია და სწორედ იმ ალაგას ჩაყვინთა, სადაც წყალი ბუყბუყებდა.

მოცურავე მორზე ყველას მაგრა მოეჭიდა ხელი და მოუთმენლად უცდიდნენ თავიანთი მამაცი ამხანაგის დაბრუნებას.

თოკი თანდათან იძირებოდა, ბოლოს გაიჭიმა. უცებ ტბა აბობოქრდა, წრისებრი რგოლები და ბურთულები მოეფინა წყლის ზედაპირს.

— რაღაც იგვიანებს...—შეშფოთებით წამოიძახა აშოტ სტეპანოვიჩმა.

— არაფერია. სეთოს კუდი ხელთ მაქვს, როგორც კი დახრჩობას დააპირებს, სასწრაფოდ ამოვწევ,—სცადა ეხუმრა გრიქორს, მაგრამ მყისვე შეშინებულმა წამოიყვირა:—ვაიმე. თოკი დაბლა იწევს... კამო, მომეშველე ჩქარა, სეთო მეც თან მიმათრევს.

კამო მაშინვე გრიქორთან გაჩნდა და თოკს ხელი ჩასჭიდა, მაგრამ თოკი ორივეს ძალით დაბლა ითრევდა...

სწორედ აქ დიდად დაეხმარა ბიჭებს მცურავი მორი ზედ მიბმული ცარიელი ბოთლებით.

— ბიჭებო, ერთი ხელი მაგრა ჩასჭიდეთ მორს, მეორეთი კი თოკი ამოსწიეთ,—უყვიროდა აშოტ გასპარიანი,—ამოსწიეთ მაღლა კი არა,—განზე.

ყველამ თოკს სტაცა ხელი და ამოწევა დაიწყეს. ბოლოს როგორც იქნა თოკი თითქოს რაღაცას მოსწყდაო, იოლად წამოვიდა და წყლიდან სეთოს თავიც გამოჩნდა.

სეთო მორს დაეპიდა, ზედ გულდალმა დაემხო, სულს ძლივს ითქვამდა.

— ნაპირისაკენ,—წამოიყვირა კამომ.

როგორც კი ნაპირზე გავიდნენ, ბიჭებმა სეთო დაზილეს, ტანი შეუმშრალეს და ტანსაცმელი ჩააცვეს.

როცა სეთო გონს მოვიდა, კამომ მოუთმენლად ჰკითხა:

— რა ქენი, წყლის ქვეშ რა გააკეთე?

— ნავთი თავისი მისამართით გავგზავნე: ახლა უკვე გზაშია, მაგრამ მეც კინალამ თან გადავყევი. გმადლობთ, რომ ამომიყვანეთ... ნავთი ტბის ზედაპირზე ხომ არ ამოვიდა?

— არც ერთი წვეთი.

— ძალიან კარგია! მაშასადამე მთლიანად წყალმა წაიღო,—გაუხარდა სეთოს, გაფითრებულ სახეზე ღიმილი აუთამაშდა...

— რაო, ნაპრალიდან ხომ არ ამოგათრიეთ?—შეშფოთებით ჰკითხა გრიქორმა.

— პირდაპირ ნაპრალიდან... აშოტ სტეპანოვიჩი რომ არ ყოფილიყო, ვეღარ მიხილავდით... წყლის ნაკადმა კოკა ხელიდან გამომტაცა! ქვებს მიახეთქა და ნაკუწ-ნაკუწად აქცია!.. ძალზე შემეშინდა...

— ყველაფერი რიგზეა, მოემზადეთ წასასვლელად,—აჩქარებდა ნორჩ მკვლევარებს აშოტ გასპარიანი.

გიჟი მთის კლდოვანი ბილიკებით მოლაშქრენი გილისკენ გაემართნენ. გზაში ყველანი დუმდნენ, გამსჭვალული იყვნენ ერთი ფიქრით, თუ სად გავიდოდა ნავთი—სევანისაკენ თუ ყაზახისაკენ.

ნავთის მიწისქვეშა მოგზაურობა

გილის ტბის ლერწმიანში, ჩვენთვის ნაცნობი წყალსატევების ნაპირებზე აქა-იქ ისხდნენ ბავშვები, რომელთაც ჩვენ ჯერ ნაკლებად ვიცნობთ. ისინი ფხიზლად ადევნებდნენ თვალყურს წყალს და სულაც არ ეშინოდათ „ვეშაპის“ გრუხუნისა.

ტყის პირად კი, ლერწმის ძნაზე, იქ, სადაც კინალამ არ დაიხრჩო კამო, მასწავლებელი არამ აკოფიანი იჯდა.

ზაფხულის მცხუნვარე მზე უმოწყალოდ სწვავდა არემარეს. მწარედ იკბინებოდა მუმლი და კოღო, მაგრამ პიონერები ითმენდნენ. მათ ნაბრძანები ჰქონდათ, ერთი წამითაც თვალი არ მოეშორე-

ბინათ წყლისათვის, დალოდებოდნენ ნავთის გამოჩენას. მართლაც, ისინი გულმოდგინედ აკვირდებოდნენ წყალს და გაფაციცებით ელოდნენ ნავთის გამოჩენას.

წყლის ზედაპირზე დროდადრო გამოჩენილი ზეთოვანი ლაქა, ზოგს ნავთი ეგონა ხოლმე და უმალვე შეჰყვირებდა:

— მასწავლებელო, ნავთი, ნავთი!

სურენი, რომელიც ტბის მეორე ნაპირას იჯდა, ნავთის გაგონებაზე, მყისვე პეშვით წყალს პირში ჩაიგუბებდა, გემოს მოსინჯავდა და უმალვე დაღმეჭილი პირისახით გადმოაფურთხებდა.

— რას იგონებთ?—შესძახებდა იგი,—ასეთი ნავთი ვის გაუგია?

მასწავლებელი არამ აკოფიანი ასეთი ლაქებით არ ტყუვდებოდა, მან კარგად იცოდა, რომ ისინი გახრწნილი მცენარეების გამონაჟონი იყო.

მაგრამ აი მის წინ ტბის შუაგულში გრძელი ლენტისებური ცხიმოვანი ხაზი გამოჩნდა. ეს ხაზები ისე შორს იყო, რომ მან ვერ გამოარკვია მათი წარმოშობის მიზეზი. „ესენიც ალბათ მცენარის გამონაჟონებია“—გაიფიქრა მან.

რამდენიმე წუთის შემდეგ დაბლიდან, მეზობელი პატარა კუნძულების მხრიდან გაისმა შეძახილები:

— ნავთი, ნავთი!..

— ჩვენთანაც არის ნავთი!..

— ჩვენთანაც, ჩვენთანაც!..

ტბა უცებ გამოცოცხლდა. ყოველი მხრიდან მოისმოდა მხიარული ყიჟინა, პიონერები ერთმანეთს გადასძახოდნენ, თხოვდნენ შემოწმებას, გულდასმით გამორკვევას.

შემდეგ გაისმა მასწავლებლის ხმა:

— სიჩუმე! ყურადღება!.. ტოლჩები ნავთიანი წყლით აავსეთ და დამელოდეთ.

მასწავლებელი გაემართა თავისი მოსწავლეებისაკენ. მხოლოდ გურგენ მიროსიანმა ვერ გაუძლო მუმლისა და კოლოების კბენას, არც გაუგია ნავთის გამოჩენა ისე მოჰკურცხლა სოფლისაკენ.

ჩვენი ნორჩი ნატურალისტები გაოფლიანებულები სოფელში შევიდნენ. შუადღე იყო, როცა ისინი დაღლილ-დაქანცულები სეთოს სახლის წინ ქვებზე ჩამოსხდნენ.

სწორედ აქ შეეხეჩა მათ გილის ტბიდან გამოპარული „დეზერტირი“ გურგენი.

ბიჭები რომ დაინახა, გურგენი დარცხვენით შეჩერდა. კამომ ჰკითხა:

— საიდან მოდიხარ? გილიდან?

— დიახ...

— რა ნახეთ ტბაზე?

— იხვები და ბატები...—დაიბნა ბიჭი.

— წყალი? წყალი როგორი იყო? რისთვის უნდ გედევნებინა თვალი?

ბიჭი დუმდა.

— ნავთი?.. ნავთი არ გამოჩენილა წყალზე?..

— ნავთი? ჩაასხით ხომ?

— მაშ, რისთვის გაგგზავნეს ტბაზე? რა დაგავალეს?

— წყლისთვის უნდა მედევნებინა თვალი... მეც ვუყურებდი...

ჭაბუკებმა გადიხარხარეს. არმენი დაღონდა, თავი ჩაქინდრა:

— ჩვენ შევცდით. ეტყობა, ტბებს შორის არავითარი კავშირი არ არსებობს...

სეთო გაწითლდა. ეგონა, ყველა მას აბრალებდა, რომ ნავთი არ გამოჩნდა გილის ტბაში.

— მე ყველაფერი ისე გავაკეთე, როგორც მითხარით,—თავს იმართლებდა სეთო.—მთელი ნავთი წყალმა წაიღო.

— ჩვენ შენ არ გამტყუნებთ,—მიუგო კამომ.—ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ შენ ისე მოიქეცი, როგორც საჭირო იყო, რას იზამ, როგორც ეტყობა, წყალი ყაზახისაკენ ან სხვაგან მიდის, ალბათ გეოლოგებიც შეცდნენ.

— რატომ ფიქრობთ, რომ წყალი უეჭველად გილის ტბაში უნდა ჩადიოდეს, იქნებ სევანში ჩადის, რა იცით. მთავარი ის არის, რომ წყალი ჩვენს მინდვრებქვეშ გადის,—შეეკამათა არმენი.

— ჩვენთვის ეგ არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს, სულ ერთია, ჩვენ მის კალაპოტს მაინც ვერ აღმოვაჩენთ... წყალს ზედაპირზე ვერ ამოვიყვანთ...

ამ დროს მათთან მოვიდნენ ჰასმიკი, გრიქორი და მოხუცი ასატური.

— რა ამბავია?—შეეკითხა ჰასმიკი და როცა მწუხარე სახეები დაინახა, თვითონაც შეწუხდა.

გზაზე გამოჩნდა ორი კოკით დატვირთული სახედარი, რომელსაც სეთოს ძმა არტო მოსდევდა. მას წყალი მოჰქონდა გილის ტბიდან.

დედა შეეგება მას და წყევლა-კრულვა მიაყარა:

— შე ფეხებმოსამტვრეევო, აქამდე სადა გდიხარ?

სონამ კოკები ჩამოიღო, წყალი გობში ჩაასხა, ქათმებსა და ხბოს გობში დაუსხა, შემდეგ კი ჭიქა გაივსო.

წყალი ხარბად შესვა, მაგრამ უცებ სახე დაღმიჭა, გამოაფურთხა და გაცოფებული საწყალ არტოს მივარდა:

— შე საძაგელო, შენა, მე შენ წყალზე გაგგზავნე, თე ნავთზე?

„ნავთი?..“

სონამ რა იცოდა, თუ როგორ გაახარა ბიჭები ამ ცნობით!

კამომ ვერც კი მოასწრო ხმის ამოღება, რომ გზაზე მასწავლებელი და პიონერები გამოჩნდნენ.

არამ აკოფიანმა უჩვენა ტოლჩები, რომლებიც ფრთხილად მოქონდათ ბავშვებს.

— ნავთი, ნავთი... აბა მალე აიღეთ ლომები, წერაქვები! წავიდეთ!..

აღტაცებაში მოსული კამო წამოხტა, მივარდა მასწავლებელს და აკოცა, მერე არაქსს, ყველას, ყველას. შემდეგ სწრაფად მივარდა კედელზე მიყუდებულ ლომს, ხელი დასტაცა და გიჟი მთისაკენ გაიქცა.

არმენმა, გრიქორმა, სეთომ წერაქვებს დაავლეს ხელი და კამოს გამოედევნენ.

სონამ, როგორც კი გაქცეულ ბიჭებს მოჰკრა თვალი, სახლის სახურავიდან დაიწყო ყვირილი:

— ბავშვები გამოათაყვანეს... სეთო. სად მიხვალ?.. ჩქარა უკან დაბრუნდი, დაბრუნდი, თორემ მე ვიცი შენი... აი, მეხი კი დავაყარე, ბიჭო!..

მაგრამ სეთოს უკვე კარგა მანძილი ჰქონდა გავლილი.

არმენმა უკან მოიხედა და ჰასმიკი დაინახა.

— შენ რაღა გინდა? შენ ხომ დაღლილი ხარ, სახლში დაბრუნდი. დაბრუნდი, გეუბნები.

— შენ ისე ალერსით მეუბნები, რომ დაღლილობამ უკვე გამიარა,—ჩაიკისკისა გოგონამ.—არა, არა, მე თქვენ ვერ მიგატოვებთ... მეც მინდა ვნახო, რას გააკეთებთ!..

სად მოთხარონ?

ბიჭები ხმაამოუღებლივ ადიოდნენ მთაზე. მათ უკან მისდევდა მოხუცი ასატური თავისი ერთგული ჩამბარით. ყველანი ერთი და იმავე აზრით იყვნენ გამსჭვალულნი. მათ იცოდნენ რომ მთის ამ კალთებზე, შეიძლება მათ ფეხქვეშაც კი, მთის ტბიდან გილიში მიჩუხჩუხებდა მდინარე, მაგრამ რა ადგილას ან სად მიდიოდა ახლა, ბიჭებმა არ იცოდნენ.

ისინი გაოფლიანებული, დაღლილ-დაქანცულები იყვნენ, მაგრამ მაინც მიდიოდნენ... განა შეიძლებოდა გულხელდაკრეფილი ჯდომა, როცა აღმოაჩინეს საუკუნეების წინათ დაკარგული მდინარე—ხალხის დაკარგული ბედნიერება?

იარეს, იარეს და ბოლოს შეჩერდნენ, მძიმედ ამოიხვნეშეს. არმენმა იკითხა:

— სად მივდივართ?

კამო გაბრაზდა:

— სად და მთაზე! ამოსათხრელად, როგორ თუ „სად მივდივართ!“

— კარგი და სად უნდა ამოვთხაროთ?

— სად?..

კამო დაიბნა. აქამდე ფიქრობდა, რომ საკმარისი იყო გამოერკვიათ, რომ გიჟი მთის ფერდობებქვეშ წყალი მიედინება და შეიძლებოდა ჩაეთვალათ, რომ იგი უკვე უზრუნველჰყოფდა კოლმეურნეობის მინდვრებსაც და ფერმებსაც, გვალვაც საშიში აღარ იქნებოდა... ახლა კი დარწმუნდა, რომ მათ წინაშე წამოიჭრა მეტად სერიოზული საკითხი: სად ამოთხარონ, რომ წყალს მიაგნონ:.. გიჟი მთის კალთები თითქმის ოც-ოცდაათ კილომეტრზეა გადაჭიმული, წყლის ნაკადს კი, ბევრი, ბევრი ერთი მეტრის სიგანე ჰქონდეს... მოდი და იპოვე!

— უკან დავბრუნდეთ, ბიჭებო,—ურჩია მოხუცმა და ჩიბუხი თამბაქოთი გატენა,—წავიდეთ, ხალხს მოვეთათბიროთ, ვნახოთ რას გვირჩევენ.

მეტი გზა არ იყო, ყველა დაეთანხმა.

სოფელში, უპირველეს ყოვლისა, ინახულეს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბაგრატი, რომელსაც მოახსენეს თავიანთი გამოკვლევის შედეგებზე.

— აი ეს მომწონს, პირდაპირ როგორც ჯარშია: შეასრულე დავალება გამოცხადდი უფროსთან და მოახსენე. სოფელს ხომ თავისი ხელისუფლება ჰყავს!—კმაყოფილებით უთხრა ბაგრატმა.—მაშ წყალი იპოვეთ? ესე იგი ჯერ არ გიპოვიათ, მაგრამ გამოიკვლიეთ, არა? საჭიროა მხოლოდ მისი მოძებნა. კარგით...

ბაგრატი ჩაფიქრდა.

— აბა, ხალხო,—მიმართა მან კოლმეურნეობის კანტორაში მყოფ კოლმეურნეებს,—რას იტყვით? ჩვენმა ჭაბუკებმა არაჩვეულებრივი სასწაული მოახდინეს, იპოვეს საუკუნეების წინათ დაკარგული წყალი, რომელიც ჩვენი მინდვრების ქვეშ გადის, მხოლოდ სად და რომელ ალაგას, ეს კი ვერ დააზუსტეს. როგორ მოვიქცეთ ჰა, რას იტყვით?

— როგორ მოვიქცეთ?.. ახლავე წერაქვებს უნდა მოვკიდოთ ხელი და გავწიოთ გიჟი მთის კალთების გასათხრელად. სხვა რა შეგვიძლიან? დამშვიდებული ხომ არ ვისხდებით!—თქვა კამოს მამამ, მჭედელმა სამსონმა.

— მართალს ამბობ. ახლავე მოაგროვე რაც კი ლომები და წერაქვები გვაქვს, ყველა წესრიგში მოიყვანე და გავსწიოთ წყლის საძებნელად,—განკარგულება გასცა ბაგრატმა.—ბრიგადირებს ევალებათ: თითოეული ბრიგადიდან ოთხ-ოთხი კაცი გამოჰყონ.

კამო აღელვებული მიუახლოვდა თავმჯდომარის მაგიდას:

— ძია ბაგრატ, მე მგონია, რომ არმენი, სეთო, გრიქორი, ჩემი ამხანაგები დამეთანხმებიან... ჩვენ ახლა ყველაფერს გეტყვით...—კამო ღელავდა, სიტყვებს ეძებდა,—ძია ბაგრატ, ჩვენ გვსურს, რომ ჩვენი დაწყებული საქმე, ჩვენვე დავაგვირგვინოთ. ეს როგორც ჩვენი, ისევე კომკავშირული ორგანიზაციის ღირსების საქმეა. ხვალ ჩვენვე წავალთ წყლის საძებნელად. თუ ვიპოვით...

კამომ სიტყვა ვერ დაამთავრა, ბაგრატმა წარბები შეიკმუხნა:

— უცნაურად მსჯელობ, კამო! წყალი იპოვეთ და გინდათ, რომ კოლმეურნეები არ აღელდნენ, ამ საქმეში მონაწილეობა არ მიიღონ? რომელ „ღირსებაზე“ შეიძლება აქ ლაპარაკი? ძალიან შეზღუდულად აზროვნებ... დაიწყეთ გეოლოგებთან ერთად კვლევითი მუშაობა. როცა გამოარკვევთ სად უნდა ამოითხაროს, მაშინ მთელი კოლმეურნეობა შეუდგება მუშაობას.

ბაგრატი ტელეფონთან მივიდა და რაიკომის მდივანს დაურეკა, მათ შორის საქმიანი საუბარი გაიმართა.

ბიჭები კოლმეურნეობის კანტორიდან პირდაპირ მასწავლებელ არამ აკოფიანთან წავიდნენ.

— ახლა საჭიროა გამოირკვეს, სად გადის წყალი და რომელ ადგილას უნდა ამოითხაროს,—უთხრა მასწავლებელმა,—აგერ ჩვენი გეოლოგებიც მოვიდნენ. გამარჯობათ ამხანაგებო! ჩვენმა ბიჭებმა ხომ ძალიან არ გაგაწვალეს?

— ცოტა გაგვაწვალეს,—გაიცინა აშოტ გასპარიანმა,—მაგრამ გულახდილად უნდა გითხრათ, ძალიან მამაცი მოწაფეები გყავთ, შესანიშნავი ბიჭები არიან.

მასწავლებელ აკოფიანთან დიდხანს გაგრძელდა თათბირი.

— ჩემის აზრით, უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოვიკვლიოთ ის გამოქვაბული, რომელსაც „ჯოჯოხეთის კარს“ უწოდებენ,—ურჩია გეოლოგმა.

— მეც მაგ აზრისა ვარ,—დაეთანხმა მასწავლებელი.

— მომისმინე, არამ, ძვირფასო, მაგ დაწყეველილ ალაგს ბიჭებს ნუ გაგზავნი, არაფერი არ გამოვა,—ჩაერია მონადირე ასატური.

— საშიში რომ იყოს, არ გავგზავნიდი, პაპა.

მოხუცი დაჩუმდა.

მასწავლებელმა განაგრძო:

— უნდა წავიღოთ ალპინისტური მოწყობილობა. გამოქვაბულში ჩასვლა ადვილია, იქამდე ათი მეტრი ძლივს იქნება. თუ რომელიმეს მიგიქცევიათ ყურადღება „ჯოჯოხეთის კარის“ შესასვლელისათვის?—შეეკითხა ბიჭებს.

— არავის, მაგისთვის ვის ეცალა, ყველა თაფლის ჭამით ვიყავით გართული,—წაიბუტბუტა გრიქორმა.

ჰასმიკმა წაიფრუტუნა და გაწითლდა. კამო დუმდა.

მასწავლებელს მარტო არმენმა უპასუხა:

— მე ყურადღებით დავათვალიერე და კიდევაც რაღაც გავიფიქრე...—მან სიტყვა არ დაამთავრა.

— დარწმუნებული ვიყავი, რომ ასეთი მნიშვნელოვანი გარემოება ჩემ სწავლულ ალსაზრდელს ყურადღებიდან არ გამოეპარებოდა, —მასწავლებელმა არმენს ხუჭუჭ თმებზე ხელი გადაუსვა.

— რა გარემოება?—მოკრძალებით იკითხა კამომ და გულში კვლავ გაუელვა გრძნობამ არმენის წინააღმდეგ, რომელსაც მან ოდესღაც „შურიანობა“ უწოდა.

— გაშოქვაბულს გამოვიკვლევთ, მაგის შესახებ კი შემდეგ მოვილაპარაკებთ,—მიუგო მასწავლებელმა და არმენს გაუღიმა.

„აქ რაღაც უნდა იყოს“,—გაიფიქრა ჰასმიკმა.

— პაპა, თოფს წამოიღებ?—შეეკითხა გრიქორი.—იმ დღეს გამოქვაბულთან თხა შევნიშნე—ადგილზე გაქვავებულიყო.

— თხაო?—ჰკითხა მასწავლებელმა და ჩაფიქრდა.

— მაშ ასე, ხვალ დილამდე! ალიონზე უნდა გავიდეთ,—მიუბრუნდა ყველას აშოტ გასპარიანი.—ახლა კი სახლებისაკენ, დასაძინებლად. ხვალ ბევრი სამუშაო მოგველის.

— რას იზამ, როცა ორგანიზაციამ გადაწყვიტა, მე რა ძეთქმის?—წამოდგა მოხუცი ასატური.—წავალ, ნარგიზს ვეტყვი, ცხვრის ხორცი მოგვიხარშოს და ლავაშში გაახვიოს. თან წამოვიღებ, ხვალ შავი კლდეების მისადგომებთან წავისაუზმოთ. თოფსაც წამოვიღებ. მაშ რის მონადირე ვარ, თუ თოფი თან არ მექნა..

„ჯოჯოხეთის კართან“

მოლაშქრეთა ჯგუფმა შავი კლდეების ფერდობზე დიდი მუხის ქვეშ შეისვენა. მოხუცი ასატური ზურგით ხეს მიეყრდნო, ქამარში გარჭობილი ჩიბუხი ამოიღო. გრიქორმა უკან დაიხია, კომიკური პოზა მიიღო და წამოიძახა:

— შეხედეთ, ორი დიდი მუხა ერთმანეთს მიყრდნობია!

ბიჭებმა ტაში შემოჰკრეს და გადიხარხარეს, გრიქორმ› არტისტულად თავი დაუკრა, პაპა ასატური ულვაშებში იღიმებოდა.

— მოთმინება აღარ მყოფნის, რა მშვიდად დამსხდარხართ, პირდაპირ მიკვირს,—უთხრა კამომ, მერე მიუახლოვდა კლდეს და ყური მიადო. იქიდან ყრუ ხმები ისმოდა.

— პაპა! ერთი მითხარი, ეს გრიალი საიდან ისმის?—შეეკითხა იგი პაპას.

— ჯოჯოხეთის კარიდან.

— აი იმ მღვიმეთა შორის ჯოჯოხეთის კარი რომელია?—მოუთმენლად ჰკითხა კამომ.

მოხუცი ასატური არ ჩქარობდა, დინჯად ჩიბუხს ტენიდა.

— მითხარ მალე, რა დინჯი კაცი ხარ,—შეჰყვირა კამომ.

— ჯოჯოხეთის კარი, აი ის არის, მე ადრეც გაჩვენეთ.

— ბებიაჩემიც ამბობდა, ჯოჯოხეთი იმ კლდეშიაო,—ღიმილით ჩაერია ლაპარაკში სეთო,—რასაკვირველია, სისულელეა, ცრუმორწმუნეობაა.

ახალგაზრდა გეოლოგები ნორჩი ნატურალისტების საქმეებში არ ერეოდნენ. არმენმა, ერთხანს ჩაფიქრებული რომ იჯდა, უცბად წამოიძახა:

— წყალი ვიპოვე, წყალი!..

წამოხტა, ხესთან მიიჭრა, წერაქვი შემოჰკრა და აღტაცებით შეეკითხა.

— ხეო, მითხარი, რით საზრდოობ, ამოდენა რამ გაგზარდა ამ უდაბნო კლდეებში... რა რწყავს შენს ფესვებს...

კამო ზეზე წამოხტა.

— მართლაც, რა ასაზრდოებს ხეს ამ ციცაბო კლდეზე? წავიდეთ, გამოქვაბულისაკენ წავიდეთ...

— წყალი ალბათ ამ ხის ქვეშ მიედინება,—მხიარულად წამოიყვირა სეთომ.

ასატურმა შიშით ქვეითკენ გასწია.

— წადით, შვილებო, წადით, მე კი ვერ გამოგყვებით...

კამო გადაეხვია, აკოცა და ხტუნვით ზევითკენ გასწია.

— შენ ხომ გულმართალი კაცი ხარ, ჯოჯოხეთისა რად გეშინიან?—ჰკითხა გრიქორმა,—როგორც გეტყობა, ჯეელობაში ცოდვები გაქვს ჩადენილი, თორემ ასე არ დაშინდებოდი.

მოხუცს „ჩადენილი ცოდვები“ ენიშნა, ვაი თუ გადამალული განძეულის შესახებ გაგებული აქვთ და იმიტომ გამახსენესო...

— ბიჭო, თავი დამანებე,—შეჰყვირა მოხუცმა.

— ჰა, რას იტყვი, პაპა, მოდიხარ თუ არა?—შეეკითხა კამო.

— არა, იქ წამომსვლელი არა ვარ, თქვენი წასვლაც არ მინდა, მაგრამ რაკი მასწავლებელმა გითხრათ, ის ჭკვიანი კაცია, ყველაფერი იცის, წადით, ღმერთი იყოს თქვენი მფარველი...

საუკუნეთა ნაკვალევი

ბიჭები უკანა მხრიდან ავიდნენ შავი კლდეების მწვერვალზე და ძირს გადაიხედეს. ზევიდან ნათლად მოჩანდა პაპას მიერ მითითებული გამოქვაბულის ქვედა გამონაშვერი, რომელიც ისე პრიალებდა, თითქოს განგებ გაელესა ვისმეს. კლდე დაქანებული არ იყო,

შესაძლო იყო გამონაშვერის ნაპრალების მეშვეობით ძირს ჩასვლა, ისე როგორც მოხუცი ასატურის თქმით, ოდესღაც მისი „ცხონებული“ ნათლია მუქელი ჩასულა. უფრო ადვილი იყო ალპინისტური კიბით ჩასვლა.

თოკის წვერი მაგრა გამოაბეს კლდის ციცაბოს და თოკის კიბე ჩაუშვეს. პირველი კამო ჩავიდა, გამოქვაბულის მოლიპულ გამონაშვერზე შედგა, ძირს გადიხედა და შიშის ზარმა შეიპყრო.

ძირს დაეშვნენ აგრეთვე არმენი, გრიქორი და სეთო. მალე მათ შეუერთდა აშოტ გასპარიანიც.

„ჯოჯოხეთის კარი“ მათ ცივი და ნესტიანი ჰაერით მიეგება. შორიდან ყრუ, კვნესის მსგავსი ხმები ისმოდა...

ირგვლივ არაფერი ჩანდა, გარდა შიშველი, ცივი, მოღუშული უსწორ-მასწორო კედლებისა...

არმენმა და სეთომ ჯიბის ფარნები ამოიღეს.

— მოიცა, ერთი მომინათე, ეს რა არის,—შეაჩერა კამომ არმენი, დაიღუნა და პატარა თევზის ჩონჩხი აიღო.

— თევზი?—გაუკვირდა არმენს,—აბა მიჩვენე!

ფარნის შუქზე გულდასმით გასინჯეს თითისოდენა თევზის ჩონჩხი, რომელიც სიპ ქვაზე უვნებლად დარჩენილიყო.

— ნუთუ შავი კლდეები ზღვის ფსკერი იყო?—იკითხა კამომ.

— არასოდეს,—უპასუხა გეოლოგმა.—ეს კლდეები შავი გრანიტისაგან შედგება. გრანიტი კი ზღვაში არ წარმოიქმნება... აქ რაღაც სხვა ამბავია.

ისინი ბნელი გამოქვაბულიდან მზის სინათლეზე გავიდნენ, დღის სინათლისგან თვალებს ძლივსღა ახელდნენ. გამოქვაბულის ნაპირზე შედგნენ და ძირს ჩაიხედეს.

— რა მშვენივრად არის გაპრიალებული,—ჩაილაპარაკა გეოლოგმა.

— მე ეგ დიდი ხანია შევამჩნიე, მთელი ჩვენი იმედები სწორედ მაგაზე მაქვს დამყარებული,—უპასუხა არმენმა.

— მართლა?! შეგიძლიან აგვიხსნა, თუ რას ნიშნავს ეს.

— რასაკვირველია. თევზის ჩონჩხიც ჩვენს მოსაზრებას ადასტურებს. უკვე აღარაფერია საეჭვო. საჭიროა ვიმოქმედოთ, დარწმუნებით,—მტკიცედ განაცხადა გეოლოგმა.

— ნუთუ მართლა არსებობს რაიმე კავშირი ამ თევზის ჩონჩხსა და კლდის პრიალს შორის?—განცვიფრებით იკითხა კამომ.

— უსათუოდ, ეგენი ბუნების ერთიდაიგივე მოვლენის შედეგებია...

კამომ ქვევით ჩაიხედა.

— რას ხედავ?

— უფსკრულს.

— მერე ამჩნევ, რომ აქედან უფსკრულამდე ფარჰადს როგორი ვიწრო ზოლი გაუყოლებია გრანიტზე და რარიგ გაუპრიალებია?

— მართლა გაპრიალებულია...

— რას ფიქრობ, გრანიტი რამ გააპრიალა?

— წყალმა!—უნებლიედ წამოიძახა კამომ.—მაგრამ თევზი გამოქვაბულში როგორ მოხვდა?

— სეთო, შენ მეთევზის შვილი ხარ, ერთი კარგად დააკვირდი, ეს რომელი თევზის ჩონჩხია—სევანის იშხანისა თუ მდინარის კალმახისა?

— ნამდვილად კალმახია და აი რატომ—პირი განიერი აქვს, გარდა ხერხემლისა და გვერდების ფხებისა სხვა არა აქვს,—„დიაგნოზი“ დაუსვა სეთომ.

— კარგი და, გამოქვაბულში თევზს რა უნდოდა,—მიმართა კამომ არმენს.

— მართალია, თევზი გამოქვაბულში ვერ იცოცხლებდა. აქ ალბათ ოდესღაც წყლის კალაპოტი იყო, ეს ლიფსიტაც იმ დროიდან არის დარჩენილი. დიდი მიწისძვრის შედეგად წყალს კალაპოტი შეუცვლია და თევზიც შემთხვევით ამ სიპ ქვაზე დარჩენილა.

— მაგრამ რა ჩანჩქერი იქნებოდა... ერთი გადაიხედეთ, მართლაც ჯადოსნური ჩანჩქერი იქნებოდა,—თქვა არმენმა და უფსკრულისკენ გ დაიხედა.—გრიქორის ნახსენები თხაც აგერ სადა ჩანს, შეხედეთ, დრუნჩი როგორ აუწევია... ახლა კი მივხვდი თუ თხები აქ რისთვის დადიან.

— ჩვენ ახლა წყალზე ვდგავართ?—იკითხა კამომ.

— დიახ, დატყვევებულ წყალზე...

— მე, როგორც მონადირის შვილიშვილი, ვადასტურებ, რომ ეგ თხები წყლისთვის მოდიან აქეთკენ,—თქვა კამომ.

— მართალია,—წამოიძახა სეთომ და კამოს მოეხვია. ბიჭების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

— უფსკრულში არ გადაცვივდეთ,—ჩამოსძახა გრიქორმა.

ჩვენი ნორჩი ნატურალისტები თოკის კიბით მაღლა ავიდნენ, მათ სახეებზე მხიარული ღიმილი იყო ალბეჟდილი.

— ახლა გვიამბეთ, რა ნახეთ,—მოუთმენლად შეეკითხა ჰასმიკი.

— აი რა ვიპოვეთ,—უპასუხა კამომ და თევზის ჩონჩხი მიაჩეჩა ხელში.

— ამის გამო მხიარულობთ?—განცვიფრდა გოგონა.

— ეგ ხომ არ იქმება?—განგებ იწყინა გრიქორმა, მერე წამოიძახა:—თევზი? იქ თევზს რა უნდოდა?..

— ცურაობდა...—მიუგო კამომ, არმენს თვალი ჩაუკრა და წინ გასწია.

ჰასმიკი ნაწყენი დარჩა და უკან ჩამორჩა, ასე მოიქცა გრიქორიც.

არმენი თითით უჩვენებდა კამოს იმ ადგილს, სადაც წყლის ღმერთის ძეგლი იყო დადგმული...

— არა მჯერა არმენ... ყოველ შემთხვევაში მოდი, ჯერჯერობით ნურავის ვეტყვით, გარდა არამ აკოფიანისა. ხვალიდანვე საქმეს შევუდგეთ, თუ გავიმარჯვებთ, ხომ კარგი, თუ არა და დასაცინი მაინც არ გავხდებით. მართლა, არმენ, შენი მოსაზრება რომ გამართლდეს, მაშინ რა ბედნიერები ვიქნებით, როგორ გავითქვამთ სახელს! ყველა გაზეთი დაწერს, იქნებ კინოსურათიც გამოუშვან...

— რა ფანტაზიორები ვართ!—თქვა არმენმა.

ორივემ გადიხარხარა.

...დაბლობში, ხესთან მჯდომმა ასატურმა, დაბრუნებული ბავშვები რომ დაინახა, გაუხარდა, უმალვე ფუთა გახსნა, მოხარშული ცხვრის ბარკალი ამოიღო, ხანჯლით დაკუწა, ლავაშზე დაალაგა და ჰაბუკები საუზმეზე მიიწვია.

— მოდით ჩქარა, ვინ იცის შიმშილით დაიხოცენით.. აბა, მითხარით, რა დასკვნა გამოიტანეთ,—შეეკითხა მოხუცი.

— ის, რომ შენი თხები აქ იმიტომ ჩამოდიან, რომ წყლის ხმაური ესმით,—უპასუხა არმენმა.

საიდუმლოების ამოხსნა

შავი ზღვის მხრიდან შავი ღრუბლები გამოსრიალდნენ ცის კაბადონზე და სევანის მიდამოები დაფარეს.

სევანის კრიალა ტბა კუპრივით გაშავდა, ამოსისინდა ქარი და ღრუბლებმა ტბის ტალღებზე თეთრი მტრედებივით იწყეს ციმციმი, ქარი თანდათან ძლიერდებოდა, მალე ტალღები მთლად ააქაფა.

დღის სიცხე-პაპანაქება სიცივემ შესცვალა, ყურებჩამოყრილი მცენარეები გამოცოცხლდნენ, გამხნევდნენ. დაბლობში კი კოლმეურნეები აღტაცებით ყვიროდნენ: წვიმა მოდისო...

სათიბი მანქანები, რომლებიც გილის მიდამოებში მუშაობდნენ, შეჩერდნენ. ბრიგადირმა ოვსეფმა განკარგულება გასცა, თიბვა შეეწყვიტათ.

— წვიმა მოთიბულს გააფუჭებს, გადაიღოს, მერე განვაგრძოთ,—თქვა მან, შემდეგ თავისი ბრიგადის წევრებს გადახედა და ჰკითხა:—თივის დაბულულებას მოვასწრებთ თუ არა?

— რას გვეკითხები, ტყუილად დროს ვკარგავთ,—უპასუხა ახალგაზრდა ბრგე კოლმეურნემ.—დავიწყოთ, ამხანაგებო!

ყველამ ფოცხები მოიმარჯვეს.

— აბა, ჩემო ძმებო, დავუჩქაროთ.

ყველანი გაფაციცებით მუშაობდნენ, თანაც ხშირ-ხშირად ცას შეჰყურებდნენ, ეშინოდათ, ღრუბლებმა თავიანთი ტვირთი სევანის ტბაზე არ დაფერთხონ და სოფელი ლჭავანი უწვიმოდ არ დატოვონ. სულ რაღაც ათი-თხუთმეტი წუთის შემდეგ გილის ნაპირები თივის ზვინებით აივსო.

კოლმეურნეების შიში გამართლდა. ღრუბლებმა მთელი წვიმის მარაგი სევანის ტბას მიუმატეს.

— აქეთ, აქეთ, წყალს რაღა წყალზე ასხამ...—ქუდის ქნევით კოლმეურნეობის მინდვრებისაკენ იწვევდა წვიმას ბრიგადირი ოვსეფი. მაგრამ ღრუბლებმა არ შეიწყნარეს კოლმეურნეების თხოვნა და სოფელი ლჭავანი უწვიმოდ დატოვეს...

— განაგრძეთ თიბვა!—გაბოროტებით ანიშნა ხელით ბრიგადირმა ოვსეფმა.

ახმაურდნენ სათიბი მანქანები, ამოქმედდნენ კოლმეურნეთა ცელები.

მთებში კვლავ ისმოდა ჭექა-ქუხილი:

* * *

ჩვენი ნორჩი ნატურალისტები გამოქვაბულში დაბრუნდნენ. ბავშვებს მიჰყვა გახარებული გეოლოგი აშოტ გასპარიანი, რომელსაც რაღაცა იარაღი ეჭირა ხელში და აქა-იქ ხშირად უკაკუნებდა. ბიჭები სულგანაბული თვალყურს ადევნებდნენ და მის გადაწყვეტილებას ელოდნენ.

— აქ დავიწყოთ ბურღვა.

სეთომ მყისვე ლომს წამოავლო ხელი და კედლის ნგრევას შეუდგა.

— არმენ, აქეთ მოანათე,—უთხრა კამომ,—სეთო, მომეცი, მე წავიმუშავებ,—და სეთოს მძიმე ლომი ჩამოართვა.

გრიქორი ქვის ნამსხვრევებს თავს უყრიდა და იქვე მახლობლად აგროვებდა.

— ჯერ პატარაა ხვრელი, როცა ბავშვის თავისოდენა იქნება, მაშინ შეიძლება ასაფეთქებელი მასალის ჩადება,—თქვა აშოტ გასპარიანმა.

მუდამ მოუთმენარი კამო ახლა უფრო ღელავდა, იგი მედგრად ურტყამდა კლდეს. ოფლი წურწურით ჩამოდიოდა სახეზე.

— ძალიან ნუ ჩქარობ,—უთხრა გრიქორმა,— აქ ღონე კი არ არის საჭირო, არამედ ხერხი, ლომი იმ ალაგას და ისე უნდა დაჰკრა, რომ შედეგი გამოიღოს.

— აბა, სეთო, გაინძერი. ხვრელი გამოასუფთავე, მალე, სულ მალე, ავაფეთქებთ.

გრიქორმა თავისი ჩანთიდან საჭირო ასაფეთქებელი მასალები ამოიღო.

— კამო, კარგა დააკვირდი, აი ეს ყვითელი ფხვნილი ამონალია აიღე და ხვრელში ჩაყარე, აი ასე, ყოჩაღ, ყოჩაღ! ახლა აიღე ეს შავი ზონარი—პატრუქია, ეს კი— კაპსული. პატრუქის ერთი წვერი კაპსულში უნდა ჩადო, ხოლო კაპსული ამონალში ჩაფლა.. ასე, სწორეა... ახლა მომეშველე ამ ნატეხების შეგროვებაში. ამით ხვრელი უნდა ამოვავსოთ და კარგად დავტკეპნოთ. პატრუქის მეორე წვერი კი გარეთ უნდა დარჩეს.

— შენ რა, ლექციების კითხვა დაგვიწყე?

გრიქორს ვეღარ იცნობდით. მხიარული, ოხუნჯი გრიქორი მთლად გამოცვლილიყო... ის განკარგულებებს იძლეოდა, სეთო და კამო კი უსიტყვოდ ასრულებდნენ.

— აბა მზად არის! ფრთხილად დატკეპნეთ, ყველაფერი წესიერად არის გაკეთებული,—თქვა აშოტ გასპარიანმა,—გრიქორ, დაამთავრე ხვრელის ამოვსება, პატრუქის წვერი გარეთ გამოიტა.

გეოლოგმა ერთხელ კიდევ შეამოწმა ყველაფერი და შემდეგ უკვე უბრძანა:

— აბა, ყველანი წადით აქედან, ახლა მოვუკიდებ.

ასანთით პატრუქს მოუკიდა, სუსტი ტკაცანი გაისმა და, ცისფერი ცეცხლი პატრუქით გასრიალდა კაპსულისაკენ, რომელიც ამონალში იყო ჩაფლული.

აშოტ გასპარიანი სწრაფი ნაბიჯით დაედევნა ბიჭებს. ისინი მეზობელ გამოქვაბულში გავიდნენ და მის ერთ კედელთან აიტუზნენ,

არ გასულა ერთი წუთიც და გაისმა საშინელი აფეთქება. კლდე აზანზარდა. მხრჩოლავმა გაზმა იქაურობა მოიცვა.

აფეთქების შემდეგ

აშოტ გასპარიანი პირველი დაბრუნდა გამოქვაბულში, სადაც არაფერი ჩანდა, იქაურობა კვამლში და მტვერში იყო გახვეული. ბიჭები ჯიბის ფარნების შუქზე ძლივს არჩევდნენ ერთმანეთს. გაზებისა და ამონალის მწვავე სუნისაგან თვალები ეწვოდათ.

სიბნელეში ძლივს მიაგნეს აფეთქების ადგილს. ახლო-მახლო აუარებელი ქვების ნამტვრევები ეყარა, მოსჩანდა გობის ოდენა ღრუ, საიდანაც წყლის შხუილი მოისმოდა, როცა გრიქორი ამ ღრუში შეძვრა, ფეხქვეშ ტორტმანი იგრძნო, თითქოს დიდ გენერატორზე მდგარიყოს..

— აბა, ჩვენო სწავლულო, გამოიცანი ჯოჯოხეთის უზარმაზარი ქვაბი შიშინებს თუ წყალი მოჩუხჩუხებს,—ჰკითხა არმენს გრიქორმა.

— ნუთუ ასეთ მომენტში კიდევ შეგიძლია ხუმრობა? კაცი სიხარულით ლამის გავგიჟდე, აბა ერთი ლომი მომაწოდე, სეთო,—დაიყვირა კამომ.

ის სიხარულისაგან მთლად ცახცახებდა, რაც ძალა და ღონე ჰქონდა ურტყამდა ლომს ღრუს ფსკერს და თანაც გაიძახოდა:

— შეხედეთ, ლომის წვერი დასველდა... წყალია, წყალი, ნამდვილი ჩანჩქერია, დატყვევებული წყალი..

გრიქორმა ვეღარ მოითმინა, ცეკვა-თამაშით გამოქვაბულიდან გარეთ გავარდა სწორედ იმ დროს, როცა სევანზე შხაპუნა წვიმა მოდიოდა. მან თავისი ფაფახი ჯოხზე წამოაცვა და რაც ძალა და ღონე ჰქონდა დაიღრიალა:

— წყალი ვიპოვეთ, წყალი..

გრიქორის შემდეგ კამოც გარეთ გავარდა და გიჟივით დაიყვირა:

— პაპა, წყალი ვიპოვეთ! სულ ახლოს არის! ის არხია, ის!

— კამოჯან, რაღას ელოდებით,—შესძახა მოხუცმა.—თუ საჭირო ვარ, მოვალ მოგეშველებით...

— არა, არ გინდა, ეს არის, ჩვენც მოვდივართ.

როცა ამხანაგებთან დაბრუნდა, კამომ ნაღვლიანად უთხრა:

— აფსუს, რომ კაპსულები აღარა გვაქვს! რა სიხარული იქნებოდა! მთელი სოფელი აქ გაჩნდებოდა... ახლა კი დაცდა მოგვიხდება.

ბიჭები თოკის კიბით კლდის მწვერვალზე ავიდნენ და ხეობისაკენ დაეშვნენ. სიხარულისაგან ვერავინ ვერ ატყობდა, რომ მაგარი წვიმა მოდიოდა.

კამო უკვე ხეს უახლოვდებოდა, როცა მხიარული ხმა მოესმა:

— აქა ვართ, აქა! წვიმას დავემალენით!

ამის თქმა იყო და ისე მაგრა დაიქექა, რომ გეგონებოდათ კლდე გადმოინგრაო. ან ასი ზარბაზანი ერთად გავარდაო. ჰასმიკი წაიქცა, არმენი კი შიშით ჩაჯდა, ასევე მოიქცნენ მის უკან მიმავალი გრიქორი, სეთო და აშოტ გასპარიანი. კამო კი თითქოს რაღაც უხილავმა ძალამ აიტაცა და ძირს დაანარცხა.

მეხისაგან ხეს ცეცხლი წაეკიდა, ტკაცა-ტკუცით იწვოდა.

მოხუცი მონადირე გიჟივით გამოვარდა თავშესაფარიდან, მივარდა მიწაზე გართხმულ ბიჭებს, ხელები მაღლა აღაპყრო და გულსაკლავად წამოიძახა:

— ეი, სათაელო[1], ჯოჯოხეთის უფალო, რა პასუხი ვაცეა ამ ბავშვების მშობლებს, შე ბოროტო, უმოწყალო ეშმაკო...

ჰასმიკი ნაპირზე გადმოგდებული თევზივით პირს ხან აღებდა და ხან კუმავდა. მაგრამ მალე გონს მოვიდა, წამოდგა, ტორტმანით მოხუცი მონადირისკენ წავიდა. ბიჭებიც გონს მოვიდნენ და ერთმანეთს გადახედეს...

— ესეც შენი სათაელის მათრახი,—სიცილით თქვა გრიქორმა,—კინაღამ ყველა საიქიოს გაგვისტუმრა.

— წავიდეთ, შვილებო, წავიდეთ,—შეშინებული აჩქარებდა მოხუცი, თქვენ მშობლებს ალბათ გულები დაუსკდათ...

მოხუცი მონადირე გაფითრებული იყო.

— როგორ ფიქრობთ, სათაელი არ იყო, რომ მათრახი გადაგაწნათ?—გზაში შეეკითხა მოხუცი.

---

[1] სათაელი—სატანა, ეშმაკი.

— სათაელს რომ დაერტყა, ხომ ცოცხლები აღარ გადაერჩებოდით.—გაიცინა კამომ.

მოხუცმა უნდობლად შეხედა შვილიშვილს.

— მაშ ვინ იყო? რაღა იმ ხეს დასცხო, რომლის ქვეშაც იდექით?

— არავითარი სათაელი არ არსებობს! მეხი ჩამოვარდა, რომელიც სპილენძის კოკამ მიიზიდა,—აუხსნა არმენმა,—საერთოდ სპილენძი მეხს მუდამ იზიდავს...

— შეიძლება ეგეც მართალი იყოს,—წარმოთქვა მოხუცმა.—ცხონებულ პაპა სიმონს—ჩემი ნათლია მუქელის მამას—ერთხელ ბარი მხარზე გაედო და მინდორში მიდიოდა, ამ დროს მეხი გავარდა, პირდაპირ ბარს მოხვდა და კაციც გათავდა... მაშ სატანა არ არსებობს?

— რა იქნებოდა, რომ მეხს დავეხოცეთ! მერე სეთოს დედას სონას. ან ნადიაკვნარ მესროფს როგორ დაარწმუნებდა, არამ მასწავლებელი, რომ ეშმაკი აქ არაფერ შუაში იყო.

— მართლაც როგორი დამთხვევაა!—თქვა არმენმა.—ერთი უკან მიიხედეთ, რა სანახაობაა!

ბიჭებმა უკან მიიხედეს—მეხდარტყმული ვებერთელა ხე ცეცხლის ალში იყო გახვეული.

სახლების ბანებზე გამოშლილი სოფლელები შიშით ზარდაცემულნი იყურებოდნენ გავარვარებული ხისაკენ და თან ფიქრობდნენ, ვაი თუ ბავშვებს რაიმე უბედურება შეემთხვათო.

„სათაელის შურისძიება"

მოთხრობის დასაწყისში ჩვენ უკვე ვთქვით, რომ სოფელი ლეკვანი საუკუნეების მანძილზე შიშით შეჰყურებდა შავ კლდეებს. როგორც კი დაიწყო ახალი ცხოვრება, ეს შიში დავიწყებას მიეცა, მხოლოდ ზოგიერთი მოხუცის გულში თუ ბუდობდა მისი ნაშთი. მაგრამ იმან, რაც კი იმ დღეს მოხდა, გამოაცოცხლა ძველი ცრურწმენანი.

ყველაზე მეტ აქტივობას იჩენდნენ სეთოს დედა სონა და ნადიაკვნარი მესროფი.

— ეს ყველაფერი ჩვენი ცოდვების ბრალია,—გაჰკიოდა სონა.—ხალხნო, მოინანიეთ ცოდვები და სამღვთო დაუკალით უფალს, გვაპატიოს ჩადენილი ცოდვები, რომლებიც თავს მოგვახვიეს ამ უღ-

მერთო კომკავშირელებმა...—სონა ბანიდან გადახტა და პირდაპირ შავი კლდეებისაკენ გაექანა. აჩქარებული ნაბიჯით გაჰყვა მას ნარგიზიც.—ღმერთო დიდებულო, იხსენი ჩემი ასატური,—ჩურჩულებდა დედაბერი.

— კაცო, შენ რაღას გაშეშებულხარ,—შეშფოთდა კამოს დედა და ქმარს მუჯლუგუნი ჰკრა,—იქნებ ჩვენი ბიჭი დაიღუპა!

კამოს მამა—მჭედელი სამსონი ბუნებით წყნარი, დინჯი კაცი იყო, მაგრამ, როცა ცეცხლის ალში გახვეული მუხა დაინახა, ველარ მოითმინა და როგორც იყო, ტყავის წინსაფრით და უქუდოდ სონას დაედევნა. მათ მიჰყვნენ გრიქორის და ჰასმიკის დედები და სხვა კოლმეურნე ქალები.

მაგრამ ყველას სიხარულსა და აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა შავი კლდეების მხრიდან სიცილ-ხარხარით და ოხუნჯობით მომავალი ჩვენი გმირი ნორჩი ნატურალისტები დაინახეს.

— რა დაგემართათ? ის რა გრუხუნებდა, თითქოს ჩემი სამჭედლო ყოფილიყოს?—მხიარულად ეკითხებოდა მჭედელი სამსონი.

— ეშმაკებს ვებრძოდით,—უპასუხა გრიქორმა და ამხანაგებს თვალი ჩაუკრა,—ჯოჯოხეთს დინამიტი შევუყარეთ, ეშმაკები გაცოფდნენ; კომკავშირელებს რომ ვერაფერი დააკლეს, ხეს წაუკიდეს ცეცხლი...

— აფსუს რა ხე იყო!..

— სტყუი!—წამოიყვირა სონამ,—ჩემი თვალით დავინახე, რომ ეშმაკმა ხეს დაარტყა...

სეთო გაბრაზდა, დედას შეუტია...

— არ გეყო?.. მაშ მე საიდან მოვალ?..

სონამ მოთქმით წამოიძახა:—ვაი ჩემ თვალებს, ჩემი კრავიც გზას ააცდინეს.

აშოტ გასპარიანი კი მჭედელს ეუბნებოდა:

— მამაცი ბიჭებია, შენი ბიჭიც დიდი გულადია! ახლა ჩვენ ვიცით სადაც არის წყალი...

საღამომ შავი ზეწარი დააფარა სევანს. წყვდიადში განსაკუთრებით ნათლად მოჩანდა ცეცხლის ალში გახვეული მუხა...

სინდისის ქეჯნა

მოხუცი მონადირე არასოდეს არ ყოფილა ისე აღელვებული, როგორც იმ ღამეს.

— დედაკაცო, რამდენ გროშად ვღირვართ მე და შენ?—მწარედ ჰკითხა მან თავის დედაბერს და პასუხისთვის არ მოუცდია ისე გასწია ბოსლისაკენ.

ნარგიზმა განცვიფრებით თვალი გააყოლა და გაიფიქრა: „ნეტა რა ემართება მოხუცს?“

მოხუცი კი ბოსლის ერთ კუთხეში იჯდა და თავის თავს ელაპარაკებოდა.

— არა, ერთი მითხარი, შენს გვარში უწმინდური ფულით ვინმეს უყიდია ჩოხა-ახალუხი, რომ შენ გინდა იყიდო?.. განა დედაშენს როდისმე უწმინდური ფულით უყიდია ტანსაცმელი, რომ შენ ცოლისათვის მოისურვე ყიდვა?.. ასეთი ფულებით ფონს ვინ გასულა, თავისი სიცოცხლე ვის გაუტარებია, რომ შენ აპირებ?..— სინდისის ქენჯნა საწყალ მოხუცს მოსვენებას არ აძლევდა... იგი წყევლა-კრულვით იხსენიებდა თავად არტაკის განძეულს, რამაც პირველ ხანებში უზომოდ გაახარა, ხოლო შემდეგში ხელ-ფეხი შეუბორკა და მძიმე ლოდად გულზე დააწვა:—„ღმერთმა დასწყევლოს... მეყო, მეტის ატანა აღარ შემიძლიან... წავიღებ და ჩავაბარებ, როდემდე უნდა ვიყო ასეთ განსაცდელში?..“

მაგრამ როცა მოხუცმა ამოიღო განძეული, ხელი ჩაყო ტომარაში და უძვირფასესი თვალ-მარგალიტი და ბაჯაღლო ოქრო ამოალაგა, კვლავ თვალთ დაუბნელდა.

— ვუყურებ და არა მჯერა.. განძია, ნამდვილი განძი!—იმეორებდა და ხელში ატრიალებდა ოქროს სამაჯურებს, ბრილიანტის ბეჭდებს და საყურეებს...

— ჩემია, ეს ყველაფერი ჩემი საკუთრებაა... ამდენი სიმდიდრე ხელმწიფესაც არ ექნება! მაშ, მე, ძველი მონადირე, წვერიანი ასატური მილიონერი გავხდი? ასეთი სიხარულისგან კაცი შეიძლება ჭკუაზეც შეცდეს...—ლუღლუღებდა მოხუცი.—ჩემი დედაბერი რომ გაიგებს როგორ გაუხარდება! ხომ არა სჯეროდა, რომ როდისმე მეც გავმდიდრდებოდი. დედაბერს ბედნიერება არა სწამს... აბა, კალთა გამოშალე, რამდენ ოქროს ჩაგიჩხრიალებ!.. ახლა რას იტყვი, ჰა? მონადირეს ბედი აქვს თუ არა?..

პაპა ასატურმა ძვირფასი განძეული კვლავ ტომარაში ჩაალაგა და ღრმა ფიქრებს მიეცა...

— როგორ მოვიქცე?—შეკითხა თავის თავს,—ისევ დავმალო? მაგრამ როდემდე? არა, აღარ შემიძლიან, მთელი ცხოვრება

ამიფორიაქა. წინათ ათასწილად ჯობდა, მდიდარი არ ვიყავი, მაგრამ სინდისი მაინც დამშვიდებული მქონდა... არა, აღარ მინდა... როგორც შძიმე ტყვია, ისე მაწევს გულზე ეს ოხერი ტვირთი, აღარ მინდა, არა მსურს!.. რათ დავეპატრონე სხვის სიმდიდრეს?..“

მოხუცი წამოხტა, ტომარა ზურგზე მოიგდო და კარებისაკენ გაემართა. გასასვლელთან კვლავ შეჩერდა და შინაგანი ბრძოლით დასუსტებული, მიწაზე დაეშვა.

პაპა ასატური მთლად ოფლში იყო გაწურული. თვალები დახუჭა და ღრმად ამოიოხრა:

— ნეტა როდის მოეღება ბოლო ჩემს ტანჯვა-წამებას?..

შემდეგ ცოტაოდენ გონს მოვიდა. თავი წამოწია და ხმამაღლა თავის თავს შეეკითხა:

— სულელი ვარ, მაშ რა ჯანაბაა ჩემ-თავს? ჩემ ცხოვრებაში სულ გამდიდრებაზე ვოცნებობდი, ეს ოცნება სინამდვილედ იქცა და სწორედ ახლა შემერყა ჭკუა. არა, ასატურ, გონს მოდი, სისულელეს ნუ ჩადიხარ! შენს კარს ბედნიერება ეწვია და პანღურს ნუ ჰკრავ. იცოცხლე, იბედნიერე, შენ კი არა, შენ შვილიშვილებსაც საკმარისად ეყოფა, უანდერძე მათ, რომ სიკვდილის შემდეგ მუდამ მოგიგონონ...

და ისევ ძველმა, კერძო მესაკუთრულმა გრძნობამ, პირადი ფუფუნებისადმი მისწრაფებამ სძლია მას. წამოდგა, ტომარა აიღო და ისევ ძველ ადგილას დამალა.

შემთხვევა გამოქვაბულში

წინა დღეს, მიუხედავად უბედური შემთხვევისა. რომელსაც უვნებლად გადაურჩნენ, ბიჭებმა მშვენივრად შეასრულეს თავიანთი მოვალეობა და ყველანი უვნებლად შინ დაბრუნდნენ.

მაგრამ მეორე დღესვე საშინელი უბედურება შეემთხვათ და ამაში დიდი დანაშაული მიუძღოდა თვით კამოს თავისი მოუთმენლობის გამო.

დილაადრიან, როცა კოლმეურნეები გამგეობის კანტორის აივანთან შეიკრიბნენ, ლომები და წერაქვები აიღეს და შავი კლდეებისაკენ წასასვლელად ემზადებოდნენ, თავმჯდომარემ აშოტ გასპარიანს უთხრა:

— მე თქვენ გაძლევთ ისეთ პირებს, რომლებიც ზედმიწევნით იცნობენ აფეთქების სამუშაოებს. მასწავლებელი არამი და მე რაიო-

ნის ცენტრში ვართ გამოძახებული. თათბირი დამთავრდება თუ არა, დავბრუნდებით და პირდაპირ თქვენთან შავ კლდეებზე ამოვალთ, ერთი სათხოვარი მაქვს მხოლოდ, ბიჭებს გაუფრთხილდით, ახლო არ მიაკაროთ ფეთქებად მასალებს... ისე უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა დღეს ისინი არ წაგეყვანათ, გამოქვაბულში ისეც ადგილი არ იქნება...

— განა მათი დაკავება შეიძლება? — გაიღიმა გეოლოგმა.

— ეგ მართალია, მეტადრე კამოსი — ჯაჭვით რომ დააბა, გადაქლიბავს და გაიქცევა. გვიანდება, აბა გასწით!

კოლმეურნე კალატოზები თავიანთი იარაღებით გზას გაუდგნენ შავი კლდეებისაკენ. მათ გაჰყვნენ ჩვენი ნორჩი მეგობრებიც.

გზაში პაპა ასატურმა შეაჩერა ისინი და უთხრა:

— არ მინდოდა, რომ იმ ეშმაკის გამოქვაბულში წასულიყავით, მაგრამ ვინ დაგაჯერებთ? ყოველ შემთხვევაში ერთ ამბავს გიამბობთ — შეიძლება გამოგადგეთ, რამდენადაც დინამიტთან გექნებათ საქმე. პაპა ოჰანესს იცნობთ?

— უსინათლოს? — შეეკითხა სეთო.

— დიახ, უსინათლო ოჰანესს. ის მუდამ უსინათლო კი არ იყო. თავის დროზე ახალგაზრდა, ლამაზი, გამბედავი ვაჟკაცი იყო: და აი დაბრმავდა... თავისი დაუდევრობით დაბრმავდა: საწყალი დიდი მოუთმენარი და თავშეუკავებელი კაცი იყო. მაშინ ჩვენ სოფელში ჭას ვთხრიდით და კედლები ქვით ამოგვყავდა. ქვას კი კლდეებში აფეთქებით ვშოულობდით. და აი ოჰანესმა და მე კლდეში ხვრელი გავაკეთეთ, შიგ ფეთქებადი მასალა შევდეთ, პატრუქს მოვუკიდეთ და შორს გავიქეცით... ვუცდით, ვუცდით, მაგრამ არ ფეთქდება. ოჰანესი მეუბნება: „დენთი ალბათ ნესტიანია ან პატრუქი თუ ჩაქრა, წავიდეთ, ვნახოთ! მე ვუპასუხე: ოჰანეს, ცოტა ხანს კიდევ მოითმინე, ვინ იცის, იქნებ აფეთქდეს“. საწყალი მოუთმენარი კაცი იყო, სისხლი უდუღდა, როგორც ჩვენს კამოს. არ გამიგონა და წავიდა. ის იყო მივიდა, დაიხარა, რომ ენახა თუ რა დაემართა პატრუქს, რომ დენთი აფეთქდა. იქვე დაბრმავდა ლამაზი ვაჟკაცი... ამას იმიტომ გიამბობთ, რომ თქვენც გაფრთხილდეთ და ჩემი ნათქვამი დაიმახსოვროთ.

როცა გამოქვაბულში შევიდნენ, ბრიგადირმა ეგორმა ბიჭებს უთხრა:

— აბა, გამოქვაბულის შესავალთან დასხედით და ისაუბრეთ, ჩვენ კი ჩვენ საქმეს შევუდგებით.

— როგორ?.. მაშ ჩვენ საჭირონი არ ვყოფილვართ?.. — გაცხარდა კამო.

ბრიგადირს თავის ხშირ ულვაშებში ჩაეცინა:

— ვინ თქვა, რომ არაფერს წარმოადგენთ? წყალი თქვენ აღმოაჩინეთ, ჩვენ თქვენი თანაშემწეები ვართ — წყლის მოპოვებაში გეხმარებით.

ეგორმა ლომი მოიმარჯვა და ქვის ტეხას შეუდგა.

— შენ კი სტეფანე, — მიმართა ერთ-ერთ ამხანაგს, — აი აქ ამოტეხე, ტიგრან, შენ აქ დადექი... საჭიროა ხუთ-ექვს ადგილას ჩაიდოს ასაფეთქებელი მასალა, მაშინ ერთბაშად დიდ მანძილზე მოვანგრევთ კლდეს.

სამუშაოს დამთავრების შემდეგ, ამოტეხილ ნახვრეტებში მოათავსეს ამონალი, პატრუქი გაუკეთეს. აშოტ გასპარიანმა პატრუქს მოუკიდა თუ არა, ყველანი გამოქვაბულიდან გაცვივდნენ.

მეოთხედმა წუთმა განვლო, ნახევარმა წუთმა განვლო. არ აფეთქდა.

კამოს ეგონა თითქოს მთელმა საათმა გაიარაო.

— საღამომდე აქ ხომ არ ვისხდებით, — ვეღარ მოითმინა მან და საფარიდან გავარდა, — ალბათ კაპსული არ ვარგა.

ყოველივე ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ აშოტ გასპარიანმა ბიჭის დაკავება ვერც კი მოასწრო.

— კამო, კამო, უკან მობრუნდი, პაპა ასატურის ნაამბობი დაგავიწყდა? — მიაძახა არმენმა. — გაიხსენე უსინათლო ოჰანესი.

ამის თქმა იყო და საზარლად დაიგუგუნა, აფეთქების შედეგად ყოველი კუთხიდან გამოქვაბულის კედლებს და ჭეს აუარებელი დიდი და პატარა ქვა სტყორცნა, ამონალის მხრჩოლავი კვამლით გაიეღინთა ჰაერი.

ბიჭები გამოქვაბულში შეცვივდნენ, თავიანთი საყვარელი ამხანაგი კამო უგრძნობლად გაშხლართული ეგდო...

— ვაი, ვაი, ვაი! აბა სწრაფად გავიტანოთ აქედან, — ყვიროდა ბრიგადირი ეგორი.

გეოლოგმა და გრიქორმა ასწიეს კამო და ჰაერზე გაიტანეს, ბიჭს საფეთქელთან ლურჯი წრე ჰქონდა, კამო თითქოს არა სუნთქავდა...

* * *

ხის ტოტებისაგან სახელდახელოდ შეკრული საკაცით კამო სოფელში ჩამოიტანეს. განუზომელი იყო დედის მწუხარება. როგორც კი საკაცეზე გაშოტილი კამო დაინახა, შეჰყვირა და გული შეუწუხდა.

კამო ოთახში შეიტანეს. მოვიდნენ მეზობლები. შეატყობინეს აგრეთვე არამ აკოფიანს და ბაგრატს, რომლებიც ის იყო რაიონის ცენტრიდან დაბრუნებულიყვნენ და შავი კლდეებისაკენ წასასვლელად ემზადებოდნენ. ბაგრატი სასწრაფო განკარგულებებს იძლეოდა, ეზოში მიბმული მისი ცხენი ჭიხვინებდა და ფეხით მიწას ფხოჭნიდა.

გაიგო რა მომხდარი ამბის შესახებ, ბაგრატმა ძალზე შეშფოთებულმა მჭედელ სამსონის სახლში მიირბინა. მალე მივიდა მასწავლებელი არამიც.

საერთოდ თავშეკავებული ბაგრატი საშინლად ღელვადა:

— დეიდა ანაჰიტ, ფანჯარა გამოალე! ფართოდ! აი ასე... წყალი მოიტა... შუშან, გაიქეცი კოლმეურნეობის კანტორაში წამლების ყუთი მოარბენინე... აბა ცოცხლად. აშოტ, არამს მიეშველე... არამ, შეგიძლია სუნთქვა დაუბრუნო?...

არამმა თავის დაქნევით დასტური მისცა, პიჯაკი გაიძრო და სახელოები დაიკაპიწა.

— მე რომ მასთან ვყოფილიყავი, ეს არ დაემართებოდა, — აბობდა მასწავლებელი.

შუშანამ წამლების ყუთი მოარბენინა, ოთახში ნიშადურის სუნი დატრიალდა.

შემოვიდა წვერებაბურძგნული პაპა ასატური და აკანკალებული ხმით მასწავლებელს შეევედრა:

— არამჯან, ბედნიერი იყოს შენი სიცოცხლე! შენი ჭირიმე, დარეკე ერევანში, აცნობე, მცოდნე ექიმები, პროფესორები გამოგზავნონ, შვილიშვილი გადამირჩინონ!..

— დამშვიდდი, პაპა!

— ათასობით მოგცემთ, მილიონს არ დავიშურებ... დაუძახეთ პროფესორებს, გადამირჩინონ ბიჭი...

ბაგრატმა თანაგრძნობით გადახედა მოხუცს, რომელიც თვალ-ცრემლიანი იდგა მის წინაშე.

„ჭკუაზე შეირყა საცოდავი, — გაიფიქრა ბაგრატმა, — მილიონზე ლაპარაკობს!“

ეზოში არმენი და სეთო ამშვიდებდნენ ჰასმიკს. საწყალი გოგონა სლუკუნებდა და თვალზე მომდგარ ცრემლს ცხვირსახოცით იწმენდდა, მას თვალები დასიებული და დაწითლებული ჰქონდა.

ჭიშკართან გრიქორი მოანგარიშე მესროფს თათხავდა.

— შენ რა სისულელეებს როშავ? რის ჯოჯოხეთი, რომელი ეშმაკი და სათაელი? წყალი მოჩუხჩუხებს, წყალი, გესმის თუ არა?.. ხვალ წავალ, სოფელში ჩამოვიყვან. წყურვილით რომ კვდებოდეს, წყეთს არ დაგალევინებ. კამოს ეს უბედურება თავისი გაუფრთხილებლობით შეემთხვა, შენ კი ხალხს ათასგვარ სისულელეებს ჩასჩურჩულებ: „ეშმაკებმა დასაჯესო...“

— ვინა თქვა, რომ წყალი არ არის?... რას ყვირი, გრიქორ?..—დაბნევით უპასუხა ნადიაკვნარმა მესროფმა და ირგვლივ მიმოიხედა, ხომ არავინ გვისმენსო...

ამ დროს ეზოში შემოვიდა მწვანეთვალება ბიჭი, მთლად გაფითრებული და აღელვებული სახით. ეს შურიანი არტუში იყო.

ბიჭები მდუმარედ უყურებდნენ მას. კამოს ყოფილი მტრის მოსვლა არ ესიამოვნათ.

— შენ რაღას ფშლუკუნებ?—გესლიანად შეეკითხა გრიქორი,— ვითომ და რა გაწუხებს?

— ნუ მიწყრები, გრიქორ, — მორიდებული ხმით შეევედრა არტუში.—მაპატიეთ, თქვენი ჭირიმე!—არტუში აქვითინდა.

— კარგი, — ხელი გაუწოდა არმენმა არტუშს, — მხოლოდ ახლა შენთვის არა გვცალიან... სეთო, შენ ჰასმიკთან დარჩი, მე აივანზე ავალ.

ავიღმყოფის ლოგინთან რამდენიმე კაცი ფუსფუსებდა.

აშოტ გასპარიანს ნიშადურის სპირტის შუშა ეჭირა. ბაგრატი მუხლებზე დაჩოქილი კმაოს საფეთქლებს უზელდა. მასწავლებელი არამი კი ცდილობდა ხელოვნური სუნთქვა გამოეწვია.

როგორც იქნა მიზანს მიაღწიეს. მასწავლებელს გაფითრებულ სახეზე იმედის ელფერმა გადაურბინა, თვალები სიხარულით გაუბრწყინდა.

— ცოცხალია? — ჰკითხა ბაგრატმა.

— ცოცხალია, სუნთქავს...

ეს ცნობა ელვასავით მოედო მთელ ეზოს. ყველამ თავისუფლად ამოისუნთქა. ეზოდან მოისმა ჰასმიკის ხმა:

— გამიშვით, გამიშვით კამოსთან...

— კარგი, კარგი, ამოდი, ახლა შეიძლება, — უთხრა თავმჯდომარემ და კეთილად გაუღიმა.

გრიქორი კუთხეში იდგა და მწარე ცრემლებს ღვრიდა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც თავი ვერ შეიკავა ხუმრობისგან:

— მე ვიცი, თავი მოიმკვდარუნა, რომ ჩვენ უფრო მეტად შევიყვაროთ!

ყველას გაეცინა, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ გრიქორის ხუმრობა მოეწონა, არამედ ისე, სიხარულით.

ჰასმიკი დიდხანს დასცქეროდა კამოს ცივ, გაშტერებულ თვალებს. შემდეგ შემობრუნდა, ბაგრატს მოეხვია და აქვითინდა.

— დამშვიდდი, ჩემო კარგო, ყველაფერი რიგზეა, ყველაფერმა განვლო, — მიუგო ბაგრატმა და თავზე ხელი გადაუსვა...

მეზობელ ოთახიდან კამოს დედა გამოვიდა, მიუჯდა ლოგინთან და ცხარედ აქვითინდა. მაგრამ გოდებისა და უბედურების ცრემლები კი არ იყო ეს, არამედ უსაზღვრო სიხარულისა და ბედნიერებისა.

კამო თავისი დიდრონი თვალებით ყველას გაშტერებული უყურებდა და ვერაფერი გაეგო...

— გაცოცხლდა, გაცოცხლდა, ჩემი ლომგული ბიჭი! — აღელვებით ამბობდა პაპა ასატური, ხელებს მაღლა იშვერდა და თავისთვის რაღაცას ბუტბუტებდა.—თფუ, რას ვბოდავ,—გადააფურთხა მოხუცმა, როცა გონს მოვიდა: ზეციერ ძალებს აღარაფერი შერჩენია...

— პაპა, რას დაღვრემილხარ? — ალერსიანად შეეკითხა მასწავლებელი არამ აკოფიანი. — ხომ ხედავ, ყველაფერი რიგზეა, ცოცხალია შენი შვილიშვილი.

— რაო?... — გონს მოვიდა მოხუცი და თითქოს რაღაც მძიმე ამოცანა ამოხსნაო, გაურკვევლად ჩაილაპარაკა. — მაშ განთქმული მონადირე ასატური ამ ბავშვებთან შედარებით თავისი გულით შედარებით დაბლა დგას? ესენი სიცოცხლეს არ ზოგავენ ჩვენთვის, მე კი ფული უნდა დავინანო?.. არა, კმარა, კმარა!... — უცებ წამოიძახა მან. — ბაგრატ, ამ სიმდიდრემ დამახრჩო... ამ მილიონებმა გული გამიშრეს... წავალ მოვიტან, სინდისსაც დავიმშვიდებ...—და მოხუცი აჩქარებული ნაბიჯით ოთახიდან გავიდა.

მოხუცის ამ სიტყვებს ვერავინ მიუხვდა.

— რა დაემართა ჩვენს პაპას?—გაკვირვებით იკითხა ბაგრატმა. — ავად ხომ არ გახდა? რა მილიონებიო?..

არამ აკოფიანმაც განცვიფრებისაგან მხრები აიჩეჩა.

მოხუცი ასატურის სახლი შორს არ იყო. არ გასულა რამდენიმე წუთი, რომ პაპა, გატენილი ტომრით ზურგზე, ხვნეშით მოვიდა.

— აი, ჩემი მილიონები, შეგიძლიათ მიიღოთ! — თქვა მან და ტომარა ზურგიდან გადმოიღო, — შვილო, ერთი ნოხი მომეცი, — მიმართა მან კამოს დედას.

ყველამ ერთმანეთს გადახედა.

— სახლში წადი, — მოხუცს მხარზე ხელი დაადო ბაგრატმა,— წადი დაისვენე, დაწყნარდი...

— გეუბნებით, ნოხი მომიტანეთ-მეთქი, — გაბრაზდა მოხუცი, — თქვენ რა გგონიათ, ჭკუაზე შევიშალე? ნოხი მომიტანეთ-მეთქი, ჩემი მილიონები უნდა გადმოვალაგო... შორს დადექით, ადგილი დამიცალეთ. აი აგრე, — განკარგულებებს იძლეოდა მოხუცი.

მოხუცმა კედლიდან ჩამოგლიჯა ნოხი, იატაკზე გაშალა და ტომარა წამოაპირქვავა.

ყველამ პირი დააღო...

ტომრიდან გადმოყრილმა ოქრო-ვერცხლმა, თვალ-მარგალიტმა, ზურმუხტმა და ლალმა თვალები აუბნია დამსწრეთ. ნოხი უძვირფასესი განძეულით აივსო...

მოხუცი მშვიდად იდგა და ამაყად დასცქეროდა მოტანილ ძვირფას განძეულს.

— რა?.. ხომ გითხარით მილიონს მოგცემთ-მეთქი? თქვენ კი ფიქრობდით, საცოდავი მოხუცი გაგიჟებულაო? ახლა რას იტყვით?..

კამომ უცბად ოდნავ წამოიწია, გადახედა და სახტად დარჩა...

— სიზმარში ვარ, თუ ცხადად?..— იკითხა მან და თვალები მოიფშვნიტა...

მოხუცი ასატური ზეიმობდა. მაგრამ აი მისი სიამაყით სავსე თვალები შეხვდა მასწავლებელ არამის საყვედურით აღსავსე თვა-

ლებს. უცებ მოხუცი ყველაფერს მიხვდა, თავი ჩაქინდრა, დაიჩოქა, გულხელი დაიკრიფა და ძლივს წამოილუღლუღა:

— მაპატიეთ. ხალხო... მაპატიე, ამხანაგო ბაგრატ... მაპატიე, ამხანაგო მდივანო... შევცდი... მაპატიეთ ..

— საიდან გაქვს?.. — მკაცრად ჰკითხა მასწავლებელმა.

— ქვევრში ვიპოვე... თაფლის ქვეშ...

— მაშ, დღემდე რატომ არავის არ უთხარი?

ამ შეკითხვის გაგონებაზე ყველამ სერიოზული სახე მიიღო.

— დაიჭერენ! — შიშით წარმოთქვა ანაჰიტმა.

— კარგსაც უზამენ, — თქვა სარძეო-სასაქონლო ფერმის გამგემ არტემმა, რომელიც ის-ის იყო მოსულიყო და კარებთან იდგა.

მოხუცი მონადირე კი ცოდვებს ინანიებდა.

— დამნაშავე ვარ, ძმებო... არ ჩავაბარე მაშინ სახელმწიფოს... ხარბობამ თვალები ამიბა. მაპატიეთ, ძმებო! ბაგრატ, ეს სიმდიდრე მთელ თვეს მძიმე ლოდივით მაწვა გულზე, მოსვენებას არ მაძლევდა... წაიღეთ, ძმებო, გამათავისუფლეთ ამ სიმძიმისაგან!

— მაშ ახლა რატომ გამოაჩინე? შვილიშვილის გულისათვის?

— ნუ მკიცხავ, ბაგრატ! რომ ჩემი კამო არ გადარჩენილიყო, მაინც გამოვაჩენდი... ვადევნებდი თვალს ამ ბავშვების საქმიანობას და სირცხვილი მწვავდა, — მოხუცმა კამოზე და მის ამხანაგებზე მიუთითა.—ვუყურებდი მათ და ვამჩნევდი, რომ ესენი ხალხისა და ქვეყნისათვის ზრუნავდნენ, მე კი, მე უბედური, მხოლოდ ჩემთვის. სწორედ ამან მაიძულა, ამან მოუღო ბოლო ჩემს წამებას და სხვა არაფერმა. ზეცას ვფიცავ, რომ შვილიშვილის გამო არ გამოვაჩინე ეს განძეულობა.

ხალხი სულგანაბული უსმენდა.

— ამ ახალგაზრდების მზეს ვფიცავ, — განაგრძო მოხუცმა, — რომ სინდისი მუდამ მქეჯნიდა, სულ ჩაბარებას ვფიქრობდი... მრავალჯერ შევსულვარ ბოსელში, ამომიღია, ზურგზე წამომიკიდია, მაგრამ ფეხები ჩამკეცია... სულ ვფიქრობდი: როგორ? მე, მონადირე ფსატურმა, რომელსაც ცხოვრებაში არაფერი სამარცხვინო არ გამიკეთებია ამ ნაგავის გამო პატიოსნებას ვუღალატე? სინდისი დავკარგე?... და — მოხუცმა ფეხი წაჰკრა განძეულობას.

მოხუცს მდუმარედ უსმენდნენ, ყველა გრძნობდა, რომ მან დიდი დანაშაული ჩაიდინა და უცდიდნენ, თუ რას იტყოდნენ ისინი, ვისაც აქვს უფლება პასუხი აგებინოს.

— რასა ქვითინებ? — უთხრა მოხუცს მოანგარიშე მესროფ-მა, — მილიონებს აბარებ და ბოდიშსაც იხდი, სხვა შენს ადგილას არც ჩააბარებდა...

— ან რატომ უნდა ჩაებარებინა? — მიემხრო მესროფს სონა.— კარგი გიქნია, პაპა ასატურ, ნუ ნაღვლობ.

ზოგიერთი სხვაც გამოესარჩლა მოხუცს. საფიქრებელი იყო, რომ ეს ჭირ-ვარამს შეუმსუბუქებდა პაპა ასატურს, მაგრამ როცა მესროფმა მოხუცს მკლავში ხელი წაავლო ასაყენებლად, ასატურმა ხელის კვრით მოიშორა და სასტიკად შეჰყვირა:

— გამეცალე! განა ისე დავმცირდი, რომ შენი დასაცავი გავ-ხდი? არა, გაუშვი, ხალხმა გამასამართლოს.

მოხუცი შეკრებილთ მიუბრუნდა და აღელვებით წამოიძახა:

— ხალხო, რაღა საცოცხლებელი ვარ, როცა ჩემს დამცველ-ად სონა და მესროფი გამოდიან... გაეცით განკარგულება, ციხეში წამიყვანონ, არც ციხის, არც სიკვდილისა არ მეშინია. მარტო იმასა ვჩივი, რომ ჩემი სპეტაკი სახელი წაიშლება, თორემ სიკვდილი არა-ფერია.

მოხუცებულის თეთრ წვერზე ცრემლები გადმოგორდნენ.

ხალხის სამსჯავრო

კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბაგრატი, რომელიც კარგა ხანს ხმას არ იღებდა მოხუცთან მივიდა, ხელი მოჰკიდა და წამოაყენა.

— დანაშაული დიდია, — თქვა მან. — მაგრამ ვინ არ იცნობს პაპა ასატურს? თქვენს შორის ისეთი ადამიანი თუ მოიპოვება, რო-მელსაც თავის სიცოცხლეში ასატური არ დახმარებოდეს?..

— ასეთი არავინ გვყავს, — გაისმა ჰასმიკის დედის ანაჰიტის ხმა.

— ვინ არ იცის, რომ ეს კაცი მთელი სიცოცხლის მანძილზე კრისტალივით სუფთა და პატიოსანი იყო, — განაგრძო ბაგრატმა.— განძეული რომ გადამალა და ვერ ბედავდა მის დაბრუნებას, ძველი საზოგადოების ცოდვებია. პაპა ასატური კომუნისტი არ არის, მაგ-რამ 1920 წლის მაისის აჯანყების დღეებში ჩვენ, პარტიზანებს, გვნალავდა თავის ბოსელში. შიმშილობა იყო, პური არ იშოვებოდა, და იგი ნანადირევით გვკვებავდა... არა, ჩვენ ასე ადვილად ვერ დავ-სჯით პაპა ასატურს. იგი ჩვენი სოფლის სინდისი იყო, და ეს ამბავი გაუგებრობაა მის ცხოვრებაში. გახსოვთ, ხალხო, რევოლუციის პირ-ველ წელს რა შიმშილს განვიცდიდით? როგორ ნგრევას განიცდ-

და ჩვენი ქვეყანა სამოქალაქო ომის დღეებში? გახსოვთ, ხალხი ბალახსა ჭამდა, სივდებოდა და ბუზივით წყდებოდა. ვინ გადაარჩინა მაშინ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი სოფელი? ლენინმა და სტალინმა! დიდმა რუსმა ხალხმა! გახსოვთ დამშეულთათვის რუსეთიდან ეშელონებით რომ ეზიდებოდნენ ხორბალს? ჩვენმა სოფელმა ვინ აირჩია, ვის მიანდო მიეღო ეს ხორბალი და წესიერად გაენაწილებინა...

— პაპა ასატურს!.. რასაკვირველია, პაპა ასატურს! — გაისმა ყოველი მხრიდან.

— სამამულო ომის დღეებში ვინ ეხმარებოდა ფრონტზე წასულ მებრძოლთა ოჯახებს? მაშინ, როცა ფაშისტთა ურდოები ამიერკავკასიას მოადგნენ. ვინ აირჩიეთ თქვენ ადგილობრივ მოლაშქრეთა მეთაურად?

— ასატური, — ერთხმად წამოიძახეს შეკრებილებმა.

— მართალია, იმიტომ აირჩიეთ, რომ პატიოსანი იყო. ის ახლაც პატიოსანია, — ხმა აღიმაღლა ბაგრატმა, — მისი ცოდვა კი ძველის ნაშთია. კაცი, რომელიც ძველ, მესაკუთრულ საზოგადოებაში აღიზარდა, ვერ განთავისუფლდა ამ საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი მანკისაგან — სიხარბისაგან. აი ესენი, — ბაგრატმა ბიჭებზე მიუთითა, — თავისუფალნი იქნებიან ასეთი მანკისაგან, რადგან დაიბადნენ და აღიზარდნენ ახალ საზოგადოებაში, იმ საზოგადოებაში, რომელშიც ადამიანს აქვს მხოლოდ ერთი მისწრაფება — ყოველივე პირადული დაუქვემდებაროს საერთო ინტერესებს... აი რა უნდა მეთქვა... მე მსურს, ეს ჩვენი კრება პაპა ასატურის სამსჯავრო ყოფილიყოს. მე ჩემი ვთქვი, დაე სხვებმაც თავიანთი აზრი გამოთქვან. მაშინ ჩვენ აქვე მივიღებთ გადაწყვეტილებას და ვაცნობებთ მთავრობას.

— ნეტა რას უზამენ პაპა ასატურს? — შეშინებული ჩასჩურჩულა ჰასმიკმა გრიქორს.

— კოჭის ძაფით ჩამოახრჩობენ, — ასეთ სერიოზულ მომენტშიც კი იხუმრა გრიქორმა.

ჰასმიკს ჩუმად ჩაეცინა.

შემდეგ სიტყვით გამოვიდა მასწავლებელი არამ აკოფიანი.

— ეს ოქროები, — თქვა მან და მიუთითა მოხუცის მიერ ნაპოვნ განძეულზე, — ერთ ისტორიულ ამბავს მაგონებს. 1921 წელს გაზაფხულზე, როცა სომეხი თეთრგვარდიელები—დაშნაკები—აჯანყდნენ ახალი, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ჩვენი წითელი არმიის ნაწილების ერთი ჯგუფი მოსწყდა მეთერთმეტე არმიას, რო-

მელსაც ორჯონიკიძე, კიროვი და მიქოიანი მეთაურობდნენ, და სომხეთის სამხრეთ ნაწილში არარატის ველის უკიდურეს კუთხეში, ნახიჩევანთან მოემწყვდა. ეს სამხედრო ნაწილი, რომელსაც არავითარი დახმარების იმედი არ ჰქონდა, უმკლავდებოდა კონტრრევოლუციურ ძალებს. ნაწილი შიმშილით სულს ღაფავდა, მებრძოლებს საჭურველიც არ ჰქონდათ. წინ იყო მტერი, უკან კი — ფეოდალური ირანი. ჯარის ნაწილი უკვე განწირული იყო განადგურებისათვის. მაგრამ, უცბად გაისმა მოტორების გუგუნი, ცაში თვითმფრინავი გამოჩნდა. თვითმფრინავმა ჩვენს ზევით წრე შეკრა და გადმოგვიგდო ოქროთი სავსე ტომარა, რომელიც ლენინს გამოეგზავნა. ამ ოქროთი ჯარის ნაწილმა ირანში პური იშოვა, ჯარისკაცები მომაგრდნენ, გამხნევდნენ და მტრის დამარცხება შეძლეს.

— მართალია, მეც იქ ვიყავი, — გამოეხმაურა ყოფილი პარტიზანი, ახლა კი სარძეო-სასაქონლო ფერმის გამგე არტემი.

— ნუ ეწყინება პაპა ასატურს, თუ ასეთ შედარებას მოვახდენ, — განაგრძო მასწავლებელმა არამ აკოფიანმა. — იაიც ოქრო იყო, ესეც ოქროა. თითქოს განსხვავება არ არსებობს, არა? მაგრამ რას მოხმარდა ის ოქრო და რას ემსახურებოდა ეს ოქრო, რომელიც ასატურის ბოსელში იყო ჩამარხული?

მოხუცი ასატური თავჩაქინდრული იდგა და ეტყობოდა, როგორ უმძიმდა ამ მწარე საყვედურის მოსმენა.

— მე მსურს თქვენი ყურადღება მივაქციო მეორე მნიშვნელოვან გარემოებასაც, — განაგრძო მასწავლებელმა, — ახლა მე, როგორც საბჭოთა ადამიანს, მაღელვებს კიდევ ერთი აზრი: რა საშინელება იქნებოდა, რომ პაპა ასატურში გაემარჯვნა წარსულის გადმონაშთს! რარიგ დიდი იქნებოდა დანაკლისი საბჭოთა მეცნიერებისათვის, რომ კვლავ მიწაში ჩაფლული დარჩენილიყო ან დაკარგულიყო, ან მალულად გაყიდულიყო, როგორც ძვირფასი ლითონი, ჩვენი ხალხის განვლილი ისტორიის, მისი ბრძოლის, ყოფისა და კულტურის ეს უტყვი მოწმეები. — მასწავლებელი დასწვდა ერთ ოქროს ფულს. ხელში აიღო და თქვა: — ამ ოქროს ფულზე ამოკვეთილია ტიგრან დიდის სურათი. ეს ფული იმ დროს არის მოჭრილი, როცა ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ ბატონობდა წარმართობა. აი ტიგრან დიდის მოკავშირის, პონტოს მეფის, მითრიდატის გამოსახულებაც ოქროს მედალზე. ტიგრანმა და მითრიდატმა ხალხი აამხედრეს რომაელ დამპყრობთა ლეგიონების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ეს მეტად მნიშვნელოვანი, ძვირფასია მეცნიერებისათვის. ასეთი ნივთების დამალვა ან განადგურება დანაშაულია. მოკლედ, მე ვფიქრობ, ის რაც ითქვა საკმარისი უნდა იყოს პაპა ასატურისათვის. მან ღრმად შეიგნო თავისი დანაშაული, რაც მას შველის. ის ლაპარაკობს მამა-პაპათა პატიოსნებაზე, რაც თვითონ მას საკმაოდ ახასიათებს. მაგრამ მე მინდა, რომ პაპა ასატური თავის თავს შეეკითხოს: როგორ შეიძლება ამ ბრჭყვიალა ლითონის დანახვაზე კაცმა დაივიწყოს პატიოსნება, დაკარგო ადამიანობა?

— პაპა ასატურმა მოისმინა ყოველივე, რაც კი უნდა მოესმინა, — თქვა ბაგრატმა. — მისი მონანიებისა ჩვენ გვჯერა. ბოლოს-დაბოლოს, ძალიან კარგია, რომ ყველა ეს ნივთები აღმოჩნდა. მაგრამ ყველაზე მეტად ის არის სასიხარულო, რომ კაციც ვიპოვეთ... რომ ამ ბიჭების გავლენით დავიბრუნეთ პაპა ასატურის მიერ დაკარგული პატიოსნება...—ბაგრატმა მაგრად ჩამოართვა მოხუცს ხელი. — მე დარწმუნებული ვარ, პაპა, რომ მთავრობა გაითვალისწინებს შენს მონანიებას.

მოხუცმა მონადირემ თავისუფლად ამოისუნთქა, გაფითრებული სახე თანდათან გამოუცოცხლდა, ფერი მოუვიდა. ყველამ გაიღიმა, ზოგმა ტაშიც კი შემოჰკრა. ყველას გაუხარდა, განსაკუთრებით კი ნორჩ ნატურალისტებს, რომელთაც ძალიან უყვარდათ თავიანთი მოხუცი, კეთილი პაპა.

— მადლობა ჩვენს მამაც ნორჩ ნატურალისტებსაც! ამათ არ იყო, რომ იპოვეს ეს ოქრო სხვა სიძველეებთან ერთად ჭასჭაქარის გამოქვაბულში? ესენი არ იყვნენ, რომ თავიანთი მაგალითით დაიცვეს ძელი მონადირის პატიოსნება? — თქვა მასწავლებელმა.

მან მიიხმო ბიჭები, გადაეხვია და სათითაოდ გადაკოცნა.

როცა მოხუცი სავსებით დამშვიდდა, რაღაც მოაგონდა და იკითხა:

— კამოჯან, გაიგეთ რა შიშინებდა გამოქვაბულში? ჯოჯოხეთის დიდი ქვაბი ხომ არ იყო?

შეკრებილებმა გაიცინეს.

— არა, პაპა. რა ქვაბი, რის ქვაბი, კლდეების ქვეშ წყალი ჩუხჩუხებს... არტაკის დროინდელი მიწისძვრისაგან დაკარგული წყალი, — სუსტი ხმით უპასუხა კამომ.

— მერე, თუ მართლა წყალია ჩვენ რატომ არ შეგვატყობინეთ? — შეეკითხა ფერმის გამგე არტემი ბაგრატს.

— დღევანდელი აფეთქების შედეგები ჯერ ჩვენც კარგად არ ვიცით. მიუხედავად ამისა, ყველანი ვალდებული ვართ გამოვიდეთ და წყლის ძველი კალაპოტი წესრიგში მოვიყვანოთ.

— მაშ ნამდვილად არის წყალი? — წამოიძახა ერთმა. — თუ ასეა, რაღას უყურებთ, წავიდეთ...

— წყალი, წყალი!... — გაისმა მხიარული ხმები ყოველი მხრიდან და მთელი სოფელი ფეხზე დადგა: დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი ლომებით, ნიჩბებით, წერაქვებით, ბარებით შავი კლდეებისაკენ წავიდა.

შებინდებისას ბაგრატი და არამ აკოფიანი გეოლოგებთან ერთად შავი კლდეებიდან დაბრუნდნენ. ისინი გამოქვაბულში შესულიყვნენ და პირადად დარწმუნებულიყვნენ წყლის არსებობაში. როდესაც წყლის სათავესთან მივიდნენ, გეოლოგებმა მათ აუხსნეს, რომ საჭირო იყო კლდეების კედლების დაცემენტება, თორემ ფხვიერ ნიადაგში წყალი გაიპარებოდა.

იმავე საღამოს კოლმეურნეობის საბარგო ავტომანქანა ცემენტის მოსატანად რაიონის ცენტრში წავიდა.

ისევ შავი კლდეებისაკენ

თენდებოდა. ჰასმიკს გამოეღვიძა. დღეს ძალიან კარგ, მხიარულ გუნებაზე იყო. საბანი გადაიძრო, ლოგინიდან მკვირცხლად წამოხტა და სწრაფად ტანთ ჩაიცვა. კამოსთან უნდოდა წასვლა, მაგრამ ასე ადრიანად, ისიც მარტოკა, ეუხერხულებოდა.

ჰასმიკმა გრიქორთან მიირბინა:

— წამოდი კამოსთან!

მათ კამოს დედა დახვდათ, ტუჩებზე თითი მიიდო და დაბალი ხმით უთხრა:

— ჩუმად, სძინავს.

— ეძინოს, ეძინოს, ეს მისთვის საჭიროა, — უპასუხა გრიქორმა, — ჰასმიკ, ჩვენ კი ჩვენსა დავბრუნდეთ.

მალე გრიქორთან არმენი და სეთო მივიდნენ.

— შევიაროთ კამოსთან? — იკითხა არმენმა.

— არა, მას სძინავს. ნუ შევაწუხებთ.

— კარგი, დაისვენოს. ჩვენ მარტო წავიდეთ. მხოლოდ საჭიროა არტუში წავიყვანოთ, მას სურს ჩვენთან ერთად წამოსვლა.

— სად მიხვალ, ბიჭო, — მიაძახა გრიქორს დედამ.

— შავი კლდეებისაკენ! — მან იცოდა, რომ ახლა დედა მას აღარ დაუშლიდა წასვლას.

არტუშს დაუძახეს და მასთან ერთად გზას გაუდგნენ. მათ თვალწინ გადაიშალა ნაცნობი სურათი: სიცხისაგან გადაბუგული, წყალს მოწყურებული ველ-მინდვრები.

კოლმეურნეები თავდადებით მუშაობდნენ არხის ძველი კალაპოტის გასაწმენდად, ფართო შავ ზოლად მიჰყვებოდა ის გიჟი მთის ფერდობიდან კოლმეურნეობის ნათესებამდე. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბაგრატი თავზე ადგა კოლმეურნეებს და ამხნევებდა.

ამ დროს შავი კლდეების მხრიდან ძლიერი აფეთქების ხმა მოისმა, გამოქვაბულიდან კვამლი და მტვერი გამოჩნდა.

— ხედავთ, როგორ დავიგვიანეთ, მათ დაგვასწრეს, — სინანულით თქვა არმენმა. — აბა დავუჩქაროთ!

აი შავი კლდეებიც. ტოტებჩამომტვრეული, შუაზე გაპობილი, გაშავებულ-ჩანახშირებული იდგა ბებერი მუხა. გაშავებული და ჩაშყლეტილი სპილენძის კოკა ხის ქვეშ ეგდო...

შავი კლდეების მწვერვალზე ხალხი გამოჩნდა. იქიდან ერთმა გადმოსძახა:

— გრიქორ, შენა ხარ? დასახმარებლად მოხვედით?

— ჰო, მოვედით, ლომები დატოვეთ და ჩამოდით.

მშენებელთა ბრიგადა, რომელსაც მთელი ღამე ემუშავნა, ხეობაში ეშვებოდა. მის შესაცვლელად ზევით მიიწევდნენ ჩვენი ბიჭები

მთის ფერდობზე ისინი ერთმანეთს შეხვდნენ. ბრიგადირმა ეგორმა გრიქორს ამონალი, კაპსულები და პატრუქი ჩამოართვა, დანარჩენი ბიჭებიც გაჩხრიკა.

— რატომ?.. ეს რა, ახალი ამბავია? — იწყინა არმენმა.

— თავმჯდომარემ ბრძანა... ხომ არ დაგვიწყებიათ კამოს რა შეემთხვა? — მერე მამაშვილურად დაუყვავა.

— აფეთქებაზე ნურც ფიქრობთ. თქვენ კლდე უნდა გახვრიტოთ. ის ადგილები ცარცით მოვნიშნე. ღრმად გახვრიტეთ, ნახევარ მეტრამდე... არ გეწყინოთ, გენაცვალეთ, წადით...

ბიჭები გამოქვაბულში შევიდნენ. იქ ერთ კუთხეში ბნელი გასასვლელი შეამჩნიეს. სეთომ ფარანი აანთო და შეძრომა მოინდომა, მაგრამ ფარანი ჩაუქრა, მიუხედავად ამისა, მათ მაინც მუცელზე ხოხვით წინ გასწიეს და სხვა გამოქვაბულში გავიდნენ. იქ საშინელი სიცივე და სინესტე იყო, თან რაღაც იდუმალი ხმები ისმოდა.

— წყალს როცა გამოვიყვანთ, მან ამ გვირაბით უნდა გაიაროს, თუ ამ ვიწრო გასასვლელს არ გავაგანიერებთ, წყლის მოვარდნის შემთხვევაში გზა ჩაგვეკეტება და შიგ მოვემწყვდევით. აბა, ბიჭებო, ჯერ ეს გასასვლელი გავაგანიეროთ, — უთხრა არმენმა.

ყოველი მხრიდან უკვე წყლის შხრიალი მოისმოდა. ბიჭებმა ლომებით და წერაქვებით კლდეების გახვრეტა დაიწყეს, ისინი ენერგიულად მუშაობდნენ, ჰასმიკს კი ფარანი ეჭირა და უნათებდა. არმენმა პიჯაკი გაიხადა და ჰასმიკს მხრებზე მოახურა:

— ასე სჯობია, შეგცივდება.

ბიჭები განაგრძობდნენ მუშაობას. ჰასმიკი კი სიცივისაგან ცახცახებდა. ამხანაგებმა მას სახლში დაბრუნება ურჩიეს, მაგრამ არ თანხმდებოდა.

— თავი დამანებეთ, მეც მინდა დაგეხმაროთ, სხვა რომ არ იყოს, ფარანს მაინც დაგიჭერთ. — ეკამათებოდა ჰასმიკი.

— წადი, კამოს მოუარე და გაართე, — უთხრა არმენმა.

— არა, არ წავალ, — ერთხელ კიდევ უთხრა გოგონამ და გაწითლდა.

ბოლოს, როგორც იქნა ჰასმიკი დათანხმდა, სეთომ გამოქვაბულის გასასვლელამდე გააცილა და კლდის თავზე ასვლაში დაეხმარა, იქიდან უკვე ჰასმიკი ხტუნვა-ხტუნვით გაქანდა სოფლისაკენ.

ჰასმიკი როცა სოფელში შევიდა, შეჩერდა და ყოყმანი დაიწყო: სახლში წასულიყო, თუ კამოსთან? — არა! ისევ კამოსთან წავალ,— გადასწყვიტა მან.

კარები ნელა დაუკაკუნა. მას მიეგება კამოს დედა, რომელმაც გულში ჩაიხუტა გოგონა და აკოცა. საცოდავი დედა გამხდარიყო, თვალები ჩაცვივნოდა, გაფითრებულიყო.

ჰასმიკმა ჰკითხა კამოს ჯანმრთელობის შესახებ. თითქოს მისი შეკითხვის პასუხად ამ დროს მეზობელ ოთახიდან გაისმა მხიარული ხმა:

— ჰასმიკ, აქ მოდი, თორემ მე თვითონ მოვალ...

— ჰასმიკ, ხომ იცი კამოს ხასიათი, შედი, შედი, თორემ ლოგინიდან წამოვარდება და გამოვა.

გოგონა შევიდა მოზრდილ სინათლიან ოთახში, სადაც ნათელ ფანჯარასთან იდგა საწოლი, რომელზეც გულაღმა იწვა კამო. მას სიხარულისაგან უბრწყინავდა დიდი შავი თვალები.

ჰასმიკმა მასთან მიირბინა და აქვითინდა...

— კარგი, კარგი, დამშვიდდი, — ალერსიანად უთხრა კამომ და

აბრეშუმივით ფაფუკ თმებზე ხელი გადაუსვა. — შენ რაღას ტირი, დედი? ხომ ცოცხალი ვარ. ეს რა ამბავია, ვინც კი მოდის, იმის ნაცვლად, რომ იცინოდეს, ტირის... ეს რა უცნაური ხალხია! კაცი თუ კვდება ტირიან, თუ ცოცხლდება მაინც ტირიან!..

ჰასმიკმა გაიღიმა.

— აი, ასე, ჩემო ჰასმიკ, უნდა გაიცინო.

ჰასმიკი დაჯდა, ცრემლები მოიწმინდა და მხოლოდ შემდეგ შეხედა კამოს.

ისევ ის კამო იყო, თავისი დიდრონი შავი თვალებით, მიმზიდველი ვაჟკაცური სახით, მარტო ცოტა ფერი წასულოდა, თითქოს უძილო ღამე გაეტარებინოს...

სანამ დედა თავისი საქმით იყო გართული, კამო და ჰასმიკი ტკბილად საუბრობდნენ.

— როცა ამონალი აფეთქდა, რა იგრძენი? — შეეკითხა გოგონა.

— რა ვიგრძენი?.. სიტყვებით ვერ გადმოგცემ: ჯერ დავყრუვდი და თვალებში ნაპერწკლებმა გამიელვა, მერე თითქოს ადუღებული წყალი ჩამასხეს ძარღვებში და რაღაც უხილავმა ძალამ ზევით ამისროლა, ძირს ჩამოვარდნა არ მახსოვს... მეტი არაფერი მიგრძვნია მანამდე, სანამ აქ გონს არ მოველი.

— აქ, თქვენს აივანზე?... იცი რა საშინელი შესახედავი იყავი, უძრავი და გაშეშებული...

— თუ გქონია შემთხვევა, საშინელი სიზმარი გინახავს. გამოღვიძება გდომებია, მაგრამ ვერ მოგიხერხებია, აქ კი როცა გონს მოველი...

— რა გაიფიქრე, ამდენი ხალხი რისთვის მოსულაო?

— თავი არ მუშაობდა... შემდეგ მივხვდი, რომ რაღაც ხიფათი მომსვლოდა, ყველა მეფერებოდა, ყველა ისე სინანულით დამყურებდა... ვიფიქრე, ეს რა მოხდა, რომ ყველას ასე უცებ შევუყვარდი-მეთქი?

კამომ გაიღიმა.

— ნამდვილად, კამო, ყველას ძალიან უყვარხარ, — მიუგო გოგონამ. — მოიცა, ეს რა გაქვს ხელზე? აბა მიჩვენე.

— უბრალო რამ არის, ალბათ გამეფხაჭნა.

— ვაი, დამიბრმავდეს თვალები, საწყალი ბიჭი!..,

— კარგი, გეყოფა, შენ თუ ასე მოუვლი ავადმყოფს, არაფერი გამოვა. აი მოვა დედაჩემი, ვეტყვი მას და გაგაგდებს, — გაეხუმრა კამო.

ჰასმიკმა ცხვირსახოცი ამოიღო, დაასველა, იარაზე დაადო და ზევიდან პირსახოცი შემოახვია.

კამო უხმოდ, წინააღმდეგობის გაუწევლად, ალერსიანი გამოხედვით, თვალყურს ადევნებდა ჰასმიკის თვითეულ მოძრაობას...

— მერე რა მოხდა, კამო?

— როცა, მიეხვდი, თუ რა მოხდა, მაშინვე გავიფიქრე: „ალბათ, ჰასმიკი ცრემლად დაიღვარა!“ იცი, ამან მე გამახარა.

— გაგახარა, რომ მეგობარი აატირე?

— ჰო... მარტო შენ მეცოდებოდი და ვფიქრობდი: უნდა ვიცოცხლო, თუ გინდ იმისათვის, რომ ის დავაწყნარო-მეთქი.

ჰასმიკი სიხარულისგან იღიმებოდა.

— იმაზე რაღა გაიფიქრე, როცა პაპაშენმა იატაკზე თავისი-განძეული გადმოყარა? — სიცილით უჯხრა მან კამოს, — უჰ, რა კარგი ძეწკვები იყო იქ! ალბათ მათ კნეინა ანაჰიტი ატარებდა. თვალი ვერ მოვაშორე.

— მე კი ვფიქრობ, რომ ტყუილად არ დავიტოვეთ ერთი მაინც იმ ძეწკვთაგან, შენ ძალიან მოგიხდებოდა.

ასე მხიარულად გაატარეს მათ მთელი დღე.

საღამოს დერეფანში ფეხის ხმა მოისმა. კარები გაიღო და არმენი, სეთო, გრიქორი და არტუში ოთახში შემოცვივდნენ.

— აი, თქვე დეზერტირებო! ჩვენ „ჯოჯოხეთში“ გვგზავნიან, თითონ კი ერთობიან, — იცინოდა გრიქორი. — ამიტომ მოიმიზეზე სიცივე არა?

ბიჭები მისცვივდნენ კამოს და კოცნა დაუწყეს.

— აბა ერთად ნუ მიესიეთ, რიგში ჩადექით. — ჩვეულებისაებრ იხუმრა გრიქორმა.

კამომ მხოლოდ ახლა შეამჩნია არტუში, რომელიც კუთხეში კარადასთან იდგა და დარცხვენილი ქუდს ჭმუჭნიდა. დანარჩენებივით, ისიც მტვერში იყო ამოგანგლული.

კამომ სერიოზული გამომეტყველება მიიღო.

ჰასმიკმა ეს შეამჩნია და არტუშს გამოექომაგა.

— აი ჩვენი ნორჩი ნატურალისტების წრის ახალი წევრი. შენ მაგივრად ეს მუშაობდა დღეს გამოქვაბულში. არტუშმა აღიარა თავისი შეცდომები და ჩვენც ვაპატიეთ... კამო, შენც აპატიებ არა?...

განა შეიძლება შურისძიების, ბოროტების ან ცუდი განწყობილების რაიმე გრძნობა ყოფილიყო იმ ახალგაზრდის გულში, რომე-

ლიც სიკვდილს გადურჩა? ახალგაზრდა, რომელიც სიკეთით იყო გამსჭვალული ადამიანების მიმართ?

და როდესაც არტუში მიუახლოვდა კამოს სასთუმალს და ბოდიშის მოსახდელად მოემზადა, კამომ მყისვე პირზე ხელი მიაფარა და მეგობრულად უთხრა:

— საჭირო არ არის... ამიერიდან ჩვენ კეთილი მეგობრები ვიქნებით. მე დიდი ხანია ამას ვნატრობდი. — ბიჭები ერთმანეთს გადაეხვივნენ.

— კამო, თავს როგორა გრძნობ? — ნაზად შეეკითხა არმენი და ხელი მოჰკიდა.

— ცოტა თავი მიმძიმს, ისე არაფერი მიჭირს.

— რასაკვირველია, კარგად იქნები, — ჩაერია გრიქორი. — ასეთი ექთანი რომ მივლიდეს, — მან ეშმაკურად ჰასმიკს გადახედა, — ჩემი მოღრეცილი ფეხი ორ-სამ დღეში გამისწორდებოდა, ჩემმა მზემ!

— გეყოფა, შე მასხარავ, გეყოფა, — უპასუხა ჰასმიკმა და ხუჭუჭ თმებში სწვდა, — პირობას გაძლევ, რომ მოგივლი, როცა შენ ბოლოს და ბოლოს გაბედავ ოპერაციის გაკეთებას, ენდობი ექიმებს, რომ ფეხი გაგისწორონ...

— წყლის საქმე როგორ არის? — მოუთმენლად იკითხა კამომ.

— წყალი იქნება, ვმუშაობთ... დღეს ერთ უზარმაზარ სიპ კლდეს მივადექით, — უთხრა სეთომ. — აშკარად ეტყობა, რომ წყალი მის ქვეშ უნდა იყოს. როგორც კი გავხვრეტთ იმ ქვას, წყალი შადრევანივით გადმოხეთქავს.

კამო ლოგინზე წამოჯდა და აღელვებით წამოიძახა:

— რატომ ჩარიეთ ამ საქმეში საამშენებლო ბრიგადა? წყალი ჩვენ ვიპოვეთ, ჩვენვე უნდა გამოვიყვანოთ სოფელში, ჩვენ, ნორჩი ნატურალისტები... შევრცხვებით, თუ ვინმე დაგვასწრებს. ეს ჩვენი ღირსების საქმეა.

— მარტო ჩვენი ძალებით მალე ვერ მოვაბამდით საქმეს თავს, დაგვიანება კი არ იქნება. ძია ბაგრატი კარგად მოიქცა, რომ დაგვეხმარა, — უთხრა არმენმა, — ორ-სამ დღეში თუ არ გვექნა წყალი, კოლმეურნეობის ნათესები მთლად დაიღუპება.

— ჩემი ფრინველებიც დაიღუპებიან, — დაუმატა ჰასმიკმა.

— ჩვენ კლდეებს ვხვრეტდით, მერე ძია ეგორი მოვიდა, ყველა ნახვრეტი ამონალით ამოავსო და პატრუქს მოუკიდა... ისე აფეთქდა, რომ!... კინაღამ შავი კლდეები ცაში აისროლა! — უთხრა სეთომ.

— ისინი რატომ აფეთქებენ? თქვენ რაღას უყურებდით? — იწყინა კამომ.

— რომ მოგვენდომა, ჩვენ თვითონ გავაკეთებდით ამას, მაგრამ ჩვენ ნებაყოფლობით დავუთმეთ ეგორს, — იცრუა არმენმა, რომ კამო დამშვიდებულიყო.

— ამონალი, კაპსულები, პატრუქი რა იქნა?

— ჩვენ როცა უკან ვბრუნდებოდით, ოსტატმა ეგორმა ისინი გამოქვაბულში დამალა.

— ეგ კარგია, ძალიან კარგია! — თქვა კამომ. — მეცოდინება.

ამხანაგების წასვლის შემდეგ კამოს კარგა ხანს ძილი არ მიეკარა.

გამოქვაბულთან, წყალთან დაკავშირებული ფიქრები მოსვენებას არ აძლევდნენ, თავი უბრუოდა.

საწოლ ოთახში დედა შევიდა.

— რა დაგემართა, კამოჯან? დაიძინე, გენაცვალე, დაიძინე...— იგი მოეხვია შვილს, აკოცა და თმახუქუქა თავზე ხელი გადაუსვა.

კამო თანდათან დამშვიდდა... მერე დედას გადახედა და წყნარად უთხრა:

— წადი, დედი, დაიძინე, მეც ვიძინებ.

— დაიძინე, შენი ჭირიმე, შენი!..

დედამ ერთხელ კიდევ აკოცა, საბანი კარგად დაახურა, გვერდებში ამოუკეცა და ფეხაკრეფით გავიდა ოთახიდან.

სასიხარულო აფეთქება

სოფელს ეძინა.

ერთი ჭაბუკი ცხენით სწრაფად გავიდა სოფლიდან და მიმართულება შავი კლდისაკენ აიღო. მას მუხლებზე ლომი ეღო, უნაგირზე კი შულდაკი ეკიდა. ხშირ-ხშირად უკან იხედებოდა, ეტყობოდა, ფარულად მიდიოდა დანიშნულ ადგილისაკენ.

ჭაბუკი მალე მივიდა მეხდაცემულ მუხასთან, ცხენი იქვე ხეზე მიაბა, აიღო შულდაკი და კლდეზე აცოცდა. მწვერვალს როცა მიაღწია, შეჩერდა და ზევიდან მიდამოს გადახედა.

აღმოსავლეთი თანდათან ნათდებოდა, ვარსკვლავები სათითაოდ ქრებოდა. მხოლოდ ცისკარიღა ბრწყინავდა ცის კაბადონზე.

გილის ტბის მიდამოებში ფრინველები იღვიძებდნენ. გიჟი მთიდან მონაბერი ნიავი ნაზად არხევდა სევანის ზედაპირს, რომელიც დღის სინათლეზე თანდათან ღია ფერს იღებდა.

რა კარგია სიცოცხლე! რა მომაჯადოებელია ბუნება! რა კარგია ცოცხლობდე, ჩვენი მშვენიერი სამყაროს სიკეთით ტკბებოდე!

ჭაბუკი ხარბად იყნოსავდა დილის ჰაერს და გული აღტაცებით ევსებოდა. რა ბედნიერია, რომ ცოცხალია და ქვეყნის სილაღით სარგებლობს!.. მას შემდეგ, რაც სიკვდილს გადაურჩა, სიცოცხლე მისთვის უფრო მშვენიერი და საამური გახდა. ახლა ვერავინ, ვერავინ ვერ დააფასებს სიცოცხლეს ისე, როგორც იგი...

თოკის კიბე თავის ადგილას, კლდის „კბილზე“ მიბმული დახვდა, სწრაფად ჩაეშვა და გამოქვაბულში შევიდა. უსაზღვრო იყო მისი სიხარული, როცა აშკარად გაიგონა წყლის შხუილი.

როცა მეორე გამოქვაბულში შევიდა კამო (მკითხველმა, ცხადია, უკვე იცნო იგი), ნახა, რომ ამ ორ დღეში აქ დიდი მუშაობა იყო ჩატარებული.

მან ფარანი აანთო, კლდეზე ჩამოკიდა, ლომს წამოავლო ხელი და გამალებით შეუდგა კლდის ამოხვრეტას იქ, სადაც წყლის ხმაური გარკვევით ისმოდა.

* * *

სოფელი ახალი გაღვიძებული იყო, როცა ნორჩ ნატურალისტთა ჩვენთვის ნაცნობი ჯგუფი შავ კლდეებს მიუახლოვდა. უცებ „ჯოჯოხეთის კართან“ ძლიერი აფეთქების ხმა გაისმა.

ჭაბუკები ერთ წამს შედგნენ და ერთმანეთს გადახედეს. რა მოხდა?! ვაი თუ ისევ „სათაელის“ ოინებია?! ისინი ვერც კი წარმოიდგენდნენ, რომ გუშინ ლოგინში მწოლიარე, დასუსტებული კამო, ღამით მარტოდმარტო ავიდოდა შავ კლდეებზე და გააგრძელებდა მათ მიერ დაუმთავრებელ სამუშაოს.

— უკან დავბრუნდეთ, — ურჩია შეშინებულმა ჰასმიკმა.

— ბიჭოს, ეს ვისი ცხენია?.. ეს ხომ კამოსია... აქ კამო არის! — მხიარულად წამოიძახა სეთომ და მთისკენ მიმავალი ბილიკისაკენ მოკურცხლა.

— ის ხომ ავად არის, ხელებიც ნატკენი აქვს! — მიუგო ჰასმიკმა.

— ასეთ დიდ საქმეში, ხელების დაშავება ვიღას ახსოვს, —

უპასუხა გრიქორმა,—წავიდეთ! შენი ჭირიმე, კამო, ერთი ეშმაკები დააფრთხე, შენკენ მოვდივართ! — აღტაცებით დაიყვირა გრიქორმა.

აფეთქებამ სოფელი გამოაღვიძა, ყველას გული სიბარულით აევსო, ყველა რაღაც დიდ სიკეთეს ელოდებოდა. მხოლოდ კამოს ოჯახში იყო ჩოჩქოლი. კამოს დედა, როცა ბიჭი ლოგინში ვერა ნახა, ქმარს მივარდა:

— კაცო, რას გაჩერებულხარ? კამო ისევ კლდეებისაკენ გაპარულა!

მჭედელი სამსონი, ეს დინჯი და თავდაჭერილი კაცი, სახლიდან სასწრაფოდ გავარდა და შავი კლდეებისაკენ გაეშურა.

— კამო ისევ იმ ჯოჯოხეთის გამოქვაბულში ასულა! — აწრიპინდა სონა, სახლის ბანზე აირბინა და შავი კლდეებისაკენ მიმავალ სამსონს დაუწყო ცქერა.

მოირბინა არტუშმაც, რომელიც ნაწყენი იყო, რომ ამხანაგები უიმისოდ წასულიყვნენ. არავისთვის ნებართვა არ უთხოვია, ისე დაედევნა ამხანაგებს. მას მიჰყვა რამდენიმე მოსწავლეც.

— ხალხს აკვირვებს! — ბურტყუნებდა გზადაგზა კამოს საქციელით ნაწყენი არტუში. შურის გრძნობა კვლავ იღვიძებდა მის გულში.

სახლიდან გამოვიდა კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბაგრატიც. მალე გამოჩნდა მასწავლებელი არამ აკოფიანიც, რომელსაც, როგორც ყოველთვის, გიმნასტური და ქრომის მაღალყელიანი ჩექმები ეცვა და ძველი სამხედრო ქუდი ეხურა.

— წავიდეთ, არამ, — უთხრა ბაგრატმა. — ვნახოთ რას აკეთებენ ჩვენი გმირები... ჰასმიკიც ხომ უთენია მათთან ერთად წასულა. გაპარულა... ეჰ, სად არის ჩვენი ახალგაზრდობა! — ღიმილით ამბობდა ბაგრატი,—ვუყურებ ამ ახალგაზრდების საქმიანობას, ვხედავ, რომ მთელი მისი ყურადღება, მისი ფიქრები, გული მიმართულია ხალხისაკენ, მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, რომ კეთილი, მშობლიური საბჭოთა ქვეყნისათვის საჭირო საქმე გააკეთოს.

როცა არტუში და მისი ამხანაგები დაინახა, რომლებიც შავი კლდეებისაკენ მიიჩქაროდნენ, ბაგრატმა გააჩერა.

— ეი, ბიჭებო, ცარიელ-ტარიელი რომ მიდიხართ, ქორწილში ხომ არ მიიჩქარით? ანარქიაა! აბა უკან დაბრუნდით, აიღეთ ლობი, წერაქვი... ოჰო, პაპა ასატურიც მოჩანჩალებს! კარგი კაცია, — მიუთითა ბაგრატმა მოხუცზე მასწავლებელს.

მასწავლებელი მხოლოდ იღიმებოდა კარგად იცოდა რაც იყო ასატური.

სონა კი გაჰკიოდა:

— სეთო, სეთო! ის ბემურაზი, ისევ იმ დაწყეველილ ადგილას წავიდა!

— ქალო, რა გაჭყივლებს? რა ხმა გაქვს ეგ ოხერი, მთელ სოფელს მოედო! მოითმინე, ენა გააჩერე. ყველანი წავალთ, ვნახავთ რა იქნება გასაკეთებელი, — გაბრაზებული ტონით უთხრა მოხუცმა ასატურმა.

პაპა ასატურიც თავისი ერთგული ჩამბარით შავი კლდეებისაკენ წავიდა:

მალე კლდის თავზე სოფლის ბევრმა ახალგაზრდამ მოიყარა თავი. რომლებიც უფრო გულადები იყვნენ, თოკის კიბით დაეშვნენ და „ჯოჯოხეთის კარის“ შავ ხახაში მიიმალნენ.

დაბლა, ხეობაში თავი მოეყარათ კოლმეურნეებს და ცნობისმოყვარეობით იცქირებოდნენ ზევით.

დაბლა, მუხასთან ასატური ჰასმიკს შეხვდა: ამჯერად ის ბიჭებს გამოქვაბულში არ წაეყვანათ.

— პაპა, ჩვენ არ ავიდეთ გამოქვაბულში? — მოუთმენლად შეეკითხა ჰასმიკი.

— როგორ არა, წავიდეთ! აბა უჩვენოდ შეიძლება?! — გაიკვირა ასატურმა.

მათ ჯერ მწვერვალისათვის არ მიეღწიათ, როცა კვლავ მოესმათ სონას ჭყივილი:

— ბიჭო, სეთო! ჩემო ბიჭო, სად ასულხარ? ჩამოდი ჩქარა!

კლდის ნაპრალზე გამოჩნდა სეთო და დედას გადმოსძახა:

— მოიცა, დედი, ცოტაღა დაგვრჩა... აგერ ერთხელ კიდევ ავაფეთქებთ და ყველაფერი ნათელი გახდება — ან წყალი იქნება ამ კლდის ქვეშ ან ჯოჯოხეთი... სულ ცოტაღა დაგვრჩა, მოითმინე.

ამ დროს გამოქვაბულიდან გარეთ გამოვარდა გრიქორი და ხალხს ხმამაღლა გადმოსძახა:

— აბა, გაიქეცით ხალხო, გაიქეცით... — მალე აფეთქდება, კლდე გადმოინგრევა და დედამიწა რქიანი ეშმაკებით აივსება... — თვითონ კი ხითხითით და კოჭლობით გაიქცა, მიიმალა.



ამ დროს კლდის სიღრმიდან საშინელი აფეთქების ხმა მოისმა, მთამ ზანზარი დაიწყო, უცბად „ჯოჯოხეთის კარის“ შავი ხახა გაიხსნა და მაღლიდან აქაფებული წყალი შხუილით ხეობისაკენ წამოვიდა.

ხალხმა ყვირილი მორთო:

— ვაშა, ვაშა, ვაშა... გაუმარჯოს წყალს!..

მზის უხვი სხივებისაკენ გადმოვარდნილი წყალი შვიდფრად ელავდა და ბრწყინავდა...

ჰაბუკები კლდეების კიდურებზე იდგნენ და აღტაცებული დასცქეროდნენ ჩანჩქერს. მხოლოდ ცხენი ვერ ისვენებდა, რადგან წყლის შხეფები ესხმოდა.

ჩამბარიც არ ისვენებდა, ჩანჩქერს უყეფდა, ძნელი გამოსაცნობი იყო სიხარულით იყო ეს გამოწვეული, თუ წყინდა, რომ გუშინწინ აქ მზისგან გარუჯულ, გახურებულ ქვებზე და ხრეშზე, რომ დარბოდა, და ახლა კი ამ ადგილებში წყალი მიჩუხჩუხებდა და თავისუფლად ვეღარ ირბენდა.

„ჯოჯოხეთის კარის“ პირად, საიდანაც აქაფებული წყალი გამოშხუოდა, კლდის ბექობზე გადმოდგარიყო შუბლშეხვეული კამო და ჰაერში მხიარულად იქნევდა ლომს...

დაბლა კი, ხეობაში კოლმეურნეები სიხარულით ერთმანეთს ეხვეოდნენ, ჰკოცნიდნენ, ულოცავდნენ, ქუდებს მაღლა ისროდნენ, ზოგი მათგანი ტანისამოსით პირდაპირ ჩანჩქერის ქვეშა ძვრებოდა, ქალები იჩოქებოდნენ, წყალს ტუჩებით ეხებოდნენ, თითქოს სიხარულის ცრემლებით რწყავდნენ სარდურის მდინარის კალაპოტში მიმავალ მდინარეს.

ყველაზე ადრე გამოერკვა კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბაგრატი, რომელმაც ბოხი ხმით მიმართა კოლმეურნეებს:

— ხალხო, რას ხტიხართ, წყალს მიმართულება მიეცით, არხში გაუშვით.

ამ მოწოდების გაგონებაზე ყველა აღფრთოვანებით შეუდგა მუშაობას.

მოხუცი ასატური ერთ დიდ ლოდზე შედგა და დაიწყო:

— ხალხო, მაშასადამე, ჯოჯოხეთი არც ყოფილა და არც არის... ეს ბავშვები ჩვენ მამა-პაპებზე უფრო ჭკვიანები გამოდგნენ... აბა ერთი ადექი ნათლია მუქელ და შეხედე თუ შენი ჯოჯოხეთიდან ეს რა მშვენიერი წყალი მოჩუხჩუხებს!..

მაგრამ მას არავინ უსმენდა. ხალხი წყალს მიჰყვებოდა მინდვრებისაკენ.

სადაც კი წყალი მოხვდა, ყველაფერს სიცოცხლის ელფერი დაეტყო.

წყალს აუარებელი ქუდები მოჰქონდა. როცა ჰასმიკმა დაინახა, რომ სოფელში მიღწეულმა წყალმა მისი ფერმის აუზი აავსო, გაიქცა, ლობის კარები გააღო და ფრინველები გამორეკა: ყიყინით

და ფრთების ქნევით შეეგებნენ ბატები, იხვები და წყლის ქათმები მოზღვავებულ წყალს.

... საღამოს სოფელში სახელდახელო მიტინგი გაიმართა, რომელზეც სიტყვით გამოვიდა კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბაგრატი. მან თქვა:

— ჩვენი ქვეყანა, რომელსაც ასეთი შვილები ჰყავს, მუდამ ბედნიერი და გამარჯვებული იქნება.

კოლმეურნეებმა ბიჭები აიტაცეს და ტრიბუნაზე თავმჯდომარესთან მიიყვანეს.

თავმჯდომარის შემდეგ სიტყვით გამოვიდა ჩვენი ნორჩი ნატურალისტების ხელმძღვანელი და მათი გამარჯვებების სულისჩამდგმელი მასწავლებელი არამ აკოფიანი. მან განაცხადა:

— საყვარელო ამხანაგებო! ჩვენი სოფლის გმირმა შვილებმა გაათავისუფლეს საუკუნეობით დატყვევებული წყალი. დღეიდან ჩვენთვის ახალი ხანა იწყება. ჩვენი მინდორ-ველები ამ წყლისა და ჩვენი მარჯვენის წყალობით აყვავდება. ამასთან გაბათილდა ჩვენი წინაპრების ცრურწმენა „ჯოჯოხეთის კარის“ შესახებ!

მასწავლებლის სიტყვამ აღტაცება გამოიწვია ღყავახელთა გულში.

არამ აკოფიანი მღელვარებას ძლივს იკავებდა. მან განაგრძო:

— ჩვენი ქვეყანა უძლეველია იმით, რომ ჰყავს ასეთი გმირი ახალგაზრდობა, რომელიც გაბედულად შესცქერის მომავალს და ბრძოლით იკაფავს გზას ახალი, ბედნიერი მომავლისაკენ!

ორატორის უკანასკნელი სიტყვები დაფარა ზურნის და დოლის ხმამ. სოფელ ლჭავანში დაიწყო ნამდვილი სახალხო დღესასწაული.

რაზომ დადუმდა „ურჩხული"

აგვისტოში, როცა სევანის ნაპირიდან სოფელ ლჭავანის მინდვრებს გაჰყურებ, ზღვასავით ოქროსფრად ბიბინებს მთელი მიდამო.

კომბაინების გუგუნი და კოლმეურნეთა სიმღერა აყრუებს არემარეს.

ყანებში შეჭრილი ველის ხომალდები — კომბაინები სჭრიან და ანიავებენ ოქროსფერ თავთავებს... როცა ბრიგადირი ჰოვსეფი ხელს ასწევს და დაიძახებს „ჰოპ!" ეს იმას ნიშნავს, რომ კომბაინის „ამბარი" აივსო და იგი უნდა დაიცალოს. კომბაინს მიადგება ავტომანქანა, მას ოქროსფერი ხორბლით დატვირთავენ და კოლმეურნეობის საწყობებისაკენ გზავნიან.

ერთხელაც, როცა კომბაინიდან ავტომანქანებში გადიტანეს ხორბლის ზვავი და კოლმეურნეობის საწყობისაკენ გააქანეს, სეთომ მიმართა ბრიგადირს:

— ნება მოგვეცით მე და არტუში სოფელში წავიდეთ, კომკავშირის ორგანიზაციის მდივანი გვიბარებს.

— რომელი მდივანი? — მოიღუშა ჰოვსეფი.

— ჩვენი კომკავშირის ორგანიზაციის მდივანი კამო.

— კამო?..—ბრიგადირს სახე გაუბრწყინდა,—წადით, როცა კამო გიბარებთ, ალბათ, საჭირო საქმე ექნება.

კამოს სახლის აივანზე შეკრებილიყვნენ სოფელ ლჭავანის ნორჩი ნატურალისტები, როცა სეთო და არტუში მივიდნენ, კამომ უთხრა:

— მაშ ასე, ყველანი აქ არიან, ჩვენ მხოლოდ თქვენ გიცდით. დღეს ჩვენ მეტად მნიშვნელოვანი საკითხი უნდა გამოვარკვიოთ: რატომ დადუმდა გილის „ურჩხული"? — განაცხადა კამომ.

— მართლაც, აღარ გრიალებს, — გამოეხმაურა არტუში.

— ჩვენი შიშით განა კიდევ შეუძლია კრინტი დაძრას? — დაიტრაბახა გრიქორმა.

— ჩვენ ახლა ხუმრობისათვის არ გვცალიან, — სერიოზული ტონით შეაჩერა კამომ. — ჩვენ, ლჭავანის ნორჩმა ნატურალისტებმა, დღეს გილის ტბის საიდუმლოება უნდა გავხსნათ და ბოლო მოვუღოთ ყველა იმ „სასწაულს“, რაც გავრცელებულია ჩვენს ხალხში. ჩვენ ორ რაზმად უნდა გავიყოთ, ერთი წავა შავი კლდეებისაკენ, მეორე გილის ტბაზე, — ოფიციალური ტონით განაცხადა კამომ.

— უფრო კარგი, თუ აღარ გრიალებს, თავს რაღად ვიწუხებთ, — გაიკვირვა სეთომ.

— როგორ თუ „უფრო კარგი“? — ადგილიდან შენიშნა გრიქორმა. — ხალხი დაბადების დღიდან მის ტკბილ ხმას უსმენდა, ის კი ერთბაშად დადუმდა... უცბად ჩაწყდა, როგორ იქნება?.. ჩვეულება დაირღვა, ხალხი თავს ცუდად გრძნობს...

— უნდა გამოვარკვიოთ თუ არა გრიალის მიზეზი? — იკითხა. არმენმა.

— ბიჭები ახმაურდნენ.

— როგორ უნდა გამოვარკვიოთ?

— ეგ ჩვენი სწავლულის საიდუმლოებაა, მას იგი ჩვენ არ გვანდობს, — უთხრა კამომ.

— კიდევ საიდუმლოება?.. არა, სანამ არ გავიგებ, თუ როგორ გინდა ტბის საიდუმლოების გამოცნობა, მე არსად არ წამოვალ, ფეხსაც არ გადმოვდგამ, — ბავშვური ჟინიანობით განაცხადა ჰასმიკმა.— სულ რაღაც საიდუმლოება და გამოცანები გაკერიათ პირზე... ეს არმენიც სულ დაძაბულ მდგომარეობაში გვამყოფებს.

არმენს გაეღიმა.

— რატომ არის ჩემი საიდუმლოება? განა მასწავლებელმა არამ აკოფიანმა არ დაგვაყენა ამ ამოცანის ამოხსნის სწორ გზაზე? — არმენი, ჩვეულებისამებრ, გაწითლდა.

— ნუთუ გასაგები არ არის. აბა ერთი მითხარით, წყლის ტყვეობიდან განთავისუფლების შემდეგ ვის გსმენიათ კიდეკ „ურჩხულის“ ხმა?

— არავის...

— მე ბევრს შევეკითხე, არავის აღარ გაუგონია. განა გასაგები არ არის, რომ არსებობს რაღაც კავშირი შავ კლდეებში წინათ დამწყვდეულ წყალსა და გილის ტბის „ურჩხულს“ შორის?

— გავიგე, გავიგე... რა სულელი ვარ! რა სულელი ვარ! წავიდეთ, ჩქარა წავიდეთ.

— გაიგე, მაგრამ ისე არა, როგორც საჭიროა. კავშირი კი არის მათ შორის, მაგრამ თუ რატომ გრიალებდა ის „ურჩხული“, არავინ თქვენთაგანმა არ იცის. აი ის, რაც უნდა გავიგოთ, — უთხრა არმენმა და წამოდგა.

კამო მიუბრუნდა სეთოს და უთხრა:

— ჩვენს სწავლულს არმენს, ორი ტომარა წმინდა ბზე სჭირდება. ახლავე წადი კოლმეურნეობის კალოზე და რაც შეიძლება წმინდა ბზით აავსე ორი ტომარა და საჩქაროდ მოიტანე. გრიქორ, შენ კი წადი ბრიგადირ ჰოვსეფთან და სახედარი თხოვე, აჰკიდე ბზით სავსე ტომრები, ლომები, წერაქვები, ბარები და არმენთან ერთად შავ კლდეებზე წაიღეთ. ყველანი არმენის განკარგულებებს უსიტყვოდ შეასრულებთ. მე, პაპა ასატური და ჰასმიკი გილის ტბაზე წავალთ. ჰო, არტუშიც წაიყვანეთ, ყოჩაღი, გაბედული ბიჭია, გამოგადგებათ.

ასე გაანაწილა კამომ ყველას მოვალეობა. მალე ორივე რაზმი მზად იყო სალაშქროდ.

— ერთ რამეზეც უნდა შევთანხმდეთ, — უთხრა არმენმა, — კამო, ტბის ნაპირას შენ რომელ საათზე იქნები?

— შენ როგორ ფიქრობ, რომელ საათზე უნდა ვიყო?

— რომელზე.. მოიცა, ვიანგარიშებ, ჩვენ შავ კლდეებზე ავალთ პირველ საათზე, ორ საათზე გამოქვაბულში ვიქნებით. იქ ნახევარ საათს გასტანს ჩვენი მუშაობა... შავი კლდეებიდან გილის ტბამდე რამდენი კილომეტრი იქნება?

— დაახლოებით ხუთი.

— ხუთი?.. თუ მხედველობაში მივიღებთ მთის კალთის დაქანებას, ნახევარი საათი მოუნდება წყალს... ზუსტად სამ საათზე შენი ფოტოაპარატით იმ ადგილზე უნდა იყო, სადაც ჩვენ მაშინ „ურჩხულის“ სურათი გადავიღეთ. იქვე დადექი, აპარატი მოიმარჯვე, არ გამოგრჩეს მომენტი...

ისინი ერთმანეთს დაშორდნენ. ერთი ჯგუფი შავი კლდეებისაკენ წავიდა, მეორე კი გილისაკენ.

— არა, პაპა, შენ ურჩხულთან არ წაგიყვან,—უთხრა კამომ,— შენ და ჰასმიკი იმ „მოძრავ კუნძულზე“ დარჩებით, მე მარტო წავალ.

ისინი მსოფლიოში ყველაზე მოკლე მდინარეს მიადგნენ და შეჩერდნენ.

— კამოჯან, მდინარე .რაღაც დაპატარავებული მეჩვენება, — უთხრა პაპამ.

ბიჭმა გაიღიმა.

— რასაკვირველია, დაპატარავებული უნდა იყოს, ახლა ხომ აგვისტოა.

— არა, ჩემო კარგო, ეს მდინარე არასოდეს არ პატარავდებოდა, რაგინდ დიდი გვალვები ყოფილიყო...

— აბა რა გითხრა, პაპა, ნუთუ შენთვის ნათელი არ არის?.. ჩვენ სათავე გადავუჭერით გილის ტბის მთავარ შენაკადს და წყალი სხვა მიმართულებით გადავუშვით, რასაკვირველია, მდინარე დაიკლებდა.

— როგორ?—გაიკვირვა მოხუცმა.

— რატომ გიკვირს. ჩვენ მთის მწვერვალის ტბაში რომ ნავთი ჩავასხით, ხომ გილის ტბამდე მიაღწია?

— მერე?

— ახლა ნავთი რომ ჩავასხათ, აქ კი არ მოვა, არამედ კოლმეურნეობის მინდვრებში.

ისინი „მოძრავ კუნძულზე“ მივიდნენ. ჰასმიკი და პაპა ნავიდან გადმოვიდნენ, კამომ კი გზა განაგრძო, მას ჩამბარიც გაჰყვა.

მეორე ჯგუფი შავი კლდეების მწვერვალზე ავიდა და თოკის კიბით გამოქვაბულში ჩაეშვა.

ბიჭები მივიდნენ წყლის სათავესთან. აქ გიქი მთის მწვერვალიდან მოზვავებული მდინარე მედგრად ეხეთქებოდა კლდეებს, ტრიალებდა, ქაფდებოდა და გამოქვაბულის მეორე მხრიდან ღრიალ-გრიალით ძირს, ხეობაში ეშვებოდა.

ბზით დატენილი ტომრები გამოქვაბულის ერთ კუთხეში მიეწყოთ, თვითონაც ზედ დამსხდარიყვნენ და ფარნის მკრთალ სინათლეზე ათვალიერებდნენ წყლის გაცოფებულ ტრიალს.

— ახლა რა ვიღონოთ?—შეეკითხა სეთო.

არმენი წამოდგა, ფარანი წყალს მიანათა და თქვა:

— ამ დაცემენტებულ კედელს ხომ ხედავთ? აქ გასასვლელი იყო, წყლის ძველი კალაპოტი, საიდანაც გადიოდა წყალი და კლდის ნაპრალებით ჩანჩქერად ძირს ეშვებოდა. როცა უკანასკნელად კამომ ააფეთქა, წყალი გადმოვარდა, ის გასავლელი კი დაცარიელდა. კოლმეურნეობის ოსტატებმა ცემენტით ამოლესეს, რომ წყალი იქით აღარ წასულიყო. ახლა ჩვენი მიზანია, ეს წყალი რამდენიმე წუთით ისევ იმ კალაპოტში გადავუშვათ.

— არხი უნდა ამოვაშროთ? მერე თავმჯდომარე ბაგრატი რას გვეტყვის?—შეეკითხა სეთო.

— ეგ საკითხი ამხანაგ ბაგრატთან შეთანხმებულია. კოლმეურნეობას წყალი მაინც და მაინც ისე აღარ ესაჭიროება. ამ გასასვლელს ოსტატები ხვალვე ისევ დაკეტავენ და ამოლესავენ.

— ეგ გასასვლელი წყლის დონეზე მაღალია, რომ კიდევაც გავხსნათ, წყალი არ წავა,—შენიშნა არტუშმა.

— მაგის საშუალებაც არსებობს. ქვებით ამოვავსებთ, გზას გადავუღობავთ, წყალი შეგუბდება და ძველი კალაპოტით გილის ტბისაკენ იზამს პირს. კამო აპარატით დაუხვდება და სურათსაც გადაიღებს.

— წყალი რომ კამოსკენ არ წავიდეს?—შეეკითხა სეთო.

— შესაძლებელია... ამიტომ ის აქედან გაგზავნილ ნიშნებს დაუცდის... ვსინჯოთ, აბა, გრიქორ, აიღე ლომი და დავიწყოთ. სეთო, არტუშ, ჩვენც ქვები მოვიტანოთ წყლის გადასაღობად.

გრიქორმა ლომის დარტყმით ცემენტი მოანგრია და გასასვლელი გახსნა.

— მაშ მე რომ ამ კალაპოტში ჩავარდე, გილის ტბაში გავალ?—ვერ მოითმინა და კვლავ იხუმრა გრიქორმა.

— სცადე, ვნახოთ რა გამოვა!

— არა, ჩემთვის უხერხულია, უკეთესი იქნება ჩემი ქუდი გავუგზავნო კამოს.—და გრიქორმა თავისი ქუდი წყალში ჩააგდო.

— საწყალს როგორ შეეშინდება, ეგონება დავიხრჩე და მარტო ჩემი ქუდიღა გადარჩა.

— სეთო, მოიტა ტომრები,—უთხრა არმენმა.

ბიჭებმა ბზე ჩაყარეს გრიქორის მიერ გახსნილ გასასვლელში. წყალი კი ქვებით შეაგუბეს. ორმო თვალის დახამხამებაზე აივსო. წყალი ძველ კალაპოტში გადავარდა და საშინელი შხრიალ-გრიალით უფსკრულისაკენ გაექანა. გამოქვაბულმა ზანზარი დაიწყო, ქვევიდან საზარელი ხმები მოისმა. ბიჭებს თმები ყალყზე დაუდგათ.

— რით არ ჰგავს ჯოჯოხეთს?.. აბა ჩვენ მიამიტ მამა-პაპას როგორ დაარწმუნებდი, რომ ეს ნამდვილი ჯოჯოხეთი არ იყო,—თქვა არმენმა.

დაახლოებით თხუთმეტ წუთს წყალი ძველი კალაპოტით მიედინებოდა, მერე ბიჭებმა გადამღობი ქვები მიყარ-მოყარეს, წყალმა

ისევ გამოქვაბულისაკენ იბრუნა პირი, საიდანაც ძირს, ხეობაში დაეშვა.

— ახლა წავიდეთ, ჩვენი ამოცანა შესრულებულია!—უთხრა არმენმა ბიჭებს.

მალე ისინი ბნელი გამოქვაბულიდან გამოვიდნენ. აგვისტოს ბრწყინვალე მზე უხვად აფრქვევდა თავის სხივებს.

„ურჩხულის“ უკანასკნელი გრიალ-გრუხუნი

კამო ლერწმიანში იდგა და გილის სილამაზით ტკბებოდა. ტბის ნაპირები და ახლო-მახლო კუნძულები მწვანე და ყვითელ სამოსელში იყო გახვეული. წყალზე ფრინველები თითქმის არ ჩანდნენ, ყველა ლერწმიანში მიმალულიყო.

გვალვის ბრალი იყო თუ შავი კლდეებიდან წყლის დინების შეწყვეტისა, ტბა ისე დაპატარავებულიყო, რომ იმ ადგილებში, სადაც კამო ერთხელ კინაღამ დაიხრჩო, ახლა თავისუფლად დადიოდა. მას თან დასდევდა ერთგული ჩამბარი.

კამომ საათს დახედა, სამს ცოტა აკლდა. ფუტლარიდან ფოტოაპარატი ამოიღო და სურათის გადასაღებად მოემზადა. ძალზე ღელავდა, მოთმინება არა ყოფნიდა...

მაგრამ ტბაზე „ურჩხულის“ არავითარი ნიშანი არა ჩანდა. მაშინ, გაზაფხულზე ტბა ბობოქრობდა, წყალი ნაპირებს ეხეთქებოდა ახლა კი სრული სიწყნარე სუფევდა—წყალი უზარმაზარ სარკესავით იყო გადაშლილი. შიგ ხანდახან ცაში აფრენილი ფრინველების ანარეკლი თუ გამოჩნდებოდა...

უცებ, ტბის შუა გულში წყლის მოზრდილი ბუშტები გამოჩნდა და გაისმა საზარელი გრიალი:

ბუუ... ბუუ... ბუუ...

ტბა შეტორტმანდა, ტალღები ნაპირებს მიაწყდნენ, ჩამბარი გაბრაზდა, შეჰყეფა, წყალში გადახტომას ლამობდა. კამოს ეს ყველაფერი არაფრად მიაჩნდა, სიამოვნებით იღიმებოდა. თითქოს ამბობდა:—„კმარა, ვეღარც გაგვაკვირვებ და ვეღარც შეგვაშინებ, ეიცით რაცა ხარ!“

წყლიდან ამოტყორცნილმა „ურჩხულმა“ თან ამოისროლა და ირგვლივ მიმოფანტა აუარებელი ბზე. კამო მიხვდა, საიდან მოდიო-

და წყალი. აი რით აიხსნება ეს საზარელი გრიალი! იგი კმაყოფილებით იცინოდა. ბზესთან ერთად რაღაც მოშავო საგანს მოჰკრა თვალი. პირველად ზღარბი ეგონა, გრძელი ლერწმის ტოტით ნაპირზე გამოაგდო და სახტად დარჩა:

— ეს ხომ გრიქორის ქუდია... ვაი თუ საწყალი ბიჭი წყლის ნაკადმა გაიტაცა...

ჩამბარი გამალებით ყნოსავდა ქუდს, ალბად იცნო კიდეც. ქუდმა ააღელვა კამო, ჩაფიქრებული ნავში ჩაჯდა და გაცურა „მოძრავი კუნძულისაკენ“, სადაც პაპა ასატური და ჰასმიკი ელოდებოდნენ.

— რა ნახე?.. რა იყო?.. გრუხუნ-გრიალი ჩვენც გავიგონეთ. შენ დაგიღრიალა?—სეტყვასავით მიაყარა კითხვები ჰასმიკმა.

— გრიალი მოისმა თუ არა, წყლის სვეტიც ამოვარდა,—მიუგო კამომ,—როგორც კი წყალი ამოვარდა, ტბის ზედაპირი ბზით აივსო, იმ ბზით, ჩვენმა ბიჭებმა რომ შავი კლდეებიდან გამოგვიგზავნეს.

— მაშ ამოვარდნილი სვეტი წყალია? ის წყალი, რომელიც შავ კლდეებში მიედინება?—განცვიფრდა პაპა.

— დიახ, შავი კლდეებიდან, უფრო სწორად გიჟი მთიდან, იმ მთის ტბიდან.

— მაშ „ურჩხული“ არ ყოფილა?..

— არა, რის „ურჩხული“?..

— მაშ ვინ ღრიალებს?

— გრიალს წყალთან აქვს კავშირი... მაგრამ, სანამ ჩემ აზრს გეტყოდეთ, საჭიროა ამხანაგ აკოფიანის და არმენის აზრი მოვისმინოთ.

— მართალია, ისინი აგვიხსნიან. მაგრამ წყაროდან მოჩუხჩუხე წყალი რატომ არ გრუხუნებს?—გულუბრყვილოდ შეეკითხა ჰასმიკი.

მოხუცი ფიქრებმა მოიცვა. მისი რწმენა მთლად შერყეულიყო, თუმცა ახალიც ძნელად იკიდებდა ფეხს მის დახავსებული აზრებითა და რწმენით მოცულ გონებაში.

— იცით რა,—უცებ წამოიძახა კამომ.—ტბაში გრიქორის ქუდი ვიპოვე... ეს კარგი ნიშანი არ არის...—მან ნავიდან დასველებული ქუდი ამოიღო და ჰასმიკს უჩვენა.—წყალმა ბზესთან ერთად გამოაგდო ტბის ზედაპირზე... ვშიშობ, გრიქორს რაიმე არ შემთხვეოდეს.

— მიწისქვეშა ნაკადში ხომ არ ჩავარდა გრიქორი?..—შეშინდა ჰასმიკი,—წავიდეთ, ჩქარა, წავიდეთ, რაღას ვუცდით?..

ისინი სწრაფად ჩასხდნენ ნავში და გასწიეს. ნაპირზე მისვლისთანავე კამო და ჰასმიკი ნავიდან გადმოხტნენ და სოფლისაკენ გაიქცნენ. მათ ფეხდაფეხ მიჰყვებოდა ჩამბარი. ჩამორჩა მხოლოდ პაპა ასატური.

სოფლის ბოლოში, ყანებთან მათ შეხვდნენ სეთო, არმენი და არტუში. დაღვრემილები იყვნენ.

— გრიქორი სადღაა?—შეშინებული შეეკითხა ჰასმიკი.

— გილში არ გამოვიდა?—შეეკითხა სეთო,—ეს გრიქორის ქუდი არ არის?

ჰასმიკს თვალები ცრემლით აევსო.

— კარგი, გეყოფა, გოგოს ნუ ატირებ,—უთხრა სეთომ და უკან მიიხედა. ძნების უკანა მხრიდან გრიქორი გამოვარდა:

— ნუ სტირი, გენაცვალე, აქა ვარ!..

ჰასმიკი ნამტირალევი თვალებით იღიმებოდა და გრიქორს თმებს უწეწდა.

— კამო, ბზე ამოტივტივდა არა ტბაზე?.. ჩვენ მოგვესმა გრიალი.

— გრიალი მოგვესმა წყლის გაშვებიდან სწორედ ოცდათვრამეტი წუთის შემდეგ,—თქვა არმენმა.—ჩვენ ამ დროს უკვე სოფელს ვუახლოვდებით.

— „ურჩხულის“ ხმაზე დედაშენმა, ალბათ ისევ ღრიალი მორთო არა?—სიცილით შეეკითხა კამო სეთოს.

— როგორ არა... მაშინვე სახლის სახურავზე ავიდა. ხელებს აქეთ-იქით იქნევდა, მუხლებზე ირტყამდა, შველას თხოულობდა,—სეთოს ნაცვლად უპასუხა გრიქორმა.

— თქვენ რაღას აკეთებდით?

— ჩვენ, რასაკვირველია, ვიცინოდით. კოლმეურნეებს ვუამბეთ, რომ წყალი ტბაში ჩავუშვით და გრუხუნიც იმის გამო იყო,—ჩაერია არტუში.

— აბა, ჩვენო სწავლულო, ახლა აგვიხსენი,—მიმართა კამომ არმენს,—რა იწვევდა იმ გრიალ-გრუხუნს? რატომ არის, რომ წყაროებით მოჩუხჩუხე წყალი არ გრიალებს, „ბუყ-ბუყს“ არ გაიძახის?

ბიჭები არმენს შემოეხვივნენ და პასუხს ელოდებოდნენ.

— წყალი, რომელიც თქვენ ნახეთ ჩვეულებრივი წყარო კი არ არის,—სერიოზული, დამაჯერებელი ტონით დაიწყო არმენმა.—ის ნამდვილი მდინარეა, რომელიც ძირს ეშვება დიდი სიმაღლიდან, და,

მაშასადამე, დიდი სისწრაფითაც. მოხვდება რა შავი კლდეების გამოქვაბულის ვიწრო ხვრელში, წყლის ნაკადს თან მოაქვს ჰაერის მასა და გილის ტბაში ჩააქვს. იქ, ტბაში წყლის ნაკადი საშინელი ძალით ამოსტყორცნის ზევით ამ ჰაერს. ამიტომ არის, რომ სვეტად ამოვარდება ხოლმე წყალი. ჰაერი სტყორცნის ზევით წყალს, ის არის, გიგანტურ ბუშტებს რომ წარმოქმნის. ბუშტები სკდება და გაისმის საზარელი „ბუყ-ბუყი“.

— რა უბრალო ამბავი ყოფილა, ბიჭებო!—წამოიძახა ჰასმიკმა, — ძლივს არ მივხვდი!

— პაპა, შენ რაღას იტყვი?—ჰკითხა მოხუცს კამომ.

— რა უნდა გითხრათ? თქვენ მუდამ მართალი ხართ... ჩემი წინააღმდეგობა კაპიკადაც არ ღირს,—დარცხვენით უპასუხა ასატურმა.—ვატყობ მხოლოდ, რომ არავითარი ვეშაპი ან თეთრი კამეჩი არ არსებობს...

— ასეა, დიახ! პაპა, შენ ტყუილა გჯერა ნათლია მუქელის ნაამბობი,—გაიცინა კამომ.—აბა კენჭს ვუყრი, ვინ არის არმენის ახსნა-განმარტების მომხრე? თითი ასწიეთ.

ყველამ თითი ასწია, მოხუცმა ასატურმაც კი.

— ამრიგად, შავი კლდეებისა და გილის ტბის საიდუმლოება გახსნილია!—ოფიციალურად გამოაცხადა კამომ.

— „ურჩხულმა“ დღეს უკანასკნელად დაიღრიალა,—თქვა არმენმა.

და მართლაც, ამ დღიდან დაწყებული „ურჩხულს“, რომელიც საუკუნეების მანძილზე შიშის ზარს სცემდა სოფელ ლჭავანს, არასდროს აღარ დაუღრიალია.

შეხვედრა ჩვენი მოთხრობის გმირებთან

ყოველ გაზაფხულზე, როცა ფრინველთა გუნდები სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მიფრინავენ, რამდენიმე კვირით ჩერდებიან გილის ტბის საკვებით მდიდარ ჭაობებში. ისინი მხოლოდ ღამღამობით მიფრინავენ. როცა გეღამის მთებს გადასერავენ და სევანის მიდამოებში მოხვდებიან, ფრინველთა გამოცდილი წინამძღოლები ბაყაყების ყიყინზე, ადვილად იცნობენ ხოლმე ფრინველთა გუნდების დაშვების ადგილს.

სევანის მიდამოებში ფრინველთა გამოჩენის დღეებში მე მუდამ მივდივარ სანადიროდ იმ ჩემთვის ნაცნობ ადგილებში.

ამ გაზაფხულსაც ვესტუმრე ამ ადგილებს, მაგრამ დიდი ცვლილება ვიხილე: სევანსა და გილს შორის მდებარე ვიწრო მინდორი ექსკავატორებს მთლად გადაეთხარათ და მდინარე გილი სწრაფად მიექანებოდა სევანისაკენ. ტბა მთლად დაპატარავებულიყო და ირგვლივ მდებარე მოზრდილი ჭაობებიც გამქრალიყო. მათ ადგილზე სათიბები იყო, წინანდელი სათიბების ადგილას კი თესვა გაეჩაღებინათ. გარდა ამისა, აქ ტორფის დიდი მარაგი აღმოჩენილა. უკვე მუშაობდნენ ტორფსაჭრელები და ავტომანქანები ტორფს ეზიდებოდნენ სევანის გარშემო მდებარე კოლმეურნეობებისათვის.

ნადირობის შემდეგ საძოვრებს მივუახლოვდი, სადაც ერთი ახალგაზრდა ბიჭი შემომხვდა.

— აქ რას აკეთებ, ბიჭო?—შევეკითხე მისალმების შემდეგ.

— მე?.. მე მარტო არ ვარ, ჩამბართან ერთად სოფელ ლქავანის კოლმეურნეობის ხბორებს ვმწყევსავ,—აუჩქარებლად მიპასუხა და თვალი გადაავლო ხბორებს...

— შენ და ჩამბარმა ნადირობა თუ იცით?

— ჩვენ?.. როგორ არა! ჩვენ ძველი მონადირის ასატურის კადრი ვართ! რაც შეეხება ჩამბარს, მე მასთან ხელშეკრულება მაქვს დადებული, თუ კურდღელს დაიჭერს ხორცი ჩემია, ნაწლავები და ძვლები კი მისი, —გაიხუმრა ბიჭმა.

— მონადირე ასატური?.. რაღაც გამიგია, ეს ის ხომ არ არის, დიდი განძი რომ იპოვა?

— ის არის, მაშ... ტომრიდან ბრილიანტები და ოქრო რომ გადმოჰყარა, ადგილზევე გავშეშდი, თვალები ამებნა.

გამეცინა. ჩანდა ბიჭი თუ არ იოხუნჯებდა, ისე სიტყვას არ დაძრავდა.

— სად შეიძლება თქვენი პაპა ასატურის ნახვა? ალბათ ნადირობს არა?

— ის ჩიტებზე სანადიროდ დროს არ ჰკარგავს,—მან დაცინვით მიმითითა მოკლულ ფრინველებზე, რომლებიც გვერდზე მქონდა ჩამოკიდებული. — ახლა გილის ნაპირზე უშველებელ მსუქან კალმახებს იჭერს.

მდინარეს მივუახლოვდი.

დაბალი ტანის გრძელწვერა მოხუცი მოუსვენრად დარბოდა და ყვიროდა:

— ბიჭო, კამო, რა დროს გაკვეთილების სწავლაა, თევზი წავიდა, მოდი აქ ჩქარა, გზა გადავუღობოთ.

მწვანე მდელოზე წიგნებით ხელში წამოგორებული ორი ჭაბუკი მყისვე ზეზე წამოხტა. მათ სწრაფად ტანთ გაიხადეს, პაპას ბადის ერთი წვერი გამოართვეს და მდინარის მეორე ნაპირისაკენ გაცურეს. იქ ბადის წვერი პალოს გამოაბეს.

— ახლა კი თევზი ჩვენ ხელშია, — დამშვიდდა მოხუცი, — ყოჩაღ, ბიჭებო! კამოჯან, სეთოჯან, თქვენ ახლა თავისუფალი ხართ. აიღეთ თქვენი წიგნები. — როცა დამინახა, შუბლზე ხელი მიიდო და დამაკვირდა.

— გამარჯობა, მონადირე ასატური შენა ხარ?...

— მე ვარ, სხვა ვინ იქნება? — მიპასუხა მოხუცმა.

მან ცერად შეხედა ჩემს თოფს, ძაღლს და თითქოს დაწყებულ საუბარს აგრძელებსო, მითხრა:

— წელს აუარებელი თევზია... ვიჭერთ, ვიჭერთ და არ თავდება...

ასე საუბრით ჭაბუკების ჯგუფს მივუახლოვდით. ისინი უმალ ფეხზე წამოდგნენ და მომესალმნენ.

— ეს ჩემი ლომგული ბიჭები არიან, — ღიმილით წარმომიდგინა მოხუცმა. — გაზეთებში ალბათ წაკითხული გექნება — ლეკვანის ნორჩი ნატუ... ნარუ... რას გეძახიან იმ თქვენი დარვინის მიხედვით?..

ბიჭებს გაეცინათ.

— ნორჩი ნატურალისტები, — მიეშველა ერთ-ერთი.

— ჰო, ნატურალისტები არიან... ეს ლამაზი გოგონა ჩვენი ჰასმიკია, რომელმაც გარეული ფრინველების კვერცხების შეგროვება გვასწავლა და ფერმაც დაგვიარსა. ეს ჩვენი ჭკვიანი სწავლული არმენაა. ესეც ჩვენი არტუშია, წინათ სულ გაგვირბოდა, ახლა კი ჩვენთან არის, შემოგვიერთდა... ხბორების მწყემსავი ჩვენი გრიქორია, თავით ფეხებამდე მასხარა და ოხუნჯი, ვინც მასთან იცხოვრებს, არ დაბერდება... ბაგრატმა ერევანში წაიყვანა, პროფესორებმა ფეხი გაუსწორეს, ახლა აღარ კოჭლობს... წყლიდან რომ გამოდის, ჩემი შვილიშვილი კამოა. მაგის შესახებ გაგონილი გექნება, მეორეს კი — ყაჩაღის თვალები რომ აქვს, სეთოა. სწავლაში ძალზე ჩა-

მორჩენილი იყო, ამხანაგები დაეხმარნენ, ყველა საგანში ნიშნები გაისწორა, ახლა კარგად სწავლობს, წელს ამხანაგებთან ერთად სკოლას ამთავრებს. მაგის ჭკუა-გონება მთებშია. რა ქვა გინდა, რომ არ ჩამოიტანოს და თავის კოლექციას არ მიუმატოს.

ჩვენ დიდხანს ვისაუბრეთ. ბიჭებიდან ყველაზე მეტად სეთომ დამაინტერესა. მართლაც, ამ ბიჭის „ჭკუა-გონება" მთებშია. როგორც მიამბეს, ამ ბიჭს არც ერთი სამიანი ან ოთხიანი არა აქვს სწავლაში, სულ ორიანები და ხუთიანები აქვს. ხუთიანებს თავის საყვარელ საგნებში: გეოლოგიაში, მხარეთმცოდნეობაში, გეოგრაფიაში, ბუნებისმეტყველებაში იღებდა. დანარჩენი საგნები მას არ აინტერესებს. მაგრამ იმის შიშით, რომ ერევნის სამთო ინსტიტუტში არ მიიღებენ, დიდი ენერგიით დაიწყო მეცადინეობა. არმენმა, ყოველ შემთხვევაში რწმენა გამოთქვა, რომ სეთო გამოცდებს ჩააბარებს იმ საგნებშიც, რომლებიც არ უყვარს.

კარგად სწავლობს ახლა ჰასმიკიც, უფრო დაკვირვებული გახდა. ისე კი არა, როგორც შარშან, როცა „კატასტროფები" ხდებოდა მეფრინველეობის ფერმაში. მაშინ ხშირად წიგნს კუთხეში მიაგდებდა და ტიროდა. „დედა, არაფერი არ მესმის, არ შემიძლია თავს ძალა დავატანო და გავიგო, თუ რა წერია წიგნში" — შესჩივლებდა ხოლმე დედას.

ხანდახან ასევე ემართებოდა კამოს. ხდებოდა, რომ კლასში იჯდა, მაგრამ, ვერ ამჩნევდა ვერც მის გვერდით მჯდომ მოსწავლეებს, ვერც მასწავლებელს — გართული იყო მხოლოდ გიეი მთისა და გილის ტბის საიდუმლოებებზე ფიქრით.

მხოლოდ არმენი იყო, რომ ყველაფერს ახერხებდა — ბუნების საიდუმლოებათა გამოცნობაც აინტერესებდა და კლასში პირველ მოწაფედაც ითვლებოდა.

— ყოველივე ეს გაიარეს ჩემმა ლომგულმა ბიჭებმა, — ამბობდა მოხუცი ასატური, როცა ბიჭების ნაამბობს უსმენდა. — კარგი მასწავლებელი ჰყავდათ. ამათ ვეშაპიც დაამარცხეს, შავ კლდეებში ეშმაკების ბუნაგიც გაანადგურეს, სოფელი კი პურით და დოვლათით აავსეს! დაე ამათი სიცოცხლე წყალივით ულეველი იყოს!

ამ ლაპარაკის დროს ასატური უცებ წამოხტა და შესძახა:

— ბიჭებო, ბადე თევზით აივსო, ადექით, ჩქარა!

მიუხედავად ხანდაზმულობისა ჯეელივით წამოხტა, გრძელი წვერი ახალუხში ჩაიკეცა და მდინარისკენ გაიქცა.

ბიჭებიც გარბოდნენ და გზადაგზა ტანთ იძრობდნენ. მიადგნენ თუ არა მდინარეს, წყალში ჩაცვივდნენ. მალე ერთობლივი ძალებით ბადე ნაპირზე გამოიტანეს.

ბადეში თევზები ფართხალებდნენ. როდესაც სავსე ბადე მოლზე მოაპირქვავეს, ლამაზხალიანმა კალმახებმა მზის სხივებზე ლაპლაპი დაიწყეს...

გრიქორი თევზების გარშემო დარბოდა და გაჰკიოდა: პა, პა, პა! — მერე მოხუც მონადირეს მიუბრუნდა:

— პაპა, ცეცხლი არ გავაჩაღოთ? თევზი მოვხარშოთ...

— გააჩაღე, მაშ, უმაგისოდ როგორ იქნება?

— ჰო, — მომმართა მოხუცმა, თითქოს შეწყვეტილ საუბარს განაგრძობსო, — იმას გეუბნებოდი, თუ გინდათ, სევანის კალმახის ლაზათი იგემოთ, აქვე უნდა მოხარშოთ, ისიც იმ წყალში, რომელშიც ცხოვრობდა. სხვა წყალში გემოს კარგავს... ხოლო როგორც კი მოხარშავ, მაშინვე ქვაბი აქვე მოლზე უნდა მოაპირქვავო.

გრიქორმა ელვის სისწრაფით ცეცხლი გააჩაღა, თევზი მოხარშეს, ქვაბი მოლზე მოაპირქვავეს, როგორც მოხუცმა მონადირემ თქვა. მართლაც, ძალიან გემრიელი იყო, ასეთი კალმახი მე ჯერ არ მეჭამა.

ნადირობითა და მდიდარი შთაბეჭდილებებით კმაყოფილი დავბრუნდი ერევანში.

ეპილოგი

1

ამ დღეებში ერევანში, ერთ-ერთ რესპუბლიკურ გაზეთში გამოქვეყნდა შენიშვნა სათაურით „მნიშვნელოვანი აღმოჩენა“. გაზეთი იუწყებოდა; რომ სოფელ ლჭავანის ნორჩმა ნატურალისტებმა დიდი განძი იპოვეს და მთლიანად სახელმწიფოს ჩააბარეს.

შენიშვნის გამოქვეყნების შემდეგ სულ რაღაც რამდენიმე დღე გავიდა, რომ სოფელში ხმა გავრცელდა, ფინანსთა სამინისტრომ გადაწყვიტა მოხუც ასატურს და ნორჩ ნატურალისტებს მისცეს პროცენტები, რომლებიც კანონით ერგებათ აღმოჩენისათვისო.

როცა ჭაბუკებმა თავიანთი ხვედრი მიღეს, კამომ ასეთი წინადადება შეიტანა:

— ბიჭებო, იცით რას გეტყვით, მოდით ამ თანხის დიდი ნაწილი გამოვყოთ და ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით კარგი საფრინველე ავაგოთ.

ეს წინადადება დიდი აღტაცებით იქნა მიღებული.

კოლმეურნეობის კანტორაში მიიწვიეს მოხუცი ასატურიც. იქ მოხუცმა მაგიდაზე აუარება ფულს მოჰკრა თვალი.

მოხუცს თვით კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბაგრატი შეხვდა.

— პაპა ასატურ, — მიმართა მან და მაგრა ჩამოართვა ხელი, — მოგილოცავ... მთავრობამ განძის აღმოჩენისათვის ჯილდო გამოგიგზავნა. ეს შენ კანონით გეკუთვნის.

მოხუცი ფულის დანახვაზე მთლად დაიბნა.

— უჰ, უჰ!.. — გაოცდა მოხუცი, — ამდენი რა საჭიროა? — მან თვალები მიაპყრო თავმჯდომარეს, აღელვებით შეათვალიერა იგი და უარყოფის ნიშნად თავი გაიქნია: — არა, ძმაო, არ მინდა... ისევ ძილს დამიფრთხობს, ისევ ჭკუაზე შემშლის, არა, საჭირო არ არის...—ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ განაცხადა: — იცი რა, მოდი ეს საკითხი, ჩვენებურად, მონადირეების წესების მიხედვით გადავ-

ჭრათ. ყველამ კარგად იცით, რომ რაც ჩემ სიცოცხლეში ნანადირევი მომიტანია, ჩემთვის ერთი სამწვადის მეტი არ დამიტოვებია, დანარჩენი მეზობლებისათვის დამირიგებია... ეს ჩვენი მამა-პაპური ადათი და წესია, რას იზამ? მიბრძანებ, რომ ახლა ეს კანონი და წესი დავივიწყო, დავარღვიო? არა, ასატური ასეთ ადამიანთა რიცხვს არ ეკუთვნის. ესეც ჩემი ნანადირევია, ამაში კი მხოლოდ ეს არის ჩემი წილი... — მოხუცმა მაგიდიდან ერთი დასტა ფული აიღო, — ეს არის ჩემი „სამწვადე", დანარჩენი კოლმეურნეებს გაუნაწილე, სკოლას, საბავშვო ბაღს მიეცი... შენ უკეთ იცი, ჩემო ბაგრატ, ჩემი დარიგება არ გეპირდება... — დაუმატა მოხუცმა და გარეთ გავიდა.

ბაგრატმა რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ მოხუცის ჩრდილიც კი აღარსად ჩანდა...

იგი შარა გზით მხიარულად მიაბიჯებდა სახლისაკენ.

2

თბილი, მზიანი შემოდგომის დღეები იდგა.

მინდვრებიდან ყიყინით და კრიახით დაბრუნდნენ მეფრინველეობის ფერმის ბინადარნი: ბატები, იხვები, წყლის ქათმები და სხვა. „ფერმის გამგე" ჰასმიკი თავის „მოადგილესთან" სეთოსთან ერთად ფრინველთაგან არჩევდა უკეთესებს, ჰიბრიდების საუკეთესო ეკზემპლარებს და გასაგზავნად გამზადებულ გალიებში სხამდა.

საფუტკრეში გრიქორი ოქროსფერ თაფლს იღებდა და საუკეთესო ჩარჩოებს ცალკე აწყობდა. არმენი და კამო ამ ჩარჩოებს განსაკუთრებულ ყუთებში აწყობდნენ. ეტყობა, ისინი შორს გასაგზავნად უნდოდათ.

ბიჭები გამალებით ემზადებოდნენ მოსკოვში წასასვლელად. ისინი სტუმრად იყვნენ მიწვეული ნორჩ ნატურალისტთა ცენტრალური სადგურის მიერ.

მოხუცი მონადირე ხარბად ქაჩავდა ჩიბუხს და ამბობდა:

— მაშ ხვალ მიდიხართ, ჩემო ლომგულო ბიჭებო?..

მეორე დღეს ბიჭებმა გალიები ფრინველებით და თაფლით სავსე ყუთები საბარგო მანქანაზე დააწყეს. ყველაზე ნორჩ ნატურალისტებს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ახლადმიღებული მსუბუქი ავტომანქანა დაუთმო.

მიმავალნი მშობლებს, ნათესავებს, ამხანაგებს გამოემშვიდობ-ნენ, მოხუცი ასატური გულში ჩაიკრეს და ავტომობილში ჩასხდნენ.

სონამაც გადაჰკოცნა თავისი შვილი. მერე პაპა ასატურს მიუ-ახლოვდა, ხელზე ემთხვია და აღელვებით უთხრა:

— მაპატიე, ძია ასატურ, გემუდარები, ჩემი წყევლა გულში არ შეინახო...

შემდეგ მიუბრუნდა იქვე მდგომ მესროფს, უკმაყოფილოდ და დაცინვით ხელი ჩაიქნია და დაწყევლა:

— ყველაფერი ამ ყვითელი კუს ბრალია... ამ შავი სულისა... ღმერთს ვთხოვ, ამ არამზადას მუნი დამართოს, ფრჩხილები მო-კვეთოს, ეფხანებოდეს და ვერ იფხანდეს...

კოლმეურნეები მხიარულად იცინოდნენ.

მანქანა დაიძრა და სევანის კრიალა ნაპირით გაქანდა: კოლმე-ურნეები ქუდების და ცხვირსახოცების ქნევით აცილებდნენ მგზავ-რებს.

— მაშ წახვედით, ჩემო ლომგულო ბიჭებო, უთქვენოდ მე რა უნდა ვაკეთო? — მწარედ ამოიოხრა მოხუცმა ასატურმ› და ფაფა-ხით ცრემლი მოიწმინდა...

შორს, მანქანიდან, რომელიც სევანის პირად მიჰქროდა, ისმო-და მხიარული სიმღერა:

მზე ამოვიდა — გააბრწყინა ოქროს აბჯარით
სვებედნიერი ჩემი ქვეყნის ტერფა მთა-ბარი.

შ ი ნ ა ა რ ს ი

სევანის სამყარო 3

ნაწილი პირველი

ერთ დილას მსოფლიოს უმოკლესი მდინარის პირას 9
იდუმალი გრიალი 16
პაპა ასატურის კამათი დარვინთან 20
კვერცხის შემგროვებელი გოგონა ლელიანში 24
საუცხოო აზრი 28
საიდუმლო ტბის სიღრმეში 35
ზღაპრულ ქალაქში 38
მერყეევი კუნძული 40
პირქუში გვირაბები 47
საიდუმლო ტბა 53
კამო იხრჩობა 56
ჩამბარის გმირობა 57
გილის „ურჩხული“ 58
რა გადაიღო კამოს ფოტოაპარატმა 60
ნორჩი ნატურალისტების საინტერესო გეგმები 63
კოლმეურნეობის თავმჯდომარე 72
კრუხების შეგროვება 75
შეფები 81
კოლმეურნეობის ფარდულში 85
რა უნდა ეცნობებინა გრიქორს 91
მღელვარე დღე 95
სიხარული 101

ნაწილი მეორე

სევანი დღეს და ხვალ 105
საუბარი გარეულ ფუტკარზე 108
შვიდი ძმის სისხლი 114
სპილენძის თუნგის საიდუმლოება 120
ჭანჭაქარის კედლებში 125
ქვეყანა სახეს იცვლის 130
როგორ მოხდა ხალხი ჭანჭაქარის გამოქვაბულში 134
კვლავ ჭანჭაქარისაკენ 139
საიდუმლო გამოქვაბულში 145
სარდალ არტაკის ბეჭდის თვალი 160
სარდალ არტაკის ნეშთის ძებნა 162
პროფესორ სევიანის ჩამოსვლა 165

საეშვო კასრები 168
ეშმაკი ნადირის კვალდაკვალ . . . 170
თაფლის მოყვარული პატარა ნადირის შესახებ 178

ნაწილი მესამე

გაზაფხული დადგა 185
„ზეცა გაშრა“ . . 187
მოხუც მონადირეს სულმა სძლია 195
რას მოგვითხრობს ძველისძველი ქვევრი 201
იდუმალი ბილიკით 203
„წყლის ღმერთთან“ 210
რას დაეძებს სეთო . 215
ჩვენი ქვეყნის ძველი არხები 220
ლეგენდა წყლის შესახებ 225
მწვანე ხალი . . 227
სიცოცხლე ოაზისის ირგვლივ . . 230
გიჟი. მთის ყველაზე ლამაზი მობინადრენი .233
ორიოდე სიტყვა სეთოს შესახებ 240
შერიგება 245
დაჯილდოება . . 251
როგორ გასცა თავისი თავი სეთომ 255
დაკარგული ნდობა 256
სეთოს დაბრუნება 259
სეთოს საიდუმლოება 264
ღამით ტბის პირას 268
ვულკანის კრატერში 274
კავკასიონი ჩემ წინაა 277
მთის ტბასთან 282
გარეული ყოჩი 288
მორევში . . 292
ნავთის მიწისქვეშა მოგზაურობა 294
სად მოთხარონ? . 298
„ჯოჯოხეთის კართან“ 301
საუკუნეთა ნაკვალევი 302
საიდუმლოების ამოხსნა 305
აფეთქების შემდეგ 308
„სათაელის შურისძიება“ 310
სინდისის ქეჯნა 311
შემთხვევა გამოქვაბულში 313
ხალხის სამსჯავრო . 321
ისევ შავი კლდეებისაკენ 325
სასიხარულო აფეთქება. 331
რატომ დადუმდა „ურჩხული . 338
„ურჩხულის“ უკანასკნელი გრიალ-გრუხუნი 343
შეხვედრა ჩვენი მოთხრობის გმირთან 346
ეპილოგი 351

В. Ананян

НА БЕРЕГУ СЕВАНА

(На грузинском языке)

Рисунки В. Ермолова
Обложка и титул З. Гоголашвили

Министерство просвещения ГССР
Детгиздат
Тбилиси
1957

რედაქტორი ლ. ასტვაცატუროვი
გამომცემლობის რედაქტორი ქ. ნადირაძე
მხატვარი ვ. ერმოლოვი
ყდა და ტიტული ზ. გოგოლაშვილისა
მხატვარი რედაქტორი მ. დიკი
ტექრედაქტორი შ. ღოღობერიძე
კორექტორი ი. სულთანიშვილი

გადაეცა წარმოებას 25/XI—56 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 3/III—57 წ., ანაწყობის ზომა 61×9,5, ქაღალდის ზომა 60×92 1/16, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 22,75, სააღრიცხვო ფორმათა რაოდენობა 18,7

ფასი 8 მან. 90 კაპ.

შეკვ. № 474. ტირაჟი 5.000,

სამედგამის სტამბა, თბილისი, მედქალაქი

Типография Грузмедгиза, Тбилиси, Медгородок

ლევდა, ასეთსავე მდგომარეობაში იყვნენ ექსპედიციის დანარჩენი წევრებიც.

მეორე დღეს, კამოს ერევანში გამგზავრების შემდეგ, არმენი და გრიქორი ფერმაში წავიდნენ. ჰასმიკი იქ არ დახვდათ, — ფრინველები გაერეკა გუბურაზე, სადაც ცოტაოდენი მღვრიე წყალი დარჩენილიყო. საშინლად ცხელოდა. თვეზე მეტი იყო, რაც ნამი არ გადმოვარდნილიყო და მდინარე, სოფელს რომ ჩაუდიოდა, ამომშრალიყო. პიონერების მიერ ამოთხრილ გუბურაში დარჩენილი წყალიც ილეოდა.

წყლის ფრინველთა ბარტყები დაზრდილიყვნენ, ფრთების შეჭრის დრო იყო. ბატის ჭუჭულები, რომელთაც წინათ ყვითელი ბუმბული ჰქონდათ, ახლა უკვე თეთრ-ნაცრისფერ ბუმბულით დაფარულიყვნენ. ისინი შინაურ ბატებზე უფრო გამბედავნი, მოქნილნი და ყოჩაღები იყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ მათ ჰასმიკი, ანაჰიტი და პაპა ასატური დარაჯობდნენ, მაინც ფრთხილობდნენ, აქეთ-იქით იმზირებოდნენ, ყველას უნდობლად უყურებდნენ...

ამაში ჩანდა გარეული ფრინველის ბუნებრივი ინსტინქტი. მაგრამ გუბურაში ისე იქცეოდნენ, როგორც შინაური ბატები: ერთმანეთს „ელაპარაკებოდნენ“ თავიანთებურ ენაზე. ხანდახან ყიყინებდნენ კიდევაც... როცა წყლის ქათმები გამოიჩეკნენ, მათ რუხი ფერის ბუმბული ჰქონდათ, პაწაწინა ფრთებზე თეთრი წინწკლები ეყარათ. ახლა კი ფერი ეცვლებოდათ, თანდათან მუქდებოდნენ, თავიანთ დედის ფერს იღებდნენ, ზურგი და თავი თითქმის უშავდებოდათ, გულმკერდი კი ღია ფერისა რჩებოდათ... ამ შავ ფონზე განსაკუთრებით გამოირჩეოდა მათი მოწითალო თვალები.

თავიანთი მშობლების ფერს იღებდნენ აგრეთვე ფერმის დანარჩენი ფრინველებიც...

გუბურაში წყალი ძალიან ცოტა იყო. ყველა ფრინველი შიგ არ ეტეოდა და ერთმანეთს ეჭიშპებოდნენ...

არმენი და გრიქორი ჰასმიკს მიუახლოვდნენ.

— რას იტყვი, — ჰკითხა არმენმა, — კამოს მოსვლამდე გულხელდაკრეფილები უნდა ვისხდეთ?

ჰასმიკმა პასუხის ნაცვლად მკვდარი იხვის ჭუჭული უჩვენა.

— ნუ ღელავ, ჰასმიკ, მალე მოვა ჩვენი ქერი! — უთხრა არმენმა.

— დიახ „ნუ ღელავ“, შენ თვითონ რამდენჯერ მიუგდე გუ-